1995

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

16

1-2

1995

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიფადი 71-ე № 1–2 იანვარ-თებერვალი, 1995 ფ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ბიბლია, ძველი აღთქმა. გაგრძელება 3

70 — „მნათობი“ — 70

ბრიგოლ აბაშიძე — ცოცხლობს და იბრძვის 33
ბიორბი ნატროშვილი — არამარტო ტკბილ ხმათათვის 34
ელგუჯა მაღრაძე — საამაყო ჟურნალი 36
გურამ ფანჯიკიძე — ერის საკეთილდღეოდ 36
რევაზ ჯაფარიძე — 70 წლის „მნათობი“ 37
ოთარ ჭელიძე — თავისუფალი. ერთიანი და ძალმოსილი საქართველოს დროშით 38
გურამ გვერდწითელი — წინმაგალი 39
გენო კალანდია — სავანე ნათლისა 40
რარიელ ჭანტურია — ჩვენ თვითონ უნდა მივიღოთ მოლოცვა . . . 41
ბივი გეგეჭკორი — ქართული მწერლობის სარკე 43
ემზარ კვიტაიშვილი — ქართული მწერლობის დედაბოძი 43
დავით მჭედლური — ღირსების გრძნობით 45
ნუგზარ შატაიძე — მიჯნა 46
ვახტანგ ხარშილავა — ტაძარი 47
ბიბი სულაკაური — მინდა, ისევ მოჩანდეს 48
ნოდარ ბაქრაძე — მილოცვა 49

პროზა, პოეზია

რევაზ ჯაფარიძე — მხევალი უფლისა. რომანი. გაგრძელება 50
მარი აბრამიშვილი — ლექსები 133
მზია ხეთაგური — ლექსები 137
მამუკა ცეცხლაძე — ლექსები 142
ბიბი სულაკაური — უსათაურო ლექსი 145
ბიორგი ეკიზაშვილი — ლექსები 147
ნელი გატიაშვილი — სოფელი. მოთხრობა 151

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ბივი გოლქვაძე — ისევ ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის შესახებ . . . 173
თენგიზ კეშელავა — სპარსული პროზის მშვენება 184
ხევსურეთი უნდა აღორძინდეს 189
ჟურნალ „მნათობის“ 1994 წლის ნომრის შინაარსი 192

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების პოლიგრაფკომბინატი „პრესა“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლეგანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ 2 0 (1)

ბიბლია, ძველი აღთქმა

იერემია წინასწარმეტყველი

თავი პირველი

1. სიტყვები იერემიასი, ხილკიას ძისა, მღვდელთაგან, ყანათოთში რომ
იყვნენ, ბენიამინის ქვეყანაში, 2. რომლის მიმართ იყო უფლის სიტყვა იუ-
დას მეფის იოშია ამონის ძის დროს, მისი მეფობის მეცამეტე წელს 3. და
იუდას მეფის იეჰოიაკიმ იოშიას ძის დროს, და იუდას მეფის ციდკი იოშიას
ძის მეთერთმეტე წლის ბოლოს, იერუ-
სალიმის გადასახლებამდე, მეხუთე
თვეს. 4. იყო უფლის სიტყვა ჩემს მო-
მართ ნათქვამი: 5. ვიდრე მუცელში
გამოგსახავდი, გამოგარჩიე; ვიდრე სა-
შოდან გამოხვიდოდი წმინდა გყავი,
ხალხების ქადაგად დაგადგინე. 6. მე
ვთქვი: ეჰ, უფალო ღმერთო! მე ხომ
ლაპარაკი არ ვიცი, რადგან ყმაწვილი
ვარ. 7. მითხრა უფალმა: ნუ ამბობ,
ყმაწვილი ვარო, რადგან ყველგან წა-
ხვალ, სადაც კი მიგავლენ, და ყველა-
ფერს ილაპარაკებ, რასაც გიბრძანებ.
8. ნუ გეშინია მათი, რადგან შენთან
ვიქნები, რომ დაგიფარო. ამბობს უფა-
ლი. 9. გამოიწოდა ხელი უფალმა და
შეეხო ჩემს ბაგეს. მითხრა უფალმა:
აჰა, ჩამიდვია ჩემი სიტყვები შენს ბა-
გეებში. 10. იცოდე, დამიდგენიხარ
დღეს ხალხებზე და სამეფოებზე, რათა
აღმოფხვრიდე და ანადგურებდე, სპო-
ბდე და ამხობდე, აშენებდე და რგა-
ვდე. 11. იყო უფლის სიტყვა ჩემს მო-
მართ ნათქვამი: რას ხედავ, იერემია?
მივუგე: ნუშის რტოს ვხედავ. 12. მი-
თხრა უფალმა: კარგად ხედავ, რადგან
თვალს ვადევნებ ჩემს ნათქვამს, რომ
აღსრულდეს იგი. 13. იყო უფლის სი-
ტყვა ჩემს მომართ ნათქვამი მეორე-
გზის: რას ხედავ? მივუგე: ათუხთუხე-
ბულ ქვაბს ვხედავ, ჩრდილოეთისკენ
მიმართულს. 14. მითხრა უფალმა:
ჩრდილოეთიდან დაატყდება თავს უბე-
დურება ქვეყნის ყველა მკვიდრს. 15.
რადგან, აჰა, მოვუხმობ ჩრდილოეთის
სამეფოთა ყველა ტომს, ამბობს უფა-
ლი, მოვლენ და თითოეული ტახტს
დაიდგამს იერუსალიმის კარიბჭესთან,
მის ყველა კედელთან ირგვლივ და იუ-
დას ყველა ქალაქში. 16. გამოვუტან
მათ განაჩენს ყველა მათი უკეთურო-
ბის გამო, რომ დამივიწყეს, უცხო ღმე-
რთებს რომ უკმევდნენ და თაყვანს
სცემდნენ საკუთარ ნახელავს. 17. შენ,
კი წელზე სარტყელი შეირტყი, ადექი
და ყველაფერი უთხარი მათ, რასაც გი-
ბრძანებ. ნუ გეშინია მათი, არ შევაში-
ნებინებ შენს თავს. 18. აჰა, დამიდგე-

გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 1-2, 1994 წ.

ნიხარ დღეს ციხე-ქალაქად, რკინის სვეტად და სპილენძის ზღუდედ მთელი ქვეყნის წინააღმდეგ იუდას მეფეთა, მის მთავართა და მღვდელთა წინააღმდეგ. 19. შეგებრძოლებიან, მაგრამ ვერ გძლევენ, რადგან შენთანა ვარ, ამბობს უფალი, რომ დაგიფარო.

თავი მეორე

1.იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 2. წადი და ყურში ჩასძახე იერუსალიმს: ასე ამბობს-თქო უფალი: მე მახსოვს შენი ყმაწვილური ერთგულება და პატარძლური სიყვარული როცა მომყვებოდი უდაბნოში, უხნაურთეს მიწაზე. 3. უფლის სიწმიდეა ისრაელი, მისი მოსავლის ნათავარი. ყოველი მისი მჭამელი დადანაშაულდება, უბედურება დაატყდება თავს, ამბობს უფალი. 4. ისმინე უფლის სიტყვა, იაკობის სახლო, და ისრაელის სახლის ყველა საგვარეულოვ! 5. ასე ამბობს უფალი: რა ნახა ჩემში ცუდი თქვენმა მამა-პაპამ, რომ განმიდგა, ამაოებას რომ აჰყვა და თავადაც ჩაეფლო? 6. რომ არც უკითხავს, სად არისო უფალი, რომელმაც ამოგვიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან, გვატარა უდაბნოში, შიშველ და დახრამულ მიწაზე, უწყლო და პირქუშ ქვეყანაში, სადაც კაციშვილი არ გაჭაჭანებულა, სადაც ადამიანს არ უცხოვრია? 7. მოგიყვანეთ აყვავებულ მიწაზე, რომ ნაყოფი და დოვლათი გეჭამათ. მოხვედით და შეგლალეთ მიწა, და ჩემი სამკვიდრო სიბილწედ აქციეთ. 8. არ უთქვამთ მღვდლებს: სად არისო უფალი? რჯულის კაცებმა არ მიცნეს, მწყემსები განმიდგნენ, წინასწარმეტყველნი ბაალის სახელით გაქადაგდნენ და ულარგებლო კერპებს აეკიდნენ.9. ამიტომაც კიდევ მექნება თქვენთან დავა, ამბობს უფალი; თქვენს შვილთა შვილებთანაც ვიდავებ. 10. რადგან, აბა, წადით ქითელთა კუნძულებზე და ნახეთ, გააგზავნეთ კედარში და კარგად გამოიკვლიეთ, ნახეთ, თუ სადმე მომხდარა ამგვარი რამე. 11. თუ შეუცვლია რომელიმე ხალხს თავისი ღმერთები, თუმცა არ ყოფილან ისინი ღმერთები? ჩემმა ერმა კი უსარგებლო კერპებზე გადაცვალა თავისი დიდება! 12. შეძრწუნდი ამის გამო, ცაო, შეშფოთდი და გამოშრი, ამბობს უფალი. 13. რადგან ორი დანაშაული ჩაიდინა ჩემმა ერმა: მიმატოვეს მე, ცოცხალი წყაროსთვალი, და ამოკვეთეს თავისთვის ჭები, დანგრეული ჭები, წყალს რომ ვერ იკავებენ. 14. მონაა ისრაელი თუ სახლისშვილი? აბა, რატომ იქცა ნადავლად? 15. თავს დაღრიალებდნენ ლომები, ხმამაღლა ბრდღვინავდნენ, უდაბნოდ უქციეს ქვეყანა; გადამწვარია მისი ქალაქები, გაუკაცრიელებული. 16. თვით ნოფელებმა და თახფანესელებმაც კი ჩაგიმტვრიეს თავის ქალა. 17. იმის გამო ხომ არ მოიწვიე ეს, რომ მიატოვე უფალი, შენი ღმერთი, როცა გზად მიჰყავდი? 18. ახლა რად დასდგომიხარ ეგვიპტის გზას? ნილოსის წყლის დასალევად? რად დასდგომიხარ აშურის გზას? ევფრატის წყლის დასალევად? 19. ჭკუაზე მოგვიყვანს შენი დანაშაული და შენი განდგომილება გამხილებს შენ. იფიქრე და იცოდე, რა მძიმეა და მწარე უფლის, შენი ღვთის, მიტოვება. აღარა გაქვს ჩემი შიში, ამბობს უფალი, ცაბაოთ ღმერთი. 20. როცა დიდიხნის წინათ დავლეწე შენი უღელი, დავწყვიტე შენი აპეურები, შენ თქვი: აღარ გემორჩილებიო. რადგან ყოველ მაღალ გორაკზე და ყოველი ხემხვევანის ქვეშ წვებოდი მეძავივით. 21. მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთესე. როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვალე! 22. ნაცარტუტითაც რომ იხეხო, რამდენი საპონიც არ უნდა იხმარო, შენი შეცოდება მაინც ლაქად დაგრჩება ჩემს წინაშე, ამბობს უფალი ღმერთი. 23. როგორ ამბობ: არ წამიბილწავს თავი, ბაალებს არ ავკიდებივარო? გაიხსენე შენი საქციელი ველზე, დაფიქრდი, რა გააკეთე, გარეულო დედალო აქლემო,

აქეთ-იქით რომ დაჭენაობ? 24. ვინ დაიკავებს უდაბნოზე შეჩვეულ კანჯარს, როცა სუნთქვაშეკრული გარბის? ნუ დაშვრებიან მისი მძებნელნი: ერთ თვეშიც ვერ მიაგნებენ. 25. დაინდე შიშველი ფეხები და წყურვილისგან გამომშრალი ყელი! შენ კი ამბობ: არა, ამაოა! რადგანაც უცხოები მიყვარს და მათ ავეკიდებიო! 26. როგორც ქურდს შერცხვება ხოლმე, როცა წაასწრებენ, ასე შეირცხვინა თავი ისრაელის სახლმა, მისმა მეფეებმა, მთავრებმა, მღვდლებმა, წინასწარმეტყველებმა, 27. ხეს რომ ეუბნებიან: მამა ხარო ჩემი, და ქვას: შენ მშობეო. რადგან ზურგი მომაქციეს მათ და არა სახე. გასაჭირში კი ამბობენ: ადექი და გვიხსენიო. 28. სად არიან შენი ღმერთები, რომლებიც შენთვის გაიკეთე? ადგნენ, თუკი შეუძლიათ შენი ხსნა გასაჭირში. რადგან რამდენი ქალაქიც გაქვს, იმდენი ღმერთი გყავს შენ, იუდა! 29. რიღასთვის მედავებით? ხომ ყველანი განმიდექით მე, ამბობს უფალი. 30. ამაოდ გამილახავს თქვენი შვილები. ჭკუა ვერ ისწავლეს. თქვენმა მახვილმა შეჭამა თქვენი წინასწარმეტყველნი, როგორც გამანადგურებელმა ლომმა. 31. ეჰა, მოდგმავ! შეიგონე უფლის სიტყვა! განა უდაბნო ვიყავი ისრაელისთვის ან ბნელეთი? რატომ ამბობს ჩემი ერი: თავისუფალნი ვართ, შენთან აღარ მოვალთო? 32. როდის ყოფილა, ქალწულს თვისი სამკაული დაევიწყებინოს ან პატარძალს — თვისი მორთულობანი? ჩემმა ერმა კი რა ხანია, დამივიწყა მე. 33. როგორ გაგიმზადებია შენი გზა სიყვარულის საძებრდ? ბოროტებანიც კი შეაჩვიე შენს გზებს! 34. შენი კაბის კალთებს ამჩნევია უდანაშაულო ბეჩავთა სისხლი. ხომ არ წაგისწრია მათთვის სახლის გამოთხრისას? 35. და მაინც ამბობ: უბრალო ვარ, ამცდება მისი რისხვაო. მაგრამ, აჰა, გაგიმართავ დავას, რაკი ამბობ, არ შემიცოდაესო. 36. რამდენს დაეხეტები და იცვლი გზებს! ეგვიპტისგანაც ისევე შერცხვები, როგორც აშურისგან შერცხვი. 37. მისგანაც გახვალ თავში ხელებ[illegible]დგან გაგიცრუებს უფალი [illegible] ვერაფერს გამორჩები მათ.

თავი მესამე

1. ნათქვამია: თუ ქმარი თავის ცოლს გაუშვებს, ისიც წავა მისგან და სხვა კაცს გაჰყვება, განა კვლავ დაუბრუნდება მას? ხომ წაიბილწება ის ქვეყანა? შენ ბოზობდი ბევრ საყვარელთან, მაგრამ, დამიბრუნდიო, გეუბნება უფალი. 2. აბა, ახედე გორაკებს და მონახე ადგილი, სადაც არ გაუპატიურებულხარ. გზის პირას ეჯექი მათ, როგორც არაბი უდაბნოში, და ბილწავდი მიწას შენი ბოზობით და სიბოროტით. 3. შეკავდა წვიმები და გაზაფხულის წვიმაც არ მოსულა. მეძავის შუბლი გქონდა, არ გახსოვდა სირცხვილი. 4. წელან არ იყო, მეძახდი: მამაჩემო, ჩემი სიყმაწვილის წინამძღვარი ხარო? 5. განა სამუდამოდ გაჰყვება რისხვა ბოლომდე ხომ არ ჩაიმარხავსო! აჰა, თქვი და ჩაიდინე ბოროტება, გაბედე. 6. მითხრა უფალმა მეფე იოშიას დროს: ნახე, რა ჩაიდინა განმდგარმა ისრაელმა? დადიოდა ყველა მაღალ გორაკზე და ყველა ხემხვივანის ქვეშ, და ბოზობდა იქ. 7. მე ვთქვი მას შემდეგ, რაც ყოველივე ეს ჩაიდინა: ჩემკენ მოიქეცი-მეთქი! მაგრამ არ მოქცეულა. ხედავდა ამას მისი მოღალატე დაჲ იუდა. 8. დაინახა, რომ გარყვნილების გამო გავუშვი განმდგარი ისრაელი და მივეცი გაყრის წიგნი, მაგრამ არ შეშინებია მოღალატე იუდას, მის დას, და ისიც საბოზაოდ წავიდა. 9. მოხდა ისე, რომ თავისი საქვეყნო ბოზობით წაბილწა მიწა. ბილწობდა ქვასთან და ხესთან. 10. ყოველივე ამის შემდეგაც არ მოქცეულა ჩემკენ წრფელი გულით მოღალატე დაჲ იუდა, არამედ მხოლოდ მოჩვენებით, ამბობს უფალი. 11. მითხრა უფალმა: განდგომილ ისრაელი უფრო წრფელი გამოდგა, ვიდრე მოღალატე იუდა. 12. წადი და ჩრდილოეთით

გასძახე ეს სიტყვები, ამცნე: მოიქეცი, განდგომილო ისრაელ, ამბობს უფალი. არ მოვაწევ თქვენზე რისხვას, რადგან მოწყალე ვარ, ამბობს უფალი, არ გამყვება რისხვა სამუდამოდ. 13. ოღონდ აღიარე დანაშაული, რომ შესცოდე უფალს, შენს ღმერთს, და გზები გაუშალე უცხოთესლს ყოველი ხემხვივანის ქვეშ, და არ გაიგონეთ ჩემი ხმა, ამბობს უფალი. 14. მოიქეცით, გაქცეულო შვილებო, ამბობს უფალი, რადგან მე ვარ თქვენი პატრონი. სათითაოდ გამოგიყვანთ ქალაქიდან, ორ-ორს — საგვარეულოდან, და მიგიყვანთ სიონში. 15. დაგიყენებთ ჩემი გულით ამორჩეულ მწყემსებს და ისინი დაგმწყესავენ თქვენ გონივრულად და ბრძნულად. 16. როცა გაბევრდებით და იმრავლებთ ქვეყანაზე, იმ დროს, ამბობს უფალი, აღარ იტყვიან: უფლის აღთქმის კიდობანი. გულშიაც არ გაივლებენ, არც გაიხსენებენ, არც მოისაკლისებენ, აღარ გაკეთდება. 17. იმხანად უფლის ტახტად იქნება წოდებული იერუსალიმი; მასთან მოიყრის თავს ყველა ხალხი იერუსალიმში უფლის სახელით და აღარ აჰყვებიან ბოროტ გულისთქმას. 18. იმჟამად მივა იუდას სახლი ისრაელის სახლთან და ერთად წავლენ ჩრდილოეთის ქვეყნებიდან იმ ქვეყნისაკენ, რომელიც თქვენს მამა-პაპას დავუმკვიდრე. 19. ვთქვი: როგორ ჩაგთვალო ჩემს შვილებად და მოგცე სანატრელი ქვეყანა, ხალხთა სამკვიდრო, მშვენიერზე მშვენიერი? ვთქვი: მამას დამიძახებ და აღარ გაბრუნდები ჩემგან. 20. ჭეშმარიტად, როგორც ცოლი ღალატობს თავის მეგობარს, ასე მიღალატე შენც, ისრაელის სახლო, ამბობს უფალი. 21. ხმა ისმის შიშველ გორაკებზე, ისრაელიანთა საწყალობელი მოთქმა; რადგან გაიმრუდეს გზა და დაივიწყეს უფალი, თავიანთი ღმერთი. 22. მოიქეცით ჩემკენ, გაქცეულო შვილებო! მე განვკურნავ თქვენს განდგომილებას. აჰა, მოვედით შენთან, რადგან შენ უფალი ხარ, ჩვენი ღმერთი. 23. ჭეშმარიტად სიცრუეა გორაკები და ხალხმრავალი მთები! ჭეშმარიტად უფალში, ჩვენს ღმერთში, ისრაელის ხსნა! 24. მაგრამ სირცხვილი ჭამდა ჩვენი მამა-პაპის ნაჭირნახულევს სიყმაწვილის დროიდან — მათი ცხვარი და ძროხა, ვაჟები და ქალიშვილები. 25. ჩვენს სირცხვილში ვიწვეთ რცხვენა გვეხუროს ზედ, რადგან ვცოდავთ უფალს, ჩვენს ღმერთს, ჩვენ და ჩვენი მამა-პაპა სიყმაწვილიდან დღემდე და არ გვესმის უფლის, ჩვენი ღვთის სიტყვა.

თავი მეოთხე

1. თუ მოიქცევი ისრაელ, ამბობს უფალი, ჩემკენ მოიქეცი; თუ მომაშორებ შენს სისაძაგლეებს და აღარ იწანწალებ, 2. დაიფიცებ უფლის სახელს ჭეშმარიტებით, სამართლიანად და სიმართლით, ხალხებიც დაილოცებიან და განითქმიან მასში. 3. რადგან ასე უთხრა უფალმა იუდას ხალხს და იერუსალიმს: გატეხე ყამირი და ეკალბარდებში ნუ დათესავ! 4. წინდაიცვითეთ უფლისათვის და მოიშორეთ გულის ჩუჩა, იუდას ხალხო და იერუსალიმის მკვიდრნო, რათა ცეცხლივით არ აინთოს ჩემი რისხვა თქვენი ბოროტმოქმედების გამო და ისე არ აბრიალდეს, რომ ვერავინ ჩააქროს. 5. გააცხადეთ იუდაში და ასმინეთ იერუსალიმშიც, ამცნეთ და დაჰკარით ბუკს ქვეყანაში, იყვირეთ მთელი ძალით და ამცნეთ: შეიკრიბენით და ციხე-ქალაქებში წავიდეთ! 6. აღმართეთ სიონზე დროშა, თავს უშველეთ, ნუ გაჩერდებით, რადგან უბედურებას მოვაწევ ჩრდილოეთიდან და დიდი გასაჭირს! 7. გამოვარდა ლომი თავისი შამბნარიდან და დაიძრა ხალხთა დამღუპველი; გამოდის თავისი სადგომიდან, რათა უდაბნოდ აქციოს შენი ქვეყანა. შენი ქალაქები გაცამტვერდება და გაუკაცრიელდება. 8. აბა, შეირტყიათ ჯვალო, იგლოვეთ და მოთქვამდეთ, რადგან

ჯერ არ გაბრუნებულა ჩვენგან უფლის
რისხვის ალი. 9. დადგება დღე, ამბობს
უფალი, და გული შეუდრკებათ მეფეს
და მთავრებს, შეძრწუნდებიან მღვდლე-
ბი, გაოგნდებიან წინასწარმეტყველნი.
10. ვთქვი: ეჰა, უფალო ღმერთო! ნა-
მდვილად მოგიტყუებია ეს ერი და
იერუსალიმი, რომ ეუბნებოდი: მშვი-
დობა იქნებაო თქვენში, მაგრამ ყელ-
ზეა მობჯენილი მახვილი. 11. იმჟამად
ეტყვიან ამ ერს და იერუსალიმს: მწვე-
ლი ქარი ქრის უდაბნოს ხმელგორები-
დან, ჩემი ერის ასულის გზაზე, არც სა-
ნიავებლად და არც გადასარჩევად. 12.
ამაზე უფრო ძლიერი ქარი ატყდება
ჩემგან დ მაშინ მეც გამოვუცხადებ
განაჩენს. 13. აჰა, ღრუბელივით ამო-
დის იგი, ქარბორბალაა მისი ეტლები,
არწივზე უსწრაფესია მისი ცხენები.
ვაი ჩვენს თავს, გავნადგურდით! 14.
გულიდან ამოირეცხე ბოროტება, იე-
რუსალიმო, რომ გადარჩე! როდემდის
უნდა იბუდოს შენს წიაღში უკეთურმა
ზრახვებმა? 15. რადგან ხმა მოდის და-
ნიდან და ავის მთხრობელი ეფრემის
მთიდან! 16. გამოუცხადეთ ხალხებს,
აჰა, ასმინეთ იერუსალიმს: მტერი მო-
დის შორი ქვეყნიდან და ყიჟინით აყ-
რუებს იუდას ქალაქებს. 17. მეველეე-
ბივით გარს უვლიან, რადგან ამიჯანყდა
მე,ამბობს უფალი. 18. შენმა საქციელ-
მა და ნამოქმედარმა დაგმართა ეს ყვე-
ლაფერი; ისე მწარეა ეს შენი ცოდვა,
რომ გულამდე გიწია. 19. ვაი, ჩემი
შიგნეული, შიგნეული! მტკივა გულის
ფიცარი! მიკვნესის გული! ვერ დავდუ-
მდები, რადგან ბუკის ხმა გვესმის, სუ-
ლო ჩემო, საბრძოლო ყიჟინა. 20. უბე-
დურება უბედურებას მოსდევს; გაპარ-
ტახდა მთელი ქვეყანა, უცებ გაპარტა-
ხდა ჩემი კარვები, წამისყოფაში —
ჩემი ჩარდახები. 21. როდემდის უნდა
ვუყურო დროშას, ვუსმინო ბუკის
ხმას? 22. ეჰ, უგუნურია ჩემი ერი, არ
მცნობს მე; ბრიყვი ბავშვები არიან ის-
ინი, გაგება არა აქვთ. ბოროტის სათ-
ქმელად ჭკუა ყოფნით, სიკეთის კეთე-
ბა კი არ იციან. 23. შეხედე ქვეყანას
და, აჰა, უსახური და უდაბურია; ცას
— და არა აქვს ნათელი. 24. შეხედე
მთებს და, აჰა, იძვრიან, მთელი ბორ-
ცვები ირყევიან. 25. შეხედე და, აჰა,
აღარ არის ადამიანი, და ცის ფრინვე-
ლებიც ყველანი გაფრენილან. 26.
შეხედე და, აჰა, წალკოტი უდაბნოდ
ქცეულა, ერთიანად გაცამტვერებულა
ქალაქები უფლის წინაშე, მისი რისხვის
ალისაგან. 27. რადგან ასე ამბობს უფ-
ალი: გაუდაბურდება მთელი ქვეყანა,
თუმცა საბოლოოდ არ გავანადგურებ.
28. ამაზე იგლოვებს დედამიწა და მა-
ღლა ცა დაბნელდება, რადგან უკვე
ვთქვი განაჩენი, არ შევინანებ და არ
გადავთქვამ. 29. ცხენოსანთა და მოი-
სართა ხმისგან გარბის მთელი ქალაქი;
გარბიან ულრან ტყეებში და კლდეებს
ეხიზნებიან; დაცარიელდა ყველა ქალა-
ქი, ერთი მცხოვრებიც არ დარჩენილა.
30. რას იზამ, გაპარტახებულო? თუ-
მცა ჩაგიცვამს ძოწეული, ოქროს სამ-
კაულებით მორთულხარ, თვალები სუ-
რმით მოგიხატავს, მაგრამ ამაოდ ილა-
მაზებ თავს: შეგიძულეს საყვარლებმა,
სასიკვდილოდ დაგდევენ. 31. ყვირილი
მესმის თითქოსდა მშობიარისა, კივი-
ლი ქალისა პირველად რომ შობს, ყვი-
რილი სიონის ასულისა; სულთქვამს
და ხელებს იშვერს: ვაიმე, სული მელე-
ვა მკვლელთა მოლოდინში.

თავი მეხუთე

1. მოიარეთ იერუსალიმის ქუჩები,
მიათვალ-მოათვალიერეთ და ეძებეთ
მის მოედნებზე—აბა, თუ იპოვნით სა-
მართლიან კაცს, ჭეშმარიტების მძებ-
ნელს! მაშინ მივუტევებდი იერუსა-
ლიმს. 2. თუმცა ცოცხალ არს უფა-
ლიო, ამბობენ, მაგრამ ცრუდ იფიცა-
ვენ. 3. უფალო, განა ჭეშმარიტების-
კენ არ არის მიქცეული შენი თვალები?
სცემ მათ მაგრამ არ სტკივათ; ანადგუ-
რებ მათ, მაგრამ ჭკუას არ სწავლობენ.
კლდესავით გაიმაგრეს სახე, არ სურთ
მოქცევა. 4. ვიფიქრე, ბეჩავნი არიან

ისინი, უგუნურნი-მეთქი; არ იციან უფ-
ლის გზა, თავიანთი ღვთის სამართალი.
5. წავალ წარჩინებულებთან და დაველ-
აპარაკები-მეთქი, მათ ეცოდინებათ
უფლის გზა, თავიანთი ღვთის სამართა-
ლი, მაგრამ მათაც დაულეწიათ უღელი
და დაუწყვეტიათ აპეურები. 6. ამიტო-
მაც დაგლეჯს მათ მაღნარის ლომი, უდ-
აბნოს მგელი გააჩანაგებს მათ; ვეფხვი
დაუდარაჯდება მათ ქალაქებს; ყოველი
გარეთ გამსვლელი დაიგლიჯება, რად-
გან გამრავლდა მათი ცოდვები, გახში-
რდა მათი განდგომილებანი. 7. როგორ
გაპატიებ ამას? შენმა შვილებმა მიმა-
ტოვეს მე და ცრუ ღმერთებს იფიცე-
ბენ. მე დავაფიცე ისინი, მათ კი გა-
რყვნილება დაიწყეს და საროსკიპოებს
მიაწყდნენ. 8. ატეხილი, ნასუქარი
ულაყები არიან, ერთიმეორის ცოლებს
შეეხვინებენ 9. როგორ დავტოვო და-
უსჯელნი, ამბობს უფალი, ასეთ ხალხს
როგორ არ მიაგოს სამაგიერო ჩემმა
სულმა? 10. დაუარეთ მის ვაზებს და
გაანადგურეთ, მაგრამ საბოლოოდ არ
მოსპოთ; ტოტები შეაჭერით, რადგან
უფლის არ არიან ისინი. 11. რადგან
ღალატით მიღალატეს ისრაელის სახლ-
მა და იუდას სახლმა, ამბობს უფ-
ალი. 12. უარყვეს უფალი და თქვეს:
აღარ არის იგი, და უბედურებაც
არ გვეწვევაო, არც მახვილს, არც
შიმშილს არ ვიხილავთო. 13. წი-
ნასწარმეტყველნი ქარით არიან სა-
ვსენიო, სიტყვა არ არისო მათში.
ასემც დაემართოთ მათ! 14. ამიტომაც
ასე ამბობს უფალი, ცაბაოთ ღმერთი,
იმის გამო, რომ ამ სიტყვებს ამბობთ,
აჰა, ცეცხლივით ჩაგიდებთ ბაგეებში
ჩემს სიტყვას. ეს ხალხი შეშა იქნება
და ცეცხლი შთანთქავს მათ. 15. აჰა,
მოგისევ ხალხს შორიდან, ისრაელის
სახლო, ამბობს უფალი, მაგარ ხალხს,
ძველისძველ ხალხს, ხალხს, რომლის
ენა არ გეცოდინება და ვერ გაიგებ,
რას ლაპარაკობს. 16. ღია სამარეა მისი
კაპარჭი, ძლიერი ვაჟკაცები არიან ყვე-
ლანი. 17. გადაჭამს შენს მოსავალს და
შენს პურს, შეჭამს შენს ვაჟებს და ას-
ულებს, შეჭამს შენს ცხვარ-ძროხას,
შეჭამს შენს ყურძენს ფიგვს, მა-
ხვილით დააქცევს შენ [illegible]
რომელთა იმედი გაქვს. 18. იმხანადაც
კი, ამბობს უფალი, არ მოგსპობთ სა-
ბოლოოდ. 19. როცა იკითხავენ: რის
სანაცვლოდ დაგვმართა ეს ყველაფერი
უფალმა, ჩვენმა ღმერთმაო, მიუგე:
როგორც მე მიმატოვეთ და ემორჩილე-
ბოდით უცხო ღმერთებს თქვენს საკუ-
თარ ქვეყანაში, ასევე დაემორჩილეთ
უცხო ღმერთებს იმ ქვეყანაში, რომ-
ელიც თქვენი არ იქნება. 20. გამოაცხა-
დეთ ეს იაკობის სახლში და მოასმენი-
ნეთ იუდეაში: 21. ისმინე ეს, ბრიყვო
და უგულო ხალხო, რომელსაც თვალ-
ები აქვს და ვერაფერს ხედავს, ყურები
ასხია და არაფერი ესმის! 22. არ გეში-
ნიათ ჩემი? ამბობს უფალი. როგორ არ
კანკალებთ ჩემს წინაშე, რომელმაც
ქვიშა ჩავდევი ზღვის სამნად, სამარა-
დისო საზღვრად, რომ მის იქით ვერ
გადავიდეს; ღელდება და ვერ ძლევს,
ბობოქრობენ ტალღები და მის იქით
ვერ გადადიან. 23. ამ ხალხს კი მოუ-
თოკავი გული აქვს; განდგნენ და წავი-
დნენ, 24. არ თქვეს გულში: გვეშინო-
დესო უფლის, ჩვენი ღვთისა, რომელიც
დროულად გვაძლევს წვიმას — შემო-
დგომისა და გაზაფხულის წვიმას, თავ-
თავის დროზე, და გვინახავს სამკალად
დადგენილ შვიდეულებს. 25. თქვენმა
უკეთმართობამ გაამრუდა ეს ყველა-
ფერი და თქვენმა ცოდვებმა მოგაკ-
ლოთ სიკეთე. 26. რადგან იპოვებიან
ჩემს ერში ბოროტეულნი, რომელნიც
ჩასაფრებულან ფრინველმჭერებივით,
დაუდგამთ ხაფანგები და ადამიანებს
იჭერენ. 27. როგორც გალიაა სავსე
ფრინველებით, ასევე მათი სახლებია
სავსე სიცრუითი. ასე გალაღდნენ ისინი
და გამდიდრდნენ. 28. გასუქდნენ, გადა-
იპოხნენ, ბოროტებაშიც კი დაწინაურ-
დნენ; სასამართლოში საქმეებს არ არ-
ჩევენ, ობლის საქმეს, რომ ეშველოს
რამე, უპოვართა სამართალს არ განა-
კითხავენ. 29. როგორ არ მოვთხოვო პა-
სუხი ამათ გამო? ამბობს უფალი, რო-

გორ არ მიაგოს ასეთ ხალხს სამაგიერო ჩემმა სულმა? 30. საშინელი და შემაძრწუნებელი ამბები ხდება ქვეყანაში. 31. წინასწარმეტყველნი წინასწარმეტყველებენ, მღვდლები ბატონობენ მათი მხარდაჭერით, ჩემს ერს კი მოსწონს ეს. მაგრამ რას იზამთ საბოლოოდ?

თავი მეექვსე

1. თავს უშველეთ, ბენიამინის ძენო, იერუსალიმიდან, ბუკი დააყვირეთ თეკოაყში და მომეცით ნიშანი ბეთ-ჰაქერემს, რადგან ჩრდილოეთიდან გამოჩნდა ბოროტება და დიდი უბედურება 2. ლამაზს და განაზებულს, მოვსპობ. სიონის ასულს. 3. მასთან მივლენ მწყემსები ჯოგებითურთ, კარვებს დასცემენ მის გარშემო, თავ-თავიანთ ნაკვეთებში დამწყესავენ. 4. განემზადეთ საბრძოლველად მის წინააღმდეგ, აღდექით და დავიძრათ შუადღისას! მაგრამ ვაი ჩვენს თავს! იწურება დღე, დაგრძელდა საღამოს ჩრდილები. 5. აღდექით და დავიძრათ ღამით, გავანადგუროთ მათი დარბაზები! 6. რადგან, ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: გაჩეხეთ ხე და დაახვავეთ იერუსალიმის ირგვლივ. უნდა დაისაჯოს ეს ქალაქი! სავსეა ძალადობით. 7. როგორც ჭაში გროვდება წყალი, ასე დაგროვდა მასში ბოროტება. ძალადობა და ძარცვა ისმის იქ, სნეულება და ჭრილობებია ჩემს წინაშე მუდამ. 8. ფრთხილად იყავი, იერუსალიმო, არ მიგატოვოს ჩემმა სულმა, არ გადაგაქციო უდაბნოდ, უკაცრიელ ქვეყნად! 9. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: მოიმცვრიონ ვენახივით ისრაელის ნატამალი! გაიწოდე ხელი, როგორც ყურძნის მკრეფავი იწვდის გოდრებისაკენ! 10. ვის ველაპარაკო და დავიმოწმო, რომ მისმინოს? აჰა, დაუცველი ყურები აქვთ და არ შეუძლიათ ყურის გდება. აჰა, საცინლად აუგდიათ უფლის სიტყვა, აღარ მოსწონთ. 11. ავსებული ვარ უფლის რისხვით, მეტის ატანა აღარ შემიძლია. გადმოანთხიე ქუჩაში ბავშვებზე და ჭაბუკთა გუნდზე. რადგან ქმარს ცოლითურთ შეიპყრობენ და ბერიკაცს ბანდაზმულთან ერთად. 12. სხვებს გადასცემ მათი სახლები, ყანები და ცოლები, როცა ხელს შევმართავ ამ ქვეყნის მკვიდრებზე, ამბობს უფალი. 13. რადგან პატარიდან დიდამდე ყველა მომხვეჭელია, წიანსწარმეტყველიდან მღვდლამდე ყველა ყალბისმქენელია. 14. ზერელედ მკურნალობენ ჩემი ერის ჭრილობებს, ამბობენ: მშვიდობაა, მშვიდობაა, მშვიდობა! თუმცა არ არის მშვიდობა. 15. განა თუ რცხვენიათ, სიბილწეს რომ ჩადიან? არა! სულაც არ რცხვენიათ, ამიტომაც დაეცემიან დაცემულთა შორის; წაიფორხილებენ, როცა დავსჯი მათ, ამბობს უფალი. 16. ასე ამბობს უფალი: დადექით გზებზე, მიმოიხედეთ და გამოიკითხეთ ძველი სავალი; რომლითაც აჯობებს, იმ გზით იარეთ და სულისთვის შვებას ჰპოვებთ. მათ კი თქვეს: არ ვივლითო. 17. მცველნი დაგიყენეთ და გითხარით: ბუკის ხმას უგდეთ-მეთქი ყური. მათ კი თქვეს: არ დავუგდებთო ყურს. 18. ამიტომაც ისმინეთ, ხალხებო! იცოდე, საზოგადოებავ, რა ხდება მათში. 19. ისმინე, მიწავ! აჰა, ბოროტებას მოვაწევ ამ ხალხზე, მათი განზრახვების ნაყოფს. რადგან ყურს არ უგდებენ ჩემს სიტყვებს და ჩემს რჯულს, და შეიძულეს. 20. რად მინდა საბადან მოტანილი საკმეველი და შორეული ქვეყნის ტკბილი ლერწამი? თქვენი აღსავლენი აღარ მეამება, თქვენი მსხვერპლი აღარ მეტკბობა. 21. ამიტომაც ასე ამბობს უფალი: აჰა, საბრკოლს დავუდებ წინ ჩემს ერს და წაიფორხილებენ მასზე მამები და შვილები ერთად, მეზობელი და მისი მოყვასი, და დაიღუპებიან. 22. ასე ამბობს უფალი: აჰა, მოვა ერი ჩრდილო ქვეყნიდან, დიდძალი ხალხი აღდგება ქვეყნის კიდეებიდან. 23. ისარი და ჰოროლი უჭირავთ ხელში, სასტიკნი არიან და შეუბრალებელნი; ზღვასავით ბობოქრობს მათი ხმა; ცხენებზე ამხედრებულან, როგორც ერთი კაცი; გამზადებულან შენს

წინააღმდეგ საბძოლველად, სიონის ასულო! 24. გვესმა მათი ამბავი და მოგვიდუნდა ხელები; შეგვიპყრო სატანჯველმა, როგორც მშობიარის ტკივილმა. 25. ნუ გახვალთ ველად, გზას ნუ დაადგებით, რადგან მტრის მახვილი შიშის ზარს სცემს ირგვლივ! 26. ჩემი ერის ასულო! შეირტყი ჯვალო და ნაცარი დაიყარე თავზე, გამართე გოდება მხოლოდშობილზე, მწარე გლოვა, რადგან ანაზდეულად დაგვეცემა შემმუსვრელი. 27. კოშკად დაგადგინე ჩემს ერში, ციხე-სიმაგრედ, რათა გცოდნოდა და გამოგეკვლია მათი გზები. 28. ყველანი ჯანყისთავები არიან, ამბის მიმტანნი, სპილენძი და რკინა, ყველანი წარწყმედილნი არიან. 29. ქშინავს საბერველი, ტყვია მთლიანად შთაინთქა ცეცხლში, მაგრამ ამაოდ გადაიდნო, რადგან ბოროტეულნი არ განცალკავებულან. 30. დაწუნებულ ვერცხლს დაარქმევენ მათ, რადგან დაიწუნა იესინი უფლმა.

თავი მეშვიდე

1. სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისგან თქმული: 2. დადექი უფლის სახლის კარიბჭესთან და გამოაცხადე იქ ეს სიტყვა, თქვი: ისმინე უფლის სიტყვა, მთელო იუდა, ვინც ამ კარიბჭეებით შემოდიხართ უფლის თაყვანის საცემად. 3. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: გამოისწორეთ თქვენი ზნე და საქციელი, რათა მტკიცეთ დაგასახლოთ ამ ადგილზე. 4. ნუ დაენდობით ცრუ სიტყვებს, რომ ამბობენ: უფლის ტაძარია, უფლის ტაძარია, უფლის ტაძარიაო აქ! 5. თუ გამოისწორებთ ზნესა და საქციელს, თუ სამართლიანად მოექცევით ერთმანეთს, 6. არ შეავიწროვებთ ხიზანს, ობოლსა და ქვრივს, არ დაღვრით უბრალო სისხლს ამ ადგილზე, არ გაჰყვებით უცხო ღმერთებს თქვენდა საზიანოდ, 7. მაშინ დაგასახლებთ ამ ადგილზე, ქვეყანაში, რომელიც მივეცი თქვენს მამა-პაპას უკუნითი უკუნისამდე. 8. თქვენ კი დანდობილიხართ ცრუ სიტყვებს, რომელთაც სარგებლობა არ მოაქვს. 9. ქურდობთ, [illegible] ლობით, ბოზობით, ცრუდ იფიცავთ, ბაალს უკმევთ, მისდევთ უცხო ღმერთებს, რომელთაც არც იცნობდით; 10. მერე კი მოდიხართ, დგებით ჩემს წინაშე ამ სახლში, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, და ამბობთ: გადავრჩითო, რათა კვლავ აკეთოთ ყველა ეს სისაძაგლე. 11. ავაზაკების ბუნაგი ხომ არ გგონიათ ეს სახლი, რომელიც ჩემი სახელით იწოდება? აჰა, მეც ვხედავ, რომ ასეა, ამბობს უფალი. 12. აბა, წადით ჩემს ადგილზე, სილოამში, სადაც თავდაპირველად დავამკვიდრე ჩემი სახელი, და ნახეთ, რა დავმართე მას ჩემი ერის, ისრაელის, უკეთურების გამო. 13. ახლა, რაკი ყველაფერს ამას სჩადიხართ, ამბობს უფალი, არ გესმით, რასაც დილიდან გელაპარაკებით, გეძახით და პასუხს არ მაგონებთ — 14. რაც სილოამს დავმართე, იმასვე დავმართებ ამ სახლს, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, რომელსაც ესავთ, და ამ ადგილს, რომელიც მოგეცით თქვენ და თქვენს მამა-პაპას. 15. მოგისვრით ჩემს თვალთაგან, როგორც ყველა შენი ძმა, ეფრემის მთელი მოდგმა მოვისროლე. 16. შენ კი, ნუ ილოცებ ამ ხალხისთვის, ნუ აღავლენ ლოცვა-ვედრებას, ნუ შემეხვეწები, რადგან არ მოგისმენ. 17. განა ვერ ხედავ, რას სჩადიან იუდას ქალაქებში და იერუსალიმის ქუჩებში? 18. შვილები შეშას აგროვებენ, მამები ცეცხლს ანთებენ, დედაკაცები ცომს ზელენ ცის დედოფლისთვის კოტორების 'გამოსაცხობად; საღვრელს უღვრიან უცხო ღმერთებს ჩემს გასაჯავრებლად. 19. განა მე მაჯავრებენ, ამბობს უფალი, უფრო თავის თავს არცხვენენ. 20. ამიტომაც, ასე თქვა უფალმა ღმერთმა, აჰა, გადმოინთხა ჩემი რისხვა და ბრაზი ამ ადგილზე, ადამიანზე და პირუტყვზე, მინდვრის ხეებზე და მიწის ნაყოფზე, აბრიალდება და არ ჩაქრება.

21. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: მიუმატეთ აღსავლენი სხვა საკლავს და ჭამეთ ხორცი. 22. რადგან არაფერი მითქვამს თქვენი მამა-პაპისთვის, არ მომითხოვია მათგან აღსავლენი და საკლავი, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე ისინი. 23. მხოლოდ ეს ვუბრძანე: გაიგონეთ ჩემი ხმა და მე ვიქნები თქვენი ღმერთი-მეთქი, ხოლო თქვენ ჩემი ერი იქნებით; იარეთ ყველა გზაზე, რომელსაც მიგასწავლით რათა სიკეთეს ეწიოთ-მეთქი. 24. არ გამიგონეს, ყური არ მათხოვეს, აჰყვნენ თავიანთ ზრახვებსა და ბოროტ გულისთქმას; უკან წავიდნენ და არა წინ. 25. იმ დღიდან, რაც თქვენი მამა-პაპა ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიდა, დღემდე გიგზავნით გამუდმებით ჩემს მსახურთ — წინასწარმეტყველებს. 26. მაგრამ არ მიგონებდნენ და ყურს არ მათხოვებდნენ, ჯიუტობდნენ და თავიანთ მამებზე უფრო უკეთესად იქცეოდნენ. 27. ეტყვი მათ ყველა ამ სიტყვას, მაგრამ არ მოგისმენენ; დაუძახებ და არ გაგაგონებენ. 28. უთხარი მათ: ეს არის ხალხი, რომელსაც უფლის, თავისი ღვთის ხმა არ ეყურება და ჭკუას არ სწავლობს. სიწრფელე გაქრა, წაერთვა მათ ბაგეებს. 29. თმა მოიკვეცე და გადაყარე; გლოვა გამართე ხმელგორებზე, რადგან უფალმა უარყო და მიატოვა მისგან შერისხული მოდგმა. 30. რადგან ბოროტებას სჩადიან იუდაელნი ჩემს თვალში, ამბობს უფალი; თავიანთი სიბილწეები შეიტანეს სახლში, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, რათა წაბილწონ. 31. ააშენეს თოფეთის საკერპო ბენ-ჰინომის ველზე, რათა თავიანთი ვაჟები და ასულები მსხვერპლად დასწვან, რაც არ მიბრძანებია მათთვის და ფიქრადაც არ მომსვლია. 32. ამიტომაც დადგება ჟამი, ამბობს უფალი და აღარ ერქმევა ამ ადგილს თოფეთი და ბენ-ჰინომის ველი, არამედ სასაკლაო ველი, თოფეთში დამარხავენ მკვდრებს უადგილობის გამო. 33. ამ ხალხის გვამები ცის ფრინველთა და ველის მხეცთა საჭიჭვნი გახდება, და არავინ იქნება მომგერიებელი. 34. გავაუქმებ იუდას ქალაქებში და იერუსალიმის ქუჩებში ხმას მხიარულებისას და ხმას სიხარულისას, ხმას სიძისას და ხმას პატარძლისას, რადგან გაუდაბურდება მთელი ქვეყანა.

თავი მერვე

1. იმხანად, ამბობს უფალი, ამოყრიან იუდას მეფეთა ძვლებს, მის მთავართა ძვლებს, მღვდელთა ძვლებს, წინასწარმეტყველთა ძვლებს და იერუსალიმის მკვიდრთა ძვლებს მათი საფლავებიდან; 2. და მიმოფანტავენ მზის, მთვარისა და ცის ვარსკვლავების წინაშე, რომლებიც უყვართ მათ, რომელთაც ემსახურებოდნენ, რომელთაც მისდევდნენ, რომელთაც ეკითხებოდნენ, რომელთაც თაყვანსცემდნენ. აღარ შეკრებენ და არ დამარხავენ — ნეხვივით ეყრებიან მიწის პირზე. 3. სიკვდილი სიცოცხლეზე უმჯობესი იქნება ყველა დანარჩომისთვის, ვინც კი გადარჩება ამ ბოროტი მოდგმიდან ყველა მხარეში, სადაც კი გავფანტე ისინი, ამბობს ცაბაოთ უფალი. 4. ეტყვი მათ: ასე ამბობს უფალი. განა ვინც დაცემულა, არ ამდგარა ან ვინც გაბრუნებულა, არ მობრუნებულა? 5. რატომ განდგა ეს ხალხი, იერუსალიმო, სამუდამო განდგომით? სიცრუეს ებღაუჭებიან და აღარ უნდათ მობრუნება. 6. ყური მივუგდე და ვუსმენდი, მაგრამ ასე არ ლაპარაკობენ; არავინ ინანიებს თავის ავკაცობას: ეს რა ჩავიდინეო. ყველა თავის სარბიელზე გარბის, ბრძოლაში შევარდნილი ცხენივით. 7. ყანჩამაც იცის ცაში თავისი დრო; გვრიტს, მერცხალსა და წეროს არ ეშლებათ მოფრენის ჟამი, ჩემმა ერმა კი არ იცის უფლის განგება. 8. როგორ ამბობთ: ბრძენები ვართ, რადგან უფლის რჯულიაო ჩვენთან? კეთილი. აჰა, სიცრუედ უქცევია იგი მწიგნობართა ცრუ კალამს! 9. თავი შეირცხვინეს ბრძენკაცებმა, დაიბნენ და გაიხლა-

რთნენ; აჰა, უარყვეს უფლის სიტყვები და რაღა სიბრძნე აქვთ? 10. ამიტომ მათი ცოლები ახვებს უნდა მივცე, მათი ყანები — ახალ პატრონებს, რადგან პატარიდან დიდამდე ყველა მომხვეჭელია, წინასწარმეტყველიდან მღვდლამდე ყველა ყალბისმქნელია. 11. ზერელედ მკურნალობენ ჩემი ასულის, ჩემი ერის, ჭრილობებს და გაჰყვირიან: მშვიდობა, მშვიდობაო! მაგრამ არ არის მშვიდობა. 12. განა თუ რცხვენიათ, საბილწეს რომ სჩადიან? არა! სულაც არ რცხვენიათ, არცკი წითლდებიან. ამიტომაც დაეცემიან დაცემულთა შორის, წაიფორთხილებენ, როცა დასჯი მათ, ამბობს უფალი. 13. პირწმინდად გავცლი მათ, ამბობს უფალი, ერთი მტევანიც არ შერჩება ვაზს და ლეღვი — ლეღვისხეს. დაჭკნება ფოთოლი და, რაც მივეცი მათ, ხელიდან წაუვათ. 14. რას ვუსხედვართ? თავი მოიყარეთ და წავიდეთ ციხე-ქალაქებში, რათა იქ დავიღუპოთ, რადგან უფალმა, ჩვენმა ღმერთმა გაგვწირა დასაღუპად; მოწამლული წყალი შეგვასვა, უფალს რომ შევცოდეთ. 15. ველით მშვიდობას, არ არის სიკეთე, განკურნებისა ჟამს — და, აჰა, საშინელება! 16. დანიდან ისმის მისი ცხენების ჭიხვინი; მისი მერნების თქარათქურისგან იძვრის მიწა; მოდიან, რომ შთანთქან მთელი ქვეყანა, ქალაქები და მათი მკვიდრნი. 17. აჰა, მოგისევთ მოუნუსხავ უნაყებს და დაგგესლავენ, ამბობს უფალი. 18. დამძალა ვარამმა, გული შემიღონა. 19. აჰა, მოთქვამს ჩემი ასული, ჩემი ერი, შორი ქვეყნიდან: ნუთუ აღარ არის უფალი სიონში? ნუთუ აღარ არის მისი მეუფე? რატომ გამაჯავრეს თავიანთი კერპებით, უცხოთა ამაოებებით? 20. მკის დრო გავიდა, გასრულდა ზაფხული, ჩვენთვის კი არ მოსულა ხსნა! 21. ჩემი ასულის, ჩემი ერის უბედურებამ გამაუბედურა, დავნაღვლიანდი, შიშმა შემიპყრო. 22. ნუთუ აღარ არის ბალსამონი გალაადში? ნუთუ აღარ არის იქ მკურნალი? რატომ არ უხორცდება ჭრილობა ჩემს ასულს, ჩემს ერს? 23. ოჰ, ნეტავ თავი წყლად მექცეს და თვალები — ცრემლის წყარონი! ღამ — და ღამ ვიტირებდი ჩემს დახოცილებს!

თავი მეცხრე

1. ნეტავი მქონდეს მოგზაურთა სადგური უდაბნოში! მივატოვებდი ჩემს ერს და გავშორდებოდი, რადგან ყველანი გარყვნილები არიან, მზაკვართა ხროვაა! 2. მშვილდივით მოუზიდავთ ენები, სიცრუე და არა სიმართლე ბატონობს ქვეყანაზე, ბოროტებიდან ბოროტებისკენ მიდიან და მე არ მცნობენ, ამბობს უფალი. 3. უფრთხილდით ერთმანეთს, ძმასაც ნუ ენდობით, რადგან ფეხს უდებენ ერთმანეთს ძმები და ცილს სწამებენ ერთმანეთს მეგობრები. 4. ერთმანეთს დასცინიან! სიმართლეს არ ლაპარაკობენ; ენას ტყუილის თქმა ასწავლეს, დაიქანცნენ თვალთმაქცობით. 5. სიცრუეში გიდგას ბინა; სიცრუე უშლის მათ ჩემს შეცნობას, ამბობს უფალი. 6. ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: აჰა, გადავადნობ მათ და გამოვცდი, რადგან სხვაგვარად როგორ მოვიქცე ჩემი ერის ასულისთვის? 7. წამახული ისარია მათი ენა, სიცრუეს ლაპარაკობს ბაგეებით. თავის მოყვასს მშვიდობას ეუბნება, გულში კი მახეს უგებს. 8. როგორ არ დავსაჯო ამისთვის, ამბობს უფალი? როგორ არ მივაგო სამაგიერო ასეთ ხალხს ჩემივე ხელით? 9. მთების გამო ავტეხავ ტირილსა და მოთქმას, უდაბნოს ქოხების გამო გლოვას, რადგან გადაიბუგენ და აღარავინ შეივლის იქ. აღარ ისმის საქონლის ხმა, ცის ფრინველიდან პირუტყვამდე ყველანი გადაიკარგნენ, წავიდნენ. 10. ნანგრევებად ვაქცევ იერუსალიმს, ტურების ბუნაგად, გავაუდაბურებ იუდას ქალაქებს, უმკვიდროდ დავტოვებ. 11. სად არის ბრძენი, რომ ამას მიხვდეს? ვისაც უფალი თავისი პირით დალაპარაკებია, ვისაც შეუძლია ამცნოს, რამ დაღუპა ეს ქვეყანა, რამ გადაბუგა უდაბნოსავით, სადაც კაციშვილი არ ჰაჰანებს? 12. ამბობს

უფალი: ეს იმის გამოა, რომ მიატოვეს ჩემი რჯული, რომელიც მათ მივეცი, არ გაიგონეს ჩემი ხმა და არ გაჰყვნენ მას. 13. აჰყვნენ თავიანთ გულისთქმას და ბაალებს, რომლებსაც მიაჩვია ისინი მათმა მამა-პაპამ. 14. ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, შევაჭმევ ამ ხალხს აბზინდას და შევასმევ მოწამლულ წყალს, 15. გავფანტავ ხალხებში, რომლებიც არასოდეს გაუგიათ არც მათ და არც მათ მამა-პაპას; მახვილს დავადევნებ უკან, ვიდრე საბოლოოდ არ მოვსპობ. 16. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: მოუხმეთ მოტირლებს, აქ მოვიდნენ. გაგზავნეთ დახელოვნებული ქალების მოსაყვანად, აქ მოვიდნენ. 17. იჩქარეთ და გამართონ ჩვენზე გლოვა, რომ თვალებიდან ცრემლები გადმოგვცვივდეს, წყალმა იდინოს წამწამებიდან. 18. რომ გლოვის ხმა ისმოდეს სიონიდან: როგორ გავნადგურდით! როგორ შევრცხვით, რომ მივატოვეთ ჩვენი ქვეყანა და დავაგდეთ ჩვენი სახლ-კარი! 19. აბა, ისმინეთ, ქალებო, უფლის სიტყვა! მიიღოს თქვენმა ყურმა მისი ბაგის წარმოთქვამი, ასწავლეთ თქვენს ასულებს გლოვა და ერთმანეთს — გოდება. 20. რადგან სარკმელებით შემოგვივიდა სიკვდილი, შემოდის დარბაზებში, რომ გაგვიწყვიტოს ბავშვები ქუჩებში და ჭაბუკები მოედნებზე. 21. თქვი: ასე ამბობს-თქო უფალი: გადაყრიან ადამიანთა გვამებს, როგორც ნეხვს ყანაში, როგორც ძნებს მომკალის უკან და არავინ იქნება შემგროვებელი. 22. ასე ამბობს უფალი: ნუ იკვეხნის ბრძენი თავის სიბრძნეს, ნუ იკვეხნის მდიდარი თავის სიმდიდრეს. 23. თუ დაიკვეხნის, დაიკვეხნოს, რომ გონიერია და მიცნობს, რომ უფალი ვარ, წყალობის, სამართლისა და სიმართლის მოქმედი ამ ქვეყანაზე. რადგან ეს მახარებს მე — ამბობს უფალი. 24. აჰა, მოვა დროება, ამბობს უფალი, როცა დავსჯი ყველა წინდაცვეთილს წინდაუცვეთელთან ერთად — 25. ეგვიპტეს, იუდას, ედომს, ყამონიანებს, მოაბს და ყველას, საფეთქელგაპარსულს უდაბნოს მკვიდრთ, რადგან ყველა ეროვნებანი წინდაუცვეთელია, მთელი ისრაელის სახლი კი გულით არის დაუცვეთელი.

თავი მეათე

1. ისმინე სიტყვა, რაც შენზე თქვა უფალმა, ისრაელის სახლო! 2. ასე თქვა უფალმა: ნუ გადაიღებთ სხვა ხალხთა ზნეს, ნუ შეგეშინდებათ ციური ნიშნებისა, როგორც სხვა ხალხებს ეშინიათ. 3. რადგან ადამიანთა კერპები არარაობაა, მხოლოდ ტყეში მოჭრილი ხეა იგი, დურგლის ნახელავი. 4. ვერცხლითა და ოქროთი დაფერილი, და ლურსმან-ჩაქუჩით დამაგრებული, რომ არ ირყე დეს. 5. ბოსტანში დადგმულ საფრთხობელასავით არიან, არ ლაპარაკობენ; ხელით დაატარებენ, რადგან სიარული არ შეუძლიათ. ნუ უფრთხით მათ, რადგან არც ბოროტება მოაქვთ, არც სიკეთე. 6. არავინ არის შენი მსგავსი, უფალო! დიდი ხარ, დიდია სიძლიერით შენი სახელი. 7. ვის არ შეეშინდება შენი, ხალხთა მეუფევ? შენ ერთს შეგშვენის ეს, რადგან არავინაა შენი მსგავსი ხალხთა ბრძენებს შორის და ყველა მათ სამეფოში. 8. ყველანი შეიშალნენ, გამოტვინდნენ. ხის კერპია მათი ჭკუისმასწავლებელი 9. თარშიშის ვერცხლით და უფაზის ოქროთი მოჭედილი, დურგლის ნახელავი, გამომდნობელის ხელიდან გამოსული; ლურჯი და მეწამული სამოსელი მოსავთ, ოსტატთა ხელით დამზადებული. 10. უფალი კი ჭეშმარიტი ღმერთია, ის არის ცოცხალი ღმერთი და მარადიული მეფე. მისი რისხვისგან ირყევა მიწა, ვერ უძლებენ მის წყრომას ხალხები. 11. ასე უთხარი მათ: ღმერთი, რომელსაც არ შეუქმნია ცა და ქვეყანა, აღიგვება ქვეყნიდან და ამ ცის ქვეშეთიდან. 12. ვინც თავისი ძალით შექმნა ქვეყანა, თავისი სიბრძნით დაამყარა სამყარო, განართხა ცანი თავისი გონებით, 13. მის ხმაზე ხმაურობენ

წყლები ცაში, ის კრებს ღრუბლებს ქვეყნის კიდეებიდან, ის წარმოშობს საწვიმრად ჭექა-ქუხილს, აგზავნის ქარს თავისი საგანძურიდან. 14. ცოდნისგან გაბრიყვდა ადამიანი, თავს ირცხვენს მდნობელი თავისი კერპით, რადგან სიცრუეა მისი ქანდაკი, სული არ უდგას. 15. არარაობაა ისინი, დაცინვის საგანი, აღიგვებიან მათი განკითხვის დღეს. 16. ასეთი არ არის იაკობის წილხვედრი, რადგან მისი ნასახია ყველაფერი და ისრაელი მისი სამკვიდროს შტოა. ცაბაოთ უფალია მისი სახელი. 17. აკრიფე მიწიდან შენი ბარგი, ციხე-ქალაქში მცხოვრებო! 18. რადგან ასე თქვა უფალმა: აჰა, შურდულივით მოვისვრი ამჯერად ქვეყნის მცხოვრებთ; შევავიწროვებ ისე, რომ გაიჭყლიტონ. 19. ვაი, უბედურო თავო, უკურნებელო წყლულო! მეგონა, გადავიტანდი ამ სნეულებას. 20. დაცარიელდა ჩემი კარავი, დაწყვეტილია ყველა თოკი, შვილები წამივიდნენ; აღარავინ მყავს კარვის გამშლელი და ფარდების გამჭიმავი. 21. რადგან შეიშალნენ მწყემსები და აღარ ეკითხებიან უფალს, ამიტომაც უჭკუოდ იქცევიან და მთელი სამწყსო დაეფანტათ. 22. აჰა, ხმა მოდის და მიწა იძვრის ჩრდილოეთიდან, რომ უდაბნოდ და ტურების ბუნაგად აქციოს იუდას ქალაქები. 23. ვიცი, უფალო, რომ ადამიანის ნებაზე არ არის მისი გზა, რომ მიმავალი კაცი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს. 24. დამსაჯე, უფალო, ოღონდ სიმართლით და არა რისხვით, რომ არარაობად არ მაქციო. 25. გადმოანთხიე შენი რისხვა ხალხებზე, რომლებიც არ გცნობენ და ტომებზე, რომლებიც არ უხმობენ შენს სახელს, რადგან მათ შეჭამეს იაკობი, შეჭამეს იგი, ბოლო მოუღეს მას და გააპარტახეს მისი სადგომები.

თავი მეთერთმეტე

1. სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისგან ნათქვამი: 2. ისმინეთ ამ აღთქმის სიტყვები და გამოუცხადე იუდას ხალხებს და იერუსალიმს. 3. უთხარი მათ, ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: წყეულია იყოს კაცი, ვინც არ გაიგონებს ამ აღთქმის სიტყვებს, 4. რომელიც მივეცი თქვენს მამა-პაპას, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე, რკინის ქურიდან, ვუთხარი: გაიგონეთ ჩემი ხმა და ყველაფერი შეასრულეთ რასაც გიბრძანებთ, მაშინ იქნებით ჩემი ერი და მე თქვენი ღმერთი ვიქნები. 5. რათა შესრულდეს ფიცი, რომელიც დავუდევი თქვენს მამა-პაპას, რომ მივცემდი მათ ქვეყანას, რძითა და თაფლით მდინარს, როგორც დღეს არის. 6. მითხრა უფალმა: გამოაცხადე ეს სიტყვები იუდას ქალაქებში და იერუსალიმის ქუჩებში, უთხარი: გაიგონეთ ამ აღთქმის სიტყვები და შეასრულეთ ისინი. 7. რადგან ვაფრთხილებდი თქვენს მამა-პაპას, როცა გამომყავდა ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან, და დღემდეც განუწყვეტლივ გაფრთხილებ: გაიგონეთ ჩემი ხმა! 8. მაგრამ არ გაიგონეს, ყური არ მომაპყრეს, ყველა თავის ბოროტ გულისთქმას აჰყვა, და მეც მოვაწიე მათზე სიტყვები ამ აღთქმისა, რომლის შესრულება ვუბრძანე მათ და არ შეასრულეს. 9. მითხრა უფალმა: შეთქმულნი არიან იუდეველნი და იერუსალიმის მკვიდრნი. 10. კვლავ მიუბრუნდნენ უკეთურებებს მათი მამა-პაპისა, რომელთაც არ სურდათ ჩემი სიტყვების გაგონება; წაჰყვნენ სხვა ღმერთებს თაყვანის საცემად. დაარღვიეს ისრაელის სახლმა და იუდას სახლმა ჩემი აღთქმა, რომელიც მივეცი მათ მამა-პაპას. 11. ამიტომ ასე ამბობს უფალი: აჰა, დავატეხ მათ გასაჭირს, რომელსაც თავს ვერ დააღწევენ; შემომღაღადებენ, მაგრამ არ მოვუსმენ. 12. წავლენ იუდას ქალაქები და იერუსალიმის მკვიდრნი და შეჰღაღადებენ ღმერთებს, რომელთაც უკმევენ, მაგრამ ისინი ვერ იხსნიან მათ გასაჭირის ჟამს. 13. რადგან რამდენი ქალაქიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქვს, იმდენი ღმერთი გყავს, იუდავ! რამდენი ქუჩაც არის იერუსალიმში, იმდენი სამარცხვინო სამსხვერპლო გაქვს აღმართული, ბაალის შესაბოლებელი სამსხვერპლო. 14. ნუ ილოცავ ამ ხალხისთვის, ნუ აღავლენ მათთვის ლოცვა-ვედრებას, რადგან არ გავიგონებ მათ ღაღადისს ჩემდამი, როცა გასაჭირში იქნებიან. 15. რა უნდა ჩემს სატრფოს ჩემს სახლში, როცა ამდენი უკეთურება აქვს ჩადენილი? განა უბედურებას აგაშორებს სამსხვერპლო ხორცი, ბოროტებას რომ სჩადიხარ და ხარობ? 16. ამწვანებული, მშვენიერი, ნაყოფსავსე ზეთისხილი გიწოდა სახელად უფალმა, მაგრამ დიდი გრგვინვის ხმაზე ცეცხლი წაეკიდა და დაუცვივდა რტოები. 17. ცაბაოთ უფალმა, შენმა დამნერგავმა, უბედურება გიწინასწარმეტყველა ისრაელის სახლის და იუდას სახლის ბოროტების წილ, რომელსაც სჩადიოდნენ ჩემს გასაჯავრებლად, როცა ბაალს უკმევდნენ. 18. უფალმა მაცოდინა და ვიცი, მაშინ დამანახვა მათი საქმეები. 19. უბიწო კრავივით მივყავდი დასაკლავად, მე კი არ ვიცოდი, რას მიპირებდნენ: მოვსპოთ ხე, ვიდრე ნედლიაო, ამოვძირკვოთ ცოცხალთა ქვეყნიდან, რომ აღარ იხსენიებოდეს მისი სახელი. 20. ცაბაოთ უფალო, მართალო მსაჯულო, გულთამხილავო, მომასწარი შენს შურისძიებას მათზე, რადგან ჩემი საქმე შენთვის მომინდვია. 21. ამიტომ ასე ამბობს უფალი ყანათოთის ხალხზე, მოკვლას რომ გიპირებს და გეუბნება: ნუ წინასწარმეტყველებ უფლის სახელით, თორემ ჩვენი ხელით მოკვდებიო. 22. ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ჰა, დავსჯი მათ. ჭაბუკები მახვილით გაწყდებიან, მათი ვაჟები და ასულები შიმშილით დაიხოცებიან. 23. არავინ დარჩება მათგან, რადგან უბედურებას მოვუტან ყანათოთის ხალხს, როცა მათი განკითხვის წელიწადი დადგება.

თავი მეთორმეტე

1. მართალი იქნები, უფალო, როცა დავავ დაგიწყებ. მაინც მოგახსენებ სარჩელს: რატომ წყალობს ბედი ბოროტმოქმედს, რატომ არიან უზრუნველყოფილად მატყუარები? 2. შენ დანერგე ისინი და გაიდგეს კიდეც ფესვი, ნაყოფიც გამოიღეს; მათ ბაგეებთან ახლოსა ხარ, მაგრამ შორსა ხარ მათი ზრახვებიდან. 3. მაგრამ მე გიცნობ, უფალო, მხედავ და გამოცდილი გყავს ჩემი გული. ცხვარივით გარეკე ისინი დასაკლავად და ნიშანი დაადე დახოცვის დღისათვის. 4. როდემდის უნდა გლოვობდეს მიწა და ხმებოდეს მინდვრის ბალახი? პირუტყვი და ფრინველი იღუპება მიწის მკვიდრთა უკეთურების გამო, რომ ამბობენ, ჩვენს ბოლოს ვერ ხედავსო. 5. თუ ფეხით სირბილი გქანცავს, როგორ გაეჯიბრები ცხენებს? თუ მშვიდობიან ქვეყანაში უიმედოდ ხარ, რა გეშველება, როცა იორდანე ადიდდება? 6. რადგან შენი ძმებიცა და მამაშენის სახლიც, გღალატობენ. ისინიც კი გისევენ ბრბოს. ნუ ერწმუნები მათ, თუნდაც სასიკეთოდ გელაპარაკებოდნენ. 7. მივატოვე ჩემი სახლი, დავაგდე ჩემი სამკვიდრო, ჩემი სულზე უტკბესი მის მტრებს ჩავუგდე ხელში. 8. ჩემი სამკვიდრო მაღნარის ლომივით გახდა; შემომღრიალებს რადგან შევიძულე. 9. ჭრელი ონავარი ფრინველია ჩემი სამკვიდრო, ონავარი ფრინველები შემოადგენ ირგვლივ, წადით, შეყარეთ გარეული მხეცები, მოიყვანეთ და შეაჭმევინეთ იგი. 10. უამრავმა მწყემსმა გაანადგურა ჩემი ვენახი, გათელეს ჩემი ყანა, ჩემი ნანინანატრი ყანა გატიალებულ უდაბნოდ აქციეს. 11. გაატიალეს და შემომტირის გატიალებული; მთელი ქვეყანა გატიალდა, მაგრამ არავინაა გულშემატკივარი. 12. უდაბნოს ყველა გორაკს შეესიენ ავაზაკები, რადგან უფლის მახვილი ჭამს ყველაფერს ქვეყნის კიდიდან ქვეყნის კიდემდე. არც ერთ ხორციელს არ ექნება მშვი-

დობა. 13. დათესეს ხორბალი და ეკალი მოიმკეს; დაშვრნენ და სარგებელი ვერ ნახეს. გრცხვენოდეთ ამ თქვენი მოსავლისა — უფლის რისხვისა. 14. ასე ამბობს უფალი: ყველა ჩემს ბოროტ მეზობელს, რომელთაც ხელჰყვეს სამკვიდრო, ჩემს ერს რომ დავუმკვიდრე, წარვხოცავ მათი ქვეყნიდან, და იუდას სახლსაც წარვხოცავ მათთან ერთად. 15. წარვხოცავ და მერე კვლავ შევიწყალებ, თავ-თავის სამკვიდროში და თავ-თავის ქვეყანაში დავაბრუნებ ყველას. 16. თუ ისწავლიან ჩემი ერის გზას, რომ დაიფიცონ ჩემი სახელი — ცოცხალ არს უფალი, როგორც მათ ასწავლეს ჩემს ერს ბაალის ფიცი, ისინიც აშენდებიან ჩემს ერთად ერთად. 17. მაგრამ თუ არაფერს გაიგონებენ, სრულიად ამოვძირკვავ ამ ხალხს და გავანადგურებ, ამბობს უფალი.

თავი მეცამეტე

1. ასე მითხრა უფალმა: წადი, იყიდე ტილოს სარტყელი და წელზე შემოირტყი, წყალში არ ჩააგდო. 2. ვიყიდე სარტყელი, უფლის სიტყვისამებრ, და შემოვირტყი წელზე. 3. მეორეგზის იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 4. აიღე სარტყელი, რომელიც იყიდე და წელზე გაქვს, ადექი, წადი ფერათს და დამალე იქ, კლდის ნაპრალში. 5. წავედი და დავმალე იგი ფერათში, როგორც უფალმა მიბრძანა. 6. გამოხდა ხანი მრავალი და მითხრა უფალმა: ადექი, წადი ფერათს და აიღე იქიდან სარტყელი, რომლის დამალვა მე გიბრძანე. 7. წავედი ფერათს, გავთხარე და ამოვიღე სარტყელი იმ ადგილიდან, სადაც დამალული მქონდა. აჰა დამპალიყო სარტყელი, აღარაფრად ვარგოდა. 8. იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 9. ასე ამბობს უფალი: ასევე ფუჭად ვაქცევ იუდას მედიდურობას და იერუსალიმის უზომო ამპარტავნობას. 10. ეს ბოროტი ხალხი, რომელსაც არ უნდა ჩემი სიტყვის გაგონება, აჰყოლია თავის გულისთქმას და მისდევს სხვა ღმერთებს, რომ ემსახუროს და თაყვანისცეს მათ, დაემსგავსება ამ სარტყელს, რომელიც არაფრად აღარ ვარგა. 11. რადგან როგორც კაცის წელზეა მიკრული სარტყელი, ასე მივიკარი მე ისრაელის მთელი სახლი და იუდას მთელი სახლი, ამბობს უფალი, რათა ქცეულიყვნენ ჩემს ერად, სახელად და დიდებად, და მშვენებად. მაგრამ არ ისმინეს. 12. უთხარი მათ ეს სიტყვა: ასე თქვა უფალმა, ისრაელის ღმერთმა: ყველა ტიკი ღვინით ივსება. გეტყვიან: განა არ ვიცით, რომ ღვინით ივსება ყველა ტიკი? 13. უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი: აჰა, დათრობამდე ავავსებ ამ ქვეყნის ყველა მკვიდრს, მეფეებს, რომელნიც დავითის ტახტზე სხედან, მღვდლებს, წინასწარმეტყველებს და იერუსალიმის ყველა მკვიდრს, 14. ერთმანეთზე შევაჭყლეტ მამებსა და შვილებს, ამბობს უფალი. არ შევიწყალებ, არ შევიბრალებ და არ დავინდობ დაღუპვისგან. 15. ისმინეთ და ყურადიღეთ, ნუ გამედიდურდებით, რადგან უფალი ლაპარაკობს. 16. მიაგეთ პატივი უფალს, თქვენს ღმერთს, ვიდრე არ ჩამოუბნელებია, ვიდრე არ წაფორხილებულხართ მწუხრის მთებზე. სინათლის იმედი გექნებათ, მაგრამ წყვდიადად გადააქცევს, სიბნელედ შეცვლის. 17. თუ ამას არ გაიგონებთ, იდუმალ იტირებს ჩემი სული თქვენი სიჯიუტის გამო, მწარედ აქვითინდება, ცრემლები წასკდება ჩემს თვალებს, რადგან ტყვედ წაიხამენ უფლის სამწყსოს. 18. უთხარი მეფეს და დედოფალს: ჩამოდით ტახტიდან და ძირს დასხედით, რადგან მოგეხადათ თქვენი მშვენიერი გვირგვინი. 19. სამხრეთის ქალაქები ჩაკეტილია და არავინაა გამღები. განდევნილია მთელი იუდა, პირწმინდად განდევნილი. 20. აახილეთ თვალი და შეხედეთ ჩრდილოეთიდან მომავალთ. სად არის სამწყსო, შენ რომ ჩაგაბარეს, შენი მშვენიერი ფა-

რა? 21. რას იტყვი, როცა მოგთხოვენ პასუხს? შენ თავად ასწავლე მათ, როგორ ებატონათ შენზე. განა კრუნჩხვები არ გაგტანჯავს მშობიარე ქალივით? 22. იტყვი გულში: რატომ მეწია ყველაფერი? დიდი დანაშაულის გამოა, რომ გაგშიშვლებია კალთები და ქუსლები გამოგჩენია. 23. თუ შეიცვლის ზანგი თავის კანს და ვეფხვი თავის აჭრელებულ ბეწვს? თქვენც სიბოროტეს დაჩვეულნი, თუ შეძლებდით სიკეთის ქმნას? 24. გავანიავებ მათ ბზესავით უდაბნოს ქარში. 25. ეს არის შენი წილი, ეს ხვედრი გეკუთვნის ჩემგან, ამბობს უფალი, რაკი დამივიწყე და სიცრუის იმედი გქონდა. 26. მეც აგიწევ კალთებს პირისახემდე და გამოჩნდება შენი სირცხვილი, 27. შენი გარყვნილება, ავხორცობა, და ბილწი ზრახვები. ველის ბორცვებზე დავინახე შენი სიბილწენი. ვაი შენ იერუსალიმო! ნუთუ აღარ გასუფთავდები? როდემდის?

თავი მეთოთხმეტე

1. უფლის სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ გვალვის გამო. 2. გლოვობს იუდა, ჩაკვდნენ მისი ჭიშკრები, თავი ჩაქინდრეს; იერუსალიმი ხმამაღლა კივის. 3. დიდებულნი წყალზე გზავნიან თავიანთ ყმებს, მიდიან ჭებთან და წყალს ვერ პოულობენ. ცარიელი ჭურჭლებით ბრუნდებიან უკან გაწბილებულნი, სირცხვილისაგან თავს იბურავენ. 4. დასკდა მიწა, რადგან წვიმა არ მოსულა ქვეყანაში; დაირცხვინეს მიწისმუშაკებმა, თავი დაიბურეს. 5. შველმაც კი მიაგდო ნუკრი, ველზე რომ დაბადა, რადგან ბალახი აღარ იზრდება 6. გარეული ვირთხები შემდგარან ბორცვზე და ჰაერს ყლაპავენ ტურებივით; თვალები დაევსოთ, რადგან აღარ არის ბალახი. 7. თუმცა ჩვენი უკეთურებანი გვამხილებენ, უფალო, შენი სახელის გულისთვის მაინც ჰყავი წყალობა! უზომოა ჩვენი განდგომილება, შევცოდეთ შენს წინაშე. 8. ისრაელის სასოვ და მხსნელო გასაჭირში! რადა ხარ მდგმურივით ამ ქვეყანაში, მგზავრივით, ღამეს გასათევად რომ გაჩერებულა? 9. რადა ხარ, როგორც კაცი გაოგნებული, როგორც გმირი, რომელსაც შველა არ შეუძლია. შენ ხომ ჩვენს შორისა ხარ, უფალო? ჩვენ ხომ შენი სახელით ვიწოდებით, ნუ მიგვატოვებ! 10. ასე ამბობს უფალი ამ ხალხზე: რაკი უყვარდათ ხეტიალი და ფეხებს არ ასვენებდნენ, უფალმაც არ შეიტკბო ისინი; ახლა იხსენებს მათ უკეთურებას და სჯის ცოდვებისათვის. 11. მითხრა უფალმა: შევცოდეთ შენს წინაშე ნუ ილოცებ ამ ხალხისთვის მის სასიკეთოდ. 12. შეუდგებიან მარხვას, მაგრამ მე არ მოვისმენ მათ ვედრებას. მომიტანენ აღსავლენს და შესაწირავს, მაინც არ შევიტკბობ მათ, რადგან მახვილით, შიმშილით და შავი ჭირით ვაპირებ მათ ამოწყვეტას. 13. ვთქვი: ეჰა, უფალო ღმერთო, წინასწარმეტყველნი ეუბნებიან მათ: არ იხილავთ მახვილს და არ მოესწრებითო შიმშილობას; მტკიცე მშვიდობას მოგანიჭებთო ამ ადგილზე. 14. მითხრა უფალმა: სიცრუეა რასაც წინასწარმეტყველნი ჩემი სახელით წინასწარმეტყველებენ. მე არ გამომიგზავნია, არ დამირიგებია ისინი, არ მილაპარაკნია მათთან. ცრუ ხილვებს, მისნობას, სიყალბეს და თავიანთი გულის გამონაგონს წინასწარმეტყველებენ ისინი. 15. ამიტომ ასე ამბობს უფალი წინასწარმეტყველებზე: წინასწარმეტყველებენ ჩემი სახელით, თუმცა მე არ გამომიგზავნია ისინი; ამბობენ, მახვილი და შიმშილობა არ იქნებაო ამ ქვეყანაში, მაგრამ თავად ეს წინასწარმეტყველნი გაწყდებიან მახვილითა და შიმშილით. 16. ის ხალხიც, რომელსაც ისინი უწინასწარმეტყველებენ, შიმშილისა და მახვილის მსხვერპლი გახდება და იერუსალიმის ქუჩებში დაიყრება. დამმარხველიც არ ეყოლებათ მათ, არც მათ ცოლებს, არც მათ ვაჟებს, არც მათ ასულებს. მათ ბორო-

ტებას მათვე გადავანთხევ თავზე. 17. უთხარი მათ ეს სიტყვა: ღვარეთ ცრემლები, ჩემო თვალებო, დღითა და ღამით, განუწყვეტლივ! რადგან უბედურება დაატყდა თავზე ქალწულს, ასულს ჩემი ერისა, წყლული სჯირს ძალზე მძიმე! 18. გავდივართ ველად და, აჰა — მახვილით განგმირულნი! შევდივარ ქალაქში და, აჰა — შიმღით დახოცილნი! წინასწარმეტყველნიც, მღვდელიც კი უგონოდ მიმოდის ქვეყნად. 19. ნუთუ საბოლოოდ შეიძულე იუდა? ნუთუ შეიზიზღა შენმა სულმა სიონი? რატომ დაგვლახვრე ისე, რომ ველარ ვიკურნებით? მშვიდობის იმედი გვაქვს და არ ჩანს სიკეთე; ველით განკურნების ჟამს და, აჰა — საშინელება! 20. ვაღიარებ, უფალო ჩვენს უგუნურებებს, ჩვენი მამა-პაპის დანაშაულს, რადგან ცოდვილნი ვართ შენს წინაშე. 21. ნუ შეგვიძულებ, შენი სახელის გულისათვის, ნუ დაამდაბლებ შენი დიდების ტახტს. გაიხსენე, ნუ დაარღვევ შენს აღთქმას ჩვენთან. 22. თუ არის ხალხთა კერპებს შორის რომელიმე წვიმის მომყვანი? ან იქნებ თავისთავად იძლევა ცა წვიმას? ეს ხომ შენა ხარ, უფალო, ჩვენო ღმერთო? შენ გესავთ, რადგან შენი შექმნილია ეს ყოველივე.

თავი მეთხუთმეტე

1. მითხრა უფალმა: მოსე და სამუელიც რომ წარსდგნენ ჩემს წინაშე, მაინც არ მომიბრუნდება გული ამ ხალხზე. გაყარე ჩემგან, წავიდნენ. 2. თუ მკითხეს: სად წავიდეთო? მიუგე: ასე თქვა უფალმა: ვისაც შავი ჭირი უწერია — შავი ჭირისკენ, ვისაც მახვილი — მახვილისაკენ, ვისაც შიმშილი — საშიმშილოდ, ვისაც ტყვეობა ტყვეობაში. 3. მოვუვლენ მათ ოთხ რამეს, ამბობს უფალი: მახვილს — დასახოცად, ძაღლებს — დასაგლეჯად, ცის ფრინველებს და მიწის მხეცებს — შესაჭმელად და გასანადგურებლად. 4. საფრთხობელად გავხდი მათ მიწის ყველა სამეფოსთვის იუდას მეფის, მენაშე ხიზკიას ძის გამო, რაც მან ჩაიდინა იერუსალიმში. 5. რადგან ვის შეებრალები, იერუსალიმო? ვის დაენანები? ვინ მოტრიალდება, რომ იკითხოს შენი ამბავი? 6. შენ მიმატოვე, მე, ამბობს უფალი, უკან გაბრუნდი. ამიტომაც ხელს მოგიღერებ და დაგღუპავ. დამღალა შეწყალებამ. 7. გავანიავე ისინი სანიავებლით ქვეყნის კარიბჭეთა მიღმა; ძირიანად ამოვაგდე, გავანადგურე ჩემი ერი, რადგან არ მოიქცნენ თავიანთი გზიდან. 8. ზღვის ქვიშასავით გამიმრავლდნენ მისი ქვრივები; მივუსიე ჭაბუკის დედას შუადღის ამაოხრებელი უეცრად დავატეხე მათ შიში და ზარი. 9. ღონემიხდილია შვიდის მშობელი, სულს ღაფავს, შუადღისას ჩაესვენა მისი მზე; შერცხვენილია და გაწბილებულია დანარჩენებს მახვილს მივცემ მათი მტრის წინაშე, ამბობს უფალი. 10. ვაიმე, დედაჩემო, მთელი ქვეყნის მბრალდებელად და მოდავედ რომ გიშობივარ! არც გამისესხებია და არცვის უსესხებია ჩემგან, და მაინც ყველანი მე მწყევლიან. 11. ამბობს უფალი: სასიკეთოდ რომ არ გამეთავისუფლებინე, არც მტრებს მოგისევდი სიმძიმილის და გასაჭირის ჟამს. 12. რას დააკლებს რკინა ჩრდილოეთის რკინას და სპილენძს? 13. შენს დოვლათს და განძეულობას, რაც შენს საზღვრებშია? უსასყიდლოდ დავატაცებინებ ყველა შენი ცოდვის გამო. 14. შენს მტრებს გავატან ქვეყანაში, რომელიც შენ არ იცი; რადგან ჩემი რისხვით ანთებული ცეცხლი თქვენ შემოგენთებათ. 15. შენ იცი, უფალო, გამიხსენე და მომხედე, გაუსწორდი ჩემს მდევრებს. ნუ დამღუპავს შენი სულგრძელობა; იცოდე, შენი გულისათვის ვითმენ დამცირებას. 16. ნაპოვნია შენი სიტყვები და მე ვჭამე ისინი; შვება და გულის სიხარული იყო ჩემთვის შენი სიტყვა, რადგან შენი სახელით ვიწოდები, უფალო, ცაბაოთ

ღმერთო. 17. ლაზღანდარებში არ ვმჯდარვარ და არ გავლაღებულვარ; ცალკე ვიჯექი შენს ხელქვეშ, რადგან ამავსე ბრაზით. 18. ამდენხანს რად გასტანა ჩემმა სენმა? რატომ გამიარჯლდა ჭრილობა და არ იკურნება? მატყუარა ხევი ხარ ჩემთვის, წყალგამშრალი. 19. ამიტომ ასე ამბობს უფალი: თუ შეინანებ, მოგაბრუნებ, რომ დადგე ჩემს წინაშე; თუ ძვირფასიანს გამოარჩევ უფასურისაგან, ჩემს ბაგესავით იქნები. ისინი მობრუნდნენ შენკენ, შენ არ მიუბრუნდე მათ. 20. დაგაყენებ ამ ხალხის წინ სპილენძის მაგარ კედლად; შეგებრძოლებიან, მაგრამ ვერ გძლევენ, რადგან შენთან ვიქნები, რომ გიხსნა და დაგიფარო, ამბობს უფალი. 21. დაგიფარავ ბოროტმოქმედთაგან და დაგიხსნი უწყალოთა ხელიდან.

თავი მეთექვსმეტე

1. იყო უფლის სიტყვა, ჩემს მომართ ნათქვამი: 2. ნუ მოიყვან ცოლს ნუ იყოლიებ ვაჟებს და ასულებს ამ ადგილზე. 3. რადგან ასე ამბობს უფალი ვაჟებზე და ასულებზე, რომლებიც ამ ადგილზე დაიბადებიან, დედებზე, რომლებიც მათ შობენ და მამებზე, რომლებიც მათ ჩასახავენ ამ ქვეყანაში, 4. საზარელი სიკვდილით დაიხოცებიან, დაუტირებელნი და დაუმარხავნი ნეხვივით ეყრებიან მიწაზე. მახვილითა და შიმშილით ამოწყდებიან და მათი გვამები ცის ფრინველთა და მიწის მხეცთა კერძი გახდება. 5. რადგან ასე ამბობს უფალი: ნუ შეხვალ მგლოვიარე სახლში, ნუ წახვალ მათ სატირალზე მისასამძიმრებლად, რადგან ჩემი მშვიდობა წავართვი ამ ხალხს, ამბობს უფალი, ჩემი მადლი და თანაგრძნობა. 6. დაიხოცებიან დიდნი და მცირენი ამ ქვეყანაში, არავინ დამარხავს მათ და არც დაიტირებს, არავინ ჩამოიხოკავს სახეს და მათთვის თავს არ გადაიპარსავს. 7. არავინ გატეხავს პურს ჭირისუფლის სანუგეშებლად, არავინ შეასმევს მათ სანუგეშებელ თასს მამის და დედის გამო. 8. არ წახვიდე ლხინის სახლში მათან ერთად დასაჯდომად სმად და ჭამად. 9. რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა გავაუქმებ ამ ადგილას თქვენს თვალწინ და თქვენს მოსწრებაში — ხმას შვებისას და ხმას მხიარულებისას, ხმას სიძისას და ხმას პატარძლისას. 10. როცა იქნება და გამოვუცხადებ ამ ხალხს ყველა ამ სიტყვას და შეგეკითხებიან რისთვის გვიპირებს უფალი ამ დიდ უბედურებას? რა დანაშაული გვაქვს, რა შევცოდეთ ჩვენს უფალ ღმერთსო? 11. უპასუხე: იმისთვის, რომ მიმატოვა თქვენმა მამა-პაპამ, ამბობს უფალი, წაყვნენ უცხო ღმერთებს, ემსახურებოდნენ და თაყვანს სცემდნენ მათ. მიმატოვეს და ჩემი რჯულიც დაივიწყეს. 12. თქვენ კი თქვენს მამა-პაპას გადააჭარბეთ ბოროტებაში, აჰყოლიხართ ბოროტ გულისთქმას და ყურს არ მიგდებთ. 13. ამიტომაც გაგაგდებთ ამ ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში, რომელსაც არ იცნობთ და არც თქვენი მამა-პაპა იცნობდა, რათა დღედაღამე ემსახუროთ იქ უცხო ღმერთებს, რადგან შეუბრალებელი ვიქნები თქვენს მიმართ. 14. აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, როცა აღარ იტყვიან: ვფიცავ უფალს, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანა ისრაელიანები. 15. არამედ ვფიცავ უფალს, რომელმაც გამოიყვანა ისრაელიანები ჩრდილოეთის ქვეყნიდან, და ყველა ქვეყნიდან, სადაც კი განდევნილი ჰყავდა ისინი; რადგან დავაბრუნებ მათ თავიანთ მიწაზე, რომელიც მათ მამა-პაპას მივეცი. 16. აჰა, გამოვგზავნი უამრავ მეთევზეს, ამბობს უფალი, მათ დასაჭერად. მერე გამოვგზავნი ურიცხვ მონადირეს და ჩამორეკავენ მათ ყველა მთიდან და ყველა გორაკიდან, კლდის ნაპრალებიდან. 17. რადგან თვალი მიჭირავს ყველა მათ გზაზე, ვერ დამემალებიან

და არც მათი დანაშაული დაიფარება ჩემს თვალთაგან. 18. ჯერ ორმაგად ვაზღვევინებ მათ მათი . დანაშაულისა და ცოდვების გამო. რომ წარყვნეს ჩემი მიწა, საკერპო გვამებით და სისაძაგლებით რომ აავსეს ჩემი სამკვიდრო. 19. უფალო,ჩემო ძალავ და ძლიერებავ, ჩემო თავშესაფარო გასაჭირის ჟამს, შენთან მოვლენ ხალხები ქვეყნის კიდეებიდან და იტყვიან: მხოლოდ სიცრუე დაიმკვიდრა ჩვენმა მამა-პაპამ, მხოლოდ არარაობა, სარგებლობა რომ არ ჰქონია. 20. თუ შექმნის ადამიანი თავისთვის ღმერთებს? არ იქნებიან ისინი ღმერთები! 21. ამიტომ აჰა, ჭკუას ვასწავლი მათ ამჯერად: დავანახვებ ჩემს მკლავსა და ძლიერებას, და ეცოდინებათ, რომ უფალია ჩემი სახელი.

თავი მეჩვიდმეტე

1. რკინის საჭრეთელით არის დაწერილი იუდაელთა ცოდვები და ალმასის წვერით არის ამოკვეთილი მათი გულის ფიცარზე და თქვენს სამსხვერპლოთა რქებზე. 2. ამიტომაც ახსოვთ მათ შვილებს თავიანთი სამსხვერპლოები და აშერები ხემხვიავნებთან და მაღალ ბორცვებზე. 3. ჩემს მთას მინდვრად, შენს დოვლათს და მთელს განძეულობას დავატაცებინებ, შენ: გორაკებს ცოდვის გამო მთელს შენს საზღვრებში. 4. შენც წაგერთმევა სამკვიდრო, რომელიც შენთვის მქონდა მოცემული, და დაგამორჩილებ შენს მტრებს ამ ქვეყანაში, რომელსაც არ იცნობ, რადგან აღაგზნეთ ჩემი რისხვის ცეცხლი და უკუნისამდე იგიზგიზებს. 5. ასე ამბობს უფალი: დაწყევლილია კაცი რომელსაც ადამიანის იმედი და ხორციელში ეძებს შემწეობას, გულით კი შორდება უფალს. 6. იქნება იგი მარტოხელა ბუჩქივით უდაბნოში, ვერსაიდან მოელოდება სიკეთეს, რადგან იცხოვრებს გადახრუკულ ტრამალზე, მარილიან, უკაცრიელ ქვეყანაში. 7. კურთხეულია კაცი, რომელიც ესავს უფალს და უფალი მისი საესავი. 8. იქნება იგი წყლის პირას დარგულ ხესავით, რომელსაც მდინარესთან აქვს ფესვები გადგმული, არ უყურებს, რომ დადგება ხვატი, მწვანე ფოთლები ექნება მუდამ, არ უფრთხის გვალვიან წელიწადს და არასოდეს ელევა ნაყოფი. 9. უნდოა ყველას გული და უკურნებელი, ვინ შეიცნობს მას? 10. მე, უფალი, გულთამხილველი ვარ და ზრახვათა გამომცნობელი, რათა თითოეულს მივაგო თავისი საქციელის მიხედვით, როგორც მისი მოქმედება იმსახურებს. 11. მწყერი, აზის კვერცხებს, რომლებიც თავად არ დაუდევს. ასეთია კაცი, რომელიც უსამართლოდ იხვეჭს ქონებას; ცხოვრების შუაძალზე გამოეცლება ხელიდან და საბოლოოდ ცარიელზე დარჩება. 12. დიდების ტახტი ამაღლებულია დასაბამიდან, ჩვენი საწმიდარის ადგილსამყოფელი. 13. ისრაელის სასოებავ, უფალო! ყველა შერცხვება, ვინც კი მიგატოვებს. შენგან განდგომილნი ქვიშაზე დაიწერებიან, რადგან მიატოვეს ცხოველმყოფელი წყაროსთვალი — უფალი. 14. განმკურნე, უფალო, და განვიკურნები! გადამარჩინე და გადავრჩები, რადგან შენა ხარ ჩემი დიდება. 15. აჰა, მეუბნებიან ისინი: სად არის უფლის სიტყვა? აბა, ახდესო! 16. არ გაგგჭცევივარ მწყემსობისაგან; შენ იცი, შავი დღე არ მსურდა. შენს წინაშეა რაც გამოდის ჩემი პირიდან. 17. ნუ მექმნები დამლუპველად, ჩემო საყუდარო გასაჭირში! 18. სირცხვილი ჭამონ ჩემმა მდევრებმა, მე ნუ შევრცხვები! შიში ჭამონ, მე ნუ შევშინდები! შავი დღე მოუტანე, ლეწე და კვლავ ლეწე ისინი 19. ასე მითხრა უფალმა: წადი და დადექი საჯარო კარიბჭესთან, რომლითაც შემოდიან და გადიან იუდას მეფეები, და იერუსალიმის ყველა კარიბჭესთან. 20. უთხარი მათ: გაიგონეთ უფლის სიტყვა, იუდას მეფეებო, მთელო იუდავ და იერუსალიმის მკვიდრნო, ამ კარიბჭეებში შე-

მომსვლელნო! 21. ასე ამბობს უფალი: ფრთხილად იყავით, შაბათ დღეს ტვირთს ნუ აიკიდებთ და იერუსალიმის კარიბჭეებში ნუ შემოიტანთ. 22. ნუ გამოიტანთ ტვირთს სახლიდან შაბათ დღეს და ნურაფერ საქმეს ნუ გააკეთებთ. იუქმეთ შაბათი დღე, როგორც თქვენი მამა-პაპისთვის მქონდა ნაბრძანები.23. მაგრამ არ ისმინეს და ყური არ მომაპყრეს; გაჯიუტდნენ, რომ არ ესმინათ და ჭკუა არ ესწავლათ. 24. თუ ახლა კარგად გამიგონებთ, ამბობს უფალი, და არ შემოიტანთ ამ ქალაქის კარიბჭეში შაბათ დღეს ტვირთს, იუქმებთ შაბათ დღეს, არაფერ საქმეს არ გააკეთებთ ამ დღეს, 25. შემოვლენ ამ ქალაქის კაბიჭეები მეფეები და მთავრები, დავითის ტახტზე მსხდომარენი, ეტლებზე და ცხენებზე ამხედრებულნი, როგორც თვითონ, ისე მათი მთავრები, იუდაელნი და იერუსალიმის მკვიდრნი, და უკუნისამდე იარსებებს ეს ქალაქი. 26. მოვლენ იუდას ქალაქებიდან და იერუსალიმის შემოგარენიდან, ბენიამინის ქვეყნიდან, ბარიდან და მთიდან, და სამხრეთიდან მოიტანენ აღსავლენს, საკლავს და შესაწირავს, გუნდრუკს და სამადლობელ ძღვენს უფლის სახლში. 27. თუ არ გამიგონებთ — არ იუქმებთ შაბათ დღეს და აიკიდებთ ტვირთს, შემოხვალთ შაბათ დღეს იერუსალიმის კარიბჭეებში, მაშინ ცეცხლს წავუკიდებ მის კარიბჭეებს და ცეცხლი შეჭამს იერუსალიმის სასახლეებს და არ ჩაქრება.

თავი მეთვრამეტე

1. სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისგან ნათქვამი: 2. ადექი და ჩადი მეთუნის სახლში, იქ გაგაგონებ ჩემს სიტყვას. 3. ჩავედი მეთუნის სახლში და, აჰა, ატრიალებს იგი სათუნე ბორბალს. 4. როცა გაუფუჭდა ჭურჭელი, რომელსაც აკეთებდა თიხისაგან თავისი ხელით, ხელმეორედ შეუდგა სხვა ჭურჭლის კეთებას, როგორიც მოსწონდა გასაკეთებლად. 5. იყო უფლის სიტყვა, ჩემს მიმართ ნათქვამი: 6. ხომ შემიძლია ისე — შოგექცევ, როგორც ეს მეთუნე იქცევა, ისრაელის სახლო? ამბობს უფალი: აჰა, როგორც თიხაა მეთუნის ხელში, ისე ხართ ჩემს ხელში, ისრაელის სახლო! 7. ერთ წამს გავიფიქრებ რომელიმე ხალხის ან სამეფოს ამოძირკვას, გაცამტვერებას და განადგურებას, 8. მაგრამ მოიქცევა ეს ხალხი ბოროტებისგან, რომლის გამოც ვაშინებდი მათ, და მეც გადავიფიქრებ ბოროტს, რასაც ვუპირებდი მას. 9. ერთ წამს გავიფიქრებ რომელიმე ხალხის ან სამეფოს აშენებას და დაფუძნებას, 10. მაგრამ ბოროტად მოიქცევა ჩემს თვალში, არ გაიგონებს ჩემს ხმას, და მეც გედავიფიქრებ სიკეთეს, რომელსაც ვპირდებოდი მას 11. ახლა ასე გამოვუცხადე იუდაელებს და იერუსალიმის მკვიდრთ: ასე თქვა უფალმა: აჰა, გიმზადებთ ბოროტს, განზრახვა მაქვს თქვენს წინააღმდეგ. მოიქცეს თითოეული თავისი ბოროტი გზიდან და გამოისწოროს ზნე და საქციელი. 12. ამბობენ: არამც და არამც! ჩვენ-ჩვენი ზრახვების კვალზე უნდა ვიაროთ და თითოეული ჩვენთაგანი თავისი ბოროტი გულისთქმის თანახმად უნდა მოიქცესო. 13. ამიტომ ამბობს უფალი: აბა, შეეკითხეთ ხალხებს, ვის სმენია ამგვარი ამბავი? უსაზომო სისაძაგლენი ჩაიდინა ქალწულმა — ისრაელმა. 14. თუ მიატოვებს ლიბანის თოვლი მთათა ტინებს? თუ შეწყდება შორით მომდინარი ცივი წყლები? 15. მაგრამ დამივიწყა ჩემმა ერმა, ამაოებას უკმევენ; გაიმრუდეს გზა, ძველი სავალი, რომ ევლოთ გაუთელავი გზის ბილიკებით. 16. რომ უდაბნოდ ექციათ თავიანთი ქვეყანა დამარად სასტვინებლად, რათა ყოველი ჩამვლელი შეძრწუნებულიყო და თავი გაექნია. 17. აღმოსავლეთის ქარივით დავფანტავ მათ მათი მტრების წინაშე. ზურგს ვუჩვენებ მათ, არა სახეს, გასაჭირის ჟამს. 18. თქვეს: წამო, რამე ვიღონოთ იერემიას წინაღმდეგ; რადგან არ

დაკარგვია რჯული მღვდელს, რჩევის უნარი ბრძენკაცს და სიტყვა წინასწარმეტყველს. წამო და ენით ვძლიოთ მას, რომ ყურს აღარ ვუგდებდეთ მის სიტყვებსო. **19.** ყური მიგდე, უფალო, და ისმინე ჩემი მომჩივრების ხმაც. **20.** განა ბოროტით უხდიან სიკეთისათვის, ორმო რომ გამითხარეს დასაღუპავად? გამიხსენე შენს წინაშე მდგარი, მათ სასიკეთოდ რომ ვლაპარაკობდი, შენი რისხვა რომ ამეცილებინა მათთვის. **21.** ამიტომ შიმშილს გააწყვეტინე მათი შვილები, მახვილზე წამოაგე, რათა შვილმკვდარნი შეიქნენ და დაქვრივდნენ მათი ცოლები: სიკვდილმა გაწყვიტოს მათი კაცები, მახვილმა მოსრას მათი ჭაბუკები ომში. **22.** კვნესა ისმოდეს მათი სახლებიდან, როცა ანაზდეულად ავაზაკებს მიუსევ, რადგან ორმო გათხარეს ჩემს დასაჭერად და ფეხქვეშ იდუმალ მახეს მიგებენ. **23.** შენ იცი, უფალო, რომ ყველაფერს ღონობენ ჩემს მოსაკლავად! ნუ მიუტევებ მათ დანაშაულს და ცოდვებს ნუ წარუხოცავ მათ შენს თვალთაგან. იყვნენ დამხობილნი შენს წინაშე. შენი რისხვის ჟამს გაუსწორდი მათ!

თავი მეცხრამეტე

1. ასე ამბობს უფალი: წადი, იყიდე მეთუნისაგან თიხის დოქი, წაიყვანე ხალხის უხუცესნი და მღვდლების უხუცესნი. **2.** გადი ბენ-ჰინომის ველზე მეთუნეთა კარიბჭიდან და გამოაცხადე იქ სიტყვები, რომელთაც გეტყვი. **3.** თქვი: გაიგონეთ უფლის სიტყვა, იუდას მეფენო და იერუსალიმის მკვიდრნო: ასე თქვა ცაბაოთ უფალმა, ისრაელის ღმერთმა: აჰა, მომაქვს ამ ადგილისათვის უბედურება, რომლის გამგონეს ყველას ყურები აუზრიალდება. **4.** ეს იმის გულისთვის, რომ დამივიწყეს და გააუცხოვეს ეს ადგილი; უკმევენ აქ უცხო ღმერთებს, რომელთაც არც თვითონ და არც მათი მამაპაპანი — იუდას მეფეები იცნობდნენ. და აავსეს უბრალოთა სისხლით ეს ადგილი. **5.** აღმართეს ბაალის საკურთხეები, რათა ცეცხლში დაუწვან თავიანთი შვილები ბაალი აღსავლენ მსხვერპლად, რაც არ მიბრძანებია მათთვის, არც მითქვამს, ფიქრადაც არ მომსვლია. **6.** ამიტომ, აჰა, ახლოვდება ჟამი, ამბობს უფალი, და აღარ ერქმევა ამ ადგილს თოფეთი და ბენ-ჰინომის ველი, არამედ სასაკლაო ველი. **7.** ჩავშლი იუდას და იერუსალიმის თათბირს ამ ადგილას, დავცემ მათ მახვილით. მტრების თვალწინ მათი ხელით, ვინც მოსაკლავად დასდევს მათ. და გადავუყრი მათ გვამებს შესაჭმელად ცის ფრინველებს და ველის მხეცებს. **8.** საფრთხობელად და სასტვენელად ვაქცევ ამ ქალაქს. ყოველი ჩამვლელი შეძრწუნდება და სტვენას მოჰყვება მისი ჭრილობების შემხედვარე. **9.** საკუთარი ვაჟებისა და ასულების ხორცს შევაჭმევ მათ; ერთმანეთის ხორცს დაუწყებენ ჭამას ალყაში და გაჭირვებაში, როცა მტრები და მათი მესისხლენი შეაჭირვებენ მათ. **10.** გატეხე დოქი იმ ხალხის თვალწინ, თან რომ წამოგყვნენ. **11.** და უთხარი მათ: ასე თქვა ცაბაოთ უფალმა: ასე გავტეხავ ამ ხალხს და ამ ქალაქს, როგორც ტეხავს კაცი მეთუნის ჭურჭელს, რომელიც აღარ გამრთელდება. თოფეთში დაუწყებენ დამარხვას, დასამარხავი ადგილი რომ აღარ ექნება. **12.** ასე მოვექცევი ამ ადგილს, ამბობს უფალი, და მის მცხოვრებლებს; თოფეთს დავამსგავსებ ამ ქალაქს. **13.** და იერუსალიმის სახლები და იუდას მეფეთა სახლები თოფეთის ადგილივით გაუწმიდურდება; ასევე ყველა სახლი, რომლის ბანზეც ცის ვარსკვლავებს უკმევენ და უცხო ღმერთებს უღვრიან საღვრელს. **14.** და წამოვიდა იერემია თოფეთიდან, სადაც გაგზავნა იგი უფალმა საქადაგებლად, და გაჩერდა უფლის სახლის ეზოში და გამოუცხადა მთელს ხალხს: **15.** ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, მომაქვს ამ ქალაქისათვის და მისი დაბებისათვის უბედურება, რაც

ნათქვამი მაქვს მათზე, რადგან გაჯიუტდნენ და არ გაიგონეს ჩემი სიტყვა.

თავი მეოცე

1. გაიგონა ფაშხურ იმერის ძემ, მღვდელმა, უფლის სახლის ზედამხედველმა და წინამძღვარმა, ეს სიტყვები, იერემია რომ წინასწარმეტყველებდა, 2. და სცემა ფაშხურმა იერემია წინასწარმეტყველს და ჩააგდო იგი დილეგში, ბენიამინის ზემო კარიბჭესთან რომ იყო, უფლის სახლში. 3. მაგრამ მეორე დღეს გამოუშვა ფაშხურმა იერემია დილეგიდან და უთხრა მას იერემიამ: ფაშხურს კი აღარ დაგიძახებს უფალი, არამედ „შიშის ზარს ირგვლივ". 4. რადგან ასე ამბობს უფალი: აჰა, შიშის ზარს დაგცემ შენ და შენს მეგობრებს, და დაეცემიან ისინი მტრების მახვილისგან და შენი თვალით იხილავ ამას. ბაბილონელთა მეფის ხელში ჩავაგდებ მთელს იუდას, და გადაასახლებს მათ ბაბილონში და მახვილით ამოსწყვეტს. 5. და გავცემ ამ ქალაქის მთელს ქონებას, მთელს მის ჯირნახულს, მთელს ძვირფასეულობას და იუდას მეფეების მთელს საგანძურს, და ხელში ჩავუგდებ მათ მტრებს. და გაძარცვავენ, დაიტაცებენ და ბაბილონში წაიღებენ. 6. და შენც, ფაშხურ, ტყვედ წახვალ ბაბილონს შენი სახლითურთ და იქ მოკვდები; იქ დაიმარხებით შენც და ყველა შენი მეგობარი, რომელთაც ცრუდ უწინასწარმეტყველებდი. 7. შენ გადამიბირე, უფალო, და მეც დაგყევი; ჩამიჭირე და დამძალე; ყოველდღე საცინად მიგდებენ, ყველა მამასხრებს. 8 როგორც კი ავლაპარაკდები, ჩივილი აღმომხდება ძარცვა-გლეჯვის გამო. ამიტომაც გადამექცა უფლის სიტყვა ყოველდღიურ დაცინვად და დამცირებად. 9. ვიფიქრე: დავივიწყებ მას და აღარ ვილაპარაკებ-მეთქი მისი სახელით. მაგრამ ცეცხლივით ამიგიზგიზდა გულში, ძვლებამდე გამატანა; ვცდილობდი გამეძლო, მაგრამ ვერ შევძელი. 10. რადგან მესმის ბრბოსგან ცილისწამება და მუქარა ირგვლივ: „[illegible] და ჩვენც დავასმენთ. ჩემ[illegible] ჩემ[illegible] დაღუპვას დადარაჯებულნი, ამბობენ: იქნებ ცდუნებაში ჩავარდეს, მაშინ ვძლევთ მას და შურს ვიძიებთო. 11. ჩემთან არის უფალი როგორც ძლიერი მეომარი, ამიტომაც წაიფორხილებენ ჩემი მდევრები, ვერ გაიმარჯვებენ. დიდად შერცხვებიან, რომ უგუნურად მოიქცნენ. სამარადისოდ გასტანს სირცხვილი, არდასავიწყებელი. 12. ცაბაოთ უფალო! სიმართლის გამომკვლეველო, გულთამხილავო! მოვესწრო შენს შურისგებას მათზე, რადგან შენთვისა მაქვს მინდობილი ჩემი სამართალი! 13. უგალობეთ უფალს, ადიდეთ უფალი, რადგან იცავს ღატაკის სიცოცხლეს ბოროტეულთა ხელიდან. 14. წყეული იყოს დღე, როცა დავიბადე! დღე, როცა დედაჩემმა მშობა, არ იყოს კურთხეული! 15. წყეული იყოს კაცი, რომელმაც ახარა მამაჩემს: ვაჟი შეგეძინაო! სიხარულით რომ გაახარა. 16. იმ ქალაქებივით დაემართოს ამ კაცს, უფალმა რომ დაამხო შეუბრალებლად; წივილ-კივილი ესმოდეს დილაობით და ბრძოლის ყიჟინა შუადღისას. 17. ბარემ საშოშივე მოგეშთე, რომ ჩემს საფლავად ქცეულიყო დედაჩემი და მისი საშო მარად ორსული დარჩენილიყო. 18. რისთვის გამოვედი საშოდან, თუ მხოლოდ სატანჯველს ვნახავდი და სირცხვილში დასრულდებოდა ჩემი დღეები.

თავი ოცდამეერთე

1. სიტყვა, რომელიც იყო უფლისგან იერემიას მიმართ ნათქვამი, როცა მეფე ციდკიამ მიუგზავნა მას ფაშხურ მალაქიას ძე და მღვდელი სოფონია მაყასეას ძე და დაუბარა სათქმელად: 2. შეეკითხე ჩვენზე უფალს, რადგან საბრძოლველად მოგვადგა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი. იქნება მოახდინოს ჩვენთვის უფალმა თავის სა-

სწაულთა მსგავსი რამე, და ისიც დაგვანებებს თავს. 3. უთხრა მათ იერემიამ: ასე უთხარით ციდკიას: 4. ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, წაგართმევთ საბრძოლო იარაღს, ხელში რომ გიჭირავთ, რომლითაც ებრძვით ბაბილონის მეფეს და მოალყე ქალდეველებს გალავანს მიღმა, და დავახვავებ მათ ამ ქალაქის შუაგულში. 5. შეგებრძოლებით მოღერებული ხელით და მაგარი მკლავით, რისხვით, გაცხარებით და დიდის გააფთრებით. 6. მუსრს გავავლებ ამ ქალაქის მცხოვრებთ, კაცსა და პირუტყვს; დაიხოცებიან დიდი ჭირისაგან. 7. ამის შემდეგ, ამბობს უფალი, ჩავაგდებ ციდკიას, იუდას მეფეს, და მის მსახურთ, ხალხს და ყველას, ვინც ამ ქალაქში ჭირს, მახვილს და შიმ'ძილს გადაურჩა, ნაბუქოდონოსორის, ბაბილონის მეფის ხელში, მათი მტრების ხელში, მის მესისხლეთა ხელში; და იგი მახვილით მოსრავს მათ, არ შეიწყალებს, არ შეიბრალებს, არ დაინდობს. 8. ამ ხალხს კი უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი: აჰა, დამიდევს თქვენს წინაშე სიცოცხლის გზა და სიკვდილის გზა. 9. ვინც დარჩება ამ ქალაქში, მახვილით ან შიმშილით ან შავი ჭირით მოკვდება. ვინც გავა და ჩაბარდება ქალდეველებს, რომელთაც ალყაში ვყავართ, გადარჩება და ნადავლად ექნება საკუთარი სიცოცხლე. 10. რადგან საუბედუროდ მივაქციე ჩემი სახე ამ ქალაქისაკენ, არა სასიკეთოდ, ამბობს უფალი; ხელში ჩაუვარდება ბაბილონის მეფეს, რომელიც ცეცხლში დაწვავს მას. 11. იუდას მეფის სახლს: ისმინეთ უფლის სიტყვა. 12. დავითის სახლო! ასე ამბობს უფალი: ყოველ დილით განიკითხეთ სამართალი და დაიფარეთ მოძალადის ხელიდან გაძარცული, თორემ ცეცხლივით ავარდება ჩემი რისხვა, აბრიალდება და არავინ იქნება ჩამქრობი, თქვენი ავკაცობის გამო. 13. აჰა, შენზე მოვდივარ, ველის მკვიდრო, ვაკის კლდეო, ამბობს უფალი, რომ ამბობთ: ვინ დაგვესხმის, ვინ შემოვა ჩვენს სადგომებშიო? 14. მე დაგსჯით, როგორც იმსახურებთ, ამბობს უფალი: ცეცხლი ჩავანთებ ცეცხლს მის ტყეში და ყველაფერს შეჭამს იგი თავის გარშემო.

თავი ოცდამეოთხე

1. ასე ამბობს უფალი: ჩადი იუდას მეფის სახლში და გამოაცხადე იქ ეს სიტყვა. 2. და თქვი: გაიგონეთ უფლის სიტყვა, იუდას ძეფევ, დავითის მოსაყრდევ, შენ და შენმა მსახურებმა, და ხალხმა, ამ კარიბჭეებში შემომსვლელმა. 3. ასე ამბობს უფალი: ქმენით სამართალი და სიმართლე, იფარავდეთ გაძარცულს მოძალადის ხელიდან, ნუ დაჩაგრავთ და ნუ გაღლეტავთ ხიზანს, ობოლსა და ქვრივს, ნუ დაღვრით ამ ადგილზე უბრალო სისხლს. 4. რადგან თუ აასრულებთ ამ სიტყვას, ივლიან ამ სახლის კარიბჭეებით დავითის მოსაყდრე მეფეები, ეტლზე და ცხენებზე ამხედრებულნი, თავად იგი და მისი მსახურნი და მისი ხალხი. 5. თუ არ გაიგონებთ ამ სიტყვებს, ჩემს თავს ვფიცავ, ამბობს უფალი, გაუკაცრიელდება ეს სახლი. 6. რადგან ასე ამბობს უფალი იუდას მეფის სახლზე: თუმცა გალაადი ხარ შენ ჩემთვის, ლიბანის მწვერვალი, მაინც უდაბნოდ გაქცევ, მიტოვებულ ქალაქად. 7. გაგიმზადებ ამაოხრებლებს — თითოეულს თავისი იარაღით, რომ გაგიჩეხონ საუკეთესო კედრები და ცეცხლს მისცენ. 8. ბევრი ხალხები ჩაუვლიან ამ ქალაქს და გამოიკითხავენ ერთმანეთში: რისთვის მოექცა ასე უფალი ამ დიდებულ ქალაქს? 9. და იტყვიან: იმისთვის, რომ მიატოვეს უფალი, თავიანთი ღვთის აღთქმა, და უცხო ღმერთებს დაუწყეს თაყვანისცემა და მსახურება. 10. ნუ სტირით მკვდარს, ნუ მოთქვამთ მასზე, იტირეთ წარსული, რადგან არასოდეს დაბრუნდება და ვერ იხილავთ მშობელ ქვეყანას. 11. რადგან ასე ამბობს უფალი შალუმზე, იოშიას ძეზე, იუდას მეფეზე, რომელიც მეფობდა მამამისის, იოშიას, ნაცვლად: ვინც გავიდა ამ ად-

გილიდან, აღარ დაბრუნდება. აქ, 12. არამედ მოკვდება იმ ადგილზე, სადაც გადაასახლეს და ვეღარ იხილავს ამ ქვეყანას. 13. ვაი იმას, ვინც უსამართლობით იშენებს სახლს და უკანონოდ —ზემოთ ვალებს; ვინც მუქთად ამუშავებს თავის ახლობელს და გასამრჯელოს არ აძლევს! 14. ვინც ამბობს: ავიშენებ ფართო სახლს და ვერცელ ზემოთვალს, და გამოჭრის თვისთვის სარკმლებს, კედრით მოაპირკეთებს და წითლად შეღებავს. 15. იმიტომ ხომ არ მეფობ, რომ კედარზე შეიშალო? მამაშენიც ხომ ჭამდა და სვამდა, მაგრამ წესსა და სამართალს იცავდა, და სიკეთე იყო მისთვის. 16. დაჩაგრულისა და უპოვარის სამართალს განიკითხავდა, და სიკეთე იყო. განა ეს არ არის ჩემი ცოდნა? ამბობს უფალი. 17. შენი თვალი და გული კი სარგებელს ეძებს, უბრალოთა სისხლის ღვრას, ძარცვა-გლეჯასა და ძალადობას. 18. ამიტომ ასე ამბობს უფალი იეჰოაკიმ იოშიას ძეზე, იუდას მეფეზე: არ იგლოვებენ მას: ვაი, ჩემო ძმაო, და ვაი, ჩემო დაო! არ იგლოვებენ მას: ვაი, ხელმწიფევ, და ვაი, მისო დიდებულებავ! 19. ვირის დამარხვით დაიმარხება. წაათრევენ და იერუსალიმის კარიბჭეთა იქით გადააგდებენ. 20. ადი ლიბანზე და მორთე კივილი, ბაშანზე აუწიე ხმას და იკივლე ყაბარიმის მთებიდან, რადგან გაცამტვერდნენ შენი მოყვარულნი! 21. გელაპარაკებოდი, როცა უზრუნველად იყავი, მპასუხობდი: არ მესმისო. ასეთი იყო შენი საქციელი სიყრმითგანვე, არ გესმოდა ჩემი სიტყვა. 22. ყველა შენს მწყემსს ქარი გარეკავს და შენი მოყვარულნი ტყვეობაში წავლენ. მაშინ შერცხვები და გაწბილდები ყველა შენი უკეთურების გამო. 23. დამჯდარხარ ლიბანში, დაბუდრებულხარ კედართა შორის! როგორ გასაწყლდები, როცა ტკივილები შეგიპყრობს მშობიარე ქალივით. 24. თავს ვფიცავ, ამბობს უფალი, ჩემი მარჯვენა ხელის ბეჭედიც რომ იყო შენ, ქონიაჰუ იეჰოაკიმის ძეო, იუდას მეფეო, წაგაძრობდი აქედან, 25. და მიგცემდი ხელში შენს მტერს, ბაბილონელ მეფეს და ქალდეველებს. 26. გაგაგდებ შენ და შენს მშობელ დედას სხვა ქვეყანაში, სადაც არ შობილხარ, და იქ დაიხოცებით. 27. და იმ ქვეყნისკენ, საითკენაც გული გაუწევთ დასაბრუნებლად, ვეღარ დაბრუნდებიან. 28. ნუთუ ულირსი ქმნილებაა, ნუთუ გადასაგდებია ეს კაცი ქონიაჰუ, როგორც უსარგებლო რამ ნივთი? რისთვის არიან გაგდებულნი ის და მისი თესლი და გადაყრილნი ისეთ ქვეყანაში, რომელიც არ იცოდნენ? 29. ქვეყანავ, ქვეყანავ, ქვეყანავ! ისმინე უფლის სიტყვა. 30. ასე ამბობს უფალი: ჩაწერეთ ეს კაცი როგორც უმემკვიდრო, რომელმაც ვერ გაიხარა თავის დღეში; რადგან ვერ გაიხარებს მისი თესლიდან დავითის მოსაყდრე და იუდას განმგებელი.

თავი ოცდამესამე

1. ვაი მწყემსებს, რომლებიც ღუპავენ და ფანტავენ ჩემი სამწყსოს ცხვარს, ამბობს უფალი. 2. ამიტომ ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი, მწყემსებზე, რომლებიც მწყემსავენ ჩემს ერს: თქვენ გაფანტეთ ჩემი ცხვარი, თქვენ გარეკეთ იგი და ყური არ უგდეთ. აჰა, მე ვუგდებ ყურს თქვენს ბოროტ საქციელს, ამბობს უფალი. 3. მე თავად მოვუყრი თავს ჩემს ცხვარს ყველა ქვეყნიდან, სადაც გავყარე ისინი. და დავაბრუნებ მათ თავიანთ საძოვარზე, ინაყოფიერებენ და იმრავლებენ. 4. და დავუყენებ მწყემსებს და ისინი დამწყესავენ მათ, აღარ შეშინდებიან, არ დაფრთხებიან, არ დაიკარგებიან, ამბობს უფალი. 5. აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, და აღვუდგენ დავითს ჭეშმარიტ მორჩს; მეფედ იმეფებს და ბრძნულად მოიქცევა; გააჩენს სამართალს და სიმართლეს ქვეყანაში. 6. მის დროს თავს დაიხსნის იუდა და იმედიანად იცხოვრებს ისრაელი. ეს იქნება მისი სახელი, რომელსაც დაარქ-

მევენ: უფალია ჩვენი სიმართლე. 7. ამიტომ, აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, და აღარ იტყვიან: ვფიცავ უფალს, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანა ისრაელიანები. 8. არამედ: ვფიცავ უფალს, რომელმაც გამოიყვანა და რომელმაც მოიყვანა ისრაელის სახლის თესლი ჩრდილოეთის ქვეყნიდან და ყველა ქვეყნიდან, სადაც გავყარე ისინი. და იცხოვრებენ თავიანთ მიწაზე. 9. წინასწარმეტყველთა გამო მისკდება გული მკერდში და მტეხს ძვლები; მთვრალი კაცივით ვარ, ღვინო რომ მორევია, უფლის გულისთვის, მისი წმიდა სიტყვებისათვის. 10. რადგან გარყვნილი ხალხით გაივსო ქვეყანა; რადგან წყევლისაგან მოთქვამს მიწა, გადახმა უდაბნოს საძოვრები. ბოროტია მათი ზრახვები, მათი ძლიერება უკეთურებაა. 11. რადგან გაირყვნენ წინასწარმეტყველნიც და მღვდლებიც; ჩემს სახლშიც კი ვპოულობ მათ ნაავკაცარს, ამბობს უფალი 12. ამიტომაც მოლიპული იქნება მათი გზები სიბნელეში, წაიფორხილებენ და დაეცემიან; რადგან უბედურებას მოვუტან მათ განკითხვის წელს, ამბობს უფალი. 13 მის წინასწარმეტყველთა შორისაც დავინახე სისაძაგლე: ბაალის სახელით ქადაგებდნენ და აცთუნებდნენ ჩემს ერს — ისრაელს. 14. იერუსალიმის წინასწარმეტყველთა შორისაც ვხედავ სიბილწეს: გარყვნილებას მისდევენ და ცრუობენ, უკეთურთა მხარი უჭირავთ, რომ არც ერთი მათგანი არ მოიქცეს თავის უკეთურობისგან. სოდომივით გახდნენ ჩემთვის ყველანი და გომორაესავით — მისი მცხოვრებნი. 15. ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი წინასწარმეტყველებზე: აჰა, შევაჭმევ მათ აბზინდას და შევასმევ მწარე წყალს, რადგან იერუსალიმის წინასწარმეტყველთაგან მოდის ცთუნება მთელს ქვეყანაში. 16. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: არ შეისმინოთ წინასწარმეტყველთა სიტყვები, რასაც გიწინასწარმეტყველებენ; გაცთუნებენ ისინი, მოგონილ ხილვებს გიქადაგებენ, არა უფლისმიერს. 17. ეუბნებიან ჩემს მაგინებლებს: უფალმა თქვა: მშვიდობა გექნებათო. და ყველას, ვინც თავის გულისთქმას აჰყოლია, ეუბნებიან: უბედურება არ დაგემართებათო. 18. რადგან ვინ იდგა უფლის საბჭოში, ვინ ხედავდა და ისმენდა მის სიტყვას? ვინ უგდებდა ყურს მის სიტყვას და ესმოდა? 19. აჰა, უფლის ქარიშხალი—რისხვა ამოვარდა! ქარბორბალა დაუბერავს და ბოროტეულთ დაატყდება თავს. 20. არ გაბრუნდება უფლის რისხვა, ვიდრე არ აღასრულებს, ვიდრე არ მიაღწევს განზრახულს. უკანასკნელ დღეებში მიხვდებით ცხადად. 21. მე არ გამომიგზავნია წინასწარმეტყველნი, თავად გამოიქცნენ; არაფერი მითქვამს მათთვის, თავისით წინასწარმეტყველებენ. 22. ჩემს საბჭოში რომ მდგარიყვნენ, ჩემს ერს გამოუცხადებდნენ ჩემს სიტყვებს და მოაქცევდნენ მათ ბოროტი გზიდან და ავკაცობიდან. 23. განა მხოლოდ ახლოდანა ვარ ღმერთი? ამბობს უფალი, განა შორიდან არა ვარ ღმერთი? 24. სამალავშიც რომ დაიმალოს კაცი, ვერ დავინახავ? ამბობს უფალი, განა მე არ ვავსებ ცასა და მიწას? ამბობს უფალი. 25. გავიგონე, რაც თქვეს წინასწარმეტყველებმა, სიცრუეს რომ ქადაგებენ ჩემი სახელით: მესიზმრა, მესიზმრაო! 26. როდემდის უნდა იყოს ასე წინასწარმეტყველთა გული, სიცრუეს რომ ქადაგებენ, საკუთარი ცბიერი გულის წინასწარმეტყველნი რომ არიან? 27. ცდილობენ დააავიწყონ ჩემს ერს ჩემი სახელი თავიანთი ზმანებებით, რომელთაც ერთმანეთს უყვებიან, როგორც მათმა მამაპაპამ დაივიწყა ჩემი სახელი ბაალის გამო. 28. წინასწარმეტყველმა, ვისაც სიზმარი აქვს, იამბოს სიზმარი, ვისაც ჩემი სიტყვა აქვს, რწმენით ილაპარაკოს ჩემი სიტყვა; სად ბზე და სად ხორბალი? ამბობს უფალი. 29. განა ცეცხლივით არ არის ჩემი სიტყვა? ამბობს უფალი. ურისავით, კლდეს რომ ანგრევს? 30. ამიტომ, აჰა, თავს ვესხმი წინასწარმე-

ტყველთ, ამბობს უფალი, ერთმანეთს
რომ პარავენ ჩემს სიტყვებს. 31. აჰა,
თავს ვესხმი წინასწარმეტყველთ, ამ-
ბობს უფალი, თავისას რომ ლაპარაკო-
ბენ და ამბობენ, უფლის ნათქვამიაო.
32. აჰა, თავს ვესხმი წინასწარმეტყ-
ველთ, ცრუ სიზმრებს რომ ხედავენ,
ამბობს უფალი. ყვებიან მათ და აც-
დუნებენ ჩემს ერს თავიანთი ტყუილე-
ბით და ტრაბახით. მე კი არ გამომი-
გზავნია ისინი, არც არაფერი მიბრძა-
ნებია მათთვის, არც არაფერში არგიან
ამ ხალხს, ამბობს უფალი. 33. თუ შე-
გეკითხება ეს ხალხი ან წინასწარმე-
ტყველი, ან მღვდელი: რა არის უფ-
ლის განაჩენიო? უთხარი მათ, რა განა-
ჩენია. მე მიგატოვებ თქვენ, ამბობს
უფალი. 34. თუ წინასწარმეტყველი,
მღვდელი ან ერისკაცი იტყვის: უფლის
განაჩენიაო, დავსჯი იმ კაცს და მის
სახლს. 35. ასე უთხარით ერთიმეო-
რეს: რა პასუხი იყო უფლისაგან? რა
თქვა უფალმა? 36. ოღონდ უფლის
განაჩენი მეტად აღარ ახსენოთ, რადგან
განაჩენი იქნება ამ კაცისთვის მისი სი-
ტყვა, რადგან თქვენ ასხვაფერებთ ცო-
ცხალი ღმერთის, ცაბაოთ უფლის, ჩვე-
ნი ღმერთის სიტყვებს. 37. ასე უთხარი
წინასწარმეტყველს: რა გიპასუხა უფა-
ლმა? რა თქვა უფალმა? 38. თუ იტ-
ყვით, უფლის განაჩენიო, ასე ამბობს
უფალი: იმის გამო, რომ ამბობთ ამ
გამოთქმას უფლის განაჩენი. მე კი შე-
მოგითვალეთ. ნუ ამბობთ-მეთქი უფ-
ლის განაჩენს. 39. სრულიად დაგივი-
წყებთ და დაგაგდებთ თქვენ და ამ ქა-
ლაქს, რომელიც თქვენთვის და თქვენი
მამა-პაპისთვის მქონდა მოცემული, 40.
და ჩაგაგდებთ სამუდამო სირცხვილში
და სამუდამო დამცირებაში, რაც არა-
სოდეს იქნება დავიწყებული.

თავი ოცდამეოთხე

1. დამანახა უფალმა: აჰა, ლეღვის
ორი კალათა დგას უფლის ტაძრის წინ
მას შემდეგ, რაც ბაბილონის მეფემ
ნაბუქოდონოსორმა გადაასახლა იუდას
მეფე იექონია იეჰოიაკიმის ძე, იუდას
მთავრები, ხუროები და მჭედლები იე-
რუსალიმიდან და ბაბილონში მიიყვა-
ნა. 2. ერთ კალათაში ძალიან კარგი
ლეღვია, პირველმოწეული; მეორე კა-
ლათში ძალიან ცუდი ლეღვია; არ იჭ-
მევა, იმდენად ცუდია. 3. მითხრა უფა-
ლმა: რას ხედავ, იერემია? მივუგე:
ლეღვს, კარგი ლეღვი ძალიან კარგია,
ცუდი ლეღვი — ძალიან ცუდი, არ იჭ-
მევა, იმდენად ცუდია. 4. იყო უფლის
სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 5. ასე
ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ამ
კარგი ლეღვებივით გამოვარჩევ გადა-
სახლებულ იუდაელებს, რომელნიც
გავუშვი ამ ადგილიდან ქალდეველთა
ქვეყანაში მათდა სასიკეთოდ. 6. თვალს
მივაპყრობ მათ მათდა სასიკეთოდ და
დავაბრუნებ ამ ქვეყანაში; ავაშენებ,
არ გავანადგურებ; დავანგრევ, არ აღ-
მოვფხვრი მათ. 7. ჩავუდგამ მათ გულს,
რათა მცნობდნენ, რომ უფალი ვარ.
ჩემი ერი იქნებიან და მე მათი ღმერთი
ვიქნები, რადგან მთელი გულით მოი-
ქცევიან ჩემკენ. 8. ცუდ ლეღვზე, რო-
მელიც არ იჭმევა სიცუდის გამო, ასე
თქვა უფალმა: ასე მოვექცევი იუდას
მეფეს ციდკიას, მის მთავრებს, დანარ-
ჩენ იერუსალიმს, ამ ქვეყანაში რომ
დარჩნენ, და ეგვიპტის ქვეყანაში
მცხოვრებთ. 9. და გავხდი მათ საფრ-
თხობელად და საუბედუროდ დედამი-
წის ყველა სამეფოში, სასირცხვოდ, სა-
არაკოდ, დასაცინად და შესაჩვენებლად
ყველა იმ ადგილზე, სადაც კი განვდე-
ვნი მათ. 10. მივუვლენ მახვილს, შიმ-
შილს და შავ ჭირს, ვიდრე არ აღვგვი
იმ ქვეყნიდან, რომელიც მათთვის და
მათი მამა-პაპისთვის მაქვს მიცემული.

თავი ოცდამეხუთე

1. სიტყვა, რომელიც იყო იერემიას
მიმართ მთელს იუდას ერზე იუდას მე-
ფის იეჰოიაკიმ იოშიას ძის მეოთხე
წელს (ეს იყო ბაბილონის მეფის, ნა-
ბუქოდონოსორის პირველი წელი), 2.

და რომელიც უწინასწარმეტყველა იერემია წინასწარმეტყველმა მთელს იუდას ერს და იერუსალიმის ყველა მცხოვრებს. 3. იუდას მეფის, იოშია ამონის ძის მეცამეტე წლიდან ამ დღემდე, უკვე ოცდასამი წელია, რაც მეცხადებოდა უფლის სიტყვა. თავდადებით, განუწყვეტლივ გიწინასწარმეტყველებდით, მაგრამ არ გესმოდათ. 4. გიგზავნიდათ უფალი თავის მსახურთ, წინასწარმეტყველებს, განუწყვეტლივ გიგზავნიდათ, მაგრამ თქვენ გაგონება არ გინდოდათ, ყურს არ ათხოვებდით მოსასმენად. 5. რომ გეუბნებოდნენ: მიატოვეთ თითოეულმა თქვენი ბოროტი გზა და თქვენი ბოროტი საქმეები, იცხოვრეთ იმ მიწაზე, უფალს რომ მოუცია თქვენთვის და თქვენი მამა-პაპისთვის უკუნითი უკუნისამდე; 6. ნუ მისდევთ უცხო ღმერთებს სამსახურებლად და თაყვანის საცემად, ნუ გამაჯავრებთ თქვენი ხელის ნამოქმედარით და მეც არაფერს დაგიშავებთ. 7. არ გესმოდათ ჩემი, ამბობს უფალი, რომ გაგეჯავრებინეთ თქვენი ხელის ნამოქმედარით თქვენსავე საბოროტოდ. 8. ამიტომ ასე თქვა ცაბაოთ უფალმა: რაკი არ გესმოდათ ჩემი სიტყვები, 9. აჰა, მოვუხმობ ჩრდილოეთის ყველა ტომს, ამბობს უფალი, და ავამხედრებ ამ ქვეყანაზე, მის მცხოვრებლებზე და ირგვლივ ყველა ხალხზე. გავწირავ გასაოხრებლად, შემზარავს და სამარცხვინო სანახავს გავხდი, სამარადისო უდაბნოდ ვაქცევ. 10. აღვკვეთავ მათგან სიხარულის ხმას და ლხინის ხმას, სიძის ხმას და პატარძლის ხმას, წისქვილის ხმას და ლამპრის ნათელს. 11. გაოხრდება და გაუკაცურდება მთელი ეს ქვეყანა, ბაბილონის მეფის მონობაში იქნებიან სამოცდაათ წელიწადს ეს ხალხები. 12. შესრულდება სამოცდაათი წელი და მე დავსჯი ბაბილონის მეფეს და ამ ხალხს, ამბობს უფალი, ქალდეველთა ქვეყანას მათი დანაშაულის გამო, და სამარადისო უდაბნოდ ვაქცევ მათ. 13. და ავახდენ ამ ქვეყანაზე ყველა სიტყვას, რაც მაქვს ნაქადაგები, ყველაფერს, რაც ამ წიგნში [illegible] ილი, რაც კი იერემიას უწინასწარმეტყველნია ყველა ამ ხალხზე. 14. რადგან მათაც დაიმონებენ მრავალრიცხოვანი ხალხები და დიდი მეფეები. მაგრამ მე მივაგებ მათ მათი საქმეთამებრ და მათი ხელის ნამოქმედარისამებრ. 15. რადგან ასე მითხრა უფალმა, ისრაელის ღმერთმა: გამომართვი რისხვის ღვინით სავსე ეს თასი და შეასვი ყველა ხალხს, ვისთანაც გაგგზავნი. 16. შესვან, შებარბაცდნენ და შეიშალონ მახვილის წინაშე, რომელსაც ჩავაგდებ მათ შორის. 17. გამოვართვი თასი უფალს და შევასვი ყველა ხალხს, ვისთანაც გამაგზავნა უფალმა — 18. იერუსალიმს, იუდას ქალაქებს და მის მეფეებს და მთავრებს, რომ გაეოხრებინა, გაეხადა შემზარავი და სამარცხვინო სანახავი და შეეჩვენებინა, როგორც დღეს არიან, 19. ფარაონს — ეგვიპტის მეფეს, მის მსახურთ და მთავრებს, მთელს მის ხალხს, 20. მთელს დასავლეთს, ყუცის ქვეყნის ყველა მეფეს, ფილისტიმელთა ქვეყნის ყველა მეფეს, აშკელონს, ღაზას, ეკრონს და აშდოდის ნატამალს, 21. ედომს და მოაბს, და ყამონელებს, 22. ტიროსის ყველა მეფეს და ციდონის ყველა მეფეს, და ზღვისგაღმელ მეფეებს, 23. დედანს და თემას და ბუზს, ყველას, საფეთქელმოპარსულს, 24. არაბთა ყველა მეფეს, დასავლეთის ყველა მეფეს, უდაბნოში რომ ცხოვრობენ. 25. ზიმრის ყველა მეფეს, ელამის ყველა მეფეს და მიდიელთა ყველა მეფეს, 26. ჩრდილოეთის ყველა მეფეს, ერთმანეთის ახლობელს და შორებელს, ყველა ქვეყნის სამეფოს, რაც კი დედამიწის ზურგზე არსებობს. და მეფე შეშაქი მათ შემდეგ შესვამს. 27. და უთხარი მათ: ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: სვით დათრობამდე და წამოარწყიეთ, დაწექით და ნუ ადგებით მახვილის დანახვისას, რომელსაც ჩამოვაგდებ თქვენს შორის. 28. თუ უარს იტყვიან და არ გამოართმევენ თასს

შესასმელად, უთხარი მათ: ასე თქვა
ცაბაოთ უფალმა: უნდა შესვათ! 29.
რადგან, აჰა, სწორედ ამ ქალაქში, რო-
მელიც ჩემი სახელით იწოდება, დავი-
წყებ განადგურებას. ხომ არ გგონიათ,
დაუსჯელნი, დარჩეთ? არ დარჩებით
დაუსჯელნი, რადგან მახვილს მოვუხ-
მობ ამ ქვეყნის ყველა მკვიდრის წინა-
აღმდეგ, ამბობს ცაბაოთ უფალი. 30.
უწინასწარმეტყველე მათ ეს სიტყვები
და უთხარი: ზეგარდმო იგრგვინებს
უფალი და თავისი წმიდა სადგომიდან
მოიღებს ხმას; მეხივით იგრგვინებს
თავის ფარეხზე, ყურძნის მწნეხავივით
იყიჟინებს ქვეყნის ყველა მკვიდრზე:
31. ქვეყნის კიდემდე მიაღწევს განგა-
ში, რადგან დავა ექნება უფალს ხალ-
ხებთან; ყველა ხორციელის განსჯას
აპირებს. ბოროტმოქმედნი მახვილს უნ-
და მისცეს, ამბობს უფალი. 32. ასე
ამბობს ცაბაოთ უფალი: აჰა, უბედუ-
რება მოივლის ხალხებს და დიდი ქა-
რიშხალი ამოვარდება ქვეყნის კიდი-
დან. 33. ქვეყნის კიდემდე ეყრებიან იმ
დღეს უფლის დახოცილნი. არავინ და-
იტირებს, არავინ აკრეფს, არავინ და-
მარხავს. ნეხვივით ეყრებიან მიწის პი-
რზე. 34. ვალალებდეთ, მწყემსებო,
ჰკიოდეთ, მტვერი დაიყარეთ, ჯოგის
პატრონებო, რადგან დადგა თქვენი
დაკვლის ჟამი! გაგფანტავთ და ძვირ-
ფასი ჭურჭელივით დაიმსხვრევით. 35.
გასაქცევი აღარ გექნებათ მწყემსებს
და თავშესაფარი — ჯოგის პატრონებს.
36. აჰა, ისმის მწყემსების კივილი და
ჯოგის პატრონთა ვაების ხმა, რადგან
აჩანაგებს უფალი მათ საძოვრებს. 37.
დაიქცა მშიდობიანი სადგომები უფ-
ლის ცეცხლოვანი რისხვისაგან. 38.
გამოვიდა, როგორც ლომი, თავისი სა-
დგომიდან, რადგან გაუდაბურდა მათი
ქვეყანა დამლუპველი მახვილისგან და
მისი ცეცხლოვანი რისხვისაგან.

თავი ოცდამეექვსე

1. იუდას მეფის, იოსიას შვილ იოიაკიმის
ძის მეფობის დასაწყისში — ეს სიტყვა
იყო ნათქვამი უფლისაგან. 2. ამბობს
უფალი: დადექი უფლის სასახლის ეზ-
ოში და ამცნე უფლის სახლში თაყვა-
ნის საცემად იუდას ქალაქებიდან მო-
სულებს ეს სიტყვები, რომელიც გამო-
იცხადე მათთვის სათქმელად. ერთი
სიტყვაც არ დააკლო. 3. იქნებ გაიგო-
ნონ და მოიქცნენ თავიანთი ბოროტი
გზიდან და მეც თავს შევიკავებ ბორო-
ტისგან, რასაც მათ ვუპირებდი მათი
ბოროტი საქმეების გამო. 4. უთხარი
მათ: ასე ამბობს უფალი: თუ არ გამი-
გონებთ და არ მოიქცევით ჩემი რჯუ-
ლის თანახმად, როგორც დამიწესებია
თქვენთვის, 5. თუ არ გაუგონებთ ჩემს
მსახურთ — წინასწარმეტყველთ, რო-
მელთაც გამუდმებით გიგზავნიდით და
გიგზავნიდით, მაგრამ არ უგონებდით
მათ, 6. ისევე მოვექცევი ამ სახლს, რო-
გორც სილოამს მოვექეცი. დედამიწის
ყველა ხალხის შესაჩვენებლად გავხდი
ამ ქალაქს. 7. უსმენდნენ მღვდლები და
წინასწარმეტყველნი იერემიას, როცა
ის ამბობდა ამ სიტყვებს უფლის სახლში.
8. როცა დაასრულა იერემიამ ყველა-
ფრის თქმა, რაც ნაბრძანები ჰქონდა
მისთვის უფალს, რომ ხალხისთვის
ეთქვა, შეიპყრეს იგი მღვდლებმა და
წინასწარმეტყველებმა, მთელმა ხალხ-
მა ყვირილით: მოსაკლავი ხარ! 9. რა-
ტომ წინასწარმეტყველებ უფლის სა-
ხელით, რომ ამბობ, სილოამივით და-
ინგრევაო ეს სახლი და ეს ქალაქიც
გაოხრდება და გაუკაცრიელდებაო?
შემოადგა მთელი ერი იერემიას უფ-
ლის სახლში. 10. გაიგეს ეს ამბავი იუ-
დას მთავრებმა, ავიდნენ სამეფო სახ-
ლიდან უფლის სახლში და დასხდნენ
უფლის ახალი კარიბჭის შესასვლელ-
თან 11. მოახსენეს მღვდლებმა და წი-
ნასწარმეტყველებმა მთავრებსა და
მთელს ერს: სასიკვდილოა ეს კაცი, რა-
დგან ამ ქალაქის საბოროტოდ ქადა-
გებს, როგორც თქვენი ყურით გაიგრ-

ნეთ. 12. უთხრა იერემიამ ყველა მთავარს და მთელს ერს: უფალმა მომავლინა, რომ ამ ქალაქის წინააღმდეგ მექადაგნა ყველა ეს სიტყვა, რაც გაიგონეთ. 13. ამიერიდან გამოისწორეთ ზნე და საქციელი და გაიგონეთ უფლის, თქვენი ღვთის ხმა, და უფალიც თავს შეიკავებს ბოროტისაგან, რასაც გიძირებთ. 14. მე კი, აჰა, თქვენს ხელთა ვარ. რასაც სწორად და სამართლიანად მიიჩნევთ, ის მიყავით. 15. ოღონდ იცოდეთ, თუ მომკლავთ, უბრალო სისხლს დაიდებთ თქვენ, მთელი ქალაქი და მისი მკვიდრნი. რადგან ნამდვილად უფალმა მომავლინა, რომ თქვენს გასაგონად მელაპარაკა ეს სიტყვები. 16. და უთხრეს მთავრებმა და მთელმა ერმა მღვდლებსა და წინასწარმეტყველთ: არ არის ეს კაცი სასიკვდილო, რადგან უფლის, ჩვენი ღვთის სახელით გველაპარაკება. 17. წამოდგნენ ქვეყნის უხუცესთაგანნი და უთხრეს ხალხის მთელს კრებულს: 18. მიქა მორეშეთელიც წინასწარმეტყველებდა იუდას მეფის, ხიზკიას დროს და ეუბნებოდა მთელს იუდას: ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ყანად გადაიხნებაო სიონი და ქვის გროვად იქცევაო იერუსალიმი და ტაძრის მთატყიან ბორცვადო. 19. განა მოუკლავთ იგი იუდას მეფეს ხიზკიას და მთელს იუდას? ხომ შეეშინდათ უფლისა და დაუწყეს ვედრება უფალს, და უფალმაც ხომ თავი შეიკავა ბოროტისაგან, რასაც უპირებდა მათ. ჩვენ კი დიდ ბოროტებას ჩავდივართ ჩვენივე თავისთვის. ერთი ვინმეც წინასწარმეტყველებდა უფლის სახელით — ურია შემაყიას ძე, კირიათ-იეყარიმიდან. წინასწარმეტყველებდა ამ ქალაქისა და ამ ქვეყნის წინააღმდეგ სწორედ იერემიას სიტყვებით. 21. როცა გაიგეს მისი ნათქვამი მეფე იეჰოაკიმმა, მისმა მოყმეებმა და მთავრებმა, მოსაკლავად დაუწყო ძებნა მეფემ. და გაიგო ურიამ, შეშინდა და ეგვიპტეში გაიქცა. 22. და გააგზავნა მეფე იეჰოაკიმმა კაცები — ელთანან ყაქბორის ძე [illegible] — მასთან ერთად ეგვიპტეში. 23. და გამოიყვანეს ურია ეგვიპტიდან და მიჰგვარეს მეფე იეჰოაკიმს, რომელმაც მახვილს მისცა იგი და მისი გვამი მდაბიორთა სასაფლაოზე გადააგდებინა. 24. მაგრამ იერემიას ახიკამ შაფანის ძის ხელი იფარავდა, რომ ხალხის ხელში არ ჩავარდნილიყო და არ მოეკლათ.

თავი ოცდამეშვიდე

1. იუდას მეფის, იეჰოაკიმ იოშიას ძის მეფობის დასაწყისში იყო ეს სიტყვა იერემიას მიმართ უფლისაგან ნათქვამი: 2. ასე მითხრა უფალმა: გაიკეთე მოსართავები და უღელი და ქედზე დაიდე. 3. შეუთვალე ედომის მეფეს, მოაბის მეფეს, ყამონელთა მეფეს, ტვიროსის მეფეს და ციდონის მეფეს მოციქულთა პირით, რომელნიც იერუსალიმში მოვიდნენ ციდკიასთან, იუდას მეფესთან. 4. და დაავალე ეს უთხრან თავ-თავის ბატონებს: ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი, ასე უთხარით თქვენს ბატონებს: 5. მე შევქმენი მიწა, ადამიანი და პირუტყვი მიწის პირზე, ჩემი დიდი ძალითა და მოღერებული მკლავით, და მას ჩავაბარე, ვინც წრფელად მიჩნდა ჩემს თვალში. 6. ამიერიდან მთელი ეს ქვეყნები ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, ჩემს მსახურს, უნდა ჩავაბარო ხელში; ველის მხეცებიც მისთვის ჩამიბარებია, რათა ემორჩილებოდნენ მას. 7. ყველა ხალხი დაემორჩილება მას, მის შვილს და მის შვილთა შვილს ვიდრე არ დაუდგება ჟამი მის ქვეყანასაც, როცა დაიმორჩილებენ მრავალრიცხოვანი ხალხები და დიდი მეფეები. 8. თუ იქნა ისეთი ხალხი და სამეფო, რომლებიც არ დაემორჩილებიან მას, — ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, და ქედს არ

მოიხრიან ბაბილონის მეფის უღლის ქვეშ, მახვილით, შიმშილით და შავი ჭირით დავსჯი ამ ხალხს, ამბობს უფალი, ვიდრე მისი ხელით საბოლოოდ არ გავანადგურებ. 9. თქვენ, კი, ნუ დაუჯერებთ ნურც თქვენს წინასწარმეტყველებს, ნურც თქვენს მისნებს, ნურც თქვენს სიზმრებს, ნურც თქვენს მკითხავებს და ნურც თქვენს ჯადოქრებს, რომლებიც გეუბნებიან: ნუ დაემორჩილებითო ბაბილონის მეფეს. 10. რადგან მხოლოდ სიცრუეს გიწინასწარმეტყველებენ ისინი, რათა მოშორდეთ თქვენს მიწას, რომ მე განგდევნოთ და დაიღუპოთ. 11. ხოლო ხალხს, რომელიც მოიხრის ქედს ბაბილონის მეფის ქვეშ და დაემორჩილება, დავტოვებ თავის მიწაზე, ამბობს უფალი; დაამუშავებენ მას და იცხოვრებენ იქ. 12. ციდკიას, იუდას მეფეს, ვუთხარი იგივე სიტყვები, რომ მოიხარეთ-მეთქი ქედი ბაბილონის მეფის უღლის ქვეშ, დაემორჩილეთ მას და მის ხალხს, და ცოცხალი გადარჩებით-მეთქი. 13. რისთვის უნდა დაიხოცოთ შენ და შენი ერი მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით, როგორც დაემუქრა უფალი იმ ხალხს, რომელიც არ დაემორჩილება ბაბილონის მეფეს. 14. ნუ დაიჯერებთ წინასწარმეტყველთა სიტყვებს, რომ გეუბნებიან: არ დაემორჩილოთო ბაბილონის მეფეს. რადგან სიცრუეს გიწინასწარმეტყველებენ. 15. რადგან მე არ მომივლენია ისინი, ამბობს უფალი; ცრუდ წინასწარმეტყველებენ ჩემი სახელით, რათა განგდევნოთ და დაიღუპოთ თქვენს წინასწარმეტყველებთან ერთად. 16. მღვდლებსა და მთელს ამ ერს ველაპარაკე და ვუთხარი: ასე ამბობს-მეთქი უფალი: ნუ დაიჯერებთ თქვენს წინასწარმეტყველთა სიტყვებს, რომ გიწინასწარმეტყველებენ: აჰა, სადაც არის დაბრუნდება ბაბილონიდან უფლის სახლის ჭურჭელიო. რადგან სიცრუეს გიწინასწარმეტყველებენ. 17. ნუ დაუჯერებთ მათ, დაემორჩილეთ ბაბილონის მეფეს და ცოცხლები დარჩებით. რისთვის უნდა აოხრდეს ეს ქალაქი? 18. თუ წინასწარმეტყველნი არიან ისინი და თუ უფლის სიტყვა აქვთ მათ, შეეეედრონ ცაბაოთ უფალს, რომ უფლის სახლში, იუდას მეფის სახლში და იერუსალიმში დარჩენილი ჭურჭელი არ წავიდეს ბაბილონს. 19. რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი სვეტებზე, აპილენძის ავაზანზე, კვარცხლბეკებზე და ამ ქალაქში დარჩენილ სხვა ჭურჭელზე, 20. რომლებიც არ წაუღია ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, როცა იერუსალიმიდან ბაბილონში გადაასახლა იუდას მეფე იექონია, იეჰოაკიმის ძე, იუდასა და იერუსალიმის წარჩინებულებთან ერთად. 21. რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი, უფლის სახლში, იუდას მეფის სახლში და იერუსალიმში დარჩენილ ჭურჭელებზე: 22. ბაბილონს იქნება წაღებული და იქ დარჩება, ვიდრე არ მოვხედავ მათ, ამბობს უფალი, და არ გამოვატანინებ ამბობს უფალი, და არ გამოვატანინებ და არ დავაბრუნებინებ ამ ადგილზე.

ᲗᲐᲗᲘ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲠᲕᲔ

1. იმავე წელს, იუდას მეფის ციდკიას მეფობის დასაწყისში, მეოთხე წლის მეხუთე თვეს ხანანია ყაზურის ძემ, გაბაონელმა წინასწარმეტყველმა, მითხრა უფლის სახლში მღვდლებისა და მთელი ხალხის თვალწინ: 2. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: დავლეწე ბაბილონის მეფის უღელი. 3. ორ წელიწადში დავაბრუნებ ამ ადგილზე უფლის სახლის მთელს ჭურჭელს, რომელიც წაღებული აქვს ამ ადგილიდან ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, ბაბილონში. 4. იუდას მეფეს, იექონიას იეჰოაკიმის ძეს, და მთელს გადასახლებულ იუდაელობას, რომელნიც ბაბილონში მივიდნენ, დავაბრუნებ ამ ადგილ-

ას, ამბობს უფალი. რადგან დავლეწავ ბაბილონის მეფის უღელს. 5. უთხრა იერემია წინასწარმეტყველმა ხანანია წინასწარმეტყველს მღვდლებისა და უფლის სახლში მდგარი მთელი ხალხის თვალწინ, 6. და თქვა იერემია წინასწარმეტყველმა: ამენ! ასე ქმნას უფალმა! აღასრულოს უფალმა შენი ნათქვამი, რაც იწინასწარმეტყველე უფლის სახლის ჭურჭლისა და გადასახლებულთა დაბრუნებაზე ბაბილონიდან ამ ადგილზე. 7. ოღონდ მოისმინე ეს სიტყვა, რასაც ვიტყვი შენს გასაგონად და მთელი ხალხის გასაგონად: 8. წინასწარმეტყველნი, რომელნიც ჩემამდე და შენამდე იყვნენ დასაბამიდან, ომს, უბედურებას და შავ ჭირს უწინასწარმეტყველებდნენ ბევრ ქვეყანას და დიდ სამეფოებს. 9. წინასწარმეტყველს, რომელიც მშვიდობას წინასწარმეტყველებდა, მხოლოდ მისი წინასწარმეტყველების სიტყვის ახდენის შემდეგ სცნობდნენ წინასწარმეტყველად და ჭეშმარიტად უფლის მოციქულად. 10. და ჩამოხსნა ქედიდან ხანანია წინასწარმეტყველმა უღელი იერემია წინასწარმეტყველს და დალეწა. 11. და თქვა ხანანიამ მთელი ხალხის თვალწინ: ასე ამბობს უფალი: ამნაირად დავლეწავ ნაბუქოდონოსორის, ბაბილონის მეფის, უღელს ორ წელიწადში ყველა ხალხის ქედზე. და წავიდა იერემია წინასწარმეტყველი თავის გზაზე. 12. და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ მას შემდეგ, რაც დალეწა ხანანია წინასწარმეტყველმა უღელი იერემია წინასწარმეტყველის ქედზე: 13. წადი და უთხარი ხანანიას: ასე ამბობს-თქო უფალი: ხომ დალეწე ხის უღელი, ახლა რკინის უღელი გააკეთე მის ნაცვლად. 14. რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: რკინის უღელს დავადგამ ქედზე ამ ხალხებს, რათა დაემორჩილონ ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, და დაემორჩილებიან კიდეც. და ველის მხეცებსაც მას ჩავაბარებ. 15. უთხრა იერემია წინასწარმეტყველმა ხანანია წინასწარმეტყველს: მისმინე, ხანანია. უფალს არ მოუვლენიხარ და ტყუილად აიმედებ ამ ხალხს. 16. ამიტომ ასე ამბობს უფალი: აჰა, წარგავლენ მიწის პირიდან. წელს მოკვდები, რადგან უფლისგან განდგომას ქადაგებ. 17. და მოკვდა ხანანია წინასწარმეტყველი იმავე წლის მეშვიდე თვეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი
1960 წლიდან — 1967 წლამდე

ცოცხლობს და იბრძვის

ჟურნალ „მნათობის“ წვლილი და დამსახურება ქართული კულტურის განვითარებაში უდავოდ დიდი და მნიშვნელოვანია.

ქართველი მწერლისათვის ამ ჟურნალის რედაქტორობა ყოველთვის დიდი პატივი იყო და ეს პატივი მეც მხვდა წილად სამოციან წლებში.

ეს ის დრო იყო, როცა ქართულ მწერლობაში მოსული ახალი ტალღა ჩვენი ლიტერატურის წამყვან ძალად მკვიდრდებოდა და თამამად უბრუნებდა უფლებებს ბევრ რამეს, მანამდე აკრძალულსა და ტაბუდადებულს.

პარტიის მეოცე ყრილობის შედეგად ყინული კი დაიძრა, მაგრამ ცენზურას შესუსტება არ ეტყობოდა და „მნათობის“ რედაქტორს მაღალ ინსტანციებში უხდებოდა ბრძოლა ეჭვქვეშ დაყენებული ავტორების ნაწარმოებების დასაცავად.

საბედნიეროდ, ეს ბრძოლა თითქმის ყოველთვის, ავტორებისა და რედაქციის გამარჯვებით მთავრდებოდა.

ასე მიდიოდა მკითხველამდე ის მოთხრობები და რომანები, ლექსები და პოემები, რომლებიც უახლესი ქართული მწერლობის სიამაყედ, მკითხველის საყვარელ წიგნად იქცნენ.

„მნათობი“ ერთგული რჩება თავისი ტრადიციის — შორს იდგეს ყოველგვარი ანტილიტერატურისაგან და ფართოდ წარმოადგინოს ქართული მწერლობის ყველა საუკეთესო მიღწევა. ამ ტრადიციების დამცველია ჟურნალის ნიჭიერი კოლექტივი ჩვენი ცნობილი პოეტისა და ბელეტრისტის არჩილ სულაკაურის მეთაურობით.

„მნათობის“ არსებობა ყოველთვის იმდენად მნიშვნელოვნად ითვლებოდა ჩვენი ეროვნული კულტურისათვის, რომ მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი, როცა ყველა სხვა ლიტერატურული ორგანო არსებობას წყვეტდა, „მნათობი“ მაინც წინანდებურად გამოდიოდა, უცვლელი მოცულობითა და პერიოდულობით.

და რაოდენ სამწუხაროა რომ „მნათობს“ დღეს არსებობისათვის ბრძოლა უხდება!

მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ისინი, ვისზედაც ქართული მწერლობის ბედია დამოკიდებული, ყველაფერს გააკეთებენ „მნათობის“ გადასარჩენად.

გადახედეთ დიდი დაგვიანებით გამოსულ „მნათობის“ ნომრებს და დარწმუნდებით, რომ ქართული მწერლობა ცოცხლობს და იბრძვის. ცოცხლობს და იბრძვის „მნათობიც“!

3. „მნათობი“, № 1—2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი
1973 წლიდან — 1982 წლამდე

არამარტო ტკბილ ხმათათვის...

დავიწყებ სულ მცირე მოგონებით: 1975 წელი... აგვისტოს შუა რიცხვებია... იმ დღეს, ჩვეულებისამებრ, ადრიანად წავედი რედაქციაში და შევუდექი ხელნაწერების კითხვას. არ გასულა დიდი ხანი, კაბინეტის კარი შემოაღო ცნობილმა ისტორიკოსმა და პუბლიცისტმა, პროფესორმა პროკოფი რატიანმა. ხელში ორი ვებერთელა საქაღალდე უჭირავს. წამოვიდა ჩემკენ და ხელნაწერები მაგიდაზე დააწყო. პროკოფი ჩემი ახლო მეგობარი იყო და ადვილად ვუგებდით ერთი-მეორეს. ახლაც, სალამ-ქალამი რომ დავამთავრეთ, ვკითხე:

—რა ამბავია, პროკოფი, ეს რა მძიმე ტვირთი მოიტანე?!

—ოო, ეს ისეთი ტვირთია, ყველა ვერ ასწევს. რომანია თბილისზე.

ისევ მხატვრულ პროზაზე გადახვედი, პროკოფი, — ვუთხარი და თან გავიხსენე, რომ ადრე, როცა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ვიყავ მისი პირველი მოთხრობა მე დავბეჭდე ზემოხსენებული გაზეთის ფურცლებზე. ეს იყო პირველიცა და უკანასკნელიც. მას მერე პროკოფის თავისი კალამი პროზის ჟანრში აღარ უცდია.

—არა, გეშლება, — მეუბნება პროკოფი, — ეს რომანი ჩემი არ არის, — ამასობაში გავხსენი პირველი საქაღალდე, მოვნახე თავფურცელი, სათაური აწერია — „აივნიანი ქალაქი“, მაგრამ ავტორის გვარი არა ჩანს.

გაოცებულმა შევხედე პროკოფის და ვუთხარი:

—კაცო, რა საიდუმლო სერობა მოაწყე, გამაგებინე რას ნიშნავს ყოველივე ეს, ვისია ეს თხზულება, ვინ არის ავტორი?

—მოიცა, ნუ ცხარობ, — მეუბნება პროკოფი და თან ეღიმება,, ფიცი მაქვს დადებული და ნუ გამატეხინებ. მაგ რომანის ავტორმა მითხრა, წაიღე ეს ხელნაწერი „მნათობის“ რედაქციაში, გადაეცი რედაქტორს ისე, რომ არ უთხრა, ვინ არის ავტორი, წაიკითხოს და თუ არ მოეწონა, გამოართვი და უსიტყვოდ წამოიღე; ხოლო თუ მოეწონა, მაშინ ყველაფერი გაუმხილე და, დაე, წიგნს ქეთილი გზა მისცეს. ეს მითხრა და დამაფიცა, რომ განსაზღვრულ ვადამდე ავტორის ვინაობას არ გავამხელდი...

ძნელი გასაგები არ იყო ამ ჯერჯერობით უცნობი ავტორის ჩანაფიქრი— ყველა ერთნაირად როდი განიცდის თავისი ქმნილების წარმატებას თუ წარუმატებლობას.

„აივნიანი ქალაქი“ შინ წავიღე, პირველი ფურცლების წაკითხვისთანავე ჩემთვის ნათელი იყო, რომ საქმე მქონდა ბრწყინვალე ნაწარმოებთან. წაკითხვა რომ დავამთავრე, უმალ დავურეკე პროკოფის და ვუთხარი:

—ეს არის ჭეშმარიტად უმაღლესი ხარისხის ქმნილება. ნამდვილი შედევრი. რაოდენ ღრმა ცოდნით და მაღალნიჭიერებით არის დახატული საქართველოს ცხელი გული — დედათბილისი! მთელი მეცხრამეტე საუკუნე ხელმსგულივით არის გადაშლილი ამ წიგნში. რა სჭირს ამ რომანს დასა-

ფარავი და დასამალავი! რას მაწვალებ, პროკოფი, ახლა მაინც მითხარი, ვინ არის ის დალოცვილი და როდის გამოჩნდება?!

—ცოტაც მოიცადე, — მიპასუხა პროკოფიმ, — ხვალ დილით მე და მაგ რომანის ავტორი ერთად მოვალთ რედაქციაში.

მართლაც, მეორე დღეს გაიღო კარი და კაბინეტში შემოვიდნენ პროკოფი რატიანი და ვალერიან გაბაშვილი —ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი. მისი რომანის ბეჭდვა დავიწყეთ იმავე წლის ოქტომბრის ნომრიდან და დავამთავრეთ მომდევნო წლის ოქტომბერში, ბატონმა ვალერიანმა ამჯერად მკითხველს დაუმალა თავისი ვინაობა — „აივნიანი ქალაქი“ დაიბეჭდა ნიკოლოზ ლგაბაონის ფსევდონიმით. შემდეგ, უკვე 1988 წელს რომანი ცალკე წიგნად გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“.

ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი კარგი რომანი თუ მოთხრობა, ლექსი თუ პოემა, პიესა თუ ნარკვევი, პუბლიცისტური წერილი თუ მეცნიერული გამოკვლევა შემატა „მნათობმა“ ქართულ კულტურას თავისი არსებობის შვიდი ათეული წლის მანძილზე! თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მნათობის“ ისტორია არის მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, მაუწყებელი ქართული აზრის წინსვლისა და გამოფხიზლებისა, რომელიც მიუხედავად მკაცრი და სუსხიანი კომუნისტური რეჟიმისა, მაინც ახერხებდა გამოეხატა ქართველი კაცის სანუკვარი ფიქრი და ოცნება. „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილმა არაერთმა ნაწარმოებებმა მსოფლიო რეზონანსი ჰპოვა.

„მნათობი“ მეოცე საუკუნის ქართლის ცხოვრების პირუთვნელი მატიანეა. მისი ფურცლებიდან არაერთგზის მოისმოდა იმედიანი ხმა ქართველი მწერლისა, ქართველი ხელოვანისა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ იგი მოსულია ამ ქვეყნად [illegible] ტკბილ ხმათათვის, რომ იგი მარტო ლხინში კი არა, ჭირშიც უნდა დაუდგეს გვერდით თავის ხალხს, მისი არა მარტო ბედი, არამედ უბედობაც უნდა გაიზიაროს. „მნათობის“ ისტორიაში სამუდამოდ აღბეჭდილია ეპიზოდები მისი ბრძოლისა მკაცრ ცენზურასთან, როცა რედაქცია მაინც თავისას გაიტანდა ხოლმე. აქ მარტო ერთ მაგალითს დავასახელებ — გავიხსენოთ რამდენი ტანჯვით და წვალებით იბეჭდებოდა „მნათობის“ ფურცლებზე ოთარ ჩხეიძის შესანიშნავი რომანები, რომლებშიც მხილებული იყო კომუნისტური რეჟიმის უსამართლობა და უკანონობა.

„მნათობის“ რედაქციაში თავიდანვე დამკვიდრებული იყო ის თბილი ატმოსფერო, რომელიც უმალ შეახსენებდა და აგრძნობინებდა მწერალს, რომ ის სტუმარი კი არ არის, არამედ თავის სახლში მოვიდა, თავის წრეში იმყოფება, თავის ოჯახში. ჟურნალის თანამშრომლები მუდამ ფაქიზი სიყვარულით და მზრუნველობით დასტრიალებენ თავს ყოველ ახალსა და კარგ ნაწარმოებს, რომელი ჟანრისაც არ უნდა იყოს იგი და რომელი თაობის მწერალსაც უნდა ეკუთვნოდეს. ეს ჩუმი სიყვარული, რომელიც თან ახლავს რედაქციის მუშაკის საქმიანობას, შინაგანად ათბობს და სტიმულს აძლევს ლიტერატორის შრომას.

„მნათობს“ დღეს კვლავაც მარჯვედ უძღვება შესანიშნავი კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას გამოჩენილი ქართველი პოეტი და პროზაიკოსი არჩილ სულაკაური. მივულოცოთ მათ ეს თარიღი და ვუსურვოთ წარმატება შრომაში, პირადი ბედნიერება და ჯანმრთელობა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯა მაღრაძე

ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი
1967 წლიდან 1973 წლამდე

საამაყო ჟურნალი

ჟურნალი „მნათობი“ ქართველი ხალხის სიამაყეა. თავის ღვიძლ შვილთა სულიერი ცხოვრების ფორმირების, ჩამოყალიბების, აღზრდისა და ლიტერატურული გემოვნების გამომუშავება დახვეწის უფაქიზესსა და დიდად საპასუხისმგებლო საქმეს იგი ყოველთვის ერთგულად და პირნათლად ემსახურებოდა.

გავლილი წლების მანძილზე ჩვენ შევეჩვიეთ, რომ სწორედ ამ ჟურნალში იბეჭდებოდა ქართული გონებისა და მხატვრული სიტყვის გამოჩენილ ოსტატთა ხელთუქმნელი ძეგლები, რის გამოც ჟურნალმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა.

გამოვლილმა წლებმა ჩვენ იმასაც მიგვაჩვია რომ ჩვენში იმართებოდა ხალხმრავალი თავყრილობები, სუფევდა საზეიმო განწყობილება, საიუბილეო საღამოები დახუნძლული იყო ამაღლებული ცერემონიალებით, რაც ჩვენში სიამაყის ისეთ გრძნობებს ბადებდა, რომ ადამიანის სულში ყოველივეს თრგუნავდა. 1990 წლიდან კი ჩვენს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში დაიწყო დაუსრულებელი დამარცხებების უსასრულო სერიალი, რაც ჩვენში სინამდვილის ყველა სფეროს შეეხო და ეს დაღმავლა ამჟამადაც გრძელდება.

მინდა ვუსურვო „მნათობის“ მადლით მადლცხებულ მთავარ რედაქტორს, და ჟურნალის მთელ კოლექტივს, რომლებთანაც ერთად ჩემი შეგნებული ცხოვრების ექვსი წელი გავატარე, გაუტეხელი ჯანი, შემართება და ჭირთა თმენა, რომ ქართული მწერლობის ფლაგმანი ჟურნალის დუხჭირი ეკონომიკური პრობლემები დაეძლიოთ. დანარჩენი ყოველი საკითხის მოგვარება და მოვლა-პატრონობა თვითონ ეხელწიფებათ, რადგან საქმეს შესაშური გულმოდგინებით უძღვებიან.

გურამ ფანჯიკიძე

ერის საკეთილდღეოდ

„მნათობი“ უპირველესი ჟურნალია ქართული მწერლობისა. მაშინაც კი, როცა ქართული ლიტერატურისადმი მტრულად განწყობილმა სახელმწიფო მესვეურებმა „ლიტერატურული გაზეთი“ და სხვა ქართული ლიტერატურული ჟურნალები იოლად გაწირეს დასაღუპად, „მნათობს“ მაინც ვერ გაუბედეს დახურვა. მხოლოდ „მნათობი“ დარჩება ბიუჯეტზე, განაცხადეს მათ. რასაკვირველია, ამ ვაჟბატონებს არ უნდოდათ ხალხისათვის აშკარა გამხდარიყო

მათი ჯვაროსნული ლაშქრობა ქართული მწერლობისა და კულტურის წინააღმდეგ. ამიტომაც ვერ შებედეს „მნათობს“, რომლის ფურცლებზე 70 წლის მანძილზე გამოქვეყნდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა უდიდესი ნაწილი, რომლის ფურცლებზეც ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის ახალი ქართული ლიტერატურა თავისი მიღწევებითა და ნაკლოვანებებით, თავისი აღმავლობითა და ჩავარდნებით. „მნათობი“ სარკეა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების, სადაც მთლიანად შეიძლება დაინახო და გააანალიზო ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები.

„მნათობის“ ასეთი საყოველთაო სიყვარული და აღიარება ალბათ იმანაც განაპირობა, რომ მის სათავეში ყოველთვის დიდებული ადამიანები იდგნენ. ასე იყო უწინ, ასეა დღესაც, ამ უაღრესად გაჭირვების ჟამს, ჟურნალის მშვენიერ კოლექტივს სათავეში უდგას ჩვენი შესანიშნავი მწერალი ... კაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო „მნათობელებო“, მინდა მოგილოცოთ ჟურნალის დაარსებიდან 70-ე წელი. მინდა გითხრათ, რომ ვერც „მნათობს“, ვერც ჩვენს სხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებს ვერაფერს დააკლებს დღევანდელი დღის სიმძიმე, ქაოსი, მილიონი გადაუჭრელი პრობლემა. ვერაფერს დააკლებს, რადგან ყოველ ჭეშმარიტ ქართველ მწერალს დღეს ასულდგმულებს და ამხნევებს ქართული ლიტერატურის სიყვარული, მწერლური სიამაყე და თავდადება.

სწორედ დღევანდელ დღეს გვმართებს შემჭიდროვება და შეკავშირება თავდადებული ბრძოლა და შრომა სამშობლოს, ერის საკეთილდღეოდ!

მუდამ უნდა გვახსოვდეს გოეთეს უკანასკნელი სიტყვები: „რაც არ უნდა მოხდეს, იარეთ წინ!“

რევაზ ჯაფარიძე

70 წლის „მნათობი!“

„მნათობი“ ოდესღაც ერთადერთი ქართული მხატვრული ჟურნალი იყო, სქელი ჟურნალი, როგორც მაშინ უწოდებდნენ. მის სათავეებთან ისეთი დიდი კორიფეები იდგნენ ქართული მწერლობისა, როგორიც გალაკტიონ ტაბიძე და პოლიკარპე კაკაბაძე გახლდნენ. ორივე ამაყობდა თავისი ისტორიული მისიით და ხშირადაც იხსენებდა.

და აი, ქართული მწერლობისა და მკითხველის საყვარელი ჟურნალი ამასობაში 70 წლისა გამხდარა. ამ 70 წლის განმავლობაში მის ფურცლებზე ვინ მოსთვლის რამდენი ლექსი, პოემა, მოთხრობა, რომანი, პიესა, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილი დაიბეჭდა! ერთი გავრცელებული თქმისა არ იყოს, მთელი რუსული პროზა გოგოლის „შინელიდან“ გამოვიდაო გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას რომ მთელი თანამედროვე ქართული მწერლობა „მნათობის“ ფურცლებზე დაიბადა.

თუ ამას ვამბობთ, ნუ გვიწყენენ სხვა ქართული ბეჭდვითი ორგანოები, რომლებიც ქვეყანას გაცილებით გვიან მოევლინენ.

ყველა სხვა კეთილ თვისებასთან ერთად „მნათობს“ კიდევ ერთი კეთილი თვისებაც ჰქონდა და დღესაც აქვს: იგი სქელტანიანი, ტევადი იყო, ბევრ სხვადასხვა ჟანრისა და მოცულობის ნაწარმოებს იტევდა და მისი თითოეული

ნომერი ლიტერატურის მთელ მრავალფეროვნებას წარმოადგენდა.

თავის დროზე ჟურნალს სათავეში უდგნენ ქართული მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები. ისეთები, როგორებიც იყვნენ ბატონები სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, ალიო მირცხულავა, გრიგოლ აბაშიძე, ელ. მაღრაძე, გიორგი ნატროშვილი.

„მნათობი“ დღესაც წარმატებით აგრძელებს ათეული წლების წინათ შექმნილ ტრადიციას თუმცა უკანასკნელ ხანს დიდ სიძნელეებთან შეჭიდებაც მოუხდა. ეს სიძნელეები უმთავრესად პოლიგრაფიული ხასიათისაა. ჭირს საბეჭდი ქაღალდი, მამასისხლად გაიზარდა სასტამბო ხარჯები, მინიმუმამდე დაეცა საავტორო ჰონორარი, დაეცა ტირაჟი, დიდი ევროპელი ერების უპირველეს მხატვრულ ჟურნალებსაც რომ შეშურდებოდა, დაქვეითდა მკითხველთა ინტერესი ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებისადმი.

გული ღმერთმა ნუ გაგვიტეხოს! არ შეიძლება, ეს ამბავი დიდხანს გაგრძელდეს, ქვეყნის ჩიხში შესულ ეკონომიკასთან ერთად ოლიგრაფიული მრეწველობაც არ გამოსწორდეს და „მნათობიც“ არ ჩადგეს თავის კალაპოტში.

მე ძველი „მნათობელი“ ვარ. ყველა ჩემი ვრცელი როზაული ნაწარმოები მის ფურცლებზეა დაბეჭდილი, ოდესღაც, სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობის ჟამს, მის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებსაც ვხელმძღვანელობდი, დღესაც ვითვლები მის კოლეგიის წევრად და ნურავის გაუკვირდება, თუ განსაკუთრებული სიყვარულით მიყვარს „ჩემი ჟურნალი“.

ვულოცავ „მნათობს“ 70 წლის იუბილეს. მრავალ 70 წელს ეშრომოს და ეღვაწოს მას მთელი ქართული მწერლობისა და ერის გულის გასახარად და საამაყოდ!

12 აპრილი, 1994 წ.

ოთარ ჭელიძე

თავისუფალი, ერთიანი და ძალმოსილი საქართველოს დროშით

ჩვენი ქვეყნის ასეთი უმაგალითო შეჭირვების ჟამს ცხოვრება კიდევ უფრო მეტად გამიძნელდებოდა, „მნათობი“ რომ არ არსებობდეს. ჩვენი სახელოვანი ჟურნალის თითოეული ნომრის გამოსვლას ყოველთვე რომ არ მოველოდე.

სიჭაბუკიდან ჯერ მისი ერთგული მკითხველი ვიყავი და მერე — ავტორი: სიბერეშიც ასეთად დავრჩი.

როგორც მშობლიურ და იდუმალ მდინარეს, ისე შეეეზარდე მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის წინამძღვარ ჟურნალს, რომელიც რატომღაც, სამოცდაათი წლისა კი არა, ჩვენი მწერლობასავით ხნოვანი მგონია, არადა, წინ მხოლოდ ერთი წლით მისწრებს.

„მნათობის“ რედაქციის ძალისხმევას ყოველთვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დახვეწილ-გემოვნებიანი, გონებანათელი მამულიშვილები წარმართავდნენ, ყოველი რედაქტორი, რა თქმა უნდა,მეტ-ნაკლებად მას თანდათან თავის თავს ამსგავსებდა ან თავის კვალს აჩნევდა, იმჟამინდელ რეჟიმსაც გარკვეულ ხარკს უხდიდა, ოღონდ ქართული სახე ჟურნალს აროდეს დაკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვია. მაგრამ მარტო ეროვნული სახე და იერი ხომ არ კმარა? ნოვაციებითა და სილრმისეული წვდომებით გაჯერებული „აპოლიტიკური“ შედევრებიც იბეჭდებოდა მის ფურცლებზე. ძველი თუ ახალი თაობის პოეტებს და პროზაიკოსებს აკრძალული ხილის სიტკბო ხშირად იზიდავდა, რაც ასევე ხშირად, რედაქტორის მოხსნითა და მისი სასტიკი გაკიცხვით მთავრდებოდა ხოლმე.

ძალზე მაღალ ლიტერატურულ დონეს „მნათობმა“ ერთი სულმნათი პოეტის რედაქტორობისას მიაღწია, როდესაც იგი ბევრად წინ უსწრებდა სხვისი „ნანინათი“ მიძინებული ერის გონებრივ-სულიერ ცხოვრებას, ისევე, როგორც გვიან, ტვარდოვსკისდროინდელი „Новый мир“-ი — თროობით გაბრუებული ჩრუსეთისას.

საიუბილეო მოკლე წერილში, რაზან ჟურნალის ყველა ღირსების ჩამოთვლა შეუძლებელია, ერთს მაინც ვიტყვი: „მნათობს“ ნამდვილად გაუმართლდა, რადგან მას სიმონ ჩიქოვანის სკოლაგავლილი, მემკვიდრეობით შემორჩენილ და რედაქციის ახალ ნიჭიერ ძალებზე დანდობილი შესანიშნავი მწერალი არჩილ სულაკაური უდგას ამ ცოდვისხილვის დღესაც მთავარ რედაქტორად.

სამოცდაათი გაუსაძლისი წლის გამძლე „მნათობს“ — მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ფლაგმანს — ვუსურვებ — კიდევ უფრო მხნედ და გაბედულად ევლოს ქამთაცვლით აზავთებულ ოკეანეში — თავისუფალი, ერთიანი ძალმოსილი საქართველოს დროშით.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲬᲘᲜᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘ

ქართველი მწერლების უპირველეს, უმნიშვნელოვანეს, უსაყვარლეს ჟურნალს „მნათობს“ დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეუსრულდა. რამდენი რამის მომსწრეა იგი ამ ხნის მანძილზე — მოქუფრული ზეცის და მზიანი დარის, ხელჩართული ბრძოლის და ხელიხელჩაკიდებული შრომის, ნგრევის და შენების, დაცემის და ამაღლების... შორიდან მზირალი მოწმე როდია, ეს ყველაფერი მის თავზეა დატრიალებული, მის მიერაცაა გადატანილი და განცდილი.

ქართველი ხალხის ყოფა და ცხოვრება ამ სამოცდაათი წლის მანძილზე „მნათობის“ ფურცლებზე მეტ-ნაკლებად შეუმცდარად შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რაკი ჟურნალი მწერლობის სარკეა, ხოლო მწერლობა კი — ცხოვრებისა. თავის ამ მოწოდებას ჟურნალი მუდამ გრძნობდა და ერთგულებდა დღიდან მისი დაარსებისა. ეს მოწოდება სხვასაც გულისხმობდა, იქნებ უფრო მთავარსაც: იგი ქართული მწერლობის, მასთან ერთად კი ცხოვრების წინსვლის, განვითარების, განწმენდის, ამაღლების შემწე უნდა ყოფილიყო. იყო კიდეც. არის კიდეც. ახალი მეისტორიები ტყუილად ნუ შეეცდებიან მისი ამ ღვაწლის დამცირებას.

დროის მდინარებაში „მნათობი“ მეტწილად მარტო მიიკვლევდა გზას, ხანაც სხვებთან ერთად, მაგრამ გეზი ყოველთვის წინ ეჭირა, მუდამ თავში იყო, როგორც ეს „ფლაგმანს“ ეკისრება. მაშინაც კი, როცა ისეთი მშფოთვარე და ძალ-

ოვანი თანამოძმე შეეძინა, როგორც „ცისკარია“, არავის უფიქრია მისი ფლაგმანობის ხელყოფის ცდა. ჩემს თაობასთან ერთად მეც „ცისკრელთა“ ბანაკს ვეკუთვნი, მაგრამ არც მაშინ და მითუმეტეს არც დღეს არავის გვიფიქრია „მნათობის“, ჩვენი ჟურნალის ამ უფროსი ძმის მნიშვნელობისა და როლის დაკნინება. დროის სწრაფმა დინებამ მალე გადაგვისროლა „მნათობის“ ფურცლებზე. „ცისკარს“ ახლა ჩვენი მომდევნო თაობა დაეპატრონა, მაგრამ არც მას გაუმჟღავნებია ღრმა პატივისცემისა და მოწიწების გარდა სხვა რამ.

„მნათობი“ თავისი არსებობის მანძილზე მუდამ ინარჩუნებდა „აკადემიური“ ჟურნალის სახელს, მაშინაც კი, როცა დიდი ლიტერატურული შეხლა-შემოხლები იყო და განსხვავებული პოზიციების მქონენი, პოლემიკით გართულნი სხვაგან არ ერიდებოდნენ მკვახე ფრაზებს. იგი მუდამ ცდილობდა მთელი ქართული მწერლობის ტრიბუნად დარჩენილიყო, ნაკლებად აჰყოლოდა ვნებათაღელვის ცდუნებებს და საკუთარი სოლიდური ბუნებითა თუ ხასიათით დაპირისპირებოდა ამჩატებულ განწყობილებებს.

ასეა დღესაც, როცა „მნათობსაც“ მთელ საქართველოსთან ერთად უმძიმესი დღეები დაუდგა, არც ნამდვილ და მითუფრო არც ცრუ ვნებათაღელვებს არ აუმღვრევიათ მისი ყოფა. ათეული წლების მანძილზე მისი ყოველი მოსავალი აბიბინებული ყანაც იყო და მოუწეველი ნაყოფიც, სავსე თავთავიც თუ შეპარული სარეველაც. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან იგი არასოდეს ყოფილა სათბური ხელოვნურად მოწეული ნაყოფის მისაღებად, მის ფურცლებზე მუდამ რეალური ცხოვრების სუნთქვა იგრძნობოდა.

დიახაც, ბევრი რამ გადაფასდება, ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაწარმოებებიც სხვა თვალითა და სხვა კუთხით დაინახება, მაგრამ ტყუილად ნურავინ იფიქრებს „მნათობის“ დადანაშაულებას იმ უამრავი უკუღმართობის გამო, რაც ჩვენს ცხოვრებას თან ახლდა და რამაც თავისი კვალი დატოვა მის ფურცლებზე. მეტსაც ვიტყვი, ესეც დასაფასებელია, რადგან „მნათობი“ ჩვენი ცხოვრების ერთი მეტყველი ჭკუისსასწავლი წყარო იქნება მომავალი თაობებისათვის, იმათთვის ვინც ჯანსაღი და ბედნიერი საქართველოს შემოქმედნი და შემსწრენი იქნებიან.

„მნათობმა“ ისეთ ქარიშხლებს გაუძლო, რომ მისი ჩაძირვა მტრებსაც არ დაესიზმრებათ. ქართული მწერლობის და კულტურის ამ ეროვნულ ხომალდს წინ დაუსრულებელი გზა აქვს და ამ გზაზე ჩვენი მადლიერების გრძნობაც უნდა გავატანოთ თან. მან ეს ჭეშმარიტად დაიმსახურა.

გენო კალანდია

სავანე ნათლისა

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითა და იოანე დამასკელის დასტურით მნათობი არის „არა ნათელი, არამედ სავანე ნათლისა“.

ვზივარ ჩემთვის და ვფიქრობ: რა სივრცის, რა მასშტაბის პოეტები იყვნენ ერთიც და მეორეც. რა ღვთაებრივი გონით უნდა იყო ნაკურთხი, სავანე ნათლისა რომ აღმოაჩინო.

მათი სულიერი მემკვიდრე გახლდათ

ის ღვთისნიერიც, ვინც ახალ სამწერლო ჟურნალს „მ ნ ა თ ო ბ ი“ უწოდა.

შვიდი ათეული წელი იდგა ჯანლისა და ბინდის საუფლოში და მაინც, მაისის თაფლივით ფეთქავდა ქართველი კაცის სიტყვასა და აზროვნებაში, ზნეობასა და სიანკარეში.

ჩემი ოჯახის წევრების გარდა თუ ვინმესთვის რამეს წარმოვადგენ, მათ გასაგონად მინდა ვთქვა, სკოლაში „დედა ენით“ მივედი, მწერლობაშიც — „მნათობით“.

თავმომწონე, პოეტური სენტენციებით აფორიაქებული ჭაბუკისთვის პირველი ლიტერატურული ნათლობაცის გახსნას ჰგავდა. მარად დაუვიწყარი სიმონ ჩიქოვანის გვერდით ახალგაზრდა მწერალთა ბრწყინვალე საკრებულო იდგა ა. სულაკაურის, გ. მარგველაშვილის, რ. ჯაფარიძის ო. ჭილაძის, ნ. რუხაძის სახით.

ორი მათგანი ადრე გაშორდა ამ წუთისოფელს. ორივემ ნაღველი და მწუხარება დამიტოვა გულში. ცხოვრება, როგორც "ზვირთები ევრიპოსისა„ მარად მედინია და რა ბედნიერი ვარ, როცა მათსავე ნაწერებში ვარდის ფურცლებივით ვპოულობ მათ პორტრეტებს.

ღალატით, ქიშპით, შურით გულდამძიმებულ საზოგადოებას დღეს ქართული მწერლობისათვის აღარ სცალია. არც სავანე ნათლისა იზიდავს. თუმცა მავანთა და მავანთა მოსაჩვენებლად ღვთისმშობლის წმინდა ტაძარში ბროწეულის ტოტისხელა სანთლებს ანთებენ.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

ღმერთმა შეუნდოს ყველას!

ქართული მხატვრული სიტყვა პირველად ხნულში, მწვანე ჯეჯილში დაიბადა. შემდგომ ჩვენს ციხე-ტაძრებში, ეკლესიებში, ოდა-სახლებში დაბრძენდა, გადიდდა, შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ბაგეებით ქართული სულის უკვდავებას გვაზიარა.

მიუხედავად სამოცდაცამეტწლოვანი სოციალური კეთრისა, ჟურნალ „მნათობს“ ქართული კლასიკური მწერლობის დედო გზიდან არასოდეს გადაუხვევია...

იობის თმენა და გაძლება რომ არა, ამდენი „ხელი-ხელ საგოგმანები“ მარგალიტი არ გვექნებოდა.

არც წინაპრები მეყვარებოდა,
არც ჩემი თანამედროვენი,
არც მომავალი.

და მე, ყველაზე უბედური ქართველი ვიქნებოდი ამქვეყნად,

მეამაყება, რომ ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ვარ.

ვულოცავ ჩემს ძვირფას ნათლიას დაბადების სახელოვან თაკრილს.

დაე, ქართული სიტყვის ნათელ-მირონი რძესავით ქაფქაფებდეს შენს ბებერ ფურცლებზე!

ტარიელ ჭანტურია

ჩვენ თვითონ უნდა მივიღოთ მოლოცვა...

როგორც ყოველი ყმაწვილი ოცნებობს დიდობაზე, ისე ახალგაზრდობის ჟურნალი „ცისკარიც“ ოცნებობდა დიდობაზე — გამხდარიყო ისეთი, როგორიც სახელმოხვეჭილი „მნათობია“...

უახლესი ქართული მწერლობის ისტორიის გასაცნობად „მნათობის“ გარდა კაცს არც ერთი სხვა გამოცემის დახმარება არ დაგჭირდება — ამაზე პირუთვნელი მემატიანე არ არსებობს. როგორც ცისკრელს, მე მესმის იმ პრეტენზიისა, რაც თუნდაც ჩვენ, ცისკრე-

ლებს, შეიძლება გვქონოდა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — „მნათობი“ უპირველესი მეისტორიეა, და ამასთან იგი ჩვენი კულტურის ერთი უპირველესი საგანძურიცაა. ყველა ეპითეტი, „მნათობის“ დასახასიათებლად მოხმობილი, მართალია — იგი ჩვენი მწერლობის ფლაგმანიცაა, მეწინავეც, მედროშეც, ლიდერიც, უხუცესიც, და მაინც, იგი მარად ახალგაზრდა, მარად ცოცხალი, მარად მოუსვენარი ფენომენია, ისევე, როგორც თავად მწერლობა!

„მნათობი“ ეროვნული სულის თავშესაფარია. „მნათობი“ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მედროშეა, რადგან ასეთია ჩვენი მწერლობა. აზრი არა აქვს მის ფურცლებზე გამოქვეყნებული შედევრების ჩამოთვლას — ასეთ შემთხვევაში ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე კურსის შედგენა მოგვიხდებოდა. „მნათობი“ იბრძვის ახლაც. „მნათობი“ იბრძოლებს მომავალშიც. ამ ბრძოლის ათასობით მაგალითის გახსენება შეიძლება, მაგრამ რაკი ამ თემაზე ამ წუთას მე ვსაუბრობ, სწორედ ჩემთან დაკავშირებულ ერთ პაწია ამბავს გავიხსენებ.

იმ წლებში „მნათობის“ პოეზიის განყოფილებას ოთარ ჭილაძე უძღვებოდა. რედაქტორი გახლდათ ბატონი ელგუჯა მაღრაძე. ოთარს მივუტანე ლექსების ციკლი, სადაც ერთ ლექსში („წვიმა“) მოთხრობილი იყო, თუ როგორ მოვიდა მარტის თვეში ცრემლების წვიმა. იმ დროს 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის მიერ მიღებული შთაბეჭდილება ჯერაც მძაფრი და მოუნელებელი იყო, და ცეკა და მთავრობა ავადმყოფურად რეაგირებდა 9 მარტის ყოველ ხსენებაზე თუ მინიშნებაზე. მოკლედ, ოთარ ჭილაძემ ლექსს ვიზა მისცა, რედაქტორმა ოთარის გადაწყვეტილებას — დასტური და 9 მარტის ტრაგედიის თემაზე ის ლექსი დაიბეჭდა.

დაბეჭდვით კი დაიბეჭდა, მაგრამ ერთი მწერლის წყალობით ეს ამბავი ვასილ მჟავანაძის მოხსენებაში მოხვდა, როგორც „მნათობის“ რედაქციაში პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნების, მეტიც, უიდეობისა და უპრინციპობის მაგალითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომას, სადაც ვ. მჟავანაძემ ამ ლექსის გამო „მნათობის“ რედაქცია გააკრიტიკა, ბატონი ელგუჯა მაღრაძეც ესწრებოდა. რა ცრემლებია ის ცრემლები, ციდან მაინცა და მაინც მარტში რომ ცვიოდაო, დასვა მჟავანაძემ თავისი აზრით რიტორიკული შეკითხვა, მაგრამ მოულოდნელად ელგუჯა მაღრაძის პასუხი მიიღო: ვასილ პავლოვიჩ, ვიეტნამი იგულისხმებაო. მჟავანაძე —როგორც ამტკიცებენ, ბუნებით კეთილშობილი კაცი — ოდნავ შეყოვნდა და მერე თქვა: კაცო, ერთი გაფიქრება ქე გევიფიქრე, ვიეტნამზე ხომ არაა ლაპარაკი — თქვა! ამაზე დარბაზს გულიანად გაეცინა და ინციდენტიც, რომ იტყვიან, ამით ამოიწურა. რაც შეეხება პიროვნებას, ვისი ინიციატივითაც „მნათობი“ და ის ლექსი მჟავანაძის მოხსენებაში მოხვდა, მის გვარს, რომელიც აწ განსვენებული გიორგი ბედინეიშვილის დახმარებით დავადგინე, ალბათ მოგვიანებით გავაცნობ ჩვენს მკითხველებს — ქართველი ხალხის, ქართული კულტურისა და „მნათობის“ წინაშე დამსახურება არავის დაეკარგება!

მოკლედ, იბრძოდა „მნათობი“ და ებრძოდნენ „მნათობს“. ეს ბრძოლა ქართული ეროვნული სულის ბრძოლაა, ჩვენი კულტურის ბრძოლაა!

ჩვენ კი არ უნდა მივულოცოთ სამოცდაათი წლის იუბილარს და მის სახელოვან კოლექტივს, რომელსაც ჩვენი საყვარელი მწერალი და ძმა, ძვირფასი არჩილ სულაკაური ხელმძღვანელობს— ჩვენ თვითონ უნდა მივიღოთ ეს მოლოცვა! — ეს ჩვენი ზეიმია, ჩვენი წარსული და დღეისდღეა, ჩვენი ჭირი და ლხინია, ჩვენი ბედი და უბედობაა, ჩვენი ბრწყინვალე მომავალი და ჩვენი უკვდავებაა!

ახლაც, ვფურცლავ „მნათობს“, ვკითხულობ ბიბლიის წიგნს, და მიხარია, რომ ქართველი ხალხის უსაყვარლეს ჟურნალზე უფლის მადლია გადმოსული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი გეგეჭკორი

ქართული მწერლობის სარკე

ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში პირველად უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, მაშინ შევედი. ჟურნალს სიმონ ჩიქოვანი რედაქტორობდა. რედაქცია თერთმეტსართულიანი სახლის მეორე სართულზე იყო მოთავსებული გმირთა მოედანზე. დიდხანს ვიდექი და შესვლას ვერ ვბედავდი. ამ დროს მოვიდა სიმონ ჩიქოვანი და თავის კაბინეტში რომ შევიდა, უხერხულად შევყევი და ჩემი ლექსები დავუტოვე. ათ დღეში მოდიო, მითხრა, მაგრამ მე კარგა ხანს აღარ მივსულვარ. ეს ის დრო იყო, როცა „ცისკრის“ დაარსებაზე მხოლოდ ლაპარაკობდნენ და ერთადერთი ლიტერატურული ჟურნალი „მნათობი“ იყო. 1956 წელს იგი უკვე ბეჭდავდა ისეთ ნაწარმოებებს, რასაც ადრე ვერ დაბეჭდავდა. ბოლოს მივედი რედაქციაში. სიმონმა მხოლოდ სამი ლექსი დაიტოვა და მირჩია როგორმე თავი დამეღწია კამერულობისათვის.

აქედან დაიწყო ჩემი თანამშრომლობა „მნათობში“. ჟურნალს მრავალი კარგი რედაქტორი ჰყოლია. სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობის დროს ამ ჟურნალში მუშაობდა „მნათობის“ ახლანდელი რედაქტორი არჩილ სულაკაური. ისევე, როგორც სიმონ ჩიქოვანი, არჩილ სულაკაურიც მხოლოდ ქართულ მწერლობით ცოცხლობს და სუნთქავს, ჟურნალს ისიც ისევე თავდადებულად ემსახურება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაშია, რადგან ახლანდელი საარსებო პირობები კატასტროფულია და ჯერ-ჯერობით არც უკეთესობის იმედია. სამოცდაათი წლის იუბილეს „მნათობი“ სავალალო მდგომარეობაში ხვდება. შარშან მისი მხოლოდ რვა ნომერი გამოვიდა. „მნათობი“ მუდამ იყო ქართული მწერლობის წინსვლის ამსახველი, მისი სარკე და ახლა, როცა მის განვლილ გზას ვიხსენებთ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ის ნაწარმოებები გვახსენდება, რომლებიც ქართული მწერლობის მშვენებასა და სიამაყეს წარმოადგენს და სწორედ მის ფურცლებზეა გამოქვეყნებული.

ვულოცავ ჟურნალს მის იუბილეს და ვუსურვებ, რომ მისი ეს სახელოვანი გზა არ შეფერხებულიყოს. ყველანი უნდა მივეხმაროთ „მნათობსა“ და მის შესანიშნავ რედაქტორს არჩილ სულაკაურს, რომ ეს საფრთხე ჟურნალს არ დამუქრებოდეს.

ემზარ კვიტაიშვილი

ქართული მწერლობის დედაბოძი

ჩვენი მწერლობის უპირველესი ჟურნალი „მნათობი“ ამ საუკუნის პირმშოა, უკვე საკმაოდ შეჭარმაგებული, მისი დაარსების სამოცდაათ წლისთავს აღვნიშნავთ, მაგრამ ფესვი გარდასულ საუკუნეებში უდგას, უშორესი წარსულის წიაღიდან იღებს დასაბამს.

„მნათობის“ გზა ფაქტიურად მთელი მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის მიერ განვლილი გზაა — ურთულესი და მეტად საინტერესო, ისტორიული ქარტეხილებით, ეპოქალური მოვლენებით აღსავსე, ბევრჯერ სისხლითა და ცრემლით მორწყული, მაგრამ სამშვიდობოზე გამოსული.

იმედი უნდა ვიქონიოთ, ოცდამეერთე საუკუნეში „მნათობს“ გამოუჩნდება პირუთვნელი მემატიანე და მის

თავს გადამხდარს, ყოველივეს ზუსტად და მიუკერძოებლად აღნუსხავს.

ქართველ მწერალთა მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები პირველად „მნათობშია“ გამოქვეყნებული და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. მაგალითად, მე მინახავს „მნათობში“ დაბეჭდილი ტიციან ტაბიძის 1926 წლის 15 ივნისით დათარიღებული ლექსი „ნუ გაიკვირვებ, როცა გეტყვიან“, სადაც ერთი სტრიქონი ასე იკითხება: „სამშობლო მიწავ! გიკოცნი ფესვებს...“ შემდეგ აქ გაჩნდა „საბჭოთა მიწა!“ შესაძლოა ეს, მიზეზთა გამო, ავტორის ხელითაც მოხდა, მაგრამ, ეფიქრობთ, აქ საჭიროა „მნათობის“ პუბლიკაციას დედნის მნიშვნელობა მივანიჭოთ და სტრიქონი პირვანდელი სახით უნდა აღდგეს. ასეთი შემთხვევები ალბათ სხვაც იქნება და მსგავსი რამ წვრილმანად არ უნდა ჩავთვალოთ.

ამ ჟურნალთან მრავალი ძვირფასი მოგონება მაკავშირებს და ამის გახსენება მუდამ სიამოვნებას მგვრის. „ცისკარში“ მუშაობისას თავად პირველი ცისკრელთაგანი, ჩვენი დაუვიწყარი გიორგი შატბერაშვილი ხშირად გვეხმიანებოდა, გვირეკავდა, რათა მათთან გვეთანამშრომლა. „მნათობის“ მაშინდელი რედაქტორი ბატონი გრიგოლ აბაშიძე ყველანაირ პირობებს გვიქმნიდა, რომ დაგბეჭდილიყავით.

ველი ცისკრელთაგანი, ჩვენი დაუ-

ცხადია, მადლიერების გრძნობით ვიგონებ ელგუჯა მაღრაძის რედაქტორობის წლებს. ყველა ჩვენგანის მადლობის ღირსნი არიან „მნათობში“ ათეული წლობით ერთგულად მომუშავე ქალბატონები — მარიამ აგიაშვილი, რუსუდან ჩაკვეტაძე, ლალი კომახიძე, მერი ხიზანიშვილი... აწ გარდაცვლილი ქალბატონი თამარ ანდღულაძე.

ერთხელ ჩვენმა ბიჭებმა საუბრისას, მახსოვს, „მნათობი“ და „ცისკარი“ ქართული მწერლობის ორ ფილტვს შევადარეთ. მალე, როცა „ცისკარს“ შავი დღეები დაუდგა და იქედან ფითქმის სათითაოდ მოგვიხდა წასვლა გაუსაძლისი მდგომარეობის [illegible] ტარიელ ჭანტურიამ მწარედ იხუმრა, „მნათობი“ ხომ არსებობს, ადამიანს ცალი ფილტვითაც შეუძლია იცოცხლოს და რა გაეწყობა, ერთხანს ჩვენც უნდა გავიჭირვოთ. საბედნიეროდ, სამწუხარო გაუგებრობას მალე მოეღო ბოლო. „ცისკარს“ სათავეში ჯანსულ ჩარკვიანი ჩაუდგა და ჟურნალის პირველი რედაქტორის ბატონ ვახტანგ ჭელიძის მიერ დამკვიდრებული საუცხოო განწყობილება, მიმზიდველი გარემო მთელი სისრულით აღდგა.

კარგა ხანია „მნათობს“ ერთგულად, თავდადებით, საქმის უდიდესი სიყვარულით ხელმძღვანელობს მისი ერთი საუკეთესო რედაქტორთაგანი, სიმონ ჩიქოვანის შესანიშნავ ტრადიციებზე აღზრდილი კაცი. არჩილ სულაკაური, რომელთან თანამშრომლობასაც პირადად მე ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად, მუდამ კეთილად და მადლიერებით მოსაგონრად ვთვლი. იმედი გვაქვს მისი გულისყური და მეგობრული თანადგომა არც მომავალში მოაკლდებათ ჟურნალის ავტორებს.

განსაკუთრებით მიყვარდა „მნათობში“ მისვლა იმ დროს, როცა რედაქცია კავშირგაბმულობის შენობაში, მეოთხე სართულზე იყო მოთავსებული. ლამაზი სიზმარივით მაგონდება დიდი, ძველებურ სალონივით მყუდრო ჰოლი, სადაც თავს ვიყრიდით ხოლმე მეგობრები და ვსაუბრობდით. ახლა, გაპარტახებულ რუსთაველზე გამოსულებს, გულს გვიკლავს იმ დაბუგული შენობის გამურული, უჩარჩოებოდ დარჩენილი სარკმელები, ტყვიებით დაკენკილი და შეტრუსული კედლები... ქუჩის მიტინგების შლეგურ ტალღებზე აგორებული და იმ ვაი-მოძრაობის მღვრიე ქეჩოზე მოქცეული უბადრუკი და ამდენადვე ბოროტი ვითომდაც ხელისუფლების აგ-

ონიის დროს განადგურდა ყოველივე, მათ შორის, რედაქციის მდიდარი არქივი.

დაცინვას, და ბედის ირონიას გავს, რომ სწორედ ბოლო წლებში, როცა საქართველომ თითქოს დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქართულ კულტურას, მწერლობას, ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, კერძოდ, „მნათობს“ ყველაზე მეტად გაუჭირდათ. იზოლაციაში მოქცეულებმა, უჩვეულო პირობებისთვის მოუმზადებლებმა, საბაზრო ეკონომიკის სუსხი სხვებზე მწვავედ ჩვენ ვიგრძენით.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა, მისი ახლანდელი თავკაცი გურამ ფანჯიკიძე ყველაფერს აკეთებს, ძალ-ღონეს არ ზოგავს, რომ როგორმე საარსებო სახსრები მოიპოვოს. საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდა, რომ არა ინფლაციის საშინელი ტემპი (ე. წ. ეროვნულ ვალუტას გამოჩენისთანავე დავუწყეთ დაკამარება და წლისთავზე თითქმის უკვე ავუგეთ [illegible] მწერლები, გარკვეული [illegible], შეურიგდებიან, რომ ფაქტიურად ჰონორარს არ იღებენ, ოღონდ ის, რომ წლის განმავლობაში ჟურნალების ნახევარიც ვერ გამოდის, ძნელი შესაგუებელია. ჩვენი იუბილარი სწორედ ასეთ სავალალო მდგომარეობაში იმყოფება.

„მნათობი“ ქართული მწერლობის დედაბოძი, დედაძარღვია და მისი დაშრეტა, არსებობის შეწყვეტა თვით ჩვენი ლიტერატურის სიკვდილს მოასწავებს. აქ უნდა მოვიშველიოთ ამ ჟურნალის ერთი უპირველესი და უდიდესი ავტორთაგანის გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონი, რომელიც მან სხვა შემთხვევის გამო დაწერა, მაგრამ ჩვენს სადაგ დღეებს არანაკლებ მიესადაგება: „არა, ეს არ შეიძლება მოხდეს!“

დავით მჭედლური

ღირსების გრძნობით

როცა 30-იან წლებში გამოცემულ „მნათობის“ ნომრებს წავაწყდები, ერთგვარად შიშისა და მოკრძალების გრძნობა მიპყრობს. მუყაოს უფერულ ყდაში ჩასმული ეს გაყვითლებული ფურცლები თითქოს რაღაც დიდ საიდუმლოს ინახავენ, თითქოს ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ის დიდი კაცები, დღეს რომ ქართული მწერლობის ოლიმპს ამშვენებენ, ძალზე ჩვეულებრივად დადიოდნენ „მნათობის“ რედაქციაში, მიჰქონდათ თავისი თხზულებები, მუსაიფობდნენ რედაქციის თანამშრომლებთან, კითხულობდნენ კორექტურას, მოუთმენლად ელოდნენ ახალი ნომრის გამოსვლას... გალაკტიონი ითხოვდა ასი ლექსის დაბეჭდვას, არც მეტი, არც ნაკლები. ზუსტად ასი! ესეც გენიოსის ჭირვეულობაა, ალბათ.

ძველი ჟურნალების იმ გაყვითლებული ფურცლებიდან დროის სუსხიც გამოსჭვივის, „სადირექტივო“ მოხსენებები და სიტყვებიცაა ზოგჯერ დაბეჭდილი, მწერლებს რომ ჭკუას ასწავლის და მწერლობას „იდეურ კალაპოტში“ აყენებს.

წარსულ დროთა სუსხს ღირსეულად გაუძლო „მნათობმა“, ღირსეულად ატარა უპირველესი სალიტერატურო ჟურნალის ტვირთი, ღირსეული რედაქტორები ყავდა უმეტესად, დი-

დად ღირსეული ავტორები, რაღა თქმა უნდა. იმიტომ გაუძლო და ქართველ მკითხველს პირველმა მიაწოდა ზნეობის ამამაღლებელი, ქართული მწერლობის დამამშვენებელი რომანები და ლექსები.

„მნათობი“ მუდამ ქართული სალიტერატურო პროცესის ავანგარდში იყო, ასეა დღესაც. დიდი სახელების, დიდი ვნებების, დიდი ქარტეხილების, დიდი ლიტერატურის მატიანეა 70 წლის „მნათობი“. მისი ასაკი და დამსახურება მორიდებასაც იწვევს, ადვილად ვერ შებედავ, ვერ გაუშინაურდები, დაუწერელი კანონივით არის: „მნათობში“ მისულს რაღაც ტვირთი, გამოცდილება, ლიტერატურული ბიოგრაფია უნდა გახლდეს თან... ამ მოკრძალებას, უპირველესად, ალბათ, მნათობის ლიტერატურული, პროფესიული დონე განაპირობებს, აკადემიური მაღალი, ოსტატური.

„მნათობში“ იბეჭდებიან ისინი, ვინც დღევანდელი ქართული ლიტერატურის სახეს ქმნიან, ქართულ მწერლობას ქმნიან, დახვეწილი, მაღალნიჭიერი ოსტატები.

ამის მიუხედავად, „მნათობის“ კარი არც ერთი თაობისათვის არასოდეს ყოფილა დახშული. ამ ბოლო დროს სულ ახალგაზრდა, მაგრამ ერთობ ნიჭიერი მწერლებიც [illegible] „მნათობში“ დაბეჭდილან [illegible] ტო გამეხარდა, გამიკვირდა კიდეც, რაოდენ გულისხმიერებას მოითხოვს ისეთ ახალგაზრდა ავტორთან დამოკიდებულება, რომლის სტილი და ლიტერატურული პოზიცია უფროსი თაობისათვის შეიძლება ყოველთვის მისაღები არ იყოს.

ალბათ, ქვეყნად ოდესმე სიმშვიდე დაისადგურებს. „მნათობისა“ და საერთოდ ლიტერატურის ერთგული მკითხველი კვლავ მიუბრუნდება თავის გატაცებას, “მნათობიც“ დაუბრკოლებლად გამოვა. დადგება ახალი საუკუნე, მოვა ახალი იუბილეები, სხვები მიულოცავენ, სხვა თაობები იზეიმებენ „მნათობის“ იუბილეს, იქნებ ისიც გაიხსენონ, 1993 წელს რომ შუა ნომრებიდან შეწყდა „მნათობის“ გამოცემა, უსახსრობის, სიღატაკის, ქვეყნის დაქცევის, გამო. ვერ გამოვიდა წლის ყველა ნომერი .ღმერთმა ინებოს, რომ „მნათობის“ მომავალი გულშემატკივარნი ერთობ გააკვირვოს ამ ფაქტმა, ეგეთი რა გაჭირვება იყო „მნათობის“ გამოცემასაც რომ ველარ ახერხებდნენო?!

ღმერთმა ინებოს!

ნუგზარ შატაიძე

მიჯნა

„ცისკარში“ კიდევ ჰო, „ცისკარში“ კიდევ შეიძლებოდა დაგებეჭდა ლექსი და მოთხრობა, რომანიც კი დაგებეჭდა, მაგრამ ამით განსაკუთრებული პასუხისმგებლობა არ გეკისრებოდა, ამით იმ შიშის თუ მოკრძალების აღმძვრელ ზღვარს თუ მიუახლოვდებოდი, თორემ ვერ გადასცდებოდი. ვერ გადასცდებოდი მიჯნას, რომლის იქითაც ჩვენი საყვარელი მწერლების ლანდები იდგნენ.

მართლაც, რა ბედენა იყო ორიოდ ლექსი, მოთხრობა ან თუნდაც რომანი? არაფერი მაშინ, იმ ძველ დროში ხომ არსებობდა კიდეც ერთი გამოთქმა: ყველა ქართველი პოეტია და ყველა ქა-

რთველი პოეტი — ორჯერ პოეტიაო. ჩვენც მივდიოდით „ცისკრის“ რედაქციაში, მიგვქონდა ლექსები, მოთხრობები, რომანები და გვიბეჭდავდნენ კიდეც. იმ პუბლიკაციის აღსანიშნავად გაიშლებოდა სუფრაც, გაიშლებოდა „ინტურისტის“ ბაღში ან სასტუმრო „თბილისის“ რესტორანში, — მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა ეს რესტორნები და ჟურნალში აღებული ჰონორარითაც შეიძლებოდა სუფრების გაშლა, — გვადღეგრძელებდნენ ამ ახლადგამომცხვარ „მწერლებს“ ჩვენი სტუმრები — „ცისკრის“ მაშინდელი თანამშრომლები, თვითონაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტები და პროზაიკოსები, გვილოცავდნენ „მწერლობის რთულ, ნარეკლიან გზაზე“ დადგომას და ჩვენც, ამ ჩვენი ახლადშეძენილი უფროსი მეგობრების სიტყვებით გახარებულნი, რაღაცნაირად აფოფინებულნი ვიჯერებდით, რომ მართალი იყო ეს ყოველივე, მართლაც უკვე შევდგით ფეხი „დიდი მწერლობის გზაზე“ ... გახარებულები ვიყავით, ... ღვინის თალხ ბურუსში მოულოდნელად არ დავინახავდით იმ შორეულ მიჯნას და იმის იქით მდგომი ჩვენი საყვარელი მწერლების დამცინავად მომღიმარ ლანდებს.

ამგვარ ხილვას ბევრი ჩვენთაგანისთვის გაუგდებინებია ხელიდან კალამი.

„ცისკარში“ კიდევ ჰო, „ცისკარში“ კიდევ შეიძლებოდა მიგეტანა ლექსი და მოთხრობა, რომანიც შეგეძლო მიგეტანა, „მნათობი“ კი სულ სხვა რამ იყო — თითქოს სწორედ „მნათობიდან“ იწყებოდა ის ტაბუდადებული მიჯნა, რომელთან მიახლოებაც ასე გვაფრთხობდა.

ზოგიერთებს დღესაც გვჯერა, რომ ასეა. ზოგიერთებს დღესაც გვერიდება „მნათობში“ ჩვენი ნაწერების მიტანა.

ვახტანგ ხარშილავა

ტაძარი

მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ბოლო სამოცდაათი წლის ქართული მწერლობა ჟურნალ „მნათობის“ გარეშე! შემდგომ ამისა თავად საქართველო წარმოვიდგინოთ იმ მწერლობის გარეშე, რომელსაც „მნათობმა“ მისცა საშუალება დღის სინათლე ეხილა.

ასეთი საქართველო ადამიანთა მასით დასახლებულ რაღაც უგვანო გეოგრაფიულ სივრცეს უფრო ემსგავსება, ვიდრე კულტურულ ქვეყანას.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ სამწუხაროდ დღეს ზოგ-ზოგნი, რომლებიც თავს პოლიტიკოსებად და სახელმწიფო მოღვაწეებად თვლიან, გულარხეინად და უშფოთველად უყურებენ იმ გასაჭირს, რაც ქართულ მწერლობას ადგას.

დრო მოვა და საქართველო შესძლებს ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი დაარქვას. აი, მაშინ ალბათ ისიც ითქმება, რომ ამ ვერაგულ ლაშქრობას ქართული მწერლობის, ქართული კულტურის წინააღმდეგ, მტრის მზაკვრულ ნება წარმართავდა, იმ მტრისა, რომელმაც ზოგიერთი ჩვენი „პატრიოტი“ მოღვაწისგან განსხვავებით, ზედმიწევნით კარგად იცის, რომ თუ გინდა დაამარცხო ერი, ჯერ მისი კულტურა და მწერლობა უნდა დაამარცხო!

ვერ მოესწრებიან ამ დღეს საქართველოს ავისმოსურნენი!

ქართული მწერლობა არსებობს, ცოცხლობს, იბრძვის! იბრძვის სამოცდაათი წლის „მნათობიც“ — ლტოლვი-

ლი, უსახსრო, უსახლკარო, სხვის ჭერს შეფარებული, მაგრამ მაინც გაუტეხელი და მხნე!

„მნათობი“ ის ტაძარია, რომელმაც საქართველოს ისტორიის ბოლო სამოცდაათი წლის უმძიმეს პერიოდში შესძლო ქართული სულიერების გადარჩენა. ამ ტაძარს დღიდან მისი საფუძვლის ჩაყრისა, მოსვენებას არ აძლევდნენ ეშმაკისეულნი, მაგრამ მან მაინც მოახერხა უმთავრესი მისიის შესრულება — მისი კედლები ბრწყინვალე ფრესკებითაა მოხატული, იმ ფრესკებით, სადაც ნათლად იკითხება ჩვენი აწმყო, ნამყო და მომავალი.

ვულოცავ ქართველ მკითხველს ამ მშვენიერ თარიღს, ხოლო ჟურნალის მესვეურებს და განსაკუთრებით მის მთავარ რედაქტორს, ბატონ არჩილ სულაკაურს, რომლის თავგანწირვამაც განაპირობა ის, რომ „მნათობი“ ცოცხალია, ჭირთათმენას და გაძლებას ვუსურვებ.

წინ, სინათლისაკენ!

გიგი სულაკაური

მინდა, ისევ მოჩანდეს...

რედაქციის ფანჯრებიდან პირველი სკოლის ბაღი და ილიასა და აკაკის ძეგლი მოჩანდა. მოჩანდა — ქაშუეთი...

„მნათობში“ მე მაშინ მივედი, როცა რედაქცია კავშირგაბმულობის სახლის IV სართულზე იყო განლაგებული. კარის ფანჯრის მინასა და ფარდას შორის ჩადგმულ მუყაოზე ლამაზად ეწერა — „მნათობი“. ამ კარის მიღმა სხვა სამყარო იწყებოდა, დაკარგული ყოველგვარ საკავშირო მიეთ-მოეთისაგან (არც ერთი სხვა რედაქცია, რომელიც მანამდე და მერეც მინახავს, არ ჰგავდა „მნათობს“). აქ სხვა ატმოსფერო სუფევდა ,თვითონ „მნათობელებსაც“ განსაკუთრებული, გამორჩეული იერი ჰქონდათ მიღებული (ეს ჩემი შთაბეჭდილებაა!) ეს იყო ნამდვილი კულტურული, ლიტერატურული ატმოსფერო, მიკროკლიმატი, შეიძლება იმიტომაც, რომ აქ უყვარდა მოსვლა ბევრ სახელოვან ადამიანს, ჩვენებურსაც და უცხოელსაც. თუმცა იმას არ ვიტყვი, თითქოს „მნათობი“, რაიმე განსაკუთრებული, „საჩვენებელი“ იყო, პირიქით, აქ ყოველი რედაქციისათვის დამახასიათებელი ყოველდღიური „მოძრავი“ ცხოვრება მიდიოდა, უბრალოდ „მნათობი“, ჩემის აზრით, ყველაზე კარგად ახერხებდა და ახერხებს გააგრძელოს სერიოზული ჟურნალისთვის დამახასიათებელი ის ტრადიციები ,რომლებსაც საქართველოში (და არა მარტო ჩვენთან) დიდმა რედაქტორებმა ჩაუყარეს საფუძველი...

რედაქციის ფანჯრებიდან პირველი სკოლის ბაღი და ილიასა და აკაკის ძეგლი მოჩანდა—მოჩანდა ქაშუეთი. მოჩანდა მეთქი, რადგან ახლა შენობა დამწვარია და რაც ყველაზე გულსატკენია, ის არქივი, რომელიც ჟურნალ „მნათობის“ უნიკალურ კოლექციას ინახავდა, ალარ არსებობს...

„მნათობი“ 70 წლისაა!

ვულოცავ „მნათობს“ და მთელს კულტურულ საქართველოს ამ თარიღს და მინდა, რომ რედაქციის ფანჯრებიდან ისევ მოჩანდეს ქაშუეთი და ერთად მდგარი ორი დიდი ადამიანი — ილია და აკაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ბაქრაძე

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების
პოლიგრაფკომბინატ „პრესის“
პოლიგრაფისტთა სახელით

მილოცვა

სულითა და გულით ვულოცავთ ქართველი ერის უსაყვარლეს ჟურნალ „მნათობს“70 წლისთავის იუბილეს. ვუსურვებთ შემდეგშიც იმ აკადემიური შემართებით ეღვაწოს, როგორითაც მოღვაწეობდა დღემდე, არ მოჰკლებოდეს ის სიყვარული და პატივისცემა, რითაც წლების განმავლობაში იყო მოსილი.

დღეს ჩვენი ეროვნული თვითშეგნების მძლავრი აღმავლობის ხანაში, კვლავაც გაეხარებინოს თავისი მკითხველი ჯანსაღი, ძარღვიანი ნაღდი ლექსებითა და მოთხრობებით.

ჩვენ, პოლიგრაფისტებს, კარგად გვახსოვს ის წლები, როდესაც ჟურნალს სათავეში ედგნენ ქართული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები: სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ აბაშიძე, ელგუჯა მალრაძე, გიორგი ნატროშვილი, არჩილ სულაკაური...

პოლიგრაფისტები მუდამ მხარში ედგნენ „მნათობს“, კვლავაც თქვენს გვერდით გვიგულეთ.

ბატონო არჩილ!

ამ საყოველთაო განთესვის ჟამს ჟურნალი „მნათობი“ ყოფილიყოს ის ბალავარი, რომელზედაც დაეფუძნება ერთიანი საქართველოს სიყვარული და ზნეობა.

ღმერთმა გვისმინოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

მხვალი უფლისა

რომანი

თავი XII

ჩრდილოეთ ირანი, იგივე ადარბადაგანის, ძველისძველ სავაჭრო ქალაქ არდებილში, სადაც დედამიწის ოთხივე კუთხიდან სხვადასხვა დროს მოსული, მრავალ ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარი ლიანგი სახლობდა და თავს უპირატესად წვრილი ხელოსნობითა და ალებ-მიცემობით ირჩენდა, ხმა დაყარეს, გურჯისტანიდან ოდესღაც ყაენის კარზე მძევლად ნამყოფი, გამაჰმადიანებული კონსტანტინე-მირზა, კახეთის მეფის, ალექსანდრეს, ძე მობრძანებულა და თავის სამშობლოზე ცეცხლითა და მახვილით გასალაშქრებლად ჯარს აგროვებსო.

აქამდე, არდებილამდე, და თვით სატახტო ქალაქ ისპაჰანამდე უკვე მოეღწია სარწმუნო ხმებს იმის თაობაზე, რაც ამ გადაგვარებულ მირზას სამშობლოში ამბები დაეტრიალებინა და ერთობლივ ყველა, მაჰმადიანიც და ქრისტესმოსავიც, ისრაელის შვილიც, კათოლიკეც და ბუდას აღმსარებელიც, თავის აღშფოთებასა და გულისწყრომას ვერ მალავდა. კონსტანტინეს მიერ მძვინვარე შაჰის გულის მოსაგებად ჩადენილი ღვთის უარმყოფელი დანაშაული ყველასათვის ერთნაირად დასაგმობი და საზიზღარი გამხდარიყო.

ამბობდნენ იმასაც, რომ თავისი გაზრდილი გურჯი მირზას საქციელმა თვით სისხლისმსმელი შაჰიც კი შესზარა და განარისხა, თუმცა კახეთის მეფე ალექსანდრე ჭირის დღესავით სძულდა და გიაურ რუსხელმწიფესთან დანაშაულებრივი კავშირის დამყარების გამო, რაც მისთვის ზურგში ხანჯლის ჩაცემას უდრიდა, სიკვდილის განაჩენს თავადვე უმზადებდა!

შაჰმა უკმაყოფილება და მრისხანება იმით გამოჰხატა, რომ კონსტანტინეს მიერ გაგზავნილ ყიზილბაშ მალემსრბოლს, ვინაც მირზას ბრძანებისამებრ, სამეფო კარზე ძვირფასი ნობათი — კახბატონ ალექსანდრესა და მისი ძის, ბატონიშვილ გიორგის თავები მიიტანა, უცხოელი ელჩების თვალწინ თავი გააგდებინა, ეგ როგორ გამიბედე და მკადრე, ასეთი რამ სასახლეში როგორ

გაგრძელება. იხ. „მნათობი", 1994 წ. № 1.

შემოიტანეო, გაზრდილს კი სხვათა პირით შეუთვალა: სიახლოვეს აღარ გამეკარო, ახალი ცოდვა არ ამაკიდებინო, ჯარს კი არა, ცხელ ნაცარს მოგაშველებ, მე შენ შირვანის ბეგლარბეგობა გიბოძე, თუ ფხას გამოიჩენდი, მამასა და ძეს დაიხმარდი და შემახიდან ოსმალთ გაჰყრიდიო. შენ კი რა ჰქენ, უბედურო, ნაცვლად იმისა, სიბრძნე და გამჭრიახობა გეხმარა, ალაჰის სარგო საქმეში გონივრულად გამოგეყენებინა, მამა და ძმა სასიკვდილოდ გაიმეტე, კახეთის ვალის ტახტს ჩემს უნებურად დაეპატრონე, ახლა კი გინდა, ჭკუაში მაჯობო, სისხლში ამოსვრილი ხელები მე შემახოცო, ბრალი დამდო, თითქოს ჩემს ნებას ასრულებდი, განათლებული კაცობრიობის წინაშე ფიცის გამტეხად, მკვლელად, ავაზაკად გამომაცხადოო? წადი, თავში ქვა იხალე და მუცელში სამართებელი, ჩემი ბრძანება შეასრულე, ვიდრე თავად არ მოვსულვარ და შენც იმ ურჯულო მამა-პაპის გზაზე არ გამიგზავნიხარ, საითაც უპირულმა და უნამუსომ მამა და ძმა გაისტუმრეო. გიაური კახელების მუხანათური ღალატით დაღუპული ხუთი ათასი მართლმორწმუნე ყიზილბაშის სისხლიც შენს კისერზეა და მაღალი ალაჰის წინაშე პასუხისმგებელიც შენა ხარ, მარტო შენ, ნუ გგონია, მაგ ცოდვაში შეგეზიარო.

კონსტანტინეს დუკატები ჰქონდა. რაკი თავისი მწყალობელისაგან, მამად სახად შაჰისაგან მრისხანე უარი მოუვიდა და დახმარების მიღების ყველა იმედი სრულიად გადაეწურა, მიდგამოდგა, არდებილის მდიდარ ვაჭრებში, ვითომც ცხვირს რომ იბზუებდნენ და არამცთუ მასთან საქმის დაჭერა, დანახვაც კი არ უნდოდათ, ნაცნობის ნაცნობები გამონახა, ამათი საშუალებით სხვებსაც დაუკავშირდა, თამასუქები და საგირავნო საბუთები შეადგინა და ოქრო იშოვნა.

სამწუხაროდ, ეს თანხა არ კმაროდა. თუ მეტად ვერ გაღონიერდებოდა, ქვას არ გახეთქავდა და გროშს გროშზე არ დაადებდა, ამ ფულით დაქირავებულ მოხალისეთაგან აბა რა [illegible] უნდა შეედგინა!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უბედურება ის იყო, რომ კონსტანტინე მდაბიო ხალხსაც პირს არიდებდა. საკრებულო მეჩეთშიც კი, ოდესღაც ზაქარია მხარგრძელის ქართულმა ჯარმა რომ აიკლო და ყიზილბაშთა მახვილით დაღუპული თორმეტი ათასი მლოცველი სომხის სანაცვლოდ ამდენივე მართლმორწმუნე მაჰმადიანი სიცოცხლეს გამოასალმა, სახეზე ჩაბალახჩამოფარებული დაიარებოდა. არ უნდოდა, მისი აქ ყოფნა გახმაურებულიყო და ამბავს ადრე თუ გვიან გამეცადინებული მტრის ყურამდე მიეღწია. მოგზავნილ მტერს ყველგან შეეძლო მისი მოხელება და მოკვლა, გრემში კი არც ფულს დაიშურებდნენ, არც სხვა რაიმე სახსარს, ოღონდ კი სადმე ხელთ ეგდოთ და სიცოცხლე მოესწრაფათ!

ხიდგადაღმა, ერთი გამაჰმადიანებული სირიელი მეუნაგრის ბანიან სახლში, რომლის მინამგვანსაც არდებილსა და სპარსეთის რომელიც გნებავთ სხვა ქალაქის ღარიბ-ღატაკთა უბნებში ათასობით თუ არა, ასობით მაინც ნახავდი, მთელი მეორე სართული იქირავა და იქ ორ მსახურ ბიჭთან ერთად დასახლდა.

მსახური ბიჭები არდებილელი სომხები იყვნენ, სპარსულთან და არაბულთან ერთად ცოტაოდენ ქართულსაც ამტვრევდნენ და მათი შემწეობით, სიფრთხილის ყველა ზომის დაცვით, რომ თავი არ გაემჟღავნებინა, კონსტანტინე ახერხებდა, არდებილში მცხოვრებ ქართველებისაგან, მამა-პაპის სარწმუნოებას მისებრ რომ განშორებოდნენ და დღეს ალაჰს ადიდებდნენ, სამშობლოდან სხვადასხვა გზით მოღწეული მეტნაკლებად სანდო ამბები გაეგო.

კონსტანტინემ თავისი სომეხი მსახურების დახმარებით შეიტყო, მაგალითად, რომ დავით მეფის ქვრივი დედოფალი ქეთევანი, კახეთის ბრწყინვალე წოდებამ, სამღვდელოებამ და ერმა ერთსულოვანი მხარდაჭერა რომ გამო-

უცხადა და მისი უყოყმანო ერთგულების ფიციც დასდო, საომრად ემზადებოდა, ძველ, ნახევრადდანგრეულ მამაპაპეულ ციხეებს ამაგრებდა, ალაგ-ალაგ ახლებსაც აშენებდა, ჯარს გამოცდილი მხედართუფროსების მეთაურობით წვრთნიდა და ელჩებს აქეთ-იქით აგზავნიდა, მომავალ გარდაუვალ ომში თანამდგომებს ეძებდა. შეიტყო ისიც, რომ ხელმწიფე ბორის გოდუნოვის ელჩები, ზაგემში რომ შეხვდნენ, რაკიღა კახეთში თავიანთი მისიის წარმატების იმედი დაჰკარგეს, ამჟამად ქართლის მეფე გიორგისთან ისხდნენ ტფილისის ისნის სასახლეში და ქეთევანის ხელისშემწყობ, უფრო კი რუსეთის სასარგებლო საქმეებს ხლართავდნენ.

რა მოჰყვებოდა ქართლის მეფის კარზე რუსეთის ელჩების ზურზუტს? უკეთუ ქეთევანი მამამთილის გზით ივლიდა, მათთან ურთიერთობას განაახლებდა და მათი შემწეობით რუსეთის ჯარებს მოიწვევდა, კონსტანტინეს გაუჭირდებოდა ტახტის დაბრუნებაზე ფიქრი, რადგან ზარბაზნებით და არკებუზებით შეიარაღებულ რუსთა მრავალრიცხოვან მხედრობასთან მას თავისი დაქირავებული ჯარით შებმა და შებრძოლება არ შეეძლო. ამიტომაც აჩქარება მართებდა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მას უნდა დაესწრო გიაურ რუსებისათვის, რომლებიც, თუ დარხეულ ხმებს ყურს მიუგდებდი, საშამხლოს დასალაშქრავად მოდიოდნენ, და კახეთი მანამ წამოეჩოქებინა, სანამ ვინმე ძლევამოსილი თანამდგომი ქეთევანს გვერდში ამოუდგებოდა!

მსახური ბიჭები, რომლებიც არდებილში მოსვლისთანავე დაიქირავა, ეჭვობდნენ, ეს ჩვენი ხელგაშლილი აღა მგონი უბრალო კაცი არ უნდა იყოს, როგორც ცდილობს, თავი მოგვაჩვენოსო. აქ, ეტყობა, რაღაც დიდ საქმეებს აჭახრაკებს, რადგანაც დილაადრიან, ნამაზს მოითავებს თუ არა, სადღაც მიდის, მთელი დღე იკარგება და შინ გვიან ბრუნდება, როცა ჩვენ გულის ძილითა გვძინავს და მის მოსვლას ალარც ველითო.

გაუტყდნენ ნაცნობ ქართველებს, აქ რომ დიდი და პატარა გურჯებად იხსენიებდა, და ულალი ჩაბალახით პირახვეული კონსტანტინე შორიდან დაანახეს.

— კონსტანტინე-მირზა არ იყოს, ბიჭებო, თქვენც არ გაგასაღოთ, როგორც მამა და ძმა გაასაღა! — უთხრეს ქართველებმა.

— როგორ თუ გაასაღა, ფარჩა-ატლასი იყო? — ვერაფერს მიხვდნენ, თვალები გადმოქაჩეს სომხებმა.

— კონსტანტინე-მირზა არ გაგიგონიათ? აი, თქვე საყდრის მათხოვრებო! ღმერთმა გიხსნათ! მადლობა უთხარით, რომ ეგ კონსტანტინე არ არის, თორემ კონსტანტინე რომ იყოს, აქამდე თქვენც წესს აგიგებდათ!

— რადა, კაცო, ჩვენ რას გვემართლება, რა ვირი მოგვიპარავს?!

— ქრისტიანების დაუძინებელი მტერია! აგრე ამბობს თურმე, სანამ ერთი ქრისტიანი მაინც მიწაზე ფეხს აბიჯებს, მე ვერ მოვისვენებო.

— ნურც მოასვენოს და თვალებიც დავსებია შობელძაღლს, ჰანდე! რადა, კაცო, ჩვენი ქრისტიანობით მითამ მაგას რას ვუშავებთ, როდის იყო, სახლში შევუვარდით და მოვთხოვეთ, გინდა თუ არა, პირჯვარი დაიწერეო?!

— მიდით და კითხეთ!..

— ვკითხოთ არა!.. მაშ, ძმურად გვირჩევთ, ეგ თავისთვის, ჩვენ ჩვენთვის?

— ,ჩვენ გვითქომს და...

— იქნებ მართლა არ არის კონსტანტინე? როგორ გავიგოთ, ნამდვილად ის არის თუ არა?

— როცა გაიგებთ, მერე გვიან იქნება!

იმავე დღეს ქალაქში საომრად აღჭურვილი ყიზილბაშთა ცხენოსანი ჯარი შემოვიდა. მთელი ქალაქი დიდიანპატარიანად გარეთ გამოეფინა. ჯარი მაინც და მაინც დიდი არ იყო, მაგრამ არც სიმცირე ეთქმოდა. მისმა თავმა რომ შუაბაზარსა და საკრებულო მე-

ჩეთს მოაღწია, სადაც ამირებს ქალაქის ხელისუფალნი გამოეგებნენ, მრავალი აქლემისა და ყევარი ხარ-კამეჩისაგან შემდგარი აღალი და ჩამკეტი რაზმი ჯერ კიდევ მტვრიან გარეუბანში მოიზლაზნებოდა.

კონსტანტინეს ღამე ბინაში არ გაუთევია და მის გაუთავებელ მოლოდინში არც შეშინებული ბიჭები დაწოლილან. საწყლებს ვერც დაწოლა გადაეწყვიტათ და ვერც პატრონის დაუკითხავად და ნებართვის მიუღებლად აქედან წასვლა, ამ წყეულმა და მუდრეგმა შარი არაფერი მოგვდოსო, ხელმრუდობა არ დაგვაბრალოსო.

დილას, კარგად რომ გათენდა და ქუჩებში მეთულუხჩეების ხრინწიანი ყვირილი გაისმა, აბა, წყალი, ვის უნდა წყალი, ცივი კიბულაო, ორი ცხენოსანი ყიზილბაში მოვიდა და ბიჭებისათვის ხმა არც კი გაუცია, მათი პატრონის კუთვნილი ნივთები მოაგროვა და თან წაიღო. ბიჭები კანკალებდნენ, ენა მუცელში ჩავარდნოდათ, მხრებს იჩეჩავდნენ და ერთმანეთს უყურებდნენ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. უცხვირპირო ყიზილბაშებს, მათთან გამოლაპარაკებასაც რომ არ კადრულობდნენ, ისიც კი ვერ შეჰბედეს ეკითხათ, სად მიგაქვთ ეგ ბარგი-ბარხანა, ან თავად ვინა ბრძანდებით, აქ ვის გამოუგზავნიხართ, პატრონმა რომ გვკითხოს, რა ვუპასუხოთო.

ჯარი არდებილში მთელ კვირას დარჩა. შემოუვლელი და დაუყნოსავი, როგორც საზოგადოდ ჯარის წესია, არაფერი დაუტოვებიათ. სადაც არ უნდა შესულიყავი, საითაც არ უნდა გაგევლო, აუცილებლად ხელშუბიან ყიზილბაშს გადააწყდებოდი.

სამეძავო სახლებმა გულუხვი მუშტარი იშოვნეს. გალაღებული ქალების ვნებამორეული კისკისი და აღგზნებული კაცების ხორხოცი გვიან ღამემდე ისმოდა.

ქალაქის ყოველმა მაცხოვრებელმა მეორე დღესვე შეიტყო, რომ მწყალობელმა შაჰმა გული მოიბრუნა თავის მიერ შერისხულ კონსტანტინე-მირზაზე და ეს ჯარი — სამი ათასი ცხენოსანი და ორი ათასი ქვეითი ყიზილბაში კახეთის დასასჯელად და იქ ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად გამოუგზავნა. ჯარს აქ, არდებილში, ჩრდილოეთ ირანის უკანასკნელ ქალაქში, უნდა დაესვენა, ნუზლი უნდა მოემარაგებინა და ენკენისთვის I-ს შორეული გურჯისტანის გზას გასდგომოდა.

ვაი იმას, ვინც ამ ლაგამაწყვეტილ ავაზაკთა ლაშქარს წინ გადაუდგებოდა და წინააღმდეგობის გაწევას გაბედავდა, ვაი იმის სახლ-კარსა და ქალრძალს, ვისაც ესენი თვალს დაადგამდნენ და დასაკუთრებას მოიწადინებდნენ!

ღვთისმოსავ ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი გულუბრყვილო სომხის ბიჭები ზომაზე მეტად განცვიფრებული დარჩნენ, როდესაც სალაშქროდ ამხედრებული ჯარის სათავეში თავიანთი ყოფილი აღა, გასპარსებული სირიელი მეუნაგრის მდგმური დაინახეს. თვალი ვგონებ არ ატყუებდათ. მათი ყოფილი აღა, სხვა აღებისაგან უდარდელი მფლანგველობით რომ გამოირჩეოდა, ნამდვილად კონსტანტინე-მირზა იყო, მამისა და ძმის მკვლელი, და ისინი მაღალმა ღმერთმა იხსნა. პირში სული რომ ჯერ კიდევ ედგათ. მხარბეჭიანი, ტანთხელი, მოკლედ წვერშეკრეჭილი კონსტანტინე ამაყად იჯდა ძვირფასად შეკაზმულ თეთრ ცხენზე, თავზე მბზინვარე ქსოვილის წითელი ჩალმა ჰქონდა დახვეული და შუბლზე ჩალმის ნაკეცში გარჭობილი ბრდღვიალა ალმასი უბრწყინავდა. თვალის გასწორება, კიდევაც რომ მოგენდომებინა, შეუძლებელი იყო. თვალისმომჭრელი ალმასის სხივი უმაღ დაგაბრმავებდა და თვალს დაგახრევინებდა.

ბიჭები კანკალმა აიტანა. საომარ ცხენზე ამხედრებულ, ალისფერი მოსასხამით ტანშებურვილ პატრონს რომ არ ეცნო და თავში რაიმე ბოროტი ზრახვა არ დაჰბადებოდა, მათ სახეზე

ხელები აიფარეს და სეირის საყურებლად გამოფენილ ჭრელ ბრბოს შეერივნენ.

თავი XIII

კახეთის საზღვრებამდე მისასვლელად კონსტანტინემ შაქის გზა არჩია. სამ ენკენისთვეს მან არაქსი გადალახა, წყალში ცხენდაცხენ გავიდა და აღალის გადმოსვლასაც აღარ დაელოდა, მსუბუქად შეიარაღებული ნახჭევანის უდაბურ აღმართებს შეუდგა. სომხეთი შაჰ-აბასს ახალი მოთარეშებული ჰქონდა. ერევნის ციხეში ყიზილბაშები იდგნენ და იქ ვისიმე წინააღმდეგობა არ ელოდა. სპარსელთა მეციხოვნე ჯარი იდგა აგრეთვე ბარდავსა და განძაშიც, საიდანაც კონსტანტინე სამუხის ჭალებს უნდა დაჰყოლოდა, ევლახთან მტკვარი გადაელახა, გაღმა გადასულიყო და პირი ნუხისაკენ ექნა. ნუხაში ის ჯარებს დაასვენებდა, ქარს ამოაღებინებდა და კახეთში კაცებს გაგზავნიდა, მოვდივარ და, თუ გული გერჩით, დამიხვდით, თუ არა და, მაცნობეთ, რომ უომრად მნებდებით და ისე შემოვალ, ერთი ისრის გამსროლელიც არა ვარო.

ლმობიერება, შენდობა, წარსული მტრობის დრომდე დავიწყება ის ერთადერთი ბასრი იარაღი იყო, რითაც მას ხალხის გულის მონადირება და თავის მხარეზე გადმობირება უნდოდა. აკი თქვა რუსთაველმა, გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისაო.

ლმობიერება არ იქნებოდა საზოგადო და ყოვლის მომცველი, თუ ის მარტოოდენ მდაბიორებს შეეხებოდა და მხედველობის გარეთ დასტოვებდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ვინც დედოფალ ქეთევანის დროშის ქვეშ იდგა და ფიცით განმტკიცებულ თავის სიტყვას იცავდა. ბევრი მათ შორის, თუ უკლებლივ ყველა არა, კონსტანტინეს პირად მტრად მიაჩნდა და ფიქრობდა, არ აჩქარებულიყო, ნადირი არ დაეფრთხო, ისე მოქცეულიყო, როგორც მოთმინებით აღჭურვილი გამოცდილი მონადირეები იქცევიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთ ვერაგულ მიზანზე, რომელიც დედოფალ ქეთევანისაგან მომდინარეობდა, მისი ეს დაუძინებელი მტრები, რაღა თქმა უნდა, ხელს დღესაც არ აიღებდნენ, თუ კონსტანტინე რაიმეს არ იღონებდა და მოსაქნევად აღმართულ მახვილს ხელიდან არ გააგდებინებდა.

ეს „რაიმე“ ისევ ლმობიერება, დაპირებები, ერთგულთათვის სახელოებისა და ყმა-მამულის დარიგება იყო, ცთუნება, რომელსაც გიაურები ვერასოდეს ვერ უძლებდნენ და თუ ყოველთვის არა, მის ანკესზე უმეტესწილად მაინც ეგებოდნენ.

ამას გარდა, კონსტანტინეს გულში სხვა ფიქრი და განზრახვაც უღვიოდა. მას გაგონილი ჰქონდა, აშოთან მუხრან-ბატონის ასულ ქეთევანის, კახეთის ახლანდელ მპყრობელის, მისი რძლის, ღვიძლი ძმის, დავითის ქვრივის, ანგელოზისებური სიტურფისა და დიაცური მომხიბლველობის ამბავი, რის წინაშე გულგრილი თვით ცათა სწორი ყაენიც არ იყო და დაუცხრომელი სურვილი სწვავდა, ამაყი და თავმომწონე დედოფალი დამდაბლებული, თავის წინაშე განრთხმული და შეწყალების მთხოვნელი ენახა.

ეგ გრძნობა, უფრო კი ჟინი მგლოვიარე დედაკაცის დიაცური მიუკარებლობის გადალახვისა, ღვთაებრივი სხეულის მშვენიერებით დატკბობისა კონსტანტინეს მაშინ უფრო გაუცხოველდა და მთელი მისი არსება შეიპყრო, როდესაც გულზვიადმა ქეთევანმა კუთვნილი სადედოფლო გვირგვინი არ იკმარა, არად ჩააგდო, ტახტს წაეპოტინა და ძლევამოსილი მაზლის წინააღმდეგ ამხედრებულ კახელ დიდებულებს სათავეში ჩაუდგა!

გასპარსებული ძე ალექსანდრესი, თავს კახეთის გვირგვინოსან მეფედ რომ ნათლავდა და სხვებსაც აიძულებდა, მისთვის მხოლოდ ასე მიემართათ,

დარწმუნებული იყო, ეს საბედისწერო გადაწყვეტილება ქეთევანს თავისმა დედაკაცურმა ჭკუამოკლეობამ ჩააგდენინა და როგორც კი ყაენის ჯარით გაღონიერებული მაზლის ნუხას მოსვლის ამბავს შეიტყობს, ადრინდელი რიხი უმალ დაეკარგება და სრული მორჩილების გამოსახატავად ელჩებს მომაგებებსო.

ეს უკანასკნელი ვარაუდი კონსტანტინეს ისე სარწმუნოდ ეჩვენებოდა, რომ სანახევროდ კიდევაც დაიჯერა. არ შეიძლება, საქმე სხვაგვარად წარიმართოსო. უმწეო ქვრივი დედაკაცი, რომელსაც გარს თავის საკუთარ სარგებელზე გამეცადინებული ხარბი თავადები ეხვევნენ და ძლიერი მფარველის გულის მოსაგებად ყოველთვის შეეძლოთ, მისთვის ზურგი ეჩვენებინათ, როგორ მოახერხებდა სპარსელთა უძლეველ ჯარს გამკლავებოდა! ჯარი, მართალია, ამჯერად არცთუ ისე დიდი იყო, მაგრამ სიპატარავით წუნი არ დაედებოდა. ამ ჯარით კონსტანტინეს, სწორუპოვარ სარდალს, როგორღაც ის თავის თავს თვლიდა, ორჯერ და სამჯერ უფრო მრავალრიცხოვანი ლაშქრის დამარცხება ძალუძდა.

„დედაკაცი, რაც უნდა ჭკვიანი იყოს, მაინც დედაკაცია, — ფიქრობდა გულში კონსტანტინე და თავის მკლავებში მორჩილად განაბულ ქეთევანს წარმოიდგენდა. — იმას ალერსი და დიდება არ უნდა მოაკლო. სხვა ყველაფერი ჩიტადაც არა ღირს, ანგარიშში ჩასაგდებიც არ არის! მოაკლებ და იმწამსვე გაგცვლის, გიღალატებს! ვფიცავ ალაჰს, არც ერთს არ მოვაკლებ. კახეთის დედოფლობას შევუნარჩუნებ, ყველას ვაიძულებ, მისი უდიდებულესობის წინაშე მუხლი მოიდრიკონ და, როგორც ღვთაებას, თაყვანი სცენ! რომელ ქალს შესწევს ღონე, ამ პატივზე უარი თქვას? ვის შეუძლია, ცთუნებას მოერიოს და თავისი ბედი, კარზე რომ მოსდგომია, თავისი დედოფლობა, საეგებიო გახადოს?“

კონსტანტინე ჩქარობდა. მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, ამ დაბრკოლებულ გზას როდის გაივლიდა და ეგლეს! დრამად ამოჭრილ წადილს როდის აისრულებდა! წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით, ბარდავში ორ დღეს უნდა შეჩერებულიყვნენ, ნუზლი და წყლის მარაგი შეევსოთ, მაგრამ შესვენების ეს მცირე დროც ერთი დღით შეამოკლა, განძაშიაც მხოლოდ ერთ დღეს დარჩა და თუმცა ცხენები უღვთოდ დაიღალნენ და დაიმშნენ, უდაბნოს დაუსრულებელ გზებზე სიარულს ნაჩვევი აქლემებიც ფეხებს ძლივს მიათრევდნენ, მომდევნო დილას ევლახში გაჩნდა და ორად ორი მომცრო ბორნით, უფრო დიდები და ტევადი იქ არა ჰქონდათ, ჯარის გადმა, უდაბურ ნაპირზე გადასხმა დაიწყო. აქ ბევრად უფრო მეტი დრო დაეხარჯა, ვიდრე თავდაპირველად განზრახული ჰქონდა. გზებზე მტვრის ბუღი იდგა და უდაბნოს ცხელი ქარი უბერავდა. კაცსა თუ პირუტყვს პირი უდაბნოს ქვიშით ევსებოდა. ქვიშას მარილის გემო ჰქონდა, როგორც იქ, ირანში, ხორასნისა და ბელუჯისტანის უდაბნოებში და კბილებსშუა კნაწაკნუწი გაჰქონდა. მზე აცხუნებდა, ისე შეუბრალებლად აჭერდა, თითქოს შუა მარიობისთვე ყოფილიყოს. ეს მას შემდეგ უფრო საგრძნობი გახდა, რაც წყალუხვი მტკვარი გადმოვლეს და გეზი კავკასიონის ლურჯი, ალაგ-ალაგ ჩამოთოვლილი მთებისაკენ აიღეს, რომელთა ძირშიაც ნუხა ეგულებოდათ.

ნუხის მაღალი, მზის სხივებზე მოელვარე მინარეთები მრავალგუმბათიანი მეჩეთები მხოლოდ ენკენისთვის 14-ს გამოჩნდა.

ევლახიდან მომავალი ჯარის მოახლოებას ქალაქში დიდი შიშიანობა ჩამოეგდო. შეჩვეული ყიზილბაშები, რომელთა პატარ-პატარა რაზმები აქაურ ციხეებში იდგა, ნუხის მკვიდრთ ოსმალებად მიეღოთ და უწყალო მტრის დასახვედრად ქალაქის სამივე კარისათვის ურდულები გაეყარათ.

კონსტანტინეს ეს ამბავი მაშინ აუწყეს, როდესაც ქალაქის კედლის გარეთ, ჯერაც გაუკრეფავ ვაშლის ბაღებში, ჯარის დაბანაკება ბრძანა და მორდალი დააბარებინა, რათა გრემში გასაგზავნი წიგნები შეედგინა.

სამშობლო ქვეყანაზე შემომწყრალ, რჯულ და გულშეცვლილ ბატონიშვილს კარგად ახსოვდა ანდა რა დაავიწყებდა, რა დღეც შემახაში დაადგა და ახლა დიდ სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენდა. კახთ კვლავაც შეეძლოთ, ბანაკში მკვლელები შემოეგზავნათ ან უადგილო ადგილას ჩასაფრებოდნენ და სირცხვილი ეჭმიათ. გზაშიაც და მაშინაც, როცა ბანაკად იდგნენ, კონსტანტინეს გარშემო სამკეცი ყარაული ერტყა. ამ წრეებში გაღწევა და კონსტანტინესათვის რაიმე ზიანის მიყენება თვით ყველაზე უფრო დახელოვნებულ თავზეხელაღებულ ასასინსაც კი გაუჭირდებოდა.

კონსტანტინემ მორდალს ორი წიგნი დაამზადებინა. ერთით კახეთის თავადებს, დარბაზის ერს მიმართა, შემახას ომში მიყენებული ძველი წყენის დავიწყება და ბოროტების წილ სიკეთე — მეფური წყალობა აღუთქვა, ხოლო მეორე, საიდუმლო, პირადად ქეთევანს გაუგზავნა და ბრძანა, გადაჭრილი, მიუკიბ-მოუკიბავი პასუხი მისგანვე მოეთხოვათ.

წიგნები, როგორც ერთი, ისე მეორე, სპარსულ ენაზე იყო შედგენილი, რაც თავისთავად მოასწავებდა იმას, რომ ბატონიშვილი თავისი მბრძანებელი შაჰის ნება-სურვილით მოქმედებდა და მისთვის რაიმე წინააღმდეგობის, თუნდაც უბრალო ურჩობის გაწევა თვით ცათა სწორი შაჰის ურჩობად აღიქმებოდა, ეს კი კახ თავადებს, მათ წინამძღოლ დედოფალ ქეთევანს და მთლიანად ერს სასიკეთოს არაფერს მოუტანდა!

გრემიდან საბოლოო პასუხის მიღების უკანასკნელ ვადად დათქმული იყო ღვინობისთვის 22. ამ დღეს კონსტანტინე ბელაქნის წყალზე დადგებოდა და კახეთის სამეფოს დარბაზის ერს, მის უდიდებულესობა დედოფალ ქეთევანთან ერთად, რომელსაც შორიდან თაყვანს სცემდა და დიაცთა შორის უპირველეს გვირგვინოსნად მიაჩნდა, მათი ღირსების შესაფერ მიღებას მოუწყობდა.

თავი XIV

გრემში ომის დიდი სამზადისი იყო გაჩაღებული. ერთგული ,მსტოვრების მეშვეობით, რომლებიც შურისძიების წყურვილით შეპყრობილ კონსტანტინე ბატონიშვილს თვალს არდებილშივე და არდებილიდანვე ადევნებდნენ, აქ უკვე ზუსტად იცოდნენ ურჯულო ტახტის მოცილის ჯარის რაოდენობაც და ისიც, თუ საიდან და როდის მოაღწევდა იგი კახეთის საზღვრებს.

არც სამეფო კარს და არც სადროშოებს ეს დრო უქმად არ დაუკარგავთ. ჯარი იმ ანგარიშით შეკრიბეს, რომ მომხვდურ მტერზე მეტი თუ არა, ნაკლები არამც და არამც არა ჰყოლოდათ.

სასწრაფოდ გამართული მოლაპარაკების თანახმად, კახელების შესაწევნად უნდა მოსულიყო აგრეთვე სამი ათასი ქვეითი და ცხენოსანი ქართლის მეფე გიორგისაგან. ერთ ამდენს იმერთა მეფე გიორგისაგან ელოდნენ. იმერლები, სვან-აფხაზ-ოდიშარებთან ერთად, თავს ორი ქართული სამეფოს საზღვარზე, ვახანის ციხესთან იყრიდნენ და ორი დღის, უკიდურეს შემთხვევაში ორდღენახევრის შემდეგ კახეთის ნებისმიერ კუთხეში გაჩნდებოდნენ, უკეთუ ამას გადაუდებელი საჭიროება მოითხოვდა.

არავის ეგონა, თუ დამსჯელი ჯარით სამშობლოსაკენ დაძრული კონსტანტინე წინ ელჩს გამოიძღვანებდა და თავის საზავო პირობებს, რა სურდა და როგორ, წინასწარ შემოთვლიდა, რათა ორივე მეომარი მხარისათვის ზედმეტი სისხლისღვრა აერიდებინა. პირიქით, ყველა, ვისაც კი საქმისა რაიმე გაეგე-

ბოდა, დარწმუნებული იყო, ურჯულო გარეწარი უეცარი დარტყმის უპირატესობით ისარგებლებს და ქვეყანას სწორედ მაშინ შემოესევა, როდესაც მისი მოლოდინი კაცს-სულიერს არ ექნებაო.

კონსტანტინეს მიერ ნუხიდან გამოგზავნილი წიგნები მეჩხერი ჭალარა წვერით ნიკაპდაჩხორილმა ქლესა სპარსელმა ელჩმა მაჰმად-ბეგმა მოიტანა, რომელიც გურჯების ქვეყანაში არც პირველად იყო, არც მეორედ, აქაურობასა და აქაურებს თვით კონსტანტინე-მირზაზე უკეთ იცნობდა, მოყვრული სალამ-ქალამის შემდეგ, რაზედაც ერთობ ცალყბა პასუხი მიიღო, მან საიდუმლო წიგნის გადასაცემად დედოფალ ქეთევანთან პირისპირ შეხვედრა მოითხოვა.

სასახლეში დარბაზის ერის სხდომა იყო მოწვეული. სხდომას უკლებლივ ყველა დარბაისელი, ოთხივე სადროშოს სარდლები და უზენაესი სამღვდელო პირები, თვით ალავერდელი მიტროპოლიტი მეუფე სამოელიც ესწრებოდა. მეუფე სამოელს შავი ქიშმირის ანაფორა ეცვა, ქიშმირისავე ასეთივე ფერის კუნკული ეხურა, გულზე ოქროს წყალში გავლებული პატარა ვერცხლის ჯვარი და პანაღია ეკიდა და გველისთავიან მაღალ კვერთხზე ზვიადად დაყრდნობილი თავის ნატიან სკამზე იჯდა.

ელოდნენ ქეთევანის გამობრძანებას.

რაკი სპარსელმა ელჩმა მაჰმად-ბეგმა არ დაიშალა და, მიუხედავად დიდებულების ორჭოფული ყოყმანისა, კონსტანტინეს საიდუმლო წიგნის გადასაცემად დედოფლის პირადად მონახულება დაჟინებით მოითხოვა, დიდებულებმა ერთმანეთს ერთხელ კიდევ გადახედეს, რა პასუხი მივცეთო. საბოლოოდ, სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე იძულებული გახდა, მესტუმრეთუხუცესი ლუკა მაყაშვილი ეხმო და მასთან ერთად დედოფლის განმარტოებულ სენაკისათვის მიემართა. ქეთევანმა დაუყოვნებლივ მიიღო ორივე. დიდებულები იქ დიდხანს არ დაყოვნებულან, მალევე დაბრუნდნენ და ელჩს ანიშნეს, გაჰყოლოდა, [illegible] [illegible] უდიდებულესობა დედოფალი მის მიღებაზე უარს არ ამბობდა და დარბაზის სხდომაზე დასასწრებად მომზადებული უკვე ელოდებოდა.

სენაკის კარის წინ მაჰმად-ბეგს ქეშიკებმა იარაღი აჰყარეს, უბოდიშოდ, საკმაოდ მოურიდებლად გაჩხრიკეს, კიდევ ხომ არაფერს მალავსო და როცა მეტი ველარაფერი აღმოუჩინეს, ჯორჯაძე და მაყაშვილი გარეთ დარჩნენ, მას კი გვერდში ორი შუბლშეკრული სეფექალი ამოუდგა და დედოფალთან შეიყვანა. რამდენიმე წუთმა, იქნებ ცოტა მეტმაც მოუსვენარ ლოდინში გასტანა. ნოდარ ჯორჯაძემ უბიდან საათი ამოიღო. ჯერ ყურთან მიიტანა, ხომ მუშაობსო და მერე ზედ დახედა. ათი სრულდებოდა. დღეს აუარებელი საქმე იყო მოსაგვარებელი. მოასწრებდა კი? ურთხელის მაღალი კარი გაიღო და ზღურბლზე ცოტა არ იყოს საქციელწამხდარი მაჰმად-ბეგი გამოჩნდა. მას ისეთი სახე დასდებოდა, თითქოს ადუღებულ წყალში გაეფუფქოთ, ანდა ცხელი ორთქლით სულშეხუთული აბანოდან გამოვარდნილიყოს. სახეზე გაჟინჟღილებული იყო, შუბლზე ოფლის ხვითქი გადასდიოდა.

რა ეწერა იმ წიგნში ისეთი, ელჩის დაჟინებული მოთხოვნით დედოფალს რომ მხოლოდ საკუთარი თვალით უნდა წაეკითხა? რა უპასუხა ასეთი მუდამ წყნარმა და ღვთისმოშიშმა დედოფალმა, რომ ეს სინდის-ნამუსისაგან გარეცხილი არაკაციც კი ამ დღეში ჩავარდა?

ნოდარ ჯორჯაძე და ლუკა მაყაშვილი რომ დარბაზში დაბრუნდნენ, იქ ქეთევანის მიერ გამოგზავნილი სეფექალი შემოვიდა და ყველას ერთად მიმართა:

— დედოფალი ბოდიშს გიხდით, ბატონებო. ცოტა ულონოდ გახლავთ. დილასვე უქეიფოდ ბრძანდებოდა. გულის წვეთები ვასვით, ბრძანა, დაიწყოთ,

ნულარ დაელოდებით. მოვაკეთებ და შემოგიერდებითო.

ვინლა ვერ მიხვდებოდა, საღსალამათი დედოფლის უქეიფობა, რაც მისმა მეტისმეტმა აღელვებამ გამოიწვია, ტახტის მოცილე კონსტანტინესა და მისი წვერცამეტა ელჩის, მაჰმად-ბეგის სახელთან იყო დაკავშირებული. ქაიხოსრო ომანიშვილმა და ორიოდე სხვამაც უნებლიეთ სატევრებზე დაიხედეს, ტარს ხელიც წაატანეს და არცთუ სახუმაროდ დაბღვერილებმა დარბაზს თვალი მოატარეს. მისდა იღბლად, მაჰმად-ბეგი აქ არ იყო. წინდახედულ ჯორჯაძესა და მაყაშვილს ბადრაგის თანხლებით ის ძირს, სამოახლოში ჩაეყვანათ, სადაც, ქალაქის კარში განიარაღებულ მხლებლებთან ერთად, დედოფლისა და დარბაზის ერის პასუხს უნდა დალოდებოდა.

ქეთევანი, თითქოს მთელ ცისქვეშეთს ეკრძალვის, რადგანაც გამოსაჩენი პირი აღარსადა აქვსო, დარბაზში თვალებდახრილი შემობრძანდა, დამხვდურთ თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა, მოწიწებით წელში მოდრეკილ წარჩინებულ მამაკაცთა ორ მწკრივს შორის გაიარა, სხვებთან ერთად ფეხზე წამომდგარ მეუფე სამოელს მიეახლა, დამჭკნარ ხელზე ეამბორა, ემთხვია ანაფორის კალთას და ჯვარსაც, ცრემლმორეულ მიტროპოლიტს გულზე ოქროს ძეწკვით რომ ეკიდა, მეუფის მამობრივი ლოცვა-კურთხევა მიიღო და მის გვერდით უბრალო ნატიანი სკამი დაიკავა.

დარბაზში, აქამდე სკასავით რომ გუგუნებდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. პირველი და უკანასკნელი სიტყვა აქ დედოფალს ეკუთვნოდა და ყველას მისკენ მოეპყრო მზერა.

— ძმებო!.. — თავისთვისაც მოულოდნელად დაიწყო ქეთევანმა, დაიწყო ისე, რომ დაბლა დახრილი თვალები არც ახლა აუწევია და რაკი ყველა, გარდა ღრმად მოხუცებულ მეუფე სამოელისა, ფეხზე იდგა, თავადაც წამოდგომა დააპირა, მაგრამ უკანასკნელ წამს გადაიფიქრა და ასევე განაგრძო: — ყველას მოგეხსენებათ, რომ მაჰმადის რჯულზე შემდგარმა ჩვენმა მაზლმა, კონსტანტინემ, რომელსაც სულკურთხეული ჩვენი მამამთილის, ალექსანდრეს, ტახტის მიტაცება და ჩვენი დაყმობა სურს, რათა ყაენის ყურმოჭრილ ქვეშევრდომებად გაგვხადოს, ორი წიგნით მოგვმართა. თუ ჩვეულებისამებრ არ გვაცთუნებს, ახლა ის ნუხაშია და ჩვენს პასუხს ელის. ხომ ასეა, ბატონო ნოდარ?

— დიახ, სწორედ აგრე გახლავთ, დედოფალო! — ნიშნად დამოწმებისა სახლთუხუცესმა ჭაღარა თავი დახარა და ორივე ხელი შავქარქაშიან მოკლე სატევარზე დაიდო.

— პირველი წიგნით, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, — „ჩვენში“ ქეთევანმა, გვირგვინოსანთა წესისამებრ, რასაკვირველია, მხოლოდ თავისი თავი იგულისხმა. — ის თქვენ, კახეთის ტახტის ბურჯებს მოგმართავთ, ყველას წარსული ნაწყენობის დავიწყებას და, უკეთუ მხარში ამოუდგებით, ხელმწიფურ წყალობას, სახელოებს და ყმა-მამულს გპირდებათ. ესეც ხომ ასეა, ბატონებო?

— აგრეა, დედოფალო! — ყრუდ უპასუხა დარბაზმა.

— ჩვენ ახლა გვსურს გავიგონოთ თქვენი საბოლოო სიტყვა. აქ ამისთვის შეგყარეთ. წყდება ჩვენი სამშობლოს, საბატონო ქვეყნის, მამა-პაპის პატიოსანი ოფლითა და სისხლით მორწყული მიწა-წყლის ბედი. ამ საბედისწერო წუთებში, მაღალმა ღმერთმა რომ მოგვიელინა, მთელი საქრისტიანო საქართველო აღმდგარია და ჩვენ შემოგვცქერის, წინ აღვუდგებით მუხთალ მტერს, ღვთისაგან ბოძებულ სიცოცხლეს სასწორზე შევაგდებთ, თუ დიდი გასაჭირის ჟამს, ქედზე რომ გვაწევს, დავიქსაქსებით, ყველა ჩვენს ყმა-მამულს მივაშურებთ და სამშობლოს ჩვენს შესარცხვენად, გასათათრებლად და დასაყმობად მოსული ვერაგი მტრის კერძად გავხდით!

— მაგას რას ბრძანებ, დედოფა-

ლო?! — გაისმა აღშფოთებული ხმა დარბაზში და ყველა იქ მყოფმა თავის მიუბრუნებლად იცნო, რომ ეს მთაკაცის, ყველა დიდსა და მცირე ომში მტრის თავზარდამცემი ქაიხოსრო ომანიშვილის ხმა იყო. — გვიბრძანე, გზა დაგვილოცე და კუდით ქვას ვასროლინებთ, ანდა, თუ ბედმა გვიმუხთლა, ყველა ერთად შევაკვდებით! რას მიქვია შედრკომა და ყოყმანი! მაშ, არც შამულიშვილები ვყოფილვართ, არც ულვაში გვსხმია და არც ვაჟკაცის ქუდი გვხურებია!

დარბაზის ერი ერთპირ ახმაურდა და აგუგუნდა. ყველა თავისებურად გამოხატავდა იმას, რაც თავადმა ქაიხოსრო ომანიშვილმა დედოფალს ღვთისა და ქვეყნის წინაშე განუცხადა და აღუთქვა!

ქეთევანს ცრმელი მოერია. თვალები ცად აღაპყრო და გაბზარული ხმით, რომელიც კვნესას უფრო მიაგავდა თქვა:

— ვმადლობ უფალ ღმერთს და ღვთისმშობელ დედას, რომ ჩვენს შორის ვერავის ვხედავ ისეთს, ვისაც მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებმას ოქროს გალიაში ჯდომა ან იმავე ოქროს ჯაჭვით დაბმა ერჩივნოს! ახლა კი, თანამემამულენო, დროა, ისიც პირუთვნელად გაგიმხილოთ, რას გვწერს პირადად ჩვენ უპირული, სულგაყიდული გარეწარი, რომელმაც კაენზე უმძიმესი ცოდვა დაიდო, პატარა ძმისწულიც, საცოდავი იესეც არ შეიბრალა და ბინძური ხელი მის უმანკო სისხლშიაც გაისვარა! სამძიმოა და ჩემს ძალებსაც აღემატება ამის ხმამაღლა გამეორება, რის მოწერაც მამისა და ძმის მკვლელმა ინება, მაგრამ ვაი, რომ მდგომარეობა გვაიძულებს, ყოველივე დაუფარავად ვთქვათ, ერის სამსჯავროზე გამოვიტანოთ, გამცნოთ, მომავალ გარდაუვალ ომში საქმე რა ზნეობის კაცთან გვექნება, უკეთუ შეიძლება, იმის შემდეგ, რაც მოხდა, მას კიდევ კაცი, ღვთისშვილი ეწოდოს!

დარბაზი გაინაბა და დაიძაბა. თითოეული იქ მყოფის გულის ძგერას გაიგონებდი. დედოფლის გაკერპებულ სახეზე, აქამდე რომ სათნოებით აღსავსე დედის აუმღვრეველ სიმშვიდეს გამოხატავდა, ახლა შეურიგებელი რისხვა და სიძულვილი აღიბეჭდა.

ქეთევანმა რამდენიმე წუთს კიდევ იყუჩა. შესაფერის სიტყვებს ეძებდა. არ ჰყოფნიდა სიტყვები იმის სათქმელად, რაც ამის შემდეგ აუცილებლად უნდა თქმულიყო და რაკი ყველა უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა, მოკლედ დააბოლოვა:

— ცოლობას მთხოვს... დედოფლის გვირგვინის შენარჩუნებას მპირდება. არა და, ქვეყანას ცეცხლითა და მახვილით შემოვესევი, შენ კი, ურჩსა და ამპარტავანს, ხასად დაგისვამო!..

— განვედ ეშმაკისაგან! — ეს თავზარდაცემული მეუფის ხმა იყო, შემაჩვენებელი, მჭახე, ძარღვებში სისხლის გამყინავი, თითქოს ნაპრალში გაჭედილ სოლს მძიმე ურო დასცეს და გაბზარული ხე ორად გაიპოო. — წყეულიმც იყოს ამ კურთხეულ ქვეყანაზე სატანის მოციქულად მოვლინებული!

— არამზადა!.. უკეთური!.. ურჯულო!.. — ისმოდა დარბაზის ყველა კუთხეში და განაგონით შეძრწუნებული ხალხი სიტყვას ველარ პოულობდა წრესგადასული აღშფოთებისა და გულისწყრომის გამოსახატავად.

— მიმძიმდა თქმა... — ისე განაგრძო სირცხვილისაგან ღაწვებალანძულმა ქეთევანმა, თითქოს უნებლიე შეცოდებისათვის ბოდიშს იხდისო. — აი, როგორც იქნა, ვთქვი, განვიწმინდე და გულზე მომეშვა!

— უწმინდურს თვით დასჯის ღმერთი, შვილო ქეთევან, — მამაშვილურად დაუყვავა და ანუგეშა მეუფე სამოელმა. — შენს სიწმინდეს ამით მწიკვლიც არ მოეცხება!

ქეთევანმა კვლავ დარბაზის ერს მიმართა:

— დრო უკვე იწურება, მამულიშვილნო, მაჰმად-ბეგი ჩვენს პასუხს ელის...

— თავს ნუ შეიწუხებთ, დედოფალო, — ეს ისევ ქაიხოსრო ომანიშვი-

ლმა თქვა, წინ წამოდგა, მარჯვენა ხელი გულზე მიიდო და კუნძივით მსხვილი, ჭაღარაგამორეული თავი დახარა. — პირადად ვეახლებით, სადაც ასე რიხით გვიბარებს და პასუხს ჩვენ გავცემთ, მანამდე კი, თავადო ნოდარ, — მან პირისპირ მდგომ გულხელდაჭდობილ სახლთუხუცესს მიმართა. — ეგ ვაუბატონები, — ქაიხოსრომ გასპარსელებული ბატონიშვილის მიერ წარმოგზავნილი ყიზილბაში ელჩი მაჰმედ-ბეგი და მისი თანმხლები ყიზილბაშები იგულისხმა. — აქ, დილეგში ვიყოლიოთ და, თუ ღვთის განგებით გადავწყვეტთ, თავისი გზით მაშინ გავუშვათ, როცა საქმეს მოვრჩებით. ჰა, რას იტყვით ამაზე?

— სწორედ აგრე აჯობებს, — მოუწონეს აზრი ასლანიშვილს. — თავისიანის სისხლში ხელებმოთხვრილი ურჯულო ღირსი არ არის, ვინმემ კაცად ჩააგდოს და არაკაცს კაცური პასუხი აღირსოს! ერთადერთი საკადრისი პასუხი ალესილი შუბის შიგ გულში ძგერება იქნება!

— აგრეა, აგრე! — დაემოწმნენ ამათ სხვებიც.

— მაშ, რაღად ვგვიანდებით? — ქეთევანი წამოდგა. მის შუბლზე ათასფრად აციაგებულმა ალმასის დიადემამ, გვირგვინოსანი მამამთილის სამახსოვრო საჩუქარმა, რითაც თავს ერთობ იშვიათად, მხოლოდ დიდი სახალხო ზეიმების, დღესასწაულების და უცხოელი სტუმრების მიღებისას იმკობდა, თვალისმოსაჭრელად გაიელვა და ნახევრად ჩამობნელებულ, ციხის კაზემატის მსგავს დარბაზს თითქოს სინათლე მოემატა. — ბატონო ქაიხოსრო! — მან ასლანიშვილი მოიხმო და როდესაც თავადმა დედოფლის წინაშე ცალ მუხლზე დაიჩოქა, თავზე ორივე ხელი დაადო და ოდნავ შეძრული ხმით მიმართა: — როგორც ყოველთვის, ჯარების საერთო სარდლობაც შენთვის მოგვინდვია. ღმერთმა, მამაზეციერმა გიწინამძღვროს! წმიდა გიორგი ყოფილიყოს შენი უღალატო თანამოაბჯრე და მფარველი! ზენაარმა მახვილი გიკურთხოს, შვილო და ძმაო, მუხალი მტრის ძლევა მოგცეს — შენ და ჩქენს ლაშქარს! არ დაგეხაროს, დიდებით შეგემოსოს იესიან-დავითიანი დროშა, შენს მიერ არა ერთჯერ დიდებით შემოსილი!..

— ვფიცავ, დედოფალო, თავი არ დავიზოგო, სამშობლოსა და შენს შეურაცხმყოფელ ურჯულო მტერს, თუ კაცი ვყოფილვარ და ეს ულვაში მსხმია, ჩადენილი უკეთურობა სისხლით ვაზღვევინო! — ქაიხოსრო დაიხარა, ქეთევანის კაბის კალთას დასწვდა და, როგორც საომარ დროშას, კრძალვით ეამბორა.

— ვფიცავთ!.. — ერთხმად გაიმეორეს სხვებმაც.

ბეუფე სამოელი სამღვდელმთავრო კვერთხს დაეყრდნო, წამოდგა, ჩაახველა, რაღაც მეტად მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა, მაგრამ აღელვებულს გული ყელში მობჯენოდა, არაფრის თქმა აღარ შეეძლო და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ დედოფლის წინაშე მუხლმოყრილი დარბაზის ერს გულზე დაკიდებული პატარა ოქროცურვილი ჯვარით ჯვარი სამგზის გადასახა და იმავე აკანკალებული ხელის ზურგით თვალებზე მომდგარი ცრემლის კურცხალი მოიწურა.

თავი XV

არაფერი, ალბათ, ასე არ აღაშფოთებდა და შეაძრწუნებდა ქრისტეს მცნების განუხრელად მიმდევარ ერს, როგორც გადარჯულებული, მამისა და ძმის სისხლში ხელგასვრილი ბატონიშვილის უტიფარმა შემონათვალმა აღაშფოთა და შეაძრწუნა. ხალხი, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ყურებს თითებით იცობდა, ღმერთო, დიდებულო, ეს რა ღვთის რისხვა გვესმისო და გარდა შურისძიებისა, ყველა სხვა გრძნობას ივიწყებდა.

ღვთისმოსაობითა და სათნოებით კიდით კიდემდე განთქმული, ქვრივ-ობლის შემბრალე და განმკითხავი ქეთევანი მთელ ერს სათაყვანებლად გაეხადა და სატანჯველში უმალ თვით ჩავარდებოდა, ვიდრე მისი უმწიკვლო სახელისა და ღირსების ლაფში ამოსვრის ნებას ვინმეს მისცემდა!

ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ წაშლილიყო წერას ატანილი დავით მეფის მძულვარებით აღვსილი რისხვა, თავისსავე ქვეშევრდომებს რომ დაატეხა და კახბატონ ალექსანდრეს მეცადინეობით ძლივს ფეხზე წამომდგარ ქვეყანას საიდანღაც მოთრეული ავაზაკები თავზე დაასვა. მაშინ ერთადერთი ქეთევანი იყო, ვინც ხალხს ესარჩლებოდა, ვისაც შეეძლო, მოღერებულ მახვილისათვის საკუთარი მკერდი შეეშვირა, მას, მხოლოდ მას ხელეწიფებოდა გვირგვინოსანი თანამეცხედრის შეჩერება, ახალი ბოროტების, ახალი ავკაცობისა და სულის წაწყმედის დაცხრობა.

— მთლად ჭკუაზე გადასულა ეგ მართლა ურჯულო, — კონსტანტინეს ავად მოხსენიებით გულს იფხანდნენ ქვეყნის ყოველ კუთხეში, სადამდეც კი ღვთის გამარისხებელი მისი შემონათვლის ამბავს მიეღწია და გულისწყრომას ერთმანეთს უზიარებდნენ. — ამღვრეულ სისხლს გადაურევია, ის კი აღარ იცის უბედურმა, რომ თუ კაცი ვერა, სულაქოთებულს მაღალი ღმერთი მოჰკითხავს, შეგეწიოთ იმისი მადლი, ამინ, ჯოჯოხეთის ადუღებულ კუპრში ჩაგდებს!

— ეე, მძახალო, ჯოჯოხეთის კუპრისა რომ ეშინოდეს და ღმერთი ჩვენებურად სწამდეს, ეგ არც იმას იზამდა, რაც ზაგემში ჰქნა, მაგრამ რადგანაც ის გაბედა და გაუვიდა, ფიქრობს, სხვა რამესაც შავირგებ, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. იცრეა? საწუხარი ის არის, მაგითანა ღვთის მგმობელის ხელში ჩაგდებას და იმ ქვეყანაში გასტუმრებას კიდევ რამდენი ჩვენნაირი საწყალი გლეხკაცის სიცოცხლე უნდა შეეწიროს, რამდენი ბალღი უნდა დაობლდეს და რამთონმა ... ქვრივ-ოხრის თალხები უნდა ... ავიც ხომ ჩვენ უნდა ვზღოთ და კარგიც, უჩვენოდ ხომ არაფერი იქნება!

ჭეშმარიტად! ქვეყნის ბურჯი გლეხკაცის ოფლისა და სისხლის დაულვრელად რომელი დიდი ან მცირე ომი მოგებულა, რომელი ქვეყანა აშენებულა, რომელ სიკეთეს გაუმარჯვია და რომელი ბოროტება დამხობილა!

ახლაც სწორედ აგრე ხდებოდა. სოფლები სანახევროდ დაიცალა. შეიფერთხა თვით სატახტო ქალაქი გრემიც. წლის მოსავლით სავსე ბალ-ვენახი, მოწევას, შინ შემოზიდვას და დაბინავებას-ღა რომ ელოდებოდა, თითოოროლა სნეული ან ომში ნაჩეხ-ნაგვემი ვაჟკაცის, მოხუცებულების, ბალღებისა და ქალ-რძლის იმედზე დარჩა. დღიან-ღამიანა კვერს ურაკუნებდნენ სამჭედლოებში, ცელის, თოხის თუ სახნისის მაგივრად ხმლებსა და სატევრებს პირავდნენ, ახალ-ახალ მშვილდებს ღუნავდნენ, ხარის დაგრეხილი ძარღვებისაგან საიმედო ლარებს ჭიმავდნენ, ისრისა და შუბის ბუნიკებს ჭედდნენ, ჩარხზე ლესავდნენ, მტრის გულის გასაგმირად წიბოს უმახვილებდნენ.

ერი და ბერი ქვეყნის მომსვრელი ურჯულო მტრის დასახვედრად საქმობდა.

სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ, თავადმა ქაიხოსრო ომანაშვილმა, ბოდბელმა და ნეკრესელმა ეპისკოპოსებმა ერევნის კომპანიაში დიდებით ნაომარი, შალითიდან ამოღებული საშეფო დროშა გამოასვენეს, მოედანზე ათასეულებად დაწყობილ ჯარს წინ დაუყენეს და თავად აქეთ-იქით ამოუდგნენ.

მხარმარჯვნივ და მხარმარცხნივ უკვე ფრიალებდა სხვა დროშებიც.

სანთლებით გაჩირაღდნებულ საკრებულო ტაძარში პარაკლისს იხდიდნენ. თვით ალავერდელი მიტროპოლიტი მეუფე სამოელი წირავდა, ოქროცურვილ

ხატებს, რუსეთის წმიდა სინოდის მიერ გამოგზავნილი ხატისმწერალნი გადაკეთებასა და შესწორებას რომ უპირებდნენ, საკმევლის კვამლს აკმევდა, გულმხურვალედ ლოცულობდა, მაღალ ღმერთს მტერზე გამარჯვებას და ღვთისმგმობელი კონსტანტინეს ერთხელ და სამუდამოდ დამხობას შესთხოვდა.

უბრალო მონაზვნის შავი თავშლით შებურვილი, ღვთისმშობლის ხატის წინაშე თავდავიწყებული ლოცვა-ვედრებით გულმოოხებული ქეთევანი, რომლის ფერმიხდილ სახესა და დიდრონ, მეტყველ თვალებს თალხი ერთობ საჩინოდ ხდიდა, სწორედ ტაძრის ყურთამდე ღია კარიბჭიდან გამობრძანდა სეფექალებისა და საომარ აბჯარასხმულ დიდებულთა მრავალრიცხოვანი ამალით. დედოფალსა და მის ბრწყინვალე ამალას ჯვრებით, ხატებით, საეკლესიო ბაირაღებით, ლოცვითა და გალობით ტაძრიდან გამოჰყვა საეკლესიო კრებულიც, რომელსაც სათავეში სიწმიდით გასხივოსნებული მეუფე სამოელი უდგა.

ქეთევანმა ქოში წინასწარ მომზადებულ ფიცარნაგზე შესდგა, რათა მოედნის ყოველი კუთხისათვის, ჯარებს რომ დაეკავებინათ, თვალი მიეწვდინა, ის ხელი ასწია, რომლითაც პირჯვარს იწერდა და სამშობლოს საკურთხეველზე ზვარაკის მისატანად განმზადებულ ქრისტეს მოსახელე ლაშქარს მიესალმა. ჯარმა იგი მონოზვნურ ფლასებშიაც იცნო, თუმცა თავის დიდებულ დედოფალს ძოწეულითა და პორფირით შემოსილს, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ სადედოფლო გვირგვინით შუბლშემკობილს კი მოელოდა და, როგორც ასეთ დროს მიღებული იყო, ვაშა, ვაშა, ვაშაო, სამგზის დაიქუხა.

ქეთევანს უჩვეულო მღელვარება დაეუფლა, გული ამოუჯდა, თვალები ცრემლით აევსო და ბაგე მოიკვნიტა.

დედოფლის ცრემლი უმალ შენიშნეს იმათ, ვინც სხვებზე ახლო იყო და თავადაც გულშეძრულებმა შესძახეს:

— დიდება ქეთევანს!.. ღმერთმა აკურთხოს დედოფალი ქეთევანი! —

ეს გაბზარული ხმა ჯერ ერთ-ერთ პირიდან ამოსულმა გამაყრუებელმა ვაშამ დაჰფარა, რომელმაც მუხლმოყრილ ლაშქარს თავზე გადაუარა და ცად აიჭრა.

— სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს პატრონს და მბრძანებელს!..

— დიდება ქეთევანს!.. — ისმოდა სხვადასხვა ადგილას და ეს ცალკეული შეძახილებიც ერთსულოვნად აგუგუნებულ ვაშას მორევში იძირებოდა.

— სიჩუმე!.. იქონიეთ მოთმინება!.. დედოფალი სიტყვას ბრძანებს!.. — მრისხანედ დაირხა იქ, სადაც დედოფალი და მისი ამალა იდგნენ. ხმა ბოქაულთუხუცეს თავად დავით ჯანდიერისა იყო. თავადი ქეთევანთან ყველაზე ახლოს იდგა და თვალი ფხიზლად ეჭირა. ფხიზლობდნენ სხვებიც. შემოპარულ მტერს, რომლისგანაც ყოველი სიავე და სულმდაბლობა მოსალოდნელი იყო, ყოველ წამს შეეძლო, ხალხმრავლობით ესარგებლა და აქ ნებისმიერი უბედურება დაეტრიალებინა.

ჯანდიერის სიტყვები ქეშიკებმა და მანდატურებმა აიტაცეს და აზვირთებული ლაშქრის დასაწყნარებლად ახლა ამათ იყვირეს:

— სიჩუმე!.. სიჩუმე!.. სმენა იყოს და გაგონება!..

თუმცა ყველა ერთმანეთს აჩუმებდა და პირზე ხელს აფარებდა, აღგზნებული ჯარი კარგა ხანს ვერ დაწყნარდა. ქეთევანმა მცირედ შეიცადა და როდესაც დარწმუნდა, სრული სიჩუმე აქ არასოდეს არ დამყარდებაო, რამდენადაც შეეძლო, ხმამაღლა დაიწყო, რათა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს უკანა რიგებამდეც მიეღწია:

— ძმებო!.. დებო!.. შვილებო!.. ქრისტესმოსავნო!..

ამდენი ხალხის წინაშე გამოსვლა თავის სიცოცხლეში პირველად უხდებოდა, ანდა როდის, რა საჭიროებისა და აუცილებლობის გულისათვის უნდა გამოსულიყო! უჩვეულოდ გულაძგერე-

ბულმა პირველი სიტყვები ძლივს ამოთქვა, რამაც ერთბაშად სამარისებური სიჩუმე ჩამოაგდო და შუბების ტყით აჩონჩხილ ვრცელ მოედანს თვალი მოავლო, თითქოს ყველას სათითაოდ მიმართავდა:

— ღმერთმა ინება და დაგვიდგა განსაცდელის ჟამი. პირშავი მტერი კარს მოგვდგომია და ჩვენი კურთხეული მამა-პაპის ნაამაგარ მიწას, ჩვენი მაშვრალი ხელით აშენებულ სახლ-კარს გვეცილება! თქვენ ყველამ უწყით, ჩვენი შეხსენება აღარ გჭირდებათ: მტერს სისხლითა და ხორცით ჩვენი ნათესავი, ქრისტეს ჯვრის უარმყოფელი და მაჰმადის რჯულზე შემდგარი კონსტანტინე ბატონიშვილი მოუძღვის!.. ეს ის კონსტანტინეა, ვინც ღალატით მოჰკლა მშობელი მამა და ღვიძლი ძმა, რათა კახეთის ტახტს დაუფლებოდა. უცოდველი ძმისწული, პატარა იესეც არ დაინდო!..

— სიკვდილი კონსტანტინეს!..

— სიკვდილი ურჯულოს!.. — ერთხმად იგრიალა ჯარმა.

— დიდება ქეთევანს!.. ღმერთმა აკურთხოს ქეთევანი!..

— წარმიელენიხართ, ქრისტესმოსავნო, ღირსეული პასუხის მისაგებად. წმიდა გიორგიმ გიწინამძღვროთ, გფარავდეთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი!..

დედოფალს, დიდებულებს და სამღვდელო პირთ ჯაჭვის თოქალთოგადაცმული, დარახტული საომარი ცხენები მოართვეს. დედოფლის ფიცხ ცხენს, რომელიც სადავით ორ მეჯინიბეს ეკავა და თავს ძლივს უმაგრებდა, ძმები ვაჩნაძეები, თამაზ და ბებური მიეახლნენ, ქეთევანს უზანგი და აღვირი დაუკავეს. ცხენოსნობაში ყმაწვილქალობიდანვე გაწაფული ქეთევანი უნაგირს მსუბუქად შეაფრინდა, სადავე მოზიდა და ცხენიც უმალვე დამორჩილდა.

ბუკს სცეს. დროშები შეირხნენ და შეტორტმანდნენ. ფეხი აიდგეს. ათასეულები მჭიქარე სიმღერით დაიძრნენ. სწორედ ამ დროს მოაგდო გაქაფული ცხენი მალემსრბოლმა, რომელიც თიანეთის მოურავ ელიზბარ ჩოლოყაშვილის კაცებმა მოიყვანეს და [illegible] ქაიხოსრო ომანიშვილს [illegible]

— რაო, ბატონო ქაიხოსრო? — იკითხა ქეთევანმა.

— გიორგი ქართლის მეფისაგან მაშველი ჯარი გეახლა, დედოფალო!

— გმადლობ შენ, მაღალო ღმერთო, იესო მაცხოვარო, ღვთისმშობელო დედავ, რომ უნუგეშოდ არ დაგტოვე! — ქეთევანმა პირჯვარი გადაისახა და იმედით აღსავსე თვალები ცად აღაპყრო. — ღმერთმა დიდი დღე მისცეს ჩვენს კეთილისმყოფელ მეფე გიორგის! ვინ არის სარდალი და რამდენი კაცი ახლავს?

— გორის მოურავი, თავადი პაპუნა ამილახვარი, შიდა ქართლის სადროშო, სამი ათასი კაცი!

— ახლა სად არიან?

— თიანეთზე გადმოსულან, დედოფალო. სადაცაა, ნადიკვარში შემოვლენო.

— ხალხი შეაგებეთ, პატივი ეცით, პატივუცემელი არავინ დაგვრჩეს!

— განკარგულება უკვე გაცემულია!..

გორელმა აზნაურმა, ჩხეიძემ, რომელსაც აგრეთვე პაპუნა რქმეოდა და სადროშოში ასისთავის სახელოს ფლობდა, სასიხარულო ცნობასთან ერთად მეტად სამწუხარო ამბებიც მოიტანა.

ბატონიშვილი, თინათინი, იგივე ლელა, ვისი თვალტანადობითა და ქცევით რუსხელმწიფის ელჩები აქეთობას მოიხიბლნენ და ხელმწიფის სარძლოდ თვალი დაადგეს, უკეთუ მეფე დავითისა და დედოფალ ქეთევანის ასული ელენე ცარევიჩ თევდორეს შესაფერისი არ აღმოჩნდებოდა, კახეთიდან მობრუნებულებს შინ აღარ დახვედრიათ. მცირეწლოვნობისდა მიუხედავად, შაჰის მიერ საგანგებო გამოგზავნილ კაცებს ლელა უკვე წაეყვანათ ისპაჰანს, სადაც ჯერ კიდევ მოუმწიფებელ გოგონას დიდ პაპად შესაფერი ყაენის ცოლობა და ჰარამხანის დახშული კედლები ელოდა.

რაც შეეხებოდა ბატონიშვილ ლუ-

არსაბს, ვინც თავისი შეხედულებებით ნაშჩოკინმა და ივანოვმა პრინცესა ქსენიას საქმროდ ივარაუდეს, გიორგი ქართლის მეფემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ხათრი კი მადგია რუსეთის დიდებული ხელმწიფისა და არც ესოდენ პატივსაცემი შუამავლების გაწბილება მწადს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ერთადერთ ძეს, ტახტის მემკვიდრეს, ვერსადაც ვერ გაგატანთ, თუნდ ნახევარი ცისქვეშეთიც დაუმტკიცოთ, თანაც ხედავთ საკუთარი თვალით, ესეც უწლოვანია, ხელმწიფის მოწიფულ ასულს პირტიტველა ყმაწვილმა რა მეუღლეობა უნდა გაუწიოს, ჯერ პირზე რძე არ შეშრობიაო.

რა იცოდა მაშინ ან ერთმა, ან მეორე მხარემ, რომ სულ ტყუილად ირჯებოდნენ, სულ ტყუილად ხარჯავდნენ ოქროდ საღირალ დროსა და მჭევრმეტყველებას, რადგანაც ამ დროს აღარც ხელმწიფე ბორის გოდუნოვი იყო ცოცხალი, აღარც ცარევიჩი თეოდორე, ხოლო ცარევნა ქსენია, საიდუმლო ვითარებაში დაღუპულ, პირის სანახავად მოსულ დანიის პრინცს რომ გლოვობდა და გამწარებული ახლობლებს უმტკიცებდა, აწი აღარასოდეს გავთხოვდებიო, ხასად ესვა რუსეთის ტახტზე პოლონელი შლიახტიჩების იარაღის ძალით წამომჯდარ მეფეს, თავს დიდი ივანე მრისხანის შვილიშვილად, ხელმწიფე თეოდორეს ძედ, უგლიჩში სასწაულებრივად გადარჩენილ დიმიტრიდ რომ აცხადებდა!

გზაზე დამდგარ რუსის დესპანებს ანანურშივე შეეტყოთ, რომ სამსრეთის მხრიდან კახბატონ ალექსანდრეს მოიმედე გენერალ ბუტირლინს, რომელიც შამხლის დასასჯელად კავკასიაში ხელმწიფე ბორის გოდუნოვის ბრძანების თანახმად მოვიდა, თავს დიდზე დიდი უბედურება დასტეხოდა: ვერაგ შამხალს მტრის რიგებში შეგზავნილი მსტოვრების საშუალებით შეეტყო მისი ჩანაფიქრი, ყირიმის ხანი გვერდში ამოეყენებინა და ბუტირლინს საშამხლოს იწროებში დახვედროდა, ორცეცხლშუ ჩავარდნილი ბუტირლინი ამაოდ ელოდა დახმარების ხელს [illegible] ნახჩევანიდან, სადაც რუსეთის თანამდგომი ალექსანდრეს მოსაწვევად მალემსრბოლები ეფრინა, მაგრამ განსვენებულ კახბატონ ალექსანდრეს აბა რა დახმარების გაწევა შეეძლო, როდესაც ღვიძლი შვილის მიერ თავმოკვეთილი იმხანად უკვე ზაგემის მიწაში იწვა!

დამხვდურთ ადვილად გაეტეხათ რუსის გენერლის გააფთრებული წინააღმდეგობა, ომის ყველა წესისა და რიგის მიხედვით რომ იბრძოდა, შვიდიათას კაციანი კორპუსიდან ამბის წამღებიც არავინ გაეშვათ, მოეკლათ თვით გენერალი ბუტირლინიც და დარიალის ხეობის ყელი გადაეკეტათ, საიდანაც შაჰაბასის ურდოებს მოელოდნენ, უკეთუ ის რიცხვით უმეტეს ოსმალთ სძლევდა ურმიის ტბასთან, შემდეგ ქართლ-კახეთსაც გადმოთელავდა და პირს ჩრდილოეთის ნაყოფიერ ველებისაკენ იზამდა!

შინ მიმავალ ელჩებსა და თანმხლებ მცირერიცხოვან ჯარს მტრის ხელში ჩავარდნა, ტყვეობა და ყირიმის ბაზრებზე გაყიდვა დაემუქრა. მათ პირი იბრუნეს და კვლავ გიორგი ქართლის მეფეს მოადგნენ გორში. არცთუ სახუმაროდ დამფრთხალი დესპანები მეფემ აქედან იმერეთის გზით გაისტუმრა, ვინძლო მამისონის უღელტეხილი მაინც არ იყოს ჩაკეტილი და სამშობლომდე ცოცხალი თავით როგორმე გააღწიონო.

ქეთევანი უზომოდ დააღონა რუსეთის ხელმწიფის კარზე დატრიალებულმა სისხლიანმა ამბებმა. როგორც ჩანდა, ტახტის მოცილეობა და ერთმანეთს შორის მიხტომ-მოხტომა მარტო ქართლოსიან დიდგვაროვანთ არა სჩვეოდათ, იგი არც დიდი და ძლიერი რუსეთისათვის იყო უცხო. ხედავდა ქეთევანი: რაკი რუსეთის ტახტზე ღღეს სხვა გვირგვინოსანი იჯდა, კანონიერი თუ უკანონო, ქართველი და რუსი დესპანების მიერ აქამდე გაწეული დაუღალავი შრომა წყალში იყრებოდა. ყვე-

ლაფერი თავიდან დასაწყები ჩანდა და ვის შეეძლო, შეუცდომლად განეჭვრიტა, მოჰყვებოდა თუ არა ამას რაიმე სასურველი შედეგი?

დედოფალი არანაკლებ შეაშფოთა და თითქმის სასოწარკვეთილებაში ჩაგდო გენერალ ბუტირლინისა და მისი კორპუსის ბედმა. ეს პირველად იყო, როდესაც დიდმა რუსეთმა საერთო მტრის წინააღმდეგ, ცეცხლის რკალში მომწყვდეული ერთმორწმუნე მეზობლის მხარში ამოსადგომად ნაბიჯი გადმოდგა და პირველივე მოწადინება საშინელი მარცხით დამთავრდა!

„ღმერთო დიდებულო, იესო მაცხოვარო, შენ შეეწიე უბრალოდ დაღუპულთა სულებს, გაულე სასუფევლის კარი, შეუნდე ყველა შეცოდება, სულ ნათელში ამყოფე! — ევედრებოდა ზენაარს ქეთევანი. — შენ შეეწიე საცოდავ ჩვენს სამშობლოს, შეეწიე და შენი ფრთები გადააფარე ყველას, ვინც მის საკეთილდღეოდ გაირჯება! გვაკმარე სისხლი და ვაება, მოგვეც ერთი პირი და ნება, ვძლიოთ მტერთა ჩვენთა და ღვთის სადიდებლად მშვიდობიანობა დავიმკვიდროთ!“

თავი XVI

ყიზილბაშებთან პირველი და უკანასკნელი შეტაკება, რამაც ამჯერად კახეთის ბედი გადაწყვიტა, ღვინობისთვის 22-ს, გარიჟრაჟზე მოხდა. ქეთევანმა და მისმა ლაშქარმა ღამე ჭიაურის ტყეში გაათიეს და ციხკრის ვარსკვლავი რომ ამოვიდა, აიყარნენ. წინამებრძოლად თავადი ქაიხოსრო ომანიშვილი მიდიოდა სამასკაციანი შემდგარი რაზმით, რომელსაც, დედოფლის ბრძანებისამებრ, მთებიდან დაშვებული მარბიელების ასალაგმავად და ნადავლის წასართმევად იყენებდნენ. ამათ მისდევდნენ ქიზიყის პირველი და თიანეთის მეორე სადროშოები, რომელთაც ბაქარ ანდრონიკაშვილი და ელიზბარ ჩოლოყაშვილი სარდლობდნენ.

5. „მნათობი“, № 1—2.

წინადღეს დაწინაურებულმა მხარებმა დედოფლიანთ ამბავი დაახვედრეს, რომ სამი დღე იყო, რაც კონსტანტინე ბატონიშვილმა ნუხა დასტოვა, კახი და ელისენი მუსლიმანურელად გამოიარა და ბელაქნის წყალზე დადგა. ის ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ გრემში ადრე თუ გვიან გონს მოეგებოდნენ, ქეთევანს ჩააგონებდნენ, რომ მისთვის კეთილის მოსურნე კონსტანტინესთან შებმა უიმედო საქმე იყო, რადგანაც ამას მხოლოდ უაზრო სიხლისღვრა და მისი დამდაბლება მოჰყვებოდა, მაგრამ ბეწვის ხიდზე შემდგარი დედოფლის ამაყი დუმილი, მისი მხრივ სრული უამბობა და თავისი ჯარის სიმცირე, თუმცა ქეთევანს შეიძლება ამის ნახევარიც არა ჰყავდა, კონსტანტინეს საგონებელში აგდებდა და გაბედული მოქმედების ნებას არ აძლევდა.

ყოველივე ეს კარგად გაჩითეს კახმა სარდლებმა და ხელზე დაიხვიეს. რიცხვით ისინი ოდნავ ჭარბობდნენ მტერს, თუ ამას ქართველებსაც დაუმატებდი, რომლებიც ახლაც გზაში იყვნენ და მთავარ ძალას ჯერაც ვერ დასწეოდნენ, კონსტანტინესა და მის ყიზილბაშებს საიმედო ბევრი არაფერი უნდა ჰქონოდათ.

ამჟამად საჭირო იყო საიერიშოდ განწყობილი მტრისათვის თავბრუს დახვევა, სანამ ის საომრად დაწყობას მოასწრებდა, წყალში გასვლა, ელვისებური იერიშის იქით მიტანა, პირველი მწკრივების გადაქელვა და მძვინვარე კაფვა-ჩეხვის შემდეგ ასევე ელვისებურად უკან დაბრუნება, რითაც გაოგნებული მტერი აუცილებლად ისარგებლებდა და ხმალმოღერებული გამოუდგებოდა.

სწორედ ამ არეულობით უნდა ესარგებლათ ელიზბარ ჩოლოყაშვილსა და ბაქარ ანდრონიკაშვილს, თავ-თავისი ცხენოსანი ჯარით მდინარე შორიდან შემოვლით გადმოელახათ და ფრთებზე უეცარი დარტყმით მოწინააღმდეგის ზურგში გასულიყვნენ.

ქვეითი ჯარი, უპირველეს ყოვლისა მოისრები, მდინარის გამოღმა ნაპირზე რჩებოდნენ და მდინარეში შემოსულ მტერს თავზე ისრების წვიმას დააყრიდნენ.

ჭიაურის ტყეშივე გადაწყდა, პირველი და ყველაზე უფრო სახიფათო იერიში ქაიხოსრო ომანიშვილს განეხორციელებინა, მანამდე კი ჩოლოყაშვილსა და ანდრონიკაშვილს ფრთებზე გასვლა და იქ ჩასაფრება მოესწროთ.

სანდაზმული დიდებულები: ნოდარ ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, ჭავჭავაძე, მაყაშვილი, ნეკრესელი, ბოდბელი და ნინოწმინდელი ეპისკოპოსები თავ-თავიანთი გუნდებითურთ საომარ ცხენზე ამხედრებულ ქეთევანთან დარჩნენ, რომელმაც არავის თხოვნა და ხვეწნა-მუდარა ყურად არ იღო და ბრძოლის ველზე პირადად გამოვიდა.

დედოფლის აქ ყოფნით აღფრთოვანებულმა და ფრთებშესხმულმა უმცროსმა თავადიშვილებმა, მათ შორის ძმებმა ვაჩნაძეებმა და ცხრა მათმა ბიძაშვილმა, თანატოლების მხარდამხარ ქაიხოსრო ომანიშვილის წინამებრძოლთა რაზმში წასვლა მოიწადინეს და ასალგაზრდა მამულიშვილთა ამ სურვილის აღსრულებისათვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

თავდაპირველად ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ნავარაუდევი იყო. ომანიშვილის მამაცთა რაზმმა, რომელიც ამჟამად ოთხასზე მეტ რჩეულ მხედარს ითვლიდა, ადრიანი დილის ბინდბუნდში მდინარის გაღმა ნაპირს მტრისათვის შეუმჩნევლად მიაღწია და ხმალამოწვდილი და შუბმოღერებული წინ გაექანა, მაგრამ, თავისდა გასაოცრად, ორასიოდე ნაბიჯი, იქნებ ცოტა მეტიც, ისე გაიარა, რომ იქ არავინ დახვედრია.

მრავალ ომგადახდილ ქაიხოსრო ომანიშვილს უმალვე გაუელვა აზრმა, მტრის მიერ მუხანათურად დაგებულ ხაფანგში გავებით და შემდგომი წინსვლა უეჭველ დაღუპვას გვიქადისო.

მტერს გამოეცნო მათი ზრახვა. შუაგული უკან დაეყენებინა. ეს მაშინ, როდესაც ფრთებით წყლისპირს ებჯინებოდა. ქაისოსრომ ველარ ფიქრობ — თავისიანებისათვის ხმა ძიეწვდინა, რათა გზადაგზა ომის გეგმა შეეცვალა. ბევრიც რომ გეცადა, ამ ხათქახუთქსა, ყიჟინასა და ორომტრიალში ვერავის ვერაფერს გააგონებდი. ამასობაში ჩასაფრებულმა ყიზილბაშებმა ყიჟინა აქეთ დასცეს, ცხენები წამოახტუნეს, ზედ მოევლნენ და ორივე მხრიდან წამოვიდნენ. როდესაც ომანიშვილის დაწინაურებული მხედრები მტრის მოისრებს მისწვდნენ და მიუხედავად იქიდან წამოსული ისრების წვიმისა, ჩეხვა დაუწყეს, ყიზილბაშთა ცხენოსან ჯარს. რაზმი უკვე ალყაში მოექცია. სიცოცხლის გადასარჩენად თავგანწირული ბრძოლა გარდაუვალი იყო. ერთს ათის მაგივრობა უნდა გაეწია, არადა მტრის რიცხობრივი უპირატესობა თვალდათვალ მატულობდა და მარჯვე ხაფანგიდან თავის დაღწევა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა.

არ დაიბნენ თიანეთისა და ქიზიყის მოურავები, ჩოლოყაშვილი და ანდრონიკაშვილი, რომლებიც მთელ ამ ამბავს მდინარის გაღმა ნაპირიდან უყურებდნენ. თანდათან ვიწროვდებოდა რკალი ქაიხოსრო ომანიშვილის მამაცთა რაზმის გარშემო. ომის გეგმა ძალაუნებურად უნდა შეეცვალათ, რადგანაც ვითარებამ სრულიად სხვა სახე მიიღო, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ. წინ, ღვთისა და დედოფლისათვის მომყევითო, დაიძახა ბაქარ ანდრონიკაშვილმა, ელვარე ხმალი იშიშვლა და არც კი დაუნამდვილებია, მისდევდნენ თუ არა, ურა ცსენი თავთხელში შეაგდო. ასევე მოიქცა თიანეთის სადროშოც. თვალის დახამხამებაში მდინარე და გაღმა-გამოღმა რიყე, თეთრად რომ ქათქათებდა, ყურისწამღებად მოყიჟინე ხმალამოწვდილი მხედრებით აივსო. მდინარის აქეთა ნაპირზე მხოლოდ მოისრები დარჩნენ და უცაბედად ჩვენიანები არ დავაზიანოთო, მშვილდები ძირს დახარეს, სროლა შეწყვიტეს.

წყალგაღმა ხმლების ჩახაჩუხი, ყალყზე შემდგარი ცხენების ჭიხვინი და საბრძოლო ყიჟინა გახშირდა. მოწინააღმდეგენი, თითქოს ამ სანატრელ წუთს მთელი სიცოცხლე ელოდნენო, თავგანწირულად ეკვეთნენ ერთმანეთს. ბევრ ვინმეს დაუბნელდა ᲔᲖᲔ და ხმლით შუბლგაჩეხილი და მკერდში შუბგაყრილი უნაგირს გადმოეკიდა. დაჭრილ-დაკოდილთა მისახედავად და ბრძოლიდან გასაყვანად აღარავის ეცალა. უმხედრო ცხენები გაგიჟებული, ფაფარაშლილი გამორბოდნენ იქიდან, სადაც ერთიმეორეში აზელილი მომხვდური და დამხვდური ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დარეოდნენ და ხმლითა და შუბით სისხლის ტბას აყენებდნენ.

ღედოფალო, ამილახვარი გეახლა საით უბრძანებ ომში ჩაბმას?

ქეთევანმა გარს შემორტყმულ სარდლებს გადახედა და მერე მათ პასუხს აღარ დაელოდა, კვლავ ამბის მომტანს მიმართა:

— ჩოლოყაშვილს მიეშველონ! აქედან ისე ჩანს, რომ ყიზილბაშებმა მის მხარეს წინ წამოიწიეს!..

მზე ამოდიოდა და მისი სხივები შიგ თვალებში გცემდა. საძნელო საქმე იყო, გაღმა ნაპირის მტვერსა და კვამლში რაიმე სარწმუნოდ გაგერჩია. სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე თვით ჩაუძღვა ქართველთ ბელაქნის წყალზე. აქ ცხენი ყალყზე შეაყენა, ხმალი იშიშვლა და სადროშის სარდლის, მისი კბილა პაპუნა ამილახვრის მხარდამხარ ცხენი გაღმა ნაპირისაკენ გააჭენა, რომელსაც უკვე უახლოვდებოდნენ ურჯულო მტრის გაშმაგებული მოწოლით შევიწროებული თიანელები.

— აი, თქვენი ღმერთის ჭირიმე, ბიჭებო, რა დროს წამოგვეშველეთ!..

— გამხნევდით, კახელებო! როდის მომხდარა, ტილიან ყიზილბაშს წმიდა სამების აღმსარებელ ქართველზე გაემარჯვოს! დასცხე! ჰკა მაგას, აგრე, გენაცვალე მარჯვენაში!..

ხმა, გიაურ კახთ მაშველი ძალა მოუვიდათო, მსწრაფლ გავრცელდა. — მაგრამ წარმატებით გაბოლილ ყიზილბაშების მხრიდან ომს კარგი პირი უჩანდა და ამ საგანგაშო ცნობას მათზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

— ეს მართლა შენა ხარ, თავადო ქაიხოსრო?

— მე გახლავარ, ურჯულო კონსტანტინე! ვმადლობ ღმერთს, რომ შენთან პირადად შემახვედრა! ამ ჩაფხუტში როგორ მიცანი?

— შენ ვინ არ გიცნობს, თავადო, ძველ გაიძვერასა და მოღალატეს!

— მაგ შემკობისათვის გულითადი მადლობა მომიხსენებია! შენი პირიდან არცა მსურს, სხვა სიტყვები მოვისმინო! შემახაში ღამის სიბნელემ დაგიფარა და გამექეცი. ახლა რაღასი იმედი გაქვს, ურჯულო ბატონიშვილო, თავს კახეთის მეფეს რომ ეძახი და ღვიძლი ძმის ქვრივს ცოლობას სთავაზობ, რათა მისი დამდაბლებით თავზე წამოგვაჯდე! გრისხოს ალავერდის წმიდა გიორგიმ! გგონია, ალაჰი დაგიფარავს, ახლაც, გამექცევი? აქ შენს წერას მოუყვანიხარ, შუბლზე აქ სიკვდილი გწერებია! დამიდექ!

— გონს მოდი, ქაიხოსრო! ნუ დაივიწყებ, რომ შენს მეფე-ბატონს ელაპარაკები! აქიოან ცოცხალიც რომ გახვიდე, რაც მეტად მეეჭვება, ყმა-მამულვის იმედად სტოვებ, გგონია, იქ კი ვერ მოგწვდები?

ვიდრე ისინი ასე სიტყვიერად კენწლავდნენ ერთმანეთს, ომანიშვილის გარშემო სისხლში ამოთხვრილი ვაჩნაძეები მოგროვდნენ, მიხვდნენ, მათ წინაშე ვინ იდგა მძიმედ შეჯავშნულ ცხენზე და ხმალამოწვდილი აქეთ-იქიდან მიეტანენ.

— უკან!.. — არაადამიანურად მჭექარე ხმით იღრიალა ქაიხოსრომ და მტრის კაფვაში მოღლილი ვაჩნაძეები ადგილზევე გააშეშა. — ბატონიშვილს, მირზას, ჩემი სისხლი სწყურია! ხელს ნუ შეუშლით, გეთაყვა, დალიოს ბარემ!

რაკილა აგრეა, მზადა ვარ, კონსტანტინე!

ეს სიტყვები დამთავრებული არც კი იყო, რომ გოლიათური აღნაგობის მქონე ქაიხოსრო ომანიშვილის ხელით მძლავრად ნასროლმა შუბმა ჰაერი შხუილით გაჰკვეთა და ელვისებურად ცხენშემართული, არანაკლებ ახოვანი და ავაზასავით მოქნილი კონსტანტინე შუაზე უნდა გაეპო, მაგრამ უკანასკნელ წამს მან ფარი ირიბად აჰკრა და შუბმაც გეზი იცვალა, დაბზრიალდა, მხედარს ჩაუარა, სადღაც უკან მიწაში ჩაერჭო და რამდენჯერმე გადაექანგადმოექანა. ხმელ უნაგირზე მძიმედ მჯდომმა ომანიშვილმა მსწრაფლ შეაფასა მდგომარეობა, მტერს საპასუხო დარტყმის მოყენება აღარ აცალა და სმალმომარჯვებული ცხენდაცხენ მიეჭრა. კონსტანტინე დაღლილი იყო, მაგრამ თავს მაინც მარჯვედ იცავდა, ომანიშვილის ფუთიან მახვილს ხან ხმალს ხან ფარს უხვედრებდა და ცდილობდა, შეტევაზე თვით გადასულიყო, მძლავრი და მოულოდნელი დარტყმით ქაიხოსრო ცხენიდან გადმოეგდო, მაგრამ წუთ-წუთობით ეს სულ უფრო ძნელი და ძნელი ხდებოდა.

— როგორა გაქვს საქმე, მირზავ, ხომ არ გაგიჭირდა? — დარტყმასა და დარტყმას შორის დამცინავად დაუყვირა ომანიშვილმა. — მოუხმე ალაჰს, იქნება მართლა სადმე აგდია და შეგეწიოს? ამაზე მეტი გაჭირვება, იცოდე, აღარ დაგადგება!

— უ, გაწყდა შენი სინსილა, გიაურო! — უწმაწური გინება აღმოხდა მაღალი ალაჰის ავად ხსენებით მთლად გამხეცებულ კონსტანტინეს და ხმალი ისე ღონივრად დაიქნია, რომ, თუ მიზანში მოხვდებოდა, კაციც და ცხენიც ერთიმეორის მიყოლებით უნდა გაეკვეთა, მაგრამ უთვალავ ხელჩართულ ბრძოლაში გამარჯვებულმა ქაიხოსრომ ჰაერშივე ჰკიდა თვალი ხმლის მიმართულებას, განზე გაუხტა და თავისი ხმალი ქვემოდან დაუხვედრა. გაისმა ცაში ატყორცნილი ლითონის ჟღრიალი. კონსტანტინემ თავისდა უნებლიეთ ფარს ხელი უშვა და [illegible] ხელი მაჯაში იტაცა. სწორედ ამ დროს ოგრძნო საშინელი დარტყმა შუბლის არეში, თავი თითქოსდა აეხადა, თვალებიდან ნაპერწკლები წამოჰყარა, ამის თქმა-ღა მოასწრო, „აფსუს, ვისი ხელით ვკვდები!“ და ღონემიხდილი სისხლისაგან გალიპულ უნაგირს გადმოეკიდა.

კიდევ გაიგონა:

— დაიჭით, არსად წაგივიდეთ!..

ეს ისევ ქაიხოსრო ომანიშვილის სმა იყო.

— ისე წავიდეს შენი მტერი, თავადო!

„მაშ, გათავდა? — გაიფიქრა კონსტანტინემ. — თუ ეს სიკვდილია, არცთუ ისე ძნელი ყოფილა! ახლა თავს წამაცლიან და ქეთევანს მიართმევენ!..“

სულთმობრძავი ბატონიშვილის ეს უკანასკნელი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. რამდენიმე მხედარი ჩამოქვეითდა, ფეხებით უზანგში გახლართული ბატონიშვილი ძირს ჩამოხსნა და ნოტიო მიწაზე გულაღმა დააწვინა, მისთვის თავის მოკვეთა და ქეთევან დედოფლისათვის გაგზავნა კი აზრადაც არავის მოსვლია. კონსტანტინე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, სული ედგა, ესმოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა. წყვდიადი მხოლოდ მაშინ ჩამოწვა და ყოველივე მაშინ-ღა გაჰქრა, როდესაც რაღაც ზენა ძალამ ერთბაშად შეანჯღრია და საშინელი სისწრაფით სადღაც უსასრულობისაკენ გააქანა.

თავი XVII

1605 წლის ღვინობისთვის 25-ს, ბელაქნის წყალზე მომხდარი ხოცვა-ჟლეტის მესამე დღეს, მოხდა სპარსთა და ოსმალთა უზარმაზარი არმიების შეჯახება ურმიის ტბასთან, რომელმაც ჩრდილოეთ ირანისა და კასპიისპირა მიწების ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა. სპარსელთა გამარჯვება საყოყმანო და ყოვლის მომცველი იყო. საფრთხე შეექმნა ბრწყინვალე კავკასიურ სამფლო-

ბელოებს, უპირველეს ყოვლისა შირვანს, შემახათურთ, და, ასე გასინჯეთ, თვით შორეულ ყირიმის სახანოსაც კი, თუმცა ის ძნელად გადასალახი კავკასიის მთების გადაღმა მდებარეობდა.

ოსმალთა მარცხი და ზარალი აურაცხელი იყო: ისინი თითქმის მთელ წელიწადს იდგნენ შაჰ-აბასის 60 ათასიანი არმიის პირისპირ და მოსისხლე მტერთან ანგარიშის გასასწორებლად შეტევაზე გადასვლას ვერ ბედავდნენ. ამოდენა ჯარი, ცხენი და აქლემი, სახედარი და ხარ-კამეჩი ყოველ ცისმარე ღღე აუარებელ სახსრებს ნთქავდა და ამ სახსრების, სურსათ-სანოვაგისა და საკვების ალაგობრივ შოვნა ერთობ ჭირდა, სახელმწიფო ხაზინა კი დღითიდღე ცარიელდებოდა. გაჩანაგდა და გაუკაცრიელდა თვალუწვდენელი ველები, სადაც უპირველესად სომეხი მოსახლეობა სახლობდა და აყვავებული მეურნეობა ჰქონდა.

ოსმალთა მომავალი კირთებისაგან თავი რომ დაეცვა და სპარსეთის სამუდამო უშიშროება უზურნველეყო, შაჰ-აბასს გადაწყვეტილი ჰქონდა, მთელი ეს მიწა-წყალი, არაქსის გაღმა-გამოღმა, რასაც წინათ, უხსოვარ დროიდან სომსეთი ერქვა, უდაბურ, გველ-ღრიანკლის საბუდარ უსიცოცხლო სივრცედ ექცია, სადაც ასკერთა და იანიჩართა კალიასავით მრავალრიცხოვანი ლაშქარი კბილით გასაკვნეტს ველარაფერს იშოვნიდა და თუ აქამდე ოდესმე კიდევ მოვიდოდა, იძულებული გამხდარიყო, შემდგომ წინსვლაზე ხელი აეღო და პირი კვლავ შინისაკენ ექნა.

სძლია თუ არა საძულველ მტერს და დიდძალი ალაფით დატვირთული ქარავნები სატახტო ქალაქ ისპაჰანში გაისტუმრა, გამოთავისუფლებული ჯარის ერთი ნაწილი შაჰ-აბასმა არაქსგადაღმა გაგზავნა, უკვე იავარქმნილ სომხეთს შეუსია და გულში დიდი ხნის ნადები გეგმის აღსრულებას შეუდგა, თავად კი გამოსაზამთრებლად და ახალი ძალების მოსაკრებად სატახტო ქალაქში დაბრუნდა, გამარჯვების აღსანიშნავად ხალხმრავალი ნადიმი გადაიხადა, რომელზედაც ისპაჰანში ჩამოსული ყველა უცხოური წარმომადგენლობა მიიპატიჟა, ახალდამთავრებულ ალი-ყაფუს სასახლის პალატების ბრწყინვალებითა და გულუხვი მასპინძლობით თავი მოიწონა, გამოიზამთრა და დადგა თუ არა 1606 წლის საგაზაფხულო უქმეები, კვლავ ახალი ლაშქრობისათვის სამზადისს შეუდგა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ოსმალური კერები უსიკვდილოდ უნდა მოესპო კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და რაკი ამ საშვილიშვილო საქმეს პირადად მის ჩაურევლად აქამდე საშველი არ დაადგა და ორივე სამარცხვინო მარცხით დამთავრდა, გადაწყვიტა, ამჯერად თავად ეცადა ბედი და ახალ ყოვლის მომსვრელ ლაშქრობას სათავეში ჩასდგომოდა.

ურმიის ტბის პირას გადახდილი ომიდან ის ახალი დაბრუნებული იყო, უცხოელი ელჩებისაგან გაუთავებელ მოლოცვებს ჯერ კიდევ იღებდა, როცა გურჯისტანიდან შირვანის შემოსაერთებლად, იქიდან ოსმალთა განსადევნად კონსტანტინესათვის გაგზავნილი ყიზილბაშთა ჯარის პირწმინდად განადგურებისა და თვით კონსტანტინე-მირზას დალუპვის ამბავი მოუვიდა. შაჰ-აბასი განრისხდა, ორ ღღეს არც შინაურს და არც გარეშეს აღარავის დალაპარაკებია. აღარ იცოდა, ჯავრი ვისზე ეყარა, თავისი ბოღმა ვის თავზე გადმოეღვენთხია. ბატონიშვილ თეიმურაზის ბედი ბეწვზე ეკიდა და თუ ის ამ ამბავს არ შეეწირა, ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ შურისმაძიებელი სისხლის ყივილს, შაჰის ძარღვებში რომ ბობოქრობდა, ისევ კეთილგონიერებამ და ანგარიშიანობამ სძლია: კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე თეიმურაზი მას სჭირდებოდა, სჭირდებოდა უფრო, ვიდრე ბიძამისი კონსტანტინე და უბრალო შურისძიების წყურვილით ბატონიშვილის მოკვდინება შემდეგ და შემდეგ, ვინ იცის, რა ძვირი დასჯდომოდა!

შაჰ-აბასი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, თუ დავით მეფის ქვრივ დედაკაცთან ომში მისი გაზრდილი და გამოწვრთნილი კონსტანტინე ასეთ უნიჭობას გამოამჟღავნებდა, გიაურ კახთ ამოდენა ჯარს შეაწყვეტდა და თავსაც წააგებდა!

„ახია გველის წიწილზე! — დრტვინავდა შაჰ-აბასი. — ქეთევანის ცოლად შერთვა რამ აფიქრებინა, დუნიაზე ქალი გამოილია? უგუნურმა ნუთუ არ იცოდა, რომ ამის უბრალო გამჟღავნებაც კი გიაურებს გადარევდა და დანასისხლად გადაჰკიდებდა? დაეჭირა ჯერ ის კახეთი, თავისად დაეგულებინა, ტახტზე განმტკიცებულიყო და მერე მის ხელთ არ იქნებოდა ქეთევანიც და ყველა სხვაც, ვისაც კი მოისურვებდა? მეტის ღირსი იყო, მაგრამ უბრალოდ დასოცილ მართლმორწმუნეთ ვინ-ღა აღმიდგენს, მათი მუხანათური დალუპვით გამოწვეულ ზარალს ვინ ამინაზღაურებს?!“

აპრილის დამდეგს ის ყარაბახში მოვიდა. სომხეთში ცოდვის კითხვა ტრიალებდა. ხალხი ყიზილბაშებს გაშმაგებულ წინააღმდეგობას უწევდა. მაშვრალი მამა-პაპის ოფლითა და სისხლით გაპოხიერებული მიწის დატოვებისა და სამხრეთ ირანის უნაყოფო უდაბნოებში გადასახლების, იქ ცხოვრების ხელახლა დაწყების მოსურნე და მოწადინე არავინ იყო.

სისხლისაგან დაცლილ-გაჩანაგებულ ქვეყნისაგან ამირები ასე გაუტეხელ წინააღმდეგობას აღარ მოელოდნენ. როგორ მოვიქცეთო, აფრინეს კაცი თავისი მრავალრიცხოვანი ცოდვებითა და სამეფო კარით შუშაში დაბანაკებულ ყაენთან.

— ჩემმა მზემ, ალაჰის მადლმა, ვიღაცას თავი ზედმეტი აქვს და ბუნების ამ შეუსაბამობის შესწორებას მეევედრება! — იოხუნჯა შაჰ-აბასმა. — გადაეცით, რომ მე ხელს არაფერი მიშლის, ეს თხოვნა დაუყოვნებლივ შევასრულო!

ამირები მიხვდნენ, ყაენის ეს ნახევრად სახუმარო შემონათვალი რასაც ნიშნავდა. თუ აქამდე სომეხთა მიწა-წყალზე ჯოჯოხეთის ცეცხლი — ანთო, ამის შემდეგ ის კიდევ-მეტი გაფთრებით აგიზგიზდა. აჰყარეს ომში თითქმის გამესამედებული ქვეყნის მთელი მოსახლეობა, დააცარიელეს სელოსნობითა და ვაჭრობით განთქმული ქალაქები, დაბა-სოფლები, აჰკიდეს, ვისაც რა ებადა და სამხრეთის უდაბნოების დაუსრულებელ გზას გაუყენეს, მათი ნაამაგარი სახლ-კარი კი, ვინმეს არაგაწის მთების სახიზრებიდან გამოსვლა და ჩამქრალი კერის მოჩხრეკა-გაღვივება რომ არ ეცადა, ცეცხლს მისცეს. დაიწვა და ფერფლად იქცა ყველაფერი, რასაც კი ცეცხლი ეკიდებოდა. ინგრეოდა და მიწასთან სწორდებოდა საუკუნეების მანძილზე რუდუნებით ნაგები ეკლესია-მონასტრები, სომეხ მეფეთა და ნახარართა ანისის, დვინის, ერევნის სასახლეები. ათასობით ყიზილბაში არარატის ველის ბაღ-ვენახებს ასაჩეხად და ამოსაძირკვავად ეკვეთა. კაცის კვლასა და მხოლოდ საომარი იარაღების ხმარებაში დახელოვნებული ყიზილბაშები შესაშურ გულმოდგინებას იჩენდნენ და გამრჯე გლეხკაცის მარჯვენით წლობით ნალოლიავებ ვაზსა და ხეხილს ჩეხდნენ, ძირფესვიანა ძირკვავდნენ და ცეცხლს უკეთებდნენ. ცეცხლში შიშინებდა და დუღდა სიცოცხლის წვენი, ხეებსა და ვაზებს ჭრილობებიდან რომ გადმოსდიოდა!

ბელაქნის ომში რაღაც მანქანებით გადარჩენილ რამდენიმე თანამემამულისაგან შაჰ-აბასმა შეიტყო, რომ დავით მეფის ქვრივი დედოფალი ქეთევანი ამ ომში მარტო თავისი გიაური ქვეშევრდომების ანაბარა არ იყო. სპარსეთის ვასალი და ყმადნაფიცი გიორგი ქართლის ვალიც გვერდში ამოსდგომოდა და ყაენის ნების აღმსრულებელ კონსტანტინე-მირზას წინააღმდეგ ჯარი მიეშველებინა.

ყიზილბაშები, აქამდე რომ რის ვაი-ვაგლახით მოეღწიათ, სამშობლოსაკენ გზის გასაგრძელებლად კი სახსარი ვეღარაფერი ეშოვნათ და აქ, შუშაში, ცის

მანანას ელოდნენ, ბელაქნის წყალთან ნაწვნევ საბედისწერო დამარცხებას და აუნაზღაურებელ მსხვერპლს, რის გაღებაც ქეთევანთან შეტაკებაში მოუხდათ, სწორედ ქართლელების—გურჯების ვერაგობით ხსნიდნენ. ისინი რომ არა, კახეთი უკვე წამოჩოქებული გვკავდა, სატახტო ქალაქ გრემამდე ერთი დღის სავალი-ღა გვრჩებოდაო და უამისოდაც პირგამეხებულ ყაენს ქართლელებისა და მათი მეფის წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

— მე კი, დამთხვეულმა, რა ვქენ? — ცეცხლმოკიდებულ გალიაში გამომწყვდეული ლომივით ბრდღვინავდა შაჰ-აბასი და გულზე ხელებდაჭდობილი წინ და უკან დადიოდა. — ერევნის ციხის აღებისას გაწეული სამსახურისათვის ვაჟბატონს მადლობა ვუთხარ, ხალათი ვუბოძე და წყალობის ნიშნად ხუთასი თუმანი ჯამაგირი დავუნიშნე! მართალია, სანაცვლოდ ლორე და დებედას ხევი კი წავგვარე, მაგრამ განა ეს სახსენებელია?! რით გადამიხადა? ჩვეული მზაკვრობა მიყო, განმდგარ კახელებს მიჰკერძა და ზურგში მახვილი ჩამცა, როცა მისგან მხოლოდ მხარდაჭერას და თანადგომას მოველოდი! რაღა თქმა უნდა, თავის დამლუპველ სულთანთან გააბა ობობას ქსელი და ჩემი უღლის გადაგდებას აპირებს! ორპირია და გაიძვერა, როგორც მამამისი დელი სიმონი! ალაჰის წვერსა ვფიცავ, ეგეც თავის დღეს ჯალათის ნაჯახის ქვეშ დაასრულებს, გამოსასყიდად თუნდაც მთელი გურჯისტანის ოქრო-ვერცხლი ჩამომიტანონ!

პირველი, რაც ამის შემდეგ შაჰმა მოიმოქმედა, ის იყო, რომ ხაზინადარი მოიხმო და უბრძანა, ქართლის ვალისათვის ნაწყალობევი ჯამაგირი აღეკვეთათ, მისგან არავითარი ძღვენი და მოსაკითხი არ მიეღოთ, მათ შორის არც გოგო-ბიჭები, რადგანაც უახლოეს მომავალში, როგორც კი ხელს მოიწყობდა, თავად აპირებდა იქით გასეირნებას და სპარსეთის ტახტის ერთგული გურჯების მონახულებას.

ყაენის განრისხებისა და შეფარული მუქარის ამბავმა, ტფილისის ოსნის სასახლეს, სადაც გიორგი ქართველი მეფე სახლეულითურთ ცხოვრობდა, სულ მალე მოაღწია. მიეცათ სალაპარაკო და კიდევაც ალაპარაკდნენ დღემუდამ მეფის კრიჭაში მდგომი დიდებულები: ნუგზარ არაგვის ერისთავი, სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი, იასე ფალავანდიშვილი, ფარსადან ციციშვილი, მეტადრე პატივისა და დიდებას ჩვეული მათი თანამეცხედრენი. ვურჩევდით, ვაფრთხილებდით ამ დალოცვილს, ჩვენს კურთხეულ მეფეს, არ ეგების კახეთის დაბურდულ ამბებში ჩარევა და მწყალობელი შაჰის მომდურება, ვიკმაროთ ლორესა და დებედას ხევის დათმობა, ქვეყანას ნუ გავატიალებინებთო, მაგრამ ყური ვინ გათხოვა, ვინ დაგიჯერა, სამსხვერპლო ციკანივით ატროკდა, წინ გამოხტა და ახლა ერთმა ღმერთმა იცის, გუშინ ჩვენი მოყვარე, დღეს კი მოსისხლე მტრად მოკიდებული შაჰ-აბასი რას გვიმზადებს და გვიქადისო.

ᲗᲐᲕᲘ XVIII

ქართლის მიმართ ყაენის მიერ შეფარულად გამოთქმული მუქარა უპირველეს ყოვლისა კახეთს შეეხებოდა და გრემში ეს არც არავის გაჰკვირვებია. უეჭველი იყო, ადრე თუ გვიან ურჯულო მტრისაგან საშინელი ანგარიშსწორება არ ასცდებოდათ. გარდა იმისა, რომ სისხლისმღვრელი ომისათვის უნდა მომზადებულიყვნენ, ლაშქრად ქუდზე კაცი გამოეყვანათ, ხსნა საბოლოდ მსოლოდ ორი გოლიათური ძალის — სპარსეთისა და ოსმალეთის ურთიერთშეჯახებას უნდა მოეტანა. ურმიის ტბასთან სპარსელთა დამაჯერებელმა გამარჯვებამ, რაც ნაკლებ სავარაუდებელი იყო, რადგანაც ოსმალები მტერს თითქმის ორჯერ ჭარბობდნენ, კახეთის მესვეურნი და თვით დედოფალი ქეთევანი მწარედ ჩააფიქრა, საგონებელში

ჩააგდო. მისი უზარმაზარი არმიის განადგურებით ხერხემალში გადატეხილი ოსმალეთი წელს კარგა ხანს ვერ წამოსწევდა და ამით ხელ-ფეხგახსნილ შაჰ-აბასსაც მოქმედების სრული თავისუფლება ეძლეოდა.

შაჰ-აბასის შორს გამიზნული გეგმები ქართლ-კახეთის სამეფოების უეჭველ დაპყრობა-დაქვემდებარებას, აქ სამეფო ტასტების გაუქმებას, სპარსული მართვა-გამგეობის შემოღებას და ქვეყნის სპარსელი მოხელისათვის საგანმგებლოდ გადაცემას მოიცავდა, რისთვისაც განათლებული კაცობრიობის წინაშე თავის გასამართლებლად ყაენს არავითარი ახალი საბუთი თუ საბაბი არ დასჭირდებოდა. ბელაქნის წყალზე მომხდარი ომი და სპარსული მხარისათვის მისი სავალალო შედეგი საბაბადაც კმაროდა და საბაბზე მეტიც იყო. შაჰ-აბასის შემდგომ ნაბიჯს, ხელდებულ ქვეყანაში ცეცხლითა და მახვილით შემოჭრას, ცოტა თუ ვინმე გაამტყუნებდა და დასძრახავდა!

მტანჯველი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, უმთავრესად სისხლისმსმელი შაჰის კლანჭებში მისივე სურვილით მოქცეული ერთას, ბატონიშვილ თეიმურაზის გარშემო რომ ტრიალებდა, ქეთევანმა დარბაზის ერის შეყრა ბრძანა და როდესაც ყველა წვეულმა სატახტო დარბაზში თავი მოიყარა, დიდებულებსა და სამღვდელო პირთ რჩევა ჰკითხა. რჩევა, ბრძნული, მრავალმხრივ აწონილ-დაწონილი რჩევა, აი, რა ჭირდებოდა დედოფალს ახლა და ისე არავის შეეძლო მისი მოცემა, როგორც თეიმურაზთან ერთად შაჰის კარზე მყოფ შერმაზან ჩოლოყაშვილს, ვისი შინ ყოფნის გადაუდებელ საჭიროებას ბოლო დროს სულ უფრო და უფრო განიცდიდა.

ერის მესვეურთა თავყრილობას აკლდა აგრეთვე მეუფე სამოელი. თავისი წმიდა სული მისმა მეუფებამ ღმერთს დიდმარხვის მეორე სამშაბათს მიაბარა და ღვთისა, ერისა და თანამოსაყდრეების წინაშე ვალმოხდილი, მათ მიერვე დატირებული ამჟამად იქ განისვენებდა, სადაც ოცდაათი და მეტი წლის წინათ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ამ ტფილისის მთავარეპისკოპოსმა, ყოველთა ქართველთა სულიერმა მოძღვარმა, უწმიდესმა და უნეტარესმა დოროთეოზმა, რომელიც კახეთში საგანგებოდ მობრძანდა, რათა აქაური წმიდა ადგილები მოელოცა, იგი მიტროპოლიტის მანტიით, სულიერი მახვილით, სამღვდელმთავრო მიტრით, ჯვრითა და პანაღიით შეიმოსა. კათედრა ჯერჯერობით ქვრივად ითვლებოდა და დარბაზის ერის სხდომაზეც ნატიანი სკამი, რომელზედაც სულგანათლებული მეუფე სამოელი ჯდებოდა, თავისუფალი იყო, მის დაკავებას ვერავინ ბედავდა.

დარბაზის ერი, ერისკაციცა და სამღვდელოც, თითქოს წინასწარ შეთანხმებულან და პირი შეუკრავთო, ერთ ურყევ აზრზე იდგა: შაჰისათვის ყარაბახში საპატიო პირთაგან შემდგარი ელჩიონი ეახლებინათ, ხელმწიფური ძღვენი მიერთმიათ, სპარსეთის ტახტის წინაშე სრული მორჩილება ეღიარებინათ, ხოლო რაც შეეხება კონსტანტინე-მირზას წინააღმდეგ გამოსვლას და ომს, იგი შაჰისავე ღირსების დაცვად დაეხატათ, შაჰისა, რომელმაც კონსტანტინეს მხოლოდ შირვანის ბეგლარბეგობა უბოძა, ამ გარეწარმა კი, წინააღმდეგ მწყალობელი შაჰის უზენაესი ნება-სურვილისა, ბეგლარბეგობა არ იკმარა, კახეთის ტახტიც მოინდომა და უკეთური მიზნის მისაღწევად მშობელი მამა და ღვიძლი ძმა, ცათა სწორი ყაენის ერთგული ყმები, სიცოცხლეს გამოასალმა!

მსჯელობა მყარ ნიადაგზე იყო დაფუძნებული და არც თანამიმდევრულობა აკლდა, ამავე დროს იგი მთლიანად ეთანხმებოდა ქეთევანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ იკმარებდა კი ეს თავის გასამართლებლად? უკლებლივ ყველა გრძნობდა, თუმცა ხმამაღლა გამხელას ერიდებოდა, გრძნობდა თვით მწარე საფიქრალით შეპყრობილი ქეთევანიც, რომ მას ერთი სუსტი ად-

გილი ჰქონდა: გამჭრიახი და ქვებუდანი შაჰ-აბასი, როცა კახი შუამავლების ქვეშევრდომულ მტკიცებას მოისმენდა და გონების სასწორზე შეაგდებდა, განა არ იკითხავდა, ეგ ყველაფერი კარგი და კეთილი, მაგრამ თვით დედოფალი ქეთევანი, ჩვენი საყვარელი სიდედრი, სადა ბრძანდება, რატომ პირადად არ გვეახლა, საკუთარი წინდაუხედავი ურჩობა არ დაჰგმო, თავისი მდაბალი სათხოვარი რატომ თავისივე პირით არ მოგვახსენა და, იმის მაგიერ, თავად გვხლებოდა, ესოდენ პატივსაცემი პირები გაგსარჯათო?

ამ კვიმატ კითხვაზე, შაჰ-აბასი დათაფლული ღიმილით რომ დაუსვამდა, რა პასუხი უნდა მიეცათ? რით უნდა აეხსნათ ის გარემოება, რომ ქეთევანი თავის დიდებულ, ნახევარი სამყაროს მპყრობელ სიძეს არ ენდობოდა და თავს მისგან შორს იჭერდა?

დედოფალმა შეატყო, დარბაზის ერი თითქმის გადაულახავ ზღუდეს მიადგა და მის ჩაურევლად, მისი ნების გამოვლინების გარეშე ახლა საბოლოო მსჯავრის გამოტანა და საქმის დაგვირგვინება ერთობ გაჭირდებოდა.

— ყაენს ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრის, ჩვენი ძის, ბატონიშვილ თეიმურაზის, მეფედ დამტკიცება უნდა ვთხოვოთ, მიუხედავად მცირეწლოვნობისა, თეიმურაზი ტახტზე უნდა ავიყვანოთ! — ბრძანა მან მოლოდინით დამუხტულ სიჩუმეში და გარეგნულად მშვიდმა და აუმღვრეველმა, თუმცა გული გამალებით უცემდა და ამოვარდნაზე ჰქონდა, ყველაზე წინ მდგომთ მზერა შეავლო იმის შესატყობად, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა. — ქვეყანას, ჩვენზე უკეთ უწყით, მეფე სჭირდება. უმეფო ქვეყანა ჭიშკარმორღვეულ ეზოს მიაგავს!..

ვერავინ გაბედა პირმოთნე შეკამათება, იმათაც კი, ვისაც ტახტთან სიახლოვე ამის უფლებას აძლევდა, როგორ გეკადრება, მაგას რადა ბრძანებ, კახეთი ნუთუ ჭიშკარმორღვეული ეზოა, რაკი მას ღვთისა და ერისაგან აბაღლებული დედოფალი განაგებს?

ერმა და ბერმა შეგბეგ ამოისუნთქა. ეს სწორედ ის იყო, რაც თითოეულ აქ მყოფს ენაზე ადგა და დედოფლის რიდით, საწყენად არ მიიღოს, უნებლიეთ გული არ ვატკინო, რაიმე სხვად არ ჩამითვალოსო, ნაფიქრის ხმამაღლა გამჟღავნებას ვერ ბედავდა.

სხდომა, რომელიც აქამდე როგორღაც გულდახურული მიმდინარეობდა, ქეთევანის სიტყვების შემდეგ ერთბაშად გამოცოცხლდა. თვალში სინათლე მოემატა თვით ქეთევანსაც. სადღაც გულის სიღრმეში დალექილი ეჭვი მას მაინც აწვალებდა და ერთხელ და სამუდამოდ რომ განთავისუფლებულიყო, მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ იკითხა:

— იქნებ ვინმემ რაიმე სხვა მოსაზრება წამოაყენოს?

— არ არსებობს არავითარი სხვა, უფრო გონივრული მოსაზრება, დედოფალო, ვიდრე ის, რომელიც თქვენი უდიდებულესობის პირით გვეუწყა! — დავით ჯანდიერმა თავს ნება მისცა ეს აზრი მთელი დარბაზის ერის სახელით წარმოეთქვა. — ღმერთმა ადღეგრძელოს და აკურთხოს თეიმურაზი, კახეთის კანონიერი მეფე! თქვენი უდიდებულესობის ბრძანებისა არ იყოს, მართალია, ჯერ უწლოვანობა ეთქმის, მარიამობისთვეში თექვსმეტი წლისა სრულდება, მაგრამ სიბრძნით, განსწავლულობით და მხედრული შემართებით ბევრ ასაკოვანს იღლიაში ამოისვამს! რას იტყვით, ბატონებო? — ჯანდიერმა ახლა უკვე სულგანაბულ დარბაზის ერს მიმართა.

— მართალი ბრძანდები, მართალი, თავადო, თეიმურაზი ტახტის ღირსეული მემკვიდრეა და ღვთის წინაშე მზად ვართ, გვერდში ამოვუდგეთ!..

— მაშ, ვაშა თეიმურაზს!..

— ვაშა, ვაშა, ვაშაა!..

ქეთევანს თვალები მოენისლა, უპეები ცრემლით აევსო, გულიც აუთრთოლდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, რაღაც მადლიერების მსგავსი გამოეხატა, მაგრამ

ამის ღონე აღარ შესწევდა და ისევ დუმილი არჩია.

აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა ცოტაოდენ ხანს კიდევ გაგრძელდა. დასახელეს ოთხი დარბაისელი, რომელთაც ყარაბახს წასვლა, შაჰ-აბასთან მოლაპარაკება, თეიმურაზის მეფედ დამტკიცებისათვის ზრუნვა და მისი სამშობლოში ჩამოყვანა დაეკისრა.

ესენი იყვნენ: ნოდარ ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, ლუკა მაყაშვილი და ელიზბარ ჩოლოყაშვილი. მათ ორასი კაცისაგან შემდგარი მცველი რაზმი უნდა გაეყოლებინათ და გზას არა უგვიანეს მომდევნო დილას უნდა გასდგომოდნენ. ყოველი წუთი ოქროდ ფასობდა. რაც უფრო ფეხს აითრევდნენ და ამა თუ იმ მიზეზის გამო შეიგვიანებდნენ, მრისხანე შაჰთან მორიგება მით უფრო გაძნელდებოდა.

საქმე გიორგი ქართლის მეფის მონახულებას ითხოვდა. ქართლელების ზურგსუკან შაჰ-აბასთან შეთანხმების ძიება ღალატის ტოლფასი იქნებოდა და ამიტომაც დარბაზის სხდომაზევე გადაწყდა, ელჩიონი ქართლის გზით წასულიყო და პირობების შესათანხმებლად ტფილისში მეფე გიორგი მოენახულებინა.

აიმრიზნენ ქართლის დიდებულები, მეტადრე ბატონიშვილ ლუარსაბის აღმზრდელი სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი და საციციანოს ბატონი თავადი ფარსადან ციციშვილი, ისნის სასახლეში, მეფის კარზე, კახეთის დედოფლის წარმოგზავნილები რომ იხილეს. ისინიც და მათთან ერთად ბევრი სხვაც კახელებს თავიანთი მოსალოდნელი უბედურების, რბევისა და აწიოკების, ერთადერთ მიზეზად თვლიდნენ, მათი გამოჩენა ახალ დავიდარაბაში ჩათრევის ნიშნად მიიჩნიეს და მაშინვე მეფეს მიაშურეს. ღმერთი არ გაგვიწყრეს, ჩვენს უნებურად არ დაიყოლიონ, საქმე თავში საცემად არ გაგვიხადონ.

ბოლოს, როდესაც ყველაფერი ასე თუ ისე გაირკვა, ბურუსი გაიფანტა და შიში არ გამართლდა, დარწმუნდნენ თუ არა, მეფე გიორგი ჩვენს საწყალს არაფერს სჩადისო, ბარათაშვილი და ციციშვილი თავშეკავებულნი [illegible] დაყაბულდნენ, ყარაბახს მიმავალ კახელებისათვის თავიანთი წარმომადგენლები გაეყოლებინათ და არცთუ უსაბუთოდ ამხედრებულ შაჰ-აბასთან ძველი კეთილი ურთიერთობის აღდგენაზე ეზრუნათ.

თავი XIX

ქეთევანის მიერ წარგზავნილი კაცები, რომელთაც ტფილისიდან ქართლის თავადები ავალიშვილი და ყარანგოზიშვილიც ახლდნენ, შუშაში, მწყალობელი შაჰის კარზე სამ დღეს ალოდინეს ვიდრე ცათა სწორ ყაენთან მიიწვევდნენ. მისი უდიდებულესობა ყაენი უქეიფოდ ბრძანდება და ნაბრძანებია, არავინ მიიღონო.

ქართველმა დესპანებმა, ამოდენა გზა თითქმის შეუსვენებლივ რომ გამოიარეს, ყურები ჩამოყარეს, მოიწყინეს, რადგანაც არ ეგონათ, ვერც კი წარმოიდგენდნენ, თუ შესარიგებლად და უსიტყვო მორჩილების გამოსახატავად მოსულთ აქ ასე უპატიურად მიიღებდნენ და ღამის გასათევად სიღნაღიდან გადმოსახლებული ერთი სომეხი ვაჭრის სახლს შეეკედლნენ.

ვაჭარი ყოჩაღი და ავკარგიანი კაცი ჩანდა. სარფიანი ხელობის წყალობით აღმოსავლეთის თუ დასავლეთის მრავალი ქვეყანა მოევლო, ვინ მოსთვლის, სად რა საქონელი შეეძინა ან გაეყიდა, ნაცნობ-მეგობრების ფართო წრე ჰყავდა, ასე გასინჯეთ, თვით შაჰის კარზეც კი და როგორც კი შეიტყო, კახეთის ღედოფალ ქეთევანის ელჩები მოსულან და შაჰთან შეხვედრა სწადიათო, გახარებულმა, რომ ღმერთმა საშუალება მისცა, ვაჭრობისა და ქვეყნის სასარგებლო ყოველი სხვა საქმის მფარველი ღვთისნიერი დედოფლის სასიამოვნო რამ გაეკეთებინა, ელჩები პირადად მოინახულა, შინ მიიპატიჟა, ბოდიში მო-

უხადა, ისე არა ვცხოვრობ, როგორც უნდა ვცხოვრობდეო, კახური გულუხვობით გაუმასპინძლდა და მაშინვე ხანის სასახლეს მიაშურა, სადაც შაჰი თავის მრავალრიცხოვან ცოლებთან ერთად იდგა და სამოცდასამი წლის მოცვეთილი კაცისათვის არც თუ აგრე ადვილად მოსახერხებელ განცხრომას ეძლეოდა.

შაჰის უქეიფობა, რასაკვირველია, მოგონილი იყო. არამცთუ ახლა, როდესაც შუშაში ქართლ-კახელი ელჩები მოვიდნენ, ფრჩხილიც აროდეს წამოსტკენოდა. გურჯი დესპანების ხლება რომ აუწყეს, რასაც ის კარგა ხანია მოელოდა, აბასმა წარბი შემართა, შუბლი შეიკრა, სუფთად გაპარსული სავსე ნიკაპი მოიფხანა და ნაცვლად იმისა, მოსულთა შემოყვანა ებრძანებინა, გულმოღეღილ პერანგზე ტილოს უბრალო კურტკა გადაიცვა, შიშველი, კოტიტა ფეხები ხის ქოშებში წასდგა და სახელოსნოში ჩავიდა, რომელსაც ყოველ ლაშქრობაში თან დაათრევდა და მოცალეობის ჟამს იქ ჩხიკინით გულს აყოლებდა. მაგრამ ეს არცთუ უბრალო გულის გადაყოლება იყო. შაჰს ოქროს ხელი ჰქონდა და რა გინდოდა, მისი ხელიდან რომ არ გამოდიოდა. გაჩერებულს,, უსაქმოდ მობორიალეს ვერ ნახავდი. სანებივროდ ის მხოლოდ ჰარამხანაში, საყვარელ ცოლებს შორის იცლიდა. იქაც უსათუოდ რაიმე საჩხირკედელაოს გამოძებნიდა და თუნდაც თავზე დასთენებოდა და ალერსისათვის მუდამ მზად მყოფ ცოლებს სურვილით გული გადალეოდათ, ვერ მოისვენებდა, სანამ გამოწყებულ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა.

ბევრ უცხოელ ელჩს თუ მოგზაურს, რომელთა შორის ეს ამბავი ადვილად ვრცელდებოდა და პირიდან პირზე გადადიოდა, აოცებდა მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი და უძლიერესი მონარქის უცნაური გატაცება და ამას მოარული ლეგენდით ხსნიდა: თითქოს სპარსეთის მომავალ მპყრობელს ახალგაზრდობა სიდუხჭირეში, ლუკმაპურის გამუდმებულ ძიებაში გაეტარებინოს და ძვალ-რბილში გამჯდარ ჩვეულებისათვის თითქოს მაშინაც, ვერ ელალატოს, როდესაც ტახტის ყველა მოცილეს ჭკუითა და სიმამაცის წყალობით აჯობა და აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი მაჰმადიანური სახელმწიფოს, სპარსეთის, ძლევამოსილი მბრძანებელი გახდა!

შაჰ-აბასი სარწმუნოების დოგმებში ღრმად დარწმუნებული ბეჯითი შეიხის თავდაჯერებით მოძღვრავდა ყველას, ვისაც კი ამის ღირსად მიიჩნევდა:

— ალაჰს არ უყვარს, ჭირივითა სძულს მცონარა და უქნარა ხალხი, ვისი ხელიდანაც გამოსადეგი არა გამოდის რა. ის მუსულმანი რა მუსულმანია, ანდა საერთოდ კაცი, რა სარწმუნოებასაც არ უნდა მისდევდეს, თუნდაც ოსმალო, ვისაც ერთი ორი ხელობა მაინც არ ემარჯვება, რითაც შეუძლია თავი გაიტანოს და წვრილშვილი დააპუროს!

ყაენის ეს თავისებური ზნე-ჩვეულება და შეგონება როდი დარჩენილა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ბალღივით ჭირვეული და უზნეო შაჰი რომ ესიამოვნებინათ, დიდი თუ პატარა სახელოსნო ყველა ტახტთან დაახლოებულმა პირმა გაიჩინა. ხანები, სარდლები, სასამართლოს თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მოხელენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ვინ დურგლობდა, ვის საფეიქრო დაზგა გაემართა და თვალისმომჭრელი ფერებით აყვავებულ ხალიჩებს ქსოვდა, ვინ მჭედლობდა, ხმალ-ხანჯალსა და არკებუზებს ამზადებდა, ვინ ხარაზობდა ან ოქრომჭედლობდა.

თავ-თავიანთი ნაკეთობით მერე ესენი ერთმანეთს მოიკითხავდნენ ხოლმე და მით თავს იწონებდნენ, ვინძლო ეს ამბავი შაჰის ყურამდე მივიდეს და მისი ქება და წყალობა დავიმსახუროთო.

ბალღობიდანვე ჰარამხანაში გაზრდილს, სადაც ქალების უმეტესობა კავკასიელი ლამაზმანები იყვნენ, მათ შორის ყველაზე მეტი დიდგვაროვანი ქარ-

თველი ასულები, შაჰ-აბასს ქართულ ენასთან ერთად ქალური ხელსაქმეც შეეთვისებინა და ჯადოსნურად ჩახლართული მაქმანების ქსოვა ჰარამხანის ოთხკედელშუა გამომწყვდეულ დედაკაცებზე ნაკლებ როდი ემარჯვებოდა. ქართულსაც როგორღაც მათებურად უქცევდა, არასოდეს არ ბილწსიტყვაობდა, ეს სიტყვები მისთვის საერთოდ არ არსებობდნენ და ქართველი დიდებულები, ვისაც ცათა სწორ შაჰთან პირისპირ შეხვედრის პატივი ერგებოდათ, ღიმილს ძლივს იკავებდნენ და, მათი ნება რომ ყოფილიყო, ერთს გულიანადაც გადაიხარხარებდნენ.

ტანზეც და ფეხზეც აბასი მხოლოდ თავისი ხელით შეკერილს იცვამდა, თვით სამეფო ძოწეულსა და თვალმარგალიტით მოციაგე პორფირსაც კი და დარბაზობაზე მოწვეულ უცხოელ ელჩებს თუ სტუმრად მობრძანებულ მეზობელ მონარქებს თვალს მალულად ადევნებდა, მოსწონთ თუ არა ჩემი ჩაცმულობა და აღკაზმულობა, რაიმე ზადს ხომ არ ამჩნევენო! მაგრამ რისამე რჩევას ან მით უფრო დაწუნებას ვინ შებედავდა! უკლებლივ ყველამ, ვინც ამ საზეიმო წუთებში აქ შემოდიოდა და შაჰის ბრწყინვალე დარბაზობებში მონაწილეობას იღებდა, შეუცდომლად იცოდა, რომ ყველაფერი, რაც დიდებულ შაჰს ტანთ და ფეხთ ეცვა, გარდა ცისარტყელის შვიდივე ფერით მოელვარე, სხვადასხვა ქვეყნის სანაქებო ოქრომჭედლების მიერ ზღაპრულ ციხე კოშკს მიმსგავსებული გვირგვინისა, მისივე ნახელავი იყო!

თავი XX

ქეთევანმა შეუცდომლად განჭვრიტა შუშას გაგზავნილი დესპანების უპატიური მიღება შაჰის კარზე და ისინი ისეთი საიდუმლო გასაღებით აღჭურვა, რომელიც ყველა კარს მიუდგებოდა და გააღებდა. ეს გახლდათ წიგნი თამარისადმი, შაჰის ერთ-ერთ ცოლისადმი, რომელიც, მიუხედავად თავისი არამეფური წარმომავლობისა, სპარსეთის დედოფლად ითვლებოდა ... საქართველოს კარზე და ქვეყანაში, თვით შაჰის თვალშიაც კი, უდიდესი გავლენითა და ძალაუფლებით სარგებლობდა.

წიგნში, რომელიც ქართველ დესპანებს თამარისათვის რაიმე გზით უნდა მიეწვდინათ, ქეთევანმა მას წვრილად აცნობა თავისი გაჭირვებული მდგომარეობა, აუწერა, რაც ბოლო დროს კახეთში მოხდა და შაჰის წინაშე შემწეობა სთხოვა, რათა მბრძანებელს გულმოწყალება გამოეჩინა და მეფის ტიტულით აღჭურვილი ბატონიშვილი თეიმურაზის სამშობლოში გამოგზავნაზე უარი არ ეთქვა. თუ რაიმე შეგიძლია, ძვირფასო დაო, თამარ, სწორედ ახლა გეძლევა საშუალება, შენს ბედკრულ სამშობლოს ნუგეში სცეო, წერდა თვალცრემლიანი ქეთევანი, გაფიცებ იმ შენი პატიოსანი მამის სულს, მაგ ნუგეშს ნუ დაგვამადლიო, მწყალობელ შაჰს შენებრ ვერავინ მიუდგება, თავის ნებას ვარავინ უკარნახებს, ამის ძალი მხოლოდ შენ შეგწევს და ვის წინაშე უნდა მოვიყაროთ მუხლი, თუ არა შენს წინაშეო.

თამარი ქართლელი თავადის, ანდუყაფარ ამილახვრის ასული იყო, ღვიძლი ძმისწული გორის მოურავ პაპუნა ამილახვრისა, თავისი მეფის სახელით შესაწევნად კახეთს რომ მოვიდა და ბელაქნის წყალზე მზე არაერთ ურჯულო ყიზილბაშს დაუბნელა.

თამარის საარაკო სილამაზის ამბავი შაჰის ყურამდე მაშინ მისულიყო, როდესაც ის სამოც წელს მიახლოებული ბრძანდებოდა და ქალის დაუფლების დაუოკებელი წადილი გულში მანამ ჩავარდნოდა, ვიდრე მას პირადად ნახავდა.

თავადმა ანდუყაფარმა, როცა ყაენისაგან შუამავლადა და მაშვლად შაჰის კარზე მყოფი ქართლელი ბატონიშვილი ბაგრატ-მირზა მიუვიდა, იგრძნო, უარითა და თავის გამოდებით არაფერი გამოვიდოდა, უბეში გაზრდილ სათაყ-

ვანო ქალს მაინც წაიყვანდნენ, ქვეყანასაც მოაოხრებდნენ და ამ უთანასწორო ქორწინებაზე, შაჰის დიდ წყალობად რომ უნდა მიეღო, თანხმობა განაცხადა.

გახარებულმა ბაგრატ-მირზამ, ძალის გამოყენება რომ არ დასჭირდა, სასძლო მეორე დღესვე წაიყვანა, რადგანაც ენებააშლილი შაჰი მოუთმენლად ელოდა ალი-ყაფუს პალატებში მის გამოჩენას.

პირმშვენიერ თამარსა და ქართველ-სპარსელთაგან შემდგარ დიდებულ ამალას გურჯისტანისა და შაქის საზღვრებზე დაბანაკებული ყიზილბაში ამირა ფარჰად-ხან ყარამანლუ მოეგება ხუთასი ცხენოსნით და ყარაბახამდე მიაცილა, აქ კი შუშის ხანი დაუხვდათ დიდძალი მხედრობით და თვით უძლეველი შაჰის შესაფერი დარბაზობა და ნადიმი მოუწყო.

1596 წლის გაზაფხულზე ამილახვრის ასული სპარსეთის უძველეს სატახტო ქალაქ ყაზვინში ჩაიყვანეს, სადაც თვით სულწასული შაჰი ელოდებოდა.

თამარის სინორჩით, თვალტანადობითა და გონიერებით აბასი ისე მოიხიბლა, ყველა და ყველაფერი დაავიწყდა, ქართლელი თავადის, ამილახვრის ასული სპარსეთის დედოფლად გამოაცხადა და ბრძანება გამოსცა, ამისი ნება და სურვილი ჩემი ნება და სურვილია და იგი დაუყოვნებლივ, სიტყვაშემოუბრუნებლად უნდა აღსრულდესო.

თამარმა თავისი ქალური ძალაუფლება გამოიყენა და მძვინვარე შაჰს, ვისი შიშითაც მთელ სამეფოში და მის ფარგლებს გარეთ ყოველი სულდგმული თრთოდა, უპირველეს ყოვლისა, გულში ქრისტეს რჯულის შეწყნარება და ყოველი მართლმორწმუნე ქრისტიანის მიმართ სიბრალული ჩაუნერგა. თავად არ უმალავდა, რომ კვლავ ქრისტიანი იყო და პირიდან სულის ამოსვლამდე ქრისტიანად დარჩებოდა, მაგრამ ნიშნად თავისი ბატონის ერთგულებისა და ცოლ-ქმრული პატივისცემისა, ამას საქვეყნოდ არ გააცხადებდა და მიზგითში სხვა ცოლებთან და საჭურისებთან ერთად ივლიდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აღფრთოვანებული, თანდათანობერებით საბოლოოდ დაპყრობილი და ფარ-ხმალდაყრილი, სიბერეში უკვე ფეხშედგმული შაჰ-აბასი ამაზედაც თანახმა იყო, ოღონდ თამარს ჰყვარებოდა და მისი ალერსი არ მოშლოდა.

დედოფალი ქეთევანი ოდნავადაც არ შემცდარა, როდესაც თავისი სამეფოსა და პირმშო შვილის ბედი ამ ყოვლისშემძლე ბანოვანს ჩააბარა. კახეთში გაგზავნილი თავისი რჩეული ჯარის ამოწყვეტის გამო მოგვრილი რისხვა შაჰ-აბასისა მხოლოდ თამარს შეეძლო გაენელებინა, მხოლოდ მას შეეძლო, აბრეშუმის სუსტი ძაფით დაება გალიიდან გამოვარდნილი სისხლმოწყურებული ლომი და მის ბოლმითა და შურისძიებით სავსე გულში სიბრალულის სხივი შეეშვა.

სიღნაღელი სომეხი ვაჭრის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ, მშვიდმა, აუჩქარებელმა, სიდარბაისლითა და ღირსებით შემკულმა კაცმა, ელჩიონის სხვა წევრების თანდასწრებით, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, სპარსეთის დედოფალი თამარი ახსენა და დედოფალ ქეთევანის ხელით მისდამი მიწერილი წიგნის ამბავი გაუმხილა.

ვაჭარმა მოწიწებით მიიღო დალუქული და ბეჭედდასმული გრაგნილი, ზედ კრძალვით ემთხვია, აღმოსავლური წესის თანახმად თავზე დაიდო, ხალათის უბე გაიხსნა, ფართო ჯიბეში ადგილი მოუნახა და მაშინვე წავიდა სასახლეში ნაცნობი საჭურისის მოსაძებნად, რომელსაც ჰარამხანის მომსახურე საჭურისებს შორის ვინმე სანდო პირი უნდა შეერჩია და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად დედოფალ ქეთევანის საიდუმლო წიგნი სპარსეთის დედოფალ თამარისათვის გადაეცა.

შუშაში მოსვლის და ვაჭრის ჭერქვეშ დაბინავების მეოთხე დღეს, ანუ ქეთევა-

ნის წიგნის საჭურისისათვის გადაცემის მეორე დილას ჯერ მზე ხეირიანად ამოსულიც კი არ იყო, რომ ვაჭრის სახლს ყაენის მეჰმანდარი მოადგა და გურჯი დიდებულები სასახლეში მიიწვია. ყველაფრიდან ჩანდა, რომ შაჰს გული მოებრუნებინა. თვით მეჰმანდარიც, ალისფერ მოსასხამში გახვეული წვეროსანი ყიზილბაში, ერთი იმათგანი, შაჰს მუდმივ მცველებად რომ დაჰყვებიან, ზედმიწევნით თავაზიანად იქცეოდა, რამაც დედოფლის წარმოგზავნილებს გულში იმედი გაუღვიძა.

მათდა გასაოცრად, მეჰმანდარს სტუმრები კიბეზე არ აუყვანია, საიდანაც გრძელი, თითბრის კანდელაბრებით ჩარიგებული და სპარსული მინიატურებით მოხატული დერეფანი სატახტო დარბაზისაკენ მიემართებოდა, სასახლის უკან, სამოთხისებრ წალკოტში გაიყვანა და იქ საღებავმიუკარებელი ფიცრული კარი შეაღო.

ღმერთო დიდებულო, იესო მაცხოვარო, ეს სად მივდივართ, ხომ არ ვვატყუებენ, ჯურღმულში ხომ არ გვყრიანო, გაიფიქრეს ელჩებმა, მაგრამ შეყოყმანების დრო უკვე აღარ იყო და ისინიც მორჩილად მიჰყვნენ თავიანთ მდუმარე მეგზურს, რომელიც უმზეობისაგან დანესტიანებულ ნახევრადბნელ სარდაფში ჩავიდა.

ეს მეუნაგრის, თერძის, ფეიქრის თუ დურგლის საკმაოდ ფართო სახელოსნო იყო, რომლის მკვიდრ კედლებზედაც სხვადასხვა დანიშნულების სადურგლო თუ სამჭედლო იარაღები ეკიდა, შუაგულში კი საქსოვად გამართული საფეიქრო დაზგა იდგა. კედლებზე ახალი შეკრული სარკმლის ჩარჩოები მიეყუდებინათ. იქვე ეწყო სამი ცინცხალი სალაშქრო უნაგირი. მეოთხე სრულიად ახალი გამოწყებული იყო და დაზგაზე შემოდებულს ტილოს ფეშტემალაფარებული, საშუალოზე ოდნავ დაბალი, ჭროღათვალებიანი, მხარ-ბეჭჩაკირული, შუახანს გადაცილებული ჭაღარა კაცი კერავდა, რომელსაც შიშველი ფეხები ხის ქოშებში წაედგა და გასანთლულ ძაფზე აგებულ მაჩას, დახელოვნებული მოხელის სიმარჯვით, ხმარობდა.

მოსულთაგან აქ მხოლოდ ორნი, თავადი დავით ჯანდიერი და თიანეთის მოურავი ელიზბარ ჩოლოყაშვილი იცნობდნენ შაჰ-აბასს, უფრო სწორად, კახბატონ ალექსანდრეს ზეობაში ყაენი შორიდან დაენახათ. ამ უცნაურ ადგილას, სრულიად შეუფერებელ გარემოებაში, ამდაგვარად ჩაცმულ-დახურულის ცნობა თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ ალღომ არც ერთს არ უღალატა, როცა მოხელის წინაშე მუხლი მოიყარეს და მას აღმოსავლური წესით თაყვანი სცეს. ასევე მოიქცნენ დანარჩენებიც, რომელთაც ეჭვი ოდნავად აღარ ეპარებოდათ, რომ მათ წინაშე სწორედ ირანის ლომად წოდებული დიდებული შაჰ-აბასი იყო.

შაჰ-აბასი გაქვავებული იდგა, ძარღვებში სისხლის გამყინავი უძრავი მზერა მათთვის მოეპყრო. მისალმება რომ დამთავრდა, თვალიც არ დაუხამხამებია, მხოლოდ მახათი ამოუყარა ტყავში, ასევე დასტოვა, მოკლე, ბოჯინჯგალა ფეხები გაიდგა და ნიდაყვამდე დაკაპიწებული ბანჯგვლიანი ხელები გულზე დაიჭდო.

— მაშ, თქვენა ხართ კახეთის დედოფალ ქეთევანის დესპანები? — ჰარამხანაში ნასწავლი რბილი, თითქმის ალერსიანი ქართულით იკითხა მან.

— ჩვენ გახლავართ, დიდო ხელმწიფევ! — ყველას მაგივრად უპასუხა ასაკით სხვებზე უფროსმა დავით ჯანდიერმა, რადგანაც შაჰი მხოლოდ მას უყურებდა და თითქოს ცდილობდა გაეხსენებინა, სად ენახა ეს კაცი.

— შუშაში როდის მობრძანებულხართ?

— დღეს მეოთხე დღე გახლავს, მწყალობელო!

— მე კი მხოლოდ ამ დილას შემატყობინეს. რომ გამეგო, ამდენს არ გალოდინებდით! იმედი გვაქვს, დედოფალი ქეთევანი ჯანმრთელად ბრძანდება?

— ღვთისა და თქვენი უდიდებულესობის წყალობით, ხელმწიფევ!

— ჩვენზე ნაწყენი ხომ არ არის?

დავით ჯანდიერი უხერხულად შეიშმუშნა, წამიერი მზერა მისებრ დაჩოქილ და თავდახრილ თანამემამულეებს მოავლო, თვალი სახლთუხუცეს ნოდარ ჯორჯაძეს გაუსწორა, თითქოს ეკითხებოდა, რა ვუპასუხოო, მაგრამ მალევე მიხვდა, ახლა სიტყვას ვერავინ მოაშველებდა, ვერც ჩამოართმევდა და სახეში შემოჩერებულ ყაენს ის უპასუხა, რაც საკუთარმა ალღომ უკარნახა:

— თქვენი უდიდებულესობის სიტყვა და სურვილი ღვთის ნებაა, მწყალობელო ხელმწიფევ! დედოფალი ქეთევანი მხოლოდ მადლიერებას გამოთქვამს, რომ თქვენი უდიდებულესობა ყოველთვის კეთილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა როგორც პირადად მისი უდიდებულესობის, ისე მისი ოჯახის წევრების მიმართ. ჩვენ, თქვენო უდიდებულესობავ, ნაბრძანები გვაქვს, გულწრფელად მოგილოცოთ ესოდენ ძლიერ, ვერაგ მტერზე ძლევამოსილი გამარჯვება, რაც თქვენი უდიდებულესობის უებარი მხედართმთავრული ნიჭის წყალობით არავითარ ეჭვს არ იწვევდა. გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, შეუერთოთ დედოფალ ქეთევანის მოლოცვას ჩვენი პირადი მოლოცვაც. მაღალმა ღმერთმა ნიადაგ ასე ძლევით შემოსილი და გამარჯვებული გატაროთ!

„გაქნილო ქლესავ! — გაიფიქრა შაჰ-აბასმა, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერა და ვერ მოეგონებინა, სად და როდის ენახა ეს კაცი, ამას თავის სიბერეს აბრალებდა და მთელ ტანში უსიამო ჟრუანტელი უვლიდა. — ლიქნი გემარჯვება, მაგრამ, იცოდე, ვერ გამაცურებ, ვერ დამაჯერებ, რომ რასაც ფიქრობ, იმას ლაპარაკობ!“ — ხმამაღლა კი ეს თქვა:

— ვამჟღავნებდი და კიდევაც გამოვამჟღავნებ! მოლოცვისთვის კი მადლობა მოგვიხსენებია. ქეთევანის მამამთილს, განსვენებულ კახბატონ ალექსანდრეს, ჩვენს ერთგულ ყმას, ჩვენ ვმეგობრობდით და ისიც ამიტომ გვიხდიდა! ერევნის ციხის ალებისას, რომელიც ოსმალთ ეპყრათ, სპარსეთის ტახტს დიდი ქვეშევრდომული სამსახური გაუწია, რისთვისაც ჩვენ შვიდასი თუმანი ჯამაგირი დავუნიშნეთ. ის, რაც ზაგემში მოხდა, ერთობ საწყენია, მაგრამ დიდი ალაჰია მოწმე, — შაჰმა ორივე ხელი ცად აღაპყრო და ჭერს აჰხედა. — რომ ჩვენ ამ ავკაცობაში არავითარი წილი არ მიგვიძღვის, თუმცა ვაჟბატონი კონსტანტინე ცდილობდა, ყველაფერი ჩვენთვის გადმოებრალებინა და თავისი სამარცხვინო საქციელისათვის ამით რაიმე გამართლება მოეძებნა. ყურანი კრძალავს ამგვარ რამეს, ის ნებას არ აძლევს მართლმორწმუნეს, სისასტიკე გამოიჩინოს და ნათესავის სისხლი დაღვაროს!

— ჭეშმარიტად, მწყალობელო ხელმწიფევ!

— კონსტანტინე-მირზამ საზღაური მიიღო. ის ღირსეულად დაისაჯა თქვენი ხელით და საყვედურის ნაცვლად მე მხოლოდ მადლობას გეუბნებით. ჩვენ მას შირვანის საბეგლარბეგო ვუბოძეთ, სადაც მისივე სიმხდალისა და სიხარბის გამოისობით ოსმალო ისევ დგას. იმის მაგიერ, უზენაესი ბრძანება შეესრულებინა და შირვანიდან ურჯულო ოსმალები გაეძევნა, მან მამისა და ძმის სისხლი დაიდო და კახეთის ტახტი ჩვენს უნებურად დაიჭირა! დაარწმუნეთ ქეთევანი, რომ ამ საქმეში, როგორც იმ საქმეში, რასაც ღვიძლი ძმის ქვრივს სთავაზობდა, ჩვენ უბრალო ვართ!

— დარწმუნებულია, თქვენო უდიდებულესობავ, — მიუგო ჯანდიერმა და განცვიფრდა, რომ დიდებული ყაენი თითქოს მათი ენით ლაპარაკობდა, აზრს მათებურად ალაგიბდა, მოვლენებს მათებურ ახსნას აძლევდა, რაიც უსათუოდ თამარ დედოფლის ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო. — დარწმუნებული რომ არ ბრძანდებოდეს, ჩვენ კონსტანტინეს წინააღმდეგ ხმლის გაშიშვლებას როგორ გავბედავდით! კახეთში უწლო-

ვანმა ბალღმაც კი იცის, რომ კონსტანტინე, — ჯანდიერს კინაღამ წამოსცდა — ურჯულოო. — მწყალობელი შაჰის ნების წინააღმდეგ მოქმედებდა და, როგორც შაჰის მოღალატეს, ჩვენ, კახთ, არ შეგვეძლო მას დავმორჩილებოდით!

— მაგრამ იცოდეთ და ქეთევანსაც გადაეცით ჩვენი ბრძანება, — მრგვალმა თვალებმა, სასიკვდილოდ განწირულ მოწინააღმდეგეს თითქოს ისარს რომ უმიზნებდნენ, ელვას მოუმატეს, კიდევ უფრო დამრგვალდნენ და სპარსეთის მბრძანებლის ხმაში ნაწრთობი ლითონის ჟღრიალი გაისმა. — რომ ჩვენ არ მოვითმენთ გიაური რუსხელმწიფის კაცების წანწალს კახეთის ვალის კარზე! რუსეთი ერთმორწმუნოებით სარგებლობს და თქვენს გარშემო საშიშ ქსელს ბლანდავს. უნდა, კავკასიის ქედის გადმოღმა ფეხი საიმედოდ მოიკიდოს. ჩვენ არ შეგვიძლია, გულგრილად ვუყუროთ ამ ამბავს და მტერს დაუსჯელი პარპაშის ნება მივცეთ! გესმით თუ არა? ეს ჩვენი უკანასკნელი გაფრთხილებაა! ამას იქით ჯარს გამოვგზავნით ან თავად მოვალთ და ურჩთა ჭკუის სასწავლებლად ქვას ქვაზე დავადუღებთ! რაზე გარჯილხართ? ამოდენა ეზას ტყუილად არ გამოივლიდით!

— მორჩილების გამოცხადების სურვილმა მოგვიყვანა, თქვენო უდიდებულესობავ. გთხოვთ, გვერწმუნოთ, რომ მუდამ თქვენი უდიდებულესობის ნების აღმსრულებელი ვიყავით და მომავალშიც ასევე ვიქნებით!

— კიდევ, კიდევ?

— კახეთი უმეფოდ გახლავთ, თქვენო უდიდებულესობავ. რა უმეფო ქვეყანა და რა ჭიშკარმოღიავებული ეზო! — დავით ჯანდიერმა ქეთევან დედოფლის მიერ დარბაზის ერის სხდომაზე ნათქვამი სიტყვა გაიმეორა და შაჰს მისივე ხელით ქართულად შედგენილი წიგნი გადასცა.

აბასმა წიგნი გახსნა, შიგ ცალი თვალით ჩაიხედა და ზიზღნარევი ღიმილით იკითხა:

— მაშ, თქვენი აზრით, ქეთევანი, ვისაც დიდმა და პატარამ ერთგულება შეჰფიცეთ, ვინ ბრძანდება?

— სწორედ მისი უდიდებულესობის და ერის სახელით გეუბნებით, თქვენო უდიდებულესობავ, ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, დავით მეფის ძეს, ბატონიშვილ თეიმურაზს, რომელიც ეს ერთი ხანია თქვენი უდიდებულესობის კარზეა, მეფობა უბოძოთ და თქვენი უდიდებულესობის სამსახურად სამშობლოში დააბრუნოთ!

— ეგ სხვა საქმეა. ჩვენ მაგის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, მაგრამ ცოდოა ბიჭი, მგონი ჯერ თექვსმეტისაც არ შესრულებულა!

— მუხლმოყრილი გეუბნებით, თქვენო უდიდებულესობავ!

— კეთილი, ვნახოთ, მოვიფიქრებთ!

ამ სიტყვებზე შაჰმა ტაში შემოჰკრა. ჩახუთულ სახელოსნოში ისევ წვეროსანი მეჰმანდარი შემოვიდა, რომელმაც გურჯი დესპანები აქ შემოიყვანა. შაჰმა ქართველ დიდებულებზე ანიშნა და ისევ თავის შეწყვეტილ სამუშაოს, უნაგირის კერვას მიუბრუნდა. შაჰის კარზე დადგენილ წესისამებრ, წელში მოხრილი დიდებულები უკან-უკან წავიდნენ კარისაკენ, რათა ცათა სწორი მბრძანებლისათვის ზურგი არ ეჩვენებინათ და წალკოტში სუფთა ჰაერზე გამოვიდნენ.

თავი XXI

ნაშუადღევს, დიდი და ბრწყინვალე ამალით, ჩადრჩამოფარებული ცოლებითა და მათთვის მიჩენილი საჭურისებითურთ, ხანისა და მისი მრავალრიცხოვანი სახლეულის თანხლებით, ჩვეულებისამებრ სადად ჩაცმული შაჰ-აბასი საკრებულო მეჩეთში წაბრძანდა და თითქმის მთელ საათს გულმხურვალედ ილოცა. მეჩეთიდან უკან მობრუნებული ის ყოველთვის ჰარამხანაში შედიოდა ხოლმე, რათა რჩეულ ლამაზმანთა შორის რჩეული ლამაზმანი ცოლების სი-

ახლოვეს სული მოებრუნებინა, დაესვენა და რომელიმე მათგანთან ერთად განმარტოებულიყო, მაგრამ ამჯერად ჩვეულებას უღალატა, ქეშიკების თანხლებით საძინებელ ოთახში ავიდა, სადაც არა ფუმფულა საწოლში, არამედ უბრალო მხედარივით იატაკზე გაშხლართული იძინებდა, ტანზე სხვათა დაუხმარებლად გამოიცვალა, საღამურები ჩაიცვა და ქეშიკებს უბრძანა, კახთა ბატონიშვილი თეიმურაზი მოეყვანათ.

შაჰის მხლებელ სპარს დიდებულებს შორის მყოფმა თეიმურაზმა სარწმუნო წყაროდან იცოდა კახეთიდან მისიანების მოსვლის ამბავი, რომლებიც აქ, ბატონ დედას, ქეთევანის, ბრძანებისამებრ იყვნენ და მათ ნახვას სულმოუთქმელად ესწრაფვოდა. ავად თუ კარგად ეს იქნებ კიდევაც მოეხერხებინა, მაგრამ გამზრდელმა, თავადმა შერმაზან ჩოლოყაშვილმა დაუშალა, მოვა დრო შაჰი თავად მიგიხმობს და ჩვენიანებსაც მისი თანდასწრებით შევხვდებით, მანამდე კი მოთმინება ვიქონიოთ, ბატონიშვილო, რათა ყაენი უბრალო წინდაუხედავობის გამო არ ავიმხედროთ და წყალობა რისხვით არ შევაცვლევინოთო.

არცთუ ისე დიდი ხნის განმავლობაში, რაც შაჰის კარზე ყოფნა მოუხდა, ჭირსა და ლხინში ყველგან თანმხლები შერმაზან ჩოლოყაშვილის, ამ მამასავით მისანდო და უერთგულესი კაცის საშუალებით თეიმურაზი თვალს ადევნებდა შორეულ სამშობლოდან სხვადასხვა გზით მოღწეულ ამბებს და შერმაზანიც, თავის მხრივ, ყველა ღონეს ხმარობდა, ყველგან თავისი ქსელი გაება და არსად არაფერი გამორჩენოდა.

გამზრდელისა და გაზრდილის თვალსა და ყურს თავის დროზე არც ბელაქნის წყალზე მომხდარი ომის ამბავი და მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე-მირზას იმ ქვეყნად გასტუმრება გამოჰპარვიათ. თავის გაზრდილს შერმაზანმა მხოლოდ ქეთევანისადმი კონსტანტინეს უტიფარი შენათვალი დაუმალა, ცოლად გამომყე, თუ გსურს, კახეთის დედოფლობა შეინარჩუნო, თუ არა და, ხარჭად დაგისვამო. ჭაბუკი ბატონიშვილის მგრძნობიარე გულს სათაყვანებელ, ქმარ-შვილსა და საბატონო ქვეყანაზე გადაგებულ დედასთან უნაზესი ძაფებით რომ იყო დაკავშირებული, ეს შემზარავი ამბავი სამუდამოდ დაჰკოდავდა და სამარადჟამო განუკურნებელ ჭრილობას გაუჩენდა.

ოქრომკედით მოსირმულ წითელ ქულაჯაში გამოწყობილმა, მღელვარებისაგან ლოყებატკეცილმა თეიმურაზმა განუყრელი ქამარ-ხანჯალი კარში მდგომ შუბოსან ქეშიკს რომ ჩააბარა და შაჰს წარუდგა, რომელიც მას მესამე თუ მეოთხე ოთახში ელოდებოდა, უკვე იცოდა, რისთვისაც იბარებდნენ, თავად შერმაზანს სათანადოდ მოემზადებინა და, რასაკვირველია, იცოდა ისიც, მწყალობელ შაჰთან თავი როგორ დაეჭირა და მის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე რა პასუხი გაეცა.

— სალამ-ალეიქუმ, შვილო თეიმურაზ! ხომ არ მოიწყინე? — შაჰ-აბასი უმალ ამ სიტყვებით, ხელებგაშლილი მოეგება, როგორც ყოველთვის ხვდებოდა და ამით თავის კეთილმეგობრულ ურთიერთობას უმჟღავნებდა, ორივე მუხლზე დაჩოქილ თმაქოჩორა ჭაბუკს მძიმე, შემპარავი ნაბიჯით მოუახლოვდა, მხრებში ორივე ღონიერი ხელი ჩასჭიდა, წამოაყენა, თვალებით გაზომა, გულზე მიიკრა, რამდენიმე ნაბიჯი ასე ჩაბლუჯული გაატარა და უზადოდ თეთრი ფარჩის სარჩულგადაკრულ რბილ ვენეციურ სავარძელში ჩასვა, რომლის მოპირდაპირე კედელთანაც უზარმაზარი ფეხიანი სარკე იდგა და თეიმურაზი შიგ თავის თავსა და აღმოსავლური ფუფუნებით მორთული ოთახის ნახევარს ხედავდა. — ჩვენი ხმაურიანი ისპაჰანის შემდეგ აქ მართლაც საშინელი მოწყენილობაა. იმედია, ალაჰის შეწევნით, შუშაში დიდხანს არ დავრჩებით და შენს მოწყენილობასაც ბოლო მალე მოეღება. ჩემთვის, შვილო თეიმურაზ

განსაკუთრებით სამძიმოა აქ ყოფნა, რადგანაც ყველაფერი შენს ნეტარხსენებულ პაპას, იმ გარეწარი კონსტანტინეს ხელით დაღუპულ კახბატონ ალექსანდრეს მაგონებს! შუშაში ბევრჯერ შევხვედრივარ. ბევრი კეთილად მოსაგონარი დღე ერთად გაგვიტარებია. ნეტავი იმ დროს! გარეწარს რომ ეს საქმე არ ექნა, იქნებ ალაჰის მადლით დღესაც ცოცხალი ყოფილიყო, ამ გაზაფხულს ჩვენთან ერთად შეხვედროდა და შირვანშიაც ჩვენთვის მხარი დაემშვენებინა!

საყვარელი პაპის გახსენებამ და შაჰის მხრიდან მისი სიკვდილის გამო სინანულის გამომჟღავნებამ გულუბრყვილო და მიმნდობ თეიმურაზს მდუღარე ცრემლი მოჰგვარა, თანამოსაუბრეს იმას კი ვერ მიუხვდა, რომ უარაკებდა, შეფარულად ჯარს სთხოვდა ოსმალებთან მომავალ ომში, ამჯერად შირვანის ველებზე რომ უნდა მომხდარიყო, თანადგომას უკვეთავდა. ეს მით უფრო ძნელი მისახვედრი იყო, რომ აბასი თავადაც გულწრფელად შეწუხებული ჩანდა, ჭაღარა წამწამებზე ცრემლის წვრილი წინწკალი უბრწყინავდა.

— დაწყნარდი, შვილო, — შაჰმა თავზე დაადო ყოვლის მძლეველი მაშვრალი ხელი. — გლოვითა და ვაი-ვაგლახით წასულ საქმეს ველარ მოვეწევით, ვერც მკვდარს გავაცოცხლებთ! მთავარი ის არის, რომ აღსრულდა ცით დადგენილი მართლმსაჯულება: გარეწარმა კონსტანტინემ, — აბასი სიტყვა „გარეწარს“ გამორჩეული ზიზღითა და შეჩვენებით წარმოთქვამდა. — უკვე მიიღო, რაც ეკუთვნოდა — შენი ღირსეული დედის, კახეთის დედოფალ ქეთევანის, მახვილით ძლეული ბრძოლის ველზე დაეცა! დიდ არს ალაჰი!.. — შაჰ-აბასმა ტიბეტური კატის მრგვალი თვალები ასწია და კოტიტა ხელებიც აღაპყრო. — მისი სამართლიანი ჯავრი მოეწევა ყველას, ვინც ყურანს შებღალავს, თუნდაც ერთ სურას დააღვევს!.. ახლა რისთვის მოგიხმე..

თეიმურაზმა ცრემლით გალუმპული სახე შეიმშრალა და უცებ [illegible] რომ იჯდა, ყაენი კი თავზე [illegible] ულმა წამოიწია, ზეზე წამოვარდა მოინდომა, მაგრამ აბასმა დაასწრო, ორივე მძიმე ხელი მხრებზე დაადო, თავის ადგილზე დასვა და კვლავ უჩვეულო სიამტკბილობით განაგრძო:

— რისთვის მოგიხმე... აქ დედაშენის, დედოფალ ქეთევანის, დესპანები ჩამოვიდნენ და შენთვის კახეთის ტახტს მთხოვენ. შენს უკითხავად და თანხმობის მიუღებლად მე ამას ვერ გადავწყვეტ, — თეიმურაზს მოეჩვენა, რომ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას შაჰს თვალებში დამცინავი ღიმილი გაუკრთა, მაგრამ იმავე წამს ჩაქრა. — ამისთვის მოგიხმე და მინდა გკითხო, რა პასუხი მივცე დესპანებს, რომლებიც მეხუთე დღეა აქ არიან და ჩვენს გადაჭრილ პასუხს ელიან. სწორე გითხრა, მე შენი აქედან გაშვება მენანება. ალაჰის მადლმა, შეგეჩვიე, შენთვის სხვა, უფრო ბრწყინვალე აღმატებას ვვარაუდობდი, მაგრამ ღვთის წინაშე არც ის მავიწყდება, რომ ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ხარ მამისეული ტახტისა, კახბატონის პირდაპირი და უშუალო ჩამომავალი ბრძანდები! სპარსეთის მპყრობელნი ოდითგანვე პატივით ეკიდებოდნენ და იცავდნენ გურჯების ამ კანონს. არც ჩვენ გვინდა ის დავარღვიოთ. სიტყვა შენზეა, შვილო თეიმურაზ!..

— დიდ მადლობას გწირავთ, თქვენო უდიდებულესობავ, დედაჩემის და ჩემი, აგრეთვე ჩემი ერის სახელით!..

— პასუხი მომე, ყაენი შენს პასუხს ელის! — შაჰ-აბასს მომნუსხავ თვალებზე შეეტყო, რომ ყმაწვილის თავშეკავებულმა, არაპირდაპირმა პასუხმა, მის მცირე ასაკს სრულებითაც რომ არ შეეფერებოდა, აშკარად ასიამოვნა. მას მოსწონდა ეს ქალივით ლბილი, კრძალვით და შეფარული მეფური სიამაყით აღსავსე, თითქოსდა სპარსული მინიატურიდან გადმოსული პირტიტველა ჭაბუკი, ჯერ კიდევ ბალღი, კიკინებსა

და საულვაშეზე წვრილი ბუსუსები რომ წამოსვლოდა, რომელიც სწავლა-განათლებისადმი შესაშურ მიდრეკილებას იჩენდა და სიბეჯითითაც გამოირჩეოდა. სპარსული ენის ჩინებული ცოდნა თეიმურაზს საშუალებას აძლევდა, შაჰის უძველესი წიგნებით მდიდარი წიგნსაცავით ესარგებლა და საისტორიო თხზულებებთან ერთად სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობასაც ძირფესვიანად გასცნობოდა. შაჰის ყურამდე აღწევდა ხმები, რომ გურჯი მირზა თავადაც სცდიდა კალამს პოეზიაში. წერდა უმთავრესად მშობლიურ ქართულ ენაზე. სპარსული ოსტატობის წაბაძვით და ვარდისა და ბულბულის ტრფობის ამბავს თავისებურად უგალობდა. გარდა ამისა, თეიმურაზი უბადლო მოჯირითე, მოფარიკავე და მოისარი იყო, შუბს გასაოცარი სიმარჯვით ხმარობდა, მარტოდმარტო შეეძლო მოეგერიებინა თვით გაშმაგებული ჯიქიც კი, არამცთუ მოეგერიებინა, შუბზედაც წამოეგო და სული გაეცხებინებინა.

„რა მოდგმის ხალხია ეს ხალხი? — ფიქრობდა მისი შემხედვარე შაჰ-აბასი, ვისთვისაც შური, უპირველეს ყოვლისა სავაჟკაცო საქმეში, უცხო ხილი არ იყო და გულში კიდევაც ამაყობდა, რომ მის ძარღვებშიაც თეიმურაზის გვარ-ტომის მონათესავე სისხლი ჩქეფდა, აკი ბებია დედის მხრიდან ავალიშვილთა ამაყი გვარის სახლიშვილი ჰყავდა! — ალაჰსა ვფიცავ, ამ ხალხის შექმნაში თვით მაღალი ღმერთი ურევია! ამიტომაც გამოდის ყველა, ქალიც და კაციც, ასე ახოვანი თვალ-ტანადი, შემართებული, გონებაგახსნილი, ლხინში შეუდარებელი მონადიმე და ომში შეუპოვარი! მადლობა ალაჰს, ამათ გვარსა და ჯილაგს რომ მცირე სამყოფელი მიუზომა და მცირერიცხოვნობითაც დასაჯა! ზენაარს რომ ასე არ ენება, ესენი მსოფლიოს გადაქელავდნენ, წინ ვერა კაცი ველარ დაუდგებოდათ, თუმცა ღვთის განგებით ერთმანეთის გაუტანლობაც ჭირად მოსდევთ და ყოველ აღზევებულს თავისი დამამხობელიც ალაჰის ნებით თან მოჰყვება!“

— მე მზად გახლავარ, თქვენო — ეფიდებულესობავ, თქვენო ეფიდებულესობის ნებისმიერ ბრძანებას უყოყმანოდ დავემორჩილო და ერთხელ კიდევ მადლობა შემოგწიროთ ბატონ დედასა და ჩემი ესოდენ დიდი დაფასებისათვის!..

— მაშ, ადექი, მომიახლოვდი!

თეიმურაზი ჭაბუკური სიმკვირცხლით წამოდგა და თვალის დახამხამებაში შაჰთან გაჩნდა, რომელიც ამ წუთს მთელი არსებით, მშობელ მამასავით უყვარდა და მის გულისათვის თუნდაც ცეცხლს შეებმოდა, სხვათავის მიუწვდომელ საარაკო გმირობას ჩაიდენდა!

აბასმა ორივე ხორკლიანი ხელი მოსდო ყვრიმალებზე, ყმაწვილს ვარდისფრად რომ აყირმიზებოდა, მისი სახე სახესთან ახლოს მიიტანა, ერთგულებითა და სიწრფელით სავსე თვალებში ჩახედა და შუბლზე მამაშვილურად ეამბორა.

— მაშ, დამილოცნიხარ, შვილო თეიმურაზ, მიბოძებია შენთვის კახეთის ტახტი. გემეფოს ისევე მორჭმით და ღირსეულად, როგორც ნეტარხსენებულმა პაპაშენმა, კახბატონმა ალექსანდრემ იმეფა!

თეიმურაზი ორივე მუხლზე დაეშვა, შაჰის ხალათის კალთას წაეტანა და ზედ მოწიწებით ემთხვია.

თავი XXII

ორმა დღემ და ორმა ღამემ კვლავ ლოდინში გასტანა, რამაც მასპინძლის მიერ დაიმედებული დესპანების გულში ახალი ეჭვი დაბადა, ვაითუ ყველაფერი, რაც კეთილისმყოფელმა ვაჭარმა მოგვიტანა, ტყუილია, ისიც მოატყუეს და ჩვენი თავიც მოატყუებინესო. მაგრამ ეს ეჭვი მალე გაიფანტა, რადგანაც მესამე დღეს, ნაშუადღევს, კახეთის დედოფალ ქეთევანის მიერ წარმოგზავნილი ელჩები შაჰმა ხანის სასახლეში მიიწვია და თავის გადაწყვეტილება იმის

თაობაზე, რომ კახეთის ვალის ტახტს თეიმურაზ-მირზას აძლევდა, საჯაროდ გამოაცხადა.

შაჰი ამჯერად მთელი თავისი დიდებულებით წარმოსდგა. მზის შუქით გასხივოსნებულ სვეტებიან დარბაზში, რომლის ჭერი და კედლები სხვადასხვა ფერად მოხატათ, საჩრდილობლის ქვეშ ტახტზე იჯდა. იატაკი ძვირფასი ხალიჩებით იყო მოგებული, თვით ტახტი კი შემაღლებულ ადგილზე მოეთავსებინათ. შაჰ-აბასს თავზე ალმასებითა და სხვა პატიოსანი თვლებით მოელვარე გვირგვინი ეხურა და ხელთ ასევე პატიოსანი თვლებით მოოქვილი სფერო ეჭირა, ნიშანი მეფობისა და უზენაესი ხელისუფლებისა.

სამეფო ძოწეულითა და პორფირით შემოსილ შაჰს უკან ნახევარრკალად უდგნენ საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული სარდლები და კარისკაცები, ხოლო მათ უკან საომარ ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი შუბოსანი ქეშიკები ასვეტილიყვნენ და გაუნძრევლად, მხოლოდ თვალებით ზვერავდნენ ყველაფერს, რაც საქმიანი მიღებების გასამართავ ბრწყინვალე დარბაზში ხდებოდა.

წინკარში მომლოდინე ქართველ დიდებულებს რომ აცნობეს, გიხმობთ მისი უდიდებულესობა, სპარსეთისა და მთელი აღმოსავლეთის მბრძანებელი შაჰ-აბასი, მათ წინაშე ერთამეორის მიყოლებით გაიღო რამდენიმე წყვილი კარი, რომელთა ორივე მხარეს ორივე ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი შუბოსნები იდგნენ, უკანასკნელ მოვარაყებულ კართან კი, საიდანაც მოსულთა თვალს ტახტზე დაბრძანებული შაჰ-აბასისა და მისი ბრწყინვალე კრებულის თვალისმომჭრელი სანახაობა გადაეშალა, დესპანები შეაჩერეს და ანიშნეს, დიდებული შაჰის წინაშე მუხლი მოეყარათ, რაც მათ უსიტყვოდ, უყოყმანოდ შეასრულეს.

ეტყობოდა, დღეს აქ სხვა საჭირბოროტო ამბებიც წყდებოდა, რადგანაც მოსაცდელ დარბაზში სხვადასხვა საქმისათვის დაბარებული, ქვეყნის ოთხივე კუთხიდან შემოკრებილი წარჩინებული პირების ტევა არ [illegible] მახვილებული და ყურადღებიდ [illegible] ცეული ყველა თავის რიგს უცდიდა. ეს საქმიანი ვითარება ყველგან იგრძნობოდა, რადგანაც არამცთუ ზედმეტ სიტყვას არავინ ამბობდა, ზედმეტ მოძრაობასაც კი ერიდებოდა.

შაჰი მდუმარედ იჯდა, გულხელი დაეჭდო, ტიბეტური კატის მრგვალ თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა, ტახტის ძგიდეებზე ნიდაყვებით დაყრდნობილი წინ იყურებოდა და უგულოდ უგდებდა ყურს კარის მდივანს, წითელ მოსასხამწამოხურულ, წვერწაწვეტებულ პირხმელ მოხუცს, რომელიც მის მიერ ხელმოწერილ ბრძანებულებებს კითხულობდა და როდესაც მდივანი კითხვას დაამთავრებდა, ნიშნად თანხმობისა და წაკითხულის დამტკიცებისა, თავს დაბლა ხრიდა.

დარბაზში რომ დედოფალ ქეთევანის დესპანები შემოვიდნენ და დიდებული შაჰის წინაშე მუხლი მოიყარეს, ტახტის უკანიდან ორმა სპარსმა კარისკაცმა, რომელთაგან ერთი შაჰის სიძე, დის ქმარი ალიყული-ხანი უნდა ყოფილიყო, სპარსული ალისფერი ხალათით შემოსილი და ამავე ფერის ჩალმით თავწაკრული პირტიტველა თეიმურაზი გამოიყვანეს და თანამემამულეების წინ, პირით შაჰისაკენ დააყენეს.

როგორც კი გასცილდნენ და მარტოდმარტო დასტოვეს, თეიმურაზმა მარჯვენა ხელი გულზე მიიდო, თავი დახარა, დაიჩოქა და უზენაესი ბრძანებულების მოსასმენად მოემზადა.

ბრძანებულება საკმაოდ მოკლე იყო. ის სულ რამდენიმე წინადადებისაგან შესდგებოდა. მდივანმა ისიც, ისევე როგორც სხვები, ოდნავი წამღერებით წაიკითხა, თვით იმისათვის, ვისაც დიდებული შაჰის ნებით სადღაც ჩრდილოეთის მთებში მიმალული კახეთის ვალის ტახტი ეწყალობა, ზედაც არ შეუხედია, საბუთი სხვა საბუთების დასტაზე დასამატებლად თანაშემწეს მიაწოდა, თავად კი მზერა წასაკითხად

მომზადებულ მორიგ ბრძანებულებაზე გადაიტანა.

ნიშნად დამტკიცებისა, შაჰ-აბასმა გვირგვინით დამძიმებული თავი დახარა, თეიმურაზი ახლო მიიხმო და როდესაც მან ტახტის სულ ქვედა საფეხურზე მუხლი ხელმეორედ მოიყარა, დარბაზში მყოფთაგან ყველას რომ გაეგო, სპარსულად მიმართა:

— ჩვენ აღვასრულეთ დედაშენის, კახეთის დედოფალ ქეთევანის, ჩვენი საყვარელი სიდედრის, უმდაბლესი ხვეწნა-მუდარა და შენ, თეიმურაზ-მირზავ, მამისეული ტახტი გიბოძეთ. მუდამ გახსოვდეს და ერთი წუთითაც არ დაივიწყო, რომ სპარსეთის კურთხეული ტახტის ყურმოჭრილი მონა ხარ და, როგორც ვალი, ვალდებულებას კისრულობ, რომ ყოველთვის მისი ერთგული იქნები, ჩვენს მეგობარს უმეგობრებ, ხოლო მტერს მტრად მოეკიდები. გულში ჩაიბეჭდე და ძილის წინ ლოცვასავით გაიმეორე: ჩვენი დაუძინებელი მტერი და ავის მოსურნე აქეთ, — შაჰმა სხვადასხვა ფერად მოლივლივე სფერო დასავლეთისაკენ გაიშვირა. — ურჯულო ოსმალეთია, აქეთ კი, — მან სფერო ჩრდილოეთს მიმართა. — გიაური რუსეთი! უკეთუ გსურს, ჩვენ ორს, ჩვენსა და შენს შორის, შავმა კატამ არ გაირბინოს, საბატონო ქვეყანა აუკლებელი გეგულებოდეს და არც ვინმე ჩვენი უზენაესი ბრძანებულებით ბოძებულ ტახტს შეგეცილოს, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტე გიაურ რუსეთთან, ოსმალეთის წინააღმდეგ კი არა ერთჯერ მხარდამხარ გვიომია და დიდი ალაჰის ნებით კიდევაც ვიომებთ! ჩვენ, — შაჰმა მსხვილ, ღონიერ კისერზე მკვიდრად დაფუძნებული თავი ოდნავ მიაბრუნ-მოაბრუნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ ერთადერთ სიტყვაში, ჩვეულებისამებრ, მარტო ოავის თავის არ გულისხმობდა. — განვიხილეთ და ვცანით ქართლის ვალ გიორგის ღალატი. მივიღეთ სახეში, რომ გურჯები ჩვენი კეთილად სახსენებელი სიდედრის, დედოფალ ქეთევანის, მოწოდების თანახმად მოქმედებდნენ და შესაძლებლად ჩავთვალეთ ამჯერად შეგვეფერებინა [illegible] გისათვის ჩადენილი [illegible] [illegible] რეთ ჯამაგირად დანიშნული ხუთასი თუმნის აღკვეთა. გაგვიფრთხილებია: მეორედ ჩვენ თავად მოვალთ და ვერაგობისა და ღალატისათვის, მაგან რომ ჩაიდინა და გვაკადრა, პასუხს მოვთხოვთ!

საჯაროდ წარმოთქმული ამ მკაცრი სიტყვის შემდეგ, რომელიც არა სიტყვიერ პასუხს, არამედ მხოლოდ აღსრულებას საჭიროებდა, შაჰ-აბასმა მზერა თეიმურაზიდან კარის მდივანზე გადაიტანა, რაც იმას მოასწავებდა, რომ გურჯების საკითხი დამთავრდა და თავიანთი ბედის გადასაწყვეტად მათ მაგიერ ახლა სხვები უნდა შემოსულიყვნენ.

თუმცა მეფედ დაამტკიცეს და დიდებით შემოსეს, დივანის სხდომიდან თეიმურაზი მაინც გაღიზიანებული და ამრეზილი გამოვიდა. ამგვარი გულცივი და თითქმის მტრად მოკიდებული შაჰ-აბასი მას არასოდეს ენახა და უკვირდა კიდევაც, როგორ შემეძლო, ეს ამპარტავანი არამზადა, არავის რომ არაფრად აგდებს და მთელი უკიდეგანო სამყარო მართლაც თავისი ფერხთა მტვერი ჰგონია, გულწრფელად მყვარებოდა, ამისი პირიდან ამოსული თუნდ ერთი სიტყვა ყურად მიეღო და ჭეშმარიტებად მიმეჩნიაო.

გურჯ დესპანებს, ნიშნად უძლეველი ყაენის წყალობისა და მათდამი კეთილგანწყობილებისა, სამშობლოში გამგზავრების წინა საღამოს ხალათები და სხვა ძვირფასი საჩუქრები დაურიგეს. საჩუქრებს შორის აღმოჩნდა სამეფო გვირგვინი, შემკული მრავალი პატიოსანი თვლით, ძოწეული და პორფირი, რომლითაც თეიმურაზი ქართული წესით მეფედ კურთხევისას უნდა შეემოსათ. აქვე იყო შაჰ-აბასის პირადი საჩუქარი საყვარელ სიდედრისადმი, დედოფალ ქეთევანისადმი: ამსტერდამელი ოქრომჭედლების ნახელავი ფასდაუდებელი ბრილიანტის ყელსაბამი,

ბრილიანტის ორი ბეჭედი და ბაჯაღლო ოქროს თავსარქმელი.

ხალათები და სხვა საჩუქრები მხოლოდ გიორგი ქართლის მეფის ელჩებს არ ერგო, რამაც ყველა შეაცბუნა და საერთო გაკვირვება გამოიწვია. სპარეთის მბრძანებლის აშკარა უკმაყოფილება გურჯისტანის ვალის გიორგის მიმართ, თუმცა სიტყვიერად შენდობას კი უთვლიდა და სამაგიეროს მიზღვაზე ხელმწიფური დიდსულოვნობით უარს ამბობდა, ერთხელ კიდევ საცნაური ხდებოდა.

— სიფრთხილე გვმართებს, ბატონებო, — მიმართა მასპინძელმა ვაჭარმა ჯავრისაგან გამშრალ, საგონებელში ჩავარდნილ ქართველ თავადიშვილებს, როდესაც შაჰის მეჭურჭლენი წავიდნენ და ის წინკარიდან შემობრუნდა. — არ მალავს, რომ გული ბოღმით აქვს სავსე, მაგრამ ღვთის შეწევნით რაღაც ზენა ძალა ხელ-ფეხს უბორკავს და თავისებურად განავარდების ნებას არ აძლევს. მაღალ ღმერთს მადლი უნდა შევწიროთ, რომ აქამდე ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა!

რაღა თქმა უნდა, ის „რაღაც ზენა ძალა", დაბმულ ლომს ხელ-ფეხს რომ უბორკავდა და თავისებურად განავარდების ნებას არ აძლევდა, სპარსეთის დედოფალი, ანდუყაფარ ამილახვრის მშვენიერი ასული თამარი იყო, რომლისადმი გაგზავნილმა ქეთევან დედოფლის წიგნმა სწორედ სასწაული მოახდინა და უკუღმა წასული საქმე საწაღმართოდ შემოაბრუნა. დღეს საკითხავი ერთიღა იყო: როდემდე ეყოფოდა ქალური მომხიბლველობა, ძალა და გავლენა თამარს გალიიდან გამოვარდნილი ლომის შესაკავებლად და ალერსითა და ტკბილი სიტყვით მის შესაყოლიებლად? როდემდე შესძლებდა თანამეცხედრე შაჰის შეჩერებას და მისი მრისხანებისათვის სხვა სადინარის მიცემას?

თავი XXIII

შუშიდან გზა ბარდავ[illegible] ადიდებულ მტკვარზე [illegible] ბორნით გადავიდნენ და ამ ერთადერთი შელანძღული ბორნით გადაღმა გადაბარგებას თითქმის მთელი დღე მოანდომეს.

თეიმურაზს ორასზე მეტი თავისიანი ცხენოსანი ახლდა, რომლებიც ქეთევანის მიერ გამოგზავნილ ელჩებს შუშაში მოჰყვნენ, ორი ამდენი კი ყიზილბაში იყო, რომელთაც ყაენის ბრძანების თანახმად, კახეთის ვალი მის სატახტო ქალაქ გრემამდე უნდა მიეცილებინათ, იქ გურჯების წესით მის მეფედ კურთხევას დასწრებოდნენ და თუ გარემოება ქვეყანაში წესრიგის დამყარებას არ მოსთხოვდა, შემდეგ იმავე ვზით, რომელმაც აქ მოიყვანათ, უკან დაბრუნებულიყვნენ.

მტკვარგაღმა ზამთარ-ზაფხულ თაკარა მზით გადახრუკული უდაბნო დაიწყო. აქედან კაკ-ენისლის სასულტნომდე, ერევნის კომპანიაში გამარჯვებულმა შაჰ-აბასმა მოხუცებული მეფე ალექსანდრე ძალისძალად რომ დაიყოლია და კახეთის სამეფოს კუთვნილი მიწების ხარჯზე შექმნა, წვეთი წყალი და მცხუნვარე მზისაგან თავის დასაცავი ხელისდადება ჩრდილიც არსად იყო. ამასთან ერთად, სამხრეთ-დასავლეთიდან უდაბნოს ცხელი ქარი უბერავდა, დახრამულ ტიტველ გორაკებზე, ერთმანეთში რომ ჩაგრეხილიყვნენ, მარილიან მტვერს ხვეტდა და სულის შემხუთველი ხვატით გავარვარებულ ჰაერში ატრიალებდა.

— დაილოცოს ღვთისაგან ბოძებული ჩვენი მიწა-წყალი, — ამბობდნენ მტვრისა და სიცხისაგან გაოგნებული კახი მხედრები და ცხელი ქვიშით დაფარულ ნაგზაურში ცხენის ფეხის მოსაკიდებელ მაგარ მიწას ძლივს-ღა პოულობდნენ. — გადაიხედავ და სამოთხის წალკოტივით აშოვა უდაბნოში! ვინ შეგარჩენს, თუ დღიან-ღამიანა ფხიზლად არ იქენი და ყოველ მომხვდურს ხერხემალი არ გადაუმტვრიე!

— ამიტომაც გვიტევენ აგრე გაავებითა, აღარც თავი ეზოგებათ და აღარც სიცოცხლე!

— ამითანა უდაბნოში ცხოვრება რაღა სიცოცხლეა, ერთი მე შენ უნდა გკითხო, არა სჯობია, მოკვდე და მაისვენო?

— მითამ მართლა არსად იქნება წყალი ამ დასაქცევში? ფუ, ამითანა ქვეყანას რა ვუთხარი! ცხენი არ დამივარდეს თორემა თავს აღარა ვდარდობ!

— ცოტაც მაითმინეთ შენცა და შენმა ცხენმაც და მივალთ წყაროსთანაც. აქ რომ სადმე ახლოს წყარო იყოს და ღვთის თვალი ტრიალებდეს, ე ტიალი მაინც არ იქნება აგრე გამომშრალი!

სასულტნოს საზღვარზე თვით სულტანი, სპარსულ ყაიდაზე გადანათლული, ყაენის კარზე ნაცხოვრები ადგილობრივი დიდებული მაჰმად ყული-ხანი დაუხვდათ ჭაში ჩაციებული ცივი შარბათითა და სახელდახელო პურმარილით, რომელიც ახალაყვავებულ ხეხილის ბაღში გაეშალა. სულტანი წინასწარ გაეფრთხილებინათ საამისოდ დაწინაურებულ მზირებს და ახალშეკოწიწებულ სასულტნოს ახალბედა მმართველმაც, ახალ მდგომარეობას ჯერ კიდევ რომ ვერ შესჩვეოდა, უძლეველი შაჰის კაცების პატივსაცემად თავი მოიქაჩლა.

თეიმურაზმა აქ მხოლოდ ორიოდე საათს ინება შეჩერება. შეჩერდა უფრო იმისათვის, რომ ცხენი შეესვენებინა და მხლებელი ჯარისთვისაც სულის მობრუნების საშუალება მიეცა. გული წინ და წინ მიუწევდა. იქ, მშობლიურ კახეთში, ტახტი, დიდება და პირმშო შვილის ლოდინში თვალებგამოღამებული დედა ელოდებოდა!

ხალხი დაიღალა. ამაზე მეტად ცხენებს, აქლემებსა და ყევარში გაბმულ ხარ-კამეჩს გაუჭირდა, ძლივს-ღა მოლასლასებდნენ. ჯარი იმას-ღა იმედოვნებდა, დაღამდება, სულ ასე ხომ არ იქნება, იქნებ ეს დალოცვილი მაშინ მაინც შეჩერდეს და კარვების დაცემა ბრძანოს, ასე მუხლჩაუხრელად როდემდე უნდა ვიაროთ.

ღამის გათევა ალაზნის პირას მოუხდათ. თავადაც თავიანთ პირუტყვებზე არანაკლებ დაქანცულმა მხედრებმა და მეხრეებმა ცხენები, აქლემები და ხარ-კამეჩი მდინარეზე დასარწყულებლად ჩარეკეს და უკან რომ ამობრუნდნენ, კარვების გაშლისა და ლუკმის მომზადების თავიც აღარ ჰქონდათ, ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებულ, აფუებულ მიწაზე მიეყარნენ და მაშინვე ხვრინვა ამოუშვეს.

ახალი გათენებული იყო, თეიმურაზმა რომ ცხენი ადიდებულ ალაზანში შეაგდო და შერმაზან ჩოლოყაშვილთან და სხვა თანმხლებ დიდებულებთან ერთად გაღმა, ხირსაში, წმიდა სტეფანეს სახელობაზე აგებული საყდრის მახლობლად გადავიდა. სოფელი უკვე გამოღვიძებული იყო. ალაზანზე ჩამოსული მხედრობა შორიდანვე შეენიშნათ. ყიზილბაშების დანახვაზე ელდა სცემოდათ, მაგრამ მალე თავისიანებიც გაერჩიათ, მიმხვდარიყვნენ, ვინც მოდიოდა და დედაბუდიანა შესახვედრად გამოკრეფილიყვნენ.

თეიმურაზმა ერი დაამწყალობა, გულმხურვალე შეხვედრისათვის მადლობა მოახსენა, საყდრის წინ ცხენი შეაჩერა, ძირს ჩამოხდა, ეკლესიაში პირჯვრის წერით შევიდა, სანთლები აანთო, წმიდა სტეფანეს ხატის წინ, აღსავლის კარის მარჯვენა მხარეს რომ ესვენა, დაიჩოქა და მაღალ ღმერთს მადლი შესწირა, რომ აქამდე მშვიდობიანად მოიყვანა და ღვთივ კურთხეულ ქვეყანაშიაც მშვიდობიანობა დაუხვდა.

ამასობაში ამალა და ჯარი ალაზანში მთლიანად გამოვიდა, გამოღმა ნაპირზე მოგროვდა, მერე შეჯგუფებული წინ დაიძრა და სულ მალე ხორხოცითა და მხიარული შეძახილებით გარეთ გამოფენილ ხირსელებს და ქიზიყის ახლომახლო სოფლებიდან მოგროვილ ხალხს შეერია. ვეღარ გაარკვევდი, ვინ ვისი მოკეთე, ნაცნობი თუ ნათელ-მირონი იყო. ხირსელებსა და მათ მეზობელ სო-

ფლებს თადარიგი გაეწიათ. მეფე და მისი თანმხლები ჯარი პურმარილის მიუღებლად არ გაუშვეს. ჯარსაც ეს უნდოდა. რამდენიმე დღის მომხეული, უდაბნოს გზებზე წანწალით არაქათგამოცლილი პურმარილს მიეძალა. უარი არც საზედაშე ღვინით სავსე სველ ხელადებზე უთქვამთ. მხოლოდ ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი ყიზილბაშები იდგნენ განზე, მაცთუნებელ ღვინისაგან თავს შორს იჭერდნენ და მხოლოდ თორნიდან ახალამოყრილ ცხელ-ცხელ შოთებს, ნივრის მწნილს, კირკაჟ ლობიოს და ნიგვზით შეკმაზულ მინდვრის ფხალეულს შეექცეოდნენ.

მეფე-ბატონი თეიმურაზი მობრძანებულაო, თან ყაენის წყალობა მოაქვსო, აწ ნურაფრის და ნუღარაფრის გეშინიათო, სოფლიდან სოფელს გადაეცა და ალაზნის მთელ მარჯვენა ნაპირზე ეკლესიის ზარების საზეიმო რეკვა ატყდა. ხირსიდანვე აფრინეს კაცები გრემს, რათა ქეთევან დედოფლისათვის კახეთის დიდებული მეფის მობრძანება, თავისი ბედნიერი ფეხის სამშობლოს მიწა-წყალზე კეთილად შემოდგმა ეხარებინათ!

თეიმურაზი უკვე აღარ ჩქარობდა. აღარ უნდოდა აქედან სადმე წასვლა. ირგვლივ იმდენი სიყვარული იყო, იმდენი თაყვანისცემა, იმდენი ერთგულება, წუხანდელი ცივი ღამის შემდეგ მზეც ისე საამოდ აცხუნებდა! ნუთუ ასე თავდავიწყებით უყვარდა ერს, ასე ეიმედებოდა, ასე ძლევამოსილად და ყოვლის შემძლედ სახავდა!

ხირსიდან ტიბაანში გადაინაცვლეს. მრევლით პირამდე გაჭედილ ეკლესიაში, რომელიც წინა წელიწადს დიდოელმა ლეკებმა აიკლეს და ახლა ახალი შეკეთებული იყო, ადგილობრივმა დეკანოზმა მეზობელი სოფლების მღვდლებისა და დიაკვნების დახმარებით პარაკლისი გადაიხადა, მეფესა და დიდებულებს ჯვარზე ამთხვევინა, შემდეგ მრევლს, როცა გუნდმა ღვთისმშობლის სადიდებელი ტროპარი იგალობა, მოკლე ქადაგებით მიმართა და თეიმურაზს შინ მშვიდობით დაბრუნება მიულოცა, სვეტიცხოველი ეფიცა უსურვა.

ხალხი აქაც წინ გადაეღობა თავის მეფეს, არ ეთმობოდა, არ უნდოდა გაეშვა. თეიმურაზი უსაზღვროდ ბედნიერი იყო. სიხარულისაგან გულამომჯდარი ტიროდა და ცრემლებს არც მალავდა. თავადს, გლეხს თუ აზნაურს, ერსა თუ ბერს, ბალღს თუ მოზრდილს, როგორც თავის სისხლსა და ხორცს, გულში იხუტებდა, ხოლო როდესაც ჯერი სახეგაბადრულ, თვალებგაბრწყინებულ მკერდსავსე დიაცებზე მიდგებოდა, თითქოს კეთროვანები ყოფილიყვნენ, მათ თავს არიდებდა, ახლოს არავის იკარებდა.

ვაქირში წინ ვიღაც ჭრელპაჭიჭებიანი შუახნის გლეხი გადაუდგა, რომელსაც ტანთ ოდესღაც შინდისფერი, ახლა კი გახუნებული, ალაგ-ალაგ დაკერებული ჩოხა ეცვა, ნაბდის ძველა მოიშვლიპა, აღვირში ხელი უტაცა და ცხენს კინაღამ ფეხებში ჩაუვარდა.

— არ გაგიშვებ, მწყალობელო მეფევ, ჩემს ზღურბლს ეგ ბედნიერი ფეხი უნდა გადაადგა, ჯალაბი უნდა დამილოცო!

— ვინა ხარ, რა გქვია, ქართველო? — თეიმურაზს არა სწყენია ეს ძალადობა, გლეხს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ქეშიკები მისცვივდნენ და გზის გათავისუფლების მიზნით უკან დახევინებას უპირებდნენ, ის კი აღვირს ხელიდან არ უშვებდა, მხიარულად ჰკითხა.

— ჯიმშერი ვარ, შენი ჭირიმე, მეფევ, ჯიმშო ფეიქრიშვილი. პაპაჩემი, ისიც ჯიმშოი, თურმე ფეიქარი ყოფილა და გვარიც იქიდან მოგვდგამ. ვაქირში ყველა მიცნობს, გადამთიელი არ გეგონო!

— გადამთიელი რად მეგონები, ზედვე გეტყობა, ვინცა ხარ!

— აგრე, გენაცვალე! ჩამობრძანდი, მეფევ, მეცი პატივი. რა ვუყოთ, რომ ბოგანო გლეხი ვარ. ქრისტე-ღმერთი ჩვენცა გვწამ, პირჯვარს წაღმა ვი-

წერთ. მიკადრე, გამიბედნიერე ჭერი შენი სტუმრობითა. მაიყვა ეს ხალხიც! დამწვარი არ გეგონო. ღვთის მადლითა და ჩემი მარჯვენის წყალობით პურ-ღვინო თავზე გადამდის და არც არავისთვის მენანება. მე მოვკვდე! ერთი შენც გასინჯე ჯიმშოს დაყენებული რქაწითელი, აგრემც გენაცვლები!

— მარტო ჩვენ გვეპატიჟები? — პირმომღიმარე თეიმურაზმა გვერდში ამომდგარ დიდებულებს გადახედა. — თუ ყველას ერთადა?

— ყველას, ყველას, მეფევ!

— მერე იცი, რამდენი კაცია?

— ვიცი, ბევრია. სახლი დიდი არ მიდგა, მართალია, ყველას ვერ დავატევ, მაგრამ ღმერთი ჩვენთანაა, მივდგებ-მოვდგებით და როგორმე მოვთავსდებით!

— მაშ, რაც იქნეს, იქნეს, შემოვალთ, სახლ-კარსა და ჭურ-მარანს დაგილოცავთ! — თეიმურაზმა ისევ დიდებულებს გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, სწორად ვიქცევი თუ არაო და საბოლოო დასტურს მათგან ელოდა. — ყიზილბაშები წინ წავლენ და იქ დაგვიცდიან!

— რადა, კაცო, მეფევ, მაგათ რაღა დააშავეს? ოჯახში ცხრა რძალი ტრიალებს მეათე ჩემი დედაკაცია. სამი აცხობს, სამი ხარშავს, სამი სუფრასა შლის, სტუმარი კიდენა ყველა სტუმარია, რჯულიანიც და ურჯულოც! დავჯდეთ ერთადა და იმ შენი პატიოსანი პაპის სულის ცხონებას ერთი ძველებურად მოვულხინოთ!

ჯიმშერ, ჯიმშო ფეიქრიშვილის სახლი არც ისე პატარა აღმოჩნდა, როგორც პატრონი თავმდაბლობდა და ირწმუნებოდა. ეს გახლდათ გაუყოფელი საძმო სახლი ათასი მინაშენითა და დანამატით. ალაზნის მხარეს ოდნავ დაფერდებულ ეზოში ახალი წამოსული მწვანე მოლი ბიბინებდა. შუა ეზოში, დაღვლარჭნილი კომშის ქვეშ, თიხის მილებით გამოყვანილი და ბრტყელი აგურით კოხტად ამოშენებული წყარო მოთქრიალებდა, მთელს ეზოს სიგანეზე ჭრიდა და კარის ვენახში გადადიოდა. ტყრუშული ღობის გადაღმა, გულიანად დაბარული და სამამულე ოქებით ხარდანზე აკრული ვენახი მოჩანდა. კარგა მოზრდილ, თვალის ჩინივით მოვლილ, დაგვილ-დასუფთავებულ ეზოში გაუყოფელი ოჯახის შესაფერისი დიდრონ-დიდრონი ნამშრალები იდგა. თელის ბეღლებსა, იელის წნელით გვერდებგამოწნულ სასიმინდეებსა, სათონესა, სამზადსა, გომურსა და საქათმე-საღორეებს შორის ყველაზე ფართო და მაღალჭერიანი, ახალგამომწვარი ხასხასა კრამიტით გადახურული კარღია მარანი გამოირჩეოდა, საიდანაც ახალუხისამარა ტალიკ-ტალიკ ბიჭებს პირმოკუპრული სველი კოკებით ღვინო გამოჰქონდათ და მიუდგომელ ციხესიმაგრესავით მკვიდრკედლებიან სახლისაკენ მიარბენინებდნენ, სადაც სეფე-სუფრა იყო გაშლილი, ჯარისთვის და მისი მომყოლი ყიზილბაშებისთვის კი ლურჯი სუფრა თხილებისა და ღოღნაშოების ქვეშ იშლებოდა.

გარდა დათხოვილი, პატრონს ჩაბარებული და დაწვრილშვილებული ქალებისა, ჯიმშერს ერთიმეორეზე უკეთესი ცხრა საუღლე ბიჭი ჰყოლოდა. ბიჭებს ჯვარი თავ-თავის დროს დაეწერათ და სახლი მონაგრით აევსოთ. ცხრავე რძალს ევარგა, კარგი ქალობა გამოეჩინა და ბედნიერ ოჯახში ამ დღესაც ცხრა აკვანი ერთად ირწეოდა.

თეიმურაზს ისევ ამოუჯდა გული, ისევ შეეკრა სუნთქვა, ისევ აევსო თვალები სიხარულის ცრემლით. ხელებდაკოჟრილი, გულუხვი მასპინძელი, ამ ვეებერთელა ოჯახის თავი და განმგებელი, გულში მშობელ მამასავით ჩაიკრა და ყანწი მოითხოვა, რათა ცხრავე ყრმა, ცხრა აკვანში რომ იწვა და პირზე ვარდი ეშლებოდა, ერთად დაელოცა და ედღეგრძელებინა.

— ცხრავე შენი ჭირის სანაცვლო იყოს, მეფევ, შენს ძლევამოსილ ლაშქარში გვიგულე! ვიდრემდი ჩვენ ვართ, მტერი, ვერც შინაური და ვერც გარე-

შე, ვერ მოგერევა, ჩვენ კი ღვთის შეწევნით და მტრის თვალის დასავსებად, სულ ვიქნებით, არ გადავშენდებით და არ გადავჯიშდებით, რადგანაც ფესვი ღრმად გვიდგა ამ კურთხეულ, მადლიან მიწაში!

„აი, ჩემი სამშობლო, ჩემი საბატონო ქვეყანა, ჩემი ერი! — ფიქრობდა თეიმურაზი და ბღელვარებისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა. — ამათ არ ეღალატება! მიჯობს, თავი სატანჯველად მივცე, როგორც სულგანათლებულმა დემეტრე თავდადებულმა მისცა, ვიდრე ამ ალალმართალ ხალხს ვინმე ღვთის მგმობელი დამიჩაგრავდეს, ამიწიოკებდეს და ამათ ნაწვავ-ნადაგ სოფელ-ქვეყანას ვინმე გადამთიელი დაეპატრონებოდეს!“

შუა პურობის ჟამს სოფლის მღვდლებმა, რომლებიც ხირსიდან და ტიბაანიდანვე მეფის ამალაში ბლომად იყვნენ, ეკლესიიდან ემბაზი მოატანინეს, ნელთბილი წყლით აავსეს, ოლარები გადაიცვეს, მკლავები დაიკაპიწეს და ბალღების ნათელა გააჩაღეს. თეიმურაზმა ცხრავე ყრმას მირონი სცხო, ყველა სათითაოდ აიყვანა, თუმცა ამ წუთამდე ძუძუთა ბავშვი ხელში არასოდეს სჭერიდა, ნათლობის ჯვარი დაჰკიდა და ზემოთ ასწია, ქვეყანას დაანახა.

ხარობდა ჭარმაგი მასპინძლის გული, იცრემლებოდნენ ყვრიმალზე ხელშემოდებული ბედნიერი დედები. მტერი მათ რაღას დაუშავებდა, როდესაც შვილები თვით მეფემ მოუნათლათ!

ლხინი დასასრულს უახლოვდებოდა, აქა-იქ კიდევაც წამოიშალნენ, როდესაც ფეიქრიანთ ჭიშკართან ვიღაც უწვერულმა ყმაწვილმა ბიჭმა ჭენებით გაქაფული ცხენი მოაგდო და არც კი ჩამოქვეითებულა, ჭიშკარში ჩამდგარ ვაქირელ გლეხებს მეფის ადგილსამყოფელი ჰკითხა. გლეხებს ჩაეცინათ, კიდევ რა გინდაო, ერთმანეთს გადახედეს და მხედარს სადავე დაუჭირეს. ყმაწვილმა ეზოში შემოსვლაც ვერ მოასწრო, რომ პირამდე გაპიპინებული ყანწი მიაწოდეს. რაკიღა სხვა გზა არ იყო, ყველა მას უყურებდა, [illegible] ბიჭმა, უფრო იმის [illegible] მნიშვნელოვან საქმეზე იყო გამოგზავნილი, ამათ კი, ურწმუნო თომებს, არა სჯეროდათ, ყანწი ჩამოართვა, მოკლედ დაილოცა, მოიყუდა და სულმოუთქმელად გამოსცალა.

— აი, გაამოს! — მოუწონეს მოქილიკეებმა. — ხემსი, ხემსი მაგას!..

— ახლა მაინც შემიშვით! — ბიჭმა ხემსი გადაყლაპა და გაიწია. — მეფე აქ ბრძანდება? სასწრაფო საქმე მაქვს!

— ვინ გამოგაგზავნა?

— დედოფალმა!

— გრემიდან მოსდიხარ?

— არა, ბაკურციხეში ბრძანდება და ბატონ მეფეს უთვლის, აქ დაგელოდებიო!..

— რატომ მაშინვე არა თქვი, ბიჭო?

— ვთქვი რა, შემოველ თუ არა, მაშინვე ყანწი მომაჩეჩეთ! დავდგამდი?

— მაშ, შედი, მასპინძელი იკითხე, ჯიმშო ფეიქრიშვილი, ის შაგიყვანს!

თეიმურაზი იმწამსვე წამოდგა, როგორც კი ბაკურციხეში დედის მობრძანების ამბავი შეიტყო. ხელები შეიხოცა, ფეიქრიშვილების ფესვმაგარი ოჯახი ერთხელ კიდევ დალოცა, დალოცა ფუძის ანგელოზი, კვლავაც ქორწილები და ძეობები უსურვა, გულდაწყვეტილ მასპინძელს, რომ საყვარელი სტუმრები ასე მალე მიუდიოდნენ ,გამოეთხოვა და უკვე შესამჩნევად შეზარხოშებული გზაზე გამოვიდა, საღაც ცხენები უკვე გამოეყვანათ და ბატონების გამობრძანებას-ღა ელოდებოდნენ.

თავი XXIV

მეფედ კურთხევა კახეთის უძველეს, ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის მონასტერში მოხდა. დედოფალ ქეთევანს, შაჰის კარიდან პატივით გამოსტუმრებულ თავის პირმშოს მოუთმენლად რომ ელოდებოდა, ეს მერამდენე დღე იყო,

თვალზე რული არ მიჰკარებია. კურთხევისათვის საჭირო თადარიგი წინასწარ გასწია. მისი პირადი მითითებებისა და მეთვალყურეობის გარეშე არაფერი ხდებოდა. გახსნა თავისი ნამზითვი თვალ-მარგალიტი და ხელობით განთქმულ გრემელ ოქრომჭედლებს ახალი სამეფო გვირგვინი შეუკვეთა. ორჯერ თავისი ფეხით მიბრძანდა სახელოსნოში, საქმეს როგორი პირი უჩანსო. ოქრომჭედლებმა დღედაღამ შეუსვენებლივ იმუშავეს და თვალისმომჭრელად მოელვარე სამეფო გვირგვინი, ამიერიდან თეიმურაზის შუბლი რომ უნდა დაემშვენებინა, დათქმულ დროზე ორი დღით ადრე დაამთავრეს. იგივე ოქრომჭედლები, რომელთაც ტფილისქალაქიდან მოწვეული ორი გაქრისტიანებული ლეკი ეხმარებოდა, ახალი ტახტის დამზადებას შეუდგნენ, მაგრამ ტახტი კურთხევის დღისათვის აღარ ესწრებოდა და ამიტომაც ხელოსნები აღარ ჩქარობდნენ. მეტისმეტ აჩქარებას მათი ნახელავის ხარისხზე ვაითუ უარყოფითად ემოქმედა.

ამზადებდნენ სასახლეს, თვით სატახტო ქალაქს, ეკლესია-მონასტრებს და სადარაჯო ციხე-კოშკებსაც კი. კირითხუროებს და სხვა მოხელეთ დღედაღამ მოსვენება არა ჰქონდათ. მოყვარული დედის გულს განუზომლად სურდა, თავისი მონარქი შვილისათვის ყველაფერი განახლებული დაეხვედრებინა და დღიდან მისი ტახტზე ასვლისა ახლებურად ცხოვრება დაეწყო.

საფიქრალსა და საზრუნავს აბა რა გამოლევდა, მაგრამ ქეთევანის უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი ტახტის შესაფერისი სადედოფლოს გამოძებნა იყო. ვის დამოყვრებოდა? სასახლეში ვისი ასული შემოეყვანა? ვაითუ ამას კახელ დიდგვაროვანთა შორის ცილობა გამოეწვია და სამეფოში რის ვაივაგლახით დამყარებული შინაგანი წონასწორობა მოშლილიყო?

ვიდრე სხვათა რჩევებს მოისმენდა, ყველაზე ადრე თვით თეიმურაზს უნდა გამოეთქვა თავისი აზრი, დედისათვის გული გადაეშალა. იქნებ ჯერხნობით სრულებითაც არ ფიქრობდა ცოლის შერთვას, თავისი ცხოვრების [illegible] ან დაკავშირებას? ასულისათვის თექვსმეტი წელი სავსებით საკმაოა ოჯახის უღელში შესაბმელად, ბევრჯერ მომხდარა, თორმეტი წლის გოგონაც კი დაუქორწინებიათ, მაგრამ თექვსმეტი წლის ვაჟი ჯერ მაინც ბალღია. მას ჯერ საქორწილო წელი არ მოსდევს!

მეფის გვირგვინის საკურთხებლად ქეთევანმა ბოდბის უძველესი მონასტერი იმისთვის აირჩია, რომ იქ ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო კაპადოკიელი განისვენებდა და უნდოდა, სარწმუნოებისათვის თავდადებული წმინდანის მადლი თეიმურაზის მეფობასაც მოსცხებოდა... გარდა ამისა ბოდბე აქეთ მომავალ გზაზე იდო და ქეთევანს სურდა, თავისი ერთა სატახტო ქალაქ გრემში ქართული წესით ტახტზე ასული და მირონცხებული შეეყვანა.

დედოფალსა და მის უზარმაზარ ამალას, კახეთის მთელი თავად-აზნაურობის, ქართლიდან და ლიხთიმერეთიდან მოწვეული სტუმრების, მათი ოჯახის წევრების, სამღვდელოების და დაბალი წოდების მრავალი წარმომადგენლისაგან რომ შესდგებოდა, ბაკურციხეში ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. თეიმურაზი და მისი დაწინაურებული რაზმი ჭენებით მოიჭრა, ბოგირი გადმოვლო, ცხენები შეაჩერა. ჩამოქვეითდა და ბრწყინვალე ბანოვანთა ამალით გარსშემორტყმულ ქეთევანს ისე ეახლა.

დედოფალი მეტად თავშეკავებული, თითქმის ცივი ჩანდა. მას არ უნდოდა, ამდენი ხალხის თანდასწრებით თავისი დედობრივი სისუსტე გამოეჩინა და შვილსაც უმწეო სჩვენებოდა. თეიმურაზს ისე შეხვდა, როგორც მის დღევანდელ მდგომარეობას შეეფერებოდა, სხვებთან ერთად მუხლი მოიყარა და გვირგვინოსან შვილს ხელზე ეამბორა.

— აბრძანდი, ბატონო დედა, რა სჩადი! — შესძახა ცრემლმორეულმა თეი-

მურაზმა, ორივე ხელი მიაშველა და როდესაც წამოაყენა, ქეთევანმა გაჭირვებით შესძლო თავის შეკავება, რომ პირმშოს არ მოხვევნოდა და მისი თავი გულზე არ მიეხუტებინა.

დედა-შვილის შეხვედრას ირგვლივ შემოჯარული ერი ვაშას ძახილით და მრავალჟამიერის გუგუნით შეხვდა. გზის გასაყარზე ხალხის ტევა არ იყო. სადღესასწაულო განწყობილებას ისიც ხელს უწყობდა, რომ ადრიანი გაზაფხულის ერთი თბილი, მზიანი დღე იდგა, ყოველი სულდგმული გარეთ რომ გამოჰყავს და სიცოცხლის სიხარულით ავსებს.

თითქოს ზენა ბრძანება მოესმაო, ქეთევანისა და თეიმურაზის წინაშე ერი შუაზე გაიპო. გაჩნდა საკმაოდ გრძელი ცოცხალი დერეფანი, იმდენად გრძელი, რომ ბოლო არ უჩანდა.

— წავიდეთ, შვილო თეიმურაზ, ბოდბის მონასტერში გველოდებიან, შენს საკურთხებლად, რაკი შაჰმა ინება და წინ არ აღგვიდგა, ყველაფერი უკვე მზად არის! — მიმართა არაჩვეულებრივად ბედნიერ, სიხარულის მეცხრე ცაზე აფრენილ შვილს ქეთევანმა და მსუბუქი ხელი მკლავში გამოსდო, წინ უბიძგა.

ცოცხალი დერეფანი, რომელზედაც ფარდაგებისა და ნოხების დაგება მოესწროთ, ასე ხელიხელგამოდებულებმა გაიარეს. ხალხი ჰაერში ნაბდის ქუდებს, შვილდებს, შუბებს ისროდა და დედა-შვილს აღტაცებული გალობით მიაცილებდა. დერეფნის ბოლოში, ბოგირთან, სადაც კიდევ მეტი ხალხმრავლობა იყო, გვირგვინოსან დედა-შვილს ცხენები მოართვეს და როგორც კი ისინი ამხედრდნენ გზა დაუცალეს, ამხედრდნენ ამერ-იმერი დიდებულებიც. კარდანახი, ანაგა და ვაქირი გარეთ გამოფენილი დაუხვდათ. მხედრებს ფეხქვეშ ფიანდაზს უგებდნენ, ხარბად ათვალიერებდნენ, რომელი იყო მათ შორის შაჰის მიერ კახეთის მეფედ დამტკიცებული თეიმურაზი, ძე დავითისა და შვილიშვილი ზაგემში უღვთოდ დაღუპულ კახბატონ ალექსანდრესი, სიხარულის ყიჟინის ხელმძღვანელ და გაიძახოდნენ:

— დიდება თეიმურაზს!..

— გამარჯვება და დიდება ნუ მოაკლოს ჩვენს მეფეს თეიმურაზს!..

— დიდება ქეთევან დედოფალს!..

— კურთხეული იყავი, მეფევ!..

— მტერი დაგიმარცხოს, მეფეო, ჯვარი დაგწეროს მამაზეციერმა!..

ქეთევანი ჩვეულებრივზე მეტად ფერმკრთალი იყო. გზას დაეღალა, სიცხესაც შეეწუხებინა და მსუბუქ თავბრუსხვევას გრძნობდა. თეიმურაზმა ეს სხვებზე ადრე შეამჩნია და ცხენდაცხენ მიუახლოვდა:

— დედი, რა მოგივიდა, უღონოდ ხომ არ შეიქენი?

— არა, შვილო, — დაამშვიდა ქეთევანმა. — უღონოდ რა გამხდის, როცა ვხედავ, რომ ეს ამოდენა ხალხი შენ შემოგხარის!

თეიმურაზს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ბატონი დედა ამ სიტყვებს გულით ამბობდა, მაგრამ ის კი ველარ დაიჯერა რომ მას არაფერი უჭირდა.

— დედა, თუ მიბრძანებ, ვისმე დავუძახებ! აგერ ქალები... აქიმიც გამოიძებნება!..

— არა, შვილო, მე თავს მშვენივრად ვგრძნობ. ვის უნდა დაუძახო, ხომ ერთი ამბავი ატყდა და ქვეყანა შეიყარა! ცოტა დავიღალე. სიცხეა ეს დალოცვილი. გამივლის აბა რა იქნება!..

თეიმურაზმა ცხენს თავი მოუდრიკა და დედას ოდნავ დაშორდა, მაგრამ ამ წუთიდან, ვიდრე მონასტერს არ მიაღწიეს, თვალი სულ აქეთ ეჭირა, არ დავიღუპო, ცხენიდან არ გადმომივარდეს, ბედნიერი დღე სატირლად არ გადაგვექცესო.

ჩვეულებისამებრ საქვრივო თალხებში ჩაცმულმა ქეთევანმა შავი რიდე სანახევროდ ჩამოუშვა, ვითომდა მზეს ვერიდებიო, ნამდვილად კი არ უნდოდა, ღაწვზე ჩამოგორებული ცხელი კურცხალი ვისთვისმე შეემჩნევინებინა. მისი გონება ამჟამად სულ სხვაგან იყო,

სპარსეთში ᲗᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ გადაკარგულ, ავხორცი შაჰის საჯიჯგნად გამეტებულ თავის პატარა ასულს, ბატონიშვილ ელენეს დასტრიალებდა და გული გაუნელებელი ვარამით ევსებოდა. გულიდან ასე ნაადრევად, ასე ძალისძალად მოგლეჯილი უცოდველი ბავშვი დედისათვის და სამშობლო ქვეყნისათვის სამუდამოდ დაკარგული იყო. მას აღარასოდეს ეღირსებოდა აქაურობის ხილვა, კავკასიონის ლურჯი მთების ცქერით დატკბობა, აქაური წყლის დალევა, მამა-პაპის სისხლით გაჯერებულ მიწაზე ფეხის დადგმა.

„შვილო, ელენე, ჩემო პატარა ანგელოზო, ჩემო სულისდგმავ, — უხმოდ მოსთქვამდა ქეთევანი და ცრემლებს ყლაპავდა. — მანამდე რატომ შენი ოხერი დედა არ ჩაწვა ცივ სამარეში, სანამ შენ დასაკარგავად გაგიმეტებდა! სადა ხარ ახლა, შვილო, რატომ შენც არ ესწრები ჩვენს ბედნიერებას, ძმას ყელზე არ ეხვევი და ტახტზე დაბრძანებას არ ულოცავ! შვილო, ელენე!..“

როდის-როდის აიარეს სიღნაღის აღმართი, საიდანაც გაზაფხულის ცინცხალი ფერებით გაღვიძებული ალაზნის ველის ზღაპრული სანახაობა იშლებოდა და მაღალი გალავნით გარსშემორტყმული ქალაქის კარიბჭეში შევიდნენ.

თავბრუსხვევამ და თვალებბრჭყვიალამ ქეთევანს მხოლოდ მონასტერში გაუარა. აქაურმა ჯანსაღმა სიგრილემ და თითქოს თავღია ჭიდან ამონადენმა სუფთა ჰაერმა, რომელიც საკმევლის სუნით იყო შეზავებული, შვება მოჰგვარა და თვალში სინათლე დაუბრუნა.

როდესაც სადღესასწაულოდ შემოსილმა ბოდბელმა ეპისკოპოსმა სვიმეონმა მეფეთა კურთხევის ყველა წესი აღასრულა და მგალობელთა გუნდის გუგუნში ოქროსფრად მოელვარე გვირგვინს სამეზის ემთხვია, ვიღრე მას ცალ მუხლზე დაჩოქილ თეიმურაზს თავზე დაადგამდა, ქეთევანს უანგარიშოდ აღმოხდა:

— გვირგვინს ვერა ვცნობ! ნუთუ ეს ისაა, ჩვენ რომ გავაჭედინეთ?

— არა, დედოფალო,—თავი ოდნავ წინ წამოსწია და უპასუხა [illegible] ნოდარ ჯორჯაძემ ისე, [illegible] წერა და ლიტანიობა არ შეუწყვეტია. — ეს ყაენის მოძღვნილი გვირგვინი და სამეფო ნიშნები გახლავს! ნაბრძანებია, ამაში ეკურთხოს და, როგორც ყაენის სამუდამო მფარველობის ნიშანი, არც არასოდეს მოიშოროს!

ქეთევანმა ბაგე მოიკვნიტა და დადუმდა. კვინიზზე, წარბსა და წარბს შუა, რაღაც უხეში, ბლაგვი ძალის მტკივნეული მოწოლა იგრძნო და საფეთქლები ღაებერა, თავის გასკდომას ბევრი აღარაფერი აკლდა. სულთამხუთავი შაჰაბასი ერთხელ კიდევ ახსენებდა თავს, ერთხელ კიდევ ავონებდა, არც შენ და არც შენს ერთას, თეიმურაზს, ამიერიდან თავზე ირანის ლომის ნაბოძები სამეფო გვირგვინი რომ ადგას, ჩემს იქით გზა არა გაქვთო.

გულს სიღრმეში დედოფალი გარღაუვლად თვლიდა ერისა და ქვეყნის ბედს, კახეთს სულკურთხეულმა მამამთილმა, მეფე ალექსანდრემ რომ განუმზადა, მიხვედრილი იყო და სწამდა, ვერც ერთი სხვა გზა, გარდა ამ ერთადერთი გზისა, მონობის უფსკრულიდან ვერ ამოგვიყვანსო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყნის გაძღოლის მძიმე ტვირთი განგების ნებით მის სუსტ მხრებზე გადმოვიდა, ნალოლიავებ ძველ გეგმებს, ჯერჯერობით კაცს-სულიერს რომ ვერ უმხელდა, ბზარი გაუჩნდა. უმოკლეს დროში, რაც ქვეყნის სათავეში ყოფნა მოუწია, ის იძულებული გახდა, ბუნდოვანი ოცნების ბურუსიდან გამოსულიყო, ულმობელ სინამდვილისათვის თვალი გაესწორებინა, ანგარიში გაეწია და შვილისთვისაც ეს ჩაეგონებინა, ჩაეგონებინა სწორედ ის, რასაც მთელი თავისი რწმენითა და შინაგანი არსებით ეწინააღმდეგებოდა!

მისდა სავალალოდ, ქეთევანმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა აზრზე იდგა თვით თეიმურაზი. დედა-შვილს გარემოებამ ხელი არ შეუწყო, თუნდაც რამდენიმე წუთით განმარტოებულიყვნენ და ერ-

ომანეთისათვის თავ-თავიანთი აზრები და შეხედულებები გაეზიარებინათ.

შაჰ-აბასს ადამიანების, მეტადრე უწვრთნელი ახალგაზრდების მონუსხვისა და გადაბირების სატანური უნარი შესწევდა. ამას უკლებლივ ყველა ამბობდა და აღიარებდა, ვისაც კი შაჰთან შეხვედრა და მის სიახლოვეს თუნდაც რამდენიმე დღის გატარება მოსწეოდა. შაჰი თავისი სატანური უნარით ხიბლავდა ყველას და გუშინდელ მტერს საკუთარი მიზნებისათვის ბრძოლის მორჩილ იარაღად აქცევდა.

გადაურჩა ყაენის ამ ხიბლს თეიმურაზი? თუ ისიც ერთი იმათგანი გახდა, ვინც ორპირი და გაქნილი შაჰი კერპად გაიხადა და მზად იყო, მისი სახელის კიდევ უფრო განდიდებისათვის თავიც კი შეეწირა!

„ღმერთმა ნუ ქნას! — ფიქრობდა საკუთარ თავთან ორთაბრძოლაში ჩაბმული ქეთევანი. — ეს ხომ ღვთის რისხვა და ჩვენი დაღუპვა იქნება! შაჰ-აბასის წყეულ გზაზე შემდგარი კაცი ავად სახსენებელ კონსტანტინე ბატონიშვილის გზას ვერ ასცდება, ამ გზას კი მხოლოდ ღალატისაკენ მივყავართ!“

მაგრამ ვაი რომ უბედურების მომტანი ჩანდა შაჰთან ფარული თუ აშკარა დიპირისპირებაც! ამაზე ფიქრი ან წაქეზება საკუთარ შეუზღუდველ ძალაუფლებაზე დანატრებულ ახალგაზრდა მეფეს თივის ბულულივით აანთებდა, ააბრიალებდა და ამ დამღუპველი ხანძრის ჩაქრობას მერე ვეღარავინ შესძლებდა! შაჰ-აბასიც არ დაახანებდა, თავისი აურაცხელი ძალით მოვიდოდა, დედა-შვილს უმადურობას შესწამებდა და ქვას ქვაზე დაადულებდა, კახეთს ისევე გააუკაცურებდა, როგორც არარატის ველი, სომეხთა მაშვრალი ქვეყანა მოთხარა და გააუკაცურა!

„ღმერთო, იესო მაცხოვარო, ღვთისმშობელო დედავ, გვიხსენ ჩვენ სატანისაგან! — ჩურჩულებდა გულში ქეთევანი, პირჯვარს იწერდა და ცხარე ცრემლი ორივე თვალთაგან ღვარად ჩამოსდიოდა, რომელთაც ახლოს მდგომი დიდებულები ხედავდნენ და სიხარულის ცრემლებად იღებდნენ. — ასწიერ გზაზე დააყენე ჩემი შვილი, ჩემი თეიმურაზი, არიდე ბოროტს! ზეციერო მბრძანებელო! — ცალკე მიმართავდა ის წმიდა გიორგის. — ნუ მოუშლი მხარდაჭერას და შველას ჩემს შვილს! მაცხოვრის მიერ ნაკურთხი გზით ატარე და მუხთალი მტერი ძლევამოსილი მახვილით დააძლევინე!“

თავი XXV

გრემის სამეფო სასახლის გუმბათზე მირონცხებული მეფე თეიმურაზის ალამი ასწიეს, რამაც ერის ყველა ფენაში სიხარული და იმედი დათესა. ხალხი ერთმანეთს ულოცავდა, თეიმურაზის სადღეგრძელოს სწევდა, ჯანის სიმრთელეს, გამრავლებას და სვიან მეფობას უსურვებდა. სასახლე წვეულთ ვერ იტევდა. გაიშალა გრძელი ფანჩატურები. მრავალჟამიერი და ომახიანი კახური სიმღერები ცას სწვდებოდა. პურმარილი, როგორც ქვეყნის ბურჯი, ელეხკაცები იტყვიან, მუხლზე ეყარა, საკარგდღეოდ გადანახული თავი ღვინოები კი მდინარედ მოედინებოდა!

ქეთევანმა წარბი გახსნა, თუმცა საქვრივო ძაძები მაინც არ გაუხდია. დიასახლისობდა. ყველგან იყო, ყველაფერს ასწრებდა, ერს ღიმილგადაჩვეული, სავსე მთვარესავით ბადრი, შინაგანი ღირსებითა და სათნოებით აღბეჭდილი სახე აჩვენა.

დედოფალთან ერთად ტრიალებდა თავს დატეხილი მოუქარვებელი მწუხარების შემდეგ უზომოდ შეცვლილი ძალუა მეფისა, ბატონიშვილ გიორგის ქვრივი, უფროსი რძლის, დედოფლის, მონათლული ასინეთი, ასული ყირიმის ხანისა.

ასინეთს გამორჩეული სიყვარულით უყვარდა შილი, თავისი ნათლია, მისებრ ლეჩაქგაშავებული დედოფალი ქეთევანი, რომელმაც მისი უბედურება

საკუთარზე ნაკლებ როდი განიცადა და უცხოეთში, უცხოთა შორი გადმოხვეწილ საბრალო ქალს ნუგეში სცა, ღვიძლი დობა გაუწია. დღეს სხვა დღე იყო, თავის კეთილისმყოფელ და მფარველ ქეთევანისადმი ასინეთს არ შეეძლო მადლიერება არ გამოეჩინა და მის გვერდით ხალხს არ სჩვენებოდა.

თეიმურაზი უბედნიერესი კაცი იყო. უხაროდა, რომ მუდამ დაღვრემილ და თითქოსდა სხვა სამყაროში გადასახლებულ დედას ასე კმაყოფილსა და მხიარულს ხედავდა. ქეთევანი აუვლიდა და ჩაუვლიდა, რადგანაც ყველაფრის ავანჩავანი თავად იყო, დახედავდა, ხომ არაფერი შემოაკლდათ, სადმე რისამე დამატება ხომ არა სჭირდებათ. მისი სკამი ობლად იდგა მეფის სკამის მარჯვენა მხარეს. ღმერთმა გადმოხედა და თავისი ერთას ტახტზე ასვლას მოასწრო. მეტი რაღა უნდოდა, მისი დედური გული მეტად რას უნდა გაეხარებინა! ქვეყნის ყველა სადავე ამიერიდან თავს თეიმურაზის მტკიცე ხელში მოიყრიდა, თავად კი განთავისუფლდებოდა უმძიმესი ტვირთისაგან, თუმცა, თუ საჭიროება მოითხოვდა, ტვირთის სიმძიმეს არც მომავალში გაექცეოდა, თავის ერთას მარტომარტო არ დასტოვებდა, კვლავინდებურად გვერდში ამოუდგებოდა და კეთილ რჩევას არ მოაკლებდა. გარდა რჩევისა უმწეო დედაკაცს აბა რა შეეძლო!

სანადიმო სუფრა მთელ თვეს არ აშლილა. თეიმურაზი სულში იძვრენდა ყველას, ყოველი ახალი თანამეინახის შემომატებით ხარობდა და შემოსწრებულს ღვინით სავსე ყანწს თავისი ხელით აწოდებდა.

მეტი რაღა უნდოდათ ასაკით მეფის კბილა და ცოტათი უფროს ახალგაზრდა თავადიშვილებს, ვაჟებს და ასულებს, თავიანთი გუნების ბატონს ისინი ფარვანასავით ესეოდნენ და მზად იყვნენ, ყოველი მისი ახირებული სურვილი აღესრულებინათ.

ქეთევანი ამგვარ ამბებს ჩვეული არ იყო. არც საყოლში, მამის, აშოთან მუხრან-ბატონის ჭერქვეშ და არც კახეთის მეფეთა კარზე ფეხზე უფლისწულად არავინ ეტანებოდა, ჭირიანი ლხენაც ზომიერი და თავშეკავებული იცოდნენ. ეს გაუთავებელი ღრეობა და გადაბმული ლხინი თეიმურაზმა, ეტყობოდა, სპარსეთიდან გადმოიღო და ახლა თავს ველარ აღწევდა.

ტახტთან დაახლოებულ დიდებულებში, რომელთა შვილებს მეფე გვერდიდან აღარ იშორებდა, უკმაყოფილო ხმები გაისმა და იგი თვით დედოფალსაც გააგონეს, რა მოხდა, ბატონო, ასე გაუთავებელი ჩვენ არა გვინახავს რა, გარდა ლხინისა და ღრეობისა, სხვა საზრუნავიც ხომ გვაქვსო!

ქეთევანმა ეს გაიგონა და იწყინა, თუმცა გრძნობდა, რომ სიმართლე უკმაყოფილო დიდებულების მხარეზე იყო. შვილი გაამართლა. შეეცადა, ჭაბუკი მეფის ეს უდარდელობა და დაუსრულებელი დროსტარების წყურვილი მისივე უასაკობით აეხსნა. ბავშვია ჯერ, ვაჟკაცობა ესახელება, აქაურობის ცქერით ველარ გამძღარა, თავი მოსწონს, ახლობლებს შორის რომ ქეიფობს, მოსწყინდება, გაუვლის, საქმე თავად შეახსენებს თავს, მანამდე კი ღედა ჰყავს და შეეხიდებაო.

ნაადგომევს მოყვარული ძღვენითა და ჯორკიდებულით მობრძანდნენ იმერელი ბატონიშვილები, ბაგრატ და ალექსანდრე, იმერთა მეფე გიორგის ვაჟები, ხოლო მანამდე გრემის სასახლე გააბედნიერა თეიმურაზზე ერთი წლით უხნესმა ბატონიშვილმა ლუარსაბმა, გიორგი ქართლის მეფის ძემ, ქართლის ტახტის მემკვიდრემ. ლუარსაბს, ასე რომ მოეწონათ რუსხელმწიფის ელჩებს, ტატიშჩევსა და ივანოვს, და აწ განსვენებული ბორის გოდუნოვის გადამწიფებული ასულის, ცარევნა ქსენიას საქმროდ რუსეთში წაყვანას უპირებდნენ, თან ახლდა თავისი უმცროსი და, თორმეტი წლის ბატონიშვილი ხორეშანი, რომელმაც თავსი ღრმა, ცისფერი თვალებით, აბურცული ალუბლისფერი ტუჩებით, მრშიშვლებული

მხრებზე დაყრილი ოქროსფერი თმით და სიმორცხვისაგან ალეწილი ღაწვებით უკლებლივ ყველა შინაური და გარეშე ყმაწვილი ქალი დაჩრდილა და საყოველთაო ყურადღება მიიქცია.

ბატონიშვილ ლუარსაბის ამალაში იყო აგრეთვე შიდა ქართლის საფრო-შოს სარდალი, გორის მოურავი პაპუნა ამილახვარი, ღვიძლი ბიძა სპარსეთის დედოფალ თამარისა და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა თავადი თავ-თავისი სახლობებით.

გაიხარა ქეთევან დედოფალმა. ჩაჯდა თავისიანებს შორის, ყველა სათითაოდ მოიკითხა, მუხრანში გატარებული ყმაწვილქალობა გაიხსენა, სირცხვილისაგან ალეწილი ხორეშანი გულში ჩაიხუტა, ხოლო თავად პაპუნას კი, ამილახვარს, შიდა ქართლის საფრო-შოს სარდალს, ერთხელ კიდევ შესწირა წრფელი მადლობა ბელაქნის ომში გაწეული დაუფასებელი სამსახურის გამო.

„აი, ვინ მოიხდენდა კახეთის დედოფლის გვირგვინს! — ერთსა და იმავე დროს გაიფიქრეს დედამ და შვილმა, როდესაც ერთმანეთი გიორგი ქართლის მეფის პატარა ასულის, ბატონიშვილ ხორეშანის აღტაცებულ ზვერვაში დაიჭირეს. — ეს ანგელოზი ასე ახლო ნათესავი რომ არ იყოს!“

თეიმურაზსა და ხორეშანს მართლაც უახლოესი სისხლისმიერი ნათესაობა აკავშირებდა. კახეთის ჭაბუკი მეფე ქართლის ბატონიშვილს ბიძად მოხვდებოდა, რადგანაც კახბატონი დავითი და ქართლის მეფე გიორგი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. ღვიძლი დაძმისაგან მომდინარეობდნენ.

„არა, ამაზე ფიქრიც შეუძლებელია!“ — გაუელვა ქეთევანს და თვალი თეიმურაზისაკენ გააპარა, რომელიც ამასვე ფიქრობდა, თუმცა თავისებურად ენამზეობდა და საყვარელ სტუმრებს სპარსეთში შეთვისებული დაშაქრული სიტყვებით ატკბობდა.

არ გაუელია სამ დღესაც იმერელი ბატონიშვილების მობრძანების შემდეგ, რომ მათ კვალს რაჭის ერისთავი შიოშ ჭარელიძე, აფხაზეთის მთავარი სეტემან შარაშია და [illegible] ელოს მთავრები მამია გურიელი და ლევან დადიანი მოჰყვნენ.

ლევან დადიანი, ისევე როგორც ქართველი ბატონიშვილები, კახეთის სამეფო კარის ახლო ნათესავი იყო. იგი კახბატონ ალექსანდრეს შვილიშვილი გახდლდათ მისი ასულის, ოდიშის მთავარზე გათხოვილ ნესტან-დარეჯანის მხრიდან და ბავშვობა და ყრმობა საყვარელი გვირგვინოსანი პაპის, კახბატონ ალექსანდრეს კარზე, კახეთში გაეტარებინა.

სწორედ ამიტომ მოხდა, რომ კახეთში მობრძანების მეორე დღესვე ლევან დადიანმა ალავერდს წასვლა და შვილის ხელით ულვთოდ დალუპული პაპისა და ბიძის, ბატონიშვილ გიორგის, საფლავების მონახულება მოინდომა, რათა ორივე ახლობელი ადამიანი მეგრული წესით დაეტირა და მათი სულის საოხად იქ წირვა გადაეხადა.

თეიმურაზს შუბლი გაუცხელდა, ოფლი დაასხა. მიხვდა თავის უპატიებელ შეცდომას. თვეზე მეტი გადიოდა, რაც შინ იყო, პაპისეულ ტახტზე იჯდა, განცხრომას ეძლეოდა, საქვეყნო საქმეებზე ზრუნვა არც კი აგონდებოდა, პაპის საფლავზე გასასვლელად და იქ სანთლის ასანთებად კი დრო ჯერ კიდევ ვერ გამონახა.

ოდიშის ბატონის სურვილს, რომელიც ყველამ საქებრად და დროულად ჩათვალა, სტუმრებიცა და მასპინძლებიც მხურვალედ გამოეხმაურნენ და ითქვა ბატონი ლევანი, მეფის ალალი მამიდაშვილი! ალავერდს წასვლას მარტოოდენ თავისი ხალხის თანხლებით აპირებდა, ეს სხვებმაც სავალდებულოდ ჩათვალეს, წამოიშალნენ და თავ-თავიანთი ცხენები მოითხოვეს.

დიდებული სტუმრები გრემს თითქმის მთელ კვირას დარჩნენ. სრულიად საქართველოს მეფე-მთავართა ასე ერთად თავმოყრა და ურთიერთსიყვარულის გამომჟღავნება, მას შემდეგ, რაც

დავითისა და თამარის, გიორგი ბრწყინვალის საქართველო დაიშალა, ამერიმერის წვრილ-წვრილ სამეფო-სამთავროებად გადაიქცა, დღემდე არც კახეთს ახსოვდა და არც ქვეყნის რომელიმე სხვა კუთხეს. ეს უთუოდ რაღაც კარგის მომასწავებელი ნიშანი იყო, სხვა დრო დგებოდა და, ვინ იცის, სწორედ მას ედო ვალად ძველი ჭრილობების მოშუშება, ნაფლეთ-ნაფლეთ დაქუცმაცებული სამშობლო ქვეყნის კვლავ აღდგენა ერთ მთლიან, მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ გადაქცევა!

ყველაზე ბოლოს ქართლელებმა აიკრეს გუდა-ნაბადი. ამ მცირე ხნის მანძილზე თეიმურაზი და ლუარსაბი ისე შეეჩვივნენ, შეეთვისნენ და შეუხმატკბილდნენ ერთმანეთს, განუყრელ ძმებისაგან ველარ გაარჩევდი. ორივე ჭაბუკი იყო, ორივე პირტიტველა, იმ ასაკისა, როცა გული გულისაკენ მიისწრაფვის და მეგობარს ეძებს, ცხოვრების ჭაპანწყვეტა ორივეს წინ ედო, მაგრამ ამაზე ფიქრით არც ერთი თავს არ იწუხებდა და ყოველდღიურ სიამოვნებას თავდავიწყებით ეძლეოდა!

გამგზავრების დღემ რომ მოაწია, როცა სასურველ სტუმართაგან გრემის სასახლეში მარტო ისინი-ღა დარჩნენ, თეიმურაზმა ყურები ჩამოყარა, მოიწყინა. ვერ წარმოედგინა, გართობას, ძხიარულ გასეირნებებს, ბურთაობასა და ჯირითს მოკლებული მარტო როგორ უნდა დარჩენილიყო და დღე და წუთისოფელი მარადჟამ ცხვირჩამოშვებულ და ათას წვრილმანზე მოწუწუნე კახ დიდებულებს შორის გაეტარებინა!

არანაკლებ მოიწყინა ლუარსაბმაც, ლამის ტიროდა და იქნებ ფეხი კიდევაც აეთრია, წასვლა რამდენიმე დღით კიდევ გადაედო, ბატონ პაპუნა ამილახვარს რომ არ დაემარტოხელებინა და არ ეთქვა. დროა, ბატონიშვილო, შინ წავიდეთ, მასპინძელიც გავათავისუფლოთ და ჩვენც ჩვენს გზას ვეწიოთ. ღღეს მესამედ გეახლა კაცი მეფისაგან, რაღას უცდით, რად არ მოდიხართ, ავად ხომ არავინ გახდით, ან სხვა რაიმე ფარსაგი ხომ არა გაჭირთო.

დარბაისელი თავადის შეგონებით ძლივს გულისხმაში ჩავარდნილმა ლუარსაბმა გაჯიუტება ველარ გაბედა და, მიუხედავად თეიმურაზის ჭირვეული ავარდ-დავარდნისა, სულთმოფენობამდე არ გაგიშვებთ, ეს ღღე აქ, გრემში გავითენოთ, მერე წირვაზე შუამთაში ავიდეთ, მომდევნო ორ ღღეს ცივ-გომბორის ტყეებში შვლებზე წავინადიროთ და უჯარმაში ერთმანეთს დავცილდეთო, გამგზავრების თადარიგის დაჭერა ბრძანა.

სულთმოფენობამდე ექვსი ღღე იყო დარჩენილი. თუ ამას იმ ორ ღღესაც დაუმატებდი, თეიმურაზი შვლებზე სანადიროდ რომ სთავაზობდა, მათი შინ წასვლის დრო ერთობ შორს იდებოდა.

თეიმურაზმა ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა. თუ აგრეა და არ დაგიშლიათ, მაშინ მეც თქვენთან ერთად წამოვალ და ტფილისამდე ჩაგაცილებთო.

ეს კი მეტისმეტი იყო. ქეთევანი მიხვდა, ჭაბუკი მეფე ამას რისთვისაც სჩადიოდა, წარბი შეიკრა და თავად შერმაზან ჩოლოყაშვილის პირით შვილი თავისთან დაიბარა.

— თქვენ გავიწყდებათ, ბატონო დედა, — უთხრა ჯიუტი ბალღივით თვალცრემლიანმა, გულამოჯდარმა თეიმურაზმა, როცა მისი თავშეკავებული საყვედური და რჩევა-დარიგება მოისმინა. — თქვენ გავიწყდებათ, რომ მე დიდი ხანია პატარა აღარა ვარ, რომელსაც თქვენ ძუძუს აწოვებდით და ხელით ატარებდით, მეფე ვარ და იმას ვიქმ, რასაც საჭიროდ დავინახავ!

— განა მე ის გითხარი, შვილო, მეფე არა ხარ-მეთქი, — მშვიდად, დაყვავებით შეუბრუნა სიტყვა ქეთევანმა და ხელი მოჰხვია, ყვრიმალით მის მხარს მიეყრდნო. — მეფე ხარ, მე კი ისევ დედა ვარ შენი, თუმცა ძუძუს აღარ გაწოვებ და აღარც ხელით დამყავხარ. მეფეს მეფური ქცევა მართებს. აბა, რას ემგვანება, სტუმარი, რა ღირსეუ-

ლი და პატივსაცემიც არ უნდა იყოს, გვირგვინოსანმა ხელმწიფემ მის სახლამდე მიაცილოს! გაგონილა ეს სადმე, ჯერ ვინმეს სმენია? სხვები რაღას იტყვიან, ვინც სტუმრად გვყავდა, ჩვენ კი რატომ-ღა არ გამოგვყვა სახლამდე, ქართლელებზე ნაკლები რითა ვართ, ისინი რა წითელი კოჭები ბრძანდებიანო?!

— არავინაც არ იტყვის! თუ იტყვიან, თქვან, სულაც არ მედარდება!

— აგრე ხომ მთელ საქართველოს მოვიმდურებთ და გადავიკიდებთ, შვილო თეიმურაზ, მარტო ჩვენს პირად სიამოვნებაზე ხომ არ უნდა ვიფიქროთ, სხვა რამესაც ხომ უნდა გავუწიოთ ანგარიში!

— იმით არაფერი არ დაშავდება, ერთი ორი დღე ქართლში წავიდე და თვალს წყალი დავალევინო, ამით ქვეყანა არ დაიქცევა! — თეიმურაზი გრძობდა, რომ ტყუოდა, რომ დედა მართალი იყო, მის წინააღმდეგობას ასე ადვილად ვერ გასტეხდა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა, ხავსს ეჭიდებოდა.

— როდის ყოფილა, მე შენთვის სადმე წასვლა დამიშლია, შვილო, — ქეთევანის ხმაში ისევ საყვედური გაისმა. — მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ღლეს შენ გვირგვინოსანი მეფე ხარ და არა ბატონიშვილი, შენს თავს აღარ ეკუთვნი, სამეფო კარზე დამკვიდრებულ წესსა და რიგს უნდა დაემორჩილო! დადგება დრო, რაიმე მიზეზთან დაკავშირებით შენც ეწვევი ქართლის მეფის კარს, მაგრამ არა როგორც უბრალო სტუმარი, თუნდაც სისხლისმიერი ნათესავი, არამედ როგორც კახეთის გვირგვინოსანი მეფე! იქაც, რასაკვირველია, მეფის საკადრისი დიდებით მიგიღებენ და ასევე დიდებით გამოგისტუმრებენ. მეფეთა წესი ასეთია. შაჰის კარზე ამის მეტი რა გინახავს! მეზობელი მეფეები, თუნდაც მათი ელჩები შაჰს განა ასე ჰაიჰარად, წინასწარ გაუფრთხილებლად ეწვევიან ხოლმე? სიდარბაისლე, თავშეკავება და ჩვენი მეფური ღირსების შეგნება გვმართებს, შვილო თეიმურაზ, ამჩატება და საკუთარი ნება-სურვილის [illegible] ფერის. ამას გეუბნები [illegible] გორც დედა, ვისაც შენი შესადარი, გარდა ღმერთისა, არავინ ჰყავს და ვინც ყოველ წუთსა და წამს მზადაა, სიცოცხლე შემოგწიროს!

— ჰო, კარგი, ნუ ტირი, არსადაც არ წავალ, იყოს ისე, როგორც შენ გინდა!

— გიმალავდით, შვილო, არ გვინდოდა, შენთვის გული გვეტკინა და ეს ბედნიერი დღეები ჩაგვემწარებინა —, ქეთევანმა უნებლიეთ გადმოვარდნილი ცრემლის კურცხალი შეიმშრალა. — სანამ ჩვენ ყველა შენს ტახტზე ასვლას ვზეიმობდით, ვდარდიმანდობდით და ძვირფასი სტუმრების მიღება-გასტუმრებას ვუნდებოდით, მარბიელები სამჯერ დაგვესხნენ, ორჯერ სასულტნოს საზღვართან და ერთჯერაც თიანეთში. შენ გართული იყავი და არც კი შეგიმჩნევია, რომ ტახტის ერთგული ყმა თავადი ქაიხოსრო ომანიშვილი სამოცთხი დღით იკარგებოდა ხოლმე. ხშირად შენს გვერდით არ იჯდა და მხარს არ გიმშვენებდა არც თიანეთის მოურავი ელიზბარ ჩოლოყაშვილი. ღვთის განგებით და ჩვენი ლოცვა-კურთხევით ჩვენებს სამივეჯერ გაუმართლდათ, მტერს გზები დროზე მოუჭრეს და ნადავლი, ხარ-ძროხა თუ ცხვრის ფარები, დაატოვებინეს, მაგრამ ერი მეტისმეტად შეწუხებული გვყავს, შვილო, დედა გენაცვალოს, გლეხკაცი ყანა-ვენახში სამუშაოდ ველარ გასულა, ვერც პირუტყვს სამწყემსურში გაჰყოლია. წისქვილშიაც კი ჭირს წასვლა. ეს შეჩვენებულები სოფლის გზებშიაც კი საფრდებიან და ვისაც ხელში ჩაიგდებენ, ქალი იქნება თუ ბალღი, ტყვედ მიჰყავთ!

— მერე მენაპირე თავადები რას უყურებენ? ხომ არა ჰგონიათ, რომ მეფე მივა და მტერს მოუგერიებთ?! გაინძრნენ ცოტა, მიდგნენ-მოდგნენ, დაიცვან თავიანთი ყმა-მამული ამ ურჯულოებისაგან!

— აკი გითხარ, შვილო თეიმურაზ,

ჩვენს თავადებს მაგ მხრივ საყვედური არ ეთქმით. ყურთბალიშზე არც ერთს არ ძინავს. თავადი ქაიხოსრო უნაგირზე ათენ-აღამებს, დღეს რომ ამ თავშია, ხვალ იმ ბოლოში მისდევს პირშავ მტერს! მას არც სხვები უდებენ ტოლს, მაგრამ წყეული ლეკები, ეგ ჩვენი ცოდვით სავსენი, ჩვენი სიმცირით სარგებლობენ და სწორედ იქ დაგვეცემიან ხოლმე, სადაც სუსტ ადგილს დაიგულებენ!

— ვნახავ, ბატონო დედა, — უსიამოვნო ამბების შეტყობამ ახალგაზრდა მეფე შიგ გულში დაჰკოდა და ის ისევ იმ კილოზე გადავიდა, რითაც დაიწყო. — დავხედავ, საზღვრებს შემოვიარ და ღვთის შეწევნით რაღაცას ვიღონებ!..

თავი XXVI

ქეთევანს გულზე მოეშვა. ორი საჭოჭმანო საქმე ერთად მოაგვარა: წინდაუხედავ აცუნდრუკებაზე შვილს ხელი ააღებინა და, ამავე დროს, იგი თავის მეფურ მოვალეობაზეც დააფიქრა, აგრძნობინა, რომ ტახტზე ჯდომა მარტო განცხრომით ცხოვრება და გულის გამხარებელი სიამის აყოლა არ არის, რომ ის, უპირველეს ყოვლისა, პირად მსხვერპლს მოითხოვს და ამ მსხვერპლის გასაღებად ქვეყნის მირონცხებული განმგებელი მუდამდღე მზად უნდა იყოს.

ბატონიშვილ ხორეშანის სახელი დედა-შვილს შორის ნახსენები არ ყოფილა. თუმცა ორივე გრძნობდა, რომ ეს სახელი ყოველ სიტყვაში იგულისხმებოდა. ჭაბუკ მეფეს ეყო თავშეკავება, წუთიერი გატაცება, რომელმაც თავბრუ დაახვია და ყველაფერი დაავიწყა, არამარტო დედისათვის, არამედ საკუთრ თავისთვისაც კი არ გაემხილა. მით უფრო ეყო თავშეკავება ქეთევანს, ვინაიდან იმის ხმამაღლა გამჟღავნება, რაც დედა-შვილის გულში ტრიალებდა, დიდი და უპატიებელი ცოდვა იყო ღვთის წინაშე.

დედისათვის მიცემული დაპირების შესრულება საზღვრებს შემოვიარეო, თეიმურაზს დიდხანს არ დაუყოვნებია, ხოლო რაც შეეხება ამავე დაპირების მეორე ნაწილს, რაღაცს ვიღონებო, ამის შესრულებას კი არ ჩქარობდა.

მეფემ შეყარა თავისი კბილა ყმაწვილი კაცები, კახეთის ახალგაზრდა თავადები, რომელთა მამა-ბიძებსა და უფროს ძმებს სხვადასხვა სახელო ეჭირათ მეფის კარზე, ანდა მეფისგანვე მინიჭებული რაიმე უპირატესობით სარგებლობდნენ, თითქმის ხუთასამდე კაცი, უფროსთაგან მხოლოდ ძმები ვაჩნაძეები, თამაზი და ბებური იახლა და საზღვრების ფეხდაფეხ შემოსავლელად გაემართა.

მეფეონმა გეზი დასავლეთისაკენ აიღო. გაიარა ბახტრიონი, ჭოეთი, ოორლვა, კვეტერა, აქედან თიანეთს გადავიდა, იორს დაჰყვა და გარე კახეთისაკენ ჩაივაკა.

სოფლებს ძვირად დაუჯდა მეფისა და მისი მრავალრიცხოვანი ამალის პურმარილით დახვედრა-გამასპინძლება. თავგადაკლული ლხინი ალაგ-ალაგ ორსამ დღეს გრძელდებოდა და მოქეიფენი მხოლოდ მაშინ-ღა წამოიშლებოდნენ ხოლმე, როდესაც მომდევნო სოფლიდან საგანგებოდ გამოგზავნილი კაცი მოვიდოდა და ბატონ მეფეს ახალი გრძელი სუფრის გაშლის ამბავს შეატყობინებდა.

ჯერ ბოჭორმას, ხოლო შემდეგ უჯარმას რომ ჩასცდა და ივრის ვიწრო ხეობიდან ლაშქარი ხაშმის მინდვრებში გამოვიდა, ახალ-ახალი ქვეშევრდომული დახვედრებით გამხნევებულ და გახალისებულ თეიმურაზს გულში ჭინკა შეუჯდა: რა იქნება, აქედან მარჯვნივ გადავუხვიოთ, ვაზიანისა და სამგორის ტიტველ სერებს ჩავყე და, როცა არავინ მელის, ტფილისს ჩავიდეო, მაგრამ დედასთან გამართული მკაცრი საუბარი გაახსენდა და უგუნურ განზრახვაზე ხელი უმალ აიღო. ეგეც არ იყოს, რით უნდა აეხსნა ეს თავისი მოულოდნელი სტუმრობა, თანაც საომ-

რად აღჭურვილი ჯარის თანხლებით? თავსაც ვერ უტყდებოდა, რომ გომბორის მთები სწორედ ამ განზრახვით გადმოიარა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, განზრახვის შესრულებას თითქმის აღარაფერი უდგა, თითქოს საკუთარ თავს გაურბისო, უამისოდაც ფიცხ ბედაურს, შუშაში თვით შაჰ-აბასმა რომ აჩუქა, მათრახი უცხუნა და გააჭენა. ჭენებითვე გამოუდგნენ გადაბმულ სმასა და ღრეობას ჯერ კიდევ მიუჩვეველი ახალგაზრდა თანამეინახენი, რა ბზიკმა უკბინა ჩვენს ბატონ მეფეს, როდის იყო ასე გამწარებული საითმე მიიჩქაროდაო.

ასე ჭენებ-ჭენებით, მტვრის ბუღში განვლეს ხაშმი, დაბლობში განრთხმულ სართიჭალას, რომელზედაც ტფილისიდან შიგა კახეთისაკენ მიმავალი საქარავნო გზა გადიოდა, გვერდი აუქციეს და პირდაპირ ნინოწმიდასა და პატარძეულს მიმართეს.

ახალგაზრდა კახი თავადიშვილები, მეფის ამალაში ყოფნის პატივი დღეს პირველად რომ მოსწეოდათ, ამან კიდევ უფრო განაცვიფრა. მათ მარტყოფში ელოდნენ. ხუთასი ცხენოსნის მისაღებად სუფრა უკვე გაშლილი იყო. მარტყოფის მონასტერში ახალი ეპისკოპოსი იჯდა. ნაცვლად ზაგემში დაღუპულ იოანესი, რომელიც, ამავე დროს, გარე კახეთის სადროშოს სარდლის სახელოსაც ფლობდა და საზღვრების შემოსავლელად ბრემიდან წამობრძანებულ მეფე-ბატონს იქ მოუთმენლად ელოდა.

ვიდრე მეფე და მისი თანმხლები მხედრობა სატახტო ქალაქის გარეთ, სამეფოს საზღვრების შემოსავლელად იმყოფებოდა, შიგა კახეთისა და ქიზიყის სოფლებს კიდევ ორჯერ დაეცნენ ლეკი მარბიელები და საგრძნობი ზიანიც მიაყენეს: შირაქისა და ტარიბანის საძოვრებიდან გაირეკეს ცხვრის ორი დიდი ფარა, ალაზანს გაღმა წინანდალს შეესივნენ, კისისხევის ღრანტეებში ჩასაფრდნენ და სამი ქალი და თორმეტი ბავშვი გაიტაცეს. ქიზიყის მოურავმა ბაქარ ანდრონიკაშვილმა და გაჭირვების ტალკვესმა [illegible] ქაიხოსრო ომანიშვილმა, მაშინვე რომ იქ გაჩნდებოდა, სადაც წუნკალ მტერს დაიგულებდა, ალაზანზე გზა შეკრეს და ქურდბაცაცა ლეკებს უკან დაბრუნების ყველა საშუალება მოუსპეს, რამაც გადამთიელნი იძულებული გახადა, ტყვეები მიეტოვებინათ და უკან, კისისხევისაკენ დაეხიათ. ფარების დაბრუნება კი აღარ მოხერხდა, რადგანაც მდევარი გვიან გაიგზავნა, ხოლო თავდამსხმელებმა ეშმაკობა იხმარეს, ალაზანზე გადმოლალული ცხვარი კაკ-ენისლის სასულტნოს ფარგლებში შერეკეს და ამით თავი სამშვიდობოს დაიგულეს.

დედოფლის წყაროსაკენ მიმავალ თეიმურაზს ჩალაუბნის გადასახვევთან შეატყობინეს ლეკების დაცემის ამბავი, უთხრეს, რომ მარბიელთა ერთმა ნაწილმა უკვე მოასწრო ნადავლითურთ სამეფოს საზღვრებს გარეთ გასვლა და კაკ-ენისელის სასულტნოსათვის თავის შეფარება, სადაც კახბატონის ქვეშევრდომთ ხელი აღარ მიუწვდებოდა, მეორე ნაწილი კი, რომელსაც ალაზანზე გადასასვლელი გზა მოჭრილი ჰქონდა, კისისხევში იმალებოდა.

— უნდა ვიჩქაროთ, მეფევ, — ურჩია ბებურ ვაჩნაძემ თეიმურაზს. — თუ ომანიშვილს დროზე ვერ მივეშველეთ, ვაითუ ლეკები ბევრნი არიან და რკალი ადვილად გაარღვიონ. თუ მიბრძანებ, ას მხედარს გავიყოლებ და გავეშურები. აქაურ ადგილებს კარგად ვიცნობ, მდევარში ბევრჯერ ვყოფილვარ!..

თეიმურაზი დათანხმდა, ანდა რატომ არ უნდა დათანხმებულიყო და ბებურ ვაჩნაძემაც სასწრაფოდ შეკრიბა მოხალისეთა რაზმი ალყაში მოქცეულ ლეკებთან შესაბმელად. მისი ვარაუდი სწორი გამოდგა. მარბიელები საკმაოდ ბევრნი იყვნენ, გაცილებით მეტნი, ვიდრე ომანიშვილისა და ჩოლოყაშვილის მდევრები ერთად აღებულნი და ეს უკანასკნელნი დიახაც საჭიროებდნენ მაშველი ძალის დახმარებას.

როგორც კი კისისხევისაკენ უკანდახეული ლეკები დარწმუნდნენ, კახნი ცოტანი ყოფილან და თუ მარჯვედ შევუტევთ, ვერ გაგვიმკლავდებიანო, აქ ძალები გადააჯგუფეს, ერთ მუშტად შეიკვრნენ და საშინელი ყვირილითა და ღრიანცელით დავდაღმა დაეშვნენ, რათა კახ მოისართა მწკრივი გადაეთელათ და ალაზნის ფონისაკენ გაჭრილიყვნენ.

ომში გამოცდილ ომანიშვილისათვის, რომელმაც ლეკების ყველა ხერხი და ილეთი საკუთარი ხუთი თითივით იცოდა, საბედნიეროდ, მოულოდნელი არც ეს აღმოჩნდა. შუბმოღერებულ მოიერიშეებს, პატარა ტანის მუხლმაგარ ცხენებს თავბრუდამხვევი სისწრაფით რომ მოაჭენებდნენ, მან მარქაფად მდგომი მცირე რაზმის ისრების სეტყვა შეაგება, მოისრები მარცხენა ფრთიდან ისროდნენ და ძნელი შესამჩნევიც იყვნენ. მოიერიშენი, რომელთაც ვერ გაეგოთ, ისრები საიდან მოდიოდა, პანტაპუნტით ცვიოდნენ ძირს, ან უზანგში ფეხგაყრილი უნაგირს ეკიდებოდნენ, მათი თავგანწირული ამხანაგებიც, სხვა გზა რომ აღარა ჰქონდათ, ამას ყურადღებას არ აქცევდნენ და გაშმაგებულნი სულ წინ და წინ მოიწევდნენ.

ამ დროს გაისმა სწორედ ქართული ვაშა და ჰკა მაგასო ლეკების ზურგსუკან და ჰაერი მზის სხივებზე ალაპლაპებულმა უთვალავმა ისარმა გააპო. ეს ბებურ ვაჩნაძე იყო თავისი რაზმით, რომელმაც შეჭირვებულ თავისიანებს სულზე მოუსწრო და თავგზადაკარგულ მოწინააღმდეგეს მარჯვენა ფრთიდან შეუტია.

შედრკნენ ლეკი მხედრები. რაკი დაინახეს, ორცეცხლშუა მოექცნენ, მდინარე კი ჯერ კიდევ შორს იყო, მეწინავეებმა ცხენებს სადავე მოზიდეს და პირი სამხრეთ-დასავლეთისაკენ იბრუნეს, სადაც, მათი აზრით, მოწინააღმდეგე არ უნდა ყოფილიყო.

ამასობაში მოაწია საქარავნო გზით მომავალმა თეიმურაზმაც და თავისი მოსვლა ყველას მტრის თავზარის დამცემი და მოყვრის გულის გამხარებელი ბუკით ამცნო.

— თვით ბატონი მეფე მოგიძახდა, მამულიშვილებო, ღმერთი ჩვენთანაა, არ შეშინდეთ! — დასჭყივლა ბებურ ვაჩნაძემ, უნაგირზე წამოიმართა და პირზე დუჟმორეული ცხენი იქით გააქანა, სადაც მომხვდური და დამხვდური ერთმანეთში ჩახლართულიყვნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ხელჩართული ბრძოლა გაემართათ.

მცირე ამალით გარსშემორტყმული, გულხელდაჭდობილი თეიმურაზი მწვანედ აბიბინებულ ბექობზე იდგა და იქიდან ადევნებდა თვალს ბრძოლის მსვლელობას. ათიოდე წუთი არც კი იქნებოდა გასული, რაც ის აქ იდგა, რომ მდევარ მხედართა ჯგუფს ერთი თავშიშველი მხედარი გამოეყო, რომელსაც ღაწვზე მიყენებული ჭრილობისაგან სისხლი სდიოდა, გულდაგულ მეფეს მოაშურა, ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ჩამოქვეითდა, ცხენი ვიღაცას შეატოვა და თეიმურაზის წინაშე მუხლზე დაეცა.

— რა ამბავი მოიტანე, ბიჭო? — მიაგება თეიმურაზმა.

— ღმერთმა სიცოცხლე და გამარჯვება ნუ მოგაკლოს, მეფევ! გარბიან, მაგრამ ვინ გაუშვებს! მოსვლა იმათი საქმე იყო, გაშვება ჩვენი საქმეა! ბატონმა ქაიხოსრომ შემოგითვალა, ეგ ბუკი აქ გამომიგზავნე, ერთი შიგ ჩავაბერინებ, მეფე ვეგონები და ეს ბელზებლის ნაშიერები სულ წავლენ ხელიდანო!

— რაო, რაო? — თეიმურაზმა, აქამდე რომ სიხარულს და სიამაყეს ჰგვრიდა თავისი გამარჯვება, პირველი გამარჯვება, ქვეყნის გამაჩანაგებელ მარბიელ ლეკებზე რომ მოიპოვა, თუმცა თვით ხელის განძრევაც არ დასჭირვებია, წარბი შეიკრა, ომანიშვილის თამამი შემონათვალი, თითქოს მეფის ტოლი და სწორი ყოფილიყოს, აშკარად არ ესიამოვნა, რას ბედავს ეს თავხედიო, გაიფიქრა და ერთბაშად ვერც კი მოისაზრა, რა პასუხი გაე-

ცა,—შეიპყარით! ორასი ჯოხი მაგას!.— დაიყვირა აქამდე ყველასათვის, უპირველეს ყოვლისა თავისთვისაც კი უცხო ხმით და მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რასაც მოითხოვდა, მაგრამ შეწყალება, პირიდან გამოსროლილი სიტყვის უკან დაბრუნება უკვე გვიანი იყო.

შუბოსანი მანდატურები, სპარსული წესის თანახმად მეფეს რომ ყველგან მოუშორებლივ თან ახლდნენ და მის სიცოცხლეს დარაჯად უდგნენ, დაჩოქილ, ‚ხელმწიფური წყალობის მომლოდინე„ ბრძოლაში დაკოდილ კაცს მისცვივდნენ, ხელები ზურგსუკან გადაუგრიხეს, თითქოს დანაშაულზე წასწრებული ვინმე პირშავი ავაზაკი ყოფილიყვეს, შვილდის საბელით შეუკრეს, გაოცებისაგან ენაჩავარდნილი გვერდზე გაათრიეს, დასაკლავ ხარივით წამოაქციეს და შუბის ტარები დაუშინეს.

რისამე თქმა, უდანაშაულო მსხვერპლის თუნდაც სიტყვით გამოსარჩლება ვერავინ გაბედა. წუთის წინ მშვიდი და ნებიერი მეფე ისე იყო გამძვინვარებული, თავის თავს აღარ ჰგავდა. ასე შურისძიებით შეპყრობილი და გოროზი ის ჯერ არავის ენახა.

შემზარავი სურათის შემყურე თეიმურაზს რისხვამ უფრო დარია ხელი. იგი თავს ღირსებაშელახულად თვლიდა და ამ უდანაშაულო კაცის სამაგალითოდ დასჯა უკვე აღარ აკმაყოფილებდა. აქამდე თავსაც ძლივს უტყდებოდა, რომ ოჯახიშვილობითა და ვაჟკაცობით მთელ კახეთში განთქმული, თავმომწონე, ახოვანი, საკუთარი ძალასა და სიმართლეში დარწმუნებული კაცი ქაიხოსრო ომანიშვილი სწორედ ამავე თვისებების გამო ბალღობიდანვე თვალში ამოღებული ჰყავდა და ამოჩემებულად არ უყვარდა. სჯეროდა და დარწმუნებული იყო, რომ პაპა ალექსანდრე და ძია გიორგი მას ზედმეტად ანებივრებდნენ, მტერზე მოპოებულ ყოველ მცირე გამარჯვებისთვისაც კი მადლობითა და ყმა-მამულით ავსებდნენ და აი, უგუნურ ქაიხოსროსაც პატივი თავში აუვარდა, თავი იმ პიროვნებად წარმოისახა, ვისაც ყველაფრის ნება დართული აქვს და დაუსჯელად შეუძლია ის მოიმოქმედოს, რაც მოეპრიანება!

„ღმერთო ჩემო, როგორ გაბედა და შემოთვალა, შენი ბუკი გამომიგზავნე, შიგ ჩავაბერინებ, ლეკებს მეფე ვეგონები და უარესად წახდებიანო! — გაიფიქრა თეიმურაზმა და თავისმავე სიტყვებმა ისე გააშმაგა, ისე ააპილპილა, რომ სისხლი თავში აუვარდა. — ახლა თავი მეფედაც წარმოიდგინა და ამას თვით მეფისა და ერის წინაშეც აღარ მალავს? ხვალ იქნებ მართლა მოუნდეს მეფობა და ტახტიც მოითხოვოს? არა, ამის შენდობა, პატიება, წაყრუება და სიცილში ჩატარება, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, შეუძლებელია!“

— თავადო თამაზ!

— აქ გახლავარ, მეფეო! — იქვე მდგომი, სანახაობით სხვებზე არანაკლებ შეძრული თამაზ ვაჩნაძე წინ წამოდგა, მათრახიანი ხელი გულზე მიიდო და თავი დაუკრა.

— წაიყვანე, რამდენი კაციც დაგჭირდება და ახლავე აქ მომგვარე!

— ვინ, მეფეო?

— ქაიხოსრო ომანიშვილი!... — მეფემ ხმას აუწია და როცა შეატყო, ვაჩნაძე ფეხს ითრევდა, წასვლას არ ჩქარობდა, შეუტია. — ვერ გაიგონე, რა გიბრძანე, თავადო?

— როგორ არა, გავიგონე, მეფეო, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ქაიხოსრო ომანიშვილი, ქვეყანამ იცის, ტახტის ერთგული კაცი გახლავს. მე ასე მესმის, თქვენი უდიდებულესობის გასარისხებელი დღესაც არაფერი ჩაუდენია. კაცი გაახლა და გამარჯვება მოგილოცა. იმის მაგიერ, მადლობა გვეთქვა, ჩვენ ის კაცი გავჯოხეთ და სიკვდილზე მივაყენეთ...

— მოთმინებას მთლად ნუ დამაკარგვინებ, თავადო, თორემ, იცოდე, ხელს არავინ მიშლის, შენთვისაც მოვიცალო. მოართვით ცხენი! ქაიხოსრო ომანი-

შვილი, მკვდარი იქნება თუ ცოცხალი, აქ მომგვარე!

ამალაში სრული სიჩუმე სუფევდა. ამ დღეების განმავლობაში, რაც საზღვრების დასახედავად წამოვიდნენ, კახ დიდებულთა მემკვიდრე ჭაბუკები ისე გაუშინაურდნენ ერთმანეთს, მათ შორის ყოველგვარი წოდებრივი განსხვავება გაქრა და დავიწყებას მიეცა. პირზე რძეშეუმშრალი თავადიშვილები და მათი აზნაურები თვით გვირგვინოსან მეფესაც კი შინაურულად ექცეოდნენ და, წარმოიდგინეთ, ამას არც თეიმურაზი უცხოობდა, არ ამჟღავნებდა თავის უპირატესობას. სხვებთან ერთად ლაღობდა, კაფიობდა, ზმებსა და მაჯამებს თხზავდა და გართობა-მხიარულებაში, დოღი იქნებოდა, ნიშანში სროლა, ფარიკაობა თუ რომელიმე სხვა სამხედრო თამაშობა, ისე უბრალოდ და ძალდაუტანებლად მონაწილეობდა, თითქოს მართლაც ამათი ტოლი და სწორი ყოფილიყოს. დღეს ეს პირველად მოხდა: უღრუბლო ცაზე მეხმა დაიგრგვინა, ახალგაზრდა მეფემ, ყველას დამთმობი, მიმტევებელი და ცხვარივით თვინიერი რომ ეგონა, ზნე და ფერი იცვალა, ღოჯი გამოაჩინა და უკლებლივ ყველას, თვით იმათაც კი, ვისაც აქამდე გამორჩეული ყურადღებით და თავდაბლობით ექცეოდა, მათ შორის ასაკით უფროსებსაც, თავის ადგილზე მიუთითა.

თამაზ ვაჩნაძეს ცხენი მოართვეს და მანაც ზანტად, აუჩქარებლივ შესდგა ფეხი უზანგში, უნაგირს მოევლო, უკვე ამხედრებულ აზნაურებს ანიშნა, მომყევითო და ჩორთით მშრალი ხევის პირისაკენ გაეშურა, საბრძოლო ყიჟინა ჯერ კიდევ ისმოდა.

ᲗᲐᲕᲘ XXVII

მარბიელ ლეკებთან ომი, რომელიც თავდამსხმელებისათვის , წარუმატებლად წარიმართა, დასასრულს უახლოვდებოდა. მინდორს ქალი თუ კაცი, ბალღი თუ მოხუცებული მოსდებოდა, ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი, დაჭრილ-დახოცილებს კრებდა და—გაბიშით ურმებზე აწყობდა. ზოგი ჯერ ჯერ კიდევ ცარიელი იყო, ზოგზე კი სისხლით მოთხვრილი ოთხი-ხუთი მკვდარი გვერდი-გვერდ ესვენა. სხვები აქეთ-იქით გაფანტულ უმხედრო ცხენებს დასდევდნენ, იჭერდნენ და ზედ გადამჯდარნი გამარჯვებული ლაშქრის თავშეყრის ადგილისაკენ მიაჭენებდნენ. ომგადახდილ მოლაშქრეთ მხარგაკრული ტყვეები მოჰყავდათ და თუმცა ისინი თავიანთ შემპყრობთ არ ემორჩილებოდნენ, აქეთ-იქით უღონოდ აწყდებოდნენ და რკინის ხელებისაგან გასხლტომას ლამობდნენ, ასევე მხარგაკრულთა და ნაცემ-ნაგვემთ იმ მწვანე ბორცვის ძირას აჩოქებდნენ, რომელზედაც მცირე ამალისაგან განცალკევებული ახალგაზრდა მეფე-ბატონი იდგა და მოუთმენლობით შეპყრობილი, როდის მოიყვანდნენ მისი მეფური ღირსების დამამდაბლებელ ქაიხოსრო ომანიშვილს, დროდადრო ბოლთასა სცემდა.

ძველი ჩვეულების თანახმად, არც შემდეგ რომ არ მოუშლიათ, ასეთ დროს გამარჯვებული მეფე გულმოწყალებას იჩენდა და ტყვედ ჩავარდნილ მტერს ათავისუფლებდა, თუ იგი პირობას დასდებდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამოიკვეთდა ფეხს კახეთიდან და საქრისტიანო ქვეყნის დასარბევად წამოსულ ურდოში თავის დღეში აღარ გაერეოდა. ენას ძვალი არ ჰქონდა და სასიკვდილოდ განწირული დატყვევებული ლეკები სიამოვნებით სდებდნენ ამ პირობას და ერთხანს მას მთიელი კაცის კეთილსინდისიერებით კიდევაც იცავდნენ, მაგრამ კარში ჩამდგარი სიდუხჭირე პატიოსან სიტყვას მალე ატეხინებდა და ისინიც წარბშეუხრელად მიდიოდნენ იქ, სადაც მისებრ ღარიბ-ღატაკის ხარჯზე ხელის მოთბობა, ანდა მტრის მახვილით გულის განგმირვა ელოდა.

არავინ უწყოდა, რა დღე ეწეოდათ დღეს ტყვეებს, ჩვეულებისამებრ პატი-

ოსან სიტყვას ჩამოართმევდნენ და შინ საღსალამათს გაუშვებდნენ, თუ ყველას სათითაოდ ძელზე გასვამდნენ, რათა ეს ამბავი შორს გავარდნილიყო და ძარცვა-ტყვევნის ახალ მოსურნეთ ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად გამოსდგომოდათ.

თავადი ქაიხოსრო ომანიშვილი არავის მოუყვანია. ის თვით მოვიდა, მოვიდა მარტოდმარტო და არა თამაზ ვაჩნაძისა და მისი აზნაურების თანხლებით, მეფეს თავისებური მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა, თავი ოდნავ დახარა, აღმოსავლური წესით, როგორც ყიზილბაშ ამირებს სჩვეოდათ, თაყვანი სცა, ბექობზე კი ფეხი არ შეუდგამს, მის ძირში დარჩა.

ყველა გაინაბა. არავის შეეძლო წინასწარ ეთქვა და ეწინასწარმეტყველა, თუნდაც თვით ბექობზე გადმომდგარ მეფეს, ბატონისა და ყმის ეს შეხვედრა რა სახესა და მიმართულებას მიიღებდა.

რაკიღა არავინ არაფერს ამბობდა, ნავსი ისევ მოსულმა გასტეხა და მეფეს კრძალვით მიმართა:

— დაგიბარებივარ, მეფეო და აი, მეც გეახელი!

— მომიახლოვდი! — უბრძანა თავის მხრივ თეიმურაზმა და შეატყო: პირიდან წვრილი, მრისხანებისაგან ხრინწვარეული, წიკვინა ხმა ამოუვიდა და სხვა დროს მეფური სიმშვიდით აღბეჭდილი, შემწყნარებელი სახე, ღვთისმოსავი დედის სახეს რომ მიუგავდა, საიდანღაც მოვარდნილმა ზიზღმა და შეჩვენებამ დაუმახინჯა.

ქაიხოსრომ ურმის ხუნდივით მსხვილ, ძლიერ კისერზე მკვიდრად დადგმული თავი მიაბრუნ-მოაბრუნა, ერთხანს ყოყმანობდა, ყურად ეღო და აღესრულებინა თუ არა უზენაესი ხელისუფლებით გაზულუქებული ჭაბუკი მეფის კადნიერი ბრძანება, მერე ისევ თეიმურაზს აჰხედა, რომელიც კვლავ გაუნძრეველად იდგა და ჩუმი თრთოლვით ბრძანების აღსრულებას ელოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ამაზე დამოკიდებული იქნებოდა მთელი მისი მომავალი მეფური ძალმოსილება და ნაბიჯი აუჩქარებლივ დასძრა.

— დაიჩოქე! — იმავე მწივანა ხმით დასძახა თეიმურაზმა, რადგანაც შეატყო, ქებასა და გამუდმებულ გუნდრუკის კმევას შეჩვეული თავადი მის ბრძანებას მაინც და მაინც დიდად არაფრად აგდებდა, და ამას გამომწვევად, ამდენი ხალხის თანდასწრებით ჩადიოდა, რაც ერთხელ და სამუდამოდ დასცემდა მეფის ხელშეუხებელ გავლენას ერის თვალში და მას ყოველი არამზადის სათამაშო ტიკინად აქცევდა. — დაიჩოქე, რაღას მომჩერებიხარ!

— ნუ ინებებ, მეფეო, — ბუნებრივი სიამაყე სძლია და მუდარაგარეული ხმით მიმართა ომანიშვილმა, განძრევით კი არ განძრეულა. — არ მომდგამს გვარით და ჩამომავლობით ვისმე წინაშე დაჩოქება, გარდა უფალი ღმერთისა, შეგეწიოს იმის მადლი! — მან პირჯვარი გადაიწერა, თან თვალმოუშორებლივ თავზე წამომდგარ თეიმურაზს უყურებდა. — რისთვის ინებებ ჩემს დამცირებას ან ყმა რისთვის გამილახე? გარდა ტახტის ერთგული სამსახურისა, შენს წინაშე განა რა დანაშაული მიგვიძღვის? ძინდოდა, გხლებოდი, მუხთალ მტერზე გამარჯვება მომელოცა და ტყვეები მომერთმია, შენ კი ნაცვლად მეფური მადლობისა და წყალობისა, ყმა უპატიურად გამილახე და ამოდენა საზოგადოების წინაშე ჩემს დამცირებასაც ინებებ? ვფიცავ მაცხოვარს, — თავადმა პირჯვარი ერთხელ კიდევ გადაიწერა, რათა თავისი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა. — მაგას არც ღმერთი მოგიწონებს და არც კაცი! ჩემს ჭაღარას მაინც ეცი პატივი!..

— დაიჩოქე, მე შენ გეუბნები! მაგდენი ლაპარაკის ნება მე არავისთვის მიმიცია! ამას უყურე, როგორ გაუთამამებია ქურდ-ბაცაცა ლეკების ტყე-ტყე დევნას?! ლამის თავზე დაგვაჯდეს!

— მამის კვალზე წასულხარ, მეფეო,

ვაი ჩვენს თავს! იცოდე, ეგ გზა სიკეთემდე ვერ მიგიყვანს!

— როგორ მიბედავ, ქოფაკო! — ამ სიტყვების გაგონებით კიდევ უფრო განრისხებულმა თეიმურაზმა ორად გაკეცილი მათრახი ასწია მაგრამ კეთილგონიერებამ უკანასკნელ წამს შეაჩერა, თავადისათვის არ გადაუწვნავს.

ომანიშვილი იღიმებოდა, თითქოს ახალფეხადგმული ბალღის ცელქობას შესცქერისო. ამ ღიმილში არაფერი იყო, გარდა მწარე ნაღველისა და დიდსულოვანი შეწყნარებისა.

— დამარტყი, რაღად შეყოყმანდი?! ქოფაკებს სწორედ მათრახით სცემენ. სულ ერთია, მოქნეულს მე მაინც დარტყმად გითვლი! მაღლა ღმერთია მოწამე და ძირს ეს პატიოსანი ხალხი, რომ ტახტისა და შენს წინაშე უბრალო ვარ! ვინ აიკიდა ჩემი ცოდვა, ვინ აგამხედრა?! შინ რომ მიხვალ, ღმერთსა ვფიცავ, აღარ ვიცი, ჩვენს მწყალობელ დედოფალ ქეთევანს რაღა პირით ეჩვენები!

— პირი გამოირეცხე, სანამ დედაჩვენს ახსენებდე! შეკარით ახლავე და ჩემს ფერხთით დააგდეთ!

ეს რომ გაიგონა, აღარ ხუმრობენო, ახლა კი საცრისოდენა თვალები დააბრიალა ქაიხოსრო ომანიშვილმა, წელში მრისხანედ გაიმართა და ხელისსიფართე ყამა ქარქაშიდან სანახევროდ ამოსწია:

— თავი თუ ებრალება, ახლოს არავინ მომეკაროს!..

— ვის ვუბრძანე?! — კიდევ უფრო ჭირვეულად მიმართა მეფემ მანდატურებს, რომლებმაც წელან ომანიშვილის მიერ გამოგზავნილი მალემსრბოლი გაჯოხეს და ყელს მობჯენილ ბოლმისაგან გაფითრებული ტუჩები აუცახცახდა.

— ერთხელ კიდევ გაფრთხილებთ: ხელი არავინ გაანძრიოს, თორემ ვფიცავარ ღმერთს, აქედან ცოცხალი ვერავინ წამივა!

— იქნებ მეც მემუქრები?

— შეგინდოს ღმერთმა, მეფეო!

— მაშ, შენ უკვე მიდიხარ? სად აპირებ წასვლას?

— შინ, მამულში!

— თუ არა გაქვს არავითარი მამული?

— როგორ თუ არა მაქვს, მეფეო, შენი დიდი პაპის, ნეტარხსენებულ ლევანის ბოძებულს და კახბატონ ალექსანდრეს მიერ დამტკიცებულს სადავოდ მიხდი და მართმევ? რა უფლების ძალით, რისთვის, რა დანაშაული ჩამიდენია? ქვეყანა განა მართლა ჩალით არის დახურული! სამართალს ჩვენც ვიპოვნით! აბა, ვინმემ გაბედოს და კარზე მომადგეს, მე და ჩემი შვილებიც იქ დავხვდებით!

ამ სიტყვებით თავადმა ქაიხოსრომ ქარქაშიდან სანახევროდ ამოწვდილ ყამას ვადაზე ხელისგული დაჭკრა, ბოლომდე ჩააგო და გატრიალდა, რათა ცხენზე შემჯდარიყო, რომელიც შინაყმას ეკავა სადავით და თავს აქამდე ძლივს უკავებდა. ყმამ, მხარზე შვილდგადადებულმა მოისარმა, დაძახებაც ვერ მოასწრო, ბატონო, უკან მიიხედე, ღალატიაო, დაბნეულმა ველარც ცხენის სადავეს უშვა ხელი, რომ ქაიხოსროს უკანიდან ეძგერნენ. ერთმა შუბის ტარი დასცა თავში, ორი ხელებზე დაეკიდა, ხოლო მეოთხემ ყელში საბელი მოსდო და მთელი ძალით უკან გადაჰქაჩა.

ქაიხოსროს, ამ მართლაც და მთაკაცის, ერთბაშად წაქცევა მაინც ვერ მოხერხდა. ტყავის სარქმელმა შუბის ტარს დარტყმა შეუნელა, ხელებზე დაკიდებული მუხანათები კი გოლიათური ტანის შერხევით ჩამოიფერთხა, მაგრამ ამათ ნაცვლად ახლა სხვები ეძგერნენ, ნიკაპქვეშ ამოდებული თოკიც მეტი მონდომებით დაჰქაჩეს და ქაიხოსროც ნელ-ნელა უკან-უკან გადაიზნიქა, სულ ბოლოს კი თავგაბრუებულსა და სუნთქვაშეგუბებულს ბალახზე ფეხი აუცურდა და გულაღმა დაეცა. აქ კიდევ გაიბრძოლა, ზეზე წამოვარდნა და ქარქაშიდან სატევრის ამოღება დააპირა, მაგრამ ამჯერად

თავზე ღობიდან ამოგლეჯილი მარგილი დაჰკრეს, დაჰკრეს ისე მაგრად და გამეტებულად, რომ თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა და იმავე წამს გონება დაჰკარგა.

თავი XXVIII

ასინეთთან ერთად საღამოს წირვიდან მობრუნებულმა ქეთევანმა შემოგებებულ დიდებულებს აფორიაქება შეატყო და ორივე ხელი ღაწვებზე იტაცა:

— ღმერთო ჩემო, მოხდა რამე? ცუდი ამბავია?

— ვერაფრით გაგახარებთ, დედოფალო, — ნაბიჯი წინ წარსდგა და ყველას მაგიერ უპასუხა სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ.

— თქვით ჩქარა, ღვთის გულისათვის, რაღას გვაწამებთ! გაგვასწრეს ლეკებმა, მდევარი ხელცარიელი დაბრუნდა?

— უარესი მოხდა, დედოფალო!

— რა მოხდა, რა?

— მეფის ბრძანებით თავად ქაიხოსრო ომანიშვილს თვალები დასთხარეს!

— ვაი ჩემს დღეს უბედურს, ეს რა მესმის! — ქეთევანს მუხლი მოეკვეთა და ღონემიხდილი იქვე ჩაიკეცებოდა, ასინეთსა და შერმაზან ჩოლოყაშვილს რომ არ ემარჯვათ და ხელი დროზე არ შეეშველებინათ. — სად მოხდა ეგ ამბავი?

— კისისხევში, დედოფალო!

— ჩემდა მეხდასაცემად თეიმურაზი იქ საიდან გაჩნდა?

— ჩალაუბნიდან მობრუნებულიყო დედოფლის წყაროში მიმავალი. მეხსენებინათ, ლეკები დაგვეცენო და გეზი ეცვალა, ჯარი ანდრონიკაშვილისა და ომანიშვილის მისაშველებლად დაეძრა. ბატონი ბაქარი უკვე სასახლეშია და თქვენი უდიდებულესობის დაბრუნებას ელოდება!

— შემოიყვანეთ!

პირდაპირ ბრძოლის ველიდან მოსული ქიზიყის მოურავი რომ დარბაზში შემოვიდა, ფერმიხდილი დედოფალი სავარძლის ზურგზე იყო მისვენებული, თავს სეფექალები დასტრიალებდნენ და დამამშვიდებელ წვეთებს ასმევდნენ, გულხელდაჭდობილი დიდებულები კი ჭირისუფლებივით იდგნენ შორიახლო და ხმადაბლა მასლაათობდნენ, კისისხევთან მომხდარ უბედურებას არჩევდნენ.

ანდრონიკაშვილი დედოფალს ღრმა თავის დაკვრით მიესალმა და, როგორც წესი მოითხოვდა, მისგან მოშორებით გაჩერდა.

— თქვენ ამ ამბავს პირადად დაესწარით, თავადო? — ღონე მოიკრიბა და ჰკითხა ქეთევანმა.

— დიახ, დედოფალო!

— რა მოხდა, რამ გამოიწვია მეფის ასერიგად განრისხება?

— ბატონ ქაიხოსროს კაცი ეახლებინა, შენი ბუკი გამომიგზავნე, ჩავბერავ, ლეკებს თვით მეფე-ბატონი ვეგონები, შეშინდებიანო.

— მერე?

— სწყენოდა მეფეს, ეს როგორ გამიბედაო.

— სულ ეს არის?

— დიახ, ეს გახლავთ, დედოფალო.

— ვაი ჩემს თავს! შაჰის კარზე არ უნდა გამეგზავნა მე სვეგამწარებულს, ეს საბედისწერო ნაბიჯი არ უნდა გადამედგა! მე, უგუნურმა დედაკაცმა, თვით დავლუპე საფიცარი შვილი, სულის წაწყმედის გზაზე დავაყენე! ვაი ჩემს თავს! მხეცურ სისასტიკეს და ქვეშევრდომების უდიერ მოპყრობას ეგ ჩემი ცოდვით სავსე სპარსეთში შეეჩვია, თუმცა უკეთესი მაგალითები არც შინ უნახავს! ცოდვის ზღვაში ვცურავთ! თავადო შერმაზან, ეს რა ცუდად შეგისრულებია უბედური დედის ხვეწნა-მუდარა!

შერმაზან ჩოლოყაშვილი, თავჩაქინდრული და სხვებივით მგლოვიარესავით გულხელდაჭდობილი, სხვა დიდებულებთან ერთად იდგა დარბაზის კუთხეში და გაგონილით თავზარდაცემულს დანა კბილს არ უხსნიდა.

— კიდევ რა მოხდა იქ? — ქეთევანმა კვლავ ქიზიყის მოურავ ბაქარ ანდრონიკაშვილს მიმართა. — ეს არის მოგვახსენეს, რომ თავად ქაიხოსრო თავს დატეხილი უბედურება არ აკმარეს და ხალხი დაუხოცეს!

— მართალი გახლავთ, დედოფალო!

— იმათ რაღას ემართლებოდნენ?!

— წინააღმდეგობა გასწიეს, თავიანთი ბატონის მოტაცება და შინ წაყვანა მოინდომეს!

— მაშ, ერთმანეთი დახოცეთ, კაენის ცოდვა ჩაიდინეთ, სამშობლოს მტერი და ორგული გაუხარეთ? ვაი ჩემს დღესა!..

— მეფის ბრძანებას ვერ გადავედით, დედოფალო!

— წაბრძანდით ყველა, მარტო დამტოვეთ!..

უწლოვან ბალღებივით დატუქსულმა დიდებულებმა ერთმანეთს შეხედეს და შემდეგ ისევ სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ შეჰბედა:

— არ იქნება ახლა შენი მარტო დატოვება, დედოფალო, ქალებს მაინც დართე ნება...

ქეთევანმა ცხარე ცრემლით გალუმპული სახე ასწია, უხმოდ წამოდგა, კალთები აიკრიფა, დერეფანში გავიდა, საიდანაც კიბეს კარის ეკლესიაში ჩაყვდი და იმ კიბეს მარტოდმარტო ჩაუყვა.

ახალი ნანათლები იყო, გარეუბნებში მამლები ყიოდნენ, თავისი ამალით და მხლებელი ჯარით თეიმურაზი რომ სატახტო ქალაქის კედელს მოადგა, ჯარი მოედანზე, ქარვასლის წინ დასტოვა, თავად კი მარტო ძმები ვაჩნაძეები იახლა და სასახლეში შებრძანდა. მოედნიდანვე ჩანდა: ყველა სარკმელი განათებული იყო, დერეფნებსა და კიბისთავებში ჩირაღდნები ენთო და იქაურობას რაღაც არაქვეყნიური, მოყვითალო შუქს ჰფენდა. ეტყობოდა, სასახლეს არ ეძინა, მეფის მოლოდინში მთელი ღამე თეთრად გაეთენებინა. არ ეძინა, რასაკვირველია, არც ბატონ დედას, დედამიწის ზურგზე ერთადერთ არსებას, ვისთან გარდაუვალი შეხვედრაც თეიმურაზს აუხსნელ შიშს ჰგვრიდა და საზღაურად რაც არ დასთმობდა, ოღონდ ეს შეხვედრა უკვე მოლეული ჰქონოდა!

სეფექალებმა, თავიანთ სათაყვანებელ დედოფალთან ერთად რომ ტეხდნენ ღამეს და მას მარტომარტო მხოლოდ ხატებთან სტოვებდნენ, კიბეზე ამოსულ მეფეს მდაბლად თაყვანი სცეს და მზერა ოქროთი მოვარაყებულ მაღალ კარს მიაპყრეს, ეკლესიაში ბრძანდება, ლოცულობსო.

ქეთევანი შვილს მართლაც იქ დაუხვდა. იგი ღვთისმშობლის ხატის წინაშე იყო დამხობილი, მთელი არსებით ზენართან შერწყმული ლოცულობდა და საყდარში შვილის შემოსვლა და ფეხაკრეფით მოახლოება არც კი გაუგია. თეიმურაზმა დაჩოქილ დედის უკან მოიყარა მუხლი, ხატიდან მშვიდად გადმომზირალ ღვთისმშობელს, რომელსაც კალთაში ყრმა იესო უჯდა, კრძალვით მიაჩერდა, პირჯვარი თავადაც სამგზის გადაისახა და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა თავს ნება მლოცველისათვის ხმადაბლა, მიმქრალი ხმით მიემართა:

— ბატონო დედა!..

ქეთევანი არ შემკრთალა, რადგანაც კარგა ხნის უნახავი შვილის მოსვლას ყოველ წამს მოელოდა, მხოლოდ არ უნდოდა, თეიმურაზს ლოცვისას მოესწრო. ამიტომაც სეფექალები გააფრთხილა, ჩემს საძინებელ ოთახში შევიღეს და იქ დამელოდოსო, მაგრამ თავიანთი მეფის უჩვეულოდ დამწუხრებული სახის დანახვაზე სეფექალებმა თავგზა დაჰკარგეს, თეიმურაზს წინ ველარ გადაუდგნენ და ღვთისმშობლის ხატის წინაშე გულმხურვალედ მლოცველ დედას ისიც თავზე უდროო დროს წამოადგა.

ქეთევანმა ლოცვით შთაგონებული სახე მოაბრუნა, აჰხედ-დაჰხედა, შვილი თვალით გაზომა, თითქოს სურს დარწმუნდეს, ნამდვილად ის არის თუ არაო და მხოლოდ ამის შემდეგ გაიწო-

და ორივე ხელი, რათა ის ახლოს მოეხმო და დედაშვილური მოუთმენლობით გულში ჩაეკრა.

— ეს რა მწუხარება დამატეხე თავს, შვილო თეიმურაზ, ეს რა ახალი ჯავრი გამიჩინე! სადღა გამოვჩნდე, შინაურს თუ გარეშეს თვალი როგორ-ღა გავუსწორო!

— მაპატიე, ბატონო დედა, არ მეგონა, თუ ასე გეწყინებოდა!

— როგორ თუ არ გეგონა! როგორ თუ მეწყინებოდა! შენივე ტახტის ერთ უერთგულეს ყმაზე ხელი აღმართე, ღვაწლმოსილი, უდანაშაულო კაცი, ვინც ჩვენგან მხოლოდ მადლიერებას და წყალობას ელოდა, თვალების დასათხრელად გაიმეტე, ყმები დაუხოცე, ისე მოექეცი, როგორც ურჯულო ყიზილბაში და ახლა ღმერთს სცოდავ, ამბობ, ამას არ ვიზამდი, რომ მცოდნოდა, თუ დედას ასე ეწყინებოდაო?

— ქაიხოსრო ომანიშვილი თავს გავიდა, ბატონო დედა, თქვენმა ლმობიერებამ და წამდაუწუმ გუნდრუკის კმევამ მეტისმეტად გააამაყა! ეს მისი უსაზმნო თავმოწონება სხვებსაც, მეტადრე ყმაწვილ კაცებსაც რომ არ გადასდებოდა, ყველას თვალწინ სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო და დაისაჯა კიდევაც!

— ვაი ჩემს თავს! მე კი მეგონა, რომ აქ მონანიების სურვილმა მოგიყვანა!

— მე მოსანანიებელი არაფერი მჭირს, ბატონო დედა! ნუ დაგავიწყდება, რომ მირონცხებული მეფე ვარ და ეს მაიძულებს, ზოგჯერ ის მოვიმოქმედო, რაც შეიძლება გულით არ მინდოდეს! სხვაგვარად სამეფოში წესრიგი და უმცროს-უფროსობა არ დამყარდება, ყველა განაპირდება და თავზე წამოჯდომას მოინდომებს! თვით სულმნათმა რუსთაველმა ბრძანა, შიში შეიქმს სიყვარულსაო!

— შენ რუსთაველი სხვა თვალით წაგიკითხავს, შვილო და იქიდან ის აგიღია, რაც შენს საქციელს გაამართლებს! რუსთაველმა ისიც ხომ ბრძანა, უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვით ებისო. უხვი განა მარტო ის არის, ვინც ხელგაშლილია და ხალხიძვარს უშურველად გასცემს. უხვია ისიც, ვისაც მოყვასისათვის სიყვარული არ ენანება, რადგანაც მოყვასის სიყვარული ის ზენა ძალაა, აწყვეტილს რომ შეაჩერებს და ავის მოქმედს კეთილის ქმნისაკენ შემოაბრუნებს! შურისძიებით და ბოროტის წილ ბოროტის მიგებით სოფელი არ აშენებულა, პირიქით, აშენებული დანგრეულა, ვინაიდან დიდი დღე არ უწერია იმ ტაძარს, რომელიც ღვთისა და მოყვასის სიყვარულზე არ არის დაფუძნებული. შენ კი ამბობ, თუ ქვეშევრდომები სისასტიკით არ მოვდრიკე და სიყვარული გულში შიშით არ ჩავუნერგე, ისე უმცროს-უფროსობა არ დამყარდება და ყველა თავზე წამოჯდომას მოინდომებსო. ვშიშობ, შვილო, თეიმურაზ, შენი წინდაუხედავი საქციელი დიდ ზიანს მოგვაყენებს, ერთგულთ გაგვიორგულებს, ორგულები კი უფრო გაბედულად გაკეთებენ თავიანთ შავბნელ საქმეს!

— თუ მიბრძანებ, მარტომარტო წავალ, ფეხებში ჩავუვარდები და პატიებას ვთხოვ!

—საქებია ეგ შენი მონანიების წყურვილი. ეგ ხომ იმას მოასწავებს, რომ ჯერ მთლად არ დავლუპულვართ, ჯერ კიდევ შეიძლება შენი სულის ხსნა. ილოცე წრფელი გულით, შეევედრე უფალ ღმერთს, რომ შეგინდოს შენი წვრილმანი გულზვიადობა და დაუფიქრებელი საქციელი, რომელიც უწმინდური ძალის კარნახით ჩაიდინე. აღუთქვი, რომ ეს პირველი და უკანასკნელი იქნება, რომ ამიერიდან ღვთის უნებურ ნაბიჯს აღარ გადადგამ. რაც შეეხება თავად ქაიხოსროს, მასთან მისვლა და საქვეყნოდ ბოდიშის მოხდა უფრო დაგამცირებს და მეფურ ღირსებასაც უფრო შეგილახავს, ვიდრე კისისხევში დატრიალებულმა უსამართლობამ შეგილახა. მე თავად ვიღონებ რამეს, ჩემი სახელით ჯორჯაძეს და მაყაშვილს მივუგზავნი, იქნებ თავადი შერმაზანიც შევაწუხო. ისინი ეტყვიან,

რომ შენ სწუხარ და მზადა ხარ, ყველა ღონეს მიმართო, რათა ჩადენილი დანაშაული გამოისყიდო!

— ყველაფერს ისე ვიზამ, ბატონო დედა, როგორც შენ მიბრძანებ, ოღონდ კი... შენ მაპატიე!

— დედის გული მაშინაც კი გლოცავს, შვილო, როცა ენა გწყევლის, შენი დაწყევლისაგან კი ღმერთმა დამიფაროს! ახლა ილოცე და წადი. უკვე თენდება. რა ხანია, მამლები ყივიან. ᲫᲔᲪ წავალ, თვალს მოვატყუებ, თუმცა ახლა რაღა დროს ძილია!..

ᲗᲐᲕᲘ XXIX

კასპიისპირა მიწების დალაშქვრის მიზნით ყარაბახში მოსული შაჰ-აბასი, თუმცა ოსმალეთის სულთან მურადისათვის თვალის ასახვევად სპარსეთშივე ხმა ჰქონდა დაყრილი, გურჯების ქვეყნებში მივდივარ იქ ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლადო, იმავე 1606 წლის ზაფხულის დამდეგს იძულებული გახდა, გუდა-ნაბადი აეკრიფა და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

სამეფოს საძხრეთ ნაწილში, სპარსეთის ყურის პირას, დღემუდამ შფოთისა და ჯანყის მოყვარული ბელუჯისტანი ამბოხებულიყო, ყაენის შინ არყოფნით ესარგებლა, მის მიერ დაყენებულ ხელისუფალთ ცეცხლითა და მახვილით გასწორებოდა და თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოეცხადებინა.

ეს ურჩობა და შაჰის უზენაესი განმგებლობისაგან თავის დაღწევის მცდელობა ბელუჯთაგან პირველი არ იყო, მაგრამ, თითქოს წინასწარვე განწირულები არიანო, მცდელობა ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა.

შაჰი აღაშფოთა ბელუჯთა ახალმა გამოხდომამ. უკეთუ მათ ეს შერჩებოდა, ბელუჯისტანის მაგალითს სამეფოს სხვა, ამაზე ბევრად მეტი საბეგლარბეგოებიც მიმართავდნენ და მაშინ თვით შაჰ-აბასისა და მისი უახლოესი თუ შორეული წინამორბედების მიერ იარაღის ძალით შეკოწიწებული სპარსეთი, მეფეთ-მეფე კიროსის სპარსეთი, ოდესღაც დიდ ალექსანდრე მაკედონელს რომ უმკლავდებოდა, შემადგენელ სამეფოსამთავროებად დაიშლებოდა და მის ხელახლა შეკოწიწებას ვერა ძალა ვეღარ შესძლებდა. ამიტომაც შირვანისაკენ სალაშქროდ განმზადებული ყაენი მოულოდნელად აიყარა და შორეული ბელუჯისტანის გზას იმ იმედით გაუდგა, რომ მომდევნო წლის ამავე დრო მაღალი ალაჰის შეწევნით კვლავ მობრუნდებოდა, შირვანს დალაშქრავდა და შემახაში თავის ბეგლარბეგს დასვამდა.

შაჰის იძულებითი წასვლით მსწრაფლ ისარგებლეს ოსმალებმა, რომლებიც შემახაში კვლავინდებურად მკვიდრად ისხდნენ, თავიანთ გავლენას განძაც დაუმორჩილეს და მოლაპარაკება გამართეს გიორგი ქართლის მეფესთან, ქვემო ქართლისა და ტფილისის ციხეებში თავიანთი მეციხოვნე ჯარის ჩაყენება სთხოვეს, ვინაიდან, უკეთუ შაჰი ამბოხებულ ბელუჯთ სძლევდა და დათქმულ დროს კვლავ ყარაბახში გაჩნდებოდა, მისთვის ერთობლივი წინააღმდეგობა გაეწიათ და აქედან ერთხელ და სამუდამოდ გაედევნათ. სამაგიეროდ, ოსმალები ქართლს შაჰის მიერ წართმეულ ლორესა და დებედის ხეობას დაჰპირდნენ, რომლებიც დღესდღეობით კვლავ ყიზილბაშებს ეჭირათ და იქიდან ფეხის მოცვლას არც არასოდეს აპირებდნენ.

ქართლელი დიდებულები წინ აღუდგნენ ოსმალთა მოთხოვნას, თავიანთ მეფეს შაჰ-აბასთან ურთიერთობის აწეწვას, მის ხელახლა გადამტერებას არ ურჩევდნენ, მაგრამ უკვე სიბერით დაუძლურებულმა გიორგი მეფემ, თუმცა ამ დროს მწოლიარე ავადმყოფი იყო, ხასიათის უჩვეულო სიმტკიცე გამოიჩინა, ლორესა და დებედას ხეობის უკან დაბრუნების იმედით ტფილისის ციხის გასაღები ოსმალთ ჩააბარა.

მთელი ზაფხული და შემოდგომა სპარსეთიდან ერთმანეთის საწინააღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგო ხმები მოდიოდა. ზოგი ხმის თანახმად, შაჰ-აბასს მშობლიური ადარბადაგანი და ქურთისტანიც აუჯანყდნენ, კავკასიიდან უკან გამობრუნებულს თავრიზთან ომი გაუმართეს, დიდი ზარალი მიაყენეს, მაგრამ შემდეგ თავადაც დამარცხდნენ და სრული განადგურებისაგან გადასარჩენად თავი ქურთისტანის მიუვალ მთებს მისცესო.

ნამარიობებს განძაში თავრიზელი ვაჭრები მოსულიყვნენ და ეს ამბავი სწორედ მათ უარეყოთ. ყაენმა თავრიზი შეუჩერებლივ გაიარა და სატახტო ქალაქ ისპაჰანსაც მშვიდობით ჩააღწია, სადაც ჯარი შეივსო, ნუზლი მოიმარაგა და უდაბნოს გზით სამხრეთისაკენ, ბელუჯისტანის დასასჯელად გასწიაო.

გრძელმა და უხვთოვლიანმა ზამთარმა სრულ უამბობაში გაიარა. მხოლოდ შუა დიდმარხვაში გაჩნდა ცნობა, რომ შაჰ-აბასმა, რომელმაც თავისუფლების მოტრფიალე ბელუჯთა აჯანყება სისხლში ჩააჩრჩო, აჯანყების მოთავეები ხეებზე დაჰკიდა, იქ სრული სახელმწიფოებრივი წესრიგი აღადგინა, რაც ახალი, უფრო სანდო ბეგლარბეგის დანიშვნაში გამოიხატა, დიდძალი ჯარით თავრიზი გამოვლო და გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო.

ეჭვი არ იყო, შაჰმა სანდო წყაროებიდან იცოდა, რაც მისი აქ არყოფნის დროს კავკასიის ქვეყნებში მოხდა და ახლა მიზნად თავისი შერყეული მდგომარეობის აღდგენა დაესახა.

შეშფოთდნენ ისნის სასახლეში, არანაკლები შიშიანობა ჩამოვარდა კახეთშიაც, თუმცა მწყალობელი შაჰის წინაშე თეიმურაზი პირნათელი იყო და მას ქვეყანაში სამტროდ შემოჭრის არავითარ საბაბს არ აძლევდა.

აპრილის ორს შაჰ-აბასმა არაქსი გადმოვლო. ჯულფაში მას ერევნის ხანი მოეგება ყაენის მიერ დაბარებული ჯარით. რამდენსამე დღეს ნახჭევანში დაისვენეს, აღალი მოაწესრიგეს და საშინელ სიცხე-პაპანაქებაში, აქ ადრიან გაზაფხულიდანვე რომ ჩამოწვება ხოლმე, ყარაბახის მოტიტვლებულ გორებს შეუდგნენ.

ეს საგანგაშო ამბავი თეიმურაზმა და მისმა მაყრიონმა ოზურგეთს შეიტყო, სადაც ხანგრძლივი მოლაპარაკებისა და შუამავლების მისვლა-მოსვლის შემდეგ, გურიის მთავარ მამიას ასული ანა დანიშნა და რადგანაც გვირგვინოსანი მეფე ჩქარობდა და დროც მეტს აღარ ითმენდა, ჯვრისწერაც იქვე, შემოქმედის მონასტერში უნდა მომხდარიყო.

გურიის მთავართან დამოყვრება დედოფალ ქეთევანის ნება-სურვილით ხდებოდა, რასაც დარბაზის წევრი დიდებულებიც უყოყმანოდ იზიარებდნენ. ქეთევანმა სახიფათოდ ჩათვალა ტახტის ქვეშევრდომი რომელიმე კახი დიდებულის მძახლად მოკიდება, რათა ამით სხვები არ გაენაწყენებინა და მათ შორის ძალაუნებურად უთანხმოება არ ჩამოეგდო. ამიტომ სასძლოს თავისი სამეფოს ფარგლებს გარეთ ეძებდა და ბოლოს არჩევანი გურიელის მშვენიერ ასულზე შეჩერდა.

პირის სანახავად გაგზავნილმა შერმაზან ჩოლოყაშვილმა და ლუკა მაყაშვილმა სადედამთილოს ანას ახალთახალი ხატი მოართვეს, რომელსაც ჯერ კიდევ ზეთის სუნი ასდიოდა. ქეთევანმა ხატს საბურველი გადახადა, დახედა და ნაღვლიანი თვალები ერთბაშად გაუნათდა.

— მართლა ასეთია? ხომ პირადად ნახეთ?

— რასაკვირველია, დედოფალო! — ერთხმად მიუგო ორივე თავადმა.

ხატიდან პირმრგვალი, თვალებბრიალა, ტუჩებაბურცული თოთხმეტი-თხუთმეტი წლის გოგონა იყურებოდა. თითქოსდა სპილოს ძვლისაგან გამოქანდაკებული ნატიფი ცხვირი მას ოდნავ კეხიანი ჰქონდა, გამჭვირვალე ყურები — პაწაწინა, ხოლო ნიკაპი წინ წამოდგმული, რაც ქალური მიმზიდველობით აღბეჭდილ სახეს კიდევ მეტ ქალურობას ანიჭებდა. შინაგანი შუქით გასხივოსნებული სახის დამამშვენებე-

ლი იყო ბუნებრივად დატალღული, მუშკივით რბილი, ხშირი თმა, რომელიც გადატკეცილ სპეტაკ შუბლსა და სიფრიფანა ყურის ბიბილოებს ძლივს შესამჩნევად უფარავდა.

— აჩვენეთ თეიმურაზს. მე მგონია. უკეთეს სარძლოს ვერც კი ვინატრებთ, ნამდვილად სადედოფლო ქალია!

დედაზე ნაკლებ არც ჭაბუკი მეფე აღაფრთოვანა ანას ხატმა. გურიელის ნორჩი ასული როგორღაც ბატონიშვილ ხორეშანს მიამსგავსა და მის მიმართ პირველი დღიდანვე უნაზესი გრძნობით განიმსჭვალა.

რაკი სასძლოს მშობლებისაგან თანხმობა უკვე მიღებული იყო, ქეთევანს ამ საქმის გადადება და გაჭიანურება აღარ ურჩიეს. ასეთი იყო თვით თეიმურაზის ნებაც, რომელიც თავის საბედოსთან შეხვედრას მოუთმენლად ელოდა და ბრწყინვალე შვიდეულის შაბათს, აპრილის 7-ს, ხუთასი ცხენოსნისაგან შემდგარი მაყრიონი, რომელთა შორის თითქმის მეოთხედი მანდილოსნები და კახ დიდებულთა გაუთხოვარი ასულები ერივნენ, მუხრანში გადასასვლელ უმოკლეს გზას დაადგა, რათა შიდა ქართლში ტფილისის მოუვლელად გადასულიყვნენ.

ქართლის სამეფო კარზე უკვე იცოდნენ მეფე თეიმურაზისა და გურიის მთავარ მამიას ასულ ანას მოსალოდნელი დაქორწინების ამბავი და დედოფალ ქეთევანს ბრძნულ გადაწყვეტილებას უწონებდნენ. ნათესაური კავშირების გაბმას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ორივე მხარე ყოველთვის ესწრაფვოდა და იგი ავბედობის ჟამს დაქუცმაცებული საქართველოს კვლავ გაერთიანებისა და განუყოფელი სამეფოს შექმნის საწინდრად მიაჩნდა.

თეიმურაზსა და მის მაყრიონს მუხრანში თვით ბატონიშვილი ლუარსაბი დაუხვდა ბრწყინვალე ამალის თანხლებით. ქართლური გულითადობით უმასპინძლა და იმიერ საქართველოში მიმავალნი სურამის გადასახედებამდე გააცილა.

თეიმურაზმა მშვენივრად იცოდა, რომ პატივის უცემლად ან სატახტო ქალაქ ქუთაისში მიუპატიჟებლად არც იმერთა მეფე გიორგი გაუშვებდა, რაც ისედაც გრძელ გზას კიდევ უფრო გაუგრძელებდა და გურიელის ასულთან შეყრას ერთი ან ორი დღით გადასწევდა, მაგრამ ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ უბრალ გავლა მაინც არ ივარგებდა და ჩხერის ციხიდან, საიდანაც მეფე გიორგის საბატონო ქვეყანა იწყებოდა, კაცები დააწინაურა და, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, იმერთა ბატონს გურიის სამთავროში გადასასვლელად გზა სთხოვა.

წარგზავნილებს ცხენები ჭენებით დაეხოცათ, ერთობ ჩქარა ევლოთ და აქეთ სამოყვროდ მომავალი ჭაბუკი კახბატონის თხოვნა დანიშნულებისამებრ გადაეცათ. შოროპანში მეფეონს გრემში პატივნაცემი იმერელი ბატონიშვილები, მეფე გიორგის ძენი, ბაგრატ და ალექსანდრე, მოეგებნენ. მათ კახბატონს მეფე გიორგის მიპატიჟება გადასცეს, რომელიც საყვარელ თანამოძმეს სატახტო ქალაქ ქუთაისში ელოდებოდა და ძირულის პირას, მწვანე მოლზე გაშლილ სახელდახელო სუფრაზე მიიწვიეს.

მოყვრული დახვედრით უაღრესად ნასიამოვნებ თეიმურაზს პურმარილის მიღებაზე, რასაკვირველია, უარი არ უთქვამს, გულითაც მოილხინა, მაგრამ ბატონიშვილებს ის კი სთხოვა, მამად სახად გიორგი მეფესთან ბოდიში მომიხადეთ, რადგანაც მის სტუმართმოყვარულ თხოვნას ვერ ვასრულებ, მაგრამ, თუ გარემოებამ ხელი შემიწყო, აქეთობას აუცილებლად გინახულებთ და ვისარგებლებ მისი უდიდებულესობის განთქმული სტუმართმოყვარეობითო.

გურიის მთავრის კარზე ერთობ ღელავდნენ. კახეთის მირონცხებული მეფის მობრძანება დიდმარხვას დაემთხვა. სამარხვო პურმარილით ამოდენა სუფრის გაწყობა და ამდენი ხალხის ჯეროვნად გამასპინძლება ადვილი საქ-

ნე როდი იყო. ამიტომაც ურჩევდნენ მთავარს, განსაკუთრებით სამღვდელო პირები — ჯუმათელი, შემოქმედელი და ხინოწმიდული ეპისკოპოსები, ნიშნობა, რომელსაც შემდგომ, ვინ იცის, ჯვრისწერა და ქორწილიც მოჰყოლოდა, როგორმე ნაადგომებისათვის გადაეტანათ. თავად მამიაც ამ აზრისა იყო, მაგრამ კახ დიდებულებს აშკარად ემჩნეოდათ, რომ საქმის გადადებას შეიძლება მისი ჩაშლა მოჰყოლოდა და ისიც იძულებული გახდა ერთადერთი ასულის გასტუმრების სამზადისს შესდგომოდა.

შაჰ-აბასის ყარაბახში მოსვლის და ქართლ-კახეთის თავზე ახალი საავდრო ღრუბლის ჩამოწოლის ამბავი მთავარმა მამიამ, კახბატონის სასიმამრომ, მაშინ უკვე იცოდა, როცა გვირგვინოსანმა სასიძომ მისი სასახლის ზღურბლს გადმოაბიჯა, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, ამ შემაშფოთებელ ცნობას, ციხისძირელმა მებადურმა აჭარლებმა რომ ამოუტანეს, ჯერ მეფის ყურამდე არ მიუღწევიაო, პირში წყალი ჩაიგუბა და არაფერი გაუმხილა.

ნიშნობამ მშვიდობიანად ჩაიარა. რაც მთავარია, კახბატონი აღტაცებული იყო თავისი დანიშნულით, რომელიც ბევრად უფრო მიმზიდველი და მომხიბლავი გამოდგა, ვიდრე მხატვარს ხატზე ჰყავდა გამოსახული.

ანა დარცხვენილი იყო. მით უფრო მას შემდეგ, რაც მარჯვენა ხელის არათითზე საქორწინო ოქროს ბეჭედი წამოიცვეს, სახეზე ალმური ასდიოდა და ხანდახან მალულად თუ აჰხედავდა ხოლმე თავის მომავალ თანამეცხედრეს, რომელიც დანახვის უმალვე გულში ჩაუვარდა და უიმისოდ ცხოვრება უკვე ველარ წარმოედგინა.

— ბატონო მამია, — სიცილით უთხრა თავადმა შერმაზანმა მეფის სასიმამროს, როცა საამისოდ დრო იხელთა და სასაუბროდ დაიმარტოხელა. — ცოდვას დავიდებთ და წავწყდებით იმ ქვეყანაში, ეს გვრიტები რომ ერთმანეთს დავაშოროთ!

— როგორ თუ დავაშოროთ, თავადო? — მკვირცხლი ბოლ ბატონი გურიელი ერთბაშად ვერ შეხვდა, კახბატონისა და თვით დედოფალ ქეთევანის საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი დიდებული რას უარაკებდა.

— ბარემ ჯვარიც დაგვეწერა და საქმე დაგვემთავრებინა!

გურიელი დაფიქრდა, ჭაღარაგამორეული ხშირი შავი წვერი ხელში მოხვეტა და მცირეოდენი ფიქრის შემდეგ სტუმარს თვალი თვალში გაუყარა:

— წესი არ არის, მაგრამ ამ არეულ დროში როდის-და მოახერხებს ჩემი ბატონი სიძე კიდევ ჩამობრძანებას და ციცას წაყვანას?!

თავადმა შერმაზანმა, ქართული ენისა და მწიგნობრობის შესანიშნავმა მცოდნემ, იცოდა კუთხური სიტყვა „ციცა“ იგივე ასული იყო, ოღონდ მამის მიერ მოფერებით თქმული, მაგრამ რად უნდა გასჩენოდა გურიელს ეჭვი, რატომ უნდა გასჭირვებოდა კახეთის მეფეს სადედოფლოდ დანიშნული ქალის წასაყვანად გურიაში ჩამოსვლა?

— ყაენი მოსულა ყარაბახს, — მიიხედ-მოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო და ხმადაბლა დასძინა ნათქვამს გურიელმა. — მისი მოსვლის ნამდვილი მიზანი ჯერ არავინ იცის, მაგრამ გულში რომ სიკეთე არ უდევს, ამას რაღა დიდი მარჩიელობა უნდა!

— ეგ საიდან შეიტყვეთ, ბატონო მამია? ჩვენ ჯერ მსგავსი არაფერი გაგვიგია!

— საქმეც ეგ გახლავთ, თავადო! აჭარელმა მეთევზეებმა მოგვიტანეს ამბავი, ამათ კი ბათუმში ოსმალებისაგან შეუტყვიათ. ვერა ვარ კარგი მახარობელი, მაგრამ რა გაეწყობა!

— მართალს ბრძანებდი. ხელმეორედ აქ ჩამოსვლა მართლაც ვინ იცის, როდისღა მოგვიწევს! არ დაგიმალავთ, ჩვენი სურვილი თავიდანვე ეგ იყო, ქალი თან უნდა წაგვეყვანა, ახლა კი, როგორც ჩანს, სხვა გზა აღარც დაგვრჩენია! რას იტყვით?

— ნება თქვენია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოღონდ ჯობს, ეს ამბავი დრომდე ჩვენ ორს შუა დარჩეს, ახალგაზრდა მეფე-დედოფალს ბედნიერ დღეს ნუ ჩაეუშხამებთ!

დასცილდნენ თუ არა ერთმანეთს, თავადმა შერმაზანმა თავისიანები მოიხმო და გურიელთან გამართული საუბრის შინაარსი გაანდო, ოღონდ შაჰ-აბასი და ლაშქრით ყარაბახს მისი მოსვლა წინდახედულად არ უხსენებია.

თეიმურაზი სიხარულით შეხვდა უფროსების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ანასთვის არაფერი უკითხავთ. ის სეფექალებმა წაიყვანეს და თერძებს მიჰგვარეს, რომლებიც ჯვრისწერასა და ქორწილში ჩასაცმელ კაბას კერავდნენ.

ხმამ, კახეთის ღვთივკურთხეული მეფე თეიმურაზი და გურიელის ასული ანა შემოქმედში ჯვარს იწერენო, გურიის შორეულ, მთის სოფლებსაც კი მისწვდომოდა. ჯვრისწერაზე დასწრების მსურველმა ხალხმა ადრიან დილიღანვე დაიწყო დენა. ასეთი დიდი ხალხმრავლობა შემოქმედს ჯერ არ ახსოვდა. მოდიოდა ხალხი უკლებლივ ყველა წოდებისა და მოსაქმეობისა, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულნი, ვისაც როგორ შეეძლო და გზის ორივე მხარეს ადგილს იკავებდა. ხანდაზმულ ცნობისმოყვარეთ ახალგაზრდობა სჭარბობდა. მათ თვალწინ ასეთი სამახსოვრო ამბავი ჯერ არ მომხდარიყო და დიდი და პატარა ცდილობდა, ყოველივე საკუთარი თვალით ენახა და მეხსიერებაში სამუდამოდ აღებეჭდა.

თვით ტაძარი გაბრწყინებული იყო. შიგნით ჯერ არავის უშვებდნენ, მხოლოდ თავშიშველი მორჩილები გარბიგამორბოდნენ და ოქროცურვილ ჩარჩოებში ჩასმული ხატებით მოჭედილი საკურთხევლის წინ თვალისმომჭრელად მოციმციმე თითბრის მაღალ შანდლებში ახალ-ახალ სანთლებს ანთებდნენ. თაფლისა და საკმევლის სუნი, აქედან რომ გამოდიოდა, ხეხილის ბაღებში ჩაფლულ სოფლამდეც კი აღწევდა.

გარეთ, ვაკეზე, მწვანე კონცხის ძირას, რომლის წვერზედაც ტაძარი იყო აღმართული, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ და ხელებგაშლილნი და ფეხისწვერებზე შემდგარნი გაფიცხებული დაირისა, და ერთსულოვანი ტაშის ხმაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, უღრუბლო ლურჯ ცაზე შემაღლებული მზე ბებერი ცაცხვის ტოტებში გაიხლართა, როდესაც ოზურგეთიდან მომავალი დიდებული მხედრები ცხენებიდან ჩამოხდნენ და გზა ტაძრისაკენ ქვეითად განაგრძეს.

ყველაზე წინ შინდისფერ ჩაქურებში გამოწყობილი მალხაზი ბიჭუნები და ქართულ კაბებში მორთული მათი თანატოლი გოგონები მოდიოდნენ. ამათ სამღვდელოება მოსდევდა, რომელთა პირველ მწკრივში შემოქმედელი მღვდელმთავარი ევდემონი და ჯუმათელი და ხინოწმინდელი ეპისკოპოსები მოაბიჯებდნენ. სამეფო პორფირითა და ძოწეულით შემოსილი თეიმურაზი, მარჯვენა ნიდაყვქვეშ თეთრ საქორწინო კაბაში გამონაკვთული გურიელის ასულ ანას პაწია ხელი რომ მოექცია, სამღვდელოებას რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩენოდა და გზის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულ ერს თავის ოდნავი დაკვრით მიესალმებოდა.

ამათ აგრეთვე ოდნავი დაშორებით მოსდევდა თვით სასიმამრო კახთა მეფისა, გურიის მთავარი მამია, სახლეულითა და მრავალრიცხოვანი ამალითურთ, რომელშიაც კახი და გურული ღიდგვაროვანნი ერთმანეთში არეულიყვნენ და ასეთ მოკლე დროში დამეგობრებულნი გზას მხიარული მასლაათით იმოკლებდნენ.

ასაბია აღმართს შეუდგა. ხალხი აქაც ორ მწკრივად იდგა და ახალგაზრდა მეფე-დედოფალს გულწრფელი სიხარულით ხვდებოდა. ზემოთ, ტაძრის ყურთამდე ღია კარის წინ, გუნდი გად-

მოდგა და კახეთის ჭაბუკ მეფეს, ამიერიდან ამ კუთხის საყვარელი შვილი რომ ხდებოდა და მისი მხრის დამამშვენებელ გურიელის ასულ ანას, კახეთის დედოფალს, გალობით შეეგება.

ტაძარს დიდი კი ერქვა, მაგრამ მოზღვავებული ხალხი, ვინც შიგ შესვლა მოიწადინა, მაინც ვერ დაიტია. შევიდნენ მხოლოდ სამღვდელო პირნი, მამია გურიელი სახლეულითურთ, მგალობელთა გუნდი და ადგილობრივი თავადაზნაურობა, რომელთაც წინ სასიძოს მაყარი კახი დიდებულები გაატარეს, სხვები კი გარეთ დარჩნენ და სულგანაბული უგდებდნენ ყურს, რაც ტაძარში ხდებოდა.

პურ-ღვინისა და ლხინის მოყვარულ გურიელს საყვარელ ასულის ქორწილში მთელი სამთავრო მოეწვია. ტოტებგაბარჯღულ ასწლოვან ჭადრებში, მის ფართო ეზო-კარს რომ ამშვენებდნენ და ზაფხულის პაპანაქებაში მაცოცხლებელ ჩრდილს სცემდნენ, ძვირფასი სტუმრების მოსათავსებელი ფანჩატურების მოწყობას ჯვრისწერის წინადღესავე შეუდგნენ და გვიან საღამოს, მთვარე რომ ამოვიდა, კიდევაც დაამთავრეს.

არ მოსწონდა თავად შერმაზანს ეს დიდი სამზადისი, რასაც, რაღა თქმა უნდა, რამდენიმე დღის გადაბმული ღრეობა უნდა მოჰყოლოდა და იგი ყოველივე ამის მოთავე მთავრისათვის არც დაუმალავს.

— რა ვქნა, თავადო, — უპასუხა მას გულწრფელად შეწუხებულმა გურიელმა. — ჯვრისწერაზე დავთანხმდი, მამაპაპური წესი დავარღვიე, ახლა ქორწილსაც ნუ შემიკვეცავთ, ერთადერთ ასულს ვათხოვებ, ჩემი სული და გული მაგას მოყვება!

მამია გურიელი ცამდე მართალი იყო, მაგრამ სიმართლე იყო ისიც, რომ კახეთის მეფეს, როცა კარს ასე დიდი საშიშროება მოსდგომოდა, სამეფოს გარეთ ყოფნისა და თუნდაც საკუთარ ქორწილში განცხრომით ქეიფისა და ჭერში ქუდის სროლის დრო არ ჰქონდა!

— დღესა და ხვალ [illegible] — შეევედრა შერმაზანს იმით შეფიქრიანებული მამია გურიელი, რომ აქ დაყოვნებით მის სათაყვანებელ სიძე-ბატონს ვაითუ მართლაც გამოუსწორებელი ზიანი მოსვლოდა. — პატიოსან სიტყვას გაძლევ და ხატზე ვიფიცებ, ზეგ საღამოს თქვენი ნებართვით მე თავად გავუტყდები და ვეტყვი, რაც იმ ღვთისაგან შეჩვენებული ყაენის შესახებ შემატყობინეს!

თავადმა შერმაზანმა მხრები აიწურა და დათანხმდა, რადგანაც შეატყო, ერთადერთი ასულის უსაზღვროდ მოყვარული მამის გულს სხვაგვარად მოქცევა სამუდამოდ დაკოდავდა და სიკვდილამდე მოურჩენელ წყლულს გაუჩენდა.

თავი XXX

ვერ შეუსრულა თეიმურაზმა დაპირება იმერელ ბატონიშვილებს და თვით იმერთა მეფე გიორგის, აქეთობას აუცილებლად გამოგიელით და თქვენი სტუმართმოყვარეობით ვისარგებლებო. მას ისე სასწრაფოდ მოუხდა ცოლოურიდან უკან დაბრუნება, რომ არამცთუ სადმე რამდენიმე დღით შეჩერების, თავს სულის მოთქმის ნებაც არ მისცა და ლიხის მთა ისე გადმოვლო, უკან ერთხელაც არ მიუხედია. არც მუხრანში და არც სადმე სხვაგან ქართლის სამეფო კარისაგან არავინ დახვედრია, რაც მშვიდობიანობის დროს არამც და არამც არ მოხდებოდა, მხოლოდ გორში გამოეგება შიდა ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი თავადი პაპუნა ამილახვარი და ახალი შემაშფოთებელი ცნობა აუწყა: დიდძალი ჯარით კავკასიაში მოსული შაჰ-აბასი უკვე რანში იყო, განძის ციხეს გარს ადგა და ქართლ-კახეთის მეფეებს თავ-თავიანთი ჯარებით იქ სულთნის ჯარებთან საომრად იწვევდა.

გიორგი ქართლის მეფეს ჯერ საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომოდა. ტახტთან ახლო მდგომი დიდებულები, სამეფო დარბაზის წევრები სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი და არაგვის ერისთავი ნუგზარი რანში ჯარის გაგზავნას ურჩევდნენ და თავიანთ მოსაზრებას იმით ასაბუთებდნენ, რომ ეს ერთადერთი გზა იყო შაჰის გულის მოსალბობად და მისი შესაძლო შემოსევისაგან ქართლის გადასარჩენად. ეს იქნებ ურიგოც არ ყოფილიყო და მეფე გიორგი დიდებულების ნებას დაჰყოლოდა, რომ არა შიში, ჯარის მიშველებას ვერაგი შაჰი არად ჩამითვლის და როგორც კი ხელებს გაიხსნის, რანსა და შირვანს თავისად დაიგულებს, მაინც შემომესევა, რათა ქართლი ერთხელ და სამუდამოდ დაიპყროს, სპარსეთს მიუერთოს, აქ სამეფო ტახტი მოშალოს და ქვეყანა სპარსეთის ერთ-ერთ საბეგლარბეგოდ აქციოსო.

თვით პაპუნა ამილახვარი მეფე გიორგის დაეჭვებას საფუძვლიანად თვლიდა და თავის სადროშოში ციხეებს ამაგრებდა. თუ ვინიცობაა, მძვინვარე ყაენი მართლაც გადაწყვეტდა ქართლის დალაშქვრას, შიდა ქართლი მედგრად უნდა დახვედროდა და მეფისთვისაც საიმედო თავშესაფარი მიეცა.

კახეთი მოუთმენლად ელოდა თეიმურაზის დაბრუნებას და ეს ადვილად გასაგებიც იყო. ცვალებადი ხასიათის მქონე ახალგაზრდა მეფის ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად სამეფო კარს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო. დედოფალ ქეთევანს მაინც ეკისრა პირადი პასუხისმგებლობა: დარბაზის ერისა და თავისი სახელით სადროშოებში ლაშქრად წვევის წიგნები დაეგზავნა. ჯარის შეკრება და საომრად მზადყოფნა ორივე შემთხვევისათვის აუცილებელი იყო, იმ შემთხვევისთვისაც, თუ ამ ჯარს შაჰის ანკარგულების შესასრულებლად რანში გაგზავნიდნენ და იმ შემთხვევისთვისაც, თუ ყაენის ბრძანებას უგულვებელყოფდნენ და თავიანთ მიწა-წყალზე ყიზილბაშთა ურდოების მოსაგერებლად აღსდგებოდნენ.

მეტად შეუფერებელი დრო დაემთხვა კახეთის მეფეთა სასახლეში ახალგაზრდა დედოფლის, გურიელის ასულ ანას შემოსვლას. ათასი საზრუნავით გართული ქეთევანი ყოველნაირად შეეცადა, საქმე როგორმე ისე მოეწყო, რომ სასახლეში გამეფებული მოუსვენრობა და რაღაც საშინელის დაუოკებელი მოლოდინი ალერსსა და ფუფუნებაში გაზრდილ ყმაწვილ რძალს ნაკლებად ეგრძნო და გულში ამთავითვე შიში და უიმედობა არ ჩასახლებოდა.

როგორც კი ამცნეს, მეფე-დედოფალი უკვე ალავერდშია, სადაც სამადლობელო პარაკლისი გადაიხადეს და სულ მალე გრემშიაც შემოვლენო, რამდენადაც საქვრივო თალხები ამის საშუალებას აძლევდა, საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული ქეთევანი ასევე საზეიმოდ შეკაზმულ თავის თეთრ ჭაკზე შებრძანდა და ქალ-ვაჟთა დიდი გუნდისა და სასახლის დიდებულების თანხლებით შვილსა და რძალს სატახტო ქალაქის გალავანს გარეთ გამოეგება.

გალავანში ჩატანებულ სადარაჯო კოშკებში მეფისა და დედოფლის პატივსაცემად ძელსა სცეს და ქალაქის ღიდსა და მცირე ეკლესიებში სხვადასხვა ხმაზე ამღერებული ზარების რეკვა ატყდა. წირვად შემოსილ სამღვდელოებას ხატები და საეკლესიო დროშები გარეთ გამოესვენებინა და მეფეონს პირჯვრის წერითა და ხმაშეწყობილი გალობით ხვდებოდა.

ყოველივე ამის შემყურე და გამგონე თეიმურაზს გული კვლავ იმედითა და მხნეობით აღევსო. დედისადმი, ვინც ამგვარ დახვედრას უწყობდა, უსაზღვრო მადლიერებით განიმსჭვალა და როდესაც თავისი საფიცარი ერთას ბედნიერებით სახეგაბადრული ქეთევანი ისრის გასროლის მანძილზე მოახლოვდა, მსწრაფლ ჩამოქვეითდა და სულზე უტკბეს თანამეცხედრესაც, ამიერიდან კახეთის დედოფალს, ხელი შეაშ-

ველა, უნაგირიდან ძირს ჩამოსვა. ჩამოქვეითდნენ სხვებიც, ჩამოქვეითდა ქეთევანი და მისი ამალაც.

თეიმურაზი დედას მიეახლა, მის წინაშე მუხლი მოიყარა, ხელზე ეამბორა, ბოლოს გადაეხვია, როგორც ბალღობაში ჩვეოდა, დიდხანს ჰყავდა ასე გულში ჩაკრული, ბოლოს უკუდგა და მორცხვობისაგან ღაწვებაყირმიზებული თავდახრილი თანამეცხედრე წარუდგინა.

ქეთევანმა გულში ჩაიხუტა ჩიტის ბახალასავით დაფეთებული ყმაწვილი რძალი, ჯერაც მთლად ბავშვი, ნუკრის თვალები დაუკოცნა, უკან დასწია, ერთხელ კიდევ შეხედა, შესცინა და დედობრივი ალერსით უთხრა:

— კეთილი იყოს, შვილო ანა, შენი მობრძანება შენს საბატონო ქვეყანაში! ფეხბედნიერად შემოსულიყო, შვილო, თან მოგეტანოს სიხარული და გამარჯვება! ჩვენთვის ჯვარცმული მაცხოვარი ჰფარვიდეს ღვთისმშობლის წილხვედრ შენს სამშობლოს, შვილსა და მონაგარს!..

— დედოფალს გაუმარჯოს!.. დედოფალ ანას გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს მეფე თეიმურაზს და დედოფალ ანას!.. — ეაისმა აღტაცებული შეძახილები როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. ვაშაო, იგრიალა ერმა და შეიძრა ჰაერი, შეზანზარდა, მილოცვებსა და თავზე ოქროს ფულის გადაყრას ბოლო არ უჩანდა.

ისედაც მორცხვმა და მოკრძალებულმა პატარა დედოფალმა კიდევ უფრო დაირცხვინა, სიფრიფანა პაწია ყურები, ზედ პატიოსანი ქვებით ამოქარგული ძვირფასი საყურეები რომ უბრწყინავდა, წამოუჭარხლდა და მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

— გმადლობ, ბატონო დედა... — და მაშინვე ბედნიერებისაგან გულაფართხალებულ ქმარს შეხედა, სწორედ ისე ვიქცევი, როგორც შენ გინდა, თუ არაო.

ლხინსა და დროსტარებაში, ყოველ ქორწილს რომ ახლავს, სამი დღე ისე გაილია, საქმის თაობაზე კრინტი არავის დაუძრავს. პირმშვენიერი და ღვთაებრივი სათნოებით შემკული ყმაწვილი რძლის შინ შეხვედრის გაბედნიერებულ ქეთევანს მთელი ეს დღეები თავი ისე ეჭირა, თითქოს ახალჯვარდაწერილების სიამოვნებაზე ფიქრის მეტი სხვა საზრუნავი არაფერი ჰქონებოდეს. ჭმუნვა და სიმძიმილი არც სხვებს ემჩნეოდათ, თვით ძალუა ასინეთსაც კი, რომელიც თავისი ქმრისა და შვილის ზაგემში უღვთო დაღუპვის შემდეგ გაღიმებული აღარავის ენახა.

თეიმურაზმა ერთი ფიქრი ისიც კი იფიქრა, იქნებ ყველაფერი, რაც გურიაში, სიმამრის კარზე და შემდეგ ქართლში ჩამიკაკლეს, ჭორია და ცოლოურიდან წამოსვლა სულ ტყუილად დავაჩქარე, იმერთა მეფე და იქაური ბატონიშვილებიც ტყუილად გავაწბილე, შაჰ-აბასი კიდევაც რომ მოსული იყოს, თუ ღმერთი გწამთ, მე რას მერჩის, მამაპაპისეულ ტახტზე მისი მოწყალე ნებით ავსულვარ და მისი საწყენიც არც არა ჩამიდენია რაო.

მართლაც და, რას ემართლებოდა შაჰ-აბასი კახეთსა და მის ჭაბუკ მეფეს, რომელიც ახალგაზრდა ცოლის სიყვარულით ისე იყო გაბრუებული, ძილშიაც კი მის სახელს აბოდებდა და დღისა და ღამის მონაცვლეობას ვეღარც კი ამჩნევდა? მან კეთილსინდისიერად შეასრულა ის დარიგებაც, რითაც შაჰ-აბასმა შინ გამოსტუმრების წინ დამოძღვრა. გამოძებნა თავისი შესაფერი ქალი, შეირთო ცოლად და, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანს მართებდა, მთელი თავისი მამაკაცური გატაცება და სიყვარული ზენაარისაგან ბოძებულ ამ ქალს მიუძღვნა!

ერთადერთი ხინჯი, დროდადრო გულს რომ უღრღნიდა, კისისხვევში ჩადენილი სისხლიანი უსამართლობა იყო, რამაც სასახლეში და სასახლის გარეთ ყველა შეაძრწუნა და თვით ბატონ დედასაც კი თავზარი დასცა. ჩავლილ საქმეს ნაგვიანევი ვაი-ვიში ველარას შველოდა და ფიქრს აყოლილი ჭაბუკი მე-

ფე ხანდახან მოუქარვებელ სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა.

— შემინდე, უფალო ღმერთო, იესო მაცხოვარო, — ჩურჩულებდა, როდესაც სინდისის ქენჯნა შემოაწვებოდა და მთელ მის არსებას შეიპყრობდა. — მაპატიე ეს ერთი შეცოდება, მომეც ნება, უნებლიე ცოდვა მოვინანიო და როგორმე გამოვისყიდო! წამძლია კაცობრივმა სულმოკლეობამ, შურმა თვალები ამიბა, დამიბნელა და მერე აღარც კი ვიცოდი, რას ჩავდიოდი. ხომ გავუგზავნე აქიმი ომანიშვილს, ხომ შევუთვალე, რომ ვნანობ ჩემს საქციელს! მზად ვარ ვზღო, რითაც კი მოისურვებს! თუ დამსჯი, მარტო მე დამსაჯე, უფალო ღმერთო, სხვას ნურავის გაიმეტებ ჩემს დასასჯელად! შენს ხატზე მლოცველი ღედა და ანა, კახეთის დედოფალი, კარგად მიმყოფე!..

თავი XXXI

მეოთხე დღეს, დილაადრიან, დარბაზის ერი შეიკრიბა. წინადღეს გურული მაყრები გაისტუმრეს და უკან მობრუნებულები სახელდახელოდ განახლებულ სუფრას მოუსხდნენ. თეიმურაზი გამთენიის ჟამს დაწვა და ქეთევანის მიერ გამოგზავნილი კაცი რომ თავზე დაადგა და ღვიძება დაუწყო, ნამთვრალევმა თავი ძლივს წამოსწია. ანა უკვე ფეხზე იყო. მოახლეს წყალი და პირსახოცი გაეოართვა და პირი იმან დააბანინა.

ფეხზე წამომდგარ დარბაზის ერს ქეთევანი თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა, რაზედაც დიდებულებმაც თავის მდაბლად დახრით უპასუხეს და ახალთ-ახალი ტახტის მარჯვნივ, ოსტატებმა ამ ცოტა ხნის წინ რომ მოათავეს, თავის ადგილს მიაშურა.

დედოფალს ფეხისწვერებამდე ჩამოშვებული, ზომიერად გრძელკუდიანი შავი ხავერდის კაბა ეცვა, რაც მის უზადოდ თეთრ პირისახეს, არც მთლად ჯამხდარსა და არც ხორცსავსეს და ქალიშვილური კდემით ალეწილ ღაწვებს კიდევ უფრო საჩინოს ხდიდა. ოდნავ ამობურცული, ძლივს შესამჩნევი ბაერდი და ნატიფი ხელები, შავი ხავერდის ლბილ ფონზე რომ იხატებოდნენ, დაუფარავად ამხელდნენ ქეთევანის შინაგან სისადავეს და დედაკაცურ რიდსა და მოკრძალებას, ამ ქვეყანაზე მდედრად მოვლენილ ყოველ არსებას რომ უნდა ამშვენებდეს. მრავალი ჭირისა და ვაების გადამტანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალის დიდრონი, ღრმა თვალები სავსე იყო ზენაარისადმი მორჩილებით და დედობრივი სინაზით, რაც მისი დიდებული სახის ყოველ ნაკვთში განსხეულებულ პიროვნულ ღირსებას, ხასიათის სიმტკიცეს, გაბედულებას და უანგარიშო თავგანწირვისათვის მზადყოფნას როგორღაც არბილებდა და აგვირგვინებდა. ნაბიჯი ქეთევანს მტკიცე ჰქონდა, მაჩვენებელი შინაგანი ძალისა, მაგრამ, ამავე დროს, სიარულითა და თავის დაჭერით სიყმაწვილიდანვე ძვალ-რბილში გამჯდარ კრძალვასაც ავლენდა. მან მთელი დარბაზი ნელი ნაბიჯით გაიარა, გამორჩეული ყურადღება არავის მიმართ გამოუმჟღავნებია, პირჯვარი გადაიწერა და ფრთხილად აიკრიფა კალთები დასაჯდომად.

ამის შემდეგ მოადგნენ კარს მეფე-ედედოფალი, ხელიხელჩაკიდებულნი ზღურბლზე შედგნენ, დიდებულებსა და სამღვდელო პირთ თავის ღრმდ დაკვრით მიესალმნენ, შემოგებებულ ბოდბელ ეპისკოპოს სვიმეონს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ მეუფე სამოელის ადგილი დაიკავა და უკვე ალავერდელ მიტროპოლიტად იწოდებოდა, ხელზე ემთხვიენენ, მანამდე კი მის მიერვე მოწოდებულ ჯვარს ეამბორნენ და ნელი ნაბიჯით ტახტისაკენ წავიდნენ, რომლის მახლობლადაც ქეთევანი იჯდა და გვირგვინოსან შვილსა და რძალს თვალებაწყლიანებული შემოჰხარიროდა.

სატახტო დარბაზში და დიდებულების წინაშე გამოსვლა დედოფალ ანა-

სთვის ეს პირველი იყო და მამის კარზე ბევრად უფრო უბრალო მიღებაგასტუმრებას ჩვეული გურიელის ასული საგრძნობლად ღელავდა. სამაგიეროდ, თავის მდგომარეობას უკვე შეჩვეულ მეფეს თავი უფრო თამამად ეჭირა და გამოუცდელ, ყმაწვილ თანამეცხედრეს ამ სითამამით თითქოს კიდევაც ამხნევებდა. თავზე ორივეს გვირგვინი ედგა, გულსა და მხრებზე ოქრომკედით ამოქარგული ცისფერი მოსასხამის ქვეშ კი ბისონის კაბა მოუჩანდა.

თეიმურაზმა დედოფალი ოდნავ წინ გაუშვა, დააწინაურა, ხოლო თვითონ ტახტის წინ შეჩერდა, ხალიჩით მოგებულ საფეხურებზე ასასვლელად ხელი შეაშველა, ვიდრე დასვამდა, ისევ დარბაზისაკენ მოატრიალა, დიდებულთა და სამღვდელოთა კრებულს თავი ერთხელ კიდევ დაუკრა და დედოფალთან ერთად ტახტზე დაეშვა.

თავადმა ნოდარ ჯორჯაძემ, სახლთუხუცესმა, თავისი და დარბაზის ერის სახელით, მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა, რითაც ის უმთავრესად ახალსულ დედოფალს მიმართავდა. ტახტზე დაბრძანება ანას ერთხელ კიდევ მიულოცა, უსურვა სულიერი და ხორციელი სიმრთელე, შვილიერება და სვიანად მართვა ქვეყნისა, რომელიც გვირგვინოსან თანამეცხედრე თეიმურაზთან ერთად ღვთისაგან ებოძა.

— ბრძანე, ბატონო დედა! — მიმართა ქეთევანს თეიმურაზმა. — ვიცი, ჩვენს თავს კარგი ამბავი არ არის და გვირჩევნია, — მან თანამეცხედრეს გადახედა, ამის სახელითაც გეუბნებიო. — ისევ შენი პირით შევიტყოთ...

— მიმძიმს, შვილო, თეიმურაზ, ვისთვისაა ადვილი ამის თქმა!..

— ჩვენ გისმენთ! — თეიმურაზს სურვილი სწვავდა, ანას აალებულ ღაწვს ღაწვით შეხებოდა, მოზღვავებულ გრძნობებისათვის გზა მიეცა, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელი იყო და ის როგორღაც მოიკუზა, თითქოს კუს ბაკანში აპირებს შეძრომასო.

— თითქმის ერთი კვირაა, შვილო, რაც შაჰისაგან წიგნი მოგვიდა, შაჰის კაცები დღესაც აქ არიან და პასუხს ელიან!..

— რას გვიბრძანებს მისი უდიდებულესობა შაჰი?

— ოსმალებს ეომება. განძაში დგას და შენც იქ გიბარებს ჯარით!..

ეს გახლდათ სწორედ ის, რისაც თეიმურაზს ასე ეშინოდა და ჯერ კიდევ გორში მყოფი ღმერთს ევედრებოდა, დამიფარე, მიხსენ ამ სულთამხუთავისაგან და შაჰის ბრძანება, რომელიც ქართლის მეფე გიორგის მოუვიდა, შინ დაბრუნებულს მეც არ დამხვდესო. როგორ შეეძლო, ახალი შერთული ცოლი შინ დაეტოვებინა და თვით სხვის ომში ხმლის საქნევად წასულიყო! სულზე უტკბეს ანასთან განშორებას, თუნდაც ორი-სამი დღით, ის სიკვდილს და სამუდამო წაწყმედას არჩევდა.

თეიმურაზს არ დაუყოვნებია, დედას გარკვევით და ბეჭედდასმულად უპასუხა:

— მის უდიდებულესობა შაჰს უნდა გადავცეთ ჩვენი მობოდიშება, რომ ამჯერად არა გვცალია და ჯარის გაგზავნა არ ძალგვიძს. მიზეზიც ვაცნობოთ და გვწამს, რომ მისი უდიდებულესობა მწყალობელი შაჰი ამას ურჩობად არ ჩამოგვართმევს!

— ჯარი შეკრებილია, შვილო, — მცირედ შეიცადა და კრძალვით მიუგო მეფეს ქეთევანმა. — შენს მოსვლას აღარ დაველოდეთ და ძვირფასი დრო რომ უქმად არ დაგვეკარგა, ამ ბრძანების გაცემა ჩვენ ვიდეთ თავს!

— ნუ მიწყენთ და, ტყუილად შეწუხებულხართ, ბატონო დედა! ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ გადაუდებელ აუცილებლობას, რომ შაჰს ჯარით განძაში ვეახლოთ! ბოლოს და ბოლოს, ისიც კაცია და, თუ კარგად ავუხსნით, გაიგებს ჩვენს მდგომარეობას! ჯარის გაგზავნა რომ აუცილებელი იყოს, როგორ ფიქრობთ, მისი უდიდებულესობა წინასწარ არ შემითანხმდებოდა, პირობას არ დამადებინებდა, როდესაც მეფედ

დამამტკიცა და შუშიდან სამშობლოში მისტუმრებდა? ყველაფერი, ყველაფერი და, შაჰ-აბასს, ბატონო დედა, წინდაუხედავობას და გულმავიწყობას ვერ დავწამებთ, თადარიგიანობაც, მადლობა ღმერთს, არ აკლია. ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ. ახლა თუ ვინმე სხვაგვარად ფიქრობს, ბრძანოს, ჩვენ მზადა ვართ მოვუსმინოთ! — იმით კმაყოფილი თეიმურაზი, რომ სხდომის სადავეები ხელთ მტკიცედ ეპყრა, სწორედ პაპა ალექსანდრეს სიდარბაისლით ირჯებოდა, ზურგით ოქრომკედით ამოქარგულ საზურგეს მიენდო, ნიკაპს ქვემოდან მუშტი შეუყენა და სმენად გადაიქცა.

რამდენიმე წამს დარბაზში სრული სიჩუმე სუფევდა. ენის დასველება, პირველი სიტყვის თქმა, დაწყება ყველას უჭირდა. ბოლოს თიანეთის მოურავი თავადი ელიზბარ ჩოლოყაშვილი წამოდგა, მუშტში ჩაახველა და სიტყვა ითხოვა.

— ბრძანე, თავადო!.. — თეიმურაზმა თვალები ასწია და დაიმედებულმა, რომ თიანეთის მოურავიც ზუსტად იმას გაიმეორებდა, რაც თვით ეს იყო თქვა, მზერა მას მიაპყრო. მოხდა პირიქით: ელიზბარ ჩოლოყაშვილს სრულიად საპირისპირო აზრი აღმოაჩნდა და ეს არც დაუმალავს, მეფეს, დედოფლებს და დარბაზის ერს პირუთვნელად მოახსენა.

— ჩემდათავად, არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ, — დააბოლოვა მან თავისი სათქმელი. — მე კი, მეფეო, არა მგონია, შაჰი ჩვენმა მობოდიშებამ და ახსნა-განმარტებამ დააკმაყოფილოს და თავის განზრახვაზე, კახეთის ჯარი და მისი მეფე თავისი დროშების ქვეშ იხილოს, ხელი ააღებინოს! არ იზამს ამას აბასი, მერწმუნეთ, მეფეო. ბრძანება უნდა შესრულდეს. ყაენს ჯარით იქ უნდა ვეახლოთ, სადაც გვიბარებს! თუ ამას არ ვიზამთ, ღმერთმა გვაშოროს და, ის თავად მოვა. ღვთის მადლმა, ყიზილბაშის სტუმრობა ძვირი დაგვიჯდება. ერთხელ გვიგემნია თუ ორხელ! ძნელი არ უნდა იყოს მიხვედრა: ყაენი გამოცდას გვიწყობს. დიახ, გამოცდის მეა-მას მხოლოდ გამოცდა [illegible] ჩვენდამი შაჰის დამოკიდებულება და ნისი შემდგომი ნაბიჯი, მე თუ მკითხავთ, მაშინ გამოჩნდება, თუ ამ გამოცდას როგორ დავიჭერთ!

„დავიჭერთო“, ჩოლოყაშვილმა ამჯერადაც მრავლობითი რიცხვის გამომხატველი სიტყვა იხმარა, თუმცა ამ სიტყვაში არა ყველა აქ მყოფს, არამედ მხოლოდ მეფეს გულისხმობდა, ეს კი თეიმურაზს პირდაპირ ვერ შეჰბედა და გაჩუმდა.

მეფე კოპებშეკრული, გარინდებული იჯდა და გაგონილით აშკარად უკმაყოფილო წინ იყურებოდა. შაჰ-აბასის კარზე წლობით ნამყოფი, სადაც უთვალავი სისასტიკისა და უბრალო სისხლის დათხევის მოწმე გამხდარიყო და ჯერ კიდევ მოუმწიფებელ ყრმას ეს ყოველივე მეფეთა ძლიერების ერთ უპირველეს ნიშნად მიეჩნია, როგორ წარმოიდგენდა, თუ მისი გადაჭრილი და ბეჭედდასმული პასუხის შემდეგ დარბაზის ერს კიდევ რაიმე საკამათო და საჭოჭმანო დარჩებოდა! აფსუს, სად იყო შაჰ-აბასი და მისი მახვილი სიტყვა, ალმასივით რომ ჭრიდა! სულ ტყუილად ჩაევლო კისისხევის გაკვეთილს, რომელმაც ზიანი მეტი მოუტანა, ვიდრე სარგებლიანობა! დიდებულები ისევ ჯიუტად იცავდნენ თავიანთ თვალსაზრისს, ისევე ეტოქებოდნენ მეფეს, როგორც ადრე, კისისხევამდე, და მას, თეიმურაზს, ის-ღა რჩებოდა, დღე და მოსწრება ბეწვის ხიდზე ევლო, სადავე არც ბოლომდე მიეშვა და არც მეტისმეტად მოეზიდა!

ეს აზრი მაშინ უფრო განუმტკიცდა, როდესაც კახეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი თავადი, ბოქაულთუხუცესი დავით ჯანდიერი წამოდგა, მეფესა და ორივე დედოფალს ჭაღარა თავი მდაბლად დაუკრა, სამივეს შესაფერი თაყვანი სცა და ხმლის ვადის ბღუჯვას შეჩვეული ძარღვიანი ხელები სატევარზე დაიწყო.

— ბატონო მეფევ, დედოფალო ქეთევან, დედოფალო ანა, დარბაისელნო! მაღალმა ღმერთმა დიდი საქმის განსჯა და გადაწყვეტა გვარგუნა. აქ არავის ესწავლება: დღეს წყდება ჩვენი სამშობლოს ბედი. ან სწორად გადავწყვეტთ საქმეს და შევინარჩუნებთ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, ანდა გვაცთუნებს ეშმაკი, შევცდებით და კარზე მომდგარ მტერს ჩვენს პირისაგან მიწისა აღგვის საბაბს მივცემთ! სწორე ბრძანებს ბატონი ელიზბარი, — ჯანდიერმა სახე იქით მიაბრუნა, სადაც ჩოლოყაშვილი ეგულებოდა, დაინახა და ამან მის მსჯელობას თითქოს მეტი სიცხადე და დამაჯერებლობა შესძინა. — შაჰს დღესდღეობით ჩვენი ჯარი იმდენად არ სჭირდება, რამდენადაც სრული სიმშვიდე და ჩვენი მორჩილება. სწორს ვამბობ? — თავადმა დავითმა ახლა მთელ დარბაზის ერს მიმართა.

— სწორია, სწორი! — დააწიეს აქეთ-იქიდან.

დავით ჯანდიერმა, თითქოს სხვების მხარდაჭერით ძალი მოიცაო, ახლა მეფეს შეხედა, თვალი თვალში გაუყარა და პირდაპირ ჰკადრა:

— ჩვენს მორჩილებას შაჰი მაშველი ჯარის გაგზავნასა და თქვენი უდიდებულესობის პირადად ხლებაში ხედავს!

თეიმურაზს სახეზე ალმური მოეკიდა, ქეთევანს მიუბრუნდა და თავშეკავებული საყვედურით უთხრა:

— გამოდის, რომ, ბატონი დედა, თქვენ ყველას წინასწარ მოგილაპარაკიათ და გადაწყვეტილებაც ჩემს ჩაურევლად მიგიღიათ! ამ ხალხის შეყრა რაღა საჭირო იყო?

— დრო აღარ ითმენდა, შვილო, თეიმურაზ, — მიუგო ქეთევანმა, რომელიც აქამდე უდრტვინველად უსმენდა, რასაც დიდებულები მის ჯერაც უწვრთნელ გვირგვინოსან შვილს ეუბნებოდნენ და ურჩევდნენ. — თუ ჩემებრ ღვთის სასწაულებს მინდობილი დედაკაცის ჭკუასაც რაიმე დაეჯერება, დიდებულები, ასე ყველა ერთობით, მართალს მოგახსენებენ. ჯარი განძაში უსიკვდილოდ უნდა გაგზავნეს! შენ ჯერ ყმაწვილი კაცი ხარ და ვერც წარმოიდგენ, რა ვაება და ცოდვისკითხვა შეიძლება მოჰყვეს შაჰის სიტყვის გამრუდებას, მის შეუსრულებლობას!..

— არაფერიც არ მოჰყვება, ბატონო დედა! შაჰი ჩემი მეგობარია და ვიცი, მცირეზე არ გამწირავს!

— მეფე შენ ბრძანდები და ისე გადავწყვიტოთ, როგორც შენ ინებებ, შვილო, მაგრამ ვშიშობ, საქმე სანანებელი არ გაგვიხდეს. მერე ვაითუ გვიან იქნეს თითზე კბენანი!

— მერწმუნეთ, შაჰი ჩემი მეგობარია, შვილივით ვუყვარვარ და მცირეზე არ გამინაწყენდება, არ გამწირავს!

— შენ ჯვარი გწერია, მამაზეციერმა გაშოროს მისი ხვედრი, მაგრამ შაჰი ნეტარხსენებულ პაპაშენ ალექსანდრესაც მეგობრობას ეფიცებოდა. რომ გეკითხა, პურსაც არ გასტეხდა, თუ ის გვერდში არ უჯდა, კაკ-ენისელი კი ტკბილი სიტყვით გამოსტყუა, აღმოსავლეთის კარი მოგვინგრია და ბოლოს თავადაც, — ღმერთო, სასუფეველში ამყოფე მისი ტანჯული სული! — ქეთევანმა წამით თვალები აღაპყრო და პირჯვარი გადაიწერა. — სასიკვდილოდ გაიმეტა, მერე ვისი, ღვიძლი შვილის ხელით!

— რას ბრძანებ, ბატონო დედა, ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ ეგ უბედურება შაჰის ნება-სურვილით მოხდა? ერთი გენახათ, რა ცხარე ცრემლით ტიროდა! უკანასკნელი სიტყვებით წყევლიდა კონსტანტინეს. ღმერთმა დაგვიფაროს, ეგ თქვენი სიტყვა შაჰის ყურამდე მივიდეს! მაშინ მართლაც შემოგვწყრება და ვერც ველარასდროს შემოვირიგებთ!

— ნეტარ არიან მორწმუნენი, შვილო, თეიმურაზ. დედაშვილობას, მოვრჩეთ ამ უნაყოფო დავას. ეტყობა, სანამ თავად არ დარწმუნდები, ჩვენი სიმართლე შენთვის მიუღებელი იქნება! ჯარი შეკრებილია, ნუზლიც, როგორც მოგვიხერხდა, მოვამზადეთ. თუ არა გვსურს, კახეთი სპარსთ საძიგნად და

ასაოხრებლად მივცეთ, დღესვე უნდა გავაბრუნოთ შაჰის კაცები და დავაბაროთ, რომ მისი ბრძანების მონა-მორჩილი ვართ, ხოლო რაც შეეხება თვით ჯარს, შენის ნებართვით ორი ათას კაცს ვიახლებ და მას თვით მე გავუძღვები!

— დედა!.. — შეჰყვირა თეიმურაზმა და ზეზე წამოვარდა. წამოცვივდნენ სხვებიც. ყველა თავისებურად გამოხატავდა თავის განცვიფრებას და შეშფოთებას. — ეგ რა სთქვი, სად შენ და სად ომში ჯარის გაძღოლა!

— შენს წასვლას ჩემი წასვლა ჯობს, შვილო, — წყნარად, დამარწმუნელად თქვა ქეთევანმა, რომელსაც ეს საბედისწერო გადაწყვეტილება, ეტყობოდა, კარგა ხნის მიღებული ჰქონდა, მაგრამ უკანასკნელ წუთამდე არ ამხელდა. — ვინ იცის, გულში რა უდევს, იქ რა განზრახვით გიბარებს! უშენობა, ღმერთმა დაგვიცვას ფათერაკისაგან, ერსა და ქვეყანას დაღუპავს, ჩემი წასვლით კი მაინც და მაინც არაფერი დაშავდება. ამას გარდა, წავწყდები თქვენი საცოდაობით, ახალშეუღლებულ ცოლ-ქმარს ერთმანეთს ვერ დაგაშორებთ!

— დედა! — ერთხელ კიდევ ამოსკდა თეიმურაზს გულიდან, მიეახლა, სათაყვანებელი მშობლის წინაშე, რომლის თვალებშიაც მტკიცე გადაწყვეტილებას დაედო ბინა, ორივე მუხლი მოიყარა, შესაბრალისად მოიკუნტა და მისი ყინულივით ცივი ხელები, ერთადერთნი რომ ამხელდნენ ქეთევანის შინაგან მღელვარებას, გულში ჩაიხუტა.

— ადექი! — დაუყვირა დედამ. — არ შეგფერის. ჩვენ ყველა შენი ყმები ვართ, შენთვის თავის დადება გვმართებს, შენ კი ჩვენი მეფე და მბრძანებელი!

— მაგრამ რომ რაიმე დაგიშავოს იმ ურჯულომ?

— არ დამიშავებს, ადამიანის შვილია ისიც, მართლა ტყიდან გამოვარდნილი ნადირი ხომ არ არის!

— გზა დიდია, შეწუხდები, შენ ლაშქრობაში არასდროს ყოფილხარ!

— ვყოფილვარ, როგორ, ბევრ ... ვყოფილვარ, ახლა წავალ, არც დიდ გზასა და მის სიძნელეს შევუშინდები. რა ვუყოთ, როცა სამშობლოსა და ერის კეთილდღეობა ითხოვს, ამაზე მეტ სიძნელესაც უნდა გავუმკლავდეთ!

დარბაზის ერი და პატარა დედოფალი ანა ენაჩავარდნილი იდგნენ და გვირგვინოსანი დედა-შვილის ამ ურთიერთშესიტყვებას უსმენდნენ. არავის ეყო გამბედაობა, ჩარეულიყო, რაიმე ეთქვა, საყოველთაო ყურადღება მიექცია. გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო და მას უკან ვერა ძალა ველარ შემოაბრუნებდა.

თავი XXXII

ათასი ცხენოსნისა და ამდენივე ქვეითისაგან შემდგარი ჯარი, რომელსაც წინ საქვრივო ძაძებში გახვეული დედოფალი ქეთევანი და მისი მხლებელი რამდენიმე კახი დიდებული მიუძღოდა, გრემიდან თიბათვის ერთ წვიმიან დილას გავიდა და გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო. ერთობ მძიმე მოვალეობის მოსახდელად გზაზე დამდგარ ქეთევანს გასაცილებლად მთელი სამეფო კარი გამოჰყვა. სხვებთან ერთად აქ იყო თეთრ ტაიჭზე ამხედრებული პატარა დედოფალი ანა, ბატონიშვილ გიორგის ქვრივი ასინეთი და თვით მეფე თეიმურაზი, რომელსაც გული ეთანაღრებოდა, რომ სათაყვანებელ დედას, უმწეო ქალს, ამგვარ საეგებიო საქმეზე უშვებდა, მაგრამ მისივე სიტყვები ასულდგმულებდა, ვინ იცის, რა განზრახვით გიბარებს, შენს წასვლას ჩემი წასვლა ჯობს, უშენოდ სამეფოს დაღუპვა მოელის, მე კი ღვთის შეწევნით როგორმე თავს გავიტანო. ერთმანეთს ბელაქნის წყალთან დაშორდნენ, სადაც ქეთევანმა ორი წლის წინათ დიდი ომი გადაიხადა და ჯარმა გზა განაგრძო. თეიმურაზი დიდხანს იდგა წყლის პირას, თავსხმა

წვიმაში და წვიმის წვეთებით აჩქეფებულ ფონს გაჰყურებდა, რომელიც ჯარმა თქიფინ-თქიფინით გადაიარა და მწვანედ მოხასხასე კაკლების ხეივანში, გზას ორივე მხარეზე რომ გასდევდა, თვალს მიეფარა.

ქეთევანის ნაბიჯს, გვირგვინოსანი შვილის მაგიერ ჯარით რანს წასვლას, სადაც სულმდაბალ, გარყვნილ და ყოველი სიავის მოქმედ შაჰ-აბასს უნდა ხლებოდა, რათა მასთან ერთად ალყაშემორტყმულ განძის ციხეზე იერიში მიეტანა, კახ დიდგვაროვანთა ოჯახებში სხვადასხვანაირ შეფასებას აძლევდნენ. ბევრი ვინმე, უპირატესად ხანშიშესული მანდილოსნები და გაუთხოვარი ასულები, არ იწონებდნენ დედოფლის გადაწყვეტილებას. ზოგი მათგანი დაუფარავად ამბობდა, შვილს მეტისმეტად ანებივრებს და მცონარობას, მხარ-თეძოზე წოლას აჩვევს და იმ დალოცვილს აბა ეს როგორ ეკადრებაო. თუ მეფობა და ტახტი უნდა, მეფე ახალმოყვანილ ცოლის კალთაში კი არ უნდა ძვრებოდეს, ხელი უნდა გაანბრიოს და ქვეყანას მიხედოსო. იყვნენ ისეთებიც, ვინც ქეთევანს მაინც ამართლებდნენ, ვინაიდან მის თავგანწირვას სრულიად სხვა თვალით უყურებდნენ და ტახტისა და სამშობლოსათვის გაღებულ უანგარო მსხვერპლად თვლიდნენ. რა თვალითაც არ უნდა შეგეხედა, ეს მაინც ასე იყო და ამის უარყოფა არავის შეეძლო!

დედოფლის სურვილმა, შაჰის მიერ დაბარებულ ჯარს შვილის ნაცვლად თვით გასძღოლოდა და საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო, სათანადო დაფასება და მადლიერება გლეხობასა და ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებში ჰპოვა. აი, შვილოსა, დედოფალიც მაგისთანა უნდა და დედაცა, ამბობდნენ და ილოცებოდნენ ისინი, ვინ იცის, ურჯულო შაჰი მართლაც მახეს უგებს ჩვენს ყმაწვილ, გამოუცდელ მეფესა და თუკი ძალა და ღონე მოსდევს, მაშ, რაღა დედა იქნება, შვილისათვის მოქნეულ მახვილს მკერდი არ მიუშვიროს და მის მაგიერ არ დაეცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმა დიდად უშლიდა ხელს ჯარის წინსვლას, რადგანაც ტალახში, ნისლსა და ჯანღში ზედმეტი დრო იკარგებოდა, მეტადრე თავით ფეხებამდე გალუმპულ ქვეითებს ადგათ ძალა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ, როდესაც კაკ-ეხისლის ერთ ციცქნა სასულტნოს უკან მოიტოვებდნენ და აქაურ სიმწვანეს შაქის უდაბური სერები და ძნელად გასაღწევი ღრანტეები შესცვლიდა, წვიმა თუკი არ გადაიკარებდა, უდაბნოში სიარულს გაიიოლებდა და დაკარგული დროც ადვილად ანაზღაურდებოდა.

შინ წამოსვლიდან მესამე დღეს გავიდნენ მტკვარზე, ევლახთან. ბორანი, რითაც გაღმა-გამოღმა მხარეები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, წყალს წაეღო, არა და ამ ადგილას მტკვარი ღრმა იყო, უზარმაზარ მღვრიე ტალღებს მოაგორებდა და მასთან ხელდახელ შებმა უეჭველ ხიფათს გადაჰყრიდათ.

ქეთევანმა თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი და დავით ჯანდიერი მოიხმო და რჩევა ჰკითხა. ორივემ ერთი და იგივე ურჩია: მტკვარს აღმა, სამუხის ჭალებისაკენ აჰყოლოდნენ, გზადაგზა სადმე ფონი ენახათ და გაღმა გადასასვლელად მხოლოდ ამის შემდეგ ეზრუნათ.

ეს გეგმა გზის გაგრძელებას მოითხოვდა, მაგრამ სხვა საშველი არ ჩანდა. ქეთევანი დათანხმდა და აღმოსავლეთისაკენ მიმავალმა ლაშქარმა პირი იბრუნა და მდინარეს აღმა, დასავლეთისაკენ აჰყვა.

მხოლოდ მეორე დღის ბოლოს მიაღწიეს სასურველ ადგილს და იქვე დაბანაკდნენ, გაღმა გადასვლას კი გათენებამდე შეუდგნენ. წყალი აქაც ღრმა იყო, ალაგ-ალაგ კაცს თავზე გადასდიოდა, მაგრამ თუ არ შეუშინდებოდი და მუხლიც მოგდევდა, გაღმა ნაპირს როგორმე გააღწევდი.

ქვეითები მხედრებს უზანგებში ჩაეჭიდნენ, ღმერთი ახსენეს და მობუყბუ-

ყე წყალში შევიდნენ. სხვაზე მეტად მაღალ თვლებზე შეყენებული ურმებისა და საპალნით წელში გაწყვეტილი სახედრების გადაყვანა გაჭირდა.

ღვთის განგებით გამოსავალი აქაც გამოინახა. ტვირთი აქლემებით გადაზიდეს, დაცარიელებულ ურმებს კი მარჯვე ბიჭები აქეთ-იქით ამოუდგნენ, სახედრებიც ამ ურმებს გამოაბეს და ურთიერთგამამხნევებელი შეძახილებით წყალუხვ მდინარეს შეუტიეს.

მტკვარზე გადასვლა მთელ დღესა და კიდევ ნახევარ ღამეს გაგრძელდა. შუაღამე მოწევნილი იყო, უკანასკნელი ურემი რიყეზე რომ ამოაგორეს და ყევარში გაბმული გაწამებული ხარ-კამეჩი, წყალი რომ წურწურით გასდიოდათ, უღლიდან გამოხსნეს.

აქედან განძის კედლებამდე აღარცთუ ისე დიდი გზა იყო დარჩენილი, მაგრამ ამ გზის გავლა და დანიშნულ ადგილამდე მისვლა გარკვეულ დროს საჭიროებდა. მუდამ შარის მაძიებელ შაჰ-აბასისათვის ამასობაში შეიძლება მოთმინებას ეღალატა და კახეთის დამაქცევარი გადაწყვეტილება სწორედ აᲩ დროს მიეღო. მალე გამოირკვა, რომ მიუვალ ციხეში გამაგრებულ ოსმალებთან ომში ჩაბმულ შაჰს, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ამის თავი არ ჰქონდა, რადგანაც ოსმალო ასკერები და იანიჩრები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ და იარაღის დაყრასა და ციხის ჩაბარებას სულაც არ აპირებდნენ.

ქეთევანმა მაინც გამოიჩინა საჭირო წინდახედულება და მხლებელ დიდებულთა რჩევით ორმოციოდე მხედრისაგან შემდგარი რაზმი დააწინაურა. რაზმი, რომელსაც სათავეში თავადი ბებურ ვაჩნაძე ჩაუყენეს, განძაში სხვებზე ადრე უნდა შესულიყო, დედოფალ ქეთევანის სახელით შაჰს ბანაკში ხლებოდა და კახეთიდან მომავალი მაშველი ძალის მოახლოება ეუწყებინა.

განძის აღმოსავლეთ კარამდე ნახევარი საათის სავალი გზაც აღარ რჩებოდათ. როცა ქეთევანის მიერ შაჰის ბანაკში წარგზავნილი მალემსრბოლები უცხო გრგვინვა-გრიალმა, და მეხოატეხამ შეაჩერა. ყველამ ერთბაშად ცას აჰხედა და, ღმერთო, შენ გვიშველეო, პირჯვარი გადაისახა. ცა მოწმენდილი იყო. ერთი ფთილა ღრუბელიც არსად ჩანდა. მაშ, ეს გრუხუნი და ელვა-ჭექა საიდან ისმოდა? მალე მიხვდნენ, რომ ეს შაჰ-აბასის ზარბაზნების ხმა იყო, რომლებიც ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეს ცეცხლს უშენდნენ და ყოველსავე ცოცხალს მიწის პირისაგან აღგვას უქადდნენ. როგორც ეტყობოდა, ციხეში მოკალათებული ოსმალო მეზარბაზნეებიც ამითვე პასუხობდნენ და ისე ჰგავდა, ამ ყოვლის მომსვრელი ორომტრიალის შემდეგ ქვა ქვაზე აღარ უნდა დარჩენილიყო!

მალემსრბოლების ეს უკანასკნელი წინასწარმეტყველება არ გამართლდა, რადგანაც უდაბურ სერზე აღმართული რუხი ციხეც უვნებელი დაუხვდათ და ერთიმეორეზე მიჭუჭკული ბანიანი სახლებისაგან შემდგარი ქალაქიც, რომელსაც საშინელ სიცხე-პაპანაქებაში ცეცხლი წაჰკიდებოდა და თავზე მტვრისა და კვამლის უზარმაზარი ბოლქვები ადგა.

ქეთევანის წარგზავნილები შაჰ-აბასმა ქალაქის კედლის გარეთ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხევგაღმა გამართულ თვალუწვდენელ სამხედრო ბანაკში მიიღო. ესიამოვნა, ტაში შემოჰკრა, კახელთა ლაშქრის მოახლოების ამბავი რომ აუწყეს, თუმცა მისი სიმცირე გულზე ეკლად დაესო, მაგრამ როდესაც შეიტყო, ლაშქარში თვით მეფე თეიმურაზი არ არის, ჯარს ამჯერად დედამისი, დედოფალი ქეთევანი მოუძღვისო, მოიღრუბლა, მსუქან ტუჩებზე შხამგარეული ღიმილი გაუკრთა და მის წინ დაჩოქილ მალემსრბოლებს ქართულად უთხრა:

— მაშ, არ მენდობა ჩემი უმცროსი ძმა, ჩემი გაზრდილი თეიმურაზი, მერიდება და იმის ნაცვლად, ჯარით პირადად მომეშველოს, როგორც ათადამ ბაბადამ მოგვდგამდა, დედას მიგზავნის?

ჩემმა მზემ, უცნაური საქციელია! დიდებულ ჩვენს სიდედრს, ქეთევანს, ჩვენ დიდის დიდებით მივიღებთ. მისი სიტურფე, სიბრძნე და დარბაისლური სიტყვა-პაუხი სამყაროს ოთხივე კუთხივ განთქმულია. ჩვენც შორიდან ვეთაყვანებით და ბედნიერად ჩავთვლით თავს, თუ ჩვენს გვერდით ვიხილავთ, მაგრამ ვით გასწევს დედოფალი მისი ძის მაგივრობას, ვისაც გვირგვინი ჩვენი ხელით დავადგით? მოხარული ვარ, რომ დაქორწინებულა, ჩვენი რჩევა აღუსრულებია, ეს ჩვენ აქამდეც ვიცოდით, მაგრამ ლიხს აქეთ ქალი აღარ მოიძებნა, მაინცა და მაინც სულთნის ფერხთა მტვერ გურიელს რომ არ დამოყვრებოდა? იქნებ გურჯისტანის ვალ გიორგის მსგავსად სულთნის ჯარების მოწვევას აპირებს ციხეებში ჩასაყენებლად და ჩვენს წინაშე გამოსაჩენი პირი აღარა აქვს?

ბებურ ვაჩნაძის მცირერიცხოვან რაზმს, რომელიც ყაენის ბანაკში დედოფლის დანაბარების გადმოსაცემად მოვიდა, მთავარი ძალებისათვის თითქმის მთელი დღის სავალით გამოესწრო. კახეთის ჯარის განძის სანახებში შემოსვლის დღეს შაჰმა უდიდესი თავმდაბლობა გამოიჩინა, რასაც საჭიროების შემთხვევაში დროდადრო მიმართავდა ხოლმე, ბრწყინვალე ამალა გაიყოლა და თვით მიეგება მცირედი ჯარით მის შესაწევნავად მოსულ სიღედრს. კახი დიდებულები და თვით დედოფალი ქეთევანი განცვიფრებული დარჩნენ, როდესაც წინ გაგზავნილმა ბზირებმა ცხენები მოაჭენეს და დედოფალს მისი უდიდებულესობა შაჰის ბანაკიდან გამოსვლისა და მოახლოების ამბავი ამცნეს.

ნაცრისფერ ჯვალოს კაბა-ჯუბაში გამოწყობილმა და მსხვილ, მრგვალ თავზე სპილენძის ელვარე ჩაჩქანდადგულმა შაჰ-აბასმა ისრის სატყორცნ მანძილზე დარახტულ ცხენიდან ჩამობრძანება ინება და როდესაც სხვებიც ჩამოხდნენ, დედოფალ ქეთევანის შესახვედრად ქვეითად გამოემართა. დედოფლის მხლებელი კახი თავადები მსწრაფლ ჩამოქვეითდნენ, ქეთევანმა კი ცხენიდან ჩამოხდომა თავისი ქალური ღირსების შელახვად მიიჩნია და ქართულ საქალო უნაგირზე ოდნავ პირშებრუნებით ჩამომჯდარმა, რასაც ტანის მდგომარეობა იწვევდა, გზა განაგრძო.

მაშ, ეს იყო სულ შაჰ-აბასი? ეს ჯვალოში გამოკრული ბაჯაჯღანა, მიკიტანს რომ უფრო მიაგავდა, ვიდრე უკიდეგანო სპარსეთის ძლევამოსილ მბრძანებელს? ეს იყო ამდენი საბრალო ქალის ნამუსის შემბილწველი, დამამდაბლებელი და გამბახებელი, რომელთა შორის ქეთევანის გულის ნაწილი, ჯერ მთლად ბავშვი ბატონიშვილი ელენეც ერია? ნუთუ ქვეყნად არ არსებობდა არავითარი ძალა ამ არამზადის ასალაგმავად და დასასჯელად? ოო, იუდავ, ოო, მტარვალო, კაცთა მოდგმის რისხვავ, ნუთუ შენც დედის ძუძუ გიწოვია, ნუთუ შენც დედის საშოში ჩაისახე და ოდესღაც უმანკო, უცოდველი ბალღი იყავი?!

კახი დიდებულები თავზარდაცემული მოსდევდნენ თავიანთ ამაყ დედოფალს, ვინც მძინვარე შაჰ-აბასის წინაშეც კი ქედი არ მოიდრიკა, ცხენიდან ჩამოხდომა არ იკადრა და ამ ყოვლად უადგილო სიამაყით თავსაც იღუპავდა და მხლებელთაც ღუპავდა. ყაენს ხელს არაფერი უშლიდა, ამპარტავანი გურჯი დედაკაცი იმავე ცხენის კუდზე გამოება, რომლის ტახტაზეც ასე თავმომწონედ იჯდა და მიუხედავად საშიშროებისა, პირადად მას და მის ქვეშევრდომებს რომ მოელოდა, წარბსაც არ იხრიდა. მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი, წარმოუდგენელი რამ: უცნაურად გარინდებული, მონუსხული ღა ფარ-ხმალაყრილი ყაენი ისერიგად მოხიბლა მხედრის დიდებულმა, აუმღვრეველმა სიმშვიდემ, რომლის მსგავსი ჯერ არაფერი ენახა, ნაცვლად იმისა, მრისხანე ბრძანება გაეცა, მას მოწიწებით მიეახლა, სალამი პირველმა ჰკადრა, ჰარამხანაში ნასწავლი ქართულით

ქათინაურიც უთხრა, თქვენ, დედოფალო, ისევე მშვენიერი ბრძანებულხართ, როგორიც ქორწინების პირველ ღამეს იყავითო, მეფური ხელიც მიაშველა და ცხენიდან ჩამოსვა.

დასცინოდა, რათა მეორე წუთს შუბლი შეეკრა და მისი ცხენის კუდზე გამობმა ებრძანებინა, თუ ამას რაღაც ფარული მიზეზის გამო სჩადიოდა და კახეთის ერთი ციდა სამეფოს ქვრივ დედოფალს ფეხქვეშ ეგებოდა?

— თქვენო უდიდებულესობავ, — მიმართა ქეთევანმა. — ჩემი შვილი, კახეთის მეფე თეიმურაზი, ათას ბოდიშს იხდის თქვენი უდიდებულესობის წინაშე, რომ ვერ გეახლა. თქვენი უდიდებულესობის კაცები რომ მოვიდნენ, ქალის მოსაყვანად გახლდა წასული იმერთა ქვეყანაში. ხელიც ამან შეუშალა და ამჯერად მხარში ვერ ამოგიდგა, რისთვისაც ბოდიშს გიხდის. ჩვენი პირით გადმოგცემს მოლოცვას ბელუჯთა ჯანყის ჩაქრობის გამო, რასაც ჩვენც ეუერთდებით და სრულ მზადყოფნას გაცხადებთ, რომ შემდგომ ლაშქრობაში, რომელსაც თქვენი უდიდებულესობა ინებებს, უფრო დიდი ჯარით გეახლოს და თავისი ქვეშევრდომული ერთგულება დაგიმტკიცოს!

ქეთევანმა არ იცოდა, რომ შაჰს ჭირივით სძულდა ბელუჯთა მოუსვენარი ტომი, ისპაჰანს წამდაუწუმ რომ უჯანყდებოდა, არც მისი ამ ბოლო დროის აჯანყება და მისი სისხლში ჩახრჩობის მოგონება ჰგვრიდა დიდ სიხარულს. აჯანყებულებმა თავიანთი თავისუფლება შაჰს ძვირად დაუსვეს და ათასობით თანამემამულის სიცოცხლე შეიწირეს. ბელუჯებისა და მათი ჯანყის უადგილო ადგილას ხსენება სხვას იქნებ სიცოცხლედაც დასჯდომოდა, მაგრამ დიდებული ბანოვანის წინაშე, რომლის მეფურ მშვენიერებასაც შაჰის მთელი არსება მოეხიბლა, მან ეს არ შეიმჩნია და იმავე კილოზე, რა კილოზედაც აქამდე ელაპარაკებოდა და ქათინაურს ქათინაურზე აფრქვევდა, უპასუხა:

— გილოცავთ ვაჟიშვილის გაბედნიერებას! ამბობენ, კალმით [illegible] ... მოიყვანაო, თუმცა [illegible] — [illegible] მტრის, სულთნის ფერხთა მტვერ გურიელის ასული კი ყოფილა! ჩემს გაზრდილ თეიმურაზს მაინც მართებდა ხლება. ვფიცავ ალაჰს, თვალი სულ გზაზე მეჭირა და მოუთმენლად მოველოდი!

— მერწმუნეთ, თქვენო უდიდებულესობავ, — ქეთევანი მიხვდა, შაჰის ეს სინანული, მისი ნატვრის გამტყუნებარა უბედურებასაც მოასწავებდა და მხურვალედ უპასუხა, რათა მის გულში დანთებული რისხვის ხანძარი ოდნავად მაინც გაენელებინა. — თეიმურაზი თქვენი უდიდებულესობის ერთგული ყმაა. სიყვარულით იგონებს თქვენს მაღალ კარზე გატარებულ ბედნიერ დღეებს და იმედს არ კარგავს, რომ იმ დღეების განმეორება კიდევ ეღირსება!

— ვიცით, ვიცით!..

— დამპირდით, თქვენო უდიდებულესობავ, რაინდული სიტყვა მომეცით, რომ წყენას გულში არ ჩაიდებთ და მომავალშიც თეიმურაზის მწყალობელი იქნებით!

— თქვენ კი, დედოფალო, ისევე მშვენიერი ბრძანებულხართ, როგორიც ქორწინების პირველ ღამეს იყავით! — შაჰი ვერა და ვერ შელეოდა თავის პირველ ქათინაურს, ქეთევანის დანახვის უმალვე ენას უნებლიეთ რომ მოადგა. — ამბობდნენ, მაგრამ, მართალი მოვახსენოთ, არა მჯეროდა, თუმცა კახეთი და მთლიანად გურჯისტანი ბუდეა ლამაზი ქალებისა. ამიტომაცაა, ტყვეთა ბაზრებზე გურჯი ხათუნი ყველაზე ძვირად ფასობს. რამდენი მხევლად გაყიდულა და შემდეგ დედოფლის გვირგვინი დაუდგამს! დედამიწის ზურგზე არსად არის ისეთი ტურფა ქალები, როგორიც გურჯისტანში!

ქეთევანს სახესა და ყელ-კისერზე ალმური მოერია, ყურის ბიბილოები ვარდისფრად შეეფაკლა. არ მოელოდა, თუ ექვს ათეულ წელს გადაცილებული ავხორცი შაჰი, რომელსაც მკლავზე

მისი ნორჩი ასული უწვა, ბილწი თვალით შემოხედავდა და ამას ასე უტიფრად ეტყოდა. პასუხის გაუცემლობა, მოყრუება არ ეგებოდა. მან ყველა შინაგან ძალას, მთელ ნებისყოფას მოუხმო და მშვიდად უპასუხა:

— გმადლობთ, რომ ასე აღმატებული აზრის ბრძანდებით ქართველ ასულებზე!

შაჰი მოიღუშა, სიტყვის ბანზე ავდება არაფრად ჩააგდო:

— განა ეგ იმისათვის გაგიმხილეთ, რომ მადლობა მითხრათ!

— მადლიერება არასოდეს არაფერს გააფუჭებს, თქვენო უდიდებულესობავ!

— ვატყობ, თქვენ ისეთივე ჭკვიანი ბრძანდებით, დედოფალო, რამდენადაც მშვენიერი!

— გმადლობთ, თქვენო უდიდებულესობავ! თქვენს ნაბრძანებს მე სასიამოვნო ქათინაურად ვღებულობ. ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცის ჭკუა აბა რა სახსენებელია, მით უფრო მახვილი გონებითა და საარაკო სიმამაცით განთქმული ისეთი პირისაგან, როგორიც თქვენი უდიდებულესობა ბრძანდება!

შაჰ-აბასს ქება ესიამოვნა, ესიამოვნა ამ უკარება ქალის მიერ თქმული, ქალისა, რომელსაც უკვე ამოდენა შვილები ჰყავდა, ხვალ-ზეგ შვილიშვილების პატრონიც გახდებოდა და მაინც ჯერაც გაუშლელ ვარდს ჰგავდა, შირაზის ვარდს, ცისკრის ვარსკვლავივით რომ ბრდღვიალებს და ირგვლივ გამაბრუებელ სურნელებას აფრქვევს. მან სცადა, ექვსასიდან თავისი ერთ-ერთი ცოლის, ბატონიშვილ ელენეს გახსენება, რომელიც ამ მშვენიერი ბანოვანის ღვიძლი ასული იყო, რათა დედა და შვილი, ფურ-ირემი და მისი ნუკრი, მათი თვალების ეშხი და თასმასავით მოქნილი ტანის მიმოხრა ერთმანეთისათვის შეედარებინა, მაგრამ ვერ გაიხსენა, გოგონას ხატი სხვათა ხატებში აერია და თავის შელანძღულ მეხსიერებაზე გაჯავრებული იქვე მდგომ სიძეს, დის ქმარს მიუბრუნდა:

— კახთ ადგილი მიუჩინე დასაბანაკებლად. ჯერ დაისვენონ, და ხვალ დილას გადავწყვეტთ, ვინ [illegible] ნოთ!

— შესრულებული იქნება, თქვენო უდიდებულესობავ!

შაჰ-აბასმა ისევ ქეთევანს შეხედა და სპარსულიდან, რომლითაც სიძეს მიმართა, კვლავ ქართულზე გადავიდა:

— თქვენ, დედოფალო?

— თუ ნებას დამრთავთ, ჩემს ჯართან დავრჩები!

შაჰ-აბასს თითქოს მხრებზე იფნის მოქნილი წკეპლა გადააწნეს. მეტი აღარაფერი უკითხავს, საერთოდ აღარ უთქვამს აღარც ერთი სიტყვა, ჯვალზე წამოხურული მოსასხამის კალთა აიკრიფა, მარცხენა მკლავზე გადაიგდო, ქეთევანს თავი ოდნავ დაუკრა, პირი იბრუნა და უხმოდ წავიდა იქით, საიდანაც თავისი ყიზილბაშებით აქ მოვიდა, წავიდა აშკარად ნაწყენი და რაღაცის გამო ამრეზილი.

კახი სარდლები დამეხილი იყვნენ, დამეხილი იყო თვით დედოფალიც, თუმცა შეუმცდარი ქალური ალღოთი გრძნობდა, რომ გაიმარჯვა, მტერი პირქვე დაამხო, ეს გაუტეხელი ლოდი, ზნედაცემული და თავისი მძლავრობით კაცთა ზედა ამაღლებული შაჰ-აბასი ტყვიის ლბილი გრდემლით გასტეხა და ერთხანს მისი შიში აღარ უნდა ჰქონოდათ.

თავი XXXIII

შაჰ-აბასი რანში სამ თვეს დარჩა. განძის ციხე, სადაც ოსმალო ასკერები და იანიჩრები იყვნენ გამაგრებული და ფეხსაც არ იცვლიდნენ, ზარბაზნებითა და არკებუზებით დაანგრია, იერიშით აიღო, მის გადარჩენილ ნაწილში თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა და ციხის ყველაზე მაღალ ქონგურზე, შორიდანვე რომ ჩანდა, სპარსეთის ძლევამოსილი მბრძანებლის ალამი ასწია. ყოველივე ეს მან ისე მოიმოქმედა, რომ ქალაქის კედლის გარეთ დაბანაკებული ქართვე-

ლები არაფრით შეუწუხებია, საქმეში არ გაურევია და აღარც თვით დედოფლისადმი გამოუმჟღავნებია რაიმე ყურადღება. აბასს თავი ისე ეჭირა, თითქოს საყვარელი სიდედრისა და მისი ჯარის აქ ყოფნა აღარც კი ახსოვდა. იგი შემომწყრალი იყო კახელებზე, უპირველეს ყოვლისა მათ მეფე თეიმურაზზე, რომელსაც თავის გაზრდილად აცხადებდა, შემომწყრალი იყო ქეთევანზეც და ამ თავის წყრომას განზე დგომით და სრული განაპირებით გამოხატავდა.

ეს ცუდი ნიშანი იყო. ქეთევანის თანმხლებნი და მრჩevლები, უწინარეს ყოვლისა თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი, რომელიც სისხლისმსმელი შაჰის შინაგან ბუნებას საკუთარ ხუთი თითივით იცნობდა, ეჭვობდნენ, რომ მუხანათი ყაენი, ხელიდან ყოველივე სიავე რომ გამოსდიოდა, თავის მოძულებულ თანამდგომთ რაღაც ხაფანგს უგებდა და მისი ეს ბოროტი ზრახვა ღღეს თუ არა, ხვალ უნდა გამჟღავნებულიყო.

ამასვე ფიქრობდა რამდენიმე მოახლე ქალთან ერთად თავის კარავში განმარტოებული, უზრუნველად გაზრდილი იავნება შვილის — თეიმურაზის ანაბარა მიტოვებული ქვეყნის ჯავრით გულგასენილი ქეთევანიც, თუმცა ხმამაღლა კრინტსაც არა სძრავდა, არავის არაფერს ეუბნებოდა და თითქმის მთლიანად უსმელ-უჭმელი ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაჩოქილი ათენ-აღამებდა.

იქნებ არ უნდა წამოსულიყო? იქნებ არ უნდა ეფიქრა, რომ წრფელი გულით მონდობილი ულონო ქალის კბენას პატიოსანი ძაღლიც არ იკადრებდა? მაგრამ ეს მხოლოდ პატიოსან ძაღლზე ითქმის, სინდის-ნამუსის მიჯნას გადასული კაცი კი ყოველგვარ ძაღლზე უარესია! როდის იყო, ავხორცი შაჰ-აბასი ხელიდან უშვებდა მხვერპლს, უკეთუ უხამს თვალს დაადგამდა და მის ხელში ჩაგდებას მოიწადინებდა?! განა ის დაგიდევდა ვინ იყო ეს მსხვერპლი, რომელმაც გულში ბილწი გრძნობა გაუღვიძა? მხოლოდ შესაფერი საბაბი სჭირდებოდა საბრალოდ, რომ გუშინდელი მოყვარე, პირმოთნეობით ფეხქვეშ რომ ეგებოდა და ერთგულებას ეფიცებოდა, თითქოს მასზე ძვირფასი არც არავინ ჰყოლოდეს, ღღეს გაეწირა და სულითა და ხორცით ჯოჯოხეთის უფსკრულში ჩაენთქა! კახეთისა და მისი მესვეურების, თვით ქეთევანის წინააღმდეგ ამჟამად ეს საბაბი საკმაოზე მეტი ჰქონდა. რაკი დედოფალი მუხლებში არ ჩაუვარდა და თავისი დედაკაცური ღირსება ფეხქვეშ არ გაათელვინა, თავს ღირსებაშელახულად გრძნობდა და ვერ მოისვენებდა, სანამ ბინძურ ჟინს არ მოიკლავდა! რაღა თქმა უნდა, ამქვეყნიური ძალაუფლებით გაზულუქებული თვითმპყრობელი მისთვის სასურველ შემდგომ ნაბიჯსაც ქეთევანისაგან, თავისი სიდედრისაგან მოელოდა, მოელოდა ნაბიჯს, რომელიც თვით ამ ამაყ, თავმომწონე ქალს უნდა გადმოედგა და თავისი მეფური დიდებულება მის ფერხთა ქვეშ შესაბილწად ჩაეგდო!

ავხორც ბაჯაჯღანას თუ ამის იმედი მართლაც ჰქონდა და განძიდან ფეხს მანამ არ გადადგამდა, სანამ მიზანს არ მიაღწევდა, ლოდინი დაუსრულებლივ მოუხდებოდა, ხოლო თუ მოთმინების ძაფი ბოლოს მაინც გაუწყდებოდა, ასულის გაბახებას არ აკმარებდა და ძალას დედაზეც მოიტანდა, ქეთევანი პირადად უნდა გამკლავებოდა მტარვალს და სრულიად სხვა მიზნით აქ ჩამოყვანილი მხედრობა საქმეში არ გაერია.

იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის ღღეს, მარიამობისთვის 29-ს რომ გაითენეს, დავით ჯანდიერი და შერმაზან ჩოლოყაშვილი მოიხმო და კარვა ხანს განმარტოებით ესაუბრა. ერთსაც და მეორესაც თავს უნდა ედოთ ძნელი მოვალეობა, დედოფლის სახელით ყაენი მოენახულებინათ და აქ უმექმედოდ მდგომი თავიანთი ჯარის სამშობლოში დაბრუნების მოწყალე ნებართვა გამო-

ეიხოვათ. შაჰი ან უარს იტყოდა, ან თანხმობას. იქნებ როგორმე გამორკვეულიყო, რა ედო გულში, რას აპირებდა, ამ სიშორიდან მოწვეულ ჯარს უსაქმოდ რისთვის აყოვნებდა!

დღეს ამის შეტყობა და რაიმე გადაწყვეტილების მიღება მით უფრო აუცილებელი და გადაუდებელი იყო, რომ თავის მშობლიურ კერას თვეობით მოწყვეტილი ამდენი მუქთა მჭამელის შენახვა ერთობ გაძნელდა, თითქმის შეუძლებელი გახდა. ჯარის დამშევა გარდაუვალი იყო და, ვინ იცის, ამას კიდევ რა მოჰყვებოდა. შაჰ-აბასის ინტენდანტები კახეთის ჯარისა და პირუტყვის კვებაზე, რასაკვირველია, თავს არ იწუხებდნენ, ვინაიდან ეს თვით კახბატონს ევალებოდა, ბაზარი კი ისე გაძვირდა, ერთი ჩანახი ხორბალი უღელი ხარის, ანდა ბედაური ცხენის საფასურად იყიდებოდა. დაილია ყველა მარაგი, რაც შინიდან წამოძღვანილი ჰქონდათ. საქმე ხარ-კამეჩზე, აქლემებზე და ცხენებზე მიდგა. თუ ასე გაგრძელდებოდა, სულ ცოტა ხანში კახთ აღარც ერთი ცხენი, აქლემი ან ხარიც აღარ დარჩებოდა. დამშეულ ბრბოს, რადაც ჯარი გადაიქცეოდა, შემდეგ ან ადგილობრივ მცხოვრებთა ძარცვა-გლეჯა უნდა დაეწყო, ანდა ერთმანეთი დაეჭამა!

ამ დროს გავარდა სწორედ ამბავი, შაჰი აყრას და ტფილისს წასვლას აპირებს, რადგანაც იქიდან მისთვის ერთობ სასიამოვნო ცნობები მოსვლია და არ უნდა, მარჯვე შემთხვევა ხელიდან გაუშვას, გიორგი მეფის მიერ აგარიანებისათვის დათმობილი ციხეები კვლავ თვით არ დაიჭიროს და შიგ ისევ ყიზილბაში მეციხოვნეები არ შეაყენოსო.

რა სასიხარულო ცნობები უნდა მოსვლოდა სისხლისმსმელს? რას უნდა გაიხარებინა და აეჩქარებინა ისე, რომ დანგრეული და გადაბუგული განძის მიდამოები ასე საჰაიჰაროდ დაეტოვებინა და საგრძნობლად შეთხელებული ლაშქრის შეუვსებლად ოსმალთა ხელთ მყოფი გურჯისტანისაკენ წასვლა განეზრახა?

უზენაესი ბრძანება კახთა ლაშქრის სარდალს, თავად დავით ჯანდიერსაც მოუვიდა და სალაშქროდ თადარიგის გაწევა ებრძანა. დედოფალს არავინ ახსენებდა. ის თითქოს აქ არც ყოფილიყოს. შაჰი, ეტყობოდა, ისერიგად იყო განრისხებული, მისი უდიდებულესობის სახელის ხსენებაც აღარ უნდოდა!

— როგორ ფიქრობთ, თავადო, აგარიანების წინააღმდეგ ერთი ისარიც არ გვასროლინა, აქ უმოქმედოდ დაგვაყენა და ახლა ნუთუ ჩვენს მოძმე ქართლზე მივყევართ? — ჰკითხა ელდისაგან გამშრალ სარდალს ქეთევანმა, როცა ქვეშევრდომებთან გამობრძანდა და მის მიერ მოტანილი საგანგაშო ამბავი მოისმინა.

— ძნელია მაგის თქმა, დედოფალო, — მიუგო სარდალმა. — არა მგონია, შაჰი ტფილისში ვინმესთან საომრად მიდიოდეს!

— მაშ, ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედა, შეუნდო მეფე გიორგის?

— სამძიმარი უნდა მოგახსენოთ, თქვენო უდიდებულესობავ!..

— სამძიმარი? — ქეთევანს თვალები გაუფართოვდა, ფერმკრთალი ღაწვები შეეფაკლა. — როგორ თუ სამძიმარი?

— მონა ღვთისა, მეფე ქართლისა გიორგი მიიცვალა მარიამობისთვის ორს და მიცვალებიდან მეათე დღეს სვეტიცხოვლის მეფეთა საძვალეში მიუჩინეს საუკუნო განსასვენებელი!

— ღმერთო!.. — გულის სიღრმიდან აღმოხდა ქეთევანს და ტუჩებათრთოლებულს თვალები ცრემლით აევსო. — ნუთუ ეს მართალია? ვინ მოგვიტანა ეგ საზარელი ამბავი, ანდა აქამდე რატომ ვერ შევიტყვეთ?

— კაცები გეახლენ ტფილის-ქალაქიდან, შაჰს ყირიმელი თათრების ბელადების მოკვეთილი თავები მოართვეს!

— რას ბრძანებ, თავადო, ქართლი ახლა სულთანსაც გადაუდგა და ისევ სპარსეთს უღებს კარს?

— საქმე სხვაგვარად ყოფილა, დედოფალო, — დინჯად, აუჩქარებლად განაგრძო დავით ჯანდიერმა. — ნეტარ-ხსენებული გიორგის მიცვალების მესამე დღეს, ჯვარი აქაურობას, მეფის ნეშტი ჯერ კიდევ თბილი იყო, სასახლეში ესვენა, დიდებულებმა ტახტზე ბატონიშვილი ლუარსაბი აიყვანეს და სიონის ტაძარში ერს მისი ერთგულების ფიცი მიაღებინეს!

— რა ეჩქარებოდათ დალოცვილებს, — უკმაყოფილება ვეღარ დამალა ახლობელი ადამიანის დაკარგვით გულდამწვარმა ქეთევანმა. — კანონიერ მემკვიდრეს ტახტი სად გაექცეოდა?! ერთი კვირაც ვეღარ მოიცადეს? საბრალო გიორგი! მოეღო ბოლო შენს ტანჯვას! მიიბარა ღმერთმა შენი წამებული სული! ახლა ვისღა აცვამენ ჯვარს შენი ძვირის მთქმელნი, დღეის ამას იქით შენ რომ აღარ ეყოლები?! ბედნიერი ხარ, რომ ვეღარ მოესწარი შენი საბატონო ქვეყნის ახალ აკლებას, გაასწარ მარადიულ სოფელში, სადაც ადრე თუ გვიან ყველას მიგველიან!..

მამაკაცები უქუდოდ იდგნენ და ხმაგაკმენდილნი პირჯვარს იწერდნენ. ქეთევანის გულის დამწველმა სიტყვებმა უკლებლივ ყველა დაამწუხრა, თვით ისინიც კი, ვისაც მეფე გიორგი არასოდეს ენახა და მისი მხოლოდ სახელი გაეგონა. ქართლის მაშვრალმა მეფემ, თავს ერთი წუთი დასვენების ნებასაც რომ არ აძლევდა, გზებსა და ხიდებს აშენებდა, არხები გაჰყავდა, მთელი სიცოცხლე თავაუღებელ შრომასა და ომებში გაატარა, უმადურები და მაგინებლები მაინც ბევრი ჰყავდა. დიდებულები სისხლს უშრობდნენ, კრიჭაში უდგნენ, გასაქანს არ აძლევდნენ. ჯერ იყო და ახალგაზრდობა მამის, ოსმალების მიერ დელი სიმონად მონათლული მეფე სიმონის ტყვეობამ მოუწამლა. სიმონი ფარცხისთან იგდეს ხელთ ოსმალებმა და მის გამოსასყიდად ტახტის მემკვიდრე გიორგის დიდძალი თანხა დაუწესეს. მამის უზომოდ მოყვარულმა შვილმა გიორგიმ მთელი სამეფო ხაზინა და ეკლესია-მონასტრების ოქრო-ვერცხლი სტამბულში ჩაზიდა, მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, მისმა კაცებმა მეფეს ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრეს და იქ ურმებით ჩაზიდული განძის საფასურში მხოლოდ ნეშტი წამოასვენეს, რომელიც გიორგიმ ჯეროვნად დაიტირა და სწორედ იქ დაკრძალა, სადაც თვით მას მიუჩინეს სამუდამო ბინა. დიდებულებმა ვერა და ვერ აპატიეს გვირგვინოსანი მამის ტყვეობიდან გამოსახსნელად ხაზინის დაცარიელება, ქართლში ყველა სიავეს მას აბრალებდნენ და შიგადაშიგ ტახტიდან ჩამოგდებითაც ემუქრებოდნენ. უკანასკნელი შეხლა-შემოხლა სწორედ მაშინ მოხდა, როცა ლოგინად ჩავარდნილმა გიორგიმ გაუმაძღარი შაჰ-აბასის ხელქვეით ყოფნას, ლორესა და დებედას ხევის სამუდამოდ დაკარგვას ისევ სულთანთან მიკედლება არჩია და ყაენისაგან თავის დასაცავად ტფილისის, ქვემო ქართლისა და თრიალეთის ციხეები ოსმალთ გადასცა, რამაც უამისოდაც ამრეზილი შაჰ-აბასი კიდევ მეტად გაამძვინვარა, გიორგის ძველი დამსახურებანი დაუვიწყა და ღღეს თუ ხვალ ქართლში ცეცხლითა და მახვილით შემოჭრას აპირებდა.

— ყირიმელი თათრები საიდანღა გაჩნდნენ ჩვენდა ჭირად, საქართველოში რა უნდოდათ? — ჰკითხა ქეთევანმა დავით ჯანდიერს.

— სულთანს ჯელალალიები აჯანყებიან, დედოფალო. მოგეხსენებათ, ეგენი სამსახურიდან დათხოვნილი მხედრები არიან, ანატოლიაში გლეხური შრომით ირჩენენ თავს და დრო და დრო, ხელსაყრელ შემთხვევას რომ ჩაიგდებენ, სულთანს უჯანყდებიან, ძველი უფლებების აღდგენას მოითხოვენ, სულთანს ყირიმელი თათრები მიუწვევია მათი აჯანყების ჩასაქრობად. ისინიც ზღვით წამოსულან და ანატოლიის ნაპირზე გადმომსხდარან. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ უკან მობრუნებულებს საქართველოს გზა აურჩევიათ.

წავითარეშებთ, ნადავლს ვიშოვნით და შინ ხმელეთით დავბრუნდებითო. ჯავახეთი გადმოუვლიათ, იქაური საძოვრებიდან ხარ-ძროხის ჯოგები, ცხვრის ფარები და ცხენის რემები გადმოურეკიათ და მანგლისს მოსულან შიდა ქართლში ჩამოსასვლელად, სადაც დიდი ნადავლი ეგულებოდათ. აქედან გზა ველარ გაუგნიათ. მანგლისში ერთი აქაური მღვდელი შეუპყრიათ, მოკვლით დამუქრებიან და მეგზურობა დაუკისრებიათ. მღვდელს სცოდნია მეფე ლუარსაბის ადგილსამყოფელი. ის თურმე პაპანაქება სიცხისაგან თავის შესაფარებლად ცხირეთს მდგარა მცირედი ჯარით, მღვდელს ულრან ტყეებში მტრის ჯარი აღმა-დაღმა უტარებია, ცხირეთისაკენ წასვლის მაგიერ ქვენადირისაკენ გაუხვევია და მანამ მუხლი არ ჩაუხრია, სანამ ღალატი არ გაუგეს და იქვე არ აკუწეს. დაღამებამდე თათრები მტკვრის პირას გამოსულან და ის ღამე ყარაღაჯსა და ბრბონაში გაუთევიათ. ამასობაში ცხირეთშიც შეიტყვეს მტრის გმოჩენის ამბავი და თვით ცხირეთი, ერთაწმინდა, გოსტიბე, ნოსტე, მეტეხი ფეხზე დააყენეს. ეს საქმე თვით ტფილისის მოურავს, გიორგი სააკაძეს უკისრია, რომელიც სარდალ ზაზა ციციშვილთან ერთად ამ დროს ცხირეთში მეფის მხლებელთა შორის ყოფილიყო. სოფელ ნიაბთან, სხერტის ჭალაზე დახვედრიან თათრებს და მუსრი გაუვლიათ. იბრუნეს პირი თურმე თათრებმა და მტკვარს აღმა აჰყვნენ, იქნებ ახალციხეში ავასწროთ და იქიდან ისევ ოსმალეთს შევაფაროთ თავიო. მტკარზე სახელდახელოდ ხიდიც გაედოთ, გაღმაც გადასულიყვნენ, მაგრამ სააკაძე ტაშისკართან დასწევია და ვინც სხერტის ჭალაზე გადაურჩათ, აქ აუკაფიათ. მტკვარი თურმე სისხლით შეიღება. ასობით გვამი და ცხენის მძორი წყალს დაღმა მიჰქონდა!..

— ნამდვილია, თავადო, სარწმუნო ცნობებია?

— აკი მოგახსენეთ, დედოფალო: წუხელ, ჩოჩქოლი რომ ატყდა, მეფე ლუარსაბის კაცები მოსულან ტფილის-ქალაქიდან და ყაენისათვის [illegible] სარდლების: ფერად-ფაშა და [illegible] ფაშას თავები მოურთმევიათ. ძღვენი უკეთესი აღარ შეიძლება. გინდამც თვით სულთან მურადის თავი მოერთმიოთ! შაჰი აღტაცებულია. ადგილს ველარ პოულობს. ტფილისის მოურავ სააკაძეს დიდ მოურავად ნათლავს, ხოლო ლუარსაბს თავის საყვარელ პატარა ცოლისძმას უწოდებს! აგარიანებს, ამას გარდა, ციხეები დაუცლიათ. და შაჰ-აბასის ჭარბ ძალებთან პირისპირ შეხვედრას რომ თავი აარიდონ, თრიალეთის მთებს შეხიზვნიან!..

ქეთევანმა პირჯვრის წერით მუხლი მოიყარა. პირჯვრის წერითვე დაიჩოქეს სხვებმაც. ნაღველგარეული სიხარულის ცრემლით თვალებაციაგებულმა დედოფალმა ბეჭებზე წამოხურულ შავი თავშლიდან გამოყოფილი ხელები აღაპყრო და ცას მხურვალედ შეჰღაღადა:

— ღმერთო, იესო მაცხოვარო, იხსენი და დაიფარე ჩვენი გაჭირვებული სამშობლო! ღვთისმშობელო დედავ, ნუ მიატოვებ გასაჭირში ჩავარდნილ შენს წილხვედრ ქვეყანას! თქვენ დაულოცეთ მარჯვენა სააკაძეს და ზაზა ციციშვილს, გამოუცდელ ახალგაზრდა მეფეს მხსნელად რომ მოევლინენ და გვერდში ამოუდგნენ! აცხოვნე, ღმერთო, იმათი ნეტარი სული, ვინც ომში დაიღუპა და სამშობლოს ზვარაკად შეეწირა! ზეციერო მამავ, ჩვენთვის ჯვარცმულო იესო მაცხოვარო, დაგვილოცე გზა და კვალი, ამ ულმობელ წუთისოფელში წაღმა გვატარე, ჩვენს მართალ საქმეში მწყდ გვეყოლე, ურჯულო მტერს ჩვენზე ნუ გაამარჯვებინებ! იდიდოს შენი სახელი უკუნითი უკუნისამდე!

— ამინ!.. — პირჯვრის წერით დააწიეს სხვებმა.

თავი XXXIV

ორიოდე საათით ადრე, ვიდრე სალაშქროდ აღკაზმული შაჰ-აბასი, ასობით ძვირფას ტახტრევანში გამოკეტი-

ლი მისი ჰარამხანა, აქლემებზე გადამსხდარი საჭურისები, ყაენის მცველი ღულამთა კორპუსი და მხედრობა გურჯისტანის გზას გაუდგებოდა და კახეთის მცირერიცხოვანი ლაშქარიც ამავე გზით გასწევდა, დედოფლის მრჩეველი თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი სასწრაფოდ შაჰის ბანაკში მიიხმეს. ძველი ნაცნობი, სიბრძნითა და ჭკუა-გონებით განთქმული შერმაზან ჩოლოყაშვილი, მეფე თეიმურაზს ბატონიშვილობაში შაჰის კარზე რომ ახლდა, ნუთუ თვით მისმა უდიდებულესობამ გაიხსენა და რაიმე დიდმნიშვნელოვანი დავალების მიცემას უპირებდა?

კახთა ბანაკში რა არ იფიქრეს, რა არ ივარაუდეს. სიკეთეს არავინ ელოდა. აბასმა თავისი ბოღმა, ეტყობოდა, ამ წუთამდე შემოინახა და ახლა, დაძვრის წინ, მტყუანისა და მართლის განსჯას აპირებდა!

თავადი შერმაზანი შაჰის სიძემ, დის ქმარმა მიიღო და სტუმარს, მისდა გასაოცრად, მბრძანებლის ნება-სურვილი სიტყვიერად გადასცა: კახთ უფლება ეძლეოდათ, მათ მიერვე არჩეული გზით სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, ოღონდ იმ მიუცილებელი პირობით, თუ პირველ დაძახებისთანავე საკუთარი ვალის — თეიმურაზის წინამძღოლობით მისი უდიდებულესობა შაჰის დროშების ქვეშ დადგებოდნენ. გარდა ზემოთ მოხსენებული პირობის, კახეთის ვალ თეიმურაზს ქვეყნის ნებისმიერ ალაგას ორი ათასი თურქმანული ტომის ოჯახის ჩასასახლებლად ადგილების შერჩევა ეკისრებოდა.

შერმაზან ჩოლოყაშვილი რომ ბანაკში დაბრუნდა, შაჰ-აბასის პირობა კახეთში თურქმანი ოჯახების ჩასახლების თაობაზე თვით ქეთევანისთვისაც კი არ გაუმხელია. რა იყო საჩქარო, გამხელას და გულის გახეთქვას ყოველთვის მოასწრებდა, ოღონდ აქედან, ამ აშმორებული ჯურღმულიდან როგორმე გაეღწიათ, სული მოეთქვათ და თავი სამშვიდობოს ეგრძნოთ!

შაჰის შეუნიღბავი რისხვა, რომელსაც ვერსად გაექცეოდნენ, შერმაზანის თვალში იმითაც კარგად ჩანდა, რომ საყვარელი სიდედრი, როგორც ის დედოფალ ქეთევანს სხვათა გასაგონად უწოდებდა, გაყრის ჟამს ჩირადაც აღარ ჩააგდო, მიუხედავად მეფური მიღებისა, აქ მობრძანებისას რომ მოუწყო, ამჯერად ამბავიც არ იკითხა, აქეთ გამოხედვაც აღარ ინება, არც წყალობის მაუწყებელი ხალათები გამოგზავნა, ხოლო ის ამბავი, რომ კახბატონ თეიმურაზს ორი ათასი თურქმანული ტომის ოჯახის კახეთის მიწა-წყალზე ჩასახლება შეაწერა, რისხვაზე მეტი იყო. იგი უახლოეს მომავალში კახეთის უომროდ დაპყრობას, ყიზილბაშური სისხლის დაუღვრელად სპარსეთისათვის მიერთებას მოასწავებდა. მაჰმადის რჯულის მიმდევრები ჭიანჭველებივით მრავლდებიან. დღევანდელი ორი ათასი ოჯახი ხვალ და ზეგ ათი ათასი იქნება, რამდენიმე წლის შემდეგ კი ისე იბარტყებს, მიწაზე ფეხის დასადგმელ ადგილსაც აღარ დაგიტოვებს!

სამუხის ჭალებამდე და ევლახამდე, სადაც ბორნით თუ ცხენდაცხენ ზაფხულის გვალვებში კალაპოტში ჩავარდნილი მტკვარი უნდა გადაევლოთ და ფეხი შაქის უდაბნოში შეედგათ, ვერაგი მტერი არსად წამოგვეწიოს, ზურგში მალულად მახვილი არ ჩაგვცეს ან წინასწარ მოწყობილ საფარს არ გადავწყდეთო, მოკლე-მოკლე შესვენებებით იარეს, საგრძნობლად დამცხრალ-დამცრობილი მდინარე შედარებით ადვილად გადალახეს და გამოღმა ნაპირზე უკანასკნელი ურემი რომ გამოვიდა და მშიერ-მწყურვალმა ხალხმა თავი უშიშრად დაიგულა, თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს.

ომგადახდილ დედას თეიმურაზი სამეფოს საზღვარზე მოეგება დიდი ამალით. მეფე სანადიროდ ბრძანებულიყო ლაგოდეხის ტყეებში. ნანადირევიც ბლომად ეშოვნა და ის იყო, ტყეში შამფურზე წამოგებული შვლის მწვადების მადისაღმძვრელი სუნი გავარდა, რომ

დავით ჯანდიერის მიერ კაკიდან გრემს გაგზავნილმა კაცებმაც მოაღწიეს და მეფე-ბატონს დედისა და რანში შაჰ-აბასის შესაწევნად ნამყოფი ჯარის მოახლოების ამბავი მოუტანეს.

ქეთევანი სრულებით არ მოელოდა, თუ ძალაუფლებით გალაღებულ, სპარსულ ყაიდაზე ჩაცმულ-დახურულ, ვარდისფერი ჩალმით შუბლშემკობილ გვირგვინოსან შვილს აქ ნახავდა და თუმცა მისი ჩაცმულობა გულზე ლახვრად დაეცა, თეიმურაზის ხილვით ისე გაიხარა, გადატანილი მწუხარება და ულვთო დაღლილობა, მთელი სხეული რომ დაემძიმებინა, თითქოს ერთბაშად გამოეყარა.

პირველი, რაც შვილის მოსიყვარულებისა და ბატონის მხლებელი ახალგაზრდა თავადიშვილებისაგან მოლოცვის მიღების შემდეგ მეფეს ჰკითხა, ყმაწვილი რძლის, დედოფალ ანას ამბავი იყო. სამ თვეს გაევლო, რაც ქეთევანი შინიდან წავიდა და ეს მცირე დრო მისთვის მთელ წელიწადს უტოლდებოდა

საყვარელი ცოლის ამბავი რომ ჰკითხეს, თეიმურაზმა დედის წინაშე დაირცხვინა და გაწითლდა, რა ვიცი, თავად ნახავ და გეტყვისო, მიუგო და თვალი მოარიდა.

ქეთევანმა წარბი შეიკრა:

— რა მოხდა, თეიმურაზ, ცუდი ხომ არაფერია?

— ცუდი რა უნდა იყოს?!

— ფეხმძიმედ ხომ არ არის?

— ჰო, მიზეზობს...

— მერე მაგას მიმალავ, შვილო? — ქეთევანს გულზე მოეშვა და ნაღვლიან თვალებში შუქი ჩაუდგა. — მომილოცავს! ამაზე უკეთესი რა უნდა მოგეხარებინა! კიდევ ცოტაც და ბატონ-მემკვიდრე ბატონიშვილი შეგვეძინება!

— შენ რა გახარებს, ბებია რომ გახდები?

— მაშ, არ უნდა მიხაროდეს? უკვე დროა, ბებია გავხდე და ღვთის მადლით გავხდები კიდევაც!

— მერე ასე ახალგაზრდა და ლამაზი რომ ხარ, დედი?

— ახალგაზრდა და ლამაზი შენა გგონივარ, რადგანაც აგრე გინდა. მე ჩემი უკვე მოვჭამე. ახლა შენი, შენი და ანას დროა. ღმერთმა მიდღეგრძელოს და მიბედნიეროს თქვენი თავი!

— რა ბრძანა შაჰმა, ძალიან ეწყინა, რომ გავაწბილე და არ ვეახელი?

ქეთევანს ისევ შეეკრა შუბლი, ისევ დარია ხელი დაღლილობამ, თვალებში კვლავ ღრმა სევდა და წუხილი ჩაუსახლდა.

— შინ მივალთ და მაგაზე იქ ვილაპარაკოთ!

თეიმურაზი მიხვდა, საქმე მთლად კარგად არ იყო, გულში უცნაური პწკენა იგრძნო და ჩაეძია:

— ხალხი ბევრი გაკლია?

— არავინაც არ დამკლებია!

— როგორ? — გაკვირვებისაგან თეიმურაზს თვალები შუბლზე აუცვივდა.

— როგორ და ისე, არ დამკლებია არც ერთი კაცი! რამდენიც წავიყვანე, იმდენით მოვბრუნდი!

— ისეთი რა ომი იყო, რომ მტერი დამარცხდა, ჩვენ კი უმსხვერპლოდ გადავრჩით?!

— აკი გითხარ, შინ მივიდეთ და მაგ საგანზე იქ ვისაუბროთ-მეთქი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარი აბრამიშვილი

●

ჩემი სამშობლო...
შენი სამშობლო...
სამშობლო მისი —
დედამიწა —
მორწყული სისხლით.
ერი და ერი —
როგორც ჭრილობა,
ხალხი... ხალხები —
კაცობრიობა.
მე, შენ და ისა —
სხვადასხვანი
და მაინც ერთნი:
ერთადერთ მთვარით,
ერთადერთ მზით,
ერთადერთ ღმერთით!

●

კვლავ გაზაფხულდა.
ამ მზეში თითქოს
იმ დამარცხების უფრო ვგრძნობ
სირცხვილს,
ჰყვავის ყაყაჩო
და ლოყაც მიწის
სირცხვილით იწვის!
სირცხვილით იწვის!
მზე კვლავ ამოდის...
ცა გასისხლული
მაგონებს ახლა სირცხვილის ალმურს, —
მწყემსი კეთილი და შერისხული
სად, სად აკვნესებს ახლა სალამურს?

●

დიახ, ეს არის ჩვენი ცხოვრება!
სად ზეიმია,
სად კიდევ გლოვა;
სად მაღალ კოშკთა
ცამდე სწორება,
სად მხოლოდ ნგრევა
და ქვების გროვა;
სად ქორწილია და დაწყვილება,
სად გათიშვაა და სულთა გაყრა,
შენ სტირი, მას კი —
რა ეცინება?!
ჩვენი ცხოვრება აი, ეს გახლავთ!
ასე გვერდიგვერდ,
ასე მხარდამხარ
სიკვდილ-სიცოცხლეს აუდგამს ფეხი, —
ღმერთმა ერთი ცა მოაჩარდახა
ტახტრევნად მზის და
დაცემად მეხის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი პური

ადამიანი იკვებება პურით
ორგვარით:
სხეულის პურით და სულის პურით;
ძნელია, ძნელი, როცა მშიერს
არ აქვს ხორბალი,
უფრო ძნელი კი —
შიმშილი სულის.

წარმოსდინდება ხომ ბევრი
კოკასა შიგან
რაც დგას და...
ვინ რით მოიკლავს წყურვილს, —
კაცი ხარ მაშინ,
ქვეყანა ხარ მაშინ, თუ შინ გაქვს
ეს ორი პური,
ეს ორი პური.

●

მტერიც რომ იყოს —
თუ ვაჟკაცია,
თუ გმირთაგმირის კვართი აცვია,
მასზე ვითა ვსთქვა გაბოროტებით,
რომ ეკლიანი მხოლოდ ქაცვია?

გულში ვინატრებ:
ღმერთო მაღალო,
ნეტავ მოყვარედ ჩემად აქცია, —
ნეტავ შერიგდეს მთელი სამყარო,
ნეტავი სისხლი არ დააქცია.

●

მთელი ღამე ხომ მარტო ვარ,
მთელი დღეცა ვარ მარტო;
მთელი სიცოცხლე მარტო ვარ,
მარტო ვლხინობ და ვდარდობ.

რამდენმა თოვლმა მათოვა,
რამდენმა წვიმამ მალტო;
მთელი ზამთარი მარტო ვარ,
მთელი ზაფხულიც მარტო.

ლექსო, არც მინდა, ვერც ვნახავ
შენზე უკეთეს პატრონს,
ჩემი მზის ქოლგაც შენა ხარ
და ჩემი ზამთრის პალტოც.

შენში ვარ შეფარებული,
შენს დღეგრძელობას ვნატრობ,
შენ ჩემო შეყვარებულო,
ჩემი ობლობის ხატო.

●

ყოვლის შემძლეა პოეზია —
სულის მკურნალი,
თუ ხარ მწყურვალი, დაეწაფე,
ლექსი წყაროა;
რა სიწყნარეა, აღარ ისმის
სოფლის მდურვანი,
ზეგარდმოსულა რადგან შენზე
ღვთისა წყალობა.
ყოვლის შემძლეა პოეზია,
ყოვლის მკურნალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგნით და გარეთ

არის სიბერე —
სიცოცხლეშივე
სიკვდილის ხილვა შესაზარები;
შენ — არ დანებდე!
შენ — არ შეშინდე!
შენ არ შეწყვიტო რეკვა ზარების.
არ ჩაიხედო სულაც სარკეში,
იქ ვილაც სხვა დგას და გელრიჯება,
ეს არის ნაცრის შეკრა-თვალებმა
და სილამაზის დამახინჯება.
შენი სარკე ხომ შენი სულია,
ნათელი, მხნე და გაუბზარავი, —
შიგნით — ნასეტყვი გაზაფხულია,
გარეთ — ზამთარი დგას
შემზარავი.

შვილებისადმი

ჩემი იმედის თავშესაფარნო,
ჩემო მზენო და
ჩემო ავდარნო;
თქვე მტრედებივით მშვიდნო,
მწყაზარნო,
სხვა საუკუნის შვილთა სადარნო;
გულის გამხეთქი დარდით ნადარდნო,
სიყვარულისთვის მხოლოდ ნაზარდნო;
მწარე სიცხადის
ტკბილო ზღაპარნო,
შთამომავალნო და...
წინაპარნო...

როცა...

როცა პოეტი —
აღარ ჰგავს პოეტს,
ჰგავს ჩვეულებრივ კაცს —
გზაზე ჩავლილს,
როცა ჩაუნთქავს ცხოვრების მორევს,
როცა ლექსებსაც აქვთ ფასი ჩალის;
როცა სალოცავს დაეცა მეხი,
როცა ცახცახებს ცაც ცეცხლის
ალით, —
რა სჯობს —
უცქირო დაქცევას ქვეყნის,
თუ სამუდამოდ დახუჭო თვალი?

●

ხომ უნდა გყავდე,
რომ დაგეკარგო;
ხომ უნდა გავქრე,
რომ დამინახო;
ხომ უნდა მოვკვდე,
რომ შემიყვარო
და დავიწყების ავცდე უდაბნოს;
უნდა დავმუნჯდე ხომ სამუდამოდ,
რომ გაგაგონო სიმღერა ჩემი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ამგვარ სიკვდილზე —
არა ვარ ყაბულს:
თანდათანობით,
ზლაზვნით მოსულზე;
თუ არა შენთვის, შენს გამო,
ამ გულს
სხვა რა სიკვდილი
უნდა მოსურდეს?!

ვარ შეწირული
და ვფიქრობ მშვიდად
იდუმალებით მარად მოცულზე, —
იმგვარ სიკვდილით
მე მოვკვდე მინდა,
რომ ღრუბლებიდან
მზე ამოცურდეს.

●

ვთქვი, რომ:
ხმას აღარ ამოვიღებდი!
ყოველი ჩემი სტრიქონი რადგან
ტკივილისაგან იწმაწნებოდა;
რადგან სიხარულს ვერ ვანიჭებდი,
რადგან გაცუდდა ყველა იმედი;

რადგან ბუნებით ასეთი ვიყავ;
რადგან ყველაზე გული მწყდებოდა,
რადგან ვარდივით ჭკნებოდა სიტყვა
და ეკალივით იკაწრებოდა, —
ვთქვი, რომ:
ხმას აღარ ამოვიღებდი.

●

სიყვარულისგან...
სიყვარულით მოკვდა ის ქალი,
ზიზღამდე მისულ
უკიდურეს სიყვარულისგან!

რა დარჩა მისგან?
ოდენ ფერფლი
ერთი მისხალი,
მკვდარი მერცხალი —
ჯერ არ მოსულ გაზაფხულისა.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზია ხეთაგური

თოკი

შენი პერანგი ქარში ფრიალებს
თოკზე თავდაღმა ჰკიდია, შრება
მკლავებგაშლილი კვლავ სატრფიალოდ
ქართან შეხებით დაეძებს შვებას.

ხან ჩემსკენ იწევს, ხან ჯამბაზივით
უცხო ილეთით ესწრაფვის მთა-ბარს...
მალე შენს პერანგს წვიმის ემბაზი,
ვით ცოცხალ სხეულს, სათუთად განბანს.

ჩემგან მოვლილი და ნაფერები
სხვა აივნისკენ დაბმული გარბის,
იქვე კუთხეში ტოკავს ფერები
მისთვის ოდესღაც ძვირფასი კაბის.

ღამდება... ცრემლებს თოკივით ვაბამ,
ნედლი ეჭვებით ფილტვებს ვიხრჩოლებ...
შენი პერანგი და ჩემი კაბა
საცაა, თავებს ჩამოიხრჩობენ.

იქნებ ამიტომ...

ჩემს ტყუპისცალს ია დავითაიას

ჩვენი ცხინვალი,
ჩვენი ქუჩა,
ჩვენი უბანი,
ბომბორა თოვლი,
გაზაფხული —
ფერად წვიმებით,
ჭიაკოკონა!..
ავარდნილი
ცეცხლის ბორბალით
ახლაც კი მეწვის
ტერფები და
თეთრი წვივები!
ია და მზია —
ცელქი დები,
ცელქი ტყუპები
ანუ მე და შენ —
სასაცილოდ
გულუბრყვილონი...
ო, ის ბავშვობა,

ჩვენ რომ შევსვით
დიდი ყლუპებით,
დღეს ჩვენს ფეხთაქვეშ
დამხობილა,
ვით ბაბილონი!

ᲒᲐᲮᲜᲝᲕᲡ, ᲡᲙᲝᲚᲘᲓᲐᲜ
ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲛᲐ
რომ ᲕᲘᲚᲠᲫᲔ ᲤᲔᲮᲘ
და შენ,
სუსტმა და კაფანდარამ,
მხრებით მატარე...
შენ იყავ, /მაშინ,
ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ, ᲡᲙᲐᲛᲘᲪ,
დაფაც და მერხიც,
იმ მზრუნველობას
ვერცერთ საყრდენს
ვერ შევადარებ!
ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲔᲕᲠᲘ,
ᲐᲠᲪᲗᲣ ᲪᲝᲢᲐ
გასულა წელი,
წარსულმა ხსოვნად
დაგვიტოვა
სხივი რამდენი...
მაგრამ იმ ტვირთმა,
ᲯᲔᲠᲐᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲡ ᲠᲝᲛ
მოგწყვიტა წელი,
ველარსად ნახა
ერთგულება და
სხვა საყრდენი!
დღეს როცა სული
ამტკივდება,
მოყვება კვნესას,
მაშინდელივით
გეყრდნობი ,და
მეიმედები,
ასე მგონია,
იმ სუსტ მხრებით
მიმათრევ დღესაც,
იქნებ ამიტომ
ჩემზე
ცოტა
ადრე
ბერდები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲔᲢᲠᲝᲨᲘ

უცებ შემაკრთო ვიღაცის მზერამ
ესკალატორზე ფიქრში წასული
და არა ჰქონდა იმ გამჭოლ მზერას
არც დასაწყისი, არც დასასრული.

მე ჩავდიოდი,
ის — ადიოდა,
მე გვირაბისკენ,
ის — გვირაბიდან...
ხალხი კი მჭიდროდ მიმოდიოდა,
ვით ცოცხალი კლდე,
ან პირამიდა
ახლა ვიხსენებ: კაცური სევდა
ჩემს ხრიოკ ფიქრებს
რწყავდა თვალებით...
ასე მგონია, შემიყვარებდა,
ასე მგონია, შევიყვარებდი.

• • •

წავიდა, ყველა წავიდა.
ღმერთო, არავინ მყავს!
ვერ გამოარჩევ თავიდან,
რაც შეერია წყალს.
ჩემი ბარგი და ბარხანა
მიჰყვება ოთხპირ ქარს.
ალხანას — თავის ჩალხანა...
უჩალხანობა მკლავს.
არც საყვარელი არა ვარ,
არც საყვარლისა მწამს,
ვერც სხვა ნაპირზე გადავალ,
ვერც შევაჩერებ წამს.
ბოლოში რაღად ვინანო,
თევზი თავიდან ყარს!

ნეტავ, ვინ არის შემდეგი,
ვინ მომიხურავს კარს...
მე, გაძევებულს თემიდან
მოჭრილს მაჭრიან თავს,
სად არის მკაცრი თემიდა,
რად ვერ მისწორებს თვალს...
მერგო ღამე და ზამთარი,
გაზაფხული კი — ყვავს...
სიკვდილისათვის მზადა ვარ,
ვისთვის? — არავინ მყავს!
ქვეყნად რა დალევს ავ სათქმელს,
მაგრამ არ ვიღებ ხმას...
გადამთიელი ძმას მართმევს,
გადმომთიელი — ქმარს.

გულთმისნობა

ვერ მიგატოვე, ვერ გაგწირე,
(ასეც ვიცოდი)
დროს ჩაუსაფრდი, გამიმეტე —
(ასეც იქნება)
სავსე ქარავანს გაეკიდე,
(ასეც ვიცოდი)
მე უდაბნოში მაქარიშხლე...
(ასეც ვიცოდი)
ხელში ჩაგიგდო მტაცებელმა
(ასეც ვიცოდი)
გზააბნეული ბატკანივით,
(ასეც ვიცოდი)
ეგ ყელი ბაფთით შეგიხვია...
(ასეც ვიცოდი)
ბაფთის კოცონი გიხარია!
(ასეც ვიცოდი)
შენ მრავალ ბაფთას შეგაბამენ,
(ასე იქნება)
ვიდრე გახდები შესაწირი,
(ასე იქნება)
სასწაული თუ გადაგარჩენს,
ის სასწაული გამოგაქცევს,
(ასე იქნება)
შენ მოხვალ ჩემთან დასერილი
(ასე იქნება)
სასომიხდილი, დარცხვენილი...
(ასე იქნება)
მეტყვი: „თბილია შენი მხარე,
იქ კი მციოდა,
გამოვიქეცი.. მე კი გეტყვი:
„ასეც ვიცოდი“
მერე კი შენი მტაცებელი
მდევრებს მოგვისევს,
მზაკვრულად, მარჯვედ გვიყელებენ
გზებით ვიწროთი
და ვიდრე ყელებს გამოგვჭრიან,
ერთმანეთს კისრებს
გადავაჭდობთ და აღმოგვხვდება:
„ასეც ვიცოდით“...

ავტოპორტრეტი

ისე დადის,
თითქოს მიწა მხოლოდ ცაა მისთვის
და სიყვარულს რომ იფიცებს,
იტყვი, გული მისდის.
უფრო ხშირად ცუდად იყო,
კარგად — კანტი-კუნტად,
რაც ებადა, სულ წაიღო ბედმა...
გაი-ქურდა.
არ ჰქონია საკუთარი ბუდე,
ანდა ნივთი,
სუსტ მხრებს სხვისთვის იმძიმებდა
იმედების ტვირთით.
ო, რამდენჯერ დაუნგრიეს
თავს ცა,
ფეხქვეშ — მიწა,
მონასავით იდგა, მაგრამ
ქალბატონად იშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამეცხედრე

ამომიღამდა, უკვე, სულიც, ცისკრის სხეულიც,
და ყოველღამე ისე ვწვები ჩემს ცივ ლოგინში,
როგორც კუბოში...
გვერდით კუბოსკენ ხელს ვაფათურებ,
თანამეცხედრე არა და არ ჩანს... და მიხარია! —
მაშასადამე, ჯერ არ მომკვდარა, ჯერ ცოცხალია!
მე ადრე მოველ...
მე მასზე ადრე გარდავიცვალე,
და აღარ მახსოვს, როგორ მიგლოვა,
რა ყვავილები გამატანა სულეთის გზაზე,
რა დამატირა,
რა დამაბარა!
ორმოცის შემდეგ ამიმოძრავდა ცივი სხეული,
ტვინმა და გულმა ნიშანი მომცა —
სად არის, სადა!
გადავიხადე, უკვე, წლისთავიც,
ჰა, მიიწურა მეორეც და
თითქმის მესამე დაიწყო წელი,
ის კი არა ჩანს!
სულ დამავიწყდა,
მისი მოსვლა რომ უნდა მწყინდეს,
ხოლო არმოსვლა — სიხარულს მგვრიდეს!
მაგრამ რა ნელა გადის ჩემთვის
თავად წუთებიც...
„უიმისოდ რად მოხვედიო“ — სიზმარში ვნახე —
ჩემივ თავი მიბრაზდებოდა,
მერე ხელი მკრა და ჯოჯოხეთმაც
შემომანათა ცხელი შანთებით...
მე მაინც მცივა!
როდის მოხვალ,
აღარ მოგბეზრდა ცოცხლებთან ყოფნა?
მკვდარი ვარ, მაგრამ, ერთი, მითხარი,
მაგ ცოცხალ-მკვდრებზე ნაკლები რით ვარ!
აქ ძლიერ ცივა,
თვით გაზაფხული ისე ჩაივლის
ჩემს მხარეს ზედაც არ ჩამოხედავს...
ამ ქვესკნელის მაღლობზე დგას ჩემი საწოლი,
ისე ავდივარ ყოველღამე იმ საწოლზე,
ვით ეშაფოტზე...
ჩემი საწოლი ქარში ირწევა,
ოთხივე მხრიდან უბერავს ქარი
და მოკრუნჩხული ვწევარ და ვტირი...
ოთხივე მხრიდან უბერავს ქარი
და მოკრუნჩხული ვწევარ და ვტირი,
და მოკრუნჩხული ვწევარ და ვტირი...
ცხელი ცრემლები ციცქნახანს მათბობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მაშინ,
ჩემი შვილი პატარობისას ჩემთან რომ იწვა,
როცა ციოდა, იდგა ზამთარი
და ჩვენს ოთახშიც,
გაულესავი სახლის ოთახშიც
ზამთარი იდგა...
ჰოდა, ღამე უცებ ვთბებოდი,
რადგან პატარა ჩემი „ვაჟკაცი"
ზედ მომაფსავდა...

ხანმოკლე იყო იმ სითბოთი
გამოწვეული ნეტარება...
სწორედ ისევე ხანმოკლე არის
ჩემივ ცრემლებით სულის გათბობა,
მოდი, გამათბე... თუმცა რას ვამბობ,
დამავიწყდა, რომ ჩვენი შეხვედრა
დიდხანს, ო, დიდხანს არ უნდა შედგეს
და მხოლოდ ქიმას უნდა ვნატრობდე,
ეს მარტოობა კვლავაც გაგრძელდეს!
ამომიღამდა, უკვე, სულიც, ციისკრის სხეულიც...
და ყოველღამე ისე ვწვები ჩემს ცივ ლოგინში
როგორც კუბოში.
ხელს ვაფათურებ...
თანამეცხედრე,
მადლობა უფალს,
არა და
არ ჩანს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა ცეცხლაძე

ჩემი დალილა

ჩემი დალილა როგორ არი?
— ისე, არი რა!
მე როგორა ვარ?
— როგორც ყველა, ვინც რომ მარტოა.

მე ვიცი,
რატომ გამიღიმა ჩემმა დალილამ,
მე ვიცი,
რატომ გამიხარდა, რომ მიმატოვა.

* * *

ავ თვალს რომ არ დაენახვებოდა, ისეთი ვაჟკაცი,
— ტარიელი — რომ მოჰკალი —
მკლავაძე —
რას ემართლებოდი, თუ გახსოვს,
ჩემო სპირიდონ?

ჰაიტ, თქვე ჩემი ცოდვით სავსე
კაკუტავ და ქუჩარავ,
თქვენს ძმობილ ყვარყვარესთან
რისი იმედით მიდიოდით?

მიხეილ კობახიძისა და გიორგი ქავთარაძის უენო გმირო,
ის ბიჭები რომ გარბი-გამორბოდნენ იმ დღეს ქუჩაში,
რას მისდევდი იქით და აქეთ,
რა გინდოდა,
რა შუაში იყავ,
რა კიდეში,
ვის დაჰკარგვოდი?

ოთარაანთ ქვრივის ობოლო ბიჭო,
რა დაგემართა?
რად ვერ იოთარე დედაშენის შვილმა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას გედავებოდა ამირანი,
ჩემო გიორგი,
რა უნდოდა და რას არ უთმობდი?

* * *

ბეწვის ხიდზე, სამართებლის პირზე
დაგვატარებს ამპარტავნებს შური —
ვეძებთ მიზეზს, სიყვარულის მიზეზს,
გვავიწყდება თვითონ სიყვარული.

გული გვწყდება, როცა სიმი წყდება —
ყველა სიმი შენია და ჩემი! —
როცა „სიმებს ცეცხლი ეკიდება“,
ქართველები უჩონგუროდ ვრჩებით!

უჩონგუროდ ვერ ვიქნებით კარგი,
უჩონგუროდ ცუდიც ვერ ვიქნებით —
„შაირობა არის სიბრძნის დარგი!“
„თუ არ იწვი, უსიკვდილოდ ქრები!“

ქრები ჩემთვის, ჩემთვის თუ არ იწვი,
ვქრები შენთვის, თუ არ ვიწვი შენთვის—
ერთურთს ვეწვით გულში როგორც ხიწვი,
ბალღამს ბოლმა, ბოლმას რისხვა ერთვის!

მე და შენ და შენ და მე და ჩვენ ვართ,
რომ არა ვართ, თუ არა ვართ ერთი —
ღმერთმა მოგვცა ყველას ერთი რჩევა,
შევისმინოთ, შეგვეწევა ღმერთი!

* * *

გიჟი, ცხადია, ბევრი მინახავს,
ბრძენი — თითქოსდა ცოტა,
არცოდნა არცოდვით შეგვინახავს,
ცოდვილნი ცოდნით ვცოდავთ.

ერთმანეთს როცა მტრულად ვექცევით,
ჩვენად ვერ ვიკვრით შენი,
გიჟი სჯობია სულელს ისე, ვით
ჭკვიანს სჯობია ბრძენი.

ბრძენი სხვის ომში სხვაა და სხვები
შენი ვართ, როცა ვომობთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობადის ხეებს უხსენებელი
თვალს უგებს, როგორც ბომონს.

„და აჰა ადამ იქმნა ვითარცა
ერთი ჩვენგანი“ ბოლოს,
„მიწა იყავ და იქმენ მიწადცა“—
უფალი ამას გლოვობს.

მიჯნურობასა — „იმ ერთს!“ — ჭკვიანნი
როგორ მივხვდებით, როცა
იმ აკრძალული ხილის ჭიანის
გამო ერთმანეთს ვხოცავთ?

* * *

მე მეშინია უკან მოხედვის —
რა გზა რად და ვით გამოვიარე?! —
მხედნეს და ვერა და ვერ გამხედნეს,
ჩემი ცოდვები ჰგავს ჩემს იარებს.

ძმა დამიკარგავს — არ მახსოვს, როდის—
თავის უფალი,, ლაღი, უძღები —
ბედს როცა ველი, მაშინ არ მოდის
და როცა მოდის, მე ვერ ვუძღვები.

ხეკეთილია ზოგჯერ ხენეში —
ვთქვათ ბლის ხე როა, მეწლე, უბალო —
თავის უფლებაა უკეთესი,
თუ სიყვარული, ხელისუფალო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიგი სულაკაური

* * *

ეს არ არის ის თოვლი, რომელმაც შეიძლება
ქუჩაში გამოგიყვანოს...
„ბიჭო, — მივმართავ ჩემს თავს, —
რა გატარებს შუაღამის ეზოში მარტოს,
თანაც არაფერი გაგონდება „ფარული დარდის“ მეტი
და პირშიც ყველანაირი სიცრუის გემოსა გრძნობ...“
მე დავდივარ ეზოში და ვეწევი სიგარეტს.
ჩემში ხმაურობს ფუნიკულიორის დიდი ბორბალი
და მეჩვენება, რომ ყველაფერი: —
(გარდასული სიგიჟეები, განთიადები,
უცხო ქალები,
სხვა ენაზე ნამღერი სიმღერები,
ალკოჰოლი, მეგობრები, ახალი ნაცნობები,
ნარკოტიკები, საჭმელი, მტვერი,
ნერვიულობა სიცხე, სიცივე, უფულობა,
სიბნელე, ომი და
დაღლა, დაღლა, დაღლა)
ყველაფერი მისი ექოა...
— თოვლი ცივია
არა მარტო მაწანწალა ძაღლებისათვის —
ეს აბსურდი,
ყოველი თოვლის მოსვლისთანავე თავს მახსენებს,
თუმცა არ ვიცი, რას ფიქრობენ ბულგარელი გოგოები
ძაღლებზე და სიცივეებზე...
მე არ მინდა, თოვლს შევეხო, —
უბრალოდ თოვს
ჩემთვისაც და მკვდრებისთვისაც...
ნელა ვზომავ სიბნელეში მართკუთხა ეზოს —
ეს ჩემი გეომეტრიული ზონაა —
თვალუწვდენელი, დაუსაბამო,
ყველა კანონის უარმყოფელი..
(განა ასევე არა ზომავს პატიმარი თავის შეზღუდულ
ტერიტორიას? და რომ ყველანი
ფეხისადგომისთანავე გეომეტრები არა ვართ განა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კმარა, — დავუბრუნდებით მყუდრო საკნებს,
ოღონდ ჩემს საკანს ბინა ჰქვია...)
ყოველი სიგარეტის მოკიდებისას გავიფიქრებ: —
„ცხოვრება ერთი სიგარეტია... ეს — ბოლოა...."
მერე ფენებად დალაგებული სართულები რომ შემერყია,
მთელი ძალით ვიყვირე: — „ბოლოა!"...
და უცნაური რამე მოხდა —
ხმა არ აღმომხდა —
სიტყვამ ჰაერში რაღაცნაირი ფორმა მიიღო,
გამჭვირვალე და არამდგრადი.
ყინვისაგან მარცხენა თვალი ცრემლით ამევსო —
ცრემლი ნელა დაეშვა ქვევით —
ცხელი მწველი კვალი —
არც მიცდია ხელი მეხლო —
ეს ერთი კვალი აკლდა ჩემს სახეს...
მე ვყნოსავ ჰაერს და ეს ჰაერი
ერთადერთი ფარნის სუნითაა დამიმებული —
ნათურა ყვითელ გაცრეცილ ორთქლს უშვებს თვალიდან..
მე მინდოდა, ჩემთან,
ჩემს გვერდით ვინმე მაინც ყოფილიყო
მაგრამ მკვლელებსაც ჩასძინებოდათ,
ბალიშის ქვეშ ამოდებული პისტოლეტებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ეკიზაშვილი

„იყუჩე და მოკვდი"
ალფრედ დე ვინი

• • •

მე ის კაცი ვარ ვინც სიზმრებში ხედავს ტრამალებს
მე ის კაცი ვარ უდაბნოს გულში დამშრალ ჭას რომ პატივისცემით
თავს დაუხრის
მე ის კაცი ვარ ვისაც სხვებთან მარტოდ ყოფნა სურს
ვის ყველა უყვარს და ვისაც სურს თავი ანებონ რჩევებით და შეგონებებით
მე ის კაცი ვარ გაქცეულ კურდღელს რომ თანაუგრძნობს
თუმცა კი უნდა თვითონ იყოს სხვებზე ძლიერი
მე ის კაცი ვარ საკუთარი ბავშვობა დამპალი ტოტივით ვინც მოიკვეთა
რომელიც ფესვებს ხის სიცოცხლეს ზედ არ უყურებს
მე ის კაცი ვარ ლექსიკონში სიტყვა ბევრი-ს წაშლა რომ უნდა
მე ის კაცი ვარ ვინის მგელს რომ ეთაყვანება
მე ის კაცი ვარ ერთი რომ დგას ასის წინაშე
და ასივენი დუჟმომდგარნი ქვებით ჩაქოლვას ემუქრებიან
როგორც კაენს ჭკუათხელი აბელის მსაჯულს
მე ის კაცი ვარ რომელმაც იცის რომ ვერ იტანენ მარტოსულებს ადამის შვილნ
ბერს დაყუდებულს ხრიოკ მიწაზე ანდა იესოს მარადიულ ერთს
მე ის კაცი ვარ ვის არაფრის არა აქვს დარდი
მე ის კაცი ვარ ვინც ატარებს ათასის სევდას
მე ის კაცი ვარ ვინც სიზმრებში ხედავს ტრამალებს
რომელსაც უნდა სხვებთან ყოფნა და არის მარტო

• • •

ფესვები...
რომელთაგან ამოიზიდება ფოთოლთა რხევა
ხის კვნესა და ყვავილთა ფერი
ფესვები...
მათგან მოედინება ცოცხალი წვენი
ცხოველი სითბო და არყოფნის პირველი ტალღა
ფესვები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათგან მოდის ტყის სიმღერა
ქარის შრიალი ღია ჭრილობა ხის სისხლი და სიკვდილის ვნება
ფესვები...
მათგან მოდის ტომი გვარი სახეობა სხვადასხვაობა
სიამაყე ხელთუქმნელი მშვენიერება
და ჭიებით დახრული გული
ფესვები...
მათგან მოდის ყოველივე და ყოველი იგი
ისწრაფვის მაღლა აზვირთულ მკერდით ამაყი მზერით
მაღლა სულ მაღლა
ცის თაღისკენ ვარსკვლავების სიმაღლეზე ან კიდევ მაღლა
ფესვები...
და ყოველივე ამოსული ამ ფესვებიდან
დაკორძილი დაგრეხილი დაღლილ ფესვიდან
ბრუნდება დაბლა ვარსკვლავზე დაბლა ცის თაღზე დაბლა
ბუჩქებზე დაბლა კიდევ უფრო დაბლა
ფესვებზე დაბლა...
ფესვები...
(მკვდარი ფესვები შვილის კუბოსთან მოზარე დედაკაცის უღონოდ ჩამოცვენილ მკლავებს გავს)

საშობაო ზღაპარი

შიშველ კედელზე კიდია სურათი
თოვლით დაფარული პატარა ქუჩა
ძველი სახლებით შემოჯარული
საღამო უნდა იყოს
შეიძლება შობის წინადღე
(ბავშვური სიზმარი
სანტა კლაუსი და
ფერად-ფერადი საჩუქრების მომლოდინე
ქუსლწათლილი ფეხსაცმელები)
სურათს ვუახლოვდები
ფანჯრებში ვამჩნევ მიმქრალ სინათლეს
ერთი ნაბიჯიც და...
ნელა მივყვები პატარა თოვლიან ქუჩას
სიჩუმეა ბნელა
მხოლოდ ფანჯრებში ბჟუტავს
ბუხრის ცეცხლი და საკვამურებს
ასდის ნელი კვამლი
სახლებს მივყვები
და ზღურბლთან მიწყობილ ციცქნა ფეხსაცმელებს
ხელით ვეხები
რათა ცოტაოდენი სითბო ვუწილადო
თოვლით დაფარული ამ უცნაური ქალაქის
პატარა ბინადართ...
წინ კიდევ ბევრი სახლია
არ ვიცი როდის დავბრუნდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბებიას სიკვდილი

კვდებოდა ჩუმად, წყნარად,
ისე, როგორც იცხოვრა —
ჯერ მშობლების გვერდით,
მერე ქმარ-შვილის გვერდით
და ბოლოს, შვილიშვილების გვერდით...
მუდამ იყო, მაგრამ ოდნავ გვერდით...
როცა მიიცვალა, სოფლის სასაფლაოზე
დავკრძალეთ,
მშობლების, ქმრის, ადრე გარდაცვლილი
ქალ-ვაჟის საერთო საფლავზე...
ცოტა ვიწროდ და ოდნავ გვერდით...

ალბომი

ამ ალბომს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ
ალბომი დიდი იყო ფართე სქელი
(აბა სხვაგვარად ამდენ ცხოვრებას როგორ დაიტევდა)
დღეს შემთხვევით მომხვდა ხელთ
ოჯახის მატიანე
ვფურცლავ
დრო ქრება სხვა დღეების სურნელი ტრიალებს მტვრიან ოთახში
აი ბაბუა რომელიც იყო და აღარ არის
აი ბებია რომელიც იყო და აღარ არის
აი დედა რომელიც იყო და აღარ არის
და აი მე რომელიც სულ აღარა ვარ ის
რაც ვიყავი

* * *

მიხეილ კვესელავას

ყოფნა არ ყოფნა
ყოფნა
მაგრამ როგორ
წარღვნის დღეების გახსენებით
ფიქრით სიტყვებით
რომელნიც ფიქრის ნახევარსაც ვეღარ იტევენ
და საუბარი ემგვანება ერთ გრძელ მოხოლოგს
სურვილს მოსწრების ბოლომდე ითქვას
განცდილი და გადატანილი
სულის ცხოვრებას სიტყვებით ახსნი?
ახლაც სიტყვების უკმარობა
მაშ დათმე პროზა
და პოეზიას ათქმევინე უთქმელი სიტყვა
(გალაკტიონის გახსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილკეს ზმანება)
და მერე ისევ ასერგასის აპოკალიფსი...
ხელოვნებაა ხელოვანი კაცის ცხოვრება
და თვით სიკვდილი ემგვანება მაჟორულ ფინალს
რადგან სიკვდილი განცდილია ათი ათასჯერ
დიდი ხანია განვლილია შიშის საზღვარი
როს ამოწურავ ამქვეყნიურ გამოცდილებას
არყოფნის ხიბლის მოგინდება გემოს გასინჯვა...

მოგზაური

...და აი სახლი
ბევრი ვიარე სანამ მოვიდოდი
ჭიქა მაგიდაზე დავდე
ბიჭებს ხელი დავუქნიე
და წამოვედი
მომენატრა ბინა და ჩემიანების სითბო...
დიდი სახლი გემი განათებული ილუმინატორებით
ნელა ირწევა
სახლის გარშემო კი მაშველ ნავებად
ჩამწკრივებული „ვოლგები“ და კიდევ მეტი „ჟიგული“
...აი ჩემი ბინა
სამზარეულოში შუქი ანთია
ბნელ საწოლ ოთახში კი ჩემი
თეთრი ქათქათა ლოგინი მელოდება
კარგია...
(უძღები მეუღლისა და მამის დაბრუნება)...
სახლს ვუყურებ... ცივა...
ფეხს უკან ვდგამ და
მივდივარ იქ საიდანაც არ მოვსულვარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ბატიაშვილი

ბიძაჩემის, რომან ბატიაშვილის ნათელ ხსოვნას ეძღვნება. დახვრიტეს 1942 წლის 17 ოქტომბერს დანარჩენ 16 შეთქმულთან ერთად. ოცდაცხრა წლისა იყო მაშინ.

სოფელი

„ახლა გუმბათს მან დაჰკიდოს
მოგუგუნე ზარები
და დარუბანდს ახლა ერთხელ
მან ჩამოხსნას კარები.
ახლა სხვამან აღაშენოს
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დასძრას დიდგორს
როგორც ერთხელ დავძარი!“.

არჩილ სულაკაური.

იქიდან ხომ არ დამეწყო თხრობა, როგორ იწყებდა ბორიალს აღმართს უთავბოლოდ შესეულ, აფორიაქებულ ქოხმახებში სინათლის ნაფშვნეტები და ქუჩის მიყრუებული დისონანსი როგორ აფარებდა თავს მის ბინდით მოცულ ნაოჭებს, როგორ ნაკუწდებოდა ჯირკვებად ქცეულ ბოგანო სახლებს შორის ჩავარდნილი.

მერე ჩვენთანაც აფათურდებოდა სინათლის ნაცმცეცი დაბლა დაშვებული ფოჩიანი, გახუნებული აბაჟურიდან და მწუხრს წაართმევდა დედაჩემის სამეფოს, დაბალ ჭერსა და უხეიროდ შეკოწიწებულ ოთხ კედელს, ქუჩის მხრიდან ორი პატარა ფანჯარა რომ ჰქონდა დატანებული. შუქი უნდილად ააშკარავებდა მთელ მის სიღარიბეს, ხმელ ტახტზე გადაფარებულ დაცხავებულ და ფერებჩამქრალ ფარდაგს, მუთაქას, შვინდისფერ სასარჩულე ქსოვილში რომ გამოეკერა დედას, კიდევ უფრო ამღვრედა კარადის ისედაც ამღვრეულ სარკეს.

შუქი მწვდებოდა მეც, კუბოკრულ შალში ფეხებგამოხვეულ პატარა არსებას, საწერ მაგიდასთან რომ იჯდა.

საწერ მაგიდას ვამბობ, თორემ რა საწერი მაგიდა ის იყო, სკამზე ორი ლურსმით მიჭედებული სკამზე ბევრად განიერი ფიცარი, ორივე მხარეს თანაბრად გადანაწილებული სახელმძღვანელოები რომ ელაგა, რათა არ აყირავებულიყო. თიხის ჯამში კალმის წვერები და ფერად ფანქართა ნარჩენები მეყარა. სამე-

ლნესა და კალმისტარს დედა კარადის ქვემო უჯრაში ინახავდა და მხოლოდ მაშინ მაძლევდა, როცა საწერი მქონდა.

ფეხები ყოველთვის მეყინებოდა.

სარდაფში, რომელზედაც ჩვენი ოთახი იდგა, წყალმა იცოდა დაგროვება და იქიდან დღენიადაგ ისეთი სიცივე ჟონავდა, ვერც ხბილი წინდა მშველოდა, ვერც შალი.

დედა სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა. კვირაგამოტოვებით საღამო ცვლაში გადიოდა და გვიან ღამით ბრუნდებოდა. ვიჯექი მარტო ცივ ოთახში, შევყურებდი პატარა, მრგვალი საათის ისრებს და ლოდინისაგან გული მეწურებოდა. გაფაციცებული ჩემი სმენა ავეჯისა და იატაკის ნებისმიერ გაჭრიალებას ავისმომასწავებლად აღიქვამდა. შიშატანილსა და საკუთარი უძლურებით გაგულისებულს, ვინ იცის, რამდენჯერ მომრევია ცრემლი.

ავეჯი დედის გარდაცვალების მერე შევიძინე.

კარადა მეზობელმა წაიღო, სამზარეულოში გამომადგებაო, უჯრებიანი ნაწილი ჩამოახერხა და ისე შეათრია შიგ. ერთხანს ხმარობდა, მერე, როცა სარკე ჩაუტყდა, ფიცარ-ფიცარ დაშალა და ეზოში ცეცხლს მისცა. ბავშვები ხტოდნენ ცეცხლის გარშემო, ქუჩა აავსეს ჟრიამულით. საწერი მაგიდა კი დავშალე და სკამი ეზოში გავდგი სარეცხის გაფენის დროს ხმარობდნენ მეზობლები, ზედ შემოდგამდნენ ხოლმე თეთრეულით სავსე თასს. ტახტი სად არის ახლა, ძნელი სათქმელია, დაატარებენ კარდაკარ. სასახლის დასადგმელად იყენებენ, თუ, ღმერთმა ნუ ჰქნას, უბედურება შეუღებს ვინმეს კარს. ფარდაგი იატაკზე დავაგე, დაჭმული ფიცარი რომ დამეფარა, იქნებ სარდაფიდან სიცივის დენაც შეეჩერებინა ოდნავ. მთლად გაცვდა და გატიალდა.

ახალი ავეჯი არაფერს მახსენებს,, თუ არად ჩავთვლით იმ დამამცირებელ ხვეწნა-მუდარას, მის ხელში ჩასაგდებად რომ გადამხდა. დგას თავისთვის პრიალა და ცივი. ის კია, ზოგჯერ მეჩვენება, ოთახს [illegible] ცოცხალი ნაწილი [illegible] და არა მარტო ოთახს, ჩემს ცხოვრებასაც, ჯავრიან მონატრებად რომ გვექცა, ორთავეს რომ გვტკივა, ორთავეს რომ გვესიზმრება.

არადა, როგორი აღფრთოვანებით ველოდი ოთახის ახალ მორთულობას, როგორი მოუთმენლობით ვიცილებდი ძველს. მეგონა სიხარულისაკენ შეტრიალდებოდა გარიყული ბედი ჩემი.

ახლა საკუთარ თავს დავცინი. ზიზილ-პიპილებით მოვირთე უპოვარი ცხოვრება ჩემი, იმ გლახას დავემგვანე, ნაჩუქარ ქათქათა ხელთათმანებში რომ გაჰყო თავისი დაშაშრული ხელები, როცა დაგლეჯილ ფეხსაცმელებში თქრიალით შესდის და გამოსდის წყალი.

იქნებ არც ღირდა ამ სევდიანი ამბის გახსენება, იქნებ იქიდან უნდა დამეწყო თხრობა, რა ლამაზი სუფრა გვქონდა, თეთრი, გახამებული, კუთხეებში ყვავილებამოქარგული, როგორ მიყვარდა მისი თვალთვალი. დედას ამოექარგა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ცხოვრება ფერსავსე და მყარი ეჩვენებოდა, როცა მიამიტი გულდაჯერებით ემზადებოდა ბედნიერებასთან შესახვედრად. მას შემდეგ ბევრ წყალს ჩაევლო და ახლა ნაქარგის გახუნებული, ალაგ-ალაგ ჩაწყვეტილი ძაფების შემხედვარეს იქნებ ნაღველი ერეოდა კიდეც, რადგან ყმაწვილქალობის აღფრთოვანებული მზადყოფნა ცხოვრების გამარტივებულმა, პირქუშმა ლანდმა მოაღრჩო.

მოსაღამოვდებოდა და აანთებდა თუ არა შუქს, ფაქიზად, მოფერებით აკეცავდა გადასაფარებელს, ისეთი სისათუთით გადააწვენდა მუთაქაზე, თითქოს მის რეცხვისაგან შეთხელებულ ქსოვილში ცოცხალი სული ბინადრობდა. იქნებ ბინადრობდა კიდეც, ვინ იცის...

არც ის გადასაფარებელი დავინდე.

მერე, როცა მაგიდისათვის გობელინი შევიძინე, შედარებით ნაკლებდაზიანე-

ბული მხარე ჩამოვაჭერი, გვერდი გადავუტეხე და სავარძლებშორის ჩადგმულ მაგიდას გადავაფარე. ის კია, ისე ისე იყო დაცხავებული, ერთი გამოხარშვაც კი მოუღებდა ბოლოს, მაგრამ შენახვა ხომ მაინც შეიძლებოდა. ისე ვიყავ გატაცებული ოთახის მორთვა-მოკაზმით, ეს აზრადაც არ ძრძსვლია, ყველაფერი, რაც მეტ-ნაკლებად ღირებული მქონდა, საქვეყნოდ მსურდა გამომეფინა.

მაგიდაზე ახლა ჩითი ან იაფფასიანი შალის ქსოვილი გადაიშლებოდა. რვა საათი საკერავ მანქანასთან ჯდომით ქანცგაწყვეტილი, ახლა სახლში შეუდგებოდა მოზარდის კაბებისა თუ პერანგების კერვას. მეტს არც არაფერს ანდობდნენ.

უცნაური შუქი თრთოდა მისი ფერწასული სახის თვალზე, ერთდროულად ამაყსაცა და დაჩაგრულ იერსაც რომ სძენდა. გლოვისა და დაცინვის დაძაბული ერთობლიობა სხივად ედგა მის სადარდებელში წასულ თვალებს. მეჩვენებოდა, ყოველ მომდევნო წუთს შეეძლო ამ მერყევი განწყობილების გაცამტვერება. გაფაციცებული შევყურებდი, რაღაც ძალიან ცუდის მოლოდინი მაფორიაქებდა, მაშინებდა.

დაახველებდა. ნიადაგ გაციებული იყო. ფაბრიკაში, სწორედ მისი სამუშაო ადგილის უკან ზუზუნებდა სარკმელში ჩადგმული ვენტილატორი.

— ვეღარ დავიყენე საშველი, ვეღარ გამოვიცვალე ადგილი, — იტყოდა გულგარეთ, — ან ვინ გამიცვლის, სულელი ვინაა, — ჩაიცინებდა.

სწორედ ეს ჩაცინება შემინელებდა წინათგრძნობის სიავეს, ჩამაცხრობდა. თუმცა ვიცოდი, ძალიან კარგად ვიცოდი, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დადგებოდა ის საბედისწერო წუთი, როცა ვეღარ ვიცნობდი დედაჩემის ხმას, თითქოს შიგნეული აუგუგუნდაო, თითქოს დღევანდელობა აღარ არსებობსო, თითქოს სისხლით, სიკვდილით, უძლურებით გაჟღენთილი ერთდროულად ჩამდგარაო დაბეჩავებულ ჩვენს მარტოობაში.

— სახლისაგან რაღა უნდოდათ, სახლმა რაღა დააშავა... — წლებითა და დარდით ფრთანაკრავი სახე მისი გახეშებულ თითებში მოექცეოდა, მშრალი თვალებით კარადის სარკეს მიაცივდებოდა ისეთი დაჟინებით, ისეთი მოთმინებითა და დაკვირვებით დაიწყებდა მისი ამღვრეული სიღრმის თვალთვალს, თითქოს იქ ელოდა გარდასულ დღეთა გაცოცხლებასა და ძვირფასი სახეების გაელვებას.

— სახლისაგან რაღა უნდოდათ, სახლმა რაღა დაშავა, — ნერვიულად ეძაბებოდა მშრალ, კანდამსკდარ ბაგეთა გამყოფი ხაზი, თითქოს სხეულში ჩამდგარ ამბოხსა თუ გლოვას უკეტავდა გზას, რადგან ყადაღა დაედოთ, აღეკვეთათ მისთვის ამბოხიცა და გლოვაც, მხოლოდ სასოწარკვეთის ყრუ გმინვის გარეთ გამოტანაღა შეეძლო, მხოლოდ დატირებასღა ახერხებდა მარტოობაში, მით უმეტეს რომ იცოდა, ოი, რა კარგად იცოდა, მხარეში ამომდგომი რომ არავინ ჰყავდა.

— სახლისაგან რაღა უნდოდათ, სახლმა რაღა დააშავა. ჯვარზე გადმოდგებოდი და მაშინვე ჩვენი ეზო-კარი მოგხვდებოდა თვალში, წითელი კრამიტით გადახურული. თეთრი ლოდები გვეყარა ერთმანეთის მიყოლებით ჭიშკრამდეც, ბოსლამდეც, ბოსტნამდეც. ბოსტნიდან ბილიკი ღელეში ჩადიოდა, ამოხვიდოდი ღელედან და სოფლის გზაც იქვე იყო. აუყვებოდი ბლაშეებს, გახვიდოდი ჯვარზე. თიხნარია იქ, ტალახი იცის...

თავზარდაცემული შევცქეროდი სარკეს, რომლის მქრქალ სიღრმეში მაგიდის კუთხე და გასაფარებლის ნაქარგი კალთა, დედის გაძვალტყავებული მხრები და ხელებში გამომწყვდეული თავი მოჩანდა. თითები ისე გაფარჩხულად, ისეთი დაუნდობელი სიმკაცრით შემოერკალა ყბებზე, თითქოს ეშინოდა, ხელიდან არ დასხლტომოდა.

არ ვიცოდი რა იყო ბლაშეები ან

ჯვარზე გადმოდგომა, მაგრამ მარტო ეს ორი სიტყვა არ ვიცოდი? ყველაფერი, რაც მესმოდა, ისეთი შორეული იყო, უცხო, ბუნდოვანი, ვერაფერი გამეგო, სიტყვა ქვასავით ეცემოდა ჩემს დათრგუნულ არსებაში. მტრობა გარდასულისა მაჩანაგებდა, მაუდაბურებდა.

— სარკე გვქონდა ისეთი, ჭერსა სწვდებოდა. სარკის წინ, მაგიდაზე საოჯახო ალბომი გვედო. ისიც დაიწვა...

მაგრამ ეს იქნებოდა ხვალ. ხვალამდეც კი დიდი გზა იდო. გადავადებული დღეანდელობა გამომაცოცხლებდა.

●

— როგორ მიდის მამაცი კურდღლის საქმე, მოერია ლომს?

— მოერევა, მოერევა, ნახავ, თუ ვერ მოერევა, — ხტუნვა-ხტუნვით შემოვუვლიდი მაგიდას, ვყვიროდი სიხარულით.

მაკრატელმომარჯვებული დედა გაკვირვებით მადევნებდა თვალს, ვერ გაეგო, რას გავეხალისებინე ასე.

— მაგასაც ვნახავთ.

— ვნახავთ, ვნახავთ...

ფიზკულტურის ვიწრო, გრძელ დარბაზში გავმართეთ წარმოდგენა.

ფიზკულტურის მასწავლებელმა, როგორც ყველაზე ღონიერმა და მოხერხებულმა, ჯერ გასახდელის ბნელ, უჰაერო ოთახში შეათრია დარბაზის მთელი აღჭურვილობა, მერე უზარმაზარი ფანჯრებიდან ჩამოხსნილ ფარდებში თოკი გაუყარა და სცენის წინ მოპირდაპირე კედლებს შორის რის ვაივაგლახით დაჭიმა. ნავთიანი ნახერხით მოწმენდილ იატაკზე დაეფინა მათი კალთები. გადაწევის დროს მტვრიანი კვალი დატოვა. დარბაზის ერთ კუთხეში თითქმის ჭერამდე შეყრილი შავი, ალაგ-ალაგ გაგლეჯილი ლეიბები გადმოყარა სცენის მაგივრად რატო ოთხფად არ დაეწყო ადგილზე.

მე მამაცი კურდღელი გახლდით, კურდღელი, რომელსაც გაბოროტებული ნადირთ ხელმწიფისაგან უნდა ეხსნა ტყის ბინადარნი.

სატომრე ქსოვილისაგან შემიკერა დედამ ჩაჩიცა და ხალიჩა ჩაბა ყურებში მუყაო ჩააყარა, [illegible] ტილი რომ ყოფილიყო. ერთმანეთში ჩახვეული ქსოვილი პაწაწკინტელა ყულფად ჩააკერა იქ, სადაც ჯერ არს. ტანსაცმელი მოხდენილი გამოვიდა. სიხარულისაგან მისკდებოდა გული. განსაკუთრებით კუდი მეამაყებოდა. სცენაზე გავაგაზნექილი დავდიოდი, სწორედ კუდი რომ დამენახვებინა ყველასათვის. უხერხულად ვმოძრაობდი, მაგრამ სურვილის დამორჩილება არ შემეძლო.

სპექტაკლის დაწყების წინ პიონერთა ხელმძღვანელმა, მეტად აქტიურმა, ენერგიულმა ახალგაზრდა ქალმა, რომლის მეცადინეობითაც იდგმებოდა ის, რაც იდგმებოდა, ბოლო დარიგება მომცა.

— ბავშვო, — მიკივლა, — თან მარჯვენა ხელის სამი თითი მთელის ძალით შეჭკრა, ჯერ თვითონ მიირტყა საფეთქელზე, მერე მარცხენა ხელისგულს დაუშინა და ბოლოს მე მკრა შუბლში. შევქნადი, — აბა , უყურე ეხლა ამას, ესაა ლომის მომრევი? თამამად, გესმის? თამამად. შენ, მართალია, კურდღელი ხარ, მაგრამ მამაცი და პროლეტარიატის ბედნიერებისათვის მებრძოლი ბოლშევიკი. შენ რევოლუციის გმირი ხარ და მონარქის სისხლი გწყურია.

ჩემთვის უკვე ესწავლებინათ ბოლშევიზმი და მენშევიზმი, რევოლუცია და კონტრრევოლუცია, დემონსტრაცია, ოპოზიცია, დეკრეტი, ბრონირებული მატარებელი, სახალხო კომისარიატი, მავზოლეუმი, გენერალური მდივანი, ელექტროფიკაცია, კოლექტივიზაცია, კულაკი, ხუთწლედი... მერე ისეთი საზარელი სიტყვებიც გავიგე, ნაციონალიზაცია და ექსპროპრიაცია რომაა, წითელი ტერორი, სანქცია, ემიგრაცია, გულაგი, ბოლოს კორუფცია და პროსტიტუცია, მაგრამ ეს მერე იყო.

ისეთი თავგანწირვით დავიწყე სირბილი იმ დაგლეჯილ ლეიბებზე, როცა წარმოდგენის მიხედვით თავის სიძლიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეში დარწმუნებული ბოროტი და ბრიყვი ლომი, იგივე სისხლისმსმელი მეფე თუ კაპიტალისტი, ჭასთან უნდა მიმეყვანა, შიგ ჩამეხედებინა და წყალში საკუთარი ანარეკლი დამენახვებინა, რათა ეღრიალა, — ეს ვიღა არიო, — ჭაში ჩამხტარიყო იმ ვიღაც მეტოქის გასაფატრავად და იქ დაემთავრებინა თავისი დაწყევლილი სიცოცხლე. ჭა სცენის სიღრმეში ტუმბოებით შემოსაზღვრული მცირე სივრცე გახლდათ, ვერ მოვზომე, სცენის კიდეს მივადექ, ფეხი ლეიბის გაგლეჯილ ნაწილს გამოვდე და თავი რომ შემეკავებინა, ორივე ხელით ფარდას ჩავაფრინდი, ზედ დავეკიდე. თოკი, ფარდას რომ ამაგრებდა, მოწყდა და სცენიდან დაბლა მოვადინე ზღართანი, რა თქმა უნდა, ფარდაში გახლართულმა. წარმომიდგენია, მტვრის როგორი ბუღი დადგებოდა.

სცენაზე მბდღვინავ ლომს ხარხარი აუტყდა. ამ ხარხარს ტყის ბინადართა კისკისი შეუერთდა. მაყურებელმა მერე ამოიღო ხმა, ატეხა ჟრიამული და ფეხების ბრაგუნი. ჩემი ფარდიდან გამოხსნა არავის მოსდიოდა აზრად. მე კი, რაც უფრო ვცდილობდი განთავისუფლებას, მით უფრო ვიხლართებოდი. მახრჩობდა სიბრაზე და მტვერი.

— თამამად, არა? თამამად არა?

ერთი რამ მანუგეშებდა მაინც. დედაჩემი არ იყო მოწმე ჩემი ამ სასტიკი მარცხისა. მეორე ცვლაში მუშაობდა იმ დღეს და არ გაათავისუფლეს, კვარტლის ბოლო იყო და გეგმა არა ჰქონდათ შესრულებული.

სახლში მივედი და მაშინღა ვიგრძენ, როგორ მტკიოდა მთელი სხეული და მეწვოდა გაბინძურებული, ჩაწითლებული მუხლისთავები.

დედას სიცხიანი დავხვდი, აალებული, ტირილისაგან სახედასიებული.

ჩემი ავადმყოფობა აქ არ დამთავრებულა ვარდისფერყდიანი წიგნის გადარჩენის სურვილმა გამიხანგრძლივა იგი. ახლაც მახსოვს მისი კიდეებშემოცვეთილი ყდა, ძლივს რომ იმორჩილებდა მძიმე, შეყვითლებულ ფურცლებს, წიგნიდან ამოვარდნას, დათიოებას, რომ ცდილობდნენ. ყდაზე ქალის შეიეთ შემოწერილი უნატიფესი მკლავი ეხატა, სამაჯურთა ოთხეული აესხა ზედ, უკიდურესად დაეძაბა ხელის თხელი ძტევანი, გადაეზნიქა გრძელი თითები.

წიგნი ერთ მოხუცს ეკუთვნოდა, ეზოს განაპირა, უფანჯრო ოთახში რომ ცხოვრობდა. იშვიათად გამოდიოდა გარეთ, მაგრამ როცა გამოვიდოდა კარს აუცილებლად ღიად დატოვებდა და მისი ბუნაგიდან ისეთი მბიმე, შმორიანი, ლაყე კვერცხის სუნით გაჟღენთილი ჰაერი იხუვლებდა, ვერ გაჩერდებოდი სიახლოვეს. დღენიადაგ ახველებდა, ხველა რაღაცნაირი, ყივილიანი ჰქონდა, სუნთქვითაც ისე სუნთქავდა, თითქოს კი არ სუნთქავდა, წიოდა.

მარტოხელა იყო და მარტოობაში ამოხდა სული. მიწას მეზობლებმა მიაბარეს. მერე მთელი მისი ავლადიდება, თეთრეულის გარეშე ნახმარი წაბილწული ლოგინი, გაქონილი ჯამ-ჭურჭელი, ზინზლიანი ტანსაცმელი და საცვალი, ჩაყვითლებული, ნესტიანი, ობმოდებული გაზეთების გროვა ოთახიდან პირდაპირ ქუჩაში გაიტანეს, ზედ რამდენიმე წიგნიც დაადეს და სანამ ამეების დაწვას მოიფიქრებდნენ, უპატრონო ძაღლებს მიუყარეს სათრევად. ერთი ნავთქურა ჰქონდა კიდევ. იმან, ვისაც გარდაცვლილის ოთახი მიაკუთვნეს, სამზარეულოდ რომ ხმარობს დღესაც, უტრიალა იმ ნავთქურას, უტრიალა,—გამომადგებაო,—ჩაილაპარკა და მიისაკუთრა.

— ხელი არაფერს ახლო,—მკაცრად გამაფრთხილა დედამ.

მაინც ვახლე.

ისე მაცდურად ღვივოდა წიგნის ვარდისფერი, ისეთი შესაცოდი იყო აყროლებულ ნაგავზე მიგდებული, გულმა ვერ გამიძლო, ავწრიალდი, სადღაც გრძელი ჯოხი მოვნახე და იმით გადმოვათრიე. ერთი კი შევავლე თვალი ქალის სამაჯურებასხმულ მკლავს, ყდაში მოვაქ-

ციე სანახევროდ გარეთ გამოყრილი მისი ყვითელი, პრიალა ფურცლები და გულში ჩავიკარ.

— ელომ წიგნი მოიპარა, ელომ წიგნი მოიპარა, — აჟრიამულდა ეზო.

— გადააგდე, — იკივლა დედამ და ჩემსკენ წამოვიდა.

გავიქეცი, სად გავრბოდი ნეტა, წავიქეცი, მტკივანი მუხლები მთლად გადავიტყავე და შუბლი გავიტეხე.

სახესისხლიანი ძლივს წამომაყენა ქალმა, ძალისძალად გამომგლიჯა წიგნი და შორიდან ისროდა უკვე გაღვივებული ცეცხლისაკენ. ფურცლები ჰაერშივე დათითოვდნენ და აფრიალებულებმა საქვეყნოდ გამოამზეურეს თავისი ღირსება, ფერად-ფერადი ნახატები. ვინ იცის, იქნებ გულმოწყალებას ელოდნენ პასუხად.

— ბაცილა ღა გვაკლია, დედა აივნისაკენ მიმათრევდა, მე კი ისევ იმ ფურცლებისაკენ მივიწევდი, აცახცახებულნი რომ ეშვებოდნენ ქვაფენილზე და ვინ იცის, როგორ ეშინოდათ ცეცხლის.

იმ საღამოს ისევ ამიწია სიცხემ.

ყბაყურით გავხდი ავად.

ყბაახვეული ვიწექი ჩვენს ხმელ ტახტზე, შევყურებდი მაგიდის ქვეშ გაშლილ სიმინდის მარცვალს და ისევ ის ვარდისფერი წიგნი მეცოდებოდა, სამუდამოდ რომ შთანთქა ცეცხლმა. სევდით ვივსებოდი და უკვე აღარაფერს არა ჰქონდა აზრი, არც ჩაშლილ წარმოდგენას, არც გახეთქილ შუბლს, რომელიც გამუდმებით მეწვოდა და არც ყბაყურას, არც იმას, დროზე მოვიდოდა თუ დააგვიანებდა დედა. მე უკვე აღარ ველოდი მას. მე უკვე ვგრძნობდი დარდს გაუზიარებელს და სწორედ ამიტომ მარტოობას დაურღვეველს.

დედა კი არასოდეს აგვიანებდა.

შორიდანვე მესმოდა მისი სწრაფი, ფრთხილი ფეხის ხმა. ვიცოდი, როდის მოაბიჯებდა ქვაფენილზე, როდის მოუყვებოდა კიბეს, როდის გამოვიდოდა საერთო აივანზე, ეზოს მხრიდან მთელს სიგრძეზე რომ გასდევდა სახლს და სულ რამდენიმე საფეხურით აცდენოდა ეზოს ქვაფენილს.

ნავთქურაზე შემოდგამდა ბრინჯისა თუ მაკარონის წვნიანს.

— აივანზე თუ იხრწნება რაღაც, სამზარეულოში შემოდის სუნი. თაგვი იქნება... შუადღისას გებინა?

უსიტყვოდ შევუდგებოდით წვნიანის ხვრეპას.

შემოდგომა იდგა. მისი წყნარი, ბინდისაკენ გადაქანებული ნათელი სახესა და ხელებზე ეფინებოდა ფანჯარასთან მჯდომ დედას.

პურს კი არ კბეჩდა, მცირედს ჩამოატეხდა მის თხლად მოჭრილ ნაჭერს და სანამ პირში ჩაიდებდა, ყურადღებით შეათვალიერებდა. მამაჩემმა იცოდაო ასე, — რამდენჯერ უთქვამს.

— ნორმადარს ვთხოვე, პარტკომთან მიმყევი მეთქი. იქნებ ერთი სარაფანი დამითმონ ფასდაკლებით. მაინც წუნია, მაინც სარდაფში ყრია. რაც მოგიცია, რასა მთხოვო, — უწმაწური ქირქილი კი იცის, მაგრამ დავბრმავდი და დავყრუვდი. შემოსაცმელიანადა თუ გამომომატანეს, მშვენიერ კაბას შეგიკერავ. სულ სხვას ხომ არ უნდა ვუკერავდე. შემოსაცმელიანად მომცემენ. აბა რას იზამენ, სარაფანს ეკუთვნის ისიც. თუმცა, მაგათგან ყველაფერს უნდა ელოდე... რა მალე ბინდდება.

ლაპარაკი არ უყვარდა. მისალმების ნიშნად გულგრილად იცოდა თავის დაქნევა, საფიქრალში წასული ხეირიანად არ შემოგხედავდა. სხვაც არავინ იკლავდა თავს. იშვიათად თუ შემოვვიღებდნენ კარს, ისიც მხოლოდ მაშინ, კანლიზაცია თუ გაფუჭდებოდა და მოხელესათვის სამმანეთიანები გროვდებოდა, ან სამეზობლოში ვიღაც გარდაცვლილიყო და ისევ ფულს თხოულობდნენ. უხალისოდ გამოწევდა კარადის უჯრას, კაცს ეგონებოდა ენანებაო ფულის გაცემა, გამოიღებდა თავის შავ, ძველმოდურ ხელჩანთას, ტკაცუნა საკეტი რომ ჰქონდა, ამოშლიდა წვრილ ფულს...

მაგრამ თუ სიტყვა ერთხელ დასცდებოდა მის მოკუმულ ბაგეთ, შეჩერება აღარ შეიძლებოდა. ისეთის ძალით იხუვლებდა, თითქოს სიმრავლე მისი ქალის სხეულში ვეღარ დატეულიყო, შმაგი და კაპასი, არ დამორჩილებული ჟამთა ტრიალს, არ გატანებული დროთა ქარებს, ისევ ძველ ვნებებს ატანილი, ისევ გარდასული ცხოვრებით მოტრიალე.

იქნებ სწორედ აქედან უნდა დამეწყო თხრობა, რა საჭირო იყო ამდენი მიეთ-მოეთი.

— ზამთარში ხე იყო მოსაჭრელი, მისი ციცაბო, მოყინული ფერდობებით დაბლა დაშვება, ტყის პირზე დალაგება, მომავალი წლისათვის თადარიგის დაჭერა, — ბრაზობდა, თითქოს ვინმე ედავებოდა, — ღობისათვის სახრე იყო საჭირო, თორემ ნათესს ღორი გააფუჭებდა. ზაფხულს პურის მკა და გალეწვა ჭირდება. ადვილი არ იყო კევრზე დგომა. ნიჩბით უნდა მდგარიყავი და ყურადღებით გეთვალთვალა ხარისათვის, ნეხვი თავთავში რომ არ ჩავარდნილიყო. ხარი ენაგადმოგდებული გმინავს და თხიერ ნეხვს ყრის. თხიერი ნეხვი ძნელად ჩერდება ნიჩაფზე. როგორი იყო კევრზე სიმონი, ჩემი ძმა...

— ზამთარი მიილეოდა, ჩვენს ბაღში კი თოვლი უძრავად იდო. ნაცარს მოგვაყრევინებდა მამა, მალე რომ მილეულიყო, მალე რომ ამოეწვერა ბალახს....

— ახლა ქვა-ღორღისაგან იმ ნაკვეთის გაწმენდა, ტყეს რომ ეკვროდა. სათესი ფართობი უნდა გავადიდოო, — აიჩემა მამამ. იმდენი ქვა-ღორღი ეყარა, შეუძლებელი მეჩვენებოდე მისგან თავის დაღწევა. გადაწყვიტა კაცმა, — ბულყორედ შემოვლებოდა ნაკვეთს. ძელყორედ კი არა, გალავნად შემოევლო, მიწამ კი მხოლოდ ალაგ-ალაგ გამოაჭყიტა. ჩხუბობდა დედა, — ამ დაწყევლილ ნაკვეთში ათი ფუთი პურის მარცვალი მიეცი და ახლა მთელს ოჯახს სიცოცხლეს გვიმწარებო... ის კი ეჯდა ხავსით დაფარულ ქვაზე, ეწეოდა გაზეთში გამოხვეულ თუთუნს [illegible] ცისფერ ბოლს უშვებდა [illegible] მისაგან გახურებულ სხეულს ასდიოდა ორთქლი. იცოდა, აქ მიწა ნეშომპალით იქნებოდა მდიდარი, ჩვენს სხვა ნაკვეთებში მიწა თიხნარი იყო. საქონელი არც იმდენი გვყავდა, მიწისათვის წესიერად გვეპატრონა. როგორი სისათუთით ვაგროვებდი ნაკელს.

— ყველას მოხდენილი, ცქვიტი ცხენი ჰყავდა, ჩვენი ცხენი კი დიდი იყო, გამხდარი, გრძელკისერა. მეცა და ჩემს ძმასაც არაფრად გვაგდებდა. ბიჭი შეჯდომას თუ დაუპირებდა, დაუკრეჭავდა კბილებს, რამდენჯერ გამოჰკიდებია... იმის მაგიერად ბალახით ამოეყარა ის დასამიწებელი მუცელი, მილულავდა თვალებს და თავს მოიმძინარებდა. საბალახოდ სად არ მიმყავდა, მაგრამ არა, არ მოსწონდა, მაინცა და მაინც სამყურა უნდოდა. იმასაც ზარმაცად კიკნიდა, — ბობოქრობდა ქალი.

არაერთხელ მომესმინა ყოველივე და ალბათ ძილბურანში მყოფიც შევძლებდი მეთქვა, როგორ ეძებდნენ ჩიტის ბუდეს როგორ ჩხრეკდნენ ბუჩქებსა და ჯაგებს, როგორ ივსებოდნენ მღელვარებით, ბუდეს თუ წააწყდებოდნენ. შიგ კვერცხებს, ან მთლად უკეთესი, ბარტყებს აღმოაჩენდნენ და გული გაფრენაზე ჰქონდათ. იცოდნენ, განა არ იცოდნენ, არ შეიძლებოდა მათი ხელის ხლება. აკანკალებულ თითებს მაინც უახლოვდებოდნენ ბარტყებს ხახადაფჩენილ, წამოყელყელავებულ კისრებს, როგორ იპარავდნენ ყველს, მათთვის რომ წაეღოთ, თუმცა ისიც კარგად იცოდნენ, ჩიტის საქმეში ჩარევა რომ არ შეიძლებოდა.

ვიცოდი, როგორ თევზაობდნენ. თევზაობდა სიმონი, ის კი მოუთმენლობაატანილი, ქვებზე ხტოდა. რამდენჯერ მომხდარა, ქვის ძირიდან სიმონს თევზის მაგიერ გველი გამოუთრევია და ხელის მკვეთრი აქნევით ქვებზე გაუდენინებია ზღართანი.

ვიცოდი, როგორ ტყდებოდა კვერცხი, როგორ ინათებდა ჩალის ბუდეზე წიწილის ყვითელი აბრეშუმი, როგორ იბადებოდა ხბო, როგორ იწყებდა წრეზე სიარულს მშობიარობადროდამდგარი ცხენი, როგორ გაზარდეს ნაგაზი, ორი კვირისა რომ მოიყვანა მამამ. ჯერ ნაცრისფერი იყო, მერე გაჩალისფრდა, ბოლოს სიმუქე შეეპარა ისევ. ჰასანი შეარქვა. არაფერს აკლებდა, არც კვერცხს, არც ხაჭოს, არც ხორცს, ვაშლსა და ქლიავს ჩაუჭრიდა ხოლმე წვნიანში, არც უმი სტაფილო ავიწყდებოდა. მხოლოდ მაწონს არ აძლევდა კუჭს შეუსუსტებსო ნანისნანატრად გაზარდა. ძაღლიც ისეთი იყო, როგორც არ უნდა შიებოდა, მაშინვე არ ეცემოდა საჭმელს. ჯერ ვითომ არცა ხედავდა, ჩაუვლიდა, ამოუვლიდა, სასხვათაშორისოდ დაყნოსავდა. თუ უყურებდი, არასგზით არ შეჭამდა. ამაყი იყო. ისეთი მიბნედილი თვალები ჰქონდა, იფიქრებდი, ბუზს არ აიფრენსო. ზამთარში კი სოფელში შემოსული რამდენი მგელი დაუგლეჯია... შვილებს არ მოფერებია კაცი, იმას კოცნიდა.

წითლებს ხბოც შეუჭამიათ და კვიციც.

დედაჩემი ზევიდან უყურებდა თურმე, როგორ შემოყარეს ცხენები მდინარეში. ოცამდე მხედარი იყო, დროშას მოაფრიალებდნენ, როგორ ამოჰყოფნენ სოფლისაკენ ამომავალ ბილიკს.

ბაბუაჩემს უთქვამს, — ვიცი, რისთვისაც გინდათ ეს კვიცი, ცხენს არ დაანხოთ, ისე გაიყვანეთ. წყალზე ჩავიყვან და მერე, ცოდოა ცხელიო.

უკან ამობრუნებულებმა კი საზარელი რამ ნახეს. იქვე, ეზოში დაეკლათ საცოდავი, ხეზე დაეკიდათ და ატყავედნენ ხორხოცით. ჰასანიც იქვე ეგდო მკვდარი. ტყვია დაეხალათ ზურგში.

ცხენი შემხტარა ყალყზე, ერთი კი დაუჭიხვინებია და დაცემულა გულგახეთქილი.

ბებიაჩემი ჩავარდნია ფეხებში კაცს,— შენც მოგკლავენ, ვერ მოერევიო ამდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე ხელაღებულს ერთად.

გვიანობამდე უთხრია საძარე ძაღლისა და ცხენისათვის. ორივე ეზოს გარეთ, ტყის პირზე დაუსაფლავებია.

— კიდევ კარგი, სიმონი გაეცალა სოფელს, თორემ შვილისთვისაც გამათხრევინებდნენ სამარეს ეს ღორისშვილებიო, — უთქვამს, მაგრამ ეს იყო მერე.

ისიც ვიცოდი, როგორ დატანტალებდნენ ფეხშიშველნი. იმდენად გაუხეშებული ტერფები ჰქონდათ, ახლად მომკილ პურის ყანაზეც კი გადარბოდნენ, გზა რომ მოეჭრათ ღორისათვის, რომელსაც, უთუოდ, სიმინდის ყანისაკენ ჰქონდა გეზი აღებული. თან უბეში ჩაყრილ ქვებს მიაჩხრიალებდნენ, ცხოველისათვის რომ დაეშინათ.

ზამთარშიც ფეხშიშველები ხომ ვერ ირბენდნენ. ორთავეს ბაბუაჩემი უკერავდა თურმე ქალამანს საქონლის მშრალი, შებოლილი, დაჭიმული ტყავისაგან.

.— ცხენისა არ გამოდგება. ცხენისა მალე ცვდება. — ხაზს უსვამდა დედა, — ნაზია.

ტყავს ჯერ ბალანს აცლიდა, დააყრიდა ნაცარს და ხის საფხეკით ამუშავებდა. მერე იწყებდა გამოჭრას. თბილი წინდებიც ჰქონდათ, მთელი ზაფხული მათი წინდების ქსოვაში იყო დედა, ჩალასაც მოხერხებით იფენდნენ ქალამანში. მსუბუქი იყო და რბილი, არც თოვლზე ცურავდა და არც ქვაზე. ერთი ნაკლი მაინცა ჰქონდა, ჩამოთბებოდა და უნდა გაგეძრო. ზაფხულში ყროლავდა და ფეხებსაც გტკენდა.

სკოლა კი მეზობელ სოფელში ჰქონიათ. გზად რამდენიმე მდინარე უნდა გადაევლოთ. ზამთარში მდინარეზე ხიდად გადებული მორი იყინებოდა, წყალდიდობის ჟამს კი მოვარდნილი ნაკადი საერთოდ იტაცებდა მას.

ეზარებოდა სიმონს მეცადინეობა. სკოლაში ძმაბიჭებთან შესახვედრად დადიოდა. მერ ფიზიკური გეოგრაფიის

მასწავლებელი შეუყვარდა და არ შეერცხვეო, — გადაშალა წიგნი.

სკოლა დაამთავრა და მუშაობა დაიწყო. ხე-ტყეს აცურებდა მდინარეზე. ბოლო არ უჩანდა მის თავმოწონებას,— უბრალო საქმე არ გეგონოთ, ცოდნა და ვაჟკაცობა უნდაო ამას. გათვალისწინება ჭირდება მდინარის ფსკერზე ქვების მოძრაობას, თორემ ფეხებს დაითეთქვავ ან შეეჯახებიო წვეტიან ლოდს. მუხის ბერკეტის ხმარებას ნუ ეხუმრები, თორემ მორმა იქნება მოგზელოს და დაგამახინჯოს კიდეც, დამახინჯებას კი სიკვდილი ჯობსო... მერე ფეხები ასტკივდა და მიატოვა ეს საქმე.

მათი ფერდზე შემდგარი, წითელი კრამიტით გადახურული სახლი ბაბუაჩემის ბაბუის აგებული ყოფილა. ბაბუაჩემის მამას მისთვის ორი ოთახი მიუშენებია უკანა მხრიდან, ბაბუაჩემს კი ქვიტკირის ბოძებზე შემდგარი, კარგა მანძილით წინ წაწეული, მრგვალი აივანი მიედგა სახლისათვის. აივნის რიკულებიც თავისი ხელით გამოეთალა, ლამაზად მიეწყო ერთმანეთზე. აივნიდან თავადიშვილებივით გადაჰყურებდნენ თურმე დაქანებულ ეზოს, ვაშლებს, ქლიავებს, ტყემლებს...

აქედან მოჩანდა ტყე, სოფლის გარშემო დაყუდებულ მთებს რომ მიუყვებოდა მდუმარედ, ალაგ-ალაგ ფაქიზად მოკალათებულ მინდვრებს მხარს უქცევდა მერე ისევ იკრავდა პირს და კიდევ უფრო იდუმალი აგრძელებდა საკუთარ თავს. საღამოობით განსაკუთრებულად იგრძნობოდა მისი მძლავრი მაჯისცემა. სევდიანად სტვენდნენ შაშვები, ფოთლებში მოხდენილად მოკალათებული ცისკენ მიექციათ ქარვისფერი ნისკარტები.

მოჩანდა მთათა მიღმა ასვეტილი კლდე, ჩამავალი შუქი რომ მისდგომოდა მის ქართაგან ჩამოლეწილ წახნაგებს. წმინდად დაღარულს ფერდებს მისას აღვივებდა, აცოცხლებდა, თითქოს ღარები კი არა, ძარღვები ჰქონდეს.

სწორედ ამ კლდეზე იყო მიწოლილი და გაქვავებული ადამიანი, რომელსაც ოდესღაც შექმნილი, სიცოცხლისაკენ მიჰყავდა სოფელი, რათა ცხოვრება მისი დამთხვეოდა ღვთიურ ჩანაფიქრს. მთებში შეიყვანა, დასასვენებლად დატოვა საამისოდ მოხერხებულ ალაგს, თვითონ კლდეზე ავიდა, მომავლის გზები რომ დაეზვერა. იქ გაუქვავებია გამჩენს.

ქვევიდან კარგად მოჩანდა თურმე, როგორ იწვა იგი, მკლავები მკერდზე დაეკრიფა, კლდის ქიმისათვის მიენდო თავი.

წინამძღოლის გაქვავებაში მართალი დაუნახავს სოფელს.

— თუ ღირსი ვარ, კიდევ უნდა ვშვა ჩემს წიაღში ბრძენი, — უთქვამს.

ერთხელ დასახული მიზნის ერთგული, აღარ დაშვებულა ძველი სამოსახლოსაკენ, იქვე დასახლებულა, მთებში, გაუტეხია ყამირი. იმედი ჰქონია საკუთარი თესლის.

ყოველ ახალშობილს უპირველესად ქვადქცეულ გოლიათს დაანახვებდა თურმე,

— იმ კაცის წყალი გადმოგესხას,— ლოცავდა.

ეს, ყოვლად დაუჯერებელი ამბავი, რომლის ზღაპრად მოსმენა კიდევ შეიძლებოდა, სწამდა დედას, მის ჭეშმარიტებას ეჭვს არ აკარებდა.

ამ უცნაური რწმენის ახსნას ვცდილობდი ყოველთვის. იმ ღროის ნაშთი ხომ არ იყო იგი, როცა ბუნების იდუმალება კვებავდა კაცთა წარმოსახვას და ისე შეჰყავდა თავის წიაღში, როგორც ღვიძლი.

სწამდა და ძრწოდა, ბორგავდა, რადგან სწორედ მის თაობას ვერ გაეძლო,, ,სწორედ მის თაობას არ იყო ძალა, მიჰყოლოდა წინაპართა განაწესს, თუმცა დღენიადაგ თვალწინ ედგა იგი. სწორედ მის თაობას ჩაედგა ფეხი ღალატში, ცალ-ცალკე, თითო-თითოდ ტოვებდა მთასა და წინამძღოლს, ივიწყებდა წარსულსა და აცამტვერებდა პაპათა ნაღვაწს, ქვევით ჩამოდიოდა, უბრუნდე-

ბოდა საუკუნეების წინ დატოვებულ სოფელს, სახლდებოდა მის შემოგარენში.

— გადაშენება ჩვენი სახლის დაწვით დაიწყო, — წარსულში მიმავალი მახსოვრობის გზა ნელ-ნელა ვიწროვდებოდა, გასცდებოდა ტყეს, მინდვრებს, მდინარეს, ყანებსა და კალოს, შეაღებდა წითელი კრამიტით გადახურულ სახლს, მრგვალი აივანი რომ ჰქონდა.

— გადაშენება ჩვენი სახლის დაწვით დაიწყო, — წლებითა და დარდით ფრთანაკრავი მისი სახე გახეშეშებულ თითებში მოექცეოდა, დაშრეტილი თვალებით კარადის სარკეს მიაცივდებოდა, ისეთი მოთმინებითა და დაკვირვებით დაიწყებდა მისი ამღვრეული სიღრმის თვალთვალს, თითქოს იქ ელოდა ძვირფასი სახეების გამოჩენას.

თავზარდაცემული შევყურებდი სარკეს, რომლის მქრქალ სიღრმეში მაგიდის კუთხე, გადასაფარებლის ნაქარგი კალთა, დედის გაძვალტყავებული მხრები და ხელებში გამომწყვდეული თავი მოჩანდა. ყველაფერი, რაც მესმოდა, ისე შორეული იყო, ისე ბუნდოვანი, უცხო, ვერაფერი გამეგო. სიტყვა ქვასავით ეცემოდა ჩემს დათრგუნულ არსებაში, მტრობა გარდასულისა მაჩანაგებდა, მაუდაბურებდა.

—სარკე გვქონდა ისეთი, ჭერსა სწვდებოდა. სარკის წინ, მაგიდაზე საოჯახო ალბომი გვედო. ისიც დაიწვა. კედელზე სოლომონ მეორის პორტრეტი გვეკიდა, ჩოხა ეცვა, მოკაუჭებულ ხმალზე ედო ხელი... საბუზეები გვქონდა ვერცხლითა და ფირუზით მორთული, ფოჩიანი, დაირა გვქონდა მონეტებიანი, საფაფით მოკაზმული, გიტარა, გარმონი... ეჰ, სიმონ, სიმონ... გარმონს აჭყვიტინებდა ხოლმე, კერავდა და ხითხითებდა, ხითხითებდა და უკრავდა, რაღაცნაირად, გვერდულად მიყურებდა, უელავდა მოუსვენარი თვალები მელანო რომ შეუყვარდა, მერე ამღერდა გიტარაზე, მიელულა მზერა...

ყველაფერი დანარჩენიც ვიცოდი. წითლები მოდიანო, — დარხეულა ხმა.

— სიმონიკა, — ულრეკელი ... ღიმილით გაუხურავს კარი სიმონს.

— უღელტეხილს მოსდგომიან და ერთი სულელი მეგზურობას მთხოვს, — უთქვამს უკან შემობრუნებულს.

— რომელი იყო, — უკითხავს ბაბუაჩემს.

— თავისი ეყოფა, — სახელი არ უთქვამს ბიჭს.

თამარის კლდის ძირში, ქვაგახეთქილასთან, შეჯახებიან წითლებს.

შუაღამისას სახლში ქურდულად შემოპარულა სიმონი, — ცოტა ხნით გავეცლებიო სოფელს, — უთქვამს. ბაბუაჩემს ოქროს თუმნიანები უბლევია, არ გამოურთმევია ბიჭს.

წასულა და წასულა...

ლოდინის ტანჯვამ გადაიყოლა ბებიაჩემი, ისე გაშავებულა, ვერ მიკარებია დედა.

წლისთავზე უთქვამს ბაბუაჩემს.

— თუ მაინცა და მაინც.. არ შეგეშინდეს. სოსიკოს, შენს ბიძაშვილს დაუჯერე ყველაფერი. ის ყველაზე ჭკვიანია.

— იტყვი რაღაცას, — გაბრაზებულა დედა.

უთხოვარის ხით ნაგები ეკლესია ჰქონია სოფელს. — შემოსვლისთანავე გადაუწვავთ წითლებს. ნაეკლესიარზე წასულა კაცი, ულოცია, უკან დაბრუნებულს უბრძანებია.

— წყლები გამიცხელე.

გაპარსულა.

— გაიხედე ერთი, ი ბიჭი ხომ არ მოაბოტებს, — უთხოვია....

სოსიკო კი წითლებს მოუკლავთ რამდენიმე წლის მერე. გინდა თუ არა, შენ აჭერი ახლად ფეხადგმული კოლმეურნეობის სიმინდი, სიმონის ბიძაშვილი არ ხარო, — ჩაუყვანიათ მდინარესთან, იქ დაუხვრეტიათ.

დედაჩემი კი ისევ სიმონს ელოდა თურმე.

რატომ ვარ ასე სევდიანი დღეს? რატომ მაგონდება ყველაფერი გულსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლავი და მწარე? ნუთუ სასიხარულო არაფერი ყოფილა...

სკოლას ვამთავრებდი და დედამ საგანგებოდ კიდევ ერთხელ შემიკერა კაბა.

— რა ლამაზი წვივები გქონია გოგო, სად მალავდი ამდენ ხანს, — მითხრა თანაკლასელმა, წარსულში ლომის როლის შემსრულებელმა, ყველაზე ლამაზმა, ყველაზე ლაღმა, — აი, ამას ჰქვია ყელ-გულ-მკერდი, მკლავები და თეძო, — თან ხელზე მეამბორა, ამოიხრა.

მთელი საღამო არ მომცილებია, სხვისთვის არავისთვის შეუხედავს, სხვას არავის დალაპარაკებია.

— ქიმიურზე გინდა? სწორედ ქიმიურზე, მხოლოდ და მხოლოდ ქიმიურზე? მე გიტარაზე დაკვრის მეტი არაფერი ვიცი, მაგრამ როცა „ჰამლეტს“ ვითამაშებ, იცოდე, მხოლოდ ქიმიის დედოფალს მივუძღვნი პრემიერას, აქედანვე იცოდე. ვინ იცის, როგორი იქნება ხვალინდელი დღე, დაუდგება თუ არა შემწედ და ქომაგად ჩვენს ერთად ყოფნას.

— ჰამლეტი გიტარაზე უკრავს? — ვეკითხე გულწრფელი გაკვირვებით.

— აბა, ოფელიას როგორ უნდა აუხსნას სიყვარული.

ის ერთი საღამო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, იმ ყმაწვილზე ფიქრსა და ოცნებაში გამეტარებინა რამდენიმე დარდითა და ცრემლით სავსე წელი.

ამის წინ შემხვდა, მოაფრიალებდა მოდურ ლაბადას, ანგორის ნაცრისფერი ყელსახვეი მოეგდო კისერზე, ძვირფასი სათვალე ეკიდა ძეწკვზე. საქაღალდე ისე მიჰქონდა, თითქოს ემძიმებოდა, ეზარებოდა თუ მობეზრებოდა მისი თრევა. მიეხვდი, დაუდევარი იერი საგანგებოდ შეერჩია, უდარდელობა რომ წარმოეჩინა რაც შეიძლება ხაზგასმით, რადგან ქუჩაში მოსიარულე მისთვის მხოლოდ მაყურებელი იყო. ისიც ვიგრძენ, ამაყობდა თავისი ლაბადით, ყელსახვევითა და სათვალით, ამაყობდა და უფრთხილდებოდა.

ვუახლოვდებოდი და თანდათან უფრო და უფრო ცხადად ვხედავდი, როგორ უელავდა ავადმყოფური ღიმი ფართოდ გახელილ, ერთ დროს მართლაც მხიარულ თვალებში, ცეტი ყურადღებით ჩასაფრებოდა ქუჩას.

მოვერიდები მეთქი, გადავწყვიტე, მაგრამ ვერ მოვახერხე, დამინახა.

— გავიგე, ჩვენს სკოლაში ასწავლი ქიმიას. სწავლების ახალი მეთოდისათვის ებრძვი და გებრძვიან.

არ მიკითხავს, საიდან იცი მეთქი, არ მაინტერესებდა.

— რა გიდევს მაგ საქაღალდეში.

— „ჰამლეტი“ არაა. არც ღირს რამის კეთება. ვისთვის, რატომ, უაზრობაა, — აიჩეჩა მხრები, შეჰყარა წარბი. ერთ დროს მეშინოდა მისი წარბების შეყრისა, — ახლაც შემომაჩეჩეს, — შეათამაშა საქაღალდე, — თავის დაძვრენას ვახერხებ ხოლმე. ამჯერად ვერაფერი გავაწყვე. მეხვეწა. ხომ იცი, როგორ ხათრიანი ვარ. თანაც ახალი რეჟისორი მოგვივიდა.

— ძველი?

— გავუშვით, — გაიცინა, — არც არაფერი იცოდა, არც არაფრის გაგება სურდა .ამოიჩემებდა სამ კაცს და მორჩა..

— ამოეჩემებინა მერე, თუ ყველაფერი უაზრობაა...

— დასი შემეხვეწა ძალიან, ამოგვიდექი მხარშიო და რა მექნა, ხომ იცი, როგორი ხათრიანი ვარ.

ყოველთვის გამარჯვებული უნდოდა ყოფილიყო, ყოველთვის გამარჯვებული ეგონა თავი, მოთმინების ნატამალი არ გააჩნდა ,სურვილი გააზრებულიც არა ჰქონდა და უკვე მის დაკმაყოფილებას მოითხოვდა. ასეთი იყო, ასეთი მახსოვდა. შემეცოდა.

— რა მეთოდი შეიმუშავე ასეთი.

— ტაბულის შემოკლებული კი არა, ვრცელი ვარიანტით უნდა დაიწყოს

სწავლება. იქ პერიოდებშია განლაგებული ლანთანოიდები და აქტინოიდები...

— მოიცა, ესენი აღიარებენ მაგ აქტი... როგორა თქვი?

— აღიარებენ, აღიარებენ ატომური ბომბიცა აქვთ.

— არაფერია, როდესმე შენც გაინავარდებ, — და მარჯვენა დიდკაცურად დამკრა მხარზე

გავბრაზდი, მხოლოდ განავარდებაზე მეოცნებე და წყალწაღებული, ჩემთან მედიდურობდა.

რამ გამახსენა ის სულელი.

ათი წლის შემდეგ დაბრუნებულა სიმონი. ჩასულა და ლოთი ნიკიფორეს ასული, მელანო, შეჰყვარებია. კალოს ქვემოთ, გზას იქით ედგათ სახლი. სახლი ერქვა, თორემ რა სახლი ის იყო, ქვიტკირით მოჯახირებული პატარა ოთახი. ხის სკივრი, ხმელი ტახტი, ბუხრის თავზე შემოდგმული ჭრაქი და აყალოზე მიგდებული ცხვირმოჭმული მაჩვის თავი იყო მთელი მათი ავლადიდება.

ნიკიფორეს ქალს სახლში როგორ შემოაყვანინებდა დედა, მაგრამ ლამაზი ყოფილა ის ოხერი, ისეთი ლამაზი, ნამდვილს არა ჰგავდა. თვრამეტისა ან იქნებოდა, ან არა.

შეჰყვარებია სიმონს, უკან დაბრუნებულს, ნაწანწალარს, დაღლილს შეჰყვარებია და თვალსა და ხელს შუა ისე გამოცვლილა, ვეღარ სცნობდა და. გადაუყრია ათწლიან გზათა მტვერი, სიხარულის ძველი ნაპერწკალი აჰკიაფებია თვალებში, გიტარაზე ამღერებულა თავისი ძნელად დასამორჩილებელი ბანით. ათწლიანი ვაგლახი სასეირო თავგადასავლად ექცია, ენას არ აჩერებდა, ყმაწვილივით ტრაბახობდა, — ერთ ცნობილ მხატვარს გადავეყარე, მოვეწონე და თან წამიყვანა, გობის უდაბნო მაქვს ფეხით მოვლილიო...

— „გრაზა გობი ვისოხშიე კალოდცი“, — გაიგეთ რა ვთქვი? ყარაყორუმზე რომ გადავდიოდით, პალანკინით ვატარეთ ბაღლი. იცით, რა არის პალანკინი? არც ყარაყორუმი გეცოდინებათ. ყარაყორუმი შავ სამეფო ტახტს ნიშნავს. იმ კაცმა იცოდა თქმა, — „ასნოვა ვსეხ უჩენიი ბესსტრაშტე“. ტამბალი ერქვა ძაღლს, შავი იყო მუგუზალივით. სიყვითლე გადაჰკრავდა თვალებსა და ცხვირპირზე. ისეთი დიდი ძაღლის მნახველი არა ვარ. ხოტანში პალანკინით შეგვიყვანეთ. სანახავად მოზვავდა ხალხი. უნდა გენახათ, რა ზვიადი გამომეტყველება ჰქონდა ჩვენს მგელთა ტიბეტურ რისხვას.

— ვერასოდეს გაიგებ, რამდენი რამ იცის ლამამ. ხუთი წელი ერთად ვიყავით და მხოლოდ გამომშვიდობებისას გავიგე, რუსული რომ იცოდა.

— ერთი ჩვეულება ჰქონიათ ჩინელებს, თქვენდამი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად ენის გამოყოფა იცოდნენ. წარმოიდგინეთ მსუქან, გრძელ, წითელენაგამოყოფილი ჩინელი. როგორია, ა? აუკრძალავთ ეს ჩვეულება. ძალიან სწყინდათ, განიცდიდნენ, ჩუმ-ჩუმად მაინც ახერხებდნენ ენის გამოყოფას. ჩემთვის ბევრს გამოუყვია, — იცინოდა.

— რაღაცას გვატყუებს, — სიცილს ვერ იკავებდა მელანო, თან ტუჩებზე ხელს იფარებდა, სცხვენოდა.

— მოიცილე ხელი, დამანახე შენი ლამაზი პირი. — ეარშიყებოდა სიმონი, — ვინმე კატა იაკარას ,რომელსაც მოცეკვავეთა დასის შექმნა სურდა, არტისტები ენახა სიზმარში. კაშკაშა ფერებით მოხატული სახეები ჰქონიათ იმ მამაძაღლებს, — აი, ასე, — თან ოთხკუთხედებად დაჭრილ პატარ-პატარა ქაღალდებზე ხატავდა რაღაცას. დახატავდა და მიაწვდიდა მელანოს.

დახედავდა ნახატს, შიშით შეჰკივლებდა.

— აი, თუ გატყუებ.

— მეც მაჩვენეთ.

— არა, — აბრაზებდა დედას სიმონი, — შენ არა, ამათ ახლა კათხაკალის თეატრის ნიღბები ჰქვია.

— რაც გინდათ, ისა ჰქენით, ერთი

ჭკუისანი ხართ, — ეღიმებოდა დედას.

სიმონი აგრძელებდა ხატვას, მელანო კი შიშნარევ შეკივლებას. ნახატი იქნებ უკვე აღარც აშინებდა, მაგრამ ქალური გუმანი ჰკარნახობდა, ისე მოქცეულიყო, როგორც კაცს მოსწონდა.

მერე თავისი პოლსაპოშკები უჩუქებია მელანოსათვის.

— ფეხშიშველი როგორ დატანტალებ ამხელა დედაკაცი... მზით გაცვითე.

— ამას რა გამაცვეთინებს, — ცალი ხელით საჩუქარი ჩაიხუტა გულში, მეორეში ნახატები მოეგროვებინა, მერე ჩინელივით გამოგვიყო ენა და გაიქცა.

ენაგამოყოფილიც რა ლამაზი იყო.

იმ საღამოს მოჰკლეს სიმონი. მაინც მოჰკლეს. ათი წლის შემდეგ მოჰკლეს. მოჰკლეს მიპარვით, ქურდულად. ზურგში დაახალეს ტყვია. ან წითლები მოჰკლავდნენ, არ აპატიებდნენ ქვაგახეთქილას, ან ის არაკაცი, მეგზურად რომ ეძახდა. მისი სახელი მაინც ეთქვა სიმონს.

მერე სახლიც გადაუწვეს.

— შენც აგიტეხავენ რამეს, — ნათესავებმა სხვა სოფელში გახიზნეს დედა, იქიდან კი ვიღაც მძღოლს გაატანეს ცოლად, — უარი არა თქვა ასაკგადაცილებული ხარ და აწი ვიღა გითხოვსო.

— თავიდან მომიცილეს, — სწყინდა დედას.

მამაჩემზე არაფერს ჰყვებოდა. იქნებ აღარც ახსოვდა ქმარი ომში რომ დაკარგულიყო. მე უფლის ნაჩუქარს მეძახდა.

რაც უფრო მემატებოდა წლები, მით უფრო შორეულ და ნაკლებსარწმუნოდ, ნაკლებსარწმუნოდ კი არა, მარტოდ, მოწყენილი წარსულის ამარა მიტოვებული ქალის ავადმყოფურ გამოძახილად მესახებოდა ყოველივე და ბოლოს ზღაპრადაც კი ვისმენდი, რადგან მეჩვენებოდა, ბევრი დაუჯერებელი რამ იდო შიგ.

ჯერ უნივერსიტეტი არა მქონდა დამთავრებული, როცა გარდაიცვალა. გარდაიცვალა მაგიდასთან მჯდომი, კარადის ამღვრეულ სარკეს [illegible]

ისე გაშავდა, ვეღარ [illegible]

— მოისვენა, — მეცოდებოდა.

●

მოგვიანებით თავგადასახადმა ჩემმა იმ კუთხეში მომახვედრა, დედაჩემის სოფელი რომ მეგულებოდა. აგვისტოში რომელიღაც სკოლა-ინტერნატმა უმასპინძლა ქიმიკოსთა რესპუბლიკურ კონფერენციას და სხვებთან ერთად მცირე ხნით მეც აღმოვჩნდი მისი სახიჩარი შენობის ბინადარი, რაიონული ცენტრიდან სულ ორი თუ სამი კილომეტრით იყო დაცილებული, გზის პირზე იდგა, ტყისათვის შეექცია ზურგი.

ამგვარ კონფერენციებს რამდენჯერმე დავსწრებივარ და როგორც ყოველთვის, აქაც არაფერი მომხდარა ღირსშესანიშნავი, ან რა უნდა მომხდარიყო. ერთი კია, გამაკვირვა ვახტანგის გამოჩენამ. მათემატიკოსი რითი უნდა დაეინტერესებინა ახალგაზრდა ქიმიკოსთა მორიგ თავყრილობას, ვერ გამეგო.

— პეიზაჟისათვის, — თქვა მოკლედ,— შენ რაღადა, შენც პეიზაჟისათვის?

კარგად ვიცნობდი ვახტანგს. მის დასთან ერთად ვისწავლე თერთმეტი წელი. არაერთი საღამო გამიტარებია მათ ორსართულიან, მშვენივრად გაწყობილ სახლში, ჩვენს ქუჩაზე აღმართის ბოლოს რომ ედგათ. თვითონაც მსტუმრებია დასთან ერთად. ჩემს ღარიბულ ოთახში ბევრი ურახრახია თავისი ბანით. მხოლოდ ორი წლით იყო ჩვენზე უფროსი.

რამდენჯერაც გადავავლებ თვალს ჩემს ღარიბულ ბიბლიოთეკას, იმდენჯერ ვახტანგის ნაჩუქარ წიგნს ვაწყდები. ესაა ბიოლის „ბილიარდი თერთმეტის ნახევარზე“. „ვახტო ალავო“ მსხვილი ლათინური ასოებით აწერია ყდაზე. ჩემს თვალწინ დააწერა. ალავიძე იყო. მაშინ იმდენს ჯერ კიდევ არ სვამდა. ჩხუბით ხომ საერთოდ არ ჩხუბობდა. სამაგიეროდ ბევრს კითხულობდა. შესაშური მახსოვრობა ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასზე ჰყვებოდნენ, საკმარისია რაიმე ციტატა წარმოსთქვა, დაგისახელებს არა მარტო ავტორსა და ნაწარმოებს, არამედ გვერდსაც.

ბევრი იცინა, როცა მის ყურამდე მიაღწია ამან.

— მერე რა, ის მაინც მჯობს.

— ვინ, ის.

— ვან ვეი. მისთვის ის ნახატი რომ გაჩვენებინა, სადაც მუსიკოსი რა გინდა რა ინსტრუმენტზე უკრავს, არა მარტო მუსიკალურ ნაწარმოებს დაგისახელებდა, მუსიკოსი რომ ასრულებდა, მიგითითებდა ტაქტზეც. ვან ვეი. „ლექსები". გვერდი რვა.

მომწონდა მისი თავმოწონებასთან შეზავებული მსუბუქი იუმორი. ტანადი იყო, ხორცსავსე, დიდი ხელის მტევნებითა და უზარმაზარი ტერფებით. წვრილ თაფლისფერ თვალებში დღენიადაგ კეთილი ღიმი უციმციმებდა. მაგრამ თუ გაიცინებდა, მსხვილ ჯანსაღ ელვარე კბილებს გამოაჩენდა, ძნელად დასამორჩილებელი ბანის მტვრევაც რომ მოჰყვებოდა თან, მხეცს ემსგავსებოდა. არა და სპილოს უფრო ჰგავდა, რადგან მალალ, ხორციან, მძიმე ფეხებს რიდით, მოკრძალებით, სიფრთხილით დაატარებდა, თითქოს ეშინოდა, არაფერს გამოსდებოდა თავისი უკიდეგანო სხეულით, არაფერი გაეფუჭებინა.

ვახტანგი აღარაა ცოცხალი. ჩხუბში მოკლეს და მისი გახსენება განსაკუთრებულ სევდას შგვრის.

— პეიზაჟისთვისაც,—თავი დავუქნიე მაშინ, გავუცინე.

იმ დღეს თვალი აღარ მომიკრავს მისთვის. ვიფიქრე, ვინმეს თუ ეტრფობა და იპოვა მეთქი. მეორე დღეს გამოჩნდა მხოლოდ. ნასვამი იყო. სკოლაინტერნატის ფიზკულტურის მასწავლებელთან ერთად ამომაკითხა მესამე სართულზე, სადაც სექციური მუშაობა მიმდინარეობდა. მოწყენილი სახე ჰქონდა.

— საზოგადოება არ მოგწონს?

— ვირი ხბორებში, — განმარტა ამოომწურავად, — მერე უყურადღებობა რომ არ დამწამონ, წამოდი ჩვენთან, გეპატიჟები.

— ცუდად დაწანწალებ.

— გასაგებია, — დადუმდა.

ფიზკულტურის მასწავლებელმა უხერხულად აიჩეჩა მხრები. რა ესაქმებოდა ფიზკულტურის მასწავლებელს ქიმიკოსთა კონფერენციაზე, ვერ გამეგო.

თითქოს მიმიხვდა, რაზე ვფიქრობდი.

— კომკავშირის მდივანიც ჩვენთანაა. მხიარული ქალია, ლამაზი ფორმები, თაყვანისმცემელთა და მიმდევართა შლეიფი ახლავს თან.

ფიზკულტურის მასწავლებელი წამოენთო;.

— ეეე...

და მაშინ, არ ვიცი, რატომ, ალბათ უხერხული წუთი რომ გადამეგორებინა, დედაჩემის სოფელი ვახსენე.

— რომელი, რომელი? — ჩამეკითხა ფიზკულტურის მასწავლებელი, — სხვათა შორის, აქვეა, ერთი საათის სავალი ან იქნება, ან არა. აღმართებია სულ, — მერე ყურის ბიბილო მოისრისა, — მიტოვებულია, კაი ხანია, რაც მიატოვეს.

ვიცოდი.

— ჩემს დღეში არ მინახავს მიტოვებული სოფელი, ავსულიყავით, რა ვქნა?

— აბა, დღეს რაღა იქნება...

— ხვალეც ამ თვისაა ხვალ იყოს.

— თუ ადვილად მისაგნებია, — დავთანხმდი ყასიდად.

— ადვილზე ადვილი. აღმართს აუყვებით და მორჩა.

— ამათ რა ვუთხრა, — უკან დავიხიე.

— გგონია შეამჩნევენ რამეს? არ დაიჯერო.

ფიზკულტურის მასწავლებელს დასცქეროდა ზემოდან, ღიმილით უთვალიერებდა შემელოტებული თხემი როგორი გულმოდგინებით დაეფარა უკნიდან წამოღებული, ზომაზე მეტად გაზრდილი თმით. შეუბერა.

— ეეე... — თმაზე იტაცა ხელი მასწავლებელმა.

— არ დავიჯერებ, — გამეცინა, ხვალ მაინც ავარიდებ არაყს მეთქი, გავიფიქრე.

ასე აღმოვჩნდით სოფლისაკენ მიმავალ გზაზე.

ტყე ახლოს იყო, გზას მოსდგომოდა მისი მეჩხერი ნაპირი, ორთქლივით ასდიოდა წყალწყალა ნისლი, განზე გადგომას ჩქარობდა, დილის ნათელში ისე მიცურავდა, თითქოს მისდევდა ვინმეს. ჩიტის ხმა, ფრთხილი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი, პუნქტირით მიუყვებოდა შემოდგომით უკვე ფრთანაკრავ, წამით დამძიმებულ ფურცელს, თუმცა ჯერ მხოლოდ აგვისტო იდგა.

ხიდი უნდა გადაგვეევლო.

დაბლა, ხეობის ვიწროებში ჩაყრილ ოდებს შორის წვალებით მიიკვლევდა გზას წყალი, თითოოროლა ლოდის თავის ჭკუაზე გათლა მოეხერხებინა და თითქოს მათთან ისვენებდა ცოტას, ფერხთით უფენდა თავის თხელ, წმინდა ტალღას, ულოკავდა გლუვ, მომრგვალებულ ფერდებს, ძალას თუ იკრებდა, რათა დანარჩენს, მრავალს და მრავალს, შეხეთქებოდა მთელი ძალით, ზედ შემტვრეულიყო. მერე ქაფადქცეული და მორევში დატრიალებული ძლივსღა იბრუნებდა სულს, ძლივსღა უბრუნდებოდა საკუთარ თავს.

ისე ღრმად გაეჭრა კალაპოტი, ჩვენ მხოლოდ ყრუდ გვაწვდენდა ხმას. თითქოს წვიმა შრიალებდა და სხვა არაფერი.

მერე შარა გადავჭერით, ჯერ ისევ რომ მარტოობდა და შევუყევით ქვიან აღმართს ადევნებულ გზას.

ვახტანგი წინ მიდიოდა, მე უკან მივდევდი და ვტკბებოდი მისი თვინიერი სიარულით.

ბოლო წლებში ძალიან გამოიცვალა. ან მთვრალი იყო, ან მეინახეს ეძებდა. იმასაც ამბობდნენ, ისე ირტყამს მჯიღს მკერდზე, ნამდვილად კამათელსაც აგორებსო. ვისთან უთენდებოდა, ვისთან უღამდებოდა, არ იცოდა. მუშტი-კრივიც არ აკლდა მთვრალს, რადგან დაცინვა დასჩემდა კარგისაცა და ავისაც.

კარგს იმიტომ დასცინოდა, კარგი რომ იყო, მოსწონდა, ეცოდებოდა, გონს მოდი, შე რეგვენო, — ურაკუნებდა თავში. ცუდი სძაგდა და განსაკუთრებით ილესავდა მასზე კბილს.

ბევრჯერ შემიმჩნევია, მზის სათვალით როგორ იმალავდა ჩალურჯებულ თვალებს.

მწყინდა ბალიან. ვიცოდი როგორიც იყო და დასალუპად არ მემეტებოდა. რამდენჯერ მითქვამს.

— რას აკეთებ, ბიჭო.

— ცხოვრობდა ერთი საუკეთესოზე საუკეთესო ადამიანი, — მიპასუხებდა ღიმილით, — ჯერ მშობლებს უჯერებდა და კარგად სწავლობდა, მერე პატიოსნად შრომობდა, არ იპარავდა, არ მამაძაღლობდა, ქრთამს არავის აძლევდა, არ ჩხუბობდა, არ ლოთობდა, არ იგინებოდა, არ მრუშობდა, რაღა დარჩა, ერთხელ ამორჩეული ქალის ერთგული იყო და რაც მთავარია, მტერსაც არ ღალატობდა, მტერთანაც მართალი იყო.

— მერე.

— რა მერე, მოკვდა.

— არა გრცხვენია? უზარმაზარი ნიჭის პატრონი ხარ, — მინდოდა იმედი გამეღვივებინა მასში.

— აუუ... სადა ყოფილხარ. ჩვენი ცხოვრების ღირსება იმაში კი არაა, ნიჭი მოიხმარო, პირიქით, გააუფასურო, — სახაზავი ეჭირა, თავში ჩამიკაკუნა, — იმედი კი, რომელსაც შენ დაუფიქრებლად ეთამაშები, საშიშია. იგი რეალობას გგლეჯს, ოცნების ბურუსში გაბორიალებს, საყრდენს გაცლის, ყურადღებას გიდუნებს, წინააღმდეგობის ძალასა და სურვილს გიქარწყლებს. ფრთხილად, გოგონა. „ხე მოსაჭრელად განწირულია, ჩიტები კი მის ტოტებში უდარდელად ბუდესა ქსოვენ.“

— ადამიანები ჩიტები არ არიან.

— რა თქმა უნდა, არ არიან. ჩიტი თავის გზას მისდევს, ადამიანი?

— ყველა?

— გამონაკლისი გაინტერესებს? ის დღეს არცა ქსოვს ბუდეს.

სიარული კი ისევ ძველებური დარჩენოდა.

რატომღაც ჩემი დისერტაციით იყო დაინტერესებული.

— თემა? პოლიმელიზაციური შევსების მეთოდი. ხან რას მავალებს, ხან რას, დღე და ღამე ბიბლიოთეკაში ვზივარ. ტყავის დამუშავების ტექნოლოგია სურს, ჩაის მტვრის შეწებების ტექნოლოგია, ნაგვის საწვავად ვარგისი ბრიკეტების ტექნოლოგია, ელექტ-- როგამტარი მინის ტექნოლოგია... დოკუმენტების შედგენა მთხოვა რაღაც დანადგარისათვის, რუსეთში მიკრა თავი. მეც არ ვიცი, როგორ მოვახერხე, ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის მხაზველობითი ბიუროს უფროსს შიფრი დავტყუე. ამ შიფრით ნახაზების ხელში ჩაგდება და ჩვენთან იმ დანადგარის შეკვეთა შეიძლებოდა. ნე ნადაო, — განმიცხადა.

— კაკოი სპეკტრ ინტერესოვ. მალადეც...

— რამდენჯერაც მივუბრუნდი დისერტაციას, იმდენჯერ თითი დამიქნია,—ნე ლეზტე ვ ჩუჟიე სანიო... მოკლედ, ზანიმაიუს მარტიშკინიმ ტრუდომ. წლები კი, მოგეხსენებათ...

ალმართი მკვეთრდებოდა. სამაგიეროდ ქვა აღარ ეყარა. მიწა იყო რბილი, დრეკადი, მორჩილად მიჰყვებოდა ლანჩს, გვიადვილებდა სიარულს.

მოსახვევთან ვაშლის პატარა ხე ღვივოდა. წვრილი ნაყოფი უხვად ესხა მის შავად ხავსმოდებულ ტოტებს. დაფერდებულ ბუჩქნარს ცნობისმოყვარედ ჩაჰყურებდა მისი სიწითლე. მიუახლოვდა ვახტანგი.

— ფეხი არ დაგიცდეს.

— ვიცი, — ფეხით მოსინჯა ხესთან სანახევროდ მიწაში ჩაფლული ხავსიანი ლოდი, დაძვრას ხომ არ აპირებსო.

— აგიყირავდება.

ზედ შედგა, ხელი გაიწვდინა. შერხეულ ხეს ნაპერწკალივით ვახტანგისა ნაყოფი, ბუჩქნარს გადმოყარა. ვაშლის მოკრეფა სურდა და ტოტი ... შეეხება.

— ფრთხილად, სცვივა, — მომაწოდა შეწუხებულმა.

ტყე შემჭიდროვდა, ნეშომპალისა თუ სოკოს სუნით გაიყღინთა. ზევით და ზევით მიიწევდა ქუფრიანი, მწყრალი, აღარ ათავებდა სვლას. მერე ერთბაშად, მოწყვეტით შედგა, თითქოს რაღაც გაუგონარ, შეუძლებელ სანახაობას შეასწროო თვალი, წინ ბუჩქნარი ამოიყენა, უმცროსი ძმები, გულისყურით დაკვირდა ადგილს, აქობამდე მხოლოდ საკუთარი წიაღით დაკავებული, ყველაფრის არარად ჩამგდები.

გზის სივიწროვიდან მინდორი გამოჩნდა, გაჩახჩახებული მდუმარე.

— მოვედით, — ისე წაიჩურჩულა ვახტანგმა, თითქოს რაღაცის შეეშინდაო.

შევკრთი. მომეჩვენა, კიდევ რამდენიმე წამი და არენაზე შევდგამდი ფეხს, მომეჩვენა, ვილაცას შევენიშნე უკვე, მითვალთვალებდა, მსწავლობდა, მამოწმებდა, ელოდა, როგორ მოვიქცეოდი.

მინდვრის კიდეს ჯერ ისევ მისდევდა გზა, გზას კი ღობე. დაგლეჯილს ალაგ-ალაგ ბალახი უმაგრებდა ბირს, საბოლოოდ რომ არ ჩაწოლილიყო, არ ჩამპალიყო მიწაში. ღობის იქით ეკალში ღაფავდა სულს თავის ანაბრად მიგდებული, ოხრად დარჩენილი ეზო, ჯერ ისევ ხეთა ჩრდილდაცემული. ხეს შემოუსვლელი ნაყოფი ესხა, წვრილი, მწვანე, მხოლოდ ვაშლი ღვივოდა წითლად და ეს სიწითლე კიდევ უფრო არარეალურს ხდიდა ყოველივეს, არანამდვილს.

ეზოს სიღრმეში შუაში ჩატეხილი, სახურავჩაქცეული ხის სახლი კოშმარული სიზმრის გვარად გზარავდა თავისი დაუსრულებელი, უნაპირო სასოწარკვეთით, გიპყრობდა, გიზიდავდა, გიძნელებდა თვალის მოწყვეტას, გაშეშებდა.

— წამო, — ჩურჩულებდა ვახტანგი და ცდილობდა ჩემი ადგილიდან დაძვრას.

— ასე მგონია, ეს ხეხილი არც და-

მწიფდება არასდროს. რა ჩხრიალებს...

— რამ შეგაშინა, წყალია, — გაღიმება სცადა.

მოშორებით წყლის წამოწეული მილიდან მოედინებოდა იგი.

თავის უზარმაზარ პეშვში ჩაიგუბა, ისე დააკვირდა, თითქოს მის ნამდვილობაში სურდა დარწმუნება. მერე დალია.

— მშვენიერია. მოდი.

— არ მივედი.

წყლის გადაკეტვა სცადა, ატრიალა და ატრიალა საკეტი, ვერ შეძლო.

აღარ შევჩერებულვართ, თუმცა თვალი ეზოთა სიღრმისაკენ მიიწევდა მუდამ. ყველგან ერთნაირი სიკვდილით იყო მკვდარი სახლი, შუაში ჩატეხილი, სახურავჩაქცეული. თითქოს ბოროტს ერთ ჩამოვლაზე ხელის ერთი მოქნევით ერთნაირად გადაემტვრია ხერხემალი ყველასათვის.

მერე გაწყდა ეზოთა რიგი და ორი უშველებელი კაკლის ხით გზიდან გამოყოფილმა მინდორმა გამოგვხედა.

სოფელს ვაქციეთ ზურგი და მინდორზე გავედით.

დაფერდებული იყო მისი კალთა. ალაგ-ალაგ წამოყელყელავებულ ბალახსა და ეკალს შორის საფლავის ქვებივით ეყარნენ გრძელი, თეთრი, წმინდად გათლილი ლოდები. მიწაში ღრმად ჩაფლულიყვნენ, მიწის პირთან გასწორებულიყვნენ.

ერთ-ერთზე წამოწვა ვახტანგი.

— თბილია, — ესიამოვნა.

აქედან კარგად მოჩანდა ხეობის იქით მდგარი ქედი, იღლიებში პატარ-პატარა სოფლები რომ შეეფარებინა და მფარველივით გადმოსდგომოდა ზევიდან, ბილიკებისათვის უშურველად გაეფინა ალაგ-ალაგ ბუჩქით ჩალუქული ხავერდი თვისი, მზეში თეთრად მოჩანდა მათი ბატიფეხური. ქედს იქით ისევ ქედი იდგა, ტყეშესეული, ლურჯი. შიგადაშიგ ჩაფშვნეტილიყვნენ ერთიციცქნა მინდვრები, ტყეს დასდებოდნენ საზღვრად, მიწას აძლევდნენ ამოსუნთქვის საშუალებას.

— ის სოფლებიც ფუ, მატყვეს, — გულდაწყვეტილი ვახტანგისკენ შეტრიალდი.

— ტოტი ისევ ხელში გიჭირავს? რა ფრთხილად გიტარებია, — გაუკვირდა.

ამან მეც არანაკლებ გამაკვირვა, რადგან სრულიად აღარ მახსოვდა იგი. შორიახლოს მიწაში ჩაფლულ კიდევ ერთ ლოდზე დავასვენე.

—ჩემის აზრით, ქიმიის სწავლება ბირთვული ქიმიის საფუძვლებიდან უნდა დაიწყოს. მოსწავლეთა ქიმიური აზროვნება ფიზიკა-მათემატიკურმა აზროვნებამ უნდა განაპირობოს.

ჩაეღიმა.

— სხვათა შორის, მეც არაერთხელ მიფიქრია სახელმძღვანელოზე. ერთი ხანობა ჩანაწერებსაც ვაკეთებდი. იგი თამაშია უსასრულობასთან, ნამდვილი თამაში, რათა ერთ მშვენიერ წუთს ხელი სტაცო მას. მათემატიკა ერთიანია და ამ თამაშში ერთიანად უნდა მონაწილეობდეს. რიცხვთა ნატურალური რიგი, მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა, ნუ დააგვიანებ, არ შეგეშინდეს, მაშინვე ხარისხში აყვანა და ფესვის ამოღება, ეს ხომ ბუნებრივია. იქვე და აუცილებლად უოორდინატთა სისტემა, სამკუთხედი, კვადრატი წრე.. მივადექით განტოლებას, ფუნქციას, უარყოფით რიცხვებს, ვექტორს, ირაციონალურ ციფრს... მიადევნე გონება? ჰიპერბოლა, ანალიტიკური გეომეტრია, კომპლექსური რიცხვები და აჰა, მივედით, ევკლიდეს აქსიომათა სისტემა, ჰიპერბოლური გეომეტრია, მეოთხე განზომილება... სწრაფად ჩამომარცვლა რიგი, სადაც ყოველ ცნებას თავისი მკაცრად განკუთვნილი ადგილი ჰქონდა, წამოხტა, ამოისუნთქა, — მშვენიერია, არა? ვიწყებთ თამაშს და ვერც კი ვგრძნობთ, ისე შევდივართ სამყაროში, თამაშ-თამაშ... ჯგუფთა თეორია, სიმრავლეთა თეორია, პარადოქსები, ინტუიციონიზმი,—აღარ ათავებდა, მათი ჩამოთვლა ახლა უკვე აღფრთოვანებას

ჰგვრიდა, რაღაც ღრმა აზრს ჭვრეტდა მასში, თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს საცაა ხელს შეახებსო უსასრულობას, ენებიანი სინაზით გაეწვდინა ხელი მისკენ, — სიმბოლური ლოგიკა, დამტკიცებათა თეორია, მეტამათემატიკა, კონტინუუმის ჰიპოთეზა, ანალიზის აქსიომატიზაცია და ამოუხსნელი პრობლემები. მიხვდი?

— მხრები ავიჩეჩე.

— გაიგე, მათემატიკოსს აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე არავითარი პრეტენზია არა აქვს. იგი მოკრძალებით ამბობს ერთს,—თუ ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ ფარგალსა და სახაზავს, წრის კვადრატურა განუხორციელებელია. თუ ჩვენ წერტილსა და წრფეში ვგულისხმობთ ამას და ამას, მხოლოდ მაშინ აქვს...— დაიხარა, მოზრდილი ქვა აიღო ხელში, შეათამაშა, მშვენიერი იყო იმ წუთებში, შთაგონებით ანთებული.

— ის გოგო არ უნდა გაგეშვა. ძალიან ლამაზი იყო, — ვთქვი გულდაწყვეტით.

— ლამაზი? დიდებული, შეუდარებელი.

— მერე?

— რა მერე, — შეტრიალდა, კაკლის ხეებისაკენ დააპირა წასვლა. თითქოს ჩაქრაო მის სახეზე ნათელი.

მხოლოდ მაშინ დავინახეთ შავებში გამოხვეული დედაბერი, ჩვენს ზურგს უკან კომბალს დაყრდნობოდა. სახეც შავით ჰქონდა ახვეული. მხოლოდ თვალები მოუჩანდა, დაჟინებით მზირალი.

უსიტყვოდ მივაჩერდით.

— ვისები ხართ, — ამოიხრიალა და ხველა ამოაყოლა ხრიალს.

ერთხანს არაფერი ვუპასუხე. ის გავიფიქრე, ვიღას უნდა ახსოვდეს მეთქი ათეული წლების იქით სოფელს გარიდებული ერთი უბედური ქალი.

— არ გეცოდინებათ, — ამოვილუღლუღე, — ლოლასი.

— ვიცი, — ამოიხრიალა ისევ.

— იცით? — ავღელდი, — იქნებ ისიც იცოდეთ, სად ედგათ სახლი.

— აქ, — ამოხრიალდა ერთად თავი წამოსწია.

— ააქ? — ვერ დავიჯერე.

— აქ, — დაადასტურა.

— გაოგნებული შევცქეროდი ქალს.

— ასეა, — გადაიხარხარა ვახტანგმა,— ჩვენ კი ვეცადეთ გავქცეოდით ყოველივეს, ქიმიაო, მათემატიკაო... მაგრამ ამაოებაი ამაოთაი და ყველაფერი ამაოო, — და კაკლის ხეებისაკენ წავიდა.

— ყველანი წავიდნენ. მე კი ისევ აქა ვარ, — თქვა და ცას ახედა, — წვიმა იქნება ამაღამ.

— აქ ცხოვრობთ? — ძლივს მოვატრიალე ენა.

ვერ გაიგო, რა ვკითხე. წასულებთან თუ იყო მისი გონება.

— რაო?

გავუმეორე.

— ჰოო... ყოველდღე ამოდიან. საძოვარზე ამოჰყავთ საქონელი, სათიბიც აქა აქვთ, ყანაც. ქვემო სოფელმა მათთვის ბევრი ვერაფერი გაიმეტა, მხოლოდ ერთი მუჭა საკარმიდამო და იმასაც ნანობენ, ედავებიან, გაუთავებლად ლანძღავენ შემოხიზნულებს.

— კი, მაგრამ...

— გაიგებ? გზაო, შუქიო, სკოლაო... მიზეზს ყოველთვის გამონახავს კაცი.

— ეეე, ვის კაკალს იპარავ, თუ იცი, შემოგვესმა ბიჭის გაავებული ხმა.

დაბნეული ვახტანგი ხან ხელში მოგროვილ კაკალს დაჰყურებდა, ხან იმ ბიჭს, ვახტანგის ფეხის სიგრძეც რომ არ იყო და დიდზე დიდი გული ჰქონდა.

— ამათია, ამათი, — ხელი აუქნია დედაბერმა, — მიხედე შენს საქმეს. ვინ არის ეს კაცი შენი.

— მეგობარია. ერთად გავიზარდეთ.

— ჰოო, მერე გატრიალდა და ფარფატით გავიდა გზაზე.

— გაიგე? — მივუტრიალდი ვახტანგს, — ყოველდღე ამოდიანო... ყოველდღე საკუთარი თვალით უყურებენ ამას, — და ხელი სოფლისაკენ გავიწვდინე. მერე თეთრ ლოდებს დავაკ-

ვარდი, — კარგი გული ჰქონიათ... თეთრი ლოდები გვეყარაო ჭიშკრამდეც, ბოსლამდეც, ბოსტნამდეც...

— ჭიშკარი გზის მხარეს იქნებოდა.

— ბოსტნიდან ბილიკი ღელესთან ჩადიოდა, ამოხვიდოდი ღელედან და სოფლის გზაც იქვე იყო, აუყვებოდი ბლაშეებს, გახვიდოდი ჯვარზე. თიხნარია იქ, ტალახი იცის. მეკითხა მაინც რა არის ბლაშეები ან ჯვარზე გადმოდგომა. აივნიდან თავადიშვილებივით გადავცქეროდითო დაქანებულ ეზოს, ვაშლებს, ქლიავებს, ტყემლებს...

მინდორზე აღარც ერთი ხე არ იდგა.

მერე ქედს გავაყოლე თვალი. ხელმარჯვნივ, მთათა მიღმა წავაწყდი მას, მთებზე გადმომდგარს. დღის შუქი კიდევ უფრო აფერმკრთალებდა მის ისედაც ფერდაკარგულ კიდეთ. კლდეზე მართლაც იწვა კაცი, თითქოს დასასვენებლად მიწოლილიყო, მკერდზე დაეკრიფა მკლავები, ცალი ფეხი მუხლში მოეხარა, ისე წამოეწია, თავქვე სასთუმალივით ამოედო ქიმი.

— ხედავ? არსებობს ლეგენდა...

აღარ მაცალა.

— გზა, შუქიო, სკოლაო.., — აღელდა, ბოლთის ცემა დაიწყო, გაივლიდა, გამოივლიდა, ისევ იმ კლდეს მიუშვერდა სახეს, — სისულელეა ყველაფერი. სიმაღლეს ვერ გაუძლეს, აი, ამ სიმაღლეს, როგორც მე ვერ გავუძელი იმ გოგოს ზნეობას, — და ისეთი ხარხარი ატეხა თითქოს დაენახა მოახლოებული კატასტროფა და იმის მაგიერ ეცადა, აეცდინა იგი, პირიქით, იწვევდა, უხმობდა, თვითონაც მიექანებოდა მისკენ. მისმა გააფთრებულმა, ულმობელმა, მომაკვდინებლად შემართულმა უყოყმანობამ კიდევ ერთხელ დამანახა ის ქაოსი, მასში რომ ბუდობდა, ბობოქრობდა, ამოვარდნას ლამობდა საკუთარი თავი რომ წაელეკა უპირველესად. მერე მის ბანს ბზარი გაუჩნდა, — არ ატირდეს მეთქი, შემეშინდა. ის კი პირაღმა დაეცა ლოდზე და დადუმდა.

შევყურებდი შორიდან მოყურადებულ ასკილის ბუჩქს, ნაყოფი რომ შეევარდისფერებინა და რატომღაც ის ვარდისფერყდიანი წიგნი ამაგონდა, ფურცელ-ფურცელ რომ დასწვეს ბაცილის შიშით და ცეცხლს გაატანეს მისი სიბრძნე.

წამოდგა. სახეზე ჩამოისვა ხელი და თქვა.

— გაზაფხულზე ისევ ამოვალ, თუ ცოცხალი დავრჩი.

მაშინ რა ვიცოდი, გაზაფხულს რომ ვერ მიაწევდა. ახალი წლის პირველსავე დღეს მოჰკლეს.

უსიტყვოდ ჩამოვათავეთ დაღმართი.

სკოლა-ინტერნატთან მიახლოებისას წამოგვეწია სიბნელე.

ქედს პირქუში ღრუბელი მოძალებოდა. ღამის მკრთალ შუქზე ავად უელავდა დაქუცმაცებული, დაკბენილი ნაპირი.

— რა არის სული ხორცის გარეშე და ხორცი სულის გარეშე, — იკითხა ვახტანგმა, — მათ შორის ისეთი ხრამი გავაჩინეთ... თამაშ-თამაშ გავაჩინეთ... ბარაქალა ჩვენ...

სასადილოდან მოქეიფეთა ხორხოცი გამოდიოდა,

— დღეს ხომ ბანკეტი გვქონდა, — მომაგონდა.

— არც ეხლაა გვიან, — მიპასუხა.

სასადილოში არ შევსულვართ.

ქალაქში ქიმიის ინსტიტუტის ავტობუსით დავბრუნდით.

წუხანდელი დროსტარების მერე ლაპარაკის თავი არავისა ჰქონდა. ისხდნენ და ყვინთავდნენ. ფანჯრები არ გააღეს, წვიმა შემოასხამსო, შეორთქლილი მინებიდან არაფერი მოჩანდა. ვახტანგი თუ გადაუსვამდა თითებს, გამოაჩენდა წვიმაში გალურსულ ტყესა და წყლის მსხვილ წვეთებს, თავპირისმტვრევით რომ მოექანებოდნენ ქვევით და სინათლენაკლულ ჰაერში გაელვებას ახერხებდნენ.

ვისხედით უკან და ხტუნვა-ხტუნვით ვემორჩილებოდით ავტობუსის ხროტინიან გორვას.

მერე ვიღაც ალაპარაკდა.

— ეს როგორი კომკავშირის მდივანი

ჰყოლიათ მთელი საღამო არ გააჩერა ენა, ხმა არავის ამოაღებინა, ათამაშებდა თავის სქელ გავას. შენ გკითხულობდა, ვახტანგ, გააგიჟა ფიზკულტურის მასწავლებელი.

— სად ეგდე, — გამოეხმაურა სხვა, — შენც უნდა თქვა, პურისმჭამელი ვარო...

* * *

გაზაფხულზე სოფელმა ისევ შემახსენა თავი.

— შენა ხარ ლოლას შთამომავალი?— ჩახლეწილი ხმით შემომძახა ეზოში მდგარმა მამაკაცმა. ღაჟღაჟა სახე ჰქონდა, მსხვილ ტანზე ძლივს შემოწვდომოდა ტვიდის გაქექილი პიჯაკი, ცალ ღილზე შეეკრა, ქუდი ჩამოეფხატა შუბლზე.

— გახლავართ, — სხვა, რომ არაფერი ხმამაღლა ნათქვამი დედაჩემის სახელი ამაღელვებდა, სრულიად უცნობი მამაკაცის მიერ უბრალოდ, შინაურულად ნათქვამი.

— აგაშენა ღმერთმა, — მარდად ამოახტა ქვის რამდენიმე საფეხურს, ჩემს სიახლოვეს გაჩერდა, ეჭვით დამაკვირდა.

— ლოლას შთამომავალი, — გაიმეორა.

— რა ხდება?

ოთახში შევუძეხ.

პიჯაკი შეიხსნა, თავი მოიშიშვლა, მძიმედ ჩამოჯდა სკამზე და განიერ მუხლს ჩამოაცვა ქუდი.

მელოტი იყო, სუფთად ჩამოპარსულ მსუყე სახეზე უხვი, გაბანჯგვლული წარბი ესხა. საიდანღაც სიღრმიდან დაკვირვებით შემომცქეროდა მისი ორი პატარა თვალი.

— მელანო მამიდად მერგებოდა. ნიკიფორეს ძმის შვილიშვილი ვარ მე.

— მელანო? — სახელი მეცნო.

— გასულ შემოდგომას მივაბარეთ მიწას. ქვევით არ ჩამოგვისვენებია, ცოცხალი ვერ დავძარით ადგილიდან და... იქვე მივაბარეთ მიწას, ნიკიფორეს გვერდით.

— მელანო, — მომაგონდა.

— სიკვდილის წინ სულ იმას ამბობდა, შემთხვევით ლოლას შთამომავალს გადავეყარე და ისე დავიბენი, სახელიც ვერა ვკითხეო. ბოდავდა რაღაცას.

— მელანო?!

— გეცნოთ რამე, თუ...

— ის შავით მოსილი დედაბერი კომბლით... გასულ აგვისტოს თქვენს მხარეს მოვხვდი და სოფელშიც

საკმარისად თუ ჩათვალა ჩემი გვემა.

დავიღალე. გავოფლიანდი.

წამოდგომა გამიჭირდა.

წყალი ავადულე. დილით დაყენებული ჩაი დავლიე. შებინდებულიყო, სინათლე ავანთე.

მაგიდისაკენ არ ვიყურებოდი. მეგონა. კოთხო იქ აღარ დამხვდებოდა.

არადა, იდო, პატარა, შავი, კიდეებში გადაცვეთილი ნამდვილი...

მაგიდას მივუჯექ ისევ და გავბედე, ვიგრძენი მისი გლუვი სხეულის სიგრილე. ზუსტად კოლოფის ხელა რაღაც იდო შიგ, თეთრ, პრიალა ქაღალდში გამოხვეული. თითებით ვერ ამოვწევდი, გადმოვაპირქვავე, სრიალით გადმოვარდა. ისე მკვიდრად იყო გახვეული ქაღალდი არ შემოსცლია. ფრთხილად გამოვუშალე ჩაკეცილი გვერდები, გადავწიე..

ნიღბები ელაგა ჩემს წინ, შეყვითლებულ, ხორკლიან ქაღალდზე ფერადი ფანქრებით დახატული კატაიკარასაგან სიზმარში ნანახი თეატრ კათხაკალის ნიღბები.

უაღრესი ფერადოვნებით ანთებული დევები თუ გოლიათები, დემონები თუ ავი სულები, ზოგს თეთრი, ზოგს შავი, ზოგს წითელი წვერით რომ ჰქონდა შემოსაზღვრული ფართედ პირგაღებული, ღოჯებიანი და მწვანე სახეები, შემაძრწუნებელი იყო. მსხვილ შავი ზოლით შემოწერილ თვალებში ხიფათი და ცოდვა იდგა. ისეთი ფიცხელი ყურადღებით შემომცქეროდნენ, იმდენ ენერგიას აფრქვევდნენ, მომეჩვენა, ანაზდად გაცოცხლებასაც შეძლებდნენ და ქაღალდიდან ამოხტებოდნენ კიდეც. მათ წყვილი ეშვით ზღვარდადებულ პირმოხეულ ხახებში მრუმე სივრცის მორევი დგრიალებდა, ბორგავდა.

მხეცური ბრჭყალებით ჩაბღაუჭებოდნენ ჭრელ ფარდას, თამაშ-თამაშ ამოეწიათ მკერდამდე, სხეული დაეფარათ, რათა ბოლომდე არ გაემჟღავნებინათ თავისი საიდუმლო. ბრჭყალებში მოქცეულ შენაოჭებულ ქსოვილზე სისხლი წვეთავდა. ქირქილი იდგა მათ სახეზე, ფარდის უფრო ზევით აწევას თუ აპირებდნენ, საკუთარი თავის მთლიანად დაფარვას, არა იმიტომ, [illegible] დეს შეგიცოდეს, გამეყინენ [illegible] ასეთი მზაკვრობით რომ გისაფრებდნენ ყოველი ნახატის გადაწევისას, ფარდის დაშვება განეზრახათ ისევ, ხელახლა, ეს მერამდენედ, კვლავ რომ შემოეხედათ, ახლა სხვაგვარი ვერაგული ჩანაფიქრით, თითქოს საშინელებათა მთელ სპექტრში განეზრახათ შენი გატარება.

ერთს მართლაც აეწია ფარდა, დაეფარა სახე, მხოლოდ თმის მორთულობა მოუჩანდა, უზარმაზარი წითელი სფერო, რომლის შიგნით ყვითელი და ლურჯი ლაქები ექიშპებოდნენ ერთმანეთს, ერთმანეთის წაშლა სწადდათ და ერთმანეთს ააშკარავებდნენ მხოლოდ...

რა არის ეს, სიმონ, ამ ალმოდებულ სფეროში ვართ მოქცეულნი? ესაა ჩვენი ბედისწერა? მასშია ჩათრეული თუ ჩაწნული ყველა, ვერავინ დააღწევს თავს? აქაა დაბანდებული ყველას სიცოცხლე, აქ მოწმდება მათი სიწმინდე, უნარი თუ მონაგარი, აქ იქმნება მომავალი და სიმართლე?

წარსულიც მისი ნაწილია? მასში წარსულიც დღევანდელივით ფეთქავს, მოითხოვს თავის წილ სივრცეს, თავის წილ მომავალს, ამიტომ ვერ დაემალები, ვერ გაექცევი ვერსად?

ვის ვკითხო, ვინ რატომ იტანჯება, რომლის ვალს იხდის რომელი, ვინ აგებს ვის მიერ საგებელ პასუხს, ვინ უწყის, რა არის დანაშაული და ვინ უნდა დაისაჯოს, რა გადაგვარჩენს თუ გადარჩენა მაინც უწერია ამ საერთო ბორბალს, მაინც რომ ბრუნავს ვიცით ეს თუ არა, გვჯერა თუ არა, ბრუნავს და მიგვაქანებს სადღაც...

ყველანი აქა ვართ?

რატომ გამომიგზავნე ეს კოლოფი, სიმონ, რას გადმომძახი მანდედან, რისი თქმა გინდა...

ერთ სულ და ერთ ხორც ვართ ყველა? ერთ მდინარებაში ჩართულნი, ერთი საქმისათვის გაჩენილნი, ერთმანეთის სიცოცხლის გამგრძელებელნი, ერ-

თმანეთის ცოდვის მტვირთველნი, ერთმანეთის ჯალის გამსტუმრებელნი, ერთმანეთის გადამრჩენნი?

იქნებ მთელი ჩვენი ცხოვრება ერთი სისხლიანი მისტერიაა, ღრმა ერთთან მიახლების გზა, საკუთარი სიკვდილის ჭვრეტით განცდილი აღვსილება...

რა ხდება, სიმონ ჩემი ჯერიც დადგა? ახლა მე შევდივარ ამ განსაწმენდელში?

მითხარ, აქვს კი აზრი გასაცოდავებულ სიცოცხლეს ჩვენსას?

ბორბალი ბრუნავს, ყოველი წუთი ფატალურია, ჩვენ კი მის აცდენას ერთმანეთის ქიშპობით ვცდილობთ, ჭინჭრით მოვირთვთ უბადრუკი სხეული ჩვენი და ესა გვგონია გადარჩენა. სწორედ ის გვლუპავს, რაც გვეშველება?

იქნებ ყველაფერი მართლაც ამაოებაა, ამაოებაი ამაოთაი და ყველაფერი ამაო...

...მას კი ბედქმნილი სიცოცხლისაკენ მიჰყავდა სოფელი, რათა ცხოვრება მათი დამთხვეოდა ღვთიურ ჩანაფიქრს. კლდეზე ავიდა, მომავლის გზები რომ დაეზვერა...

ამაოებაი ამაოთაი და ყველაფერი ამაო...

მაგრამ გზა, გზა ხომ არ შეიძლება ამაო იყოს, სიმონ, გზა...

— იყავნ ნება შენი, — ვჩურჩულებდი და ღვარად ჩამომდიოდა ცრემლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ბოლქვაძე

ისევ ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის შესახებ

კრებულ „ძეგლის მეგობარში“ (1992 წ. № 1), რუბრიკით „ტაძართა ნაშთი“, გამოქვეყნდა ქ-ნ. ც. ჩაჩხუნაშვილის სტატია „ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია“. სტატია მიზნად ისახავს, დმანისის რ-ნში აღმოჩენილი, უნიკალური ნაგებობის ე. წ. „ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის“ მხატვრულ-სტილისტური ანალიზისა და დათარიღების მცდელობას. მადლობა უნდა მოვახსენოთ ქ-ნ. ც. ჩაჩხუნაშვილს, რომ ეს საპატიო და საპასუხისმგებლო მისია თავის მხრებზედ უტვირთავს. ამასთან არ დავიწყებია და აღნიშვნის ღირსად უცვნია ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის აღმომჩენის და გამთხრელის, ასევე ამ სტრიქონების ავტორის, არქეოლოგ გივი ბოლქვაძის „ინიციატივა“, რომელიც გამოუჩენია მას, როგორც ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის „პირველ მკვლევარს“. სტატიის ავტორი გვაუწყებს: „იგი (ე.ი. არქეოლოგი გ. ბოლქვაძე, ხაზი ჩვენია; ავტორისეული სტილი ყველგან დაცულია) მას (ე. ი. ვარდისუბნის მრგვალ ეკლესიას — გ. ბ.) ათარიღებს IV—V სს. და წარმოგვიდგენს შეხედულებებს ძეგლის ტიპის, მისი წარმომავლობის და მნიშვნელობის შესახებ“ (გვ. 69); მაგრამ, როგორია არქეოლოგ გ. ბოლქვაძის „შეხედულებები“, ფაქტები და არგუმენტები ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის, ასე ადრეული ხანით დათარიღებისა, ამის აღნიშვნით, პატივცემულ ც. ჩაჩხუნაშვილს თავისი სტატია აღარ გადაუტვირთავს.

სტატიაში კიდევ ერთხელ ვხვდებით გ. ბოლქვაძის ხსენებას, იმ კონტექსტში, რომ მის გარკვეულ მოსაზრებებს ქ-ნი ც. ჩაჩხუნაშვილი არ იზიარებს. (გვ. 72).

აღნიშნული გარემოება, იზიარებს თუ არ იზიარებს ქ-ნი ციცინო ჩაჩხუნაშვილი ჩვენს შეხედულებებს, მეორე ხარისხოვან პრობლემად მიგვაჩნია იმ უხეში შეცდომების, უზუსტობისა და ფაქტების გაყალბების ფონზე, რომელიც ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილის სტატიაშია დაშვებული.

ამავე მიზეზით, წინამდებარე წერილში არც მეცნიერული დისკუსიის მიზანშეწონილობას ვხედავთ, მაგრამ, ვინაიდან ათეულ წელზე მეტია, რაც

ჩვენი კვლევა-ძიება და მეცნიერული ინტერესები დმანისის რ-თან, კერძოდ სოფ. ვარდისუბანთან (გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლებთან (მათ შორის მრგვალ ეკლესიასთან) არის დაკავშირებული, ამ საკითხების ტენდენციური გაშუქების მიმართ, ბუნებრივია, გულგრილნი ვერ დავრჩებით. სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიებზე 1982 წლიდან მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოების უშუალო მონაწილე და ხელმძღვანელი, თავს მოვალედ ვთვლი მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ კრებულ „ძეგლის მეგობარში" გამოქვეყნებული ქ-ნ. ციცინო ჩაჩხუნაშვილის სტატია — „ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია" — არის დაინტერესებული საზოგადოების დეზინფორმაციის მცდელობა.

ჩვენი, ამგვარი კატეგორიული განცხადება, ვინმეს გადაჭარბებულად რომ არ ეჩვენოს, ამიტომ ქ-ნ. ც. ჩაჩხუნაშვილის სტატიიდან მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს, ჩვენი კომენტარით:

ქ-ნ. ც. ჩაჩხუნაშვილი თავის სტატიას ასე იწყებს: „1989 წელს დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა სოფელ ვარდისუბანთან გამოავლინეს ძალზე საინტერესო ნაგებობის ნაშთები" (გვ. 69).

იმავე გვერდზე, ერთი აბზაცის შემდგომ კი ქ-ნი ციცინო გვამცნობს: „სოფელი მაშავერა დმანისიდან 10—12 კილომეტრით არის დაშორებული. ეკლესიის ნანგრევები სოფლის გარეთ, მდინარის ნაპირზე მდებარეობს. მაშვერა აქ ღრმა, ვიწრო ხეობაში მიედინება. გაღმა მოსჩანს გამოქვაბულებიანი შიშველი კლდეები, ჩრდილოეთით, ცოტა მოშორებით — სოფელი მაშვერა. გზა ისეა გაყვანილი, რომ სანამ ძეგლამდე მივიდოდეთ, ხევს გაღმა დმანისის ნაქალაქარი გამოჩნდება" (გ. 69).

უკანასკნელი ამონაწერი, ერთი კურიოზული აბზაცი [illegible] საავალალო შეცდომებსა [illegible] ბზეა აგებული; რომ იტყვიან, აქ რამდენი სიტყვაცაა იმდენი ტყუილია.

ჯერ ერთი, თუ ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია სოფ. ვარდისუბნის მახლობლად აღმოჩნდა, როგორ შეიძლება მისი ნანგრევები სოფ. მაშვერის „გარეთ" მდებარეობდეს? ან, რომელ დმანისს გვისახავს, ქ-ნი ციცინო, ორიენტირად, რაიონულ ცენტრს, ქ. დმანისის თუ ნაქალაქარ დმანისს? მითუმეტეს, რომ არცერთი ამ პუნქტისაგან სოფ. მაშვერა 10—12 კმ-ით არ არის დაშორებული. სოფ. მაშვერა არც ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის „ცოტა მოშორებით" და არც ჩრდილოეთით მდებარეობს; მას, ვარდისუბნის მრგვალ ეკლესიასთან საერთო არაფერი აქვს, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ სოფ. მაშვერა შეიძლება დავინახოთ მდ. მაშვერას გაღაღმა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღმოსავლეთით გავიხედავთ და არა ჩრდილოეთით.

ეკლესიის ნანგრევები „მდინარის ნაპირზე" კი არ მდებარეობს, როგორც ამას სტატიის ავტორი გვაუწყებს, არამედ მდ. მაშვერის მარცხენა სანაპიროზე, მისი ღრმა კანიონის საკმაოდ წინ წარზიდული ქარაფის თავიდან გადაჰყურებს მდინარეს. მდინარის ნაპირსა და ეკლესიის მდებარეობას შორის მანძილი, ვერტიკალურ განზომილებაში დაახლოებით 80—90 მ-ია.

ქ-ნ. ციცინოს ასევე უნდა მოვახსენოთ, რომ ეკლესიამდე არავითარი გზა არ არის „გაყვანილი". ეს სახელდახელოდ სეზონურად (სასოფლო-სამეურნეო, არქეოლოგიური და სხვ. სამუშაოების დროს) გატკეპნილი შარაგზაა და ამ გზაზე „სანამ ეკლესიამდე მივიდოდეთ ხევს გადაღმა „დმანისის ნაქალაქარი კი. არ „გამოჩნდება" — არამედ დმანისის კონცხი, რომელიც

ქ-ნ. ციცინოს „გამოქვაბულებიან შიშველ კლდეებად“ მოსჩვენებია და რომელზედაც განთავსებულია ნაქალაქარი, გამუდმებით მოსჩანს ,თუ ამას რაიმე ოპტიკური ან ატმოსფერული პირობები არ ზღუდავს, რამდენადაც ნაქალაქარი ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის სამხრეთით, მის პირდაპირ, მდინარის გადაღმა მდებარეობს.

და ბოლოს, ქ-ნმა ც. ჩაჩხუნაშვილმა მაინც უნდა განგვიმარტოს, სად მდებარეობს ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია სოფ. მაშვერასთან თუ ვარდისუბანთან?!

როგორც ვხედავთ, ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის გეოგრაფიულ მდებარეობასა და გარემო პირობებზე ქ-ნ ციცინოს, პირადი აღქმით, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა შეჰქმნია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტატიის ავტორი, ამ და სხვა კურიოზებს უცილობლად ასცდებოდა, რომ უფრო გულმოდგინედ გასცნობოდა ჩვენს მიერ თავაზიანად მირთმეულ ავტორეფერატს, რომელსაც ქ-ნ. ციცინო თავის სტატიის ბოლოს ასევე თავაზიანად უთითებს, როგორც გამოყენებულ ლიტერატურას (თუმც გამოყენებულ ლიტერატურასთან ქ-ნ ციცინოს ორიგინალურ დამოკიდებულებაზე ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ).

ქ-ნ ციცინოს უდაოდ უსარგებლია ჩვენი ნაშრომით („მაშავრის ხეობის ზემო წელის ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები“ — ავტორეფერატი, თბ. 1990 წ.), მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ მეხუთე თავით და ისიც ნაწილობრივ. სხვა შემთხვევაში ქ-ნი ციცინო იმას მაინც გაარკვევდა, რომ ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია სოფ. ვარდისუბანთან მდებარეობს და არა სოფ. მაშვერასთან!

ზემოთ მოყვანილი გეოგრაფიული ექსკურსიის შემდგომ პატივცემული ც. ჩაჩხუნაშვილი გვთავაზობს ძეგლის აღწერილობას და აღნიშნავს, რომ ნაგებობის „კედლები საკმაოდ განიერია 1,10 მ. შენობის დიამეტრი უდრის 17,60მ“. (გვ. 70). ამასთან, აკვეყნებს ნაგებობის გეგმის ნახაზს, რომელიც წარმოადგენს ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის საარქიტექტურო პროექტის ნაწილს და მასზე დატანილია ეკლესიის თითქმის ყველა პარამეტრი. საინტერესოა, რომ გეგმაზე აღნიშნული ნაგებობის დიამეტრისა და კედლების სისქის ზომები არ შეესაბამება ქ-ნ. ციცინოს მიერ ტექსტში მოტანილ ციფრებს. გეგმა-ნახაზის მიხედვით ნაგებობის დიამეტრი დაახლ. 14,80 მ-ია კედლების სისქე სხვადასხვაგვარია აბრისის კედლები 1 მ-ია. ბურჯები 1,20 მ. და სხვ.

სტატიის 73-ე გვერდზე ქ-ნი ციცინო კედლების სისქის ახალ, განსხვავებულ ზომებს გვთავაზობს. „ვარდისუბნის სიძველეზე მეტყველებს მისი კედლების სისქე — 1,10 სმ (?!. გ. ბ.) ზოგან 95 სმ, რაც ადრეული ხანისათვის არის დამახასიათებელი“. (და აქ ქ-ნ. ციცინო უთითებს გამოყენებულ ლიტერატურას — „Г.Н.Чубинашвили— Шашиаиис самеба, Тб. 1988г ст.68,69. ქ-ნ ციცინოს უნდა ვთხოვოთ მეტი ყურადღებით მოეკიდოს სპეციალურ ლიტერატურას და მათ ავტორებს! „შაშიანის სამების„ — ავტორი გახლავთ არა გიორგი ჩუბინაშვილი, არამედ ნიკოლოზ გიორგის ძე ჩუბინაშვილი).

ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის ზომებთან დაკავშირებით, ქ-ნი ციცინო ისე აბნევს „ძეგლის მეგობრის“ მკითხველს, რომ ძნელი გასარკვევია „სად მარხია ძაღლის თავი“. თუმც, ვითარება გაცილებით მარტივია, პირველ შემთხვევაში ქ-ნ. ც. ჩაჩხუნაშვილი ეკლესიის ზომების მონაცემებს იყენებს ჩვენი ნაშრომიდან, მაგრამ გარკვეული „კორექტივებით“ და პირველწყაროს მიუთითებლად. ჩვენს ნაშრომში ნათქვამია: „ნაგებობის აბრისის d=17,60 მ. კედლების საშუალო

სისქე 1-1,10 მ-ია“ (გ. ბოლქვაძე. დასახ. ნაშრომი გვ. 13). ქ-ნ ციცინოს „საშუალო სისქე“ არ მოსწონებია და კედლების ზომის მხოლოდ ერთი მონაცემი 1,10 მ გადმოუწერია აბრისის დიამეტრის მონაცემთან ერთად.

მეორე შემთხვევაში; ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილს ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომში— „შაშიანის სამება,“ ამოუკითხავს, რომ V—VI სს. ეკლესიებისათვის დამახასიათებელია განიერი კედლები, რომელთა სისქე 95 სმ-ს აღწევს, რაც შეესაბამება ძველ ქართულ სიგრძის საზომადლს (ნ. ჩუბინაშვილი — დასახ. ნაშრომი. გვ. 69).

ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილი ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის V—VI სს. დათარიღებას ცდილობს, ამისათვის სჭირდება მას ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომის დამოწმება და შესაშური მეცნიერული ალღოთი ვარდისუბნის ეკლესიის კედლების 95 სმ-მდე „დავიწროვება“.

სტატიის ავტორს, ერთხელ მაინც, დაკვირვებული თვალით რომ დაეხედა, მისსავე ნაშრომში გამოქვეყნებულ გეგმაზე (თუმც არც ახლაა გვიან!) დარწმუნდებოდა, რომ ვარდისუბნის ეკლესიის კედლების სისქე არსად არ არის 1 მ-ზე ნაკლები.

პარადოქსალურია, ქ-ნი ც. ჩაჩხუნაშვილი თავის სტატიაში აქვეყნებს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს არქიტექტორების მიერ შესრულებულ გეგმას და უგულებელყოფს მასზე მოცემულ ეკლესიის პარამეტრებს; იყენებს გ. ბოლქვაძის ნაშრომში მოცემულ ეკლესიის დიამეტრისა და კედლების სისქის ზომებს და არ უთითებს ამ ნაშრომს; იმოწმებს ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომს და გვთავაზობს ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის კედლების არ არსებულ, ფალსიფიცირებულ ზომებს „1,10 სმ. 95 სმ“.

საინტერესოა ისიც, რომ გ. ბოლქვაძის ნაშრომში ზომები მოცემულია მეტრებში; ნ. ჩუბინაშვილის დასახელებულ ნაშრომში, სადაც საუბარია კედლების ზომებზე, [illegible] სისქე ნაჩვენებია სანტიმეტრებში. ქ-ნ ციცინო, თავისი მოსაზრებების დამაჯერებლობისათვის ახდენს ამ ორი მონაცემის კომპილაციას, რის შედეგადაც მივიღეთ, სრულიად გაუგებარი 1,10 სმ ნუთუ ქ-ნ ციცინოს წარმოუდგენია, რომ ხუროთმოძღვრული ნაგებობის კედელი შეიძლება 1,10 სანტიმეტრი იყოს? აქ. ვფიქრობ კომენტარიც ზედმეტია. თუმც, ეს უკანასკნელი უზუსტობა შესაძლოა ლაფსუსად, მექანიკურ შეცდომადაც მიგვაჩნია, მაგრამ აქედანაც ჩანს, რომ კედლის სისქე იქნება ეს 1,10 მეტრი თუ 1,10 სანტიმეტრი, ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილისათვის იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენიც იმას, თუ სად მდებარეობს ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია სოფ. ვარდისუბანთან თუ სოფ. მაშვერასთან, აღმოსავლეთით თუ ჩრდილოეთით...

ძეგლის აღწერილობის შემდეგ სტატიის ავტორი ასკვნის: „როგორც ძეგლის აღწერილობიდან ჩანს, შენობიდან საკმაოდ მცირე მასალაა შემორჩენილი: გეგმა, ერთი-ორი ხუროთმოძღვრული დეტალი, რომელიც დროის განსაზღვრის მხრივ ბევრს არაფერს გვაძლევს; ინტერიერის გაფორმებიდან — იატაკის ფრაგმენტები“ (გვ. 70).

სამწუხაროდ, ვერც ამაში დავეთანხმებით ქ-ნ ციცინოს, რადგან, თითქმის მთლიანობაშია დაცული ნაგებობის გეგმა, რაც საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის შინაგანი სივრცის ორგანიზაციისა და გარეგანი მასების შესახებ. ე.ი. მოვახდინოთ ამ უნიკალური ნაგებობის წარმოსახვითი რეკონსტრუქცია. აქვე, თუ თვალს გადავავლებთ ეკლესიის ინტერიერში აღმოჩენილ ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერის ფრაგმენტის შემცველ თუ

თუ სხვადასხვა ორნამენტებით შემკულ ქვის ათიოდე ფრაგმენტს, კერამიკული ჭურჭლის მცირერიცხოვან ფრაგმენტებს, მრავალრიცხოვან კრამიტებსა და სხვ. არქეოლოგიურ მასალას (რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ძეგლის თარიღის განსაზღვრისას), იმის შთაბეჭდილება აღარ უნდა იქმნებოდეს, რომ „შენობიდან საკმაოდ მცირე მასალა შემორჩენილა... რომელიც დროის განსაზღვრის მხრივ ბევრს არაფერს გვაძლევს.“

იმავე 70-ე გვერდზე, სტატიის ავტორი გვამცნობს, რომ თითქოს „განათხარის ტერიტორიაზე მიმოფანტულია კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები. ასევე — სხვადასხვა ფერის ქვის ნამტვრევები, რომლებიც შესაძლოა, ინტერიერის გაფორმებისათვის იყო გამოყენებული.“

ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის არქეოლოგიური კვლევისას გაითხარა დაახლ. 600მ² ფართობი. ქ-ნი ციცინოს ფანტაზიის უნარის გათვალისწინებითა და ზემოთ მოყვანილი ამონაწერის მიხედვით „განათხარის ფართობზე მიმოფანტული“ კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები არც ისე მცირე უნდა ყოფილიყო, რამეთუ აღნიშვნის ღირსიც გამხდარა, ახლა, როგორ შეუსატყვისოთ ერთის მხრივ „შენობიდან საკმაოდ“ მცირედ შემორჩენილი მასალა და მეორეს მხრივ 600მ² ფართობზე მიმოფანტული არქეოლოგიური მასალა? ეს, ალბათ მხოლოდ ქ-ნი ც. ჩაჩხუნაშვილის ლოგიკით არის შესაძლებელი.

როგორც ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის გათხრების უშუალო მონაწილემ, უნდა განვმარტო, რომ მუშაობის პროცესში თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები მინიმალური რაოდენობით იქნა აღმოჩენილი, ამდენად, თითოეული ფრაგმენტი შესაბამისად არის რეგისტრირებული და დაცული. რაც შეეხება სამშენებლო კერამიკასკრამიტს, ის როგორც [illegible] -შინაპოვარი, მკაცრად გადაირჩა [illegible] ხასიათებელი ნიშნების მიხედვით და ერთგვაროვანი მასა კრამიტისა ეკლესიის მახლობლად, მონიშნულ ადგილას დაიმარხა.

ასე, რომ „განათხარის ტერიტორიაზე“ მიმოფანტულ არქეოლოგიურ მასალას, ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის მდებარეობისა და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის „სუნი უდის“.

რაც შეეხება „სხვადასხვა ფერის ქვის ნამტვრევებს,“ უნდა აღვნიშნოთ, რომ მრგვალი ეკლესიის მშენებლობისათვის ძირითად სამშენებლო მასალად ბაზალტის ქვაა გამოყენებული, ინტერიერში-იტაკის ფილებად, ვარისფერი ტუფის ქვა (ამ უკანასკნელთ ქ-ნი ციცინო, რატომღაც „ღვინისფერ ქვებად“ მოიხსენიებს და კიდევ ერთხელ საგონებელში აგდებს მკითხველს — თუ რა ფერის ღვინო უნდა ჰქონდეს მას მხედველობაში); სხვა ჯიშის ქვა („სხვადასხვა ფერის ქვები“) იმ რაოდენობით, რომ ისინი ინტერიერის გასაფორმებლად გვეგულისხმა, ჩვენ არ გვინახავს. მაგრამ, ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილი იხტიბარს არ იტეხავს: „ჩვენს ხელთ არსებული მასალა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იყო ტაძრის ინტერიერი, საფიქრებელია რომ იგი საკმაოდ მორთული უნდა ყოფილიყო“ (გვ. 73).

მაინც რა აძლევს, ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილს ამგვარი ფიქრის საფუძველს, განა ცოტა ხნის წინ არ გვარწმუნებდა, „შენობიდან საკმაოდ მცირე მასალა შემორჩენილა... ერთი-ორი ხუროთმოძღვრული დეტალი“ სულ ეს არის და ესო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ეკლესიის ინტერიერში აღმოჩნდა ათამდე სხვადასხვა ფრაგმენტი ვარდისფერი ტუფის ქვისა, შემკული ადრე შუა-

საუკუნეებისათვის დამახასიათებელი დეკორატიული მოტივებით (ბოლნური მედალიონის ფრაგმენტები, ჯვრის მკლავები ვარდულებითა და წიწვოვანი მოტივითა და სხვ.) მიუხედავად ამ მონაპოვრისა (რომელთა შესახებ ქ-ნ ციცინომ ჯერ-ჯერობით არაფერი უწყის და მაინც ამგვარი საფიქრალი აშლია) ჩვენ ვერ გავიზიარებთ მის მოსაზრებას, რომ მრგვალი ეკლესიის ინტერიერი „საკმაოდ მორთული უნდა ყოფილიყო".

„ცალკეული ხუროთმოძღვრული დეტალებიდან შემორჩენილია კაპიტელები. ისინი იმავე ღვინისფერი ქვებისგან არის გამოთლილი. მათი პროფილია: თარო და ოდნავ შეღუნული სიბრტყე" (გვ.70). ამ განცხადების შემდეგ, ეჭვი გვაქვს, რომ ქ-ნ ციცინოს ძეგლის ანალიზთან ერთად არქეოლოგიური კვლევა-ძიებაც უწარმოებია და აღნიშნული „ღვინისფერი კაპიტელებიც" აღმოუჩენია. თუ ქ-ნ ციცინო ამ „აღმოჩენის" შესახებ უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ან ფოტოებს მაინც მოგვაწვდის, ამით დიდ სამსახურს გაგვიწევს.

1989 წ. ეკლესიის გათხრებისას, ინტერიერში აღმოჩნდა ვარდისფერი ტუფის ქვის ორი მოზრდილი ფრაგმენტი, რომლებიც თავისი ფორმისა და გარკვეული სიმრუდის, ჰორიზონტალური ლილვების მიხედვით კარნიზის ქვებს წარმოადგენენ. თუ ქ-ნი ციცინო, აღნიშნულ, კარნიზის ქვებს მიიჩნევს კაპიტელებად, მაშინ მას ან კაპიტელებზე აქვს ცუდი წარმოდგენა ან ჩვენზე, თუ თვლის, რომ შეუძლია, კარნიზის ქვები კაპიტელებად მოგვაჩვენოს.

ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილის „ყურადღება" მიუქცევია ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის გარშემოსავლელის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აბსიდასთან, იატაკის ფილაზე გამოსახულ ჯვარს, მაგრამ ისევ ნაცარს გვაყრის თვალებში და გვიმტკიცებს „ერთიან ქვაში გამოჭრილი ჯვარია იატაკში ჩასმული"-ო (გვ. 70). ბოლნისში ქ-ნო ციცინო, მაგრამ აღნიშნული ჯვარი „ერთიან ქვაში" არ არის გამოჭრილი! ჯვარი ამოჭრილია იატაკის ფილის მთელ სიგრძე-სიგანეზე და იატაკში ჩასმულია არა ჯვარი არამედ ჯვრის გამოსახულებანი 0,94 X 0,72 მ. ზომის ფილა.

აღნიშნულ ჯვართან დაკავშირებთ, პატივცემული სტატიის ავტორი მხოლოდ იმის აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ VII ს. ერთ-ერთ საეკლესიო კრების დადგენილებით „იკრძალება ჯვრის გამოსახვა ტაძრის იატაკზე" (გვ. 73). სასურველი იქნებოდა, სტატიაში, რომელსაც ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის მხატვრულ-სტილისტური ანალიზისა და დათარიღების მცდელობის პრეტენზია გააჩნია, სტატიის ავტორის, ქ-ნ ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტოს ნაცვლად (გვ. 70) აღნიშნული ჯვრიანი ფილის ფოტო გამოქვეყნებულიყო და აქცენტი ჯვრის კონფიგურაციაზე და მისი პარალელების მოძიებაზე ყოფილიყო გაკეთებული, ვინაიდან ეს ძეგლისათვის დამათარიღებელ მნიშვნელობასაც იძენს. თუმცა ამ შემთხვევაში ქ-ნ ციცინოს მადლობა უნდა მოვახსენოთ, რომ ჯვრის გამოსახულებას დიდი ხნით არ მიუქცევია მისი ყურადღება, რამეთუ აღნიშნული ჯვრის გამოსახულებიან ფილასაც შესაძლოა „კაპიტელის" ფორმა მიეღო.

კრებულ „ძეგლის მეგობარში" გამოქვეყნებული, აღნიშნული სტატიიდან, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა დაგვარწმუნა, რომ სტატიის ავტორი სხვა სიკეთესთან ერთად ვერ ფლობს სათანადო ინფორმაციას ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის არქეოლოგიური გათხრების შესახებ და ამ ხარვეზის შევსებას აპოსტერიორი მონაცემების უგულებელყოფისა და რეალური ფაქტების გაყალბების ან საკუთარი ფანტაზიის

ხარჯზე ცდილობს. ასეთია პატივცემულ ციცინოს კვლევის მეთოდები. შესაძლოა გვეფიქრა, რომ ქ-ნი ციცინო როგორც არქეოლოგი მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემებისა და ზოგადად არქეოლოგიის მიმართ იჩენს ამგვარ, რბილად რომ ვთქვათ, არაობიექტურობას. მაგრამ, ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილი მის სტატიაში გამოყენებულ სხვა მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებთან ურთიერთობაშიც არ ღალატობს თავის კვლევის მეთოდად არჩეულ გზას. თუმცა, ამ გზით, ამგვარი არსენალით აღჭურვილი პატივცემული ციცინო, შორს ვერ წავა, რადგან კვლევის ამგვარ მეთოდებს საკმაოდ „მოკლე ფეხები" აქვს.

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ქ-ნი ც. ჩაჩხუნაშვილი თავის სტატიაში არ ეთანხმება და საეჭვოდ მიიჩნევს არქეოლოგ გ. ბოლქვაძის გარკვეულ მოსაზრებებს და ამას საგანგებოდ აღნიშნავს კიდეც (გვ. 72). იმ შემთხვევაში კი, როდესაც ქ-ნ ციცინოს მოსაზრებები „ემთხვევა" ჩვენს, გაცილებით ადრე გამოქვეყნებულ შეხედულებებს, ამის აღნიშვნა და შესაბამისად მითითება სტატიის ავტორს სრულიად ზედმეტად მიუჩნევია. მაგალითად: „მიუხედავად მასალის სიმცირისა, ეჭვს არ იწვევს, რომ ჩვენს წინ ისეთი ნაგებობის ნაშთია, რომელსაც შუასაუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის პარალელი არ მოეძებნება" (გვ. 71) — ასკვნის, კვლავ „მასალის სიმცირით" შეჭირვებული პატივცემული ციცინო. ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია, რომ საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლების აგან სრულიად განსხვავებულ სახეობას წარმოადგენს ამას მრგვალი ეკლესიის გეგმის ვიზუალური აღქმაც ცხადყოფს და ამ ფაქტს ვერც „მასალის სიმცირე" და ვერც სიუხვე გახდის საეჭვოდ. პრინციპული ხასიათის სხვაობა, რომელიც ჩვენს ეკლესიას განასხვავებს საქართველოს სხვა ქრისტიანული საეკლესიო ნაგებობებისგან, ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის წრიულ გეგმარებაში და შინაგანი სივრცის ორგანიზაციის პრობლემაშია გამოხატული. ამ გარემოებას გ. ბოლქვაძე აღნიშნავდა 1990 წ. გამოქვეყნებულ დასახ. ნაშრომის 13-ე გვერდზე.

შემდგომ ქ-ნი ციცინო ჩაჩხუნაშვილი გვაკვალიანებს:"... შეიძლება, ვარდისუბნის ეკლესია ეკუთვნოდეს იმ პერიოდს, როდესაც მიმდინარეობდა ძიება ადგილობრივი გუმბათიანი ტაძრის შექმნისათვის როდესაც სავსებით დასაშვებია უცხო გავლენა" (გვ. 72). შემდეგ: „სავარაუდოა, რომ ვარდისუბნის ეკლესიის ხუროთმოძღვრული თემაც შემოტანილია. ე. ი. უნდა ვიფიქროთ რომ ეს არის საქართველოსთვის უცხო ტიპი... (გვ. 73). იქვე: "...ვარდისუბანი არ არის ასლის სახით გადმოღებული. მრავალი ელემენტი, დასავლურ ნიმუშებთან შედარებით, აქ გადამუშავებულია მაგალითად, მასიური ბურჯები სვეტების ნაცვლად, ადგილობრივია საშენებლო ხერხები, კედლის წყობა"... (გვ. 73) და სხვ.

გ. ბოლქვაძის დასახელებულ ნაშრომში ამ საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია „იმ ეპოქის კუთვნილებაა, რომელიც ქრისტიანულ საეკლესიო ნაგებობათა არქიტექტურული ფორმების შემოქმედებითი ძიაღნიშნულია, რომ ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია-როტონდა არ არის ადგილობრივ ფესვებზე აღმოცენებული და სხვა არქიტექტურული ტრადიციების მქონე სამყაროდანაა მოტანილი, მაგრამ ეს „მოტანა" უნდა წარმოვდგინოთ არა, როგორც მექანიკური, გაუაზრებელი მოქმედების, არამედ გარკვეული შემოქმედებითი „გადამუშავების" შედეგად. ამის მანიშნებელი უნდა იყოს გუმბათის ყელის საბრჯენად კოლონების ნაცვ-

ლად ქვით ნაგები ბურჯების გამოყენება, „გუმბათის ყელის აღმოსავლეთ ნაწილის აბსიდის მხრებსა და სატრიუმფო თაღზე დაბჯენა და სხვ. (გ. ბოლქვაძე დასახ. ნაშრომი გვ. 15).

როგორც ვხედავთ, ქ-ნი ციცინო მაინცდამაინც არ სწყალობს ჩვენს ნაშრომს და სანუგეშოდ ისღა გვრჩება, რომ არქეოლოგი გ. ბოლქვაძე არ არის ამ შემთხვევაში გამონაკლისი; ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილი საკმაოდ ორიგინალურ დამოკიდებულებას ავლენს თავის სტატიაში გამოყენებულ ლიტერატურასთან და არც ხელოვნების ისტორიის მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებთან მიმართებაშია მაინცადამაინც კორექტული. მაგალითად, გამოყენებულ ლიტერატურაში „შაშიანის სამების“ ავტორად, ნაცვლად ნ. ჩუბინაშვილისა, დასახელებულია გ. ჩუბინაშვილი. (გვ. 74). 71-ე გვერდზე კი, სადაც მოყვანილია აკად. გ. ჩუბინაშვილის მოსაზრება მრავალაბსიდიანი ძეგლებისა და ტეტრაკონქების ურთიერთობის შესახებ, გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებულია აკად. გ. ჩუბინაშვილის «Архитектура Кахети», Тб, 1959 г. стр. 210. მაგრამ, დასახელებული ნაშრომის დასახელებულ გვერდზე ერთ სიტყვაც კი არ არის ნათქვამი არც ტეტრაკონქების და არც მრავალაბსიდიანი ძეგლების შესახებ. ვისი-ვისი, და აკად.გ. ჩუბინაშვილის ნაშრომთან ხელოვნებათმცოდნის ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, სხვა სიტყვა რომ არ ვიხმაროთ, უხერხულია. სამაგიეროდ უხერხულობის საზღვარს ნამდვილად სცილდება ქ-ნ ციცინოს დამოკიდებულება, მის სტატიაში გამოყენებულ ა. იაკობსონის ნაშრომთან Закономерности в развитии средневековой архитектуры. Л., 1985 г.

აღნიშნულ ნაშრომზე დაყრდნობითა და მე-9 გვერდის მითითებით, ქ-ნი ციცინო გვამცნობს: „V—VI სს. ქრისტიანული დოგმატიკის, ფილოსოფიის და ლიტურგიის განვითარებასთან ერთად წინა პლანზე [illegible] ხელოთმოძღვრულმა [illegible] (გვ. 72.)

ა. იაკობსონის დასახელებული ნაშრომის მე-8 (და არა მე-9!) გვერდზე ვკითხულობთ: «В VI в. с усилением власти церкви и церковной организации, вместе с разработкой церковой догматики и философии, а соответственно и литургии центр внимания зодчих существенно переменился: на первый план выступила архитектурная символика»...

როგორც ვხედავთ, ა. იაკობსონი აღნიშნული პროცესების მიმდინარეობის ხანად VI ს. მიიჩნევს. პატივცემული ც. ჩაჩხუნაშვილი კი, რომლის მცდელობაა ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია V—VI სს. დაათარიღოს, ა. იაკობსონის თარიღს, თავისი შეხედულებების სასარგებლოდ, თვითნებურად ცვლის V—VI საუკუნეებით და ასე ფალსიფიცირებულად აწვდის მკითხველს.

„დასავლეთში... IV საუკუნის როტონდები მარტირიუმებსა და სანათლავებს წარმოადგენენ“ — განგვიმარტავს ქ-ნ ციცინო და კვლავ ა. იაკობსონის დასახელებული ნაშრომის მე-9 გვერდს იმოწმებს, სადაც შავით თეთრზე წერია: «Если до VI в., куполом венчали лишь мартирии и бабтистерии... то теперь купол был перенесен собственно в храм».

სად არის აქ ან „როტონდების“ ხსენება ან იმის მითითება, რომ ეს უკანასკნელნი მარტირიუმებსა თუ სანათლავებს წარმოადგენენ? მაგრამ, როგორც ჩანს, ქ-ნ ციცინოს აზრთა მსვლელობას ამგვარი კონტექსტი უფრო აწყობს და ა. იაკობსონის ნაშრომის დამოწმება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილის ზოგიერთი მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ მის სტატიაში დამოწმებულ ლიტერატუ-

რასაც კი, იგი ადგილ-ადგილ, ნაწილობრივ გასცნობია, სხვა შემთხვევაში რას უნდა მივაწეროთ სტატიის ავტორის განცხადება, რომ მისი აზრით:"... შეუძლებელია ისეთ მკაცრად ცენტრალიზებულ ნაგებობებში, როგორც ვარდისუბანია (?! - გ. ბ.) დავინახოთ რაიმე „ბაზილიკურობა". ალბათ, ისიც საეჭვოა, რომ ხუროთმოძღვრული ტიპი წარმოიშვას ორი, კომპოზიციურად სრულიად განსხვავებული სახის შენობების მექანიკური შერთებით" (გვ. 72).

ჯერ ერთი, ქ-ნ ციცინოს უნდა შევახსენოთ, რომ ვარდისუბანი სოფელია დმანისის რ-ნში და არა „ნაგებობები", ხოლო ნაგებობა, რომლის შესახებაც მსჯელობა გვიხდება, პირობითად, ვარდისუბნის მრგვალ ეკლესიად იწოდება.

მეორე, ქ-ნ ციცინოს, მისთვის ავტორიტეტად მიჩნეული ა. იაკობსონის აღნიშნული ნაშრომის მე-9 გვერდი ბოლომდე რომ ჩაეკითხა და მე-10 გვერდზეც გადასულიყო, აუცილებლად წაიკითხავდა, რომ: «Однако и в купольных храмах раннего средневековья базиликальный элемент был еще силен, ибо позволял сохранить обширный пространственный объем храма».
(ა. იაკობსონი დასახ. ნაშრომი გვ. 10).

უფრო მეტიც, ქ-ნი ციცინო აღმოაჩენდა, რომ ა. იაკობსონი მისი მოსაზრებებისაგან სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე დგას. კერძოდ აღნიშნავს, რომ VI ს.I ნახევარში გუმბათოვანი სისტემების ინტენსიური შემუშავება..." это не значит, что базилика как форма монументальной архитектуры повсеместно исчезла. Наоборот... обе системы — базиликальная и центрально-купольная — не только сосуществовали но и были тогда же, в VI в. скрещены».

ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის V—VI სს. დათარიღების მცდელობისას, ერთ-ერთი ძირითად არგუმენტად, ქ-ნი ციცინო, კედლების წყობის ხასიათს იყენებს და აღნიშნავს: „ძეგლის თარიღის განსაზღვრისათვის სახასიათოა კედლის წყობა: ნაგებობის გარე და შიდა პირის წყობა ერთგვაროვანია, საპირე ქვები უხეშად არის დამუშავებული; ისინი ღრმად შედის კედლის სისქეში; რიგების ჰორიზონტალურობა დაცულია. ასეთი წყობა სახასიათოა ადრეფეოდალური ხანის ძეგლებისათვის ჯავახეთში, ზურტაკეტსა და თრიალეთში (უნდე, შინდლარი, ოლთისი და თეთრი წყარო). აღსანიშნავია, რომ ამ დროს უხეშად გათლილი ქვებით და თლილი კვადრებით ნაგები ძეგლები ერთდროულად თანაარსებობენ" (გვ. 73) და მითითებულია ნ. ჩუბინაშვილის „შაშიანის სამება" გვ. 68, 69.

ნ. ჩუბინაშვილის აღნიშნული ნაშრომის 68-ე გვერდზე ვკითხულობთ: „გუნდეს კედლების წყობის ტიპი დამახასიათებელია საქართველოს სამხრეთი ისტორიული რაიონების ნაგებობისათვის — ზურტაკეტში. თრიალეთში — დარბაზული ეკლესიები გუში და აიაზმა, ჯავახეთსა და ზემო ქართლში".

ქ-ნი ც. ჩაჩხუნაშვილი აღნიშნულ ჩამონათვალს უფრო აკონკრეტებს და ასახელებს ძეგლებს: „გუნდე, შინდლარი, ოლთისი და თეთრი წყარო". სანამ უშუალოდ ჩამოთვლილი ძეგლების კდლების წყობის ხასიათს შევეხებოდეთ, უნდა ვიკითხოთ, თუ ქ-ნი ციცინო თავის მოსაზრებას ნ. ჩუბინაშვილის დასახელებულ ნაშრომზე დაყრდნობით აყალიბებს, საიდან გაჩნდა აქ შინდლარის ეკლესია, რომელსაც ნ. ჩუბინაშვილი თავის ნაშრომის დასახლებულ გვერდზე არსად იხსენიებს. ასევე, პატივცემული ციცინოს სტატიაში დასახელებული ოლთისის და თეთრ წყაროს ეკლესიები ნ. ჩუბინაშვილთან სხვა სახელწოდებებით — გუში (ოლთისი) და აიაზმა (თეთრი წყარო), არის მოხსენიებული.

ასე, რომ უმჯობესი იქნებოდა, ქ-ნ ციცინოს, დასახელებული ძეგლები იმ სახელწოდებით მოეხსენებინა, როგორც ეს „შაშიანის სამების“ ავტორს აქვს აღნიშნული. მაგრამ თუ, უპირატესობას მაინცადამაინც სახელწოდებებს--ოლთისსა და თეთრი წყაროს ანიჭებს, მაშინ ის ნაშრომიც უნდა მიეთითებინა, სადაც აღნიშნული ძეგლები ამ სახელწოდებითაა დასახელებული.

რაც შეეხება ვარდისუბნის მრგვალ ეკლესიას, იგი ნაგებია უხეშად დამუშავებული ბაზალტის ქვის მკაცრად ჰორიზონტალური მწკრივებით კირის ხსნარზე. სპირე ქვებს შორის არე შევსებულია უფრო წვრილი ქვის მასით. ამგვარი წყობა ზოგადად დამახასიათებელია ადრეული შუა საუკუნეების რიგი არქიტექტურული ძეგლებისათვის; მაგრამ არა- „გუნდეს, შინდლარის, ოლთისისა და თეთრი წყაროს“ ეკლესიებისათვის, როგორც ეს ქ-ნ ციცინოს წარმოუდგენია.

ნ. ჩუბინაშვილი „შაშიანის სამებაში“ გუნდეს ეკლესიის შესახებ აღნიშნავს, რომ მისი ინტერიერისა და საფასადო კედლების წყობისათვის დამახასიათებელია მკაცრად ჰორიზონტალური მწკრივები, ამოყვანილი, სიმაღლეში შერჩეული, კარგი. მაგრამ რამდენადმე უხეში ფაქტურის, კონტურებ ჩასწორებული, შედარებით მომცრო ზომის ბაზალტის ქვით; ხოლო ფასადის კუთხეები ამოყვანილია სუფთად გათლილი მასიური ქვის ბლოკებით ანუ გამოყენებულია სამშენებლო ხერხი რომელიც დამახასიათებელია ძველი საეკლესიო ნაგებობებისათვის V—VII ს. შუა ხანებში, (ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 68). იქვე, ნ. ჩუბინაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ „გუნდეს კედლების წყობის ტიპი დამახასიათებელია“ გუშის (ე. ი. ოლთისის და აიაზმას (ე. ი. თეთრი წყაროს) ეკლესიებისათვის (გვ. 68). ამ უკანასკნელ, ეკლესიებისადმი მიძღვნილი სპეციალურ სამეცნიერო ნაშრომშიც, სადაც ზემოთ აღნიშნული (და ილუსტრირებულიც) რომ თეთრი წყაროსა და ოლთისის ეკლესიებისათვის დამახასიათებელია — საფასადო კედლების წყობისათვის უხეშად დამუშავებული ქვის წყობა, ხოლო კუთხეების კარგად გათლილი ფილებით ამოყვანა (იხ. Н. Чубинашвили, Р. Шмерлинг-Храмы в древних селениях Триалети—Олмиси и Тетри Цкаро. Ars Georgica 2, Тб., 1948 г. ст. 56).

იგივე უნდა ითქვას შინდლარის ეკლესიის შესახებ. ამ ეკლესიის კედლებიც ნაგებია უხეშად დამუშავებული, შედარებით მომცრო ზომის ქვით, ნაგებობის კუთხეები ამოყვანილია სუფთად გათლილი, მასიური კვადრებით (იხ. ქსეტ. 11 გვ. 5). ეი. „გუნდეს, შინდლარის; ოლთისისა და თეთრი წყაროს“ ეკლესიებისათვის ერთ-ერთი ძირითადი და დამახასიათებელი სამშენებლო ხერხი ყოფილა — საფასადო კედლების უხეშად დამუშავებული ქვების ჰორიზონტალური მწკრივებით ამოყვანა ხოლო ნაგებობის კუთხეებისათვის — კარგად გათლილი, მასიური ქვის ბლოკები.

აღნიშნული სამშენებლო ხერხის გამოყენებას ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის კედლების წყობაში, ჩვენ არ ვხვდებით. თავად ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილიც, ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის კედლების ხასიათის აღწერისას (გვ. 69 და გვ. 73) არსად იხსენიებს კარგად გათლილი, მასიური ბლოკებისა და უხეშად დამუშავებული ქვების ურთიერთმონაცვლეობას; მაგრამ რატომღაც ისევ ცდილობს ჩვენს გაცურებას, გვიმტკიცებს, თითქოს, ვარდისუბნის მრგვალი ეკლესიის მსგავსის წყობა იყოს „სახასიათო“ „გუნდეს, შინდლარის, ოლთისისა და თეთრი წყაროს“ ეკლესიებისათვის და ამასთან, სრულიად კურიოზულ დასკვნასაც გვთავაზობს: „აღ-

სანიშნავია, რომ ამ დროს უხეშად გათლილი ქვებით და თლილი კვადრებით ნაგები ძეგლები ერთდროულად თანაარსებობენ“ (გვ. 73). ე.ი. ქ-ნი ც. ჩაჩხუნაშვილი სრულიად ვერ გარკვეულა (როგორც სხვა შემთხვევაში, ისე) ამ კონკრეტული საკითხის არსში და როგორც ვხედავთ მას არა მარტო ვარდისუბნის მრგვალ ეკლესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა.

ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილის პუბლიკაციიდან კიდევ შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოხმობა (სტატიის ავტორის ალოგიკური მსჯელობის, აზრობრივად და სტილისტურად გაუმართავი წინადადებების და სხვ. შესახებ), თუმც ჩვენს მიერ, აქ განხილული მაგალითებიც სრულიად ნათლად წარმოაჩენს ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილის სტატიის სამეცნიერო დონეს და ღირებულებას.

ჩვენი წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ წინამდებარე პუბლიკაციაში თავს ვიკავებთ ვარდისუბნის მრგვალ ეკლესიასთან დაკავშირებით, რაიმე მეცნიერული ანალიზისგან, რამეთუ ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილის სტატიის ყოვლად ტენდენციური და არაკომპეტენტური პათოსის გამო. შევეცადეთ, ყურადღება გაგვემახვილებინა, მხოლოდ ფაქტების დამახინჯებისა და იმ არსებითი ხასიათის შეცდომებზე, რომელიც ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილს თავის სტატიაში აქვს დაშვებული.

დასასრულ დავსძენთ, რომ ამა თუ იმ საკითხის იმგვარი პროფანაცია, როგორც ეს ქ-ნ ც. ჩაჩხუნაშვილის განხილულ სტატიაშია წარმოდგენილი სერიოზული სამეცნიერო გამოცემისათვის, ვფიქრობთ, მიუღებელი უნდა იყოს და რაოდენ დასანანია, რომ ამგვარი აზრობრივი დატვირთვის, კურიოზებით აღსავსე სტატია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, ისეთ კომპეტენტურ და პოპულარულ პერიოდულ გამოცემაში დაიბეჭდა, როგორიც არის კრებული „ძეგლის მეგობარი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ კეშელავა

სპარსული პროზის მეშვეობა

ქართველი ერის აღმოსავლეთის ხალხებთან მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის კვალი შემონახულია ერთ-ერთ საბუთსა, წარწერასა თუ სხვა ძეგლში როგორც ქართულ, ასევე აღმოსავლეთის ხალხთა ენებზე.

ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ენების ლიტერატურის და ისტორიის შესწავლას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ სისტემატური, გეგმაზომიერი კვლევა ამ მიმართულებით მხოლოდ პირველი ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ გაიშალა.

ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს ისტორიის, ენის, ლიტერატურისა და კულტურის საკითხების კვლევა სრულყოფილი არ იქნებოდა თუ არ შევისწავლიდით იმ ხალხების ენასა და კულტურას, რომელთაც ისტორიის გრძელ გზაზე ხშირი შეხვედრები ჰქონდათ ქართველებთან. თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე სასწავლო გეგმაში იმთავითვე გაითვალისწინეს აღმოსავლური დისციპლინებიც. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე დაიწყო არაბულის, სპარსულის და სანსკრიტის სწავლება, [illegible]ანებით თურქული და სომხური ენებისა.

ქართული მეცნიერული ფილოლოგიისა და ისტორიის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი თავდაპირველად საქართველო-სპარსეთის ისტორიის კათედრას ხელმძღვანელობდა, მაგრამ როცა საქართველოს ისტორიის კათედრამ დამოუკიდებელი მუშაობა დაიწყო, მას არ შეუნელებია ყურადღება აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის საკითხებისადმი. თავის პირველ ასპირანტებს (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, თ. ლომოური, ლ. მუსხელიშვილი) ი. ჯავახიშვილი ამზადებდა ირანის, არაბული ქვეყნებისა და სომხეთის ისტორიაში სამუშაოდ.

1945 წლიდან, როცა შეიქმნა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ხოლო 1960 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ფართოდ გაიშალა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა.

ქართულ-სპარსულ ისტორიულ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. ეს ურთიერთკავშირები მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა სხვადასხვა დროს.

„თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერს ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვა[illegible]ს თესავდა" (ივ. ჯავახი[illegible]. ქართველი ერის ისტორია).

სპარსული ლიტერატურის ნიმუშების მრავალრიცხოვანი ქართული თარგმანები მაჩვენებელია ქართველი მოღვაწეების უურადღებისა ირანის კულტურული სამყაროსადმი. უკანასკნელ ხანებში ჩვენში კვლავ იმატა ინტერესმა, ირანისადმი.

სპარსულ ენაზე შექმნილია უმდიდრესი ლიტერატურა, უმთავრესად პოეზია. სპარსელ კლასიკოს პოეტთა უკვდავმა ქმნილებებმა დიდების შარავანდედით შემოსა ირანში პოეზია და მკვიდრი ადგილი მიუჩინა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში, მათ წყალობით ირანს პოეზიის და ლირიკის ხაუფლოდ მიიჩნევენ.

ხაუკუნეების მანძილზე ირანში პოეზიასთან შედარებით პროზას ნაკლები გასავალი ჰქონდა, იგი უკანა პლანზე იყო გადახული. XIX ხაუკუნემდე პროზა სპარსულ ლიტერატურაში წარმოდგენილია მოთხრობებით, ისტორიული და ფანტასტიკური ნაწარმოებებით, აგრეთვე ზღაპრებით. XIX ხაუკუნის ბოლო — XX ხაუკუნის დასაწყისი ახალი ეტაპია სპარსული პროზის განვითარების ისტორიაში. თუმცა პარადოქსულად ეღერს, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ირანში მხატვრული ლიტერატურის მაღალგანვითარებულ სახეობად პროზა გვევლინება და არა პოეზია. სპარსული პროზა წარ-

მოიშვა და ჩამოყალიბდა, როგორც მდიდარი ტრადიციების მქონე ირანის მხატვრული ლიტერატურის ისტორიული განვითარებით განპირობებული კანონზომიერი მოვლენა.

უახლეს სპარსულ ლიტერატურის ახალი ეანრებია რომანი, დრამა, ნოველა, სპარსული ნოველის ფეხბედნიერი მეკვლეა ჯემალზადე, რომელმაც გზა გაუხსნა ამ ეანრს სპარსულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ 20-იან წლებში,[1] მაგრამ იგი მხარს ვერ უსწორებს სადეყ ჰედაითს, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული თანამედროვე ირანის არამარტო ლიტერატურის, არამედ კულტურის განვითარება და აღმავლობა.

სპარსული პროზის დიდოსტატის სადეყ ჰედაითის შემოქმედებამ საყოველთაო აღიარება პოვა. მისი ნოველების გმირები ამეტყველდნენ მსოფლიოს მრავალ ენაზე. მკითხველი საზოგადოება ს. ჰედაითს უფრო კარგად იცნობს ვიდრე ყველა მწერალს, ვისაც კი სპარსულ ენაზე პროზაული ნაწარმოები შეუქმნია. ქართველი მკითხველი იცნობს ს. ჰედაითის შემოქმედებას, 1958 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობამ „ზარია ვოსტოკამ" გამოსცა რუსულ ენაზე თ. კეშელავას წიგნი „ს. ჰედაითის მხატვრული პროზა", რომელიც ითარგმნა სპარსულ ენაზე. 1990 წელს თსუ-ს გამომცემლობამ დასტამბა ამავე ავტორის წიგნი, რომელიც მიეძღვნა ს. ჰედაითის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ს. ჰედაითის ნოველების ქართული თარგმანები გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემებში: „მნათობი", „ცისკარი", „ლიტერატურული საქართველო", „დროშა", „არმაღანი", „ზმოლი", „საუნჯე", „ნიანგი", „პიონერი" და სხვა. ცალკე წიგნების სახით დაისტამბა ს. ჰედაითის მოთხრობების კრებულები: გამომცემლობაში „მერანი" — „ლალე" (1970), გამომცემლობაში „საქართველო" — „ცეცხლთაყვანისმცემელი" (1985), რომელშიც გარდა ნოველებისა წარმოდგენილია პიესა, პამფლეტები, მოგზაურობის დღიური და გახმაურებული მოთხრობა „ბრმა ბუ".

სადეყ ჰედაითი მრავალმხრივი ნიჭით მომადლებული პიროვნებაა. ბრწყინვალე ნოველისტი, თვალსაჩინო ფოლკლორისტი და ეთნოგრაფიულ მასალათა შემკრები დაკვირვებული მკვლევარი, დრამატურგი, მთარგმნელი. მისმა საუკეთესო ქმნილებებმა კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა სპარსული ენის მადლი და ბარაქა, ყანდივით ტკბილი სპარსული სიტყვის ამოუწურავი გამომახველობითი შესაძლებლობანი და დაასამარა ის შეხედულება, რომ სპარსული ლიტერატურა წარსულის კუთვნილებაა და მას დახშული აქვს შემდგომი განვითარების გზა.

1. თ. კეშელავა, სპარსული ნოველის მეკვლე, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1993.

უახლესი სპარსული ლიტერატურის მესაძირკვლემ სადეყ ჰედაითმა მშობლიურ ენაზე შექმნა ნოველები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა შესრულებული. მისი ყურადღებით სპარსული პროზა პოეზიასთან ერთად საერთაშორისო სარბიელზე გავიდა.

ევროპულ კულტურას ნაზიარები სადეყ ჰედაითის შემოქმედება ირანის მრავალსაუკუნოვანი კულტურის მტკიცე ბალავარზე დგას. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები მდიდარ სპარსულ ლიტერატურაში და თვითმყოფად ხალხურ სიტყვიერებაში. სადეყ ჰედაითის ნოველისტიკის ძირითად ნიშან-თვისება მრავალსაუკუნოვანი სპარსული კულტურის მონაპოვართა მხატვრული გააზრებაა. ს. ჰედაითს თავისი მხატვრული შემოქმედების მწვეებად, შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ ჰაზეფი და ხაიამი მიაჩნია. მათდამი სწრაფვა მწერალს სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია

20 წლის, ს. ჰედაითმა გამოსცა წიგნი „ბრძენი ომარ ხაიამის რობაები. ათი წლის შემდეგ 1934 წელს, ს. ჰედაითმა კვლავ გამოსცა მისი ოთხსტრიქონიანი ლექსები „ხაიამის სიმღერების სახელწოდებით". წიგნის წინასიტყვაობაში ს. ჰედაითი მსჯელობს ო. ხაიამის მსოფლმხედველობაზე და ამბობს: „ო. ხაიამის ფილოსოფია არასოდეს არ დაკარგავს ცხოველმყოფელობის ძალას". თუ ადრინდელ გამოცემაში ლექსები ტრადიციულად ანბანურ რიგზე იყო გაწყობილი ამჯერად ს. ჰედაითმა მოთხრობები შინაარსის მიხედვით დაჯგუფა.

ს. ჰედაითის ფსიქოლოგიურმა პროზამ შეინახლბორცა და გაითავისა სუფიური პოეზიის ქარაგმულობა და სიმბოლიკა, რაც განსაკუთრებით იგრძნობა მოთხრობაში „ბრმა ბუ", რომელიც ანცვიფრებს მკითხველს ნაწარმოების გმირის, მხატვრის შინ განი ხულიერი დინამიკის ჯადოსნური აღწერით.

სადეყ ჰედაითი დაიბადა 1903 წლის თებერვალში, თეირანში, მაღალი არისტოკრატიული შთამომავლობის ოჯახში. იგი ბადიში-შვილია XIX საუკუნის ცნობილი პოეტის, ისტორიკოსის და ლიტერატურითმცოდნის რეზა ყული ხან ჰედაითისა, რომელიც დამაარსებელი და ხელმძღვანელია პირველი ირანული საერო სასწავლებლისა. ბავშვობა და ყრმობა ს. ჰედაითმა მშობლიურ ქალაქში გაატარა, დაწყებითი განათლება მიიღო სპარსულ სასწავლებელში, ხოლო საშუალო — თეირანის ფრანგულ კოლეჯში „სენ ლუი", რომელიც წარჩინებით დაამთ ვრა 1925 წელს. იმავე წელს სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაგზავნეს, როგორც სახელმწიფო სტიპენდიანტი. ბელგია და საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში ს. ჰედაითი ტექნიკურ მეცნიერებათა საფუძვლებს ეუფლებოდა, მაგრამ მისი ნამდვილი მოწოდება მწერლობა იყო. იგი თანდათან

დარწმუნდ ამაში და მთლიანად მიეცა ლიტერატურის, ხელოვნების და ენათმეცნიერების შესწავლას.

ს. ჰედაიათი ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, არაბულ და რუსულ ენებს. იგი ჩეხოვის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია სპარსულ ენაზე, ხოლო ფრანგულიდან იგი არამარტო თარგმნიდა, არამედ ამ ენაზე მას დაწერილი აქვს როგორც მხატვრული ნაწარმოებები, ასევე გამოკვლევები. საფრანგეთში ყოფნისას ს. ჰედაიათი დიდ ინტერესს ამჟღავნებდა ძველი ენებისადმი, კერძოდ, სანსკრიტის, ფალაურის და ავესტის ენისადმი. ამ ნიადაგზე მოხდა მისი დაახლოება ცნობილ ფრანგ ენათმეცნიერ ბენვენისტთან. ევროპაში შექმნა თავისი პირველი ნაწარმოებები მწერალმა.

1930 წელს ს. ჰედაიათი სამშობლოში დაბრუნდა და საბოლოოდ გადაწყვიტა ლიტერატურის საქმიანობისათვის მოეკიდა ხელი, ახლობლებმა არ აპატიეს თვითნებობა, პროფესიის შეცვლა. მწერალი იძულებული გახდა სამსახური დაეწყო. მუშაობდა ირანის ეროვნულ ბანკში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და ა. შ. მწერალს სიცოცხლის ბოლომდე უხდებოდა მუშაობა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, რათა თავი ერჩინა, ს. ჰედაიათს, არისტოკრატული წარმოშობისა და გავლენიანი ნათესავების წყალობით შეეძლო, უზრუნველი ცხოვრება ჰქონოდა, მაგრამ მცირედით, თავის შრომის მონაგარით კმაყოფილდებოდა. ირანში მწერალი ჰონორარით თავს ვერ ირჩენდა, მეტიც, წიგნები თავის ფულით უნდა გამოეცა. 30-ანი წლების დასაწყისში ს. ჰედაიათის თაოსნობით შეიქმნა ლიტერატურული გაერთიანება, რომელიც თავდაპირველად ოთხი მწერლისაგ ნ შედგებოდა. ეს წრე თანდათან გაფართოვდა. მასში გაერთიანებული იყვნენ მწერლები, პოეტები, ფოლკლორისტები, რეჟისორები და ა. შ. იკრიბებოდნენ აწყობდნენ დისპუტებს, მსჯელობდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების საჭირბოროტო საკითხებზე. ამ ლიტერატურულმა გაერთიანებამ, რომლის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ს. ჰედაიათი იყო, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ირანის კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში.

30-იან წლებში სპარსული მკითხველის წიგნის თაროზე გაჩნდა ს. ჰედაიათის ნოველების კრებულები: „ცოცხლად დამარხული" (1930). „სამი წვეთი სისხლი" (1932), „ჩრდილ-ნათელი" (1933), ვრცელი მოთხრობები „ალავიე ხანუმი" და „ბრმა ბუ" (1937), პამფლეტების კრებული, „ბატონი ვაღ-ვაღი" (ეს უკანასკნელი მ. ფარზადთან თანაავტორობით არის შექმნილი). ისტორიული პიესები და სხვა. ეს წიგნები, რომლებმაც მაშინვე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება ნიშანსვეტებია სპარსული პროზის განვითარების გზაზე.

კლასიკური სპარსული ლიტერატურისა და ევროპული, განსაკუთრებით [illegible] კულტურის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა ს. ჰედაიათმა რთული, შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზა განვლო. თანადროული სინამდვილის ჩვენებისას ირანელი მწერალი იყენებს სრულიად განსხვავებული მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს. ს. ჰედაიათის ადრეული მოთხრობები „ცოცხლად დამარხული", „ბრმა ბუ", „მანეკენი ვიტრინაში", „სგელ", „სამი წვეთი სისხლი" და სხვა უიმედობისა და სასოწარკვეთილების სულისკვეთებითაა დაწერილი. სინამდვილეს სუბიექტურ ასპექტში წარმოგვიდგენს, არ იხწრაფვის სინამდვილის მხატვრული ობიექტივიზაციისადმი. ს. ჰედაიათის შემოქმედების ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ირარეალური, ფანტასტიკური სახეები და პათოლოგიური გმირები. ირაციონალიზმის ატმოსფერო და ნერვული დაძაბულობა, შემაძრწუნებელი სცენები, სიკვდილის აპოლოგია.

ამავე წლებში ს. ჰედაიათი ქმნის ნოველებს „დაშ აკოლი", „ლალე", „აბჯი ხანუმი", „კუზიანი დაუდი", „ქალი, რომელმაც ქმარი დაკარგა", რომლებშიც ირანელი მწერალი უბრალო ადამიანებს ფსიქოლოგიური სამყაროს საუკეთესო მცოდნედ, შთაგონებულ მხატვრად მოგვევლინა. ჰუმანისტ მწერალს მკითხველი მიპყავს დასკვნამდე, რომ ამ ადამიანებსაც აქვთ უფლება სიხარულზე, სიყვარულზე, ყოველივე იმაზე, რაც მეტ შინაარსს აძლევს ცხოვრებას. ნოველებში„ ძმაკაცი აკოლი" და „ლალე" გამოიკვეთა ს. ჰედაიათის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, ისინი ხიბლავენ მკითხველს განცდის უშუალობის სინატიფით, სიმსუბუქით, „ლალეს" ლირიზმით მოხიბლულმა ირანელმა კომპოზიტორმა ფ. მაჰმუდმა შექმნა სიმფონია, ხოლო „ძმაკაცმა აკოლმა" შთაგონა ირანელი კინემატოგრაფისტები გადაეღოთ მხატვრული ფილმი, რომელიც ეროვნული კინემატოგრაფიის მიღწევად არის აღიარებული. წარმატება ხვდა წილად თეირანის თეატრის სცენაზე წარმოდგენილ პიესას „ძმაკაცი აკოლი".

მოთხრობებში „სვავები", „ალავიე ხანუმი", „ძმაკაცი აკოლი", „აღსარება" თავი იჩინა ს. ჰედაიათის ოსტატობის ახალმა თვისებებმა — სიუჟეტური ხაზის დინამიურობამ, კოლორიტულმა ყოფითმა და ეანრობრივმა ჩანახატებმა შეთმბეჭდავმა, დამაჯერებელმა დიალოგებმა, სახეების სკულპტურულმა გამოკვეთილობამ, ამ ნაწარმოებებში ძალას იკრებს რეალისტური ტენდენცია, რომელიც მწერლის შემოქმედების მეორე პერიოდში წამყვანი ხდება.

ს. ჰედაიათის როგორც ნოველისტის მაღალი ოსტატობა თვალნათლივ ჩანს ნოველაში „სვავები", დინამიურმა სიუჟეტმა და ცოცხალმა დიალოგებმა განაპირობა მისი სცენური ხასიათი და ამიტომაც ირანის თეატრის მესვეურებმა „სვავების" ქარგაზე ააგეს პიესა, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც ტრიუმფალურად მოიარა ირანის მრავალი თეატრის სცენა.

ირანის ხინამდვილეში განსაკუთრებით თვალში საცემია ქალის მძიმე ხვედრი. ბრავალცოლიანობის პირობებში ქალი უფლებააყრილია და იგი ყოველ ღონეს ხმარობს ოღონდ ქმარი შეინარჩუნოს (ქალი, რომელმაც ქმარი დაკარგა, „შუაკაცი"), აღარც შვილი ახსოვს და უკიდურესობამდე მისული აღარაფერს აღარ ერიდება და ბოროტმოქმედიც ხდება („აღსარება", „ალავიე ხანუმი").

მოთხრობაში „ალავიე ხანუმი" იგრძნობა, რომ ს. ჰედაიათს ემარჯვება ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანების ხატვა. ირანელი მწერალი პოულობს დამახასიათებელ კონტრასტულ ფერებს, იმისათვის, რომ მკვეთრად დახატოს ხასიათების ბუნება, მათი ინტერესები, მისწრაფება.

1936 წელს, ს. ჰედაიათი ინდოეთს გაემგზავრა და იქ ერთი წლის მანძილზე გულმოდგინედ სწავლობდა სასანიდების ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებს, ფალაური ენას. ინდოეთში მწერალი ძველი ირანული რელიგიის ზოროასტრიზმის აღმსარებლებთან ცხოვრობდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რეზა შაჰის რეჟიმის დამხობამდე მწერალმა ვერ შეძლო ვერც ერთი მხატვრული ნაწარმოების გამოქვეყნება, ეწევა მეცნიერულ და მთარგმნელობით მოღვაწეობას. ზედიზედ აქვეყნებს გამოკვლევებსა და თარგმანებს ფალაური ენიდან, მისმა გამოკვლევებმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1939-1941 წლებში ს. ჰედაიათი მუშაობს ირანის მუსიკალურ სამმართველოში და თანამშრომლობს ჟურნალში „მუსიკა".

40-იანი წლები ს. ჰედაიათის შემოქმედებითი აღმავლობის ხანაა. მეორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებში ს. ჰედაიათი ქმნის ალეგორიულ ზღაპარს „სიცოცხლის წყარო", რომელშიც გამოიხატა მწერლის ოპტიმისტური განწყობილება, მისი ღრმა რწმენა ფაშიზმზე მსოფლიოს პროგრესული ძალების გამარჯვებისა. ირანელი მწერლის შემოქმედება ივსება ახალი იდეური შინაარსით. იგი როგორც მხატვარი და მოაზროვნე, დემოკრატიული იდეების აქტიური მქადაგებელი ხდება. ამ პერიოდის რეალისტურ ნაწარმოებებში მწერალი ხვამს მწვავე სოციალურ პოლიტიკურ პრობლემებს, ააშკარავებს ფაშისტური იდეოლოგიის ხასიათს („ბუჩქის ქვეშ"), იბრძვის კოლონიალიზმის მტაცებლური ბუნების წინააღმდეგ („ანტიქრისტეს სახედარი",) ფართოვდება მწერლის სოციალური ინტერესების რკალი, მოთხრობაში „ხვალ" სპარსულ ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ირანელი მუშის საკითხს. შემოქმედების ამ პერიოდში ს. ჰედაიათი მეტ ყურადღებას უთმობს პოლიტიკურ სატირას. მოთხრობაში „პატრიოტი" სატირის მახვილი მიმართულია ამ ცრუ პატრიოტების წინააღმდეგ, რომლებიც სამშობლოსა და ხალხის ინტერესებს აზრით აშენებას ლამობენ.

მაღალი ოსტატობით შესრულებული ს. ჰედაიათის სატირული ქმნილებები, რომელთა გვირგვინია „ბაჯი აღა", ნიშანსვეტებია სპარსული სატირული პროზის განვითარების გზაზე. აღნიშნულ პერიოდში ს. ჰედაიათი არამარტო ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა, არამედ აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში.

1941 წლიდან ს. ჰედაიათი მუშაობს საბვითი ხელოვნების ინსტიტუტში და თეირანის უნივერსიტეტში, სსრკ-სთან ირანის კულტურული ურთიერთობის „ახალი მოამბეს" რედკოლეგიის წევრია და მის ფურცლებზე აქვეყნებს ნაწარმოებებსა და თარგმანებს.

1944 წელს ს. ჰედაიათი მოიწვიეს ტაშკენტის უნივერსიტეტის იუბილეზე.

1946 წელს თეირანში შედგა ირანის მწერალთა პირველი კონგრესი, რომლის მუშაობაში ს. ჰედაიათმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. იმავე წელს პარიზში დაისტამბა ს. ჰედაიათის პიესა „თქმულება სამყაროს წარმოშობაზე" ცნობილი ფრანგი მხატვრის, ჟან ეფელის ილუსტრაციებით.

1947-1948 წლებში გამეფებულმა რეაქციამ, დემოკრატიული მოძრაობის განადგურებამ მძიმე შთბეჭდილება მოახდინა მწერალზე. მის სულიერ სამყაროში უიმედობამ დაისადგურა. ამ განწყობილების ასახვას წარმოადგენს ს. ჰედაიათის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა, რომელიც დაურთო ფრანც კაფკას ნოველების კრებულის სპარსულ გამოცემას. ჯერ კიდევ ადრიან წლებში ს. ჰედაიათმა პირუთვნელად შეაფასა ფ. კაფკას შემოქმედება. მან სპარსულად თარგმნა ფ. კაფკას მოთხრობები: „გარდასახვა", „სამსჯავროს წინაშე", „ტურა და არაბი", „მონადირე გრაკუსი".

დიდი ირანელი მწერალი ამ დროსაც არ ჩამოშორებია თავის ქვეყნის ინტერესებსა და საკაცობრიო იდეებისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციას.

1949 წელს ს. ჰედაიათს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე იწვევენ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყოველგვარი დაბრკოლება შეუქმნა რომ მწერალი კონგრესს არ დასწრებოდა, მაგრამ მაინც შეძლო თავისი ხმა შეეერთებინა მსოფლიოს მშვიდობის მებრძოლთათვის, ფრედერიკ ჟოლიო კიურისადმი გაგზავნილ დეპეშაში ს. ჰედაიათი წერდა: „იმპერიალისტებმა ჩვენი ქვეყანა საპყრობილედ აქციეს. სიმართლეზე ლაპარაკი და ფიქრი დან შაულად ითვლება, მივესალმები მშვიდობისათვის ბრძოლის იდეას".

სამშობლოში შექმნილი მძიმე ვითარების გამო 1950 წლის ბოლოს ს. ჰედაიათი პარიზს გაემგზავრა. იმედოვნებდა, რომ იქ შემოქმე-

დებითი მუშაობისათვის საჭირო პირობები ექნებოდა. არ გაუმართლა. პარიზი, რომელთანაც დაკავშირებული იყო მისი ცხოვრების საუკეთესო წლები, შესანიშნავი მოგონებები, ზეაწეული გრძნობები, ოცნებები, ამჯერად უკვე ხამშობლოში აღიარებულ მწერალს გულცივად შეხვდა, იქ არა ერთი დაბრკოლების დაძლევა მოუხდა. 1951 წლის ადრეულ გაზაფხულზე პარიზში უკანასკნელი ღილა გაუთენდა ირანელ მწერალს.

ხიკვდილის შემდეგ ს. ჰედაიათს არც სახელი მოჰკლებია და არც დიდება. მრავალმა პოეტმა, მწერალმა, კომპოზიტორმა; მხატვარმა უძღვნა მის ნათელ ხსოვნას თავისი ნაწარმოებები. სპარსული ლიტერატურის ყველა ანთოლოგიის აუცილებელი კომპონენტია ს. ჰედაიათის ნაწარმოები, ტრადიციულად იქცა ირანში ყოველწლიურად მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოების ჩატარება. ს. ჰედაიათზე ბევრი იწერება როგორც ირანში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ ს. ჰედაიათი არის ირანის უდიდესი მწერალი, რომლის შესანიშნავმა ქმნილებებმა გაამდიდრეს სპარსული ლიტერატურა.

ღრმა ერუდიციის მქონე და ანალიტიკური აზროვნების უნარით დაჯილდოებულმა ს. ჰედაიათმა სპარსული კრიტიკული აზროვნების ისტორიას მრავალი ახალი და საინტერესო ფურცელი შემატა.

ირანის საზოგადო მოღვაწეთა შორის ს. ჰედაიათი არის თავკაცი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ეროვნული კულტურის, ხალხური შემოქმედების შესწავლასა და პოპულარიზაციის საქმეს და დღენიადაგ მის განვითარებასა და აღმავლობაზე ფიქრობდა. ს. ჰედაიათი პირველი ირანელი ფოლკლორისტი და ეთნოგრაფია. ამ დარგებში კვლევა-ძიების დაწყება მის სახელთან არის დაკავშირებული.

ს. ჰედაიათის სიყვარული ხალხური შემოქმედებისადმი გამოიხატა არა მარტო იმაში, რომ იგი ზრუნავდა მის ჩაწერის, შეგროვების თუ კვლევა-ძიებისათვის, არამედ ხშირად მათი მიხედვით ქმნიდა თავის ნაწარმოებებს. ამ სიაბლოვემ თავისებური კვალი დატოვა ს. ჰედაიათის შემოქმედებაზე. ფოლკლორი ეფუძნება მისი შემოქმედების მტკიცე და მკვიდრ საყრდენს.

ს. ჰედაიათმა გაბედულად გაუხსნა კარი ცოცხალი სპარსული მეტყველების ფორმებს. ანდაზებს, ხატოვან თქმებს, ზომიერად და მოხდენილად ჩასვა ისინი თხრობის ქსოვილში, რითაც ხელი შეუწყო სპარსული ხალიტერატურო ენის განვითარებას და სრულყოფას.

თვითმყოფადობა ხელწერისა და მრავ ლფეროვნება პალიტრასა ს. ჰედაიათის ნოველისტიკის ძირითადი ნიშანთვისება. მან ახალი ფურცელი გადაშალა სპარსულ ლიტერატურაში არამარტო მრავალფეროვანი თემატიკით, არამედ ორიგინალური მხატვრული სტილითა და მაღალი პროფესიული ოსტატობით.

ს. ჰედ იათის პროზისათვის ნიშანდობლივია ლირიზმის ორგანული შერწყმა ფილოსოფიურ სიღრმესთან, უწყვეტი კავშირი ეროვნულ კულტურასთან.

თანამედროვეთა აღიარებით ს. ჰედაიათი ყველაზე ირანული მწერალია ირანულ პროზაიკოსთა შორის. ს. ჰედაიათის საუკეთესო ნოველებმა წარმოაჩინეს მისი ეროვნული ნიჭის თავისებურება, რომელშიც ორგანულად არის შესისხლხორცებული ეროვნული მსოფლგაგება თანამედროვე სამწერლო აზროვნებასთან. მისი ლიტერ ტურული მემკვიდრეობა თვალნათლივ ასახავს ირანის ლიტერატურაში მომხდარ ღრმა პროცესებს, ადგენს მისი განვითარების დინამიკას.

პროზის დიდოსტატმა ს. ჰედაიათმა მყარი საფუძველი შეუქმნა სპარსული მხატვრული პოეზიის განვითარებას და აღმავლობას. ამიტომაც უწოდებენ მას უახლესი სპარსული ლიტერატურის მამამთავარს, მის დამაარსებელს, მანათობელ ვარსკვლავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხევსურეთი შიდა აღორძინდს

გასულ წელს შესრულდა 40 წელი მას შემდეგ, რაც მაშინდელმა ხელისუფლებამ ხევსურები მამაპაპეული სამკვიდროდან აჰყარა და ბარის რაიონებში გადაასახლა.

საჭიროდ მიგვაჩნია, ახლა მაინც მივაწოდოთ მკითხველს სწორი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ამ ხნის განმავლობაში რა ხდებოდა ხევსურეთში. საქმე ეხებოდა მოსახლეობის არა გეგმაზომიერ, ბუნებრივ მიგრაციას, რასაც ყოველთვის ჰქონდა ადგილი განსაკუთრებით მცირემიწიანობის გამო, არამედ ისტორიული კერის მთლიანად გაუკაცრიელებასა და მოსპობას.

ხევსურეთის „გეგმიანი" ჩამოსახლების ხელშემწყობი კომისია, რომლის შემადგენლობაში ამ სტრიქონების ორი ავტორიც გახლდათ, წერილობით აუწყებდა რესპუბლიკის მაშინდელ ხელისუფალთ, რომ „გეგმიანი" ჩამოსახლება ხდებოდა ყოველთვის უგეგმოდ და სტიქიურად. არ ითვალისწინებდნენ მოსახლეობის სურვილს ერთად დასახლების შესახებ, რასაც დიდი სოციალური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა ახალჩასახლებულთათვის, ხოლო, რაც მთავარია, მოსახლეობა ერთპირად წინააღმდეგი იყო ხევსურეთის მთლიანად დაცლისა და გაუკაცრიელების. დაბეჯითებით ითხოვდნენ, ბარში ჩასახლება მომხდარიყო ნებასურვილით, რომ მცხოვრებთა ნაწილი მაინც დაეტოვებიათ მამაპაპეულ მიწაწყალზე.

კომისიის შუამდგომლობაცა და მოსახლეობის მოთხოვნაც უპასუხოდ იქნა დატოვებული:

უხეში ძალადობით გაანადგურეს საქართველოს ისტორიული კუთხე, თვით უცხოელთა განაც კი ერის „ცოცხალ მუზეუმად" წოდებული.

გააუქმეს ადმინისტრაციული თუ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები; ჩამოართვეს და ბარის კოლმეურნეობებს გადასცეს მიწები. მოსავლის აღება არ აცალეს და ცხვრის ფარები ჭეჭილებში შეუშვეს: ეზოები ხატუეთ მეურნეობას გადასცეს და ხასწრაფო გატუევება დაიწყეს. აკრძალეს ყოველგვარი სამეურნეო სამუშაოები და მშენებლობები, ხოლო მოსახლეობას უბრძანეს: „შემოდგომიდან ბევსურეთში მამლის ყივილი აღარ გავიგონოთო".

მოსახლეობის ნაწილი არ ტოვებდა ისტორიულ სამკვიდროს თუმცა საარსებოდ ერთი მტკაველი მიწაც აღარ გააჩნდათ. და როგორღაც მაინც იგერიებდნენ ხელისუფლების წარმომადგენელთა თავხედურ შემოტევას — დროზე გახახლდით, ვიდრე სახლებს დავწვავდეთო.

გაუგონარი და დაუჯერებელი ფაქტები ხდებოდა მაშინ ხევსურეთში; ერთმა მორწმუნე მოხუცმა სოფელი არ დატოვა, ხევისბერი ვარ, შობა-ახალწელს ხატი უნდა ვადიდო. სანთლები დავანთო და წესი შევასრულო, დავრჩები მარტო სოფელში და გაზაფხულზე ჩავსახლდებიო. გაზაფხულზე მისი ძვლებიღა იპოვნეს კატებისაგან გამოხრული.

მეორე ხევსურს ჰკითხეს, რატომ დაბრუნდიო და მან უპასუხა მე იქ ვერ ვიცხოვრებ, სადაც ქათამს თითით ხინჯავენ, — კვერცხი აქვს თუ არაო.

იმავე საღამოს ხანჯალი ტარით კედელში შეარჭო და ზედ წამოეგო..

ხელისუფლება კი ხევსურეთის ბარში „გეგმიან ჩასახლებას" უდიდეს სასიკეთო საქმედ და ხალხზე ზრუნვად აუწყებდა ქვეყანას, ჟურნალისტები თხზავდნენ ყალბ სახოტბო ნარკვევებს. პოეტები ქმნიდნენ ლექსებს, თუ რა დიდი სიხარულით ჩამოდიოდნენ ხევსურები სამგორში „შვლის ტყავის (?!) ქალამნებითა".

და საქართველოს ერთერთი უძველესი და უარქაულესი ტრადიციების მქონე კუთხე ისე ქრებოდა პირისაგან მიწისა, რომ ხელისუფალთ მაშინ ვერავინ შეხედა და უთხრა — ეგ არ შეიძლებაო.

ეროვნული

სოფლებში დარჩენილი თითო-ოროლა ოჯახი რომ

ამის თაობაზე მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში ტარდებოდა კრებები, ორჯერ ჩატარდა გაერთიანებული ყრილობა თბილისში, შემდეგ კი ეს ხალხი ადგილზე მივიდა და ბარისახოში ჩატარებულ ყრილობებზე მიიღეს დადგენილება ხევსურეთის აღდგენის აუცილებლობის შესახებ.

ბოლო ყრილობა გასული წლის გაზაფხულზე ("ჯარდა, საკრებულოს გამგებელმა ბ. წიკლაურმა ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება წაიკითხა და თავი გადამდგარად გამოაცხადა.

აი ამ ეტაპზე დგას ამჟამად ხევსურეთის აღდგენის საკითხი, ჩვენ აქ მხოლოდ იმ მთავარ ფაქტებზე მივუთითეთ, რომლებიც ნაწილობრივ წაინც მოგვცემდა წარმოდგენას, თუ რა მძიმე წლები გაიარა ხევსურმა მოსახლეობამ ამ ორმოცი წლის განმავლობაში. ამ ფაქტების წერილში აღნუსხვა ჩვენთვის თვითმიზანი არა ყოფილა. მიზანი ის არის, რომ საზოგადოებამ შეულამაზებლად, ტყუილის გარეშე იცოდეს, რაც ხდებოდა და ხდება იქ და იმის მიხედვით იმსჯელოს და არა ყალბი ინფორმაციების მიხედვით.

ვაგლახ, რომ არავითარი ხევსურეთი აღარ არსებობს, როგორც საქართველოს ისტორიული კუთხე და ეთნიკური ერთეული. ის სამახეოდე ოჯახი, რომელიც ერთი დიდი რაიონისხელა ფართობზეა გაფანტული ძირითადად მოხუცი მწყემსები და მუშა-მოსამსახურეები არიან, ხოლო მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კი აქ დროებითაა, რადგან შვილები ბარში ცხოვრობენ. გასულ წელს, როცა გადამთიელი ქტრული ტომების შემოღწევისაგან უღელტეხილების ჩაკეტვა გახდა საჭირო. ადგილზე მუდმივად მცხოვრები ოცი ახალგაზრდაც არ მოინახა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მრავალსაუკუნოვანი ისტორიული კუთხე მალე გეოგრაფიულ ცნებად იქცევა.

თემა დიდია, პრობლემა მეტად მწვავე, ყველაფერის ერთ წერილში ჩატევა ვერ მოხერხდა.

აქვე ერთი ფაქტიც უნდა ვაუწყოთ მკითხველს; დაბრუნების მსურველები ბარში ცუდად როდი ცხოვრობენ, არა, მათ მშობლიური მიწის ყივილი უხმობს. ესენი, აქეთკენ, ყამდიდრებისათვის კი არ ბოლტვინან, არამედ ხედავენ, რომ უპატრონოდ დარჩენილი კუთხე იღუპება. **უცხო ტომისა და სარწმუნოების მქონე დაქირავებულმა მწყემსებმა დაანგრიეს და დაწვეს სახლები. შეურაცხყვეს სახელოვან ხევსურ წინაპართა საფლავები, გაქურდეს და წაბილწეს წმინდა ხატსალოცავები, ხელყვეს ნაკრძალები...**

ხევსურეთის გაღარჩენის მისაბაძ ფორმად ბარში გაფანტულ ხალხს ე. წ თუშური ვარიანტი მიაჩნია, რაც იმით გამოიხატება, რომ თუშეთში მოსახლეობისგან სამუდამოდ მიტოვებულ სოფელს ვერ ნახავთ. იქ თითქმის ყოველ სოფელში იზამთრებს ერთი-ორი ოჯახი, ადგილზე ინახავს მცირე რაოდენობით პირუტყვს და სოფელსაც იცავს გადამთიელთა ხელყოფისაგან, ხოლო ზაფხულობით, მთელი თუშობა ბამაპაპეულ საზაფხულო საძოვრებზე მოერეკება ფარებს და ოჯახებიც ფუძეს უბრუნდებიან.

ხევსურეთის აღორძინების საქველმოქმედო საზოგადოება ერთადერთ გამოსავალს იმაში ხედავს, რომ ამჟამად მთასა და ბარში გაფანტულმა ხევსურმა მოსახლეობამ თუშების მაგალითი უნდა გადაიღოს. უნდა გაერთიანდეს მთის საზაფხულო და ბარში კომპაქტურად ცხოვრებთა საზაფხულო საძოვრები, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხევსურეთის აღორძინება და მეცხოველეობის თანამედროვე დონეზე განვითარება, მისი. როგორც საქართველოს ისტორიული კუთხის, შენარჩუნება.

ამას გარდა. მოსახლეობისგან ხევსურეთის ტერიტორიის დაცლა განსაკუთრებით ახლაა დაუშვებელი, მთას კვლავ უნდა დაუბრუნდეს საზღვრის დაცვის ის ტრადიციული ფუნქცია, რაც საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მეფეთაგან ჰქონდა დაკისრებული.

დიახ, ხევსურეთი უნდა აღორძინდეს, რადგან საქართველოს იგი ამ მხრივაც სჭირდება და მომავალში კიდევ უფრო დასჭირდება.

მოვუწოდებთ ყველას, ვისი გულიც გულობს, ხელი გამოიღოს ხევსურეთის გადასარჩენად, იგი ან ახლა აღზდგება, ან აღარასოდეს:

ხევსურეთის აღორძინების საქველმოქმედო საზოგადოება.

ჟურნალ „მნათობის“ 1994 წლის ნომრის შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლია — ძველი აღთქმა № 1—2

მოთხრობები, რომანები

თენგიზ ბუაჩიძე — ნამცეცები. № 1—2
ემზარ კვიტაიშვილი — კვიპაროსი ჩემს ფანჯარაში. მოთხრობა. 1—2.
რევაზ ჯაფარიძე — მხევალი უფლისა. რომანი. № 1—2

ლექსები

ბაქრაძე ნოდარ — ლექსები. № 1—2
ზაზანაშვილი ნუგზარ — ლექსები. № 1—2
თვარაძე ზაზა — ლექსები. № 1—2
შამათავა ომარ — ლექსები. № 1—2

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

კვერცხიშვილი ზაზა — უტეხი სული. № 1—2
ცანავა აპოლონ — ფიქრები გიორგი ლეონიძის დიდ პოეზიაზე. № 1—2
ჭელიძე მერი — „ორი სტრიქონი“. № 1—2
ხუციშვილი სოლომონ — პიროვნება ილია ჭავჭავაძის კონცეფციაში. № 1—2

მეცნიერება

დადუნაშვილი ელგუჯა — მასალები პეტრე უმიკაშვილისეული არქივის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან. № 1—2
ორლოვსკაია ნატალია — ზოგიერთი ცნობა ქართული ენის შესახებ XIX საუკუნის ინგლისში. № 1—2
ჩხარტიშვილი მარინა — სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ თარიღისა და ატრიბუციისათვის. № 1—2

თბილისი რუსთაველის ქ. № 28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-61-93, მთ. რედაქტორის მოადგილის 99-79-89, მ/მგ. მდივნის 99-91-00, და განყოფილებების — 26-35-20.

გადაეცა ასაწყობად 21. 01. 94 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 010. 94 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,8. ტირაჟი 1000. შეკვეთა 557. ჟურნალ-გაზეთების პოლიგრაფკომბინატი „პრესა“. კოსტავას ქ. № 14.

ფასი 1 000 000 კუპ.
შესაბამისად რუბლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა
76128